საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

მეორე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC-2014

The 2nd International Economic Conference – IEC 2014

ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ

National Economic Development Models: Yesterday, Today, Tomorrow

II კრებული

4
2014

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

უაკ (**UDC**) 338.22+62
ბ-666

№ 4 2014 წელი

ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ა. ქუთათელაძე (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია: ნ. აბესაძე, გ. აბდუშელიშვილი, გ. აბრამიშვილი, გ. აბაშიძე, რ. არველაძე, ე. ბარათაშვილი, ბ. ბარკალაია, თ. ბაციკაძე,ვ.ბოჯარი(პოლონეთი) ბ. ბოქოლიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გახოკიძე, ლ. გვასალია, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, უ. დემირაი (თურქეთი), ც. დურული (გორი), მ. ეფიმჩენკო (რუსეთი), ზ. ვაშაკიძე, რ. ვინთერი (შვეიცარია), ო. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, ა. ინგოროყვა, კ. ისაევა (ყაზახეთი), პ. იონი (გერმანია), რ. შენგელია, ირ. ვოუთერ თენ ჰაფი (ნიდერლანდი), ი. კაკუბავა, თ. კაჩალა (უკრაინა), ზ. კოვზირიძე, ი. კვესელავა, ლ. კლიმიაშვილი, პ. კოღუაშვილი, ჯ. ლაცნი (პოლონეთი), ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი (ქუთაისი), ზ. ლომსაძე, ი. ლომიძე, გ. მალაშხია, მ. მამნიაშვილი, მ. მაცაბერიძე, ვ. მინასიანი (რუსეთი), გ. მჭედლიშვილი, შ. ნაჭყებია, რ. ოთინაშვილი, მ. ოსინსკა (პოლონეთი), მ. პისანიუკი (მოლდოვა), ი. ჟორდანია, გ. სალუქვაძე, დ. სეხნიაშვილი, გ. სოსიაშვილი (გორი) კ. სოხაძე, რ. სტურუა, ჟ. სულეიმანოვი (ყაზახეთი), გ. ტყეშელაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ღავთაძე (ქუთაისი), ლ. ღოღელიანი, მ. ჩიქავა, დ. ჩომახიძე, ა. ჩხეიძე, ბ. ცხადაძე, გ. ძიძიგური, გ. ძლიერიშვილი, ნ. ხუნდაძე, ჯ. ჯანაშია, დ. ჯაფარიძე, გ. ჯავახაძე, დ. ჯანგულაშვილი, გ. ჯოლია.

EDITOR : A. Sichinava
DEPUTY OF CHIEF EDITOR: Sh. Veshapidze
TECHNICAL EDITOR: A. Kutateladze
DEPUTY EDITOR: T. Lominadze

EDITOR STAFF: N. Abesadze, G. Abdushelishvili , G. Abramishvili, G. Abashidze, R. Shengelia, R. Arveladze, E. Baratashvili, B. Barkalaia, T. Batsikadze, B. Boqolishvili, W. Bojar (Poland), M. Chikava, D. Chomakhidze, A. Chkheidze, U. Demirai (Turkey), C. Duruli (Gori), G. Dzidziguri, G. DzlieraSvili, M. Efimchenko (Russia), A. Frangishvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, Z. Gasitashvili, L. Gvasalia, G. Gavtadze (Kutaisi), A. Glushetsky (Russia), L. Gogeliani, I. Gorgidze, I. Gujabidze, L. Imnaishvili, A. Ingorokva, K. Isaeva (Kazakhistan), J. Janashia, D. Jangulashvili, D. Japaridze, G. Javakhadze, J. Lacny (Poland), P. John (Germany), G. Jolia, I. Jordania, T. Kachala (Ukraine), I. Kakubava, L. Klimiashvili, P. Koguashvili, N.Khundadze, I. Kveselava, Z. Kovziridze E. Lobanova (Russia), I. Lomidze, Sh. Lominashvili (Kutaisi), Z. Lomsadze, G. Malashkhia, M. Mamniashvili, M. Matsaberidze, V. Minasian (Russia), G. Mchedlishvili, O. Mraz (Czech Republic), Sh. Nachkebia, R. Otinashvili, M. Osinska (Poland), M. Pisaniuk (Moldova), L. Qarchava, R. Qutateladze, G. Saluqvadze, K. Sokhadze, G. Sosiashvili (Gori), R. Sturua, J. Suleimanov (Kazakhistan), D. Tavkhelidze, G. Tkeshelashvili, B. Tskhadadze, Z. Vashakidze, R. Winter (Sweden), Ir. Wouter Ten Haap (Netherlands), O. Zumburidze.

პასუხისმგებელი რედაქტორი: დალი სეხნიაშვილი

გარეკანის დიზაინის ავტორი: დალი სეხნიაშვილი
ტექნიკური რედაქტორები: თეა მაისურაძე, თამარ ლაგვილავა

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 615ბ.
ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391.
www.Business-Engineering. bpengi.com
ელ-ფოსტა: info@bpengi.com

Editorial office address:
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 615 b.
Tel.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391;
www. Business-Engineering. bpengi.com
E-mail: info@bpengi.com

ISSN 1512-0538

ISSN 1512-0538

ს ა რ ჩ ე ვ ი

მეორე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC-2014

„ ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ “

ჯამბულ ბიწაძე, ნანა ბენიძე
ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები საქართველოში 7

ედიშერ გვენეტაძე
ევროკავშირის უშიშროების პოლიტიკა და „ევროპული იდენტობა”.....11

თინა იველაშვილი
ტერასული მევენახეობა სამცხე-ჯავახეთში.....14

თინათინ კილაძე
არტურ ლაისტის კულტუროლოგიური ცნობიერება 18

მაკა საღირაშვილი
სოციალური მედიის მნიშვნელობა და გავლენა საზოგადოებაზე 21

ალექსანდრე სიჭინავა, ლევან ტატიშვილი
უძრავი ქონების ადგილი ეროვნულ ეკონომიკურ მოდელში.....24

შოთა ვეშაპიძე, ნუგზარ ბაბუაძე, თამარ ლაგვილავა
რა ევროპული ღირებულებითი ორიენტირებია მნიშვნელოვანი ქართული ეკონომიკური მოდელისთვის 27

მერაბ გველესიანი, ნათან თაფლიაშვილი
ძიებები მარკეტინგის განვითარებისთვის ჯანდაცვის სფეროში 32

დალი სეხნიაშვილი
ორგანიზაციის ადამიანური რესურსების სწავლებისა და განვითარების საჭიროების განსაზღვრის აქტუალური მეთოდები.....36

გიორგი სულაშვილი, სალომე ჯაფარიძე, გიორგი ხოტენაშვილი
ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემები 40

ნინო მჭედლიშვილი, ი. მოსაშვილი, ი.დავითაშვილი
სწავლების თანამედროვე მეთოდები ჩაშენებული მართვის სისტემების შესასწავლად 43

ნინო არეშვილი
პროტექციონიზმი, როგორც საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმა 46

მილორდ სიჭინავა
აია – პულა, იგივე პოლა: ქართველთ გზა-ხიდი ევროპისაკენ 50

ტარიელ კიკვაძე, ირინე ფარსეღაშვილი
განტის გრაფიკის გამოყენების შესაძლებლობები აუდიტის მართვის პროცესში 55

გუგული ყურაშვილი, ნატო გეგენავა
დამწყები და ახალგაზრდა ფირმების ეკონომიკური შეფასება 58

გიორგი ლაგვილავა
მსოფლიო სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემაში საქართველოს ჩართულობის პერსპექტივები 60

გრიგოლ ხარშილაძე
როტორზე სამფაზა აგზნების გრაგნილიანი ვენტილური ძრავის განტოლებები ცვლადთა გასაშუალოებული მნიშვნელობებისათვის 64

ალექსანდრე კეკენაძე, ციური ფხაკაძე, ლევან ზედელაშვილი
ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი თანამედროვე ეკონომიკაში 67

ლია კურახჩიშვილი
ფინანსური პოლიტიკის სტრატეგია XXI საუკუნის დასაწყისში და საქარველოს მთავრობის ძირითადი ამოცანები და მიმართულებები 69

მაია ბენია, ნინო მიროტაძე
ეკოპროდუქტი - გზა ევროკავშირისკენ 72

მაია გელაშვილი
უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში 76

მარინა ბაღათურია, მანანა ბერუაშვილი
გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პირობებში 78

ნათელა წიკლაშვილი, თამილა თურმანიძე
ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და რეალობა 80

ნანი მამფორია
მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები 83

ხათუნა ხარხელაური
საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები 86

თენგიზ მუსელიანი, გიორგი მთვარელიშვილი, ირმა ქათამაძე
შუქდიოდური სანათები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქუჩის განათებისათვის 89

მალხაზ სულაშვილი, სალომე ჯაფარიძე, ბელა ხოტენაშვილი,
გადასახადების რეგულირების მოქმედი მექანიზმები გერმანიაში 92

ნანა ნადარეიშვილი
განვითარების პერსპექტივები: საქართველოს რეკრეაციულ-ტურისტული სისტემის ინოვაციური მოდელი 96

ნატო ჩიკვილაძე, ლაშა კაკულია
საქმიანი კულტურა, როგორც შედარებითი მენეჯმენტის საკვანძო ელემენტი 99

ნინო არეშვილი
პროტექციონიზმი, როგორც საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმა 103

ნინო ფაილოძე, ანა კობიაშვილი, კონსტანტინე რამაზაშვილი
ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის აუცილებლობა 107

ოლგა ხუციშვილი, თეა ხუციშვილი, ბესარიონ ციხელაშვილი
მდგრადობის პრობლემა ეკონომიკურ სისტემებში 110

რატი ბაკურაძე, ზურაბ ლიპარტია
ბიზნესის ღირებულების შეფასების პრაქტიკა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში 114

ნათია შენგელია
საინვესტიციო გარემოს შეფასება საქართველოსა და სხვა ტრანსფორმირებად თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში 118

ინსტიტუციონალური ეკონომიკა (ლექციების კურსი)

დავით იაკობიძე
ინსტიტუციონალიზმი — ახალი გამოწვევები 121

გიორგი მალაშხია
ეკონომიკურ სისტემათა ანალიზის ინსტიტუციური მეთოდები 145

ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებები

გურამ ჯოლია, ქეთევან ჯოლია
მომხმარებლური საზოგადოებისა და ახალი ტიპის მომხმარებლის (X-მომხმარებლის) ფორმირება 172

Валентина Мирзаева
Грузинская инженерная традиция и современность 182

თეა ბიძინაშვილი, თამარ აბუაშვილი, თამარ წერეთელი
ქართული ღვინის ექსპორტის მარკეტინგული კვლევა 187

Марина Лещенко
ОСОБЕННОСТИ ФОРМИРОВАНИЯ НОВОЙ МОДЕЛИ ГЛОБАЛЬНОГО ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ 190

ლამარა მინდორაშვილი
დამაკავშირებელი პროცესები მენეჯმენტში 193

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

Юрий Вдовиченко
СОВРЕМЕННЫЕ ДЕТЕРМИНАНТЫ ГЛОБАЛЬНОГО ИНФОРМАЦИОННО-ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ 197

ვაჟა სარალიძე
ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბანკების მდგრადი კონკურენტუნარიანობა 201

სამართალი და პოლიტიკა

მიხეილ მამნიაშვილი, ჯემალ გაბელია, გიმზერ ალანია
სისხლის საპროცესო სამართლის რეგულირების საგანი და მეთოდი 204

ზაზა სუხიშვილი
კონცესიისა და საკონცესიო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება 207

ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ჯამბულ ბიწაძე, *აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი*
ნანა ბენიძე, *აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

როგორც მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო სახელმწიფოს განვითარება ფაქტობრივად წარმოუდგენელია ტერიტორიული ერთეულების განვითარების გარეშე. რადგანაც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს სწორედ ტერიტორიული ერთეულები ასრულებენ.

აუცილებელია საქართველოში გატარდეს შემდეგი სახის რეფორმები;

1. სახელმწიფო აუდიტის დაახლოება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან;
2. ტერიტორიული ერთეულების განვითარების გეგმის შედგენა;
3. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის დაგეგმვისას თანამედროვე ევროპული მიღწევების გამოყენება;
3. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას მოქალაქეების მაქსიმალური ჩართულობა;
4. ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯვითი ნაწილის მაქსიმალურად ტრანსფარანტულობა;
5. ადგილობრივი თვითმმართველობების უმაღლეს საჯარო მოხელეების საქმიანობაზე მოქალაქეების მხრიდან კონტროლის მექანიზმების შემუშავება;

ტერიტორიული ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეები ფაქტობრივად არ მონაწილეობენ ადგილობრივი საკითხების სამართლებრივ გადაწყვეტაში, რითაც უკონტროლო მდგომარეობაში ტოვებენ საკრებულოში მომუშავე თანამდებობის პირებს. ხშირ შემთხვევაში დიდ ქალაქებში წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციებიც, არ არიან დაკავებულნი კეთილსინდისიერი საქმიანობით. ნაცვლად იმისა, რომ ისინი ჯანსაღ ოპონირებას უწევდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს, პირიქით თვითმმართველობების მიერ არასწორი კანონების მიღებისას ფაქტობრივად მათი თანამონაწილეები ხდებიან. არასამთავრობო ორგანიზაციების ასეთი საქმიანობა ხშირად გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების თითქმის 95% დაფინანსებულია უცხოური წარმომავლობის ე.წ. ,,გრანტებით“.

ასეთი მიდგომებით კიდევ უფრო მძიმდება სოციალური ფონი, რაც საბოლოოდ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას აუარესებს.

საკვანძო სიტყვა: ტერიტორიული ერთეულები, ბიუჯეტი

Резюме

Перспективы экономического развития территориальных единиц в Грузии

Как свидетельствует мировая практика, развития государства фактически немыслимо без развития местных самоуправлений, поскольку в деле обеспечения оздоровления экономики страны значительную роль выполняют именно местные самоуправления.

Необходимо в Грузии осуществить следующие виды реформ:

Приближение государственного аудита к современным европейским стандартам;

Составление плана развития местных самоуправлений;

Применение современных европейских достижений при планировании местного бюджета;

Максимальное подключение граждан при решении вопросов местного значения;

Максимальная трансфарантность расходной части, предусмотренной местным бюджетом;

Разработка механизмов контроля со стороны граждан за деятельностью высших публичных чиновников местных самоуправлений;

Граждане, проживающие в муниципалитетах, фактически не участвуют в правовом решении местных вопросов, тем самым оставляя в бесконтрольном положении работающих в Сакребуло (Собрании) должностных лиц. Зачастую представленные в больших городах неправительственные организации не заняты добросовестной деятельностью, вместо того, чтобы осуществлять здоровое оппонирование должностных лиц местных самоуправлений, при принятии неоправданных законов самоуправлениями, они фактически становятся их соучастниками. Подобная деятельность неправительственных организаций зачастую вызвана тем, что почти 95

% действующих в Грузии неправительственных организаций финансируется т.н. «грантами» иностранного происхождения.

Таким подходом еще более усугубляется социальный фон, что в конечном итоге ухудшает социально-экономическое положение проживающих в муниципалитетах граждан.

* * * * * * *

ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები საქართველოში როგორც მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო სახელმწიფოს განვითარება ფაქტობრივად წარმოუდგენელია ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების გარეშე. რადგანაც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობები ასრულებენ. ამიტომ წინა პლანზე წამოიწევს ეკონომიკური პროცესების რეგულირების ტერიტორიულ ასპექტებზე ყურადღების კონცენტრირების საკითხი, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს სახელმწიფო რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესის სრულყოფაში ცალკეული ტერიტორიული ერთეულების (რეგიონების, რაიონების, მუნიციპალიტეტების) თავისებურებათა, ინტერესთა და კონკრეტულ ამოცანათა გათვალისწინებით. ქვეყნის რეგიონული განვითარების პრობლემა უპირველესად ტერიტორიული ერთეულების უთანაბრო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთანაა დაკავშირებული

შექმნილ პირობებში აუცილებელია ეკონომიკაზე ახალი, ეფექტიანი მეთოდებით ზემოქმედება, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია პროგრამულ-მიზნობრივი პროგნოზირება, რაც შესაძლებლობას იძლევა კვალიფიციურად, საიმედოდ, მოკლე ვადაში, სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკასთან კავშირში გადაწყდეს ცალკეული რეგიონების სტრატეგიული პრობლემები.

რეგიონული პროგრამების შემუშავებისას და განხორციელების საბაზისო მეთოდოლოგიური პრინციპებია; პროგრამის მიზნების, ამოცანების კომპლექსურობა, სინქრონულობა და და სისტემატურობა; პროგრამის ღონისძიებათა გარანტირებული შემუშავება და განხორციელების ალტერნატიული პირობების გათვალისწინება; რესურსული უზრუნველყოფა; პროგრამის ამოცანათა დამისამართება.

ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ეტაპობრივი ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია ახალმა ამოცანებმა და პრიორიტეტებმა, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიულ ერთეულებზე ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, ეკონომიკის სტაბილიზაციას, საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნას, პრივატიზაციას, მეწარმეობის როლის ზრდას, საინვესტიციო პროცესების მართვის, რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის, ტერიტორიული კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შემუშავებას, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდებით ხელმძღვანელობის აუცილებლობას და სხვა.

ადგილობრივი თვითმმართველობების მომავალი განვითარებისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდეს საკანონმდებლო დონეზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბიუჯეტო მოწყობის კუთხით გასატარებელი ღონისძიებები. საბიუჯეტო სისტემის სრულყოფილი კონტროლისათვის მიმაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოში გატარდეს შემდეგი სახის რეფორმები;

1. სახელმწიფო აუდიტის დაახლოება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან;

2.ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების გეგმის შედგენა;

3.ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვისას თანამედროვე ევროპული მიღწევების გამოყენება;

4.ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას მოქალაქეების მაქსიმალური ჩართულობა;

5.ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯვითი ნაწილის მაქსიმალურად ტრანსფარანტულობა;

6.ადგილობრივი თვითმმართველობების უმაღლეს საჯარო მოხელეების საქმიანობაზე მოქალაქეების მხრიდან კონტროლის მექანიზმების შემუშავება;

საქართველოს თვითმმართველობების მიხედვით ჩატარებულმა ანალიზმა და კონკრეტული მუნიციპალიტეტის პრობლემების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ტერიტორიული ერთეულების განვითარება, როცა ხდება;

ა) მენციერებისა და განათლების ერთ სისტემად გაერთიანება;

ბ) კვლევებისა და განათლების სტანდარტების შეთანხმებულობა;

გ) განათლების, მეცნიერების და ბიზნესის ინტერესების შეთანხმება ადგილობრივი ტერიტორიული სუბიექტების განვითარებისათვის.

საქართველოს მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ფინანსური სახსრების უკმარისობას, მნიშვნელოვნადაა შემცირებული მათი დამოუკიდებლობის ხარისხი, რაც გამოწვეულია, როგორც ობიექტური ასევე სუბიექტური ფაქტორებით. აღნიშნული კრიზისიდან გამოსასვლელად, აუცილებელია ადგილებზე გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები;

ა) ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაზე ორიენტირებული ინოვაციური პროექტების შედგენა და შესაბამისი ფინანსებით უზრუნველყოფა.

ბ) ადგილობრივი საგადასახადო შემოსავლების დივერსიფიკაცია;

გ) ადგილობრივი კულტურული პოტენციალის

განვითარება;

დ) სოციალური მომსახურების გაუმჯობესება, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება და ჯანმრთელობა;

ე) ტურიზმის განვითარება ისე სფეროებში, როგორიცაა სპორტული, კულტურული, მომსახურების და ბიზნეს-ტურიზმი;

ვ) ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ცენტრებად გადაქცევა;

ზ) ადგილობრივ თვითმმართველობებში უცხოური ცნობილი კომპანიების ფილიალების განთავსების ხელშეწყობა;

თ) უცხოეთის ადგილობრივ თვითმმართველობებთან სისტემატური თანამშრომლობა;

საერთაშორისო გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაშია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ წამოყენებული ინიციატივები შედეგზე ორიენტირებული, როცა ის მხარდაჭერილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

იმედის მომცემ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ 2013 წლის 1 მარტის საქართველოს მთავრობის №223 განკარგულება- ,,საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისათვის“ მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული კითხვები, ის შეიძლება თამამად მივიჩნიოთ თვითმმართველობების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გეგმად.

პერსპექტივაში განსახორციელებელი რეფორმის ამოსავალი პრინციპია მოქალაქეების მაქსიმალური გააქტიურება და უშუალო ჩართულობა მართვის პროცესში.სრულყოფილი და ეფექტური თვითმმართველობის განსახორციელებლად უნდა მოხდეს;

ა) საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმირება თითოეულ დასახლებაში;

ბ)მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია და გაძლიერება;

გ) სამხარეო ხელისუფლებაში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრება;

დ) სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნა;

ე) რეფორმირების პროცესის სამართლებრივი, ტექნიკური და რესურსული უზრუნველყოფა.

რაც შეეხება, მთავრობის სტრატეგიის განხორციელებით;

ა) გაიზრდება მოქალაქეების ჩართულობის დონე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში;

ბ) გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი. ის დამოკიდებული აღარ იქნება ცენტრში მიღებულ უნიფიცირებულ გადაწყვეტილებებზე და გათვალისწინებული იქნება ცალკეული თვითმმართველი ერთეულის ადგილობრივი სპეციფიკა;

გ) საქართველოში ჩამოყალიბდება ორდონიანი თვითმმართველობ, რაც შესაბამისობაში იქნება ევროპის ანალოგიური სიდიდის ქვეყნების მოწყობასთან;

დ) ადგილებზე სასიცოცხლო ინტერესების გადაწყვეტა გაზრდის საზოგადოების პასუხისმგებლობას, რაც ხელს შეუწყობს ცალკეული ჯგუფების ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირების ალბათობის შემცირებას;

ე) ადგილებზე შეიქმნება ინიციატივიან პირთა გამოვლენისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში (საჯარო სამსახური, პოლიტიკური პარტიები და სხვა) კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევის პროცესს .

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრატეგია თვითმმართველობების განვითარების კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ, მასში მაინც არის ბუნდოვანი და არასაკმარისად დამაჯარებელი მხარეები. კერძოდ კრიტიკოსების განმარტებით საზოგადოებრივი თვითმმართველობა არა კერძო არამედ სოფლის საჯარო ადგილობრივი თვითმმართველობაა, რომელსაც საკითხების მოგვარების დიდი სპექტრი ვერ ექნება მისი მცირე მასშტაბების გამო. ასევე გაურკვეველია თუ რა საჯარო პასუხისმგებლობა ეკისრება სოფლად არსებულ საზოგადოებრივ თვითმმართველობას. ბუნდოვანია სტრატეგიაში აღნიშნული ახალი ინსტიტუტის სტატუსი. თვითმმართველობები დაკავდებიან ადმინისტრაციული საკითხებით თუ მხოლოდ საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლებიან.

მოქმედი კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის“ შესახებ მკაცრადაა განსაზღვრული თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონის 581 მუხლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადგილობრივი სამსახურები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან, შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, თვითმმართველობის ორგანოების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა კონტროლის გამჭვირვალობისათვის და კანონით დადგენილი წესით.

მიუხედავად იმისა, რომ კანონით მკაცრადაა გაწერილი ის რეგულაციები, რომელთა შესრულებაც ევალებათ ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებსა და საკრებულოს რიგით წევრებს, პრაქტიკაში სულ სხვანაირადაა საქმე. ტერიტორიული ერთეულების დონეზე ფაქტობრივად იგნორირებულია კანონის ეს მოთხოვნები და საკრებულოში საკითხების განხილვამდე არ ხდება მათი ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნება. მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ფაქტობრივად უცნობია იმ საკითხების შესახებ, რომელსაც განიხილავს მათ მიერ

არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადგილობრივი სამსახურები და თანამდებობის პირები არ ქმნიან არანაირ პირობებს, თვითმმართველობის ორგანოების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის მისაღებად, რითაც არღვევენ მოქალაქეთა ფუნდამენტურ უფლებებს, მონაწილეობა მიიღონ მათთვის საჭირო მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქეები ფაქტობრივად არ მონაწილეობენ ადგილობრივი საკითხების სამართლებრივ გადაწყვეტაში, რითაც უკონტროლო მდგომარეობაში ტოვებენ საკრებულოში მომუშავე თანამდებობის პირებს. ხშირ შემთხვევაში დიდ ქალაქებში წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციებიც, არ არიან დაკავებულნი კეთილსინდისიერი საქმიანობით. ნაცვლად იმისა, რომ ისინი ჯანსაღ ოპონირებას უწევდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს, პირიქით თვითმმართველობების მიერ არასწორი კანონების მიღებისას ფაქტობრივად მათი თანამონაწილეები ხდებიან. არასამთავრობო ორგანიზაციების ასეთი საქმიანობა ხშირად გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების თითქმის 95% დაფინანსებულია უცხოური წარმომავლობის ე.წ. ,,გრანტებით“.

აღნიშნული გულგრილი დამოკიდებულებაა სწორედ იმის მიზეზი, რომ საქართველოს თითქმის არც-ერთ მუნიციპალიტეტში (ყოველ შემთხვევისათვის ამის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ) რეგისტრირებულ ამომრჩევლების 1%-ს არ გამოუყენებიათ კანონით მინიჭებული უფლება, მოემზადებინათ და შეეტანათ საკრებულოს დადგენილების პროექტი ან წინადადება საკრებულოს ნორმატიული აქტის გაუქმების, მასში ცვლილებების შეტანის ან დამატებების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქეების პასიურობასა და არასამთავრობო ორგანიზაციების არაეფექტურობაზე.

ასეთი მიდგომებით კიდევ უფრო მძიმდება სოციალური ფონი, რაც საბოლოოდ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას აუარესებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება ,,სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთის დადგენის თაობაზე“, თბ,2011, გვ.7-8
2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის განკარგულება საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციის და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის. თბ. 2013
3. ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართი--შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის და აჭარის არ რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, თბ. 2009 წ.
4. საქართველოს სტრატეგიული განვითარების ,,ათპუნქტიანი გეგმა“-მოდერნიზაციისა და დასაქმებისთვის (2011-2015), ოქტომბერი, თბ. 2011
5. სილაგაძე ა, ეკონომიკური დოქტრინები, თბ. 2000 წ,გვ.28

ევროკავშირის უშიშროების პოლიტიკა და „ევროპული იდენტობა"

ედიშერ გვენეტაძე, სტუ-ს ასოც. პროფესორი

The European Union Security Policy and the "European Identity"

In the work noted is the fact, in order to understand the modern military-political security of Europe, we must analyze the role the continent has played and continues to play in the issues of war and peace during the modern and the recent history. We have mentioned, that during the last five centuries Europe was in the epicenter of the biggest wars in the region as well as worldwide.

Today we can say with confidence, that the European continent is the most peaceful region all over the world. One of the key factors, that affected the formation of stable security system in the modern Europe, is the process of democratization and integration in the region.

The European Union in its turn, has developed the legal basis for the "European Identity", which is expressed in support of the projects, worked out jointly by the Eastern Europe Union and NATO. The Amsterdam agreement of 1997 has developed and confirmed the task declared in Maastricht, concerning the "Joint Foreign Policy and Security Field Policy" confirmation and perfection mechanism.

საკვანძო სიტყვები: ევროპა; ნატო; ევროკავშირი; ევროპის საბჭო; კონტინენტი; ცივი ომი; უშიშროება; ევროპული იდენტობა; დემოკრატიზაცია; ინტეგრაცია; რეგიონი.

* * * * * * *

თანამედროვე ევროპის სამხედრო-პოლიტიკური უშიშროების გაგებისათვის აუცილებელია იმ როლის გაანალიზება, რომელიც ამ კონტინენტმა ითამაშა მთელი ახალი და უახლესი ისტორიის მანძილზე ომებისა და მშვიდობის საკითხებში. .

უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში ევროპა იყო ყველაზე დიდი ომების ეპიცენტრი როგორც მსოფლიოში, ისე რეგიონში. მან თავისი არსებობის მანძილზე გადაიტანა მრავალი სხვადასხვა სახის გრძელვადიანი და მასშტაბური ომები. მათ შორის ომები-რელიგიური, გვირგვინებისათვის, კონტინენტზე ბატონობისათვისათვის, ტერიტორიების და გავლენის სფეროების გაფართოებისათვის. ჩგასულ საუკუნეში ევროპა იყო აკვანი ორი ყველაზე დიდი მსოფლიო სისხლისმღვრელი ომის და ცივი ომის დროინდელი სამხედრო დაპირისპირებების ცენტრალური თეატრი.

ევროპის სახელმწიფოები აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში. ევროპული ქვეყნები განაპირობებდნენ ომების ინტესივობას და ხასიათს შორეულ და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში.

მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ისე შორეულ წარსულში ევროპის ტერიტორიაზე წარმოებულმა ომებმა არაერთხელ შეარყია მისი საზღვრები, დღეისათვის ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურადაა შეცვლილი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში ევროპის კონტინენტი წარმოადგენს ყველაზე მეტად მშვიდობიან რეგიონს მსოფლიოში. სერიოზულად შემცირდა ევროპის სამხედრო ძალების მასშტაბები სხვა კონტინენტებზე პროექცირების მხრივ. მსოფლიოს სხვა რეგიონებმა პირველ რიგში კი ახლო, შუა აღმოსავლეთმა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონებმა ბებერ კონტინენტს "წაართვეს" სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობის ეპიცენტრის როლი, ხოლო აშშ-მ უფრო მეტად გაამყარა თავისი გლობალური გავლენა მთელ მსოფლიოზე.

მე-20 საუკინის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ევროპულმა უშიშროებამ შეიძინა თვისობრივად ახალი ხარისხი იმასთან განსხვავებით, რომელიც მას ჰქონდა ცივი ომის წლებში და საერთოდ რომლითაც გრძელდებოდა ისტორიის ფუნქციონირება მოყოლებული ვესტფალიის სისტემიდან.

ამასთან ერთად შეცდომა იქნებოდა დაგვეხატა არსებული სურათი მხოლოდ ცისარტყელას ფერებში და არ შევამჩნიოთ ის საფრთხეები, რომლებიც არსებობენ ან კიდევ შეიძლება მოევლინოს ევროპის კონტინენტს დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობების დროს.

თანამედროვე ევროპული რეგიონალური უშიშროების განხილვის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს მიღებული ის, რომ საქმე გვაქვს გეოგრაფიულად რამდენადმე ცვალებად პრობლემასთან. კერძოდ, საუბარი მიდის საერთო სივრცეზე ატლანტიკიდან ურალამდე, ხოლო ზოგი შემთხვევაში-ატლანტიკიდან ვლადივასტოკამდე. იმავდროულად ამ უაღრესად ფართო სივრცეზე ჩამოყალიბდა უშიშროების ორი ავტონომიური და სპეციფიკური კომპლექსი. პირველი-დასავლეთ ცენტრული, რომელიც პირობითად აღნიშნავს სივრცეს ატლანტიკიდან ბელორუსიის ბრესტამდე. მეორე კი გრძელდება ამ ქალაქის აღმოსავლეთით, რომელიც ფაქტობრივად ნიშნავს „დსთ-ს სივრცეს" ანუ პოსტსაბჭოურ ევრაზიულ სივრცეს. აღსანიშნავია, რომ ორივე ეს კომპლექსი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა ევროპის თანამედროვე უშიშროების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებაზე არის ამ რეგიონში არსებული დემოკრატიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი. სწორედ ამ ორმა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ფაქტორმა მოახდინა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის ტრადიციული დასავლეთ ევროპული დაპირისპირებების ნეიტრალიზება, რომელთაც ადრე ისინი გარ-

დაუვალად მიჰყავდა შეიარაღებულ შეტაკებებამდე. ომისშემდგომი დასავლეთ გერმანიის, იტალიის, შემდეგ პორტუგალიისა და ესპანეთის დემოკრატიზაციამ შექმნეს საერთო ნიადაგი სხვა ევროპულ ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთქმედებების, მსგავსი ფასეულობების და ინსტიტუტების წარმოქმნის. მალევე ეს პროცესი გამყარებული იქნა ეკონომიკური ინტეგრაციით, რომელმაც საბოლოო ჯამში შექმნა თანამედროვე სახის ევროპის კავშირი. თავის მხრივ ეკონომიკური ურთიერთქმედებები ემსახურებოდა სახელმწიფოთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აშორებას.

ცივი ომის წლებში საერთო მტრის სახე სსრკ-სა და მთავარი მოკავშირე აშშ-ს სახით ხელს უწყობდა სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების ნეიტრალიზებას. ფაქტობრივად ჯერ კიდევ ცივი ომის წლებში დასავლეთ ევროპაში ფორმირება მოხდა სახელმწიფოთაშორისი უშიშროების ქვესისტემის. იგი ხარისხობრივად განსხვავდებოდა იმ უშიშროების სისტემისაგან, სამხედრო დაპირისპირებებისაგან, გამალებული შეიარაღებისაგან, აშკარა შეიარაღებული კონფლიქტებისა და მათ დასარეგულირებლად მიმართული დიპლომატიური ძალისხმევისაგან, რომელიც არსებობდა და გრძელდებოდა ევროპაში საუკუნეთა განმავლობაში. ამ სივრცეში შეწყვიტა მუშაობა „რეალპოლიტიკურმა“ ლოგიკამ სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებისა ეროვნული ძლიერებისა და უშიშროებისათვის მეზობელ დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოთა ხარჯზე.

ამ პროცესებს ჰქონდა ობიექტური ხასიათი. იმავდროულად მიდიოდა მმართველი ელიტის და ხალხის მიერ იმის გაცნობიერება, რომ აღემართათ საიმედო საზღვრები, რომლებიც არ მისცემდნენ საშუალებას ამ რეგიონის სახელმწიფოებს კვლავ მიემართათ ტრადიციული სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებებისათვის და ერთმანეთთან კონფლიქტისათვის. ამის საშიშროებამ ახალი ძალითა იჩინა თავი ცივი ომის დამამთავრებელ ეტაპზე.

საერთო მოწინააღმდეგის გაქრობა საფრთხეს უქმნიდა ბლოკური დისციპლინას და ცალკეული ქვეყნებისაგან ტრადიციული ეროვნული მისწრაფებების აღორძინებას. ამ მხრივ განსაკუთრებით განგაშს იწვევდა გერმანიის გაერთიანება, რასაც ზოგიერთი სპეციალისტის აზრით გერმანელებში შეიძლებოდა გამოეწვია თვითდარწმუნება და რევანშიზმი. ცნობილია, რომ დიდი ბრიტანეთი, და საფრანგეთი და სხვა დასავლეთ ევროპული სახელმწიფოები ძალიან ფრთხილობდნენ გფრ(გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და გდრ-ს(გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) სასწრაფო გაერთიანებას. სწორედ ეს საფრთხე გახდა მთავარი მიზეზი ევროპაში შემდგომი ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებული ტემპებით განვითარებისა, რაც კიდევაც გამოიხატა სახელმწიფოებშორისი ინსტიტუტების მჭიდრო ქსელის შექმნით-ევროკავშირის სახით. ამიტომ მთავარი მამოძრავებელი ძალა ევროპული უშიშროებისა არის რეგიონის ქვეყნების სწრაფვა ჰქონდეთ გარანტია იმისა, რომ არ დაბრუნდება სახელმწიფოებს შორის წარსულის დაპირისპირებები.

დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებს აშინებს ხანგრძლივი და სერიოზული შიდა კონფლიქტები, რომლებიც დროდადრო იღებენ შეიარაღებულ სახეს გაზავებულს ტერორიზმის ელემენტებით. საუბარი ყველაზე მეტად ეხება ოლსტერის პრობლემას, „ბასკების ქვეყანას“, კორსიკას. შენარჩუნებულია სახელმწიფოთაშორისო ტერიტორიული დავები, მაგალითად ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის გიბრალტარის პრობლემის გარშემო. მიუხედავად ყოველივე ზემოდთქმულისა ყველა ეს პრობლემა რჩება ლოკალურად, ისინი არ გადაზრდილა ისეთ დაძაბულობის დონეზე, რომელიც შეუძლებელია დაიწიოს პოლიტიკური პოლიციური და დიპლომატიური ინსტრუმენტებით. ცალკეული ქვეყნებისათვის მტკივნეული ეს კონფლიქტები არ არის იმ დონეზე, როდესაც მათ შეუძლიათ საერთო ევროპულ უშიშროებას შეუქმნას საფრთხე.

90-იანი წლების დასაწყისში ევროპის კავშირის ჩარჩოში არსებითად გაფორმდა ნატო-ს ევროპული ქვეყნების ბირთვი, რომელთა შორის ურთიერთობებს განსაზღვრავდა მსოფლიოს ურთიერთმედებათა ალგორითმი. ევროპის საგარეო უშიშროების უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა აშშ-თან შემდგომი ურთიერთობა. საფრანგეთის მხრიდან მცირე ოპოზიციური აზრის მიუხედავად სახელმწიფოთა უმრავლესობამ, რომლებიც შეადგენენ დასავლეთ ევროპული ქვეყნების ბირთვს აიღო კურსი ამერიკის შეერთებულ შტატებთან სრატეგიული კავშირის შენარჩუნებაზე. ეს აიხსნებოდა იმის სურვილით, რომ კიდევ უფრო განმტკიცებულიყო ამერიკული სამხედრო “ქოლგა“, რომელიც კომპენსაციას გაუკეთებდა ევროპელთა არასრულყოფილ შესაძლებლობებს. რითაც ფართო ევროპულ ზონაში უზრუნველყოფილი იქნებოდა მათი უშიშროება. ასეთი ვითარება თანხვედრაში მოდიოდა ვაშინგტონის სწრაფვასთან შეენარჩუნებინა თავისი პოზიციები ევროპაში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა და არსებობს ზოგიერთი ხასიათის წინააღმდეგობანი ევროპასა და აშშ-ს შორის არ შეიძლება დავიწყებულ იქნას მათი ერთგულება საერთო ლიბერალური ღირებულებების, ინსტიტუტებისა და ინტერესებისადმი, რომლებიც უზრუნველყოფს საერთო მოწინააღმდეგის არარსებობის პირობებში გამძლე ერთიანი პოლიტიკური ბაზის შენარჩუნებას.

დღევანდელი ევროპის სამხედრო-პოლიტიკური უშიშროების ფორმირებაზე გავლენა მოახდინა აგრეთვე ცივი ომის ნარჩენების ლოგიკამ, რაც განპირობებული იყო ჯერ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ რუსეთის ფედერაციის ფაქტორით. რაც არსებითად კიდევაც გამოჩნდა ბალკანეთზე შეიარაღებული კონფლიქტების დროს, რომლის დროსაც მოხდა მომავალი ევროპული უშიშროების სერიოზული გამოწვევის გამოცდა. აქტიური მოქმედებები დაიწყო რიგმა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა, რათა თავიანთი ბედი დაეკავშ-

ირებინათ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და აშშ-სადმი.

თავისი ევროპული იდენტურობის საწყის სტადიაზე ევროკავშირი უსაფრთხოების სფეროში, განსაკუთრებით კი ბალკანეთის კრიზისზე რეაგირების შესაძლო გზების ძიებისას შეხვდა ფუნდამენტალურ პრობლემებს. ევროპის ქვეყნების უმრავლესობის სამხედრო პოტენციალი არსებითად ჩამორჩებოდა აშშ-ს შეიარაღებული ძალების დონეს. ეს განსაკუთრებით ეხებოდა მაღალი სიზუსტის იარაღს, ევროპელთა მიერ კოსმოსური ეშელონების არქონას, ჯარების გადასროლის შეზღუდულ შესაძლებლობებს, სუსტი ერთობლივი შეიარაღებული ეროვნული კონტიგენტებს. ევროპაში ნელა ხორციელდებოდა შეიარაღებული ძალების რეფორმა რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ ახალი თაობის ოპერაციებში. კრიტიკოსთა თქმით შენარჩუნებული იყო ცივი ომის დროინდელი „კმაყოფაზე მყოფი განწყობილება“, რაც გამოიხატებოდა ევროპელთა სურვილით ამერიკელთა ხარჯზე გადაწყვეტილიყო მათი უშიშროების საკითხები. ევროპელთა მხრიდან არ არსებობდა კოლექტიური პოლიტიკური ნება თავიანთ თავზე აეღოთ პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც თავის მხრივ გარდაუვალად გამოიწვევდა თავდაცვის ხარჯების ზრდას. ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი მიუთითებს, რომ ევროპელებს „არა მარტო არ შეუძლიათ მოკვდნენ თავიანთი უშიშროებისათვის, არამედ გადახდაც არ სურთ მისთვის“. ამიტომ საწყის ეტაპზე უშიშროების სფეროში „ევროპული იდენტობის“ ძირითადი იმპულსები ამოდიოდა ნატო-ს სტრუქტურებიდან.

ევროკავშირმა თავის მხრივ განავითარა “ევროპული იდენტობის“ სამართლებრივი ბაზა, რაც გამოიხატებოდა იმ პროექტების მხარდაჭერით რომლებიც შეიმუშავეს დასავლეთ ევროპის კავშირმა და ნატომ ერთობლივად. 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებამ განამტკიცა და განავითარა ჯერ კიდევ მაასტრიხში გაცხადებული ამოცანა „საერთო საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების სფეროში პოლიტიკის განმტკიცებისა და სრულყოფის მექანიზმის შესახებ“. ამ დოკუმენტით ევროკავშირს საშუალება მიეცა მიეღო პოლიტიკური გადაწყვეტილებები(ერთსულოვნების შემთხვევაში), რომელიც უფლებამოსილებას მისცემდა მას ჩაეტარებინა სამშვიდობო ოპერაციები. გარდა ამისა, ამსტერდამის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ითვალისწინებდა „საერთო საგარეო პოლიტიკასა და უშიშროების პოლიტიკაში ევროკავშირის მაღალი წარმომადგენლის“ თანამდებობის შექმნას.

ვსაუბრობთ რა ევროპული იდენტობის ფორმირების რთულ პროცესზე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირმა შეძლო შემუშავებინა საკანონმდებლო ბაზა, რითაც განახორციელა რამდენიმე სამშვიდობო და სადამკვირვებლო მისია. იმავდროულად შექმნა ამ საქმით რამდენადმე დაინტერესებულ ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა მჭიდრო კოორპორაციული ინფრასტრუქტურა. მიუხედავად ყოველივე ზემოდ თქმულისა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობა უშიშროების სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში დამოკიდებულია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე და მასთან მჭიდრო თანამშრომლობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ჩიტაძე. ნატო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი მსოფლიოსი მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბ., 2008.
2. ე. გვენეტაძე. რ. რუხაძე. ნატო საერთაშორისო ურთიერთობებში. თბ., 2009.
3. http://www.assembly-weu.org/en/index.php.

ტერასული მევენახეობა სამცხე-ჯავახეთში

თინა იველაშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Summary
Terrace Viticulture In Samtskhe-Javakheti

Villages in Javakheti (Saro, Khizabavra, Toloshi, Khertvisi, Shvidrevanta, Gelsunda, and so on) had terraces and vineyards mainly in the gorge of the river Mtkvari. But villages Saro and Khizabavra were distinguished among them.

Viticulture and winery held one of the most important places in family farming. It is seen from the activity of the male member of the family who was busy in it.

Local species of grapes planted on the terraces (Bezhano, Kharistvala, Tskhenis Dzudzu and so on) and fruit (mulberry, pears, apples and others) and different kind of products made from them were sold on the markets not only in Georgia but in Europe and Asia . And the requirements were quite high.

Unfortunately, the above mentioned terraces are abandoned and destroyed. The walls are ruined , gardens are dried up and cut down, the ground is turned into a winter pasture.

Nowadays, terrace viticulture could be renewed freely with its unique local vine species if the State is interested in it . We focus our attention on this branch of agriculture because it always was both strong economical and spiritual base of native population of Georgia.

* * * * * *

ადრეული ხანიდანვე მესხეთში ტერასული მევენახეობის მაღალი კულტურული დონის არსებობის შესახებ არაერთი წერილობითი ცნობაა შემონახული. ქართველი მიწის მოქმედისა და სოფლის მეურნის დამახასიათებელი თვისება, შრომის მოყვარეობა და მევენახეობა-მეხილეობით გატაცება უკვე VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოფი კესარიელს შეუნიშნავს და თავის საისტორიო ნაშრომში აქვს კიდეც დაფიქსირებული. მისი სიტყვით, მესხეთში ამ რეგიონის მთა-გორიანობის მიუხედავად, აქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა და ცოდნით ვითარცა დახელოვნებულ მიწათმოქმედთ, ხეხილიცა და ვენახიც გაუშენებიათ და ხილ-ნაყოფიც საკმაოდ ჰქონიათ. [2, გვ.122].

გრიგოლ ხანცთელის ცნობით შავშეთ-კლარჯეთის მეტისმეტი მთა-გორიანობის გამო „მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანა, არცა ყანა სახნავი, არამედ დიდთა შრომითა როჭიკისა მისვლა აქვს კარაულისა ზურგითა და მცირედ ვენახნი ჭირით და ურვით დაუნერგვიან," [8, გვ.556].

მოგვიანობით, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთ ფაქტორს სწორედ ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ძველ საქართველოს ეკონომიკაში, მეტადრე სასოფლო მეურნეობაში, მევენახეობა-მეღვინეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დარგის უაღრესობა ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობისათვის იმ საგულისხმო გარემოებითგანაც ჩანს, რომ მიწა-წყლის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-აგრონომიულ ნაწილად მთად და ბარად გაყოფა სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული.

... მევენახეობა-მეღვინეობას ძველი საქართველოს საგარეო ვაჭრობაშიც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ქართული ღვინო უძველეს დროითგანვე საექსპოროტო საგანს წარმოადგენდა.

მევენახეობა-მეღვინეობა სასოფლო მეურნეობის უმაღლესი დარგია. მისი წესიერი და ნაყოფიერი წარმოებისათვის განსაკუთრებული ცოდნაც არის საჭირო და დიდი დაკვირვებისა და შორსგამჭვრეტელობის ნიჭიც უნდა გააჩნდეს ადამიანს, რომ ამ რთული საქმის პირნათლად გაძღოლა შეძლოს." [2, გვ. 303].

სამცხე-ჯავახეთის სოფლებს (სარო, ხიზაბავრა, ტოლოში ხერთვისი, შვიდრევანტა, გელსუნდა, თმოგვი, ჭაჭკარი, ვანისხევი და ა. შ.) ტერასები და მასზე გაშენებული ვენახები ძირითადად მტკვრის ხეობაში ჰქონდათ. ტერასული მევენახეობის მასშტაბურობით განსაკუთრებით ეს სოფლები გამოირჩეოდა.

ტერასებს, საერთოდ, ამ რეგიონში დარიჯებს უწოდებდნენ. დარიჯები კეთდებოდა უფრო მეტად მდინარე მტკვრისა და ნაწილობრივ ახალქალაქის წყლის ხეობაში მზის გულზე. გვერდა ადგილს გამოთხრიდნენ - გაავაკებდნენ, დაქანების მხარეს მშრალი წყობით ქვის კედელს ამოუშენებდნენ და მიწას დაახლოებით ერთ მეტრამდე გააფხვიერებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი კლდიანი იყო, მაშინ მიწას მოიტანდნენ და საკმაოდ სქლად დააყრიდნენ. გვერდა ადგილის შესაბამისად შეიძლებოდა ერთმანეთის მიყოლებით თაროების მსგავსად განლაგებული თხუთმეტი-ოცი და უფრო მეტი ტერასა გაეკეთებინათ. ტერასა სიგანით ოთხი-ხუთი მეტრი, ხილო სიგრძე ასი მეტრი და უფრო მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

სავენახედ მომზადებულ ტერასაზე მისი დამჭერი კედლის პერპენდიკულარულად დაახლოებით მეტრნახევარი სიგანის კვლებს-გობებს აკეთებდნენ, რომელშიც მორწყვის დროს წყალი გუბდებოდა.

საერთოდ, გობები საკმაოდ დიდი ტევადობისა იყო და მასში ჩამდგარი წყალი ნელ-ნელა, თანდათანობით გაიწოვებოდა ვაზის ფესვებში. ვაზს რგავდნენ გობის შემაღლებულ მხარეს. მას რწყავდნენ გვიან გაზაფხულზე და ზაფხულში, წელიწადში კი ორ-სამჯერ.

სოფელ საროს, ტოლოშის, ხერთვისის, ხიზაბავრის ტერიტორიაზე დარიჯებს ასეულობით ჰექტარი ეკავა. ყოველი სოფლის ტერასები სხვადასხვა სახელებით (მაგალითად სოფელ საროში ნავნების, კაპნების, სანგლის ხევის, დარიჯების ტერასები და ა.შ.) იყო ცნობილი.

10 საუკუნის ბოლომდე მევენახეობა-მეღვინეობას სოფლის მოსახლეობის საოჯახო მეურნეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი რომ ეჭირა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყოველი ოჯახის ერთ-ერთი სრულასაკოვანი მამაკაცი მხოლიდ ამ საქმით იყო დაკავებული. ასე მაგალითად: სოფელ საროში მცხოვრები 100 წლის სიმონ ლონდარიძის გადმოცემით: „ბაღ-ვენახები ნიჯგორში გვქონდა, ოჯახში ერთი კაცი მებაღე იყო. ის გაზაფრულიდან რომ ჩავიდოდა ნიჯგორში გვიან შემოდგომამდე იქ რჩებოდა. ნიჯგორშივე გვქონდა მარანი და საღვინე ჭურები-ქვევრები. ყოველწლიურად მათ ღვინით ვავსებდით. ერთი ქვევრი ორმოცი, მეორე თხუთმეტი, მესამე ოცდაათი, მეოთხე ოცი და მეხუთე ოცდახუთი ბათმანი (ერთი ბათმანი ექვსი-ლიტრა) ღვინო ჩადიოდა . თითოეულ ქვევრში ცალ-ცალკე ჯიშის ყურძნის წვენს ასხამდნენ საღვინედ. ღვინოს იქვე ნიჯგორში ინახავდნენ და საჭირიებისამებრ საროში ეზიდებოდნენ. ოჯახს ღვინო არა თუ წლიდან წლამდე ყოფნიდა, არამედ ნაწილს ადგილზევე ყიდდა, უმეტესად ჯავახეთის მოსახლეობაზე. ივლაშვილების ხუთძმიან გაუყრელ ოჯახში ერთი ძმა - ლევანა მევენახე იყო. ვენახის სამუშაოების დაწყებიდან გვიან შემოდგომამდე ის ნიჯგორში იყო და ვენახს უვლიდა. დაწურულ ღვინოს იქვე მარანში ჩაყრილ ქვევრებში ინახავდა. ოჯახის უფროსთან შეთანხმებით ზედმეტ ღვინოს ადგილზევე ყიდდა. სოფელში მევენახეობის ჭარბპროდუქტებით განსაკუთრებით ცნობილნი იყვნენ გიორგაძეები, ასპანიძეები, მჭედლიშვილები"[3. გვ.188-189].

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ნასოფლარ ნიჯგორის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების დროს ძალიან ხშირად ნახულობდნენ სხვადასხვა სახის საღვინე ჭურჭელს. მაგალითად: 60-70-წლებში არჩილ ლონდარიძემ ძველი მარნის ადგილის გასუფთავების დროს მიწიდან ამოიღო დიდი ზომის (დაახლოებით 200-300 ლიტრი ტევადობის) რამდენიმე კარგად შენახული ქვევრი, რომლებიც გაასუფთავა და ახლად აგებულ მარანში მიუჩინა ადგილი.

სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მკვიდრი ხანდაზმული მოსახლეობა ოქტომბრის თვეს ყოველთვის „სთულის-სულთის" სახელწოდებით მოიხსენიებდა. საუბარში არასდროს იტყოდნენ ოქტომბერი დადგაო; ყოველთვის ამბობდნენ „სულთის-სთველის თვე დადგა"-ო. ივ ჯავახიშვილის განმარტებით: „იმას, რაც ჯერ მოსაკრეფი იყო, საქართველოში სასთულებელი ერქვა. ეს ტერმინი ისევეა ნაწარმოები, როგორც მსგავსი ცნებისავე გამომხატველი სამკალი-ა. ეს სიტყვა ესაიას 16/9-ში გვხვდება: „სამკალსა ზედა და სასთელებელსა ზედა შენსა მწყობრი დამათრგუნებელთა დაეცა"-ო. მსაჯულთა 8/2-შიც სწერია: „ანუ არა უმჯობეს არს ტევანი იგი ეფრემისი, ვიდრეცა სასთულებელი ღვინო აბიეზერისა"-ო. ხილისა და მეტადრე ყურძნის მკრეფელს მსთულებელი და მესთულე ეწოდებოდა". (2. გვ. 425). იგი აქვე განმარტავს: „სთველის დროის გამოსარკვევად ძველ საქართველოში შესაძლებელიაის გარემოება იქნეს გამოყენებული, რომ უძველეს ხანაში სთუელი შემოდგომასაც ნიშნავდა. ამის დასადასტურებლად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა" და ნიმუშად ასახელებს თამარ მეფის ისტორიკოსს. (2. გვ. 624).

სწორედ ტერასებზე გაშენებული ადგილობრივი ჯიშის (ბეჟანო, ხარისთვალა, ცხენის ძუძუ და სხვა) ყურძენი თუ ხილი (თუთა, მსხალი ვაშლი და ა. შ.) და მისგან დამზადებული სხვადასხვა სახიც პროდუქტი მეცხრამეტე საუკუნეში არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპისა და აზიის ბაზრებზეც გადიოდა, რომელზედაც საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო.

სოფელ საროსა და ხიზაბავრის ოჯახთა უმრავლესობას იმდენად დიდი რაოდენობით ჰქონდა ღვინო, რომ ყველიერში, რომელიც მთელი კვირა გრძელდებოდა, საჭიდაოდ გამოყვანილ ხარებს ვედროებით ასმევდნენ ღვინოს.

თუ რამდენად მაღალ დონეზე იყო ტერასული მევენახეობა გამვითარებული ეს ნათლად ჩანს XVI საუკუნის ბოლოს შექმნილი თურქული წერილობითი წყაროებიდანაც. მ. სვანიძის მითითებით „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გაწერილი გადასახადების ოდენობა დგებოდა სამი წლის საშუალო მოსავლის საფუძველზე. "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" უნიკალური წყაროა სამცხე-საათაბაგოს სოფლის მეურნეობის შესასწავლად" [5, 86-87].

დავთრის მიხედვით სოფელი ტოლოში თვრამეტ კომლიანია და გამოსაღების სახით 12000 ახჩის ღირებულების 1500 ბათმან შირას (შირა ჯერ კიდევ დაუდუღებელი ღვინის წვენი [11, გვ. 1384])იხდის. იქვე ჩამოთვლილია რამდენიმე ვენახიც. „ვ ე ნ ა ხ ი და ბაღი სახელად ხ ო ს ი კ (?) ზიმმისა, აქ ხერთვისის ზაყიმის ქათიბ მ უ ს ტ ა ფ ა ს მფლობელობაში.

ვ ე ნ ა ხ ი ა რ დ გ ო მ ე ლ გ უ ლ ი ჯ ა ნ ი ს ძ ი ს ა 3 ნაკვეთი, აწ ხერთვისის ლივის მარალაის ჰ უ ს ე ი ნ ი ს მფლობელობაში [მყიფი]. სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 60 [ახჩას იძლევა]."

ვ ე ნ ა ხ ი ვ ა რ თ ა ნ ა ს ი 1 ნაკვეთი, აწ . . . მფლობელობაში [მყიფი]. სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 30 [ახჩას იძლევა].

ვ ე ნ ა ხ ი ბ ა რ ა მ ა მ უ რ ა დ ი ს ა 1 ნაკვეთი, აწ ი უ ს უ ფ ზ ა ყ ი მ ი ს მფლობელობაში [მყიფი]. სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის

წესით წელიწადში 30 [ახჩას იძლევა].

ვ ე ნ ა ხ ი ი ო რ დ ა ნ ე ბერისა, აწ ჰ ა ჯ ი რ ი დ ე ა ნ ი ს მფლობელობაში [მყიფი]. სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 40 [ახჩას იძლევა].

ვ ე ნ ა ხ ი 1 ნაკვეთი, 3 ქილიანი, ბ ა ტ ა ტ ა ს ძ ი ს მ უ რ ვ ა ნ აზნაურის, აწ ვ ა რ ძ ე ლ მელიქის მფლობელობაში [მყიფი]. სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 40 [ახჩას იძლევა]" [1, 179].

იმ პერიოდისათვის სოფელ საროში ცხოვრობდა ოციკომლი ცხოვრობდა. სხვა სახის გადასახადებთან ერთად სოფელი 125 ბათმან შირას იხდიდა სოფელს ვენახები რომ არ ჰქონოდა არც გარკვეული რაოდენობის შირას გადაიხდიდა და არც მითითებული იქნებოდა: „ვენახი ცნობილი ვ ა რ ძ ე ლ ი ს ენუქა[ს-ძისა] ცნობილი აწ ზაიმ ხ ე ნ დ ა ნ ი ს მფლობელობაში."[1. გვ. 188].

რვა კომლიანი სოფელი ქუნცა 3200 ახჩის ღირებულების 400 ბათმან შირას. ხოლო შვიდ ოჯახიანი სოფელი ბნელა 2400 ახჩის ღირებულების 300 ბათმან შირას იხდიდა,[1, გვ. 182].

ნიჯგორში 36 კომლი ქართული მოსახლეობა იყო და შეწერილი ჰქონდა 4000 ახჩის ღირებულების 500 ბათმანი შირა. რაც შეეხება ორმოცს იგი მოსახლეობისაგან დაცლილია, მაგრამ მითითებულია, რომ „სოფელი ორმოცი საროს ვენახების გამოკლებით" იხდის „მარცვლეულისა და სხვათაგან 2000" ახჩას იხდის.[1. გვ. 180-182].

40 კომლიან სოფელ ხიზაბავრას 800 ახჩის ღირებულების 100 ბათმანი შირის გადახდა უწევდა. [1, გვ. 176]. იმ პერიოდისათვის სოფელ საროში მოსახლეობა 20 კომლს შეადგენდა და 1000 ახჩის ღირებულების 125 ბათმან შირას იხდიდა. დავთარში მითითებულია ცალკეული ვენახებიც: „ვ ე ნ ა ხ ი ცნობილი ე ნ უ ქ ა ს ძ ი ს ა 3 ნაკვეთი, აწ ზაყიმ ხ ე ნ დ ა ნ ი ს მფლობელობაში [მყიფი]. იჯარის წესით წელიწადში 60 [ახჩას იძლევა]" [1. გვ. 188].

სოფელი ხიზაბავრა და სარო საუკეთესო ხარისხის სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაკლებობას არ განიცდიდა. საკითხავია რა რჯიდა ამ სოფლების მოსახლრობას ფაქტიურად ხელის სამუშაო იარაღებით ასეთი მძიმე შრომატევადი სამუშაო ჩაეტარებინა და მტკვრის ხეობაში გამოუყენებელი კუსტარული იარაღებითა და მძიმე ფიზიკური შრომით უვარგისი ფერდობების ასეულობით ჰექტარი საუკეთესო სავენახე-საბაღე ადგილად ექცია. საქმე ისაა, რომ ქართველი კაცი ოდითგანვე შესისხლხორცებული იყო მევენახეობა-მებაღეობას. ვინაიდან აღნიშნული სოფლები ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა მდებარეობს და აქაური კლიმატური პირობები მევენეხეობა მებაღეობისათვის არახელსაყრელი იყო, რაც აღნიშნული დარგის ინტენსიური განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. რაც შეეხება მტკვრის ხეობას, იქ მევენახეობა-მებაღეობის განვითარებისათვის საუკეთესო მიკროკლიმატი არსებობდა.

მ. სვანიძის დაანგარიშებით: სამცხე-ჯავახეთის 246 სოფლიდან შირას გადასახადი გაწერილი იყო 126-ზე '144984 ახჩის ოდენობით -18800 ბათმანი."[5, გვ. 87]. აქედან მარტო ხერთვისისა და თოგვის რაიონის 16 სოფელი მთელი გადასახადის 27,7%-ს ხვდიდა. ეს ციფრები ნათლად მეტყველებს იმაზე წარსულში, თუნდაც თურქეთის ბატონობის პერიოდში, აღნიშნული რაიონების მოსახლეობის ეკონომიკაში ტერასულ მევენახეობას რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ტერასული მევენახეობა მეტ-ნაკლებად სოფელ ხიზაბავრასა და საროში მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე იყო შემორჩენილი. გ. ბოჭორიძის მითითებით: „ვაზი უმთავრესად შენახულია სარო-ხიზაბავრას, სხვილისსა პატარ-პატარა ვენახები. ვენახებს ახლა კი არ აშენებენ, არამედ რაც დარჩენილა მარტო იმას უვლიან ყურძენსაც უმთავრესად მარტო საჭმელად ხმარობენ სარო-ხიზაბავრას; ვაზის მეტი წილი დაბალია,არის თითო-ოროლა მაღლარიც. სარო-ხიზაბავრას სულ არის 5 ჯიში.

1. საფერავი. შავია, დიდმტევნიანი, მსხვილმარცვლიანი, მტევანი ½ კილო იქნება. ნაკლებს ისხამს.

2. ხარისთვალა. მოთეთროა, უფრო უკეთ, მოყვითალო, სინათლის ფერია. კაკლის ტოლა მარცვალი აქვს, სანახავად ლამაზია. მტევანი ერთ კილომდე იქნება. ფოთოლი განსხვავებული აქვს, იგი ლეღვის ფოთოლს ემსგავსება სიდიდით, ბევრს ისხამს.

3. ბუდეშური - კახეთის მაგვარი ჯიშია.

4. ცხენის ძუძუ, შავია, მარცვალი გრძელი აქვს, ჭანჭურს ჰგავს, ძალიან დიდი მტევანი იცის, მტევანი ერთი კილო იქნება, საფერავს ათი წყებით სჯობია, იგი ცოტა არის; თითო ვენახში 2-3 ვაზია შენახული.

5. თითა კახურის მაგვარი ჯიშია, ის ნაკლებია ცხენის ძუძუზე.

ყურძნის დაყენება; ძველად ყურძენს ჯერ ქვითკირის საწნახელში სწურავდნენ ფეხით, ბოლოს რაც დარჩებოდა, ქვის საწურავში ანუ საქაჩავში გადაჰქონდათ და იმაზე სწურავდნენ." (4, გვ. 244.)

ზემოთ მოტანილ მასალას ჩვენ მხოლოდ ერთს დავამატებთ. სოფრლ საროს ტერასულ მევენახეობაში დიდი ადგილი ეჭირა ადგილობრივი ჯიშის შავ ყურძენს, რომელსაც მოსახლეობა „ბეჟანოს" უწოდებდა. სწორედ მისგან ამზადეყდნენ საუკეთესო ხარისხის ღვინოს. იგი იმდენად უხვმოსავლიანი იყო, რომ როცა დამწიფდებოდა ვაზი მთლიანად გადაშავდებოდა და შორიდან ფოთოლი აღარ ემჩნეოდა.

სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულ ვაზის ჯიშე-ბიდან „ბეჟანო" ყურძენს „ბეჟანას სახელწოდებით დაფიქსირებული აქვთ დ. ტაბიძესა [10] და შ. წიქვაძეს [7].

ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით: „ძველი მესხეთის მიმკვდარებული მევენახეობის აჩრდილიღაა ეხლა

ს. საროსა და ხიზაბავრაში. ...მესხეთში ს. საროსა და ხიზაბავრაში უცნობ ავტორს მხოლოდ ხუთი წითელი და შავი ყურძნის ჯიშის სახელიღა აქვს აღნიშნული: 1. ცხენისძუძუ, რომელსაც შავი მოგრძო მარცვალი აქვსო და საჭმელი ყურძენიაო. 2. თითა ყურძენი თეთრი, თითივით მოგრძო მარცვლიანი. 2. ხარისთვალა თეთრი, მრგვალი და ტკბილმარცვლიანი. 4. საღვინე შავი ყურძენია, რომლისგანაც წითელ ღვინოს აყენებენ და 5. ბუდეშური წითელი, მეტად ტკბილი და სურნელოვანი საჭმელი ყურძნის ჯიში." (2. გვ. 441). ზემოთ ჩვენს მიერ აღნიშნული ჯიში „ბეჟანოს" სახელწოდებით სწორედ საღვინე ყურძენია, რომელიც იმდენად უხვმოსავლიანი იყო, რომ მსხმოიარე დამწიფებული ვაზი ისე გადაშავდებოდა, შორიდან ფოთლები აღარ ემჩნეოდა. უხუცესი მთხრობლების გადმოცემით: „დამწიფებული ყურძნის თითოეული ძირი შორიდან შემხედვარეს მწოლიარე შავი კამეჩი ეგონებოდა" [9]. სწორედ ეს ჯიში იყო ძირითადი საღვინე ყურძენი, რომლის წვენითაც ყოველ შემოდგომით ათეულობით დიდი ტევადობის ქვევრი ივსებოდა.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების (პირველი მსოფლიო ომის გამოძახილი, რევოლუცია, საქართველოს გასაბჭოება, კოლექტივიზაცია, მოსახლეობისათვის მიწების ჩამორთმევა და ამ პროცესების თანმდევი უარყოფითი შედეგები) გამო დროთა განმავლობაში აღნიშნული ტერასები მიტოვებული ფაქტიურად უყურადღებობით მოიშალა და გავერანდა. მისი უდიდესი ნაწილის გასამაგრებელი კედლები ჩამოშლილ-ჩამონგრეულია, უნიკალური ჯიშის ვაზი და ადგილობრივი ჯიშის ხილის ბაღები გადამხმარ-გაჩეხილია, ნიადაგი კი გაკორდებულია და ზამთრის საძოვრადაა გადაქცეული.

XX საუკუნის 50-იან წლებში ხელისუფლებამ სამცხე-ჯავახეთში მევენახეობის აღორძინებასთან დაკავშირებით რატომღაც აქცენტი ნაკლებ მოსავლიან ახალციხისა და ადიგენის რაიონებზე აიღო და უყურადღებოდ დატოვა ასპინძის რაიონში არსებული ის უნიკალური სავენახე ტერასები, რომელის მეშვეობითაც მხოლოდ 16 სოფელი წარსულში მთელ რეგიონზე შეწერილი შირას სახით თურქული გადასახადის 27,7%-ზე მეტს იხდიდა.

ამავე საუკუნის 70-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივით დაიწყო სოფელ ხიზაბავრის მიტოვებული ტერასების ინტენსიური აღდგენითი სამუშაოები და საკმაოდ დიდი ნაწილი შეაკეთეს კიდეც. მაგრამ იმ დროინდელი ხელისუფლების უყურადღებობის გამო ეს ბრწყინვალე წამოწყება უშედეგოდ დამთავრდა.

რამდენიმე წლის წინ გარკვეულმა პირებმა დაიწყეს სოფელ ხიზაბავრის მიტოვებული და დანგრეული ტერასული მევენახეობის აღდგენითი სამუშაოები (ტერასების აღდგენა-შეკეთება, ვაზის დარგვა, სარწყავი სისტემის მოწესრიგება და ა. შ.), მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო სამწუხაროდ შუა გზაზე შეჩერდა.

დღეისათვის თუ იქნება სახელნწიფოს ნება და დაინტერესება, თავისუფლად შეიძლება აღდგეს ტერასული მევენახეობა თუ მებაღეობა თავისი უნიკალური ადგილობრივი ვაზისა და ხილის ჯიშით. საფლის მეურნეობის ამ საინტერესო დარგზე ყურადღებას მიტომ ვამახვილებთ, რომ იგი ძლიერ ეკონომიკურ, უფრო მეტად კი, სულიერ საყრდენს წარმოოადგენდა საქართველოს მკვიდრი ძირძველი მოსახლეობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2, თბ., 1941.
2. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 5. თბ., 1986.
3. თ. იველაშვილი, ოჯახის ეკონომიკური საფუძველი სანხრეთ საქართველოში//კრ. "ასპინძა სანცხისა და ჯავახეთის საზღვარზე," ახალციხე, 2000.
4. გ. ბოჭორიძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ.,1992.
5. მ. სვანიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა 16 საუკუნეში.თბ., 1979.
6. ს. მაკალათია, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1938.
7. შ. წიქვაძე, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პრესპექტივები მესხეთში, თბ., 1958.
8. ქართული მწერლობა, ტ. 1, თბ., 1987.
9. თ. იველაშვილი, სამცხე-ჯავახეთში 1979 წლის მივლინების მასალიბი.
10. Д. Табидзе, Производственной промишленной Культуры винограда в новые раиона Груэинское ССР, М., 1957.
11. თურქული ლექსიკონი, 2, ანკარა, 1988 (თურქულ ენაზე)

არტურ ლაისტის კულტუროლოგიური ცნობიერება

თინათინ კილაძე, სტუ-ს დოქტორანტი

არტურ ლაისტის თანამედროვეობა, მართალია, არ იცნობდა კულტუროლოგიის ცნებას, როგორც კონკრეტული მეცნიერების აღმნიშვნელ ტერმინს, მაგრამ საკმაოდ დიდი ინტენსიურობით გამოირჩეოდა კულტურის ეთნომენტალობითი ასპექტებისა და კულტურის ისტორიის პრობლემატიკის კვლევების სხვადასხვა (უპირატესად დასავლურ-აღმოსავლურ) კულტურათა ურთიერთმიმართებისა და ურთიერთ-შეღწევათა მიმართულებით. კვლევაძიებათა ამგვარი გამართულობა და მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავების აუცილებლობა ბუნებრივად უწყობდა ხელს, ერთი მხრივ, კულტურათა კვლევებში გარკვეული ტენდენციების, კანონზომიერებების, კონცეპტუალური მიდგომების გამოკვეთას, ხოლო, მეორე მხრივ, კულტურის წიაღში ფასეულობითი ორიენტაციის ელემენტების გამოვლენას, ამ ელემენტების საფუძველზე ერთიანი ფასეულობითი ორიენტაციის სისტემის შექმნას.

ფასეულობითი ორიენტაციის ელემენტების სისტემურობის გაცნობიერება, ბუნებრივია, აუცილებელი იყო კულტურის მკვლევრისათვის განსაკუთრებით საკუთარ ეროვნულ კულტურასთან მიმართებაში უცხო კულტურის შესწავლის პროცესში.

XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მეორე ნახევარში აღმოსავლურ კულტურათა დასავლურ კულტურებთან შედარებით-შეპირიპირებით კვლევებში სასაფუძვლოდ თავისთავად დასავლური ცივილიზაცია და დასავლეთ ევროპის ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) კულტურები და კულტურული ფასეულობათა ორიენტაციის ელემენტები მოიაზრებოდა.

ა. ლაისტის კულტურული ცნობიერება და კულტურის ფასეულობითი ორიენტაცია, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთარი გერმანული და გარკვეულწილად ფრანგული, გამორჩეულად კი პოლონური კულტურების პრაქტიკულ ცოდნას ემყარება და არა მისი დროის რომელიმე კულტუროლოგიურ თეორიას. სწორედ აღნიშნული ეროვნული კულტურების ფასეულობითი ელემენტებისათვის კულტურის კონცეფციების სტატუსის მინიჭება და კვლევების ორიენტირებად დასახვა ანიჭებს ა. ლაისტის კულტუროლოგიურ ძიებებს სისტემურობას. ეს კი, ცხადია, უპირველესად იმას ცხადყოფს, რომ ა. ლაისტი ქართული კულტურის სამყაროს თავისი თანამედროვე ევროპული კულტურის ფასეულობითი ორიენტაციის ელემენტების შესაბამისად აღიქვამდა და აანალიზებდა. ამ ელემენტების სისტემურობით არის განსაზღვრული ის „ფინალური“, „ინსტრუმენტული“ და „წარმოებითი“ ფასეულობები, რომლებსაც ამჩნევდა, ავლენდა, აღწერდა და ახასიათებდა ა. ლაისტი თავის კულტუროლოგიურ ნაწერებში. თუმცა ამ შემთხვევაში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მისი პიროვნული კულტურული ფასეულობითი ორიენტაციის სისტემაც, რამდენადაც ადამიანი, ცოდნა-განათლების მიუხედავად, მაინც იმას ხედავს, რისი დანახვაც შეუძლია და აღქმა-გაცნობიერება სურს. ამის გამო კონკრეტული მკვლევრის კულტუროლოგიური ხედვა უცხო კულტურის მედიატორობის პროცესში პრინციპულ მნიშვნელობას იძენს. ამის გამო, კულტუროლოგიის მედიატორული როლის კვლევასა და შეფასებაში ჯერ მედიატორის კულტურული პიროვნული ფასეულობითი სისტემა უნდა გამოვლინდეს, ამით უნდა დადგინდეს ის პრინციპები, რითაც მედიატორი აფასებს სამედიატორო უცხო კულტურას, როგორ ასოცირდება მედიატორის კულტურული ცნობიერება უცხო კულტურის სივრცეში და როგორ ახდენს ამ გამოცდილების საფუძველზე უცხო კულტურის ფასეულობითი ორიენტაციის სტრუქტურირებას და სისტემის ტენდენციათა თუ კანონზომიერებათა შესაბამისად აგებას.

ასე რომ, ა. ლაისტის დროისთვის კულტუროლოგია, როგორც ცოდნის სფერო, თანამედროვე გაგებით, ცალკე მეცნიერებად, მართალია, ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ გამოკვეთილია მისი ინტერესები, ამ ინტერესების საზღვრები და ობიექტები. ამასთან, რაც მნიშვნელოვანია, ამ დროისთვის უცხო კულტურათა კვლევებში აღნიშნული ინტერესების საზღვრები უკვე დამკვიდრებულია.

აღნიშნულთან ერთად ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ფასეულობითი ორიენტაციის ელემენტები დროთა განმავლობაში იცვლება (განსაკუთრებით „ინსტრუმენტული“ და „წარმოებითი“) და ცვლილებები გამორჩეულად ინტენსიურია ქვეყნის სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კატაკლიზმების ვითარებაში. XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მეორე ნახევრის, საქართველო სწორედ ასეთი ეპოქალური კატაკლიზმების წინაშე იყო აღმოსავლურ კულტურულ-მენტალურ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტის და ევროპული ფასეულობებისაკენ შებრუნების თვალსაზრისით.

ამ დროის საქართველოს კულტუროლოგიური აღწერა-დახასიათება, აღნიშნულის გამო, მკვლევრისაგან, ერთი მხრივ, აღმოსავლური კულტურის ცოდნას მოითხოვდა, მეორე მხრივ, საკუთრივ ქართული კულტურისა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ქართულ კულტურაში აღმოსავლური კულტურული რეალიების გამოვლენა-გამოცალკევება და ქართული კულტურული ფასეულობითი სისტემის აგება. სხვაგვარად, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა სრულფასოვანი მედიატორული მოღვაწეობა და მისი

შედეგიანობა.

მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია გარემოებაც: ა. ლაისტის მიერ ქართული კულტურის აღქმა-გაცნობიერებისა და გათავისების დინამიკა საქართველოში დამკვიდრების შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გარკვევა, რა კულტურულ კოცეპტებს ხედავდა ქართულ კულტურაში მისი ფასეულობითი ორიენტაციის სისტემა და როგორ გაფართოვდა და გაღრმავდა ეს სისტემა, რა ფასეულობითი ელემენტებით შეივსო იგი. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა, ცხადია, ერთი მხრივ, ა. ლაისტის ადრეული (საქართველოში ჩამოსვლამდე შექმნილი) ნაწერების განხილვას საჭიროებს, მეორე მხრივ, საქართველოში შექმნილებისა, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლების ნაწერებისა. ამგვარი ანალიზი მით უფრო აუცილებელია, რომ აღნიშნულ ორ პერიოდს შორის შექმნილი ნაწერები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან ფორმითაც და პრობლემურ-თემატურადაც. ადრეული ნაშრომები სხვათა მიერ მიწოდებულ მონაცემებს ემყარება და განსახილველი საკითხების მრავალფეროვნებით იქცევს ყურადღებას, საქართველოში ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოდში შექმნილ ნაწერებში კი თვალშისაცემია პრობლემურ-თემატური კონკრეტულობა.

საქართველოში ჩამოსვლამდე შექმნილ ნაწერებს შორის აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ა. ლაისტის ორი ნაშრომი. ერთია „ქართველებისა და სომხების ლტლოვილება განათლებისადმი“, რომელიც პოლონურ გაზეთში „გაზეტა პოლსკას“ 1882 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნებული ვინმე დლუშაგის სტატიის საპასუხოდ და საწინააღმდეგოდ დაიბეჭდა.

ახლა უკვე გარკვეულია, რომ დლუშაგის წერილი შეკვეთილი ხასიათისა იყო, ავადსახსენებელი კატკოვის ქართული კულტურისადმი დამოკიდებულების სულისკვთების შემცველი და ფაქტობრივ, მისი მხარდამჭერი თავისი გამიზნულობით. ქართველი ერისა და ქართული კულტურისადმი სკეპსისი, ნიჰილიზმის, ველიკოდერჟავული შოვინიზმის პოზიციებიდან დამოკიდებულებისა და მისი ღირებულების შეფასების მცდელობამ, თავის დროზე დიდი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია ქართველი საზოგადოების მხრიდან. დლუშაგის წერილი კატკოვის თვალსაზრისის რეზონირების მცდელობა იყო, იმის მტკიცება, რომ პოლონეთშიც იყვნენ ადამიანები, რომელნიც კატკოვის აზრისანი იყვნენ ქართულ კულტურაზე.

ა. ლაისტი იმ დროს პოლონური პრესის წამყვანი და პოპულარული ჟურნალისტი იყო. მისი კულტურული ცნობიერება პოლონეთ-გერმანიისა და ევროპის კულტურული ორიენტაციითა და ფასეულობითი სისტემით საზრდოობდა. საქართველო მისთვის შორეული, უცნობი ქვეყანა იყო თავისი ეგზოტკით, ლეგენდური ფანტასმაგორიებით, ჯადოსნური ფერადოვნებითა და ბრწყინვალებით და, რაც მთავარია, პოეტური გრძნებებითა და გზებით აღსავსე, რისი ანარეკლი და დასტურიც მისთვის იყო ფრიდრიხ ბოდენშტედტის ლექსების კრებული - რეალურად თბილისელი აშუღის მირზა შაჰის ლექსების გერმანული თარგმანები. ამას ემატებოდა ის მცირე ცნობები, რომლებიც მას მისივე თხოვნით 1882 წელს მიაწოდა თბილისში 1846 წლიდან გამომავალი რუსული გაზეთის „კავკაზის“ იმ პერიოდის რედაქტორმა დავით ერისთავმა.

მოგვიანებით, 1906 წელს „ივერიაში“ (NN25,26) გამოქვეყნებულ წერილში „წარსულის მოგონებანი (1884-89)“ ა. ლაისტი ასე იხსენებდა საქართველოთი, მისი ხალხითა და კულტურით დაინტერესების ამბებს: „აღარ მახსოვს, რომელი წიგნი იყო, სადაც პირველად ამოვიკითხე კავკასიის ამბები, ის კი ვიცი, რომ იმ დროს ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბოდენშტედტის ლექსებმა“. ა. ლაისტს მხედველობაში ჰყავს XIX საუკუნის გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტედტი, ხოლო წიგნი უნდა იყოს ფ. ბოდენშტედტის მიერ გერმანიაში 1850 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“, სადაც შეიტანა თბილისელი აშუღის მირზა შაფის ლექსები.

ცნობილია, რომ ფ. ბოდენშტედტი 1844-1845 წწ. თბილისში იმყოფებოდა. მან კარგად იცოდა რუსული ენა, რადგან საქართველოში ჩამოსვლამდე ოთხი წელი რუსეთში მასწავლებლობდა, გერმანულად თარგმნიდა რუსულ და უკრაინულ ლექსებს. თბილისში იგი რუსულმა ადმინისტრაციამ მოიწვია, გიმნაზიაში უცხო ენის მასწავლებლად და ზედამხედველად. ზაფხულის არდადეგებზე მან დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში გაატარა.

თბილისში ფ. ბოდენშტედტი ძალიან დაუახლოვდა აზერბაიჯანულენოვან აშუღს მირზა შაფს, ბრწყინვალედ თარგმა გერმანულად მისი ლექსები და ავტორის დაუსახელებლად გამოაქვეყნა. ფ. ბოდენშტედტს ამ თარგმანმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. მირზა შაფის ხსენება ამ თარგმანებთან მიმართებაში პოეტურ ფიქციად გამოცხადდა.

სწორედ ფ. ბოდენშტედტის წიგნმა გაუცხოველა ა. ლაისტის ინტერესი საქართველოსა და ქართული კულტურისადმი, რასაც მოჰყვა ინტენსიური ძიებანი. ამ ძიებათა შედეგებს ზემოაღნიშნულ მოგონებებში ა. ლაისტმა ასეთი შეფასება მისცა: „როდესაც ცოტაოდნად გავეცანი საქართველოს ისტორიას, ჩემთვის საეჭვო აღარაა, რომ ასეთ ძველი და განვითარებული კულტურის პატრონს, ასეთ მშვენიერ ბუნებაში დასახლებულ ხალხს, მეტად მდიდარი პოეტური მწერლობა უნდა ჰქონოდა. დავიწყე ამ მწერლობის შესახებ ცნობების ძებნა, მაგრამ ვერც გერმანულსა და ვერც ფრანგულ წიგნებში მისი უბრალო კვალიც ვერ აღმოვაჩინე. ამ მხრივ რუსული მწერლობაც მეტად ღარიბი გამოდგა“.

ა. ლაისტმა დამოუკიდებლად მოიძია წყარო ქართული ენისა და ქართული მწერლობის შესწავლად. ეს იყო დავით ერისთავი, რომელთანაც მიმოწერა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ა. ლაისტისათვის. მან

„ძველი და ახალი ქართული მწერლობის შესახებ სხვადასხვა მასალა“ გაუგზავნა და „ქართული მწერლობის შესწავლის სურვილი გაუძლიერა“ ამ მასალების საფუძველზე შეიქმნა ა. ლაისტის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი „მივიწყებული ლიტერატურა“, რომელიც დაიბეჭდა გერმანიაში, ლაიპციგში, ჟურნალ „Magzin Zuer die Literatur“ 1884 წელს. ა. ლაისტის მოწმობით, „ამ წერილით გერმანელებმა ქართული მწერლობის არსებობა პირველად გაიგეს, თუმცა შიგ მოთავსებული ფაქტები მეტად ღარიბი იყო და მხოლოდ მკითხველის ცნობისმოყვარეობას იწვევდა“.

ა. ლაისტი ერისთავთან ორი წლის განმავლობაში აწარმოებდა მიწერ-მოწერას. ამ პროცესში ჩაერთო ილია ჭავჭავაძეც, რომელმაც ა. ლაისტს ოთხი თავისი ლექსის რუსული თარგმანები გაუგზავნა.

ის ფაქტი, რომ ა. ლაისტი ამ მოვლენებს 10-12 წლის შემდეგ აფიქსირებს, იმასაც ცხადყოფს, რომ აქ დაფიქსირებულია მის ხედვის სიმყარე და პოზიციონურობა და არა მომენტურ-აფექტური განწყობილებები.

პირველი შთაბეჭდილებების სიმყარესა და საფუძვლიანობაზე, სხვათა შორის, თავად ა. ლაისტი მიგვითითებს საქართველოში პირველი, მოკლე ვიზიტის შედეგად, 1886 წელს ლაიპციგში გამოცემული წიგნის „ჩეორგიან ანდ სეინე Bეეოჰონრ“ შესავალში ა. ლაისტი მიუთითებს, რომ „წიგნი შეიცავს ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვას და ჩემი მოგზაურობის პირველ შთაბეჭდილებას, რომელიც უმეტეს წილად ახლაც სამართლიანად მიმაჩნია“. გამოდის, რომ პირველი შთაბეჭდილება აფექტურ-ემოციური კი არაა, არამედ გაცნობიერებულ-შემფასებლური პოზიციონისტური ხედვაა. აქედან გამომდინარე, წლების შემდეგ თუ რაიმე ნაკლი შეუნიშნავს ა. ლაისტს საკუთარ ნააზრევში, ყოველთვის საანალიზო მასალის სიმწირე დაუსახელებია. ამის თაობაზე ზემოაღნიშნულ მოგონებებში იგი წერდა: „Georgian and seine Beeohonwr“ ზერელედ შედგენილია და მას ყოველივე მნიშვნელობაც დაეკარგა მას შემდეგ, რაც ჩემი უფრო მოზრდილი თხზულება დაიბეჭდა, რომელსაც ჰქვია „Das Georgian Uolk“.

ზემოაღნიშნული ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრების სისწორეს, ა. ლაისტის კულტუროლოგიური ხედვის სპეციფიკას და ზოგადად ევროპული და კონკრეტულად გერმანული და პოლონური კულტუროლოგიური ცნობიერების პოზიციიდან ქართული კულტურის შეფასების ადრინდელი მიდგომების გასააზრებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ნაშრომებს „ქართველებისა და სომხების ლტოლვილება განათლებისადმი“ (1882) და „დავიწყებული მწერლობა“ (1884). თუმცა ა. ლაისტის კულტუროლოგიური თვალთახედვის გასაღები და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები წარმოდგენილია მის „წარსულის მოგონებანში“.

ა. ლაისტის საქართველოთი და ქართული კულტურით დაინტერესების ამბის თხრობით გარდასულ დღეთა გახსენების ფორმით მკითხველთან უშუალობის დამყარებით, ამასთან, განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიფრთხილით შეეცადა ქვეყნებსა და ქართულ კულტურაზე საკუთარი შეხედულების გამოთქმას, რაც იმაში გამოიხატა, რომ ა. ლაისტმა გერმანული კულტურის სიმაღლიდან კი არ არჩია ქართული კულტურის აღწერა—დახასიათება და მნიშვნელობის შესაფასება, არამედ ქართველებს შუალედურ კულტურად პოლონეთი და მისი კულტურის გერმანულ კულტურასთან მიმართებაში ე.წ. შედარებითი აღწერა—დახასიათება შესთავაზა. პოლონური კულტურა, ა. ლაისტის ფიქრით, ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის ფასეულობითი ორიენტაციის სისტემაში შუალედური კულტურაა გერმანულისა და ქართულს შორის, ქართულზე მაღლა მდგომად მოიაზრება. ამდენად, პოლონური კულტურის გერმანულ კულტურასთან მიმართებაში ნაკლოვანებებზე მითითება თავისთავად უნდა ამკვეთრებდეს ქართული კულტურის გერმანული კულტურის სიმაღლესთან სიშორეს და მიუწვდომლობას.

აღნიშნული ამოცანებით არის განპირობებული ის გარემოება, რომ მოგონებებში დიდი ადგილი ეთმობა პოლონეთის მწერლობასა და, საერთოდ, კულტურაზე მსჯელობასა თუ აღწერა-დახასიათებებს. პოლონური კულტურის აღწერა-დახასიათებებით ა. ლაისტი ქართული კულტურის განხილვა-შეფასების ფონს ქმნის. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლონეთის, პოლონელებისა და პოლონური კულტურის შეფასების ფასეულობითი ორიენტაციის ის სისტემა, რომლის შესაბამისადაც აღწერს და ახასიათებს ა. ლაისტი. საყურადღებოა, რომ ა. ლაისტი თავად საუბრობს საკუთარ კულტურლოგიურ პოზიციაზე და უცხო კულტურის განხილვა-შეფასების პრინციპებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რევიშვილი შოთა, „უცხოელი მწერლები საქართველოზე“, გაზ. „თბილისი“, 1961, N8,9, 10, 11, 12, 13;

2. ა. ლაისტი, „წარსული მოგონებანი“, „ივერია“, 1906, N25.

სოციალური მედიის მნიშვნელობა და გავლენა საზოგადოებაზე

მაკა საღირაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

რა არის სოციალური მედია? ეს ონლაინკომუნიკაციის უწყვეტი ფორმაა, რომელიც სხვადასხვა არხის დახმარებით საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, მუდმივად იყვნენ ჩართული მათთვის საინტერესო პროცესების შეფასებასა და განხილვაში. კომპანიები, რომელთაც მიზნობრივ აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის სოციალური მედია აირჩიეს, უკვე საუბრობენ მის ფინანსურ ეფექტზე და ლოიალური მომხმარებლების გაზრდილ მაჩვენებელზე.

სოციალური მედიასაშუალებების მრავალი სახეობა არსებობს და ამ არხების გამოყენების ეფექტი მათ სწორ შერჩევაზეა დამოკიდებული. ინდუსტრიიდან გამომდინარე, ისინი ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია: სოციალური ქსელები, მულტიმედია, ბუკქმარკინგი, პოდკასტი, ვიკი, ბლოგები, მიკრობლოგები და სხვა სოციალური არხები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იპყრობს კომპანიების ყურადღებას.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია, მედიასაშუალებები, საზოგადოება, ფასიანი კომპიუტერული პროგრამები, მინიმალური დანახარჯი, კომპანიები, მედიის მნიშვნელობა.

* * * * * *

სოციალური მედიის მრავალმილიონიანი ინდუსტრია კომუნიკაციის უახლეს ტენდენციებს შორის მსოფლიო ლიდერი გახდა. მის მიმართ მზარდი ინტერესი აქვთ არა მხოლოდ მსოფლიოში არსებულ წარმატებულ კომპანიებს, არამედ ქართულ ორგანიზაციებსაც, რომელთაც სწორად შეაფასეს სოციალური მედიაარხების მნიშვნელობა და გავლენა მომხმარებელზე.

როგორც ცნობილმა სოციალური მედიის მკვლევარმა Ze Zook-მა თქვა, „არა აქვს მნიშვნელობა, იქნება თუ არა კომპანია სოციალურ მედიაში, მათი მომხმარებლები უკვე იქ არიან და აქტიურად განიხილავენ ამ კომპანიას".რა არის სოციალური მედია? ეს ონლაინკომუნიკაციის უწყვეტი ფორმაა, რომელიც სხვადასხვა არხის დახმარებით საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, მუდმივად იყვნენ ჩართული მათთვის საინტერესო პროცესების შეფასებასა და განხილვაში. კომპანიები, რომელთაც მიზნობრივ აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის სოციალური მედია აირჩიეს, უკვე საუბრობენ მის ფინანსურ ეფექტზე და ლოიალური მომხმარებლების გაზრდილ მაჩვენებელზე.

სოციალური მედიასაშუალებების მრავალი სახეობა არსებობს და ამ არხების გამოყენების ეფექტი მათ სწორ შერჩევაზეა დამოკიდებული. ინდუსტრიიდან გამომდინარე, ისინი ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია: სოციალური ქსელები, მულტიმედია, ბუკქმარკინგი, პოდკასტი, ვიკი, ბლოგები, მიკრობლოგები და სხვა სოციალური არხები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იპყრობს კომპანიების ყურადღებას. საქართველოში სოციალური ქსელები და მულტიმედია განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს, თითოეული მათგანი კი განსხვავებული ტიპის კომპანიას შეეფერება: სოციალური ქსელები (Facebook-ი, MySpace-ი და სხვ.) - შეეფერება კომპანიას, რომელსაც სურს ფანების ინტერაქციის გზით შექმნას პლატფორმა, სადაც არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს ერთმანეთთან ექნებათ კომუნიკაცია. კომუნიკაციის პროცესი უწყვეტი, რეგულარული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელი კარგავს გვერდის მიმართ ინტერესს, იკლებს ჩართულობის კოეფიციენტი და სოციალური მედია აქტივობა არამიზნობრივი ხდება. მარკეტინგის მენეჯერებისთვის მნიშვნელოვანია სოციალურ ქსელში და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გამიჯვნა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ბაზაზე ჩატარებული კვლევის თანახმად, ქართული კომპანიების 67% ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას იდენტურად სოციალურ ქსელში და წარმოიდგენს ამ პლატოფრმას, როგორც კომპანიის შესახებ ინფორმაციის გავრცელების წყაროს.სინამდვილეში, სოციალური ქსელი გაცილებით მრავლის მომცველი პლატფორმაა. ეს არის ადგილი, სადაც მომხმარებლები კომპანიებს ეკონტაქტებიან, უზიარებენ მათ მოსაზრებებს სხვადასხვა პროდუქტისა და სერვისის შესახებ, უსმენენ სხვა მომხმარებლებს და კითხულობენ მათ კომენტარებს. კომპანია თავის მხრივ ახდენს ინვესტირებას სოციალურ ქსელში რეკლამასა თუ ქსელურ აპლიკაციებზე, რაც ტრადიციულ მედიასაშუალებებთან შედარებით გაცილებით ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისგან განსხვავებით, სოციალური ქსელი მუდმივ კომუნიკაციაში უნდა რთავდეს მომხმარებელს და უზრუნველყოფდეს მის ინტერესს ინდუსტრიის მიმართ. სხვადასხვა სოციალურ ქსელს შორის facebook-ი უდიდესი პოპულარულობით სარგებლობს, მის მიმართ კომპანიების ინტერესს ფართო მიზნობრივ აუდიტორიასთან დაუყოვნებლივ წვდომა განაპირობებს.

მულტიმედია (YouTube-ი, SlideShare-ი, Flickr-ი) - შეეფერება ისეთ კომპანიას, რომელსაც აქვს „მდიდარი მედია" ფოტო/ვიდეო მასალის სახით და სურს მისი ვირტუალური გზით გავრცელება. მულტიმედიის

სხვადასხვა საშუალებას შორის ქართველი მომხმარებელი YouTube-ს ანიჭებს უპირატესობას, მათი აქტივობა ამ არხზე მაღალია და, შესაბამისად, ეს კარგი პლატფორმაა კომპანიებისთვის ბრენდინგის პროცესში. მომხმარებელი, რომელსაც მოსწონს კონკრეტული ფოტო ან ვიდეო, ხშირად აზიარებს მას, ამით კი ზრდის კომპანიის, მისი პროდუქტისა და მომსახურების ცნობადობას და ეხმარება ბრენდს პოზიციონირებაში. საინტერესოა კომპანიების მიერ ბლოგებისა და მიკრობლოგების გამოყენების ხარისხი. მრავალი ექსპერტის განცხადებით, ის საყურადღებოა ისეთი ორგანიზაციებისთვის, რომელთაც ინდუსტრიის ექსპერტად პოზიციონირება სურს. სოციალურ მედიამარკეტინგში ინვესტირებიდან ამონაგების ROI მაჩვენებელი ის ძირითადი პარამეტრია, რომლითაც კომპანიებმა აქტივობის მონიტორინგი უნდა განახორციელონ. მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც ორგანიზაციას აქვს Facebook გვერდი, მასზე განთავსებული სხვადასხვა ფოტო/ვიდეო თუ ტექსტური ინფორმაციით, ეს არ არის საკმარისი მომხმარებლისთვის. მომხმარებელს სურს კომუნიკაცია, დასმულ შეკითხვებზე სწრაფი პასუხი, გაკეთებულ კომენტარზე დროული რეაგირება, სიახლეების შესახებ დროული ინფორმირება და შეგრძნება, რომ ის კომპანიისთვის მნიშვნელოვანია. არსებობს მრავალი პარამეტრი, რომელიც სოციალურ მედია აქტივობას აფასებს. შეფასების საკუთარი ანალიტიკური სისტემა გააჩნია სხვადასხვა არხს, (მაგალითად, Facebook Insights-ს, YouTube Views-ს, Google Alerts-სა და სხვ.) თუმცა არსებობს ფასიანი კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც კომპანიების მონიტორინგის ამომწურავ საშუალებას იძლევა. მონიტორინგის სხვადასხვა საშუალებას შორის მსოფლიოში არსებული, სოციალურ მედიაში აქტიური კომპანიები უპირატესობას ანიჭებენ შემდეგ ინსტრუმენტებს: GoogleAnalytics-ს, SocialBakers-ს, KISSmetrics-ს, SocialFlow-ს. საქართველოში სოციალური მედიის მონიტორინგი ნელი ტემპებით ვითარდება, თუმცა ის ყველგან წარმოადგენს მარკეტინგის განყოფილების მუშაობის შეფასების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს.

10 წლის წინ, სოციალურ მედიასივრცეში ახალი პროდუქტი სახელად "The facebook" გაჩნდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ სულ რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიოს მარკეტინგის სპეციალისტების 42% ამ ქსელს მომხმარებელთან კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტად დაასახელებდა. 2004 წელს, როდესაც მომხმარებელთა რაოდენობა მილიონს ასცდა, პირველად გაჩნდა კომპანიების მხრიდან ინტერესი, რომელიც დროთა განმავლობაში უდიდესი მოგების და აღიარების მომტანი გახდა არა მხოლოდ „Facebook"-ისთვის, არამედ ყველა ბიზნესისთვის, რომელმაც ქსელის მილიარდზე მეტ მომხმარებელთან კომუნიკაცია სწორი სტრატეგიით წარმართა.

როგორია ბიზნესი Facebook-ით და მის გარეშე? ჩვენ გამოვყავით 10 ძირითადი ფაქტორი, რომელმაც კომპანიების მუშაობაზე ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა: Facebook-მა დაზოგა დრო. კომპანიებს მუდმივად სჭირდებათ მომხმარებელთან კომუნიკაცია, პროდუქტის ან მომსახურების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაიმე შეთავაზების ან მთლიანად კომპანიის ცნობადობის გაზრდა. მკვლევარები განსხვავებულ დროის მონაკვეთს ასახელებენ სასურველი მესიჯის ტელევიზიით, რადიო ან ბეჭდური მედიით გავრცელების და აუდიტორიასთან წვდომის დროის შესახებ, თუმცა ყველა ერთხმად თანხმდება რომ Facebook-ის მეშვეობით ინფორმაცია ყველაზე სწრაფად ვრცელდება. მსოფლიოში არსებული სოციალური მედიასაშუალებების მომხმარებელთა შორის 71% Facebook-ს მოიხმარს. ამათგან 64% კი Facebook-ს ყოველდღე სტუმრობს. ბიზნესისთვის ეს უნიკალური შესაძლებლობაა საკომუნიკაციო კამპანიის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში.

Facebook-მა დაზოგა ხარჯები. სარეკლამო კამპანიის სოციალურ მედიაში წარმოებამ კომპანიებს მისცა მარკეტინგული ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობა. თუ შევადარებთ ტრადიციულ მედიასაშუალებებში განთავსებულ სარეკლამო კამპანიებს და ვიანგარიშებთ ინვესტირებიდან ამონაგებს (ROI) სურათი ნათელი ხდება: მინიმალური დანახარჯით და უმოკლეს დროში Facebook—ი ახერხებს მისწვდეს მიზნობრივ აუდიტორიას და პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს დახარჯული თანხის მონიტორინგი.

უფრო ნათელ წარმოდგენას ქმნის. დღეს მომხმარებელთა 75%-ზე მეტი, ტრადიციული ვებგვერდის გარდა, Facebook—ის საშუალებით ეცნობა კომპანიების შესახებ ინფორმაციას. ეს მაჩვენებელიც სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში კიდევ მოიმატებს.

მომხმარებელთა კვლევები უმოკლეს ვადაში და უმცირესი ბიუჯეტით: ყველასთვის ცნობილია, რომ ნებისმიერი სახის კვლევა (რაოდენობრივი, თვისობრივი, ჩაღრმავებული და ა.შ) საკმაოდ დიდ რესურსებთან არის დაკავშირებული. რაც მცირე ზომის კომპანიებს ფაქტიურად გამოუვალ სიტუაციაში აყენებს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია დროის ფაქტორიც. სანამ პასუხებს მივიღებთ, კვლევების ხანგრძლივი ტექნოლოგიებიდან გამომდინარე, შესაძლოა ან თემამ აქტუალობა დაკარგოს, ან მონაცემები უკვე მოძველებული იყოს. Facebook-ის საშუალებით კი შესაძლებელია კვლევების ძალიან მოკლე დროში და მცირე დანახარჯებით ჩატარება. არსებობს უამრავი უფასო ან დაბალფასიანი „აპლიკაცია",სწორად დასმულ კითხვაზე კი მომხმარებლებისგან მიღებული პასუხები, „ფოკუს ჯგუფის" ჩატარების საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ ასევე გასათვალსწინებელია მომხმარებლების კომენტარების გათვალიწინება. სწორად შერჩეული ჯგუფის მიხედვით: ასაკი, შემოსავლები, სეგმენტი და ა.შ. თუ ყველა წინაპირობის ზუსტი გათვალისწინება მოხდა, არა მარტო რამდენიმე კვლევის ჩატარების,

არამედ კლიენტების განწყობების მუდმივი მონიტორინგის საშუალებაც ჩნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ჩოხელი, ,,სტრატეგიული მენეჯმენტი'', სახელმძღვანელო, გამომცემლობა ,,უნივერსალი'', თბ., 2009;
2. ო. ეჯიბაძე, სტრატეგიული მართვა, თბ., 2002;
3. ე. ბალიაშვილის სალექციო მასალები (,,სტრატეგიული მენეჯმენტი), ელ. ვერსია, 2009;
4. შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაშვილი ფ. "მენეჯმენტის საფუძვლები," თბ., 2008;
5. პაიჭაძე ნ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბ., 2009;
6. Tompson A.A. jr, Strickland III A.J. ,,Strategic Management''. Irwin Inc, 2007;
7. http://bizideebi.blogspot.com/2010/11/10.html

უძრავი ქონების ადგილი ეროვნულ ეკონომიკურ მოდელში

ალექსანდრე სიჭინავა, *სტუ-ს პროფესორი*
ლევან ტატიშვილი, *ეკონომიკის დოქტორი*

რეზიუმე

უძრავი ქონება ეროვნული ეკონომიკის განვითარების ქვაკუთხედია. უძრავი ქონების პრობლემები ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ ნიკო ნიკოლაძის მიერ იქნა წამოწეული, თუმცა ქართული ეკონომიკური მეცნიერებისათვის იგი დღესაც ყამირია. აუცილებელია დავადგინოთ რა ქონების პატრონები ვართ. რა დღეშია ქართული მიწა, როგორც უძრავი ქონება. მისი გასხვისების პირობები უცხოელებზე და მიწის კონსოლიდაციის აუცილებლობა დღეს. დასადგენია უძრავი ქონების შეფასების კრიტერიუმები და იგი მოსაყვანია შესაბამისობაში საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონება, ეროვნული ეკონომიკის მოდელიები, მიწის კონსოლიდაცია, უძრავი ქონების შეფასება.

Summary

The Real Estate in the National Economic Model

The Real estate is a cornerstone of the national economy development. Real estate problems was raised by Niko Nikoladze a one century ago. However, for the Georgian economic science it is still uncultivated land. It is necessary to identify what are the property owners we are, what is Georgian land as real estate, the alienation of land to foreigners and to determine the need for consolidation. We need to establish a real estate appraisal criteria, and it must provide for compliance with the international regulations.

* * * * * *

უძრავი ქონების მნიშვნელობის შესახებ ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ გვასწავლიდა ნიკო ნიკოლაძე. სამწუხაროდ ეს თემატიკა ქართული მეცნიერებისათვის და ზოგადად საზოგადოებისათვის დღესაც შეუსწავლელია. ნიკო ნოკოლაძე კი ამბობდა: "ქვეყნის პროგრესისა და მისი გავლენის მოსაპოვებლად აუცილებელია, რომ უძრავი ქონების ეკონომიკა საბოლოოდ იძლეოდეს დადებით და არა უარყოფით შედეგებს. ის ქვეყნები, რომელთა უძრავი ქონება წამგებიანი ხდება, არა მხოლოდ ეკონომიკურად ზარალდება, არამედ პოლიტიკური დაცემისა და მონობისაკენ მიექანება...".[1]უძრავი ქონება არის მრავალი სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინების შესწავლის ობიექტი. ესენია გეოგრაფია, არქიტექტურა, სამართალი, მიწათმოწყობა, აგრონომია, ეკონომიკა, მშენებლობა, სამთო-გეოლოგია, ინფორმატიკა, ფიზიკა, ენერგეტიკა, ქიმია და სხვ.

უძრავი ქონების ეკონომიკა ინტერდისციპლინარული საგანია. მისი შესწავლისას სტუდენტებმა უნდა იცოდნენ: 1) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან: ინფორმატიკა, ეკონომიკური გეოგრაფია და რეგიონალისტიკა, ბუნებითსარგებლობა, ბიოლოგია. საინჟინრო საგნებიდან: არქიტექტურა, მშენებლობა, სამთო, გეოლოგია, ფიზიკა, ენერგეტიკა; 3) ეკონომიკური საგნებიდან: უძრავი ქონების შეფასება, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი, ფინანსები, ფინანსური მენეჯმენტი; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ლიზინგი, მარკეტინგი, სტატისტიკა; 4) სოციალური საგნებიდან: სამოქალაქო სამართალი, ეკონომიკური ანალიზი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბირჟო საქმე, დაზღვევა, ინვესტირების საფუძვლები, ფსიქოლოგია, ფინანსური აღრიცხვა.

თანამედროვე პირობებში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და შესწავლა, ხოლო მათი ძირითადი ელემენტების ფორმირება ხდება დღეს. პირველ რიგში, ეს ეხება უძრავი ქონების სისტემის შესწავლას, რომლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულია ადამიანთა სიცოცხლე და საქმიანობა, ბიზნესის ნებისმიერ სფეროში.

უძრავი ქონების ცნება საქართველოში თითქოს არაა გამოკვლეული, თუმცა მისი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის დიდია. საქმე იმაშია, რომ სწორედ უძრავი ქონება წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების ცენტრალურ, საკვანძო ურთიერთობას. უძრავი ქონების ობიექტები არა მარტო მნიშვნელოვანი საქონელია, არამედ იგი კაპიტალიცაა, რომელსაც მოაქვს მოგება. კაპიტალის ჩადება მასში ესაა ინვესტირება უძრავ ქონებაში მოგების მიღების მიზნით. ცნობილმა ამერიკელმა მილიარდერმა უორენ ბაფეტმა 2007 წლის მსოფლიო კრიზისის დროს ერს მიმართა და ურჩია შეეძინათ რაც შეიძლება მეტი უძრავი ქონება და შემდგომში გაეყიდათ, რათა მოგება მიეღოთ. მას გული შესტკიოდა საკუთარი ხალხის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

უძრავი ქონება – ესაა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის საფუძველი, რომელსაც აქვს მასობრივი, სახალხო ხასიათი. უძრავი ქონების ეკონომიკის

1 ნიკო ნიკოლაძე. ფოთი. 1908წ.

შესწავლა ძალზედ აუცილებელია, როგორც წარმატებული სამეწარმეო საქმიანობისათვის ბიზნესის სხვადასხვა სფეროში, ასევე ცხოვრებაში, ნებისმიერი ოჯახის ყოფაცხოვრებაში და ცალკე აღებული მოქალაქეებისათვის. უძრავი ქონებაზე საკუთრება – თავისუფლების უპირველესი, დამოუკიდებლობისა და ადამიანთა ღირსეული თანაარსებობის მაჩვენებელია.

„უძრავი ქონების ეკონომიკის“ კურსი – ზოგადპროფილური ეკონომიკური დისციპლინაა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კადრების მოსამზადებლად ქართული უმაღლეს სასწავლებლებში, რომელიც დღეისათვის საერთოდ არ მზადდება. ქართული საგანმანათლებლო სისტემა ამ მიმართულებით ჩამორჩება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს. ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სადაც ამ მიმართულებით სპციალისტები მზადდება, რადგანაც აქ არსებობს უძრავი ქონების ეკონომიკაში სპეციალისტების მომზადებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები და მატერიალურ ტექნიკური ბაზა. ეკონომიკის პროგრამაში არსებობს შესაბამისი მოდული,სადაც 20 სტუდენტი სწავლობს.

უძრავი ქონების ობიექტები, ერთის მხრივ გამოდიან სტაბილური ბიზნესის გარანტად, ისინი ინარჩუნებენ და ზრდიან კაპიტლის ღირებულებას, ხოლო მეორეს მხრივ – მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის. სწორედ უძრავი ქონების ბზარი უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთებისა და რაც მასზე მყარადაა დამყარებული, გადასვლას, ეფექტური მესაკუთრეების ხელში და დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში საშუალო ფენის წარმოშობასა და განმტკიცებაში.

უძრავი ქონების კურსის საგანია – უძრავი ქონების ეკონომიკური, ორგანიზებული და სამართლებრივი ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებულია მოქმედ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებზე, ისინი არეგულირებენ უძრავი ქონების სხვადასხვა ობიექტებს და ატარებენ მათზე სამოქალაქო – სამართლებრივ გარიგებებს სასურველი კომერციული ან სოციალური შედეგების მისაღებად.

უძრავი ქონების კურსის შესწავლის ობიექტია – უძრავი ქონების ბაზარი, მისი სახეები და სეგმენტები, გარიგებების პრაქტიკული რეალიზაციის ნაწილი და უძრავი ქონების ობიექტების მართვა არსებული სამართლებრივ სივრცეში. იგი მოიცავს უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციების საბაზრო საფუძვლებს, მეთოდურ და ორგანიზაციულ-სამათლებრივ აქტებს მიწის ნაკვეთებზე სხვადასხვა გარიგებების განხორციელებისას, საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებზე, ტყის ფონდის ნაკვეთებზე დ სხვა ობიექტებზე.

უძრავი ქონების ეკონომიკის კურის შესწავლის შემდეგ სტუდენტებს ან დაინტერესებულ პირებს: ა) ეცოდინებათ უძრავი ქონების არსი, ფუნქციები, შინაარსი და ბაზრის ორგანიზება, უძრავი ქონების ობიექტების სხვადასხვა გარიგებების ორგანიზების ხელშეკრულების დადებისა და გადაწყვეტის წესები. ელიტური; ბ) ეცოდინებათ თანამედროვე კანონმდებლობა, მეთოდური, ნორმატიული და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები, რომელებიც აწესებენ რეგლამენტებს უძრავი ქონების ბაზარზე; გ) დაეფულება უძრავი ქონების სხვადასხვა ობიექტების საბაზრო ღირებულების შეფასების მეთოდებს; დ) ეცოდინება ხელშეკრულების სწორად გაფორმება უბრალო ქონების ოპერაციების დროს, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა და სხვა დოკუმენტების გაფორმება; ე) ეცოდინება ეთიკური და სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობას ადამიანებს შორის, ურთიერთობებს ადამიანისა და საზოგადოებას შორის, ადამიანისა და გარე სამყაროს შორის, გამოყენება ამ ცოდნის უძრავი ქონების ბაზარზე პრაქტიკული მუშაობის დროს; ვ) ეცოდინება უძრავი ქონების ობიექტების მართვის სხვადასხვა ვარიანტების შემუშავება, შეძლებს მათ შერჩევის დასაბუთებას სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმების მიხედვით.

უძრავი ქონების საგნის კვლევის მეთოდად გვევლინება საექსპერტო-ანალიტიკური, სტატის-ტიკურ, საანგარიშო-კონსტრუქციული და სამართლებრივი რეგულირება, ე.ი. ფორმების ერთობლიობა, მართვის ხერხებისა და საშუალებების გამოყენება სუბიექტებს შორის ურთიერთობების დამყარებისას.

უძრავი ქონების სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების მეთოდისათვის დამახასიათებელია შემდეგი მახასიათებლები: ა) სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეთა იურიდიული თანასწორობა; ბ) ქმედებების სხვადასხვა ვარიანტების შერჩევისა და მისი კანონის ფარგლებში მოქცევა; გ) სამოქალაქოს უფლებების დაცვა მისი აღიარების გზით, უწინდელი მდგომარეობის აღდგენა, მოვალეობის შესრულების დაძალება ნატურაში, წაგების აღიარება და სხვა; დ) სასამართლოში უფლების დაცვის თანამიმდევრობა.

უძრავი ქონების ეკონომიკის კურსის შესწავლით სტუდენტი ან ნებისმიერი დაინტერესებული პირი მიღებს ცოდნას, რომელსაც აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა ეკონომისტის ან იურისტის ფართო პროფილით მომზადებისათვის; აითვისებს ეკონომიკურ და სამართლებრივ კატეგორიებს, რომელიც აუცილებელია სხვა ფინანსურ-ეკონომიკური დისციპლინების შეწავლისათვის და ინვესტირების სფეროში პრაქტიკული საქმიანობისათვის. ჩამოყალიბება მეცნიერული და პრაქტიკული მსოფლმხედველობა, ეკონომიკური და სამართლებრივი კულტურა, უძრავი ქონების ბაზარზე და საყოფაცხოვრებო სიდიდეების სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები.

მაშასადამე, უძრავ ქონების შესწავლას

განსაკუთრებული ადგილი უკავია ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სიჭინავა ა., კოლუაშვილი პ., ეგიაშვილი დ., მესხისვილი ა., უძრავი ქონების ეკონომიკა (სახელმძღვანელო). გამომცემლობა "მერიდიანი", თბ., 2013 წ.

2.ბუცხრიკიძე გ.უძრავი ქონების ადმინისტრაციული მართვის პრინციპები. სახელმძღვანელო. გამომც."უნივერსალი" თბ., 2010 წ.

3.სიჭინავა ა. ტატიშვილი ლ.საინვესტიციო საქმიანობა უძრავი ქონების ბაზარზე. ჟურნ."ეკონომიკა",№ 1-2,2011 წ

რა ევროპული ღირებულებითი ორიენტირებია მნიშვნელოვანი ქართული ეკონომიკური მოდელისთვის

შოთა ვეშაპიძე, *ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,*
ნუგზარ ბაბუაძე, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
თამარ ლაგვილავა, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

ევროპული ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს ერთნაირად მიესადაგება, ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორიცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა.

ქართული კულტურის ისტორია, მისი თუნდაც ზედაპირული მიმოხილვაც კი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დასავლური ღირებულებები და ფასეულობანი, მათ შორის ფუნდამენტური - ადამიანის უფლება, არ იყო უცხო ქართული სამყაროსათვის და ამ მხრივ მათ შორის კონფლიქტი არასდროს არსებობდა.

ევროპული ღირებულებებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, უპირველესთა შორის აღსანიშნავია ქვეყნისათვის მსახურება, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა, პრაგმატულობა და რეალიზმი, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა და, ამასთან ერთად უცხოური დადებითი გამოცდილების უეჭველი გათვალისწინება.

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს.

იმისათვის, რომ აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გავართვათ თავი, ჩვენ გვჭირდება როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე ინდივიდებსა და საზოგადოებას და საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების განვითარება, როგორიცაა სოლიდარობა, ტოლერანტობა, ნდობა, ურთიერთგატანა, თანამშრომლობა, ანუ ჩვენ, გვჭირდება სოციალური კაპიტალის განვითარება, რაც, უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო სისტემის პრეროგატივაა. ამასთან ერთად უნდა დავძლიოთ ერთგვარი "ფიქრის დეფიციტი". უნდა დავძლიოთ სპონტანურობა, ემოციურობა, ახლომხედველობა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას და დავამკვიდროთ ანალიზი და შორსმჭვრეტელობა. მყისიერი ეფექტის ნაცვლად ხანგრძლივ შედეგებზე ორიენტირებულნი უნდა გავხდეთ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქვეყნის ჭეშმარიტ დემოკრატიულობას, რომელიც განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენად თავისუფალია პროტესტის გამოხატვის საშუალება, არამედ იმით, თუ რამდენად აქტიურია მმართველობის პროცესში მოსახლეობის თანამონაწილეობა. ჩვენ გვჭირდება მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის აქტიური დიალოგის ასპარეზის შექმნა.

უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შევუსაბამოთ ჩვენი ყოფითი და პოლიტიკური კულტურა და, საერთოდ, მისი ყველა ასპექტი, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სტანდარტებს. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის უმთავრესი ამოცანა თანამედროვე გლობალიზაციის ეტაპზე. კონკრეტულად როგორ უნდა გაკეთდეს ეს, აი, ესაა მთავარი. ამისათვის კი მზა რეცეპტები ნამდვილად არ არსებობს. საჭიროა, ერთობლივად შევეცადოთ, ზუსტად განვსაზღვროთ პრიორიტეტები, რა არის მნიშვნელოვანი, რა გზით უნდა წავიდეთ, დაიგეგმოს მიზანმიმართული აქტივობები.

Summary

What is the important European value orientation of Georgian economic model

European values owe universal character and it suits every the epoch, society and states equally due to those eternal values such as: individual independence, human dignity, the supremacy of the law and national and cultural originality.

The history of Georgian culture, even its brief review, clearly shows that western values and among them the fundamental one-the human right-was not strange for Georgian society and consequently no conflict existed in this society.

From the European values (by means of development of the values the Europeans acquired the leading positions), the most important is to serve to the country, to outline the interests of the nation, pragmatism and realism, to create national model of development and taking into consideration positive experience of foreign countries. In order to improve the living conditions of people, it is necessary to involve every citizen in the life of the country, to serve to the most important and unique value-each citizen.

In order to cope with this objective successfully we need to develop the following forms of relationship such

as solidarity, tolerance, trust, mutual understanding, collaboration between each individual, between the individuals and society, between the society and government that means we need to develop social capital which is the prerogative of educational system. At the same time we should cope with the "deficit of thinking", emotions, taking short sight decisions and implement analysis and long sight. We should be oriented on long term results instead of rapid results. We should reach democracy which will be defined not by that how freely a person can protest, but to show how actively the citizens are involved in the process of governing the country. We need to create an active dialogue between the government and the society.

The main objective is that we should connect our everyday and political culture to each other and generally, all its aspects to the standards of the modern civilized world. This is the main objective of our survival on the stage of modern globalization. How it can be done-this is the main point. No ready recipe exists for this, but we must define priorities and plan future activities.

* * * * * * * *

მიმდინარე წლის მაისში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ საქართველოს წინაშე მრავალი მნიშვნელოვანი ამოცანა დააყენა, რომელთაგან ერთ—ერთი უმთავ-რესი არის მიღებული დიდი შესაძლებლობების გამოყენება ქართული ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბების მიზნით.

ევროპულ და ევროატლანტიკურ ღირებულებებს ყველა ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ბუნებრივია, გვებადება კითხვები: რას ნიშნავს ევროპული ღირებულებები? რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ეროვნული ეკონომიკისთვის ამ ღირებულებათა განხორციელებას? შესაძლებელია თუ არა მისი სხვა ქვეყნებში დანერგვა, მაგალითად, საქართველოში? ეს კითხვები დღენიადაგ აინტერესებდათ საქართველოს დიდ მეფეებს, ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა სახელოვანი დინასტიების წარმომადგენლებს, ,,პირველ ევროპიელს'' სოლომონ დოდაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოძღვრებანი ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ არსებობს თუ არა ფენომენი ,,ევროპული ღირებულებები''? საერთოდ, უნდა ითქვას, რომ წმინდა სახით რაიმე ღირებულებანი არ არსებობს, მაგრამ ნებისმიერი ქვეყნის ღირებულებებში არის რაღაც ისეთი მარადიული, ტრადიციული, რომლის გამოც მათ უწოდებენ "ევროპულ", "ტრანსატლანტიკურ", "აზიურ", "რუსულ", "ქართულ" და ა.შ. ღირებულებებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ევროპული ღირებულებები, როგორიცაა: პიროვნული სინდისი, თავისუფლება, ერთობა, თანასწორობა, სამართლიანობა. სწორედ ამ ღირებულებებით ვაცნობიერებთ ჩვენ, თუ რა არის ჩვენთვის ევროპა. ევროპული ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს ერთნაირად მიესადაგება, ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორიცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა.

ქართული კულტურის ისტორია, მისი თუნდაც ზედაპირული მიმოხილვაც კი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დასავლური ღირებულებები და ფასეულობანი მათ შორის ფუნდამენტური - ადამიანის უფლება არ იყო უცხო ქართული სამყაროსათვის და ამ მხრივ მათ შორის კონფლიქტი არასდროს არსებობდა.

ნიკო ნიკოლაძე ევროპული ღირებულებებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, უპირველესთა შორის ასახელებდა ქვეყნისათვის მსახურებას, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, ჩვენთვის უცხო პრაგმატულობასა და რეალიზმს, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას და, ამასთან ერთად უცხოური დადებითი გამოცდილების უეჭველ გათვალისწინებას.

ღირებულებათა სისტემა, რომელმაც ახალი საზოგადოების შექმნას უნდა შეუწყოს ხელი, საქართველოში ჩამოყალიბებული ფორმით ჯერ კიდევ არ არსებობს. ევროპულმა ქვეყნებმა, გაიარეს რა საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა ქრისტიანობაზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემის დასამკვიდრებლად, შეძლეს მისი ჩამოყალიბება. ამით მათ შეძლეს შედარებით უმტკივნეულოდ გაეძლოთ ყველა სირთულისათვის და XXI საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც მოწინავე პოზიციებზე პირველები და ყველაზე ადრე დამკვიდრდნენ. ეს მათ, უპირველეს ყოვლისა, ღირებულებათა მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებამ მოუტანა. ვინაიდან ამ ქვეყნებმა ყველაზე უფრო ადრე შეძლეს ღირებულებათა ყველაზე ღირსეული, ჰუმანური და სამართლიანი სისტემის დამკვიდრება, ამ ღირებულებებს შეიძლება ევროპული ან ევრო-ატლანტიკური ღირებულებები ვუწოდოთ. სწორედ საერთო ღირებულებებს ეფუძნება მსოფლიოს ყველაზე უნიკალური ინტეგრაციული გაერთიანება — ევროპული კავშირი, სწორედ საერთო ღირბულებებმა ჩაუყარა საფუძველი ერთიან ევროპას, რაც 1952 წლის 25 მარტს რომის დეკლარაციით გაფორმდა. ევროპული ღირებულებები ნაკლებადაა დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან (მცირედითაც არ უგულებელყოფს, არ ხელყოფს მათ) და ცხოვრებისა და შრომის ყველაზე ეფექტურ მოდელად გვევლინება, უპირველესი, უმთავრესი ევროპული ღირებულებები კი დემოკრატიაა, სამართლებრივი სახელმწიფო და

სიტყვის თავისუფლებაა.

სისტემური სახით, სრულყოფილად ჩამოყალიბებული ღირებულებებისგან საქართველო ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა. გარკვეული გაგებით შეიძლება დავსვათ ასეთი კითხვა: ევროპამ ქრისტიანობაზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემა დაამკვიდრა, განა საქართველოც ამ ღირებულებებს არ ეფუძნება? მაშ, რაშია საქმე? რით განსხვავდება ღირებულებათა ქართული სისტემა ევროპულისგან, რომლისკენაც ჩვენ ნიადაგ მივისწრაფვით? ეს დაკავშირებულია ღირებულებათა სისტემის განხორციელებასთან, მასთან მიახლოების სიმწიფესთან, მისი სისრულის მიღწევასთან, რასაც საქართველოში წინ მრავალი გარემოება ეღობება. ამიტომ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ეს ხელისშემშლელი გარემოებები დავძლიოთ.

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს. ამ მიზნით საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე თავისი საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას ხალხისა და მთავრობის უპირველეს ამოცანებს შორის განსაზღვრა: 1. ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეული ადამიანი არის განუმეორებელი, უნიკალური უმაღლესი ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხალხის უმრავლესობის უკიდურეს გაჭირვებას უნდა დავაღწიოთ თავი; 2. საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტიების განვითარება. უნდა დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა და აღვადგინოთ სამართლიანობა ქვეყანაში. არც ერთი დანაშაული, თუ ის მტკიცებულებებით იქნება გამყარებული, არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. ყველამ, ვისაც უკანონობაში ექნება მონაწილეობა მიღებული, პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე – მხოლოდ კანონისა და სასამართლოს ძალით. შესწავლილი უნდა იქნეს საკუთრების უფლების ტოტალური დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება, აგრეთვე, საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული "ელიტარული კორუფციის" მასშტაბები და უნდა შემუშავდეს მათი აღმოფხვრის მექანიზმები; 3. ქვეყანამ უნდა განახორციელოს ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით და მთავრობის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს საქართველოს მოსახლეობის მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს. ამისათვის სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში აქტიურად უნდა იქნენ ჩამბული მოქალაქეები და სწორედ ეს უნდა გახდეს მთავრობის მუშაობის საფუძველი [6, გვ. 2-3).

ოცდამეერთე საუკუნემდე საქართველომ ურთულესი გზა გაიარა. ქვეყანა ბევრჯერ სასწაულებრივად გადარჩა. ამ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში ერმა თავისი გადარჩენის მარადიული ღირებულებანი ჩამოაყალიბა. ჩვენი გადარჩენის ერთადერთი სწორი გზა, როგორც ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით დასტურდება, არის ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების გაძლიერება. ამასთანავე, გლობალური ფაქტორის გათვალისწინებაც არ უნდა დაგვავიწყდეს. გარე სამყაროსთან სრულფასოვანი ინტეგრირება ჩვენი და საერთოდ ყველას განვითარების აუცილებელ პირობად იქცა. ამიტომ ჩვენ გვჭირდება ღირებულებათა ზომიერი ცვლილება. ეს კი, ერთი მხრივ, შეუძლებელია სათანადო ეროვნულ ფუნდამენტზე დაფუძნების გარეშე, მეორე მხრივ კი, ფუნდამენტი გლობალიზაციით განპირობებული აუცილებელი ცვლილების გარეშე ყოველთვის მყარად ვერ იქნება. ჩვენ გვჭირდება ეროვნულ ფასეულობათა ჰომოგენიზაცია. სოციალური პოლიტიკის დოქტორი, გიორგი შაქარიშვილი, 2008 წლის 2 თებერვალს ჟენევიდან გამოგზავნილ წერილში სამართლიანად აღნიშნავდა: "საქართველოს ისტორიის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის დასანახავად, თუ რაოდენ მრავალფეროვანია სხვადასხვა იდეოლოგიების, ცივილიზაციების და კულტურების ზეგავლენა ქართულ საზოგადოებაზე. ბიზანტიური წიაღიდან აღმოცენებული მართლმადიდებლური ქრისტიანული ბაზისი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა არაბულ და მონგოლურ, შემდგომ ისლამურ ზეგავლენას, რასაც მოჰყვა ცარისტული რუსეთის საშუალებით ევროპულ კულტურასთან ზიარება, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ისტორიული თვალსაზრისით ხანმოკლე, მაგრამ ძლიერად თავსმოხვეული საბჭოთა იდეოლოგიით. ბუნებრივია, ზეგავლენათა ამგვარ დინამიზმს არ შეეძლო არ გამოეწვია საზოგადოებრივ ფასეულობათა ჰეტეროგენიზაცია, რის შედეგადაც დღევანდელი რიგითი ქართველი, თავისი კულტურული, ტრადიციული თუ ზნეობრივი ფასეულობების მიხედვით, არის ერთგვარი ჰიბრიდი, რომელშიც ტრადიციული ქართული ზნეებუნებრივი თვისებები სხვადასხვა დოზით არის შეზავებული აღმოსავლური კონსერვატიზმით, ევროპული ლიბერალიზმით და საბჭოთა ვერტიკალიზმით. ყოველ ამ ფასეულობას შესაბამისი საზოგადოებრივი ქცევითი გამოხატულება ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ ფასეულობათა სხვადასხვა ტიპები ერთმანეთთან უკუქმედებით დამოკიდებულებაში იმყოფება, რაც საზოგადოებრივ ქცევით გამოსავალს არაპროგნოზირებად და რთულად საინტერესოს ხდის. ყოველივე ამის ფონზე, ალბათ, სასურველია ამ ფასეულობათა მეტ-ნაკლები ჰარმონიზაცია, რომლის ერთადერთი სწორი გზა ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების გაძლიერება იქნებოდა. ამავე დროს, წარმოვადგენთ რა დღევანდელი თანამედროვე სამყაროს განუყოფელ ნაწილს, ალბათ, ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენს ტრადიციულ საზოგადოებრივ ფასეულობაში არსებული რომანტიკულ-ემოციური დომინანტის ზომიერი დაბალანსება თანამედროვე

გლობალისტურ-პრაგმატული კომპონენტითაც, რაც დაგვეხმარება გარესამყაროსთან სრულფასოვან ინტეგრირებაში და თანამშრომლობაში, ეს კი ქვეყნის განვითარების და წარმატების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს [7, გვ.4].

იმისათვის, რომ აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გავართვათ თავი, ჩვენ გვჭირდება როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე ინდივიდებსა და საზოგადოებას და საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების განვითარება, როგორიცაა სოლიდარობა, ტოლერანტობა, ნდობა, ურთიერთგატანა, თანამშრომლობა, ანუ ჩვენ, გვჭირდება სოციალური კაპიტალის განვითარება, რაც, უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო სისტემის პრეროგატივაა. ამასთან ერთად უნდა დავძლიოთ ერთგვარი "ფიქრის დეფიციტი". უნდა დავძლით სპონტანურობა, ემოციურობა, ახლომხედველობა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას და დავამკვიდროთ ანალიზი და შორსმჭვრეტელობა. მყისიერი ეფექტის ნაცვლად ხანგრძლივ შედეგებზე ორიენტირებულნი უნდა გავხდეთ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქვეყნის ჭეშმარიტ დემოკრატიულობას, რომელიც განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენად თავისუფალია პროტესტის გამოხატვის საშუალება, არამედ იმით, თუ რამდენად აქტიურია მმართველობის პროცესში მოსახლეობის თანამონაწილეობა. ჩვენ გვჭირდება მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის აქტიური დიალოგის ასპარეზის შექმნა.

შვეიცარიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე გიორგი კავკასიძე აღნიშნავს, რომ დიდი განსხვავება არსებობს დასავლურ და ჩვენს ღირებულებათა სისტემასა და აზროვნებაში. განსხვავება ის არის, რომ დასავლეთში ყოველი მოქმედება არის შედეგზე ორიენტირებული, ჩვენთან კი პრინციპზე, ჩვენ ნეგატიურები ვართ, დასავლელები კი პოზიტიურები არიან. ჩვენთან შედარებით დასავლელები უფრო პირდაპირები და გულახდილები არიან; ჩვენში კანონის უპატივცემულობა და უდისციპლინობაა, დასავლეთში კი კანონისადმი ღრმა მოწიწება და მორჩილება. ვინაიდან ამის ძირითადი მიზეზი არის განსხვავება ფასეულობებში, უნდა მოხდეს დასავლური ფასეულობების სინთეზირება ჩვენს კულტურასთან, ყოფასთან, ცხოვრების წესთან.

საქართველო ევროატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყანაა. ქართული საზოგადოება თითქმის ერთხმად ეთანხმება ქვეყნის დასავლურ კურსს. ამიტომ, ამასთან ერთად, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა: ხომ არ დავკარგავთ ამით ჩვენს ღირებულებებს? როგორც ია ანთაძე აღნიშნავს: "საზოგადოების ცნობიერებაში ყველაზე ხშირად ეჭვები ეროვნულ თვითმყოფადობასთან დაკავშირებით ჩნდება: ხომ არ ემუქრება საფრთხე ქართულ ტრადიციებს? ხომ არ კნინდება მრავალი თაობის მიერ აღიარებული ღირებულებები? განსაკუთრებით ხშირად ისმის პროტესტი ტელეპროდუქციასთან დაკავშირებით: "ამდენი სისხლის ჩვენება შეუძლებელია!", "სერიალების მორალი ღუპავს ახალგაზრდებს!", "ჰოლივუდის ფილმები ძალადობის კულტს ამკვიდრებს!" [1, გვ.5].

ამ კითხვებზე გონივრული პასუხი ის არის, რომ "თუ საქართველოში ღირებულებები იცვლება, აგრესიის დონე იზრდება, ან ტრადიციები იკარგება, ამის მიზეზი საკუთარ ოჯახებსა და გარემოში უნდა მოვიძიოთ; თუ კულტურის როლი დაკნინებულია ან მეცნიერები თავს ზედმეტად გრძნობენ, პასუხი ჩვენსავე საზოგადოებას და ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ. ევროპული ინტეგრაცია ქვეყნის თვითმყოფადობას საფრთხეს არ უქმნის, ამას ევროკავშირის ძველი თუ ახალი წევრი — სახელმწიფოების გამოცდილება ადასტურებს. ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშს თუ რამე საფუძველი აქვს, ეს საფუძველი საკუთარ თავშია საძიებელი და არა ევროპაში" [1, გვ.5].

ეს სამართლიანი მინიშნება მოითხოვს იმას, რომ თუ გაქვს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ამბიციები, უნდა შეიძინო სათანადო ამუნიციებიც, ანუ შეცვალო შენი ღირებულებები, ისე, როგორც ევროკავშირის ქვეყნებმა შეცვალეს. ისინი ისე ამაღლდნენ საერთო ევროპულ ღირებულებებემადე, ისე მოახდინეს ერთმანეთთან ინტეგრაცია, რომ თავიანთი თვითმყოფადობა, მარადიული ღირებულებანი და ტრადიციები კი არ დაუკარგავთ, არამედ სწორედ ამ ინტეგრაციის საფუძველზე შეინარჩუნეს და განამტკიცეს კიდევაც ისინი. ხოლო იმისათვის, რომ ევროპულ ღირებულებებამდე ავმაღლდეთ, გავხდეთ მისი ორგანული ნაწილი, მხოლოდ იურიდიულად ევროკავშირში ან ნატოში მიღებით ამას ვერ მივაღწევთ, ვერ გავხდებით მისი რეალური ნაწილი. როგორც იტყვიან: "ყოფითი კულტურით დაწყებული — რაც სულ მცირე, საკუთარი ნაგვის მოვლაში უნდა გამოიხატოს და პოლიტიკური კულტურით დამთავრებული — რაც ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლის თუნდაც ერთი პრეცედენტით უნდა დადასტურდეს - ევროპამდე, ჩანს, შორი და რთული გზა გვაქვს გასავლელი..." [1, გვ.5].

ამიტომ უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შევუსაბამოთ ჩვენი ყოფითი და პოლიტიკური კულტურა და, საერთოდ, მისი ყველა ასპექტი, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სტანდარტებს. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის უმთავრესი ამოცანა თანამედროვე გლობალიზაციის ეტაპზე.

მაინც სად უნდა ვეძიოთ სათავე ღირებულებათა გასრულყოფილებისა? ზოგადად თუ ვიტყვით, საჭიროა ღირებულებათა სწორი სისტემა ჩამოყალიბდეს, მაგრამ კონკრეტულად როგორ უნდა გაკეთდეს ეს, აი, ესაა მთავარი. ამისათვის კი მზა რეცეპტები ნამდვილად არ არსებობს. ერთობლივად შევეცადოთ ზუსტად განვსაზღვროთ პრიორიტეტები, რა არის მნიშვნელოვანი, რა გზით უნდა წავიდეთ, დაიგეგმოს მიზანმიმართული აქტივობები.

სწორედ ასეთ მიდგომებს ითვალისწინებს ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულებაში

ჩამოყალიბებული ევროპული კავშირის მიზნები და ფასეულობები. ლისაბონის ხელშეკრულება მკაფიოდ ადგენს ეკ-ის მიზნებს და მის სწრაფვას მშვიდობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამართლიანობის, თანასწორობის, კანონიერების და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ამ ხელშეკრულების შესაბამისად ეკ-მა უნდა:

1. უზრუნველყოს თავისუფლების, უსაფრთხოების და სამართლიანობის ზონათა არსებობა შიდა საზღვრების გარეშე;
2. ხელი შეუწყოს ევროპის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ეკონომიკის დაბალანსებული ზრდის და ფასების სტაბილურობის, ასევე მაღალ-კონკურენტული სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე, გარდა ამისა, სწრაფვით სრული დასაქმებისა და სოციალური პროგრესისკენ, გარემოს დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისკენ;
3. იბრძოლოს სოციალური იზოლაციის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ამასთანავე ხელი შეუწყოს სოციალური სამართლიანობის და დაცვის უზრუნველყოფას;
4. ხელი შეუწყოს ეკ-ის წევრი-ქვეყნების ეკონომიკურ, სოციალურ და ტერიტორიულ მთლიანობას და მათ შორის სოლიდარულობას;
5. ისწრაფოდეს მტკიცე ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნისკენ, რომელიც გამოიყენებს ევროს ვალუტის სახით;
6. იცავდეს ეკ-ის ფასეულობებს და ხელს უწყობდეს მათ გავრცელებას მთელ მსოფლიოში, აგრეთვე ინარჩუნებდეს მთელ მსოფლიოში მშვიდობას, უსაფრთხოებას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, ასევე ნერგავდეს სოლიდარობას და პატივისცემას ადამიანებს შორის, ამასთანავე მხარს უჭერდეს თავისუფალ და პატიოსან ვაჭრობას, სიღატაკის აღმოფხვრას;
7. უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებათა დაცვას, განსაკუთრებით ბავშვთა უფლებების, აგრეთვე – საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვასა და განვითარებას, მათ შორის გაერო-ს წესდების პრინციპთა პატივისცემას;
8. ასეთია მისი ძირითადი მიზნები. ლისაბონის ხელშეკრულება დაიდო იმისთვის, რომ ეკ-ს მისცეს სახსრები (საშუალებები) მათ მისაღწევად.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ როგორც საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნავს: „საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებით ხელისუფლების ცვლილების პრეცედენტის შექმნით ჩვენ შევძელით სახელმწიფოებრივი განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე გადასვლა. დასრულდა პოსტსაბჭოთა პერიოდი და დაიწყო თანამედროვე ტიპის დემოკრატიის მშენებლობა, რითიც ახალი, ევროპული ტიპის პოლიტიკურ კულტურას დავუდეთ სათავე.

რა პოზიციებიც არ უნდა ჰქონოდათ მოქალაქეებს არჩევნების დროს, ჩვენ ყველას გვაერთიანებს საერთო მიზანი - მშვიდობიანი, გაერთიანებული, დემოკრატიული, განვითარებული და ლაღი საქართველო.“[9].

საქართველოს პრეზიდენტის სიტყვაში ხაზგასმულია, რომ ამ მიზნის მისაღწევად ჩვენმა ქვეყანამ განუხრელად უნდა იზრუნოს დემოკრატიული მმართველობის ტრადიციის დამკვიდრებისთვის, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებისთვის, ქვეყნის მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ეკონომიკურ წინსვლაზე, თითოეული ადამიანის კეთილდღეობისა და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნაზე, საქართველოს დემოკრატიულ და მშვიდობიან განვითარებაზე, ყველა მოქალაქისთვის კეთილდღეობის, ეთნიკური, კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და პოლიტიკური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტიებზე, დევნილებისა და ლტოლვილების უპირობო, უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებაზე მათ საკუთარ სახლებში, მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფასა და უფლებათა დაცვაზე.

დაბოლოს, ჩვენი სტატია გვინდა დავამთავროთ ილია ჭავჭავაძის სიტყვების პერიფრაზით იმის თაობაზე, რომ ჩვენთვის ევროპული ღირებულებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ,,ევროპიული განათლება და მეცნიერება'', ,,ევროპიული მმართველობა, წესი და რიგი'' და ყველაფერი ევროპული კულტურის მინაღწევარი, რაც ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და პროგრესს ხელს შეუწყობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთაძე ი. რა მანძილია ევროპამდე? “24 საათი”, ¹123 (1567), 2007.
2. ვეშაპიძე შ. კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები. ელექტრონული, nplg.ge, ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი, 2012.
3. ვეშაპიძე პ. თავისუფალი პრესის არარსებობა ტირანიაა, “24 საათი”, ¹121 (670), 24 მაისი, 2004.
4. ივანიშვილი ბ. საქართველოს პრემიერ მინისტრობის კანდიდატის საპროგრამო სიტყვა. “საქართველოს რესპუბლიკა”, ¹206 (7082), პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2012.
5. კავკასიძე გ. რა უნდა შეიცვალოს საქართველოში? „24 საათი“, 2009 წლის 15 აპრილი, ¹83 (2121).
6. ფანასკერტელ-ციციშვილი ო. ლიბერალიზმი — სამყაროს გადამრჩენი, თუ – პირიქით. “საქართველოს რესპუბლიკა”, ¹130, 13 ივლისი, 2010.
7. ღოღობერიძე ლ. 800 მილიონი ევროპელის ევროპა „24 საათი“, ¹97, 2005 წლის 29 აპრილი.
8. შაქარიშვილი გ. საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა: მასმედიის როლი ეროვნულ მშენებლობაში “24 საათი”, 12 თებერვალი, 2008 წ., ¹31.
9. news.ge პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის საინაუგურაციო სიტყვა.17.11.2013.

ძიებები მარკეტინგის განვითარებისთვის ჯანდაცვის სფეროში (საკურორტო მეურნეობის მაგალითზე)

მერაბ გველესიანი, სტუ-ს პროფესორი
ნათან თაფლიაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

Summary

Finding ways of marketing development in the health sector (Example: resort economy)

The article refers to the following reasons for requiring special attention of the government to health care: The social functions of the industry, its high rate of growth, deepening differentiation of its product, information asymmetry among patients, doctors, insurance companies and others. The article raises the question about the use of government, international and consumer marketing in this industry at the example of the resort health care, in which Georgia has unique healing natural resources. According to the authors, the solution to this problem requires governmental and intergovernmental efforts and, first of all, making of disease mapping and related resort resources.

Резюме

Поиски путей развития маркетинга в сфере здравоохранения (на примере курортного хозяйства)

К причинам, требующим особое внимание правительства к здравоохранению, в статье отнесены: социальные функции этой отрасли, высокие темпы её роста, углубление дифференциации её продукта, асиммитричность информации в средах пациентов, докторов и страховых компаний и др. Поставлен вопрос об использовании правительственного, международного и потребительского маркетинга в этой отрасли на примере курортного медицинского обслуживания, в сфере которого Грузия располагает уникальными лечебными природными ресурсами. По мнению авторов, решение этой проблемы требует правительственных и межправительственных усилий и, прежде всего, по составлению карт заболеваемости и соответствующих курортных ресурсов.

* * * * * *

ბოლო ათწლეულებში ჯანდაცვის ეკონომიკის მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა კითხვა, რამდენად არის ჩართული სამედიცინო მომსახურება საბაზრო წრებრუნვაში და რა ტემპით იზრდება ეს ჩართულობა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამოცანამ იგი ბუნებრივად და კანონზომიერად წამოსწია წინ. მაგრამ სწორი არ იქნებოდა მის გამო ყურადღება მოგვეკლო სამედიცინო მომსახურების როგორც საზოგადოებრივი საქონლის (საზოგადოებრივი სიკეთის) სოციალური ფუნქციებისთვის, რომლებიც საზოგადოების მხრივ ამ სფეროს რეგულირებას ითხოვენ.

პროცესები კი პოსტსაბჭოთა ხანაში სწირედ ამ არასწორი გზით ვითარდებოდა: სახელმწიფო თითქოს გაურბოდა პასუხისმგებლობას ჯანდაცვაზე და იცილებდა მისი რეგულირების ფუნქციებს. მხოლოდ ბოლო წლებში ჯანდაცვაში განხორციელებულმა რეფორმამ შეცვალა მიდგომა, მაგრამ ჯერ წინაა დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მისი უზრუნველყოფა საჭირო ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით. ცხადია, ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მთავრობას, რომელიც უნდა დაეყრდნოს მეცნიერულ გამოკვლევებსა და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს. ჩვენი მიზანია შევქმნათ ერთი წინაპირობა ასეთი საქმიანობისთვის მარკეტინგის განვითარების ასპექტით.

ჯანდაცვის სფეროს პრობლემების აქტუალობას მხოლოდ მისი სოციალური ფუნქციები არ განაპირობებენ. იგი უკავშირდება დარგის სწრაფ ზრდასაც, რომელიც ახსნას ითხოვს. ამას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ნობელიანტმა პოლ სამუელსონმა და ვილიამ ნორდჰაუსმა ჯანდაცვის წინააღმდეგობრივ პრობლემებს ცალკე მოზრდილი ქვეთავი დაუთმეს. ეკონომიკის სახელმძღვანელოში[1], რაც უჩვეულო შემთხვევაა ეკონომიკის ზოგადი კურსისათვის: ზოგადი კურსი ხომ ცალკე დარგების ანალიზს კი არ აერთიანებს, არამედ მათ საერთო ნიშნებსა და განვითარების საერთო კანონზომიერებებს ადგენს.

ქვეთავში ავტორები მოგვითხრობენ დისკუსიაზე, რომლის ფონზე 1993 — 94 წლებში აშშ - ში განხორციელდა ჯანდაცვის მათი აზრით წარუმატებელი რეფორმა. დისკუსიაც და თვით რეფორმაც იყო სწორედ ამ დარგის ჰიპერტროფიული ზრდის გამოძახილი: სამედიცინო მომსახურებაზე მომხმარებელთაგან გაწეული ხარჯის ხვედრიწონამ აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტში 14% - ს მიაღწია და დაახლოებით 7-ჯერ გადაამეტა ქვეყნის თავდაცვაზე გაწეულ ხარჯს. საკითხთან - რამდენად არის გამართლებული ასეთი ზრდა - ერთად იშვა საკითხი, რამე ხომ არ იღონოს ხელისუფლებამ პროცესის დასარეგულირებლად. დისკუსიისა და რეფორმის წარუმატებლობაზე ავტორთა საუბარი

1 ix.: Пол Самуэльсон А., Нордхаус Вильям Д., Москва. Лаборатория базовых знаний. 2000. Стр. 330 – 337).

და ჯანდაცვის წინააღმდეგობრიობის მათეული ანალიზი, ვფიქრობთ, თეორიულ საფუძველს უქმნის ამ სფეროსთვის ახალი მექანიზმების ძიებას. რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს ზრდის მიზეზებს, ავტორები გამოყოფენ სამს. ესენია: სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა (1), ამ სფეროს ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება (2) და ფასისგან მომხმარებლის მზარდი იზოლაცია (3). ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ სამედიცინო მომსახურების ღირებულების დიდ ნაწილს იხდის მესამე პირი - სახელმწიფო ან კერძო მზღვეველი და მომხმარებელს ფასი დიდად აღარ აინტერესებს. როცა ფასს იგი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, მართლაც რიღასთვის შეიწუხებს თავს მომჭირნე მოხმარებაზე ფიქრით და ეს ხელოვნურად ზრდის მოთხოვნას. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ფასისგან იზოლაცია“ მოსახლეობის ღარიბ ფენებს, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილოს პირველი რიგის მოთხოვნილება, რომელიც დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა „მესამე პირის“ ჩაურევლობის შემთხვევაში.

უთუოდ იმსახურებს ცალკე გამოკვლევას, რამდენად გაზარდა ამ მესამე ფაქტორმა საქართველოში მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევის შემოღების მომდევნო პერიოდში და, საერთოდ, რა გავლენას ახდენს იგი ამ სიკეთის რაციონალურ მოხმარებაზე, ფასებზე და ა.შ., მაგრამ ჩვენი ძიების კუთხით უფრო მნიშვნელოვანია პირველი მიზეზი და კიდევ უფრო მეტად - მეორე.

დარგის სწრაფი ზრდა უწინარესად იმაზე მეტყველებს, რომ თავიანთი შემოსავლის ზრდისას შინამეურნეობები ნაზრდის მეტსა და მეტ ნაწილს ჯანმრთელობას ახმარენ. მოთხოვნის ზრდა აძლევს ბიძგს ტექნოლოგიების განვითარებას, ხოლო ახალი ტექნოლოგიები - დიაგნოსტიკა-მკურნალობისა ქირურგიის ახალი ტექნიკური თუ ცოდნისმიერი მეთოდ-საშუალებები აჩენენ ახალ მოთხოვნილებებსა და ახალ მოთხოვნას. ძლიერი სახელმწიფოები დიდ თანხებს ახმარენ ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების შექმნას, რომლებსაც შემდეგ სხვა ქვეყნებიც იძენენ. ნოვაციები იწვევენ სამედიცინო მომსახურების დიფერენციაციას არა მარტო ამ პროდუქტის (ამ მომსახურების) ახალი სახეობებისა და ნაირსახეობების წარმოშობით, არამედ იმითაც, რომ მათ ზოგი ორგანიზაცია სწრაფად და კარგად ითვისებს, ზოგი - ნელა და ცუდად ან სულაც უარს ამბობს მათ გამოყენებაზე და ძველ ტექნოლოგიებს სჯერდება. ეს დიდად არის განპირობებული იმით, რომ თეორიული სამედიცინო ცოდნის მარაგი, რომელიც თვითონ არის ტექნოლოგიათა განუყოფელი ნაწილი მისი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევებთან ერთად, კიდევ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დარგი.

სამედიცინო მომსახურების სახეობათა დიფერენციაცია დღეს ისე შორს წავიდა, რომ ნებისმიერი პოტენციალის ქვეყანას გაუძნელდება მიაღწიოს ლიდერობას ერთდროულად მისი ყველა სახეობის მიხედვით. მოთხოვნის ზრდასთან ერთად ეს იწვევს საერთაშორისო სამედიცინო ტურისტული ნაკადების ზრდას. მით უფრო მნიშვნელოვანია დარგის განვითარების სამთავრობო რეგულირება, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს პრიორიტეტული ქვედარგების, როგორც სტრატეგიული ორიენტირების, გამოყოფა. ესეც უთუოდ არის ცალკე კვლევის საგანი, მაგრამ უეჭველია, რომ ამ ქვედარგთა შორის საქართველოში უწონარესად საკურორტო სამედიცინო მომსახურება მოიაზრება, რადგან ქვეყანა უნიკალურ სამკურნალო ბუნებრივ რესურსებს ფლობს.

საკურორტო სამედიცინო მომსახურება თავის მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული ბევრ სხვა დარგთან, უწინარესად ტურიზმთან, სასტუმრო მეურნეობასთან, აგრეთვე, სოფლის მეურნეობასთან, ტრანსპორტთან და ა.შ. მათთან კავშირებით იგი წარმოქმნის საკურორტო - ტურისტულ მეურნეობას. ეს ერთერთია იმ დარგთაგან, რომელთაც გასული საუკუნის 90 - იანი წლების საქართველოში სხვა დარგებზე მკვეთრი დაცემა განიცადეს, რაშიც დიდი როლი ითამაშა საბჭოური ორგანიზაციულ - მმართველობითი სტრუქტურების მოშლამ და კავშირების გაწყვეტამ. შემდეგ მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, მაგრამ პროცესები ცალმხრივად განვითარდა - ნაკლებად შეეხო საკურორტო სამედიცინო მომსახურებას. ანუ ქვეყნის საკურორტო პოტენციალის უდიდესი ნაწილი გამოუყენებელი დარჩა, გარკვეულ ნაწილს კი იყენებს „ველური’ წესით ჩამოსული ტურისტი და ამ შემთხვევაში ძნელია განსაზღვრო სამკურნალო ბუნებრივი რესურსების ეფექტიანობა როგორც მისთვის პირადად, ისე ქვეყნისათვის.

მარკეტინგი გვესახება იმ საშუალებად, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ პოტენციალის ამოქმედებასა და მისთვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვაში. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული, ჯერ კიდევ ცალკეული შტრიხებით მოხაზული მექანიზმი მხოლოდ ამ სფეროში კი არ იქნება გამოსადეგი, არამედ სამედიცინო მომსახურების სხვა სფეროებშიც. ზოგადად თუ ვიტყვით, იგი მდგომარეობს იმაში, რომ ჯანდაცვის წინააღმდეგობრივ პრობლემათა გადასაწყვეტად მოვიშველიოთ მომხმარებლის, სამთავრობო და, აგრეთვე, საერთაშორისო მარკეტინგი მათი ელემენტების შეწყვილებით მიმწოდებლის მარკეტინგთან.

რა პირობები ამზადებს ასეთი მარკეტინგული „ჰიბრიდის“ შექმნას, რისთვის გჭირდება იგი? და თუ მთავრობის როლი ასე თუ ისე კიდევ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რისთვის გვჭირდება მომხმარებლის მარკეტინგი? გვჭირდება იმისთვის, რომ მომხმარებელმა შეძლოს სწორი არჩევანის გაკეთება მიმწოდებელთა შორის ანუ იმისთვის,

რომ იგიც მოგებული დარჩეს და მისმა არჩევანმა წარმოაჩინოს უკეთესი მიმწოდებელიც, რათა საბოლოო ანგარიშით მოგებული დარჩეს მთელი საზოგადოება. მარკეტინგი, ზოგადად თუ ავიღებთ, არ არის მეთოდი მომხმარებლის მოტყუებისა და „წყალქვეშა“ ან თუნდ „წყალზედა“, მაგრამ არაეთიკური პრინციპებით კონკურენტის დამარცხებისა. ასეთად მას აქცევს მომხმარებლის მარკეტინგის განუვითარებლობა. ხოლო განუვითარებელია იგი მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ინფორმაციის ასიმეტრიულობის გამო. გაფანტული, გათითოკაცებული მომხმარებლისათვის ინფორმაციის წყარო ხშირად მხოლოდ რეკლამაა და მას უჭირს განსაზღვროს, რომელ მიმწოდებელს მიაკითხოს - ვინც აცხადებს, რომ ლიდერია - ვთქვათ, ფარმაციის ბაზარზე, - თუ ვინც ამავე ბაზრის ლიდერთა შორის ლიდერად აცხადებს თავს. მეორე წყაროა მოარული ხმები მომსახურების დონის შესახებ, რომელთა მოსმენა შესაძლებელია ახლობელთა ან ახლობლის ახლობელთა წრეებში.

პ. სამუელსონი და ვ. ნორდჰაუსი ჯანდაცვის ერთერთ პრობლემად სწორედ ინფორმაციის ასიმეტრიულობას ასახელებენ და აღწერენ სიტუაციას, როდესაც პაციენტი საერთოდ არის მოკლებული არჩევანის შესაძლებლობას. მსგავს სიტუაციებში მიმწოდებელი ასრულებს მომხმარებლისთვის მკურნალობისა თუ ქირურგიის მეთოდ - საშუალებათა შერჩევის ფუნქციას,

რაც, ავტორთა მოწმობით, არ გამორიცხავს არასწორი გზის განზრახ თავსმოხვევას. ეს მეთოდ-საშუალებები, ცხადია, ექიმმა უნდა შესთავაზოს პაციენტს, ოღონდ საჭიროა პაციენტის დაცვის მექანიზმებიც, რომელთა საფუძველიც უნდა შექმნას არჩევანის შესაძლებლობამ მთავრობის მიერ მოკვლეული და სისტემატიზებული ინფორმაციის ვარიანტებიდან. თუ მიმწოდებლისათვის მარკეტინგული საქმიანობის ამოსავალი და ფუძემდებლური ეტაპი მომხმარებლის საჭიროებათა გაგებაა, მომხმარებლისათვის ასეთი ეტაპი უნდა იყოს მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაგება, რასაც იგი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს.

„ჰიბრიდული“ მარკეტინგი არ უნდა გავიგოთ როგორც სამთავრობო მარკეტინგის შერწყმა ორგანიზაციების მარკეტინგთან ამ უკანასკნელის შეზღუდვის გზით. არც მომხმარებელს ეზღუდება პარალელური მარკეტინგული მოკვლევის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოისურვებს იგი ამის გაკეთებას თუ სამომხმარებლო საზოგადოების მეშვეობით. პირიქით, სამთავრობო მარკეტინგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მათს ამ საქმიანობას იმ ინფორმაციის მიწოდებით, რომლის მიწვდომა მათ უძნელდებათ. ასეთი პრაქტიკა ხომ დღესაც არსებობს: ნებისმიერი სუბიექტისთვისაა ხელმისაწვდომი სამთავრობო სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ხშირად ამოსავალი მარკეტინგული ინფორმაციის როლს ასრულებს. მაგრამ სამთავრობო მარკეტინგის მისია ამით არ შემოიფარგლება. ეს ინფორმაცია თვით მთავრობისთვისაა საბაზისო თავისი მარკეტინგული საქმიანობის შემდეგი ეტაპისთვის: მან ხომ ამ საფუძველზე ჯანდაცვისა და შესაძლოა, აგრეთვე, სხვა დარგების განვითარების პროგრამები უნდა შეიმუშაოს. სწორედ მთავრობის ეს მარკეტინგული პროდუქტი (პროგრამები) შეერწყმება ორგანიზაციების მარკეტინგულ პროგრამას, რადგან პროგრამებში ასახული იქნება ამ საქმიანობის პირობებზე მოქმედი ინსტრუმენტ—მექანიზმები (ვთქვათ, ნოვაციების სტიმულირება, საგადასახადო შეღავათები და ა.შ.), რომლებიც დარგის განვითარებას საზოგადოების ინტერესების მიხედვით წარმართავს. მთავრობის ეს მარკეტინგული პროდუქტი შეერწყმება მომხმარებლისეულ მარკეტინგულ მოკვლევასაც — სისტემატიზებული (ადვილად ასარჩევი) სახით მიაწვდის მას მის მიერ დამოუკიდებლად გასააზრებელ ფართო ინფორმაციას მიმწოდებელთა შედარებითი ანალიზისათვის და გაუადვილებს მას არჩევანის გაკეთებას.

ვვარაუდობთ, რომ სამთავრობო და ქვეყნის სუბიექტების მარკეტინგულ საქმიანობათა შერწყმა სხვა ფორმითაც მოხდება. მთავრობამ უნდა დაიყვანოს ეს პროდუქტი მის მომხმარებლამდე ანუ, ვთქვათ, პროგრამები დაიყვანოს ჯანდაცვის ორგანიზაციებამდე და სამედიცინო მომსახურების მომხმარებლებამდე, რაც აამაღლებს მათი მარკეტინგული აზროვნებისა და საქმიანობის დონეს ანუ განავითარებს თვით მარკეტინგს. ამ პროცესში მოსალოდნელია გამოვლინდეს დაცილება საზოგადოებრივ (სამთავრობო), კოლექტივებისა და ინდივიდების ინტერესთა შორის და მთავრობის მარკეტინგული საქმიანობის ერთერთი ამოცანაა შეისწავლოს დაცილების მიზეზები ანუ გაარკვიოს თავისი მარკეტინგული პროდუქტის მომხმარებელთა პრეტენზიები და საჭიროებები, ამ საფუძველზე ან ცვლილებები შეიტანოს დარგის განვითარების სტრატეგიასა დამ მის შესატყვისად შედგენილ პროგრამებში, ან დაარწმუნოს მოპაექრენი მათი პრეტენზიების უსაფუძვლობაში.

რა თქმა უნდა, სოციალურ—ეკონომიკური მიზანდანიშნულების პროგრამებს მთავრობა ადრეც შეიმუშავებდა და კვლავაც შეიმუშავებს. აქ საუბარია მხოლოდ იმაზე, რამდენაა შედგენილი ისინი მარკეტინგული მიდგომით, რაც გაცილებით უფრო ფართო და შრომატევად მუშაობას ითხოვს. სანაცვლოდ, მისი ეფექტი დიდია. საკურორტო — სამედიცინო მომსახურების მაგალითზე ეს უფრო ნათლად გამოჩნდება.

გავიხსენოთ, რომ მარკეტინგული საქმიანობის პირველი ეტაპი ბაზრის შესწავლაა ამ სიტყვის ფართო გაგებით: მიმწოდებლისათვის ეს არის მომხმარებლის საჭიროებებისა და რეალური თუ პოტენციური კონკურენტების ძალის გაგება, ხოლო მომხმარებლისათვის კი — მიმწოდებელთა

შესაძლებლობების გაგება. ამ საფუძველზე ხდება გადასვლა მეორე ეტაპზე, რომლითაც მომხმარებელი ამთავრებს თავის მარკეტინგს, რაკი ირჩევს სასურველ მიმწოდებელს — წყვეტს საკითხს, რა იყიდოს და ვისგან, რომელ მიმწოდებელს უერთგულებს ანუ ვისთან ააგოს სტრატეგიული კავშირურთიერთობა. მიმწოდებლისათვის ეს ეტაპი მისი საწარმოო საქმიანობის საწყისი ეტაპია, რომელსაც უნდა მოჰყვეს პროდუქტის შექმნა და მისი სვლა მომხმარებლისაკენ, რაც დამატებით მარკეტინგულ ძალისხმევას ითხოვს. ხოლო ამ ეტაპზე მან უნდა გადაწყვიტოს, რა აწარმოოს, როგორ და ვისთვის (გავიხსენოთ ისიც, რომ ეს არის ეკონომიკის ორგანიზაციის სამი ფუნდამენტური საკითხი). ანუ მისგან შესწავლილ ბაზარზე მან უნდა გამოყოს მიზნობრივი სეგმენტი — მომხმარებელთა ის განსაკუთრებული ჯგუფი, რომლისთვისაც შექმნის მის საჭიროებებთან, მის გემოვნებასთან, ასაკთან, შეხედულებებთან, შეძლებასთან, ეთნოფსიქიკასთან და ა.შ. მისადაგებულ პროდუქტს. ცხადია, ამას თან ახლავს კონკურენტების შესწავლაც — იმის გარკვევა, რამდენად სარისკოა ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე შესვლა.

საკურორტო მომსახურების თანამედროვე ბაზრის თავისებურებაა ის, რომ ზღვარი ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტებს შორის სულ უფრო პირობითი ხდება.

სამთავრობო მარკეტინგმა, საერთაშორისოსთან შეწყვილებით, მოსალოდნელია დააჩქაროს ეს პროცესი. ასეთი შედეგი მოსალოდნელია იმიტომ, რომ მარკეტინგი გულისხმობს მომხმარებლის დიფერენცირებულ შესწავლას — მისი იმ განსაკუთრებული კატეგორიის გამოვლენას, რომლისთვისაც, ვთქვათ, ახტალის ტალახია უებარი სამკურნალო საშუალება. და თუ ამ კატეგორიის გამოვლენა მსოფლიო მასშტაბით მოხდა და, ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ მსგავს საშუალებათა მარაგი დედამიწაზე შეზღუდულია, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ახტალამ ქვეყანას არანაკლები შემოსავალი მისცეს, ვიდრე, ვთქვათ, წყალტუბომ ან ბორჯომმა.

რა თქმა უნდა, ეს მაგალითი პირობითია და მხოლოდ იმიტომ, მოვიტანეთ, რომ საკურორტო მეურნეობის განვითარება ითხოვს როგორც ავადობის გავრცელების (მისი გეოგრაფიის), ისე ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ზედმიწევნით შესწავლას პლანეტარული მასშტაბით.

გლობალური ბაზრის ცოდნა ბევრი სხვა ფაქტორის შესწავლასაც ითხოვს. მაგალითისათვის ვიტყვით, რომ შორეულ კურორტს პაციენტი ხშირად მხოლოდ სამკურნალო მიზნით არ ირჩევს — მას შეიძლება ჰქონდეს ტურისტული, საქმიანი ან სხვა მიზნებიც, რაც ასევეა მხედველობაში მისაღები. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, არის მომხმარებლისათვის შედგეს მსოფლიო რუკა, რომელზეც ადვილი საპოვნი იქნება ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსის სამკურნალო თვისებები, მკურნალი ორგანიზაციებისა და სპეციალისტების პროფესიონალიზმი, მკურნალობის შედეგიანობის, თანამდე მომსახურებათა დონისა და ა.შ. აღწერა შესატყვისი პრეისკურანტების მითითებით, აგრეთვე, შეღავათების ჩვენებით, რომელთაც სხვადასხვა კატეგორიის პაციენტები ერთიმეორისაგან განსხვავებულ ვარიანტებში მიიღებენ. რუკა საჭიროა მოქმედი ან პოტენციური მიმწოდებლისათვისაც, ოღონდ - უფრო კონკრეტული. კონკურენტთა კონკურენტუნარიანობის შესახებ ხელმისაწვდომ მონაცემებთან ერთად იგი უნდა შეიცავდეს მონაცემებს პოტენციურ მომხმარებელთა შესახებ.

ერთიც და მეორეც მიეკუთვნება ურთულეს ამოცანათა რიცხვს, რომელთა გადაწყვეტა აღემატება ცალკეული ორგანიზაციების შესაძლებლობებს. ურთულესია მთავრობისთვისაც, თუმცა მისთვის ხელმისაწვდომია მის ხელთ არსებული სხვადასხვა არხისა და საშუალების (საელჩოების, საქმიანი ურთიერთობების და ა.შ.) გამოყენების შემთხვევაში. შედარებით ეფექტიანი იქნებოდა ამ ამოცანების გადაწყვეტა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების დონეზე. თუმცა, დასაწყისისათვის, ჩვენი წინადადების წარმატებული აპრობაციის შემთხვევაში სასურველია საქმე დაიწყოს თავდაპირველად ორი—სამი მეგობარი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულების საფუძველზე.

ორგანიზაციის ადამიანური რესურსების სწავლებისა და განვითარების საჭიროების განსაზღვრის აქტუალური მეთოდები

დალი სეხნიაშვილი, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

Summary

Contemporary Methods for the Determination of Organization's Human Resources Training and Development Needs

For organizations of all types it is a necessary to have well trained and educated employees. In this paper we describe in some detail the less common and affordable and at the same time reliable ways of gathering information, which can take as service workers HR, and by consultants.

We offer to use the following methods of gathering necessary data: a structured observation provides a broad overview of the organization surrounding the business environment, identify problem areas and the main cause - effect relations; Information that is collected in the course of interviews with leaders who have the right to decide on training programs, line managers and employees, should clarify the overall picture; observation and interviews are complemented by other methods of gathering information - analysis of documents (on the individual estimation of activity, job descriptions, professional standards).

Processing of this information can be more clearly identify existing problem areas: the departments in which individual performance assessment is the lowest; specific artists who have received the lowest evaluation; competence, received low ratings. Using content analysis allows identify the most relevant competences for the position and it can serve as a basis for determining the need for new knowledge.

These templates make it easy to use using these methods by the HR-departments staff, even without the involvement of external consultants.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსები, პერსონალის სწავლება, დაკვირვება, ინტერვიუ, სწავლების საჭიროების განსაზღვრა, კონტენტ-ანალიზი.

თანამედროვე ეკონომიკაში ინტელექტუალური აქტივები (სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, სავაჭრო ნიშნები, პატენტები, ლიცენზიები და ა.შ.), ადამიანური რესურსები, პერსონალის განვითარების დონე, მენეჯმენტის უნარი, კორპორატიული კულტურა, კორპორატიული ეთიკა უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ნებისმიერი სახის ორგანიზაცია დღეს გვერდს ვერ აუვლის თანამშრომლების მუდმივი გადამზადებისა და მათი განვითარების საკითხებს - ეს დროის მოთხოვნა და აბსოლუტური აუცილებლობაა.

ეკონომიკური განვითარების მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს მეტად მჭიდრო კავშირს კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების დინამიკასა და პერსონალის სწავლების გზით ახალი ცოდნის მოზიდვისა და გადაცემის ინოვაციურ პროექტებში ინვესტირებას შორის [1, 2].

ორგანიზაციის თანამშრომლის, როგორც ღირებული რესურსის აღქმა სრულიად ახლებურად აყალიბებს ამ სფეროს მართვის ამოცანების შესახებ წარმოდგენებს. ჩნდება სრულიად ახალი ფაქტორების აღრიცხვის აუცილებლობა, როგორიცაა: ადამიანური რესურსების შესაბამისობა ორგანიზაციის გრძელვადიან განვითარებასთან, ბაზრის ცვალებად მოთხოვნილებებთან და ბიზნეს-გარემოსთან მათი მოქნილად ადაპტირების უნარი.

ასეთი მიდგომისას, სწავლების საჭიროების დიაგნოსტიკა, მიზნების ნათელი ფორმულირება და სწავლების გეგმის შედგენა, პროგრამის შერჩევა და სასწავლო მოდულების თანამიმდევრობა ხდება ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის საერთო პროცესის ნაწილი. რა თქმა უნდა, ეს არა მხოლოდ ამაღლებს ადამიანური რესურსების სტატუსსა და მნიშვნელობას, არამედ არსებითად ართულებს ამ ქვედანაყოფის ფუნქციებს, რაც მათი თანამშრომლების საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს.

პერსონალის სწავლებისა და განვითარების დიაგნოზი საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს მომავალი სწავლების მიზნები, რათა დასაბუთებულად შეირჩეს შესაბამისი პროგრამები და ინვესტიციების სათანადო მოცულობა. სამწუხაროდ, ამ პრობლემის მოგვარებისათვის საკმაოდ ხშირად გამოიყენება ზოგადი რეკომენდაციები [3-4] ან შეირჩევა ყველაზე უპრეტენზიო მეთოდი (მაგალითად, თვითდიაგნოსტიკა [5]).

ნაშრომში ჩვენ არ განვიხილავთ მონაცემების შეგროვების ყველაზე პოპულარულ მეთოდს - ანკეტირებას. ჩვენ შევჩერდებით ინფორმაციის შეგროვების ყველაზე ნაკლებად გავრცელებულ, მაგრამ ხელმისაწვდომ და ამავე დროს, საიმედო წესებზე, რომელთა განხორციელებაც შეუძლიათ როგორც HR თანამშრომლებს, ასევე მოწვეულ კონსულტანტებსაც.

დაკვირვება დაზვერვის სტადიაზე ინფორმაციის შეუცვლელი წყაროა, ის საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნას ორგანიზაციის სტრუქტურის, მისი ორგანიზაციული კულტურისა და რეალური (და არა დეკლარირებული) ღირებულებების, მართვის საერთო დონის, ბიზნეს გარემოსთან ადაპტაციის თავისებურებები. ეს არის შრომითი რესურსების მდგომარეობის დიაგნოსტიკის შესანიშნავი მეთოდი, რაც საშუალებას იძლევა გამოყოფილ იქნას ადამიანთა

ის ჯგუფები (ერთეულები, ქვედანაყოფები), შესაძლო სფეროები და მიმართულებები, რომლებსაც შემდგომი განვითარება სჭირდებათ.

ცხრილი 1

დაკვირვების კონტექსტები

დაკვირვების სფერო, მიმართულება	დაკვირვების შინაარსი
განვითარება, სწავლება, წინ წაწევა	სასწავლო პროგრამების, კვალიფიკაციის ამაღლების სქემების არსებობა; პროგრამების ხანგრძლივობა და სიხშირე; პროგრამებში მუშაკების ჩართულობის მოცულობა
კვალიფიკაციის შეფასება	შემსრულებლის ინდივიდუალური შეფასების პროცედურის არსებობა; პერიოდულობა, შეფასების შედეგების გავლენა ანაზღაურებაზე
შრომის, სამუშაო ადგილების ორგანიზაცია. შრომის პირობები	მონიტორინგის არ არსებობა (არსებობა; მუშაობის ტემპი; შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები (განათება, ტემპერატურა, ხმაური, და ა.შ.) შესვენებების ორგანიზება; სამუშაო დროის რაციონალური/ არარაციონალური გამოყენება; უსაფრთხოება და შრომის დაცვა
ურთიერთქმედების დომინირებული სტილი	კონფლიქტისა და შრომითი დავების არსებობა, მათი გადაწყვეტა; ქცევის დომინირებული სტილი, კოორდინაცია, ინფორმირებულობა; ხელმძღვანელებთან, ქვეშევრდომებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ხასიათი; ხელმძღვანელობის დომინირებული სტილი
საერთო ღირებულებითი ორიენტაცია	ორგანიზაციული კულტურა; ქცევის ნორმები; მიუღებელი ქცევა და სანქციები; ღირებულებები (დეკლარირებული და რეალური))
არაფორმალური სტრუქტურა	არაფორმალური ჯგუფები; არაფორმალური ლიდერები, მათი გავლენის მიმართულება (ორგანიზაციის მიზნებთან შესაბამისობა)
სამუშაო ძალის სოციალური და დემოგრაფიული სტრუქტურა	პერსონალის სტრუქტურა ასაკის, სქესისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით
სოციალური და პირადი ხასიათის შემადგენელი	ენერგიულობა/პასიურობა; ინიციატიურობა/ გულგრილობა; კეთილგან-წყობა/აგრესია; პასუხისმგებლობა/გულგრილობა; სიახლისადმი სწრაფვა/კონსერვატიზმი; პატიოსნება/ მანიპულირება და ა.შ.
პერსონალის კვალიფიკაცია	მეთოდები, ტექნოლოგია, პროცედურები; ტექნოლოგიური მოთხოვნებისადმი შესაბამისობა; ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, პროდუქტის ან მომსახურების დაბალი ხარისხი
ორგანიზაციის იმიჯი	საზოგადოების მიერ ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის შედეგების (გარემოზე ზეგავლენა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ.) აღქმა; წინააღმდეგობა/მხარდაჭერა; განხორციელებული აქციები

წყარო: **Ядов В.А.** Стратегия социологического исследования. Описание, объяснение, понимание социальной реальности. М.: Добросвет, 2003. 595 с.[6]

დაკვირვება, როგორც მეთოდი საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს საერთო ხედვა ორგანიზაციის, ბიზნეს გარემოს, ორგანიზაციული კულტურისა და ფასეულობების შესახებ; გამოყოფილ იქნას პრობლემური სფეროები და ძირითადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ადამიანური რესურსების მართვის პროცესში.

ინტერვიუ. დაკვირვების საფუძველზე შეგროვილი ინფორმაცია გამოიყენება რამდენიმე ინტერვიუს მომზადებისა და ჩატარებისათვის შემდგომი ინფორმაციის მოსაპოვებლად. მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნას ე.წ. ფოკუსირებული ტიპის ნახევრად ფორმალიზებული ინტერვიუ [7].

ინტერვიუ ხელმძღვანელებთან. პირველ რიგში, ინტერვიუ უნდა ჩატარდეს ხელმძღვანელებთან, რომლებიც არიან სასწავლო პროგრამების დამკვეთები, ანუ იმ ხელმძღვანელებთან, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს და აქვთ პასუხისმგებლობა შესრულების ხარისხის საერთო დონესთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაზე.

სხვადასხვა დონის მმართველებთან ინტერვიუები საშუალებას იძლევა დაზუსტდეს სწავლების კავშირი ორგანიზაციაში არსებულ პრობლემებთან, ასევე ხელს უწყობს სწავლებაზე მათ დათანხმებასა და მხარდაჭერასაც. ეს არაფორმალური ინტერვიუები საშუალებას იძლევა დაკონკრეტდეს, არსებული პრობლემები ნამდვილად დაკავშირებულია კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობასთან და გარკვეული კომპეტენციების არ არსებობასთან, თუ ისინი გამოწვეულია რაიმე სხვა მიზეზის გამო. ამიტომ, ინტერვიუს შედეგად უნდა გაირკვეს შემდეგ კითხვებზე პასუხი:

- როგორ აფასებს ხელმძღვანელი საერთო სიტუაციას განყოფილებაში?
- საკმარისია თუ არა ინფორმაციული უზრუნველყოფა შესრულების მაღალი დონის მიღწევისათვის?
- რამდენად ეფექტურია წახალისებისა და კომპენსაციის სისტემა?
- შეესაბამება მუშაკების დატვირთვა მათ შესაძლებლობებს თუ არა?
- არიან თუ არა საკმარისად მოტივირებულნი თანამშრომლები?
- რა შეიძლება გაუმჯობესდეს?
- რა ცოდნა (ცოდნა, უნარები) არ არის საკმარისი?
- როგორი სახის სწავლება სჭირდებათ მუშაკებს?
- სწავლების რომელი ფორმა არის ყველაზე მისაღები მათთვის?
- სწავლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ხელმძღვანელი მზად იქნება ამის მხარდაჭერად?
- მომავალი სწავლების შესახებ რა ინფორმაცია სურს მიიღოს ხელმძღვანელმა?

ინტერვიუ რიგით თანამშრომლებთან. ეს ინტერვიუები ადამიანების სწავლებისადმი მოტივირებულობის გარკვევის საშუალებას იძლევა. ქვემოთ მოყვანილია ძირითადი კითხვები, რომლებზედაც უნდა გაეცეს პასუხი:

- მოგვიყევით თქვენი საქმიანობის ბუნების შესახებ, რისგან შედგება ის?
- თქვენი საქმიანობის, პასუხისმგებლობის წრე, ვინ არიან თქვენი ქვეშევრდომები? თუ არ გყავთ ქვეშევრდომი, მაშინ ვისთან თანამშრომლობთ?
- რაზე მუშაობთ ახლა?
- ეს არის თქვენი ჩვეულებრივი სამუშაო?
- რით არის ის ჩვეულებრივი / უჩვეულო?
- საქმიანობაში, რითაც თქვენ ამჟამად ხართ დაკავებული, რამდენად მნიშვნელოვანია უნარი?
- როგორ აფასებთ სწავლების პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობას?
- თქვენ მხარს უჭერთ.? თუ "დიახ", მაშინ

რატომ, თუ "არა" - რატომ?

დოკუმენტების ანალიზის მეთოდი. მეთოდი არის ტექნიკური წესებისა და პროცედურების კომპლექტი, რომელიც დაკავშირებულია ტექსტური დოკუმენტების ანალიზთან [8-9]. ანალიზის თავალსაზრისით ყველაზე ხელმისაწვდომი შემდეგი დოკუმენტებია:

- საქმიანობის ინდივიდუალური შეფასება;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- პროფესიული სტანდარტები.

ორგანიზაციის შრომითი რესურსების მდგომარეობის დიაგნოსტიკის თვალსაზრისით ყველაზე ეფექტურია იმ დოკუმენტების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია თანამშრომლების საქმიანობის ინდივიდუალური შეფასების შედეგებთან. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ასეთი პროცედურა და ის რეგულარულად ხორციელდება ორგანიზაციაში. როგორც წესი, ეს დოკუმენტი საკმაოდ დიდი ზომისაა და აქვს რამდენიმე განყოფილება, ამიტომ, მისი გამარტივებისა და შემდგომი მუშაობის მიზნით, მიზანშეწონილია თითოეული თანამშრომლის შესახებ მონაცემების გადატანა შუალედურ ფორმაში (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

საქმიანობის შეფასების შესახებ მონაცემები

სახელი, გვარი			
განყოფილება			
თანამდებობა			
კატეგორია			
საქმიანობის საერთო შეფასება	E- ფრიადი	G- კარგი	U-არადამაკ.

კომპეტენციები	მნიშვნელობა			ეფექტურობა			კომენტარები
	ძალიან მნიშვნელოვანია	მნიშვნელოვანია	არაა მნიშვნელოვანი	ფრიადი	შესაბამისი	საჭიროა გაუმჯობესება	
ქვეშევრდომების მართვის საბაზო უნარები							
მომზადება და განკარგულების გაცემა		X		X			
კონტროლი და კორექტირება	X					X	
სამუშაოს შეფასება		X			X		
ურთიერთქმედების უნარები							
დია კომუნიკაციები							
ასერტიული ქცევა	X					X	
კონფლიქტების მართვა		X				X	
ლიდერობის უნარები							
მიზნების დასახვა		X		X			
მოტივაცია							
გუნდის ფორმირება	X					X	
უფლებამოსილებების მინიჭება			X			X	
სტრატეგიული აზროვნების უნარი							
ინფორმაციის სისტემატიზირება	X				X		
პრობლემების მიზეზების განსაზღვრა			X			X	
ალტერნატიული ვარიანტების შეფასება	X					X	
მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების შეფასება		X			X		
ქვეშევრდომების განვითარების უნარები							
კონსტრუქციული უკუკავშირი	X				X		
მენტორობა		X				X	
კოუჩინგი	X					X	
საქმიანი შეხვედრების გაძღოლის უნარები							
თათბირების ორგანიზება (მომზადება)			X			X	
პრეზენტაცია	X					X	
დისკუსიების გაძღოლა			X			X	
დაგეგმვის უნარი							
ამოცანების განსაზღვრა		X		X			
რესურსების განსაზღვრა		X		X			
პრიორიტეტების განსაზღვრა		X		X			
მონიტორინგი და კონტროლი		X		X			

წყარო: Аксенова О.А Методы и процедуры диагностики потребностей в обучении и развитии человеческих ресурсов организации; Санкт-Петербургский государственный политехнический университет, 2014[10]

ამ მონაცემების დამუშავება თანამედროვე კომპიუტერული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პროგრამების (SPSS) გამოყენებით საშუალებას იძლევა გამოვლინდეს არსებული პრობლემატური სფეროები:

- განყოფილებები, სადაც შესრულების ინდივიდუალური შეფასებები ყველაზე დაბალია;
- კონკრეტული შემსრულებლები, რომელთაც ყველაზე დაბალი შეფასებები აქვთ;
- მნიშვნელოვანი კომპეტენციები, რომლებმაც მიიღეს ყველაზე დაბალი შეფასებები.

თუ ორგანიზაციაში არ ხორციელდება შესრულების ინდივიდუალური დონის რეგულარული შეფასება, ამა თუ იმ უნარების მნიშვნელობის ან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს თანამდებობრივი ინსტრუქციების ან პროფესიული სტანდარტების კონტენტ-ანალიზი.

დიდი მოცულობის ტექსტების დამუშავებისას შესაძლოა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის QDA Miner (WordStat-ის აპლიკაცია) გამოყენება.

ეს ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს დოკუმენტებში ყველაზე ხშირად მოხსენებული და, შესაბამისად, მოცემული თანამდებობისათვის ყველაზე მეტად მოთხოვნადი კომპეტენცია, ეს კი იქნება აუცილებელ ცოდნაზე მოთხოვნის დიაგნოსტიკისა და განსაზღვრის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ:

- სტრუქტურირებული დაკვირვების ჩატარება უზრუნველყოფს ორგანიზაციის, ბიზნეს გარემოს შესახებ ზოგადი წარმოდგენების შექმნას, პრობლემური სფეროების გამოყოფას და ძირითადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას;
- ინფორმაციამ, რომელიც გროვდება სხვადასხვა დონის მენეჯერებთან, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება სწავლების შესახებ, უნდა დააზუსტოს საერთო სურათი;
- დაკვირვებისა და ინტერვიუების შედეგები ივსება ინფორმაციის შეგროვების სხვა მეთოდებით - დოკუმენტების (საქმიანობის ინდივიდუალური შეფასება, სამუშაოს თანამდებობრივი ინსტრუქციები, პროფესიული სტანდარტები) ანალიზით.

აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება საშუალებას იძლევა უფრო მკაფიოდ გამოვლინდეს არსებული პრობლემატური სფეროები: დეპარტამენტები, სადაც შესრულების ინდივიდუალური შეფასების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია; კონკრეტული შემსრულებლები, რომლებმაც ყველაზე დაბალი შეფასება მიიღეს; კომპეტენციები, რომლებმაც დაბალი ქულები მიიღეს. კონტენტ - ანალიზის გამოყენება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს დოკუმენტებში ყველაზე ხშირად მოხსენებული და, შესაბამისად, მოცემული თანამდებობრივი კომპეტენციისთვის ყველაზე აქტუალური კომპეტენციები, რაც შეიძლება გახდეს ახალ ცოდნაზე საჭიროების განსაზღვრის საფუძველი.

აღნიშნული მეთოდების შაბლონები მნიშვნელოვნად ამარტივებს HR-დეპარტამენტების თანამშრომლების მიერ მათ გამოყენებას გარედან მოწვეული კონსულტანტების ჩარევის გარეშე.

ამდენად, ადამიანური რესურსების მდგომარეობის დიაგნოსტირებისა და სწავლების საჭიროების განსაზღვრის შესახებ მუშაობა სრულდება წინასწარი გეგმის შედგენით, რომელიც მოიცავს საჭირო პროგრამების მოკლე აღწერას, მათ თანამიმდევრობას და დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც ისინი უნდა განხორციელდეს, ასევე, ადამიანების რაოდენობას მათი ქვედანაყოფების მითითებით და რეკომენდაციებს ჯგუფების ფორმირების შესახებ. მოგვიანებით ამ გეგმას და მის განხორციელებას უნდა დაემატოს მონიტორინგის პროცედურებიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ჯოლია, დ. სეხნიაშვილი, ცოდნის ეკონომიკა და მართვა, თბილისი, 2010
2. Аксенова О.А. Организация корпоративной системы обучения. СПб.: Изд-во Политехн. ун-та, 2005. 268 с.
3. Aloian D.C., Fowler W.R. How to create a High-Performance Training Plan // Training & Development Journal, November 1994, pp. 43—44.
4. Wagner R., Weigand R. Can the value of training be measured? // The Health Care Manager, Jan-March 2004, vol. 23 i1, pp. 71—75.
5. Воротынцева Т., Неделин Е. Строим систему обучения персонала. СПб.: Речь, 2008. 124 с.
6. Ядов В.А. Стратегия социологического исследования. Описание, объяснение, понимание социальной реальности. М.: Добросвет, 2003. 595 с.
7. Фенетто Э. Интервью и опросник: формы, процедуры, результаты. СПб.: Питер, 2004. 160 с.
8. Рогожников М., Тарусин М. Мастерские кривых зеркал // Эксперт. 2006. № 40. С. 110—112.
9. Klaus Krippenendorff. Content Analysis : An Introduction to its Methodology, Sage Publication, Beverly Hill, CA, 1980. 225 p.
10. Аксенова О.А Методы и процедуры диагностики потребностей в обучении и развитии человеческих ресурсов организации; Санкт-Петербургский государственный политехнический университет, 2014

ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემები

გიორგი სულაშვილი, სტუ-ს ასისტენტ პროფესორი
სალომე ჯაფარიძე, სტუ-ს დოქტორანტი
გიორგი ხოტენაშვილი, სტუ-ს მაგისტრანტი

რეზიუმე

დღეისათვის საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამების ბაზარზე არსებობს მრავალი პროგრამა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სხვადასხვა მახასიათებლებით. მაგრამ ყველა პროგრამის წინაშე დგას ერთი ამოცანა - დაეხმაროს მომხმარებელს ეფექტურად აწარმოოს ორგანიზაციის საბუღალტრო საქმიანობა.

საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები საშუალებას აძლევს მომხმარებელს განავითაროს თავისი ბიზნესი, წარმატებით აწარმოოს საფინანსო საქმიანობა. კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამების დანიშნულებაა ორგანიზაციის საბუღალტრო და სასაწყობო მეურნეობის აღრიცხვის სრული ავტომატიზაცია. სისტემა უნდა იყოს მოქნილი და იოლად მოერგოს ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობას.

საკვანძო სიტყვები: საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები, საფინანსო საქმიანობა, სასაწყობო მეურნეობა.

Summary

Nowadays on the market of the accounting software applications there are many applications that are different in various specifications. But the program faces the only goa: how to help customers to produce efficiently the accounting activities of the organization efficiently.

Accounting software allows the user to develop his business successfully and to carry out financial activities. The purpose of the accounting and computer accounting programs of the organization is to reach complete automation of warehousing. The system must be flexible and easily adapted for any organization.

Keywords: accounting software, financial activities, warehousing.

შესავალი

საბაზრო ურთიერთობების ეფექტური განვითარება მჭიდრო კავშირშია საწარმოების ინფორმაციული სამსახურების ორგანიზებასთან, ვინაიდან საწარმოს წარმატებული საქმიანობა შეუძლებელია ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე. ინფორმაცია საშუალებას იძლევა ორიენტაცია მოვახდინოთ საერთო გარემოში, შევამციროთ ფინანსური რისკი, თვალყური ვადევნოთ გარემო პირობებებს, ბაზარს, შევაფასოთ საკუთარი საქმიანობა გამოვიმუშავოთ და დავაკორექტიროთ საწარმოს სტრატეგია.

ძირითადი ნაწილი

ბუღალტრული აღრიცხვა მოიცავს დიდი მოცულობის საანგარიშო სამუშაოს, რაც მონაცემთა დამუშავებასთან არის დაკავშირებული. ასეთი სამუშაოს შესრულებისათვის ძალზე მომგებიანია თანამედროვე საინფორმაციო გამოთვლითი სისტემების გამოყენება.

პირველი ფირმა, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა იყო Peachtree. ეს ფირმა 1976 წელს დაარსდა ატლანტაში (აშშ) რონ რობერტსის, სტივ მანის, მიკ ჯონსისა და ბენ დიერის მიერ და დაკავებული იყო პროგრამული პროდუქტების წარმოებით. 1981 წლის 12 აგვისტოს აღნიშნულ ფირმასა და IBM-ს შორის მოხდა შეთანხმება საბუღალტრო პროგრამების წარმოების შესახებ. 1991 წელს Peachtree-მ წარადგინა პირველი საბუღალტრო პროგრამა Windows-ისათვის. საინფორმაციო სისტემების განვითარებასთან ერთად მან განიცადა მრავალი ცვლილება და დღეისათვის წარმოადგენს ერთერთ ყველაზე ძლიერ და სრულყოფილ საბუღალტრო სისტემას (http://www.peachtree.com).

უახლესი ვერსია Saga Peachtree 2010 სრულ საბუღალტრო აღრიცხვასთან ერთად შეიცავს სხვადასხვა სახის სააღრიცხვო ფუნქციების ფართო სპექტრს: ღირებულებებთან მუშაობა, დრო და ბილინგი, ინვენტარიზაცია და სიღრმისეული ანალიზი. პროგრამის მრავალმომხმარებლიანი ოფციები საგრძნობლად ზრდის მწარმოებლობას მონაცემთა კონტროლის მაღალი დონის უზრუნველყოფით. Saga Peachtree 2010 ახორციელებს 125 სახის ანგარიშების წარმოებას ბიზნესისა და სხვადასხვა სახის ფინანსური ანგარიშგებების წარმოებისათვის.

აქვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში მრავალი ფირმა ახორციელებს ანალოგიურ სამუშაოს, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ:

- კომპანია EXACT - დაარსებულია 1984 წელს ქ. დელფტში (ნიდერლანდები). დღეისათვის კომპანიას გააჩნია ფილიალები 40-ზე მეტ ქვეყანაში და ჰყავს 2400 - ზე მეტი თანამშრომელი. კომპანიის საბუღალტრო პროდუქტია Exact Globe (http://www.exact.com);
- საყოველთაოდ ცნობილი ფირმა Microsoft - მისი ძირითადი საბუღალტრო პროგრამებია: Mi-

crosoft Office Accounting, Microsoft Dynamics და Microsoft Small Bussines 2007 (http://www.microsoft.com);

- კომპანია ИНФИН - დაარსებულია 1990 წელს. საბუღალტრო პროგრამა Инфин-Бухалтерия, რომელიც შედის პროგრამა ИнфинУправление-ის შემადგენლობაში (http://www.win.infin.ru);
- ფირმა 1C: - დაარსდა 1991 წელს და დღეისათვის ჰყავს 700-ზე მეტი თანამშრომელი. მისი საბოლოო პროდუქტია 1C:Бухалтерия-8, რომელიც შედის პროგრამა 1C:Предприятие-8 შემადგენლობაში (http://www.1c.ru);
- კომპანია "Петербургский Капитал" - დაარსდა 1993 წელს და მისი საბუღალტრო-ეკონომიკური პროგრამებია: Турбо-бухалтер (Эконом, Базовая, Проф, Сетевая), ТБ КОРПОРАЦИЯ (http://www.pcapital.ru);
- კომპანია "ИНФО"- მუშაობს 1995 წლიდან. მისი პროგრამებია: Инфо-Бухалтер და Инфо –Предприниматель (http://www.ib.ru).

შეიძლება ითქვას რომ აქ ჩამოთვლილი კომპანიები და შესაბამისი პროგრამები წარმოადგენენ ამ საქმის ლიდერებს, მაგრამ მოყვანილი სია არის მსოფლიოში არსებული მსგავსი ორიენტაციის ფირმების და წარმოებული პროგრამული პროდუქტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

დღეისათვის ჩვენ გაგვაჩნია საკმაოდ მაღალი დონის ქართული საბუღალტრო პროგრამები: აღნიშნულ საქმეში ერთერთი პირველთაგანი არის კომპანია "ორისი", რომელიც დაარსდა 1992 წელს დ ა წარმოებული პროდუქტების მრავალფეროვნებით ლიდერთა რიცხვში შედის. კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებისთვის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებასა და კომპლექსურ მომსახურებას.

კომპანიის სპეციალისტების მიერ შექმნილი იქნა შემდეგი პროგრამული სისტემები:

- უნივერსალური საბუღალტრო და სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვის სისტემა - "ორის ბუღალტერია";
- საფინანსო და ორგანიზაციული მართვის ინსტრუმენტალური სისტემა -"ორის მენეჯერი";
- საცალო და საბითუმო ვაჭრობის სისტემა - Universe;
- საბირჟო ვაჭრობის სპეციალიზებული მართვის სისტემა - კავკასიის ბირჟა.

კომპანიის მიერ შექმნილი პროდუქტები გამოირჩევა მოქნილობით, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ერთის მხრივ, მარტივად გადაწყვიტონ მათთვის კარგად ცნობილი სტანდარტული ამოცანები და მეორეს მხრივ დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში ადვილად შექმნან არატიპიური ამოცანები პროგრამირების პროფესიონალური ცოდნის გარეშე. დღეისათვის საქართველოში პროგრამული სისტემების შექმნაში ლიდერია ფირმა "Georgian Software Systems", რომელიც დაარსდა 1996 წელს. მის მიერ ბაზარზე გამოტანილია ორი პროგრამული პროდუქტი:

1. "SuperFin"- საბუღალტრო აღრიცხვის სრული ავტომატიზაცია, რომლითაც სრულად და მარტივად ეწყობა ნებისმიერი ფირმის ან საწარმოს საბუღალტრო საქმიანობა;
2. "GSS კოდექსი"- ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის მარეგულირებელ დოკუმენტებს.

საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები სთავაზობს მომხმარებელს ხელსაწყოების სტანდარტულ ნაკრებს ბუღალტრის შრომის გამარტივებისა და ბუღალტრული აღრიცხვის უკეთ ორგანიზებისათვის. პროგრამები ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი მონაკვეთების ავტომატიზირების საშუალებას იძლევიან:

- ბანკი, სალარო;
- ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები;
- სასაქონლო, მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა;
- სავალუტო აღრიცხვა;
- წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების აღრიცხვა;
- ორგანიზაციებთან ანგარიშსწორება;
- ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორება;
- შრომის ანაზღაურების ანგარიშგება;
- ბიუჯეტთან და არასაბიუჯეტო ფონდებთან ანგარიშსწორება.

ზოგიერთი პროგრამა საშუალებას იძლევა განვახორციელოთ სასაწყობო აღრიცხვა ბუღალტერიის ჩარჩოებში. ასევე ზოგიერთი პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებელი ფირმები წავიდნენ წარმოებათა საქმიანობის კოპლექსური ავტომატიზაციის გზით. ასეთი პროგრამები უზრუნველყოფენ არა მარტო ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციას, არამედ გეგმიურ-ეკონომიკური საქმიანობის, ვაჭრობის ან საქმიანობის სხვა სფეროების ავტომატიზაციასაც.

პროგრამებში აღრიცხვა აგებულია საწყისი მონაცემების რეგისტრაციის საფუძველზე. იმისათვის, რომ სამეურნეო საქმიანობა ასახული იყოს სრულად აუცილებელია ყველა გატარებების შეტანა, რაც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხით:

- ხელით;
- ე.წ. ტიპიური ოპერაციების გამოყენებით, რომლებშიც თითოეულ ოპერაციას შეესაბამება გატარებების ჯგუფი, თანაც ზოგიერთი გატარებების თანხები შეიძლება გაანგარიშდეს ავტომატურად. მათ მიეკუთვნება. მაგალითად: ხელფასის დარიცხვა ან ვალუტის შეძენა. ეს საშუალებას იძლევა გავამარტივოთ მსგავი სტანდარტული გატარებების დიდი რაოდენობის შეყვანა;
- პირველადი დოკუმენტების მეშვეობით.

პირველად დოკუმენტებთან მუშაობისათვის პროგრამებში გათვალისწინებულია ბუღალტრული აღ-

რიცხვის სტანდარტული პირველადი დოკუმენტების დიდი ნაკრები (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, სალაროს შემოსავლის და გასავლის ორ-დერები, საგადახდო დავალებები და ა.შ). აგრეთვე გათვალისწინებულია ნებისმიერი სხვა სახეობების პირველადი დოკუმენტების შექმნისა და დაყენების შესაძლებლობა.

ბუღალტრული პროგრამების უმეტესობა საშუ-ალებას იძლევა განვახორციელოთ, როგორც სინ-თეზური, ასევე ანალიზური აღრიცხვა (როგორც რაოდენობრივ, ასევე თანხობრივ გამოსახულებაში). ანალიზური აღრიცხვის ორგანიზებისათვის პრო-გრამები პრაქტიკულად ნებისმიერი რაოდენობის ანალიზური აღრიცხვის ობიექტების გამოყენების საშუალებას იძლევიან. გარადა ამისა პროგრამაში გათვალისწინებულია სავალუტო აღრიცხვის წარ-მოება, რისთვისაც გამოიყენება ვალუტების სახეებ-ისა და მათი კურსების ცნობარები. უნდა აღინიშ-ნოს, რომ არსებულ პროგრამებში მოქმედებს ყველა შესაძლებლობები, რაც დღეისათვის ოპერაციულ სისტემა windows-ს გააჩნია: ობიექტების მონიშვნა და გადაადგილება, მიმოცვლის ბუფერთან მუშაობა, პროგრამის ფანჯრების სტანდარტული ხედი, მათი სტანდარტული მართვა და ა.შ.

დასკვნა

ინფორმაციულ-ანალიტიკურმა საქმიანობამ სახ-ელმწიფოსა და კომერციულ დაწესებულებებში მნიშ-ვნელოვანი განვითარება ჰპოვა. საბუღალტრო აღ-რიცხვის კომპიუტერული სისტემის შესწავლა საჭი-როა განხორციელდეს საშუალო საწარმოს მასშტა-ბის კომპლექსური სისტემების მაგალითზე. სწორედ ეს სისტემები უზრუნველყოფენ უნივერსალური საბუღალტრო საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლას, პირველადი დოკუმენტების შეტანისა და მომზადების, სააღრიცხვო ფუნქციების შესრულების, ანგარიშებისა და ცნობების ფორმირების ჩათვლით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ACCA წიგნი 1.2. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის, (საერთაშორისო პრაქტიკა). სახელმძღვანელო. თბილისი, 2003 წ. გვ. 565.
2. ACCA წიგნი 1.2. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის, (საერთაშორისო პრაქტიკა). პრაქტიკული სავარჯიშოები. თბილისი, 2003 წ. გვ. 254.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2014.
4. http://www.press.tsu.ge/GEO/.htm
5. Хохлов А. Е. “Экономические и бухгалтерские информационные системы”
6. http://do.pnzgu.ru/depozit/Lektsii.pdf
7. Ильина О.П. Информационные технологии бухгалтерского учета: Учебник. СПб.: Питер, 2002. — 688 с.:
8. Марк Додж, Крейг Стинсон, Эффективная работа с Microsoft Excel 2000. Санкт-Петербург, Москва, 2001.

სწავლების თანამედროვე მეთოდები ჩაშენებული მართვის სისტემების შესასწავლად

ნინო მჭედლიშვილი, *სტუ-ს პროფესორი*
ი. მოსაშვილი, *სტუ-ს პროფესორი*
ი.დავითაშვილი, *სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

ჩვენს მიერ Matlab/Simulink-ის და FPGA დაფის გამოყენებით შესწავლილ იქნა ჩაშენებული მართვის სისტემა. DSP Builder-ისა და მომხმარებლის ბიბლიოთეკის დახმარებით აგებულია სტანდარტული Simulink დიზაინი დისკრეტული ინტეგრატორებით, PID კონტროლერით, PMW გენერატორით და A/D კონტროლერით, რომელიც წარმოდგენს FPGA იმპლემენტაციის გარემოს. „შემთხვევის შესწავლის“ მეთოდით ხდება ჩაშენებული მართვის სისტემის დემონსტრირება Matlab/ Simulink გარემოში.

საკვანძო სიტყვები: ჩაშენებული მართვის სისტემა, FPGA დაფა, Matlab/Simulink სისტემა, „შემთხვევის შესწავლის“ მეთოდი.

Summary

The control system using the Matlab/Simulink and the FPGA board has been studied. The library was built and design used by the standard Simulink DSP Builder with discrete integrators, PID controller, PMW generator and A/D controller and represents a FPGA implementation. “Case study” method have used to demonstrate the control system with built-in Matlab / Simulink environment.

Резюме

С использованием Matlab/Simulink и FPGA доски нами была изучена встроенная система управления. С помощью DSP Builder и библиотеки пользователя построен стандартный Simulink дизайн с дискретными интеграторами, PID контролером, PMW генератором и A/D контроллером, который представляет среду имплементации FPGA. Методом «случайного изучения» осуществляется демонстрация встроенной системы управления в среде Matlab/Simulink.

შესავალი

მსოფლიოში პროცესორების 90%-ზე მეტი იყენებს ”ჩაშენებულ ” სისტემებს. ეს ნიშნავს, რომ სისტემას არ გააჩნია მომხმარებლის ინტეფეისი, ისეთი, როგორიცაა კლავიატურა და მონიტორი; პროცესორი ინტეგრირებულია დიდ სისტემებში (მაგ., მობილურში, ავტომობილში...), ის ურთიერთქმედებს მხოლოდ სისტემის გარემოსთან და ასრულებს სპეციფიკურ ამოცანებს. პროცესორი ინტეგრირებულია, როგორც ბლოკი - „სისტემა ჩიპზე“ (system-on-chip). ჩაშენებული მართვის სისტემების სწავლება შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობების და პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია. ასევე მნიშვნელოვანია სწავლების მეთოდები, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს. ასევე მიმართულია იმისკენ, რომ სტუდენტს გამოუმუშავდეს ზოგადი/ ტრანსფერული უნარებიც.

1. სწავლების მეთოდი - „შემთხვევის შესწავლა“

სწავლების დროს გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები და ინსტრუმენტები. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს წარმოადგენს „შემთხვევის შესწავლა“, რომლის გამოყენებას ჩაშენებული სისტემების შესწავლაში აქვს სწრაფი და საკმაოდ ხანგრძლივად დასამახსოვრებელი ეფექტი.

შემთხვევის შესწავლა შედგება ამა თუ იმ მოვლენის აღწერისგან, რომელიც რეალურ სიტუაციას ასახავს. ამას მოჰყვება რიგი ინსტრუქციები, რომლებიც მოითხოვს შემთხვევის ან სიტუაციის გაანალიზებას, დასკვნების გამოტანას და გადაწყვეტილებების მიღებას.

შემთხვევის შესწავლა უზრუნველყოფს პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვე ტი ლებების მიღების უნარების განვითარების საშუალებებს. ისინი განსაკუთრებით ხელსაყრელია, რო დესაც რეალური სიტუაციის დადგმა რთულია, ხოლო სწავლისთვის განკუთვნილი დრო - შეზღუდული.

ამ მეთოდის მიხედვით შემთხვევები საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი, მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია საკითხის/პრობლემის ირგვლივ და რეალურად გამოყენებული გადაჭრის გზა, თუმცა, რა კონკრეტულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, პირდაპირ არ ჩანს, იგი ფარულად არის სიტუაციაში ჩადებული.

შემთხვევის დამუშავების დროს აქცენტი პირველ რიგში კეთდება პრობლემის იდენტიფიცირე-

ბაზე, ასევე ანალიზზე, სინთეზზე, პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზის პოვნაზე და მისი მართებულობის დასაბუთებაზე.

2. ჩაშენებული სისტემების და Matlab/Simulink-ის ურთიერთკავშირი.

ჩაშენებული მართვის სისტემები ფართოდ გამოიყენება სამომხმარებლო ელექტრონიკაში, სამედიცინო მოწყობილობებში, რობოტექნიკაში, საავტომობილო წარმოებაში და სააწარმოო პროცესებში. ჩაშენებული მართვის სისტემები იყენებენ მიკროპროცესორებს, მიკროკონტროლერებს, ციფრული სიგნალების პროცესორებს. ასეთი სისტემებისთვის მართვის ალგორითმები ჩადებულია პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამებში, რითაც ხორციელდება ტექნიკური უზრუნველყოფის, კერძოდ კი პროცესორის მართვა სპეციალური არქიტექტურით. პროცესორი, თავის მხრივ დაკავშირებულია მეხსიერებასთან, ანალოგურ და ციფრულ გარდამქნელებთან და სხვადასხვა შემყვან-გამომყვან მოწყობილობებთან. ასეთი უზრუნველყოფის საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენს FPGA (Field Programmable Gate Arrays) დაფა, რომელიც არის პლატფორმა მართვის ალგორითმების დასანერგად პროგრამირებადი, კონფიგურებადი ლოგიკური ელემენტებისთვის. მართვის სისტემების დასაპროექტებლად და განსავითარებლად FPGA დაფასთან ერთად გამოიყენება Matlab/Simulink. სწავლების სხვადასხვა მეთოდების საშუალებით შესაძლებელია მათი გამოყენება, განსაკუთრებით კი მეთოდის - „შემთხვევის შესწავლის“ (Case Study) დროს.

2.1. მართვის სისტემების დაპროექტების ინსტრუმენტები

ჩვეულებრივ, FPGA-ს დაპროექტება ხდება ტექნიკური უზრუნველყოფის ენაზე, VHDL. თუმცა სხვა ინსტრუმენტების დაპროექტებისთვის გამოიყენება Matlab/Simulink. DSP builder წარმოადგენს ადვილ და გამოყენებად გარემოს Simulink-ის da FPGA-ს დასაკავშირებლად. მას გააჩნია ბლოკების სპეციალური ბიბლიოთეკა, რომელიც Simulink-ში გამოიყენება და რომელიც პირადაპირ სინთეზირდება FPGA-ს მოწყობილობებისთვის. ეს ბლოკებია: არითმეტიკული ბლოკები, ლოგიკური ოპერაციები და ნაკადების მართვის ბლოკები, შემავალ/გამომავალი პორტები და მატარებლების მანიპულაციის ბლოკები, ტაქტური დროის ბლოკები და მონაცემებისა და სიგნალების შემნახველი ბლოკები. კონტროლერი იმპლემენტირებულია სამი ოპერატორით: გამრავლების, შეკრების და შეყოვნების ელემენტებით.

3. „შემთხვევის შესწავლის“ იმპლემენტაცია

განვიხილავთ მართვის სისტემას, რომელიც დაპროექტებულია ბურთის პოზიციის მართვისთვის.



სურ.1. FPGA-ზე დაფუძნებული რეალური მართვის სისტემა.

მართვის სისტემის არქიტექტურას აქვს შემდეგი სახე:



ნახ.1. მართვის სისტემის არქიტექტურა

მართვის სისტემის კომპონენტები იმპლემენტირებულია ერთ FPGA ჩიპზე, რომელიც იძლევა ანალიზის, სინთეზის, დაფპროგრამების და იმპლემენტაციის შესაძლებლობას.



ნახ.2. კონტროლერის იმპემენტაცია.

FPGA-ზე დაფუძნებული კონტროლერი დაკავშირებულია მართვის სისტემასთან. ქვემოთ მოცემულია სისტემის იმპელემენტაციის შედეგები



ნახ. 3. კონტროლერის დიაგრამები.

4. დასკვნა

სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებულია DSP Builder, რომელიც დაფუძნებულია FPGA კონტროლერებზე. კერძოდ, გამოყენებულია DSP Builder-ის მომხმარებლის მართვის ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება დისკრეტული ინტეგრატორების, PID კონტროლერის, PMW გენერატორის და A/D კონტროლერისაგან. FPGA იმპემენტაციისთვის გამოყენებულია სტანდარტული Simulink გარემო. თემის დემონსტრირებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდი - „შემთხვევის შესწავლა“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Casalino, G., Giorgi, F., Turetta, A., & Caffaz, A. (2003). Embedded FPGA-based control of a multi-fingered robotic hand, IEEE Int. Conf. on Robotics & Auto.m, pp. 2786-2791.
2. Tessier, R., & Burleson, W. (2001). Reconfigurable computing for digital signal processing: A Survey, The Journal of VLSI Signal Processing, 28(1), pp. 7-27.
3. Tjondronugroho, A., Al-Anbuky, A., Round, S., & Duke, R. (2004). Evaluation of DSP and FPGA based digital controllers for a single-phase PWM inverter," in Australasian Universities Power Engineering Conference (AUPEC 2004), Sept. 2004. [Online]. Available: http://www.itee.uq.edu.au/~aupec/aupec04/ papers/PaperID56.pdf. [Accessed: May 26, 2007].
4. Jung, S-L., Chang, M-Y., Jyang, J-Y., Yeh, L-C., & Tzou, Y-Y. (1999). Design and implementation of an FPGA-based control IC for AC-voltage regulation, IEEE Transactions on Power Electronics, 14(3), pp. 522-532.

პროტექციონიზმი, როგორც საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმა

ნინო არაშვილი, *ეკონომიკის მაგისტრი, სტუ დოქტორანტი*

რეზიუმე

პროტექციონიზმი, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებაა. მისი მიზანი ქვეყანაში, იმპორტის გადასახადების გაზრდით, შემზღუდავი კვოტების დაწესებით ან სხვა სამთავრობო რეგულაციებით — იმპორტირებული საქონლის შემცირებაა. ადგილობრივი წარმოებების მხარდასაჭერად და უმუშევრობის დონის შესამცირებლად, მთავრობები პროტექციონიზმისკენ მიდრეკილებას, განსაკუთრებით, კრიზისების დროს ამჟღავნებენ.

ფინანსური კრიზისის დროს, პროტექციონისტული ზომების ნაკლებად გამოყენების მიზეზები კომპლექსურ, ერთმანეთის განმსაზღვრავ ფაქტორებში შეგვიძლია ვეძებოთ.

პროტექციონისტული პოლიტიკა საფრთხეს უქმნის მომხმარებლის უფლებას - აირჩიოს კონკურენტულ საქონელსა და მომსახურებას შორის მისთვის საუკეთესო. მომხმარებლის უფლება ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც სიტყვის ან რელიგიის თავისუფლება, ამიტომ ნებისმიერი ნაბიჯი მის შესაზღუდად ნიშნავს თითოეული მოქალაქის თავისუფლების შეზღუდვას.

საკვანძო სიტყვები: პროტექციონიზმი, მერკანტილიზმი, ტექნიკური ბარიერები.

Summary

Protectionism is one of the approaches of economic policy, aiming to limit import in the country by raising tariffs on import and imposing quotas or other government regulations. In order to promote domestic production and reduce unemployment, governments tend to apply protectionism especially during crises.

The reasons of applying protectionism less extensively during financial crisis can be found in complex factors, which determine each other.

Protectionism restricts the right of a consumer to choose among competitive goods and services the most appropriate for him. The right of a consumer is as important as freedom of expression or religion, thus every step to restrict this right means restriction of each person's freedom.

* * * * * *

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ტრადიციული და უფრო მეტად განვითარებული ფორმა საერთაშორისო ვაჭრობაა. მის წილად მოდის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთლიანი მოცულობის 80%.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით, ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, ეროვნული მეურნეობათა ურთიერთზემოქმედებას აძლიერებს და საერთაშორისო ვაჭრობას ააქტიურებს. საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც ქვეყანათა შორის სასაქონლო ნაკადების მოძრაობით განისაზღვრება, წარმოებასთან შედარებით უფრო მაღალი ტემპებით იზრდება. სახელდობრ, მსოფლიო წარმოების ყოველ 10%-ით ზრდაზე საერთაშორისო ვაჭრობის 16% მოდის. ამით თვით წარმოების განვითარების ხელსაყრელი პირობები იქმნება და, პირიქით, როცა ვაჭრობა ფერხდება, წარმოების განვითარებაც ქვეითდება.

ქვეყნებს შორის საქონელგაცვლის პროცესი ახალი არ არის. იგი საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა, რამაც საერთაშორისო ვაჭრობის აზრი განსაზღვრა და მისი მიზნების შესახებ თეორიული შეხედულებები (კონცეფციები) ჩამოაყალიბა.

მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გარეშე არ შეუძლია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. ყოველი ქვეყანა სხვა ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისას ახორციელებს გარკვეულ პოლიტიკას. საერთაშორისო ვაჭრობაში არსებობს პროტექციონისტული პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირებას სხვა ქვეყნების მიმართ. მის მიზანს წარმოადგენს სამამულო კომპანიების საქმიანობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა ეროვნულ და უცხოურ ბაზარზე უცხოურ კონკურენტებთან შედარებით. იგი ხორციელდება, როგორც შიდა ბაზრის დაცვის, ასევე სამამულო კომპანიებისათვის საგარეო ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის ხელშეწყობის გზით. იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა აცხადებს თანხმობას შეწყდეს ყველანაირი შეზღუდვები საერთაშორისო ვაჭრობაში, პროტექციონიზმი იყო და რჩება ეროვნული ეკონომიკის პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტად მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.

სხვადასხვა ელექტრონული თუ ლიტერატურული სამეცნიერო წყარო პროტექციონიზმის განსხვავებული ინტერპრეტაციით ჩამოყალიბებულ განმარტებას იძლევა. მაგრამ ყველა განმარტების შინაარსში ერთი რამ ნათელია, რომ პროტექციონიზმი ეს არის უცხოური კონკურენციისაგან შიგა ბაზრის დასაცავად მიმართული პოლიტიკა.

მტკიცებები შეუზღუდავი სავაჭრო ურთიერთო-

ბების უპირატესობების შესახებ თეორიულად მეტად გონივრულად გამოიყურება, რაც ასახულია საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკურ თეორიებში. მისი მომხრენი სათანადო პოლიტიკის გატარებას გვთავაზობენ. იგი ფართოდ არის დეკლარირებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებასა და განვითარებული ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკის კოცეფციებში. ჯერ გატტ-ის (გენერელური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ), ხოლო მოგვიანებით ვმო-ის (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) ფარგლებში წარმოებული მოლაპარაკებების ბაზაზე შემცირდა სატარიფო ბარიერები, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვის ძირითადი ფორმა. კონცეფტუალური აღიარების მიუხედავად მსოფლიო რეალობა გვიჩვენებს, რომ აბსოლუტურად თავისუფალი ვაჭრობა დღეისათვის უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დიდი წინააღმდეგობებია გარე ბაზარზე გასასვლელად. თვით განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში ფართოდ გამოიყენება „არადეკლარირებული" შეზღუდვები. ფაქტობრივად, მსოფლიო მასშტაბით ფართოდ გხვდება ფარული საგარეო სავაჭრო პროტექციონისტული მაგალითები. პრაქტიკულად დღემდე ასევე პოპულარულია იდეა პროტექციონიზმის შესახებ, რომლის სისტემატიზირებული კონცეფცია პირველად მერკანტილისტურმა სკოლამ (XV-XVIIIსს.) წარმოადგინა.

იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლების საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა, სპეციფიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ — მერკანტილიზმმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც საზოგადოების მიზნის სრულიად ახლებური კონცეფციით გამოდიოდა. მერკანტილისტური იდეები უმთავრესად ვაჭრობის, ბანკირებისა და მანუფაქტურების მფლობელთა მიერ იყო ჩამოყლიბებული, რომელნიც სახელმწიფოს სიძლიერის განმტკიცებას ითვალისწინებდნენ. ბევრი სახელმწიფოსათვის მერკანტილიზმი მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებად იქცა, რამდენადაც ისინი მიიჩნევდნენ, რომ ვაჭრობაში ქვეყნების წარმატებანი მჭიდროდ უკავშირდებოდა პოლიტიკური ძალაუფლების გაძლიერებას. იგი სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა და ძირითადად მიმოქცევის სფეროს კვლევით იფარგლებოდა.

მერკანტილისტები სიმდიდრეს ფულში ხედავდნენ, ხოლო მისი შექმნის ძირითად წყაროს — საგარეო ვაჭრობაში. ექსპორტის იმპორტზე უპირატესობის დამკვიდრებული წესი იყო მათი „ვაჭრობის საუკეთესო ბალანსი" და ოქროს „შემოდენის" საშუალება. იმდროინდელ საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, სწრაფვა მიზნის მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ვაჭრებს სწამდათ, რომ რასაც ერთი ქვეყანა იძენდა, მეორე მას კარგავდა. ვაჭრობის სურვილის შესანარჩუნებლად, სახელმწიფო იცავდა მის მიერ წაროებულ პროდუქტს, რომელიც შიგა ბაზრისთვის იყო განკუთვნილი და რომლის მწარმოებლებსაც უცხოელი კონკურენტი ჰყავდა. მთავრობის მთავარ მიზანს აგრეთე საექსპორტო წარმოებების სტიმულირება წარმოადგენდა.

სავაჭრო პოლიტიკის საკითხების განხილვისას, ჩვეულებრივ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ აუცილებელია იმ საქონლის სამამულო წარმოების მხარდაჭერა, რომლის შიგა მოხმარებაც მოცემულ მომენტში იმპორტით არის უზრუნველყოფილი.

მოსაზრებები განსხვავებულია. ჩვეულებრივ, პროტექციონიზმის სასარგებლოდ გამოთქმული ყველაზე გავრცელებული მოსაზრებები დაიყვანება იმპორტთან კონკურირებადი დარგების მხარდაჭერიდან მოსალოდნელი სარგებლობის დასაბუთების სხვადასხვა ვარიანტზე. ერთ-ერთია მოსაზრება ახალი დარგების დაცვის აუცილებლობაზე, მეორე — დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაზე.

მრავალ ქვეყანაში უმუშევრების მიერ იქმნება ეგრეთ წოდებული ზეწოლის ჯგუფები, რომლებიც მთავრობისგან მოითხოვენ იმპორტის შეზღუდვას. ასეთი მოთხოვნა განპირობებულია სამუშაო ადგილების შექმნის სურვილით, მაგრამ ამ შემთხვევაში იმპორტის შეზღუდვა, რომელიც მეორე ქვეყნისათვის ექსპორტია, სხვა ქვეყნების საპასუხო ქმედებებს იწვევს. უდიდესი დეპრესიის წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იმპორტის შეზღუდვამ სამუშაო ადგილების ზრდას კი არ შეუწყო ხელი, არამედ, პირიქით, სხვა ქვეყნების მიერ განხორციელებული რეპრესალიების შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა დეპრესია, შემცირდა ექსპორტი და დაინგრა ქვეყნის მეურნეობა. რეპრესალია იძულებითი ზომაა, რომელსაც მიმართავს ერთი სახელმწიფო მეორის არაკანონიერი მოქმედების საპასუხოდ. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ გარკვეულ პირობებში (ორი ფაქტორის შემთხვევაში) შეიძლება რეპრესალიების ზემოქმედების შერბილება. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება:

1. ქვეყნის მცირე ზომა (ეკონომიკური თვალსაზრისით), რომლის მიმართ ჩვეულებრივ საპასუხო ზომები არ ტარდება და ამიტომ მას შეუძლია დასაქმების დონის ამაღლება;

2.რეპრესალიებით გამოწვეული რესურსების გადანაწილება კაპიტალტევადი დარგებიდან შრომატევად დარგებში. ამ შემთხვევაშიც მიზანი (სამუშაო ადგილების ზრდა) მიღწეული იქნება.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რეპრესალიების არარსებობის პირობებშიც კი, იმპორტის შეზღუდვით მიღებული სამუშაო ადგილების მატება მაინც ნაკლებია, პროტექციონიზმით დაცულ დარგებში უმუშევართა დასაქმების რაოდენობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში იმპორტის შეზღუდვას ნამდვილად თან ახლავს სამუშაო ადგილების ზრდა, მაგრამ იგი ჩვეულებრივ მაღალ ფასებთან ან გადასახადებთანაა დაკავშირებული. ესე იგი იწვევს დანახარჯების ზრდას, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მომენტად.

იმპორტის შეზღუდვის აუცილებლობა დასაბუთებულია 1792 წელს ალექსანდრე ჰამილტონის

მიერ ჩამოყალიბებულ „ახაგაზრდა დარგის დაცვის თეორიაში", რომლის თანახმად პროტექციონისტული ზომები საჭიროა, რათა მაღალი დანახარჯების მქონე ახალგაზრდა დარგმა დროთა განმავლობაში მიაღწიოს წარმოების ეფექტიანობას და გახდეს კონკურენტუნარიანი. ამასთან, ხარჯების შემცირებას ხელი უნდა შეუწყოს ორმა ფაქტორმა: წარმოების მასშტაბის ეფექტმა და კვალიფიკაციის ამაღლებამ. აღნიშნული მოსაზრების მიმდევართა აზრით, ახალგაზრდა დარგის სიმწიფის უზრუნველსაყოფად მისთვის გარანტირებული უნდა იყოს შიდა ბაზრის დიდი წილი.

თანამედროვე ეტაპზე მრავალი სახელმწიფო პროტექციონიზმს იყენებს საკუთარი ინდუსტრიული ბაზის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია მრეწველობის განვითარება სოფლის მეურნეობასთან შედარებით უპირატესი ტემპით და, შესაბამისად, პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდება, უცხოური ინვესტიციების ზრდა მრეწველობის დარგებში, მრეწველობის განვითარება ვაჭრობის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ვაჭრობაში მზა ნაწარმით მონაწილეობა, ვინაიდან იგი უფრო მომგებიანია ნედლეულის რეალიზაციასთან შედარებით.

პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება გასაკუთრებით გააქტიურდა თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში და ბევრმა ფარულმა დამცავმა ღონისძიებამ აშკარა და გარდაუვალი ფორმა მიიღო. ასეთი მიდგომა ეროვნული ეკონომიკის გადარჩენის საშუალებად მიიჩნია უმარავმა ქვეყანამ, რაც თითქმის დაურეგულირებელ სიტუაციას ქმნის მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში და დიდ შეშფოთებას იწვევს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მმართველ წრეებში.

კრიზისის ფონზე ბევრი ქვეყანა განიცდის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების ძლიერ დაცემას, სწრაფი ტემპებით იზრდება უმუშევრობა. პროტექციონისტური პოლიტიკის გამოყენება აქტიურად დაიწყო ვაჭრობისა და ინვესტირების სფეროში. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, რომელიც დაფიქსირდა „დიდი ოცეულის" სამიტზე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გამართულ შეხვედრებსა თუ მიმართვებში, პროტექციონიზმის ტენდენცია მაინც ძლიერდება. გართულდა სავაჭრო ურთიერთობების დარეგულირება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღიარებული წესრიგის ჩარჩოებში. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერების შემოღების უარყოფის შესახებ მიღებულ იქნა 2008 წლის ნოემბრის „დიდი ოცეულის" შეხვედრაზე, მსოფლიო მოიცვა საყოველთაო პროტექციონისტული ღონისძიებების ტალღამ როგორც რეაქციამ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისზე. დღეისათვის პროტექციონიზმი ვლინდება სხვადასხვა ფორმით. ზოგიერთი გამოკვლევით 600-ზე მეტი სახელმწიფო ღონისძიება გატარდა ამ თვალსაზრისით, მათგან დიდი ოცეულის ქვეყნებზე მოდის - 179. ყველა მათგანი არ არის ზიანის მომტანი კომერციული ინტერესებისთვის, მაგრამ პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე.

ფარული პროტექციონიზმის სახეები:

ზოგიერთი შეფასებით, არსებობს ფარული პროტექციონიზმის რამდენიმე სახე, რომელთა მეშვეობითაც ქვეყნებს შეუძლიათ ცალმხრივად შეზღუდონ იმპორტი ან ექსპორტი. მათ რიცხვშია:

- ტექნიკური ბარიერები — სავაჭრო პოლიტიკის ფარული მეთოდები, რომლებიც წარმოიქმნება იმის გამო, რომ ნაციონალური, ტექნიკური, ადმინისტრაციული და სხვა ნორმატივები და წესები ისეა მოწყობილი, რომ ხელი შეუშალონ საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანას. ტექნიკური ხასიათის ყველაზე გავრცელებული ბარიერებია — ნაციონალური სტანდარტების დაცვის მოთხოვნები, იმპორტული პროდუქციის ხარისხის სერტიფიკაციის მოთხოვნები, საქონლის სპეციფიკური შეფუთვის და მარკირების მოთხოვნები, გარკვეული სანიტარიულ-ჰიგიენული ნორმების დაცვა, გარემოს დაცვის ღონისძიებების გატარების ჩათვლით, გართულებული საბაჟო ფორმალობები და მომხმარებელთა დაცვის კანონის მოთხოვნების შესრულება და ბევრი სხვა. მაგალითად, საფრანგეთის მთავრობამ იმისთვის, რომ შეეზღუდა იაპონური ვიდეო კასეტების იმპორტი, გადაწყვიტა მთელი მათი პარტია გაეშვა ერთი ვიწრო საბაჟოთი პატარა ქალაქ უატიეში, რაც არ იძლეოდა ქვეყანაში მათი სწრაფი გაშვებისა საშუალებას. იგივე საფრანგეთი კრძალავდა შოტლანდიური ვისკის რეკლამას, ხოლო დიდი ბრიტანეთი უწესებს უცხოური ფილმების ჩვენების შეზღუდვას, ინგლისის ტელევიზიით. ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპორტირებული საქონელი უნდა იყოს მარკირებული ინგლისურ ენაზე, მკაფიო და ისეთი წარწერებით, რომლებიც გაყიდვის მომენტამდე არ იშლება და არ ირეცხება. კანადაში იგივე მოთხოვნებია, მხოლოდ წარწერები უნდა იყოს უკვე ინგლისურად და ფრანგულად. შვეიცარიაში სასურსათო და სააფთიაქო საქონლისთვის შეფუთვაზე უნდა იყოს მითითებული შიგთავსის დასახელება შვედურ და ფინურ ენებზე.

ტექნიკური ბარიერები ყოველთვის არ წარმოადგენს პროტექციონიზმის მეთოდს. ბევრ შემთხვევაში მათი შემოღება ნაკარნახევია არა იმდენად სურვილით, დაცული იქნას შიდა ბაზარი, რამდენადაც ქვეყნის მოსახლეობის დაცვაზე ზრუნვით. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში 1993 წლიდან მოქმედებს დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ, რომელიც ავალდებულებს სამომხმარებლო საქონლის მწარმოებლებს გამოუშვან ბაზარზე მხოლოდ ის საქონელი რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს ადამიანების სიცოცხლესა და ჯამრთელობისათვის.

მწარმოებელი ვალდებულია გააკეთოს მომხმარებლის ინფორმირება საქონლის გამოყენების რისკების შესახებ ინსტრუქციაში, მარკირების დროს, ეთიკაზე.

- შიდა გადასახადები და მოსაკრებლები.

გადასახადები, რომლებიც ძირითადად იდება იმპორტულ საქონელზე, მრავალგვარია და შეიძლება იყოს პირდაპირი (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზური გადასახადი, გაყიდვის გადასახადი) ან ირიბი (გადასახადები საბაჟო გაფორმებაზე, რეგისტრაცია და სხვა ფორმალობების შესრულება, საპორტო გადასახადები) შიდა გადასახადები და მოსაკრებლები თამაშობენ დისკრიმინაციულ როლს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ მათ უწესებრნ მხოლოდ იმპორტულ საქონელს, ამასთან ადგილობრივი მწარმოებლების საქონელი გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება. თუკი შიდა დაბეგვრის წესები ერთნაირია, როგორც ნაციონალური საქონლისთვის ასევე იმპორტულისთვის, მაშინ ასეთი პოლიტიკა შეიძლება განიხილებოდეს როგორც, თანაბარი სასტარტო პირობების შექმნის პოლიტიკა კონკურენტებისთვის ფასში და ხარისხში.

- პოლიტიკა სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში — სავაჭრო პოლიტიკის ფარული მეთოდი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებისგან და დაწესებულებისგან მოითხოვს გარკვეული საქონელი იყიდონ ნაციონალური ფირმებისგან მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი შეიძლება იყოს იმპორტზე ძვირი. ასეთი პოლიტიკის ტიპური ახსნა მდგომარეობს ნაციონალური უსაფრთხოების მოთხოვნებში. მაგალითად, ამერიკის მთავრობა 1933 წლის კანონის მიხედვით, რომელმაც მიიღო სახელწოდება აქტი „იყიდე ამერიკული", იხდიდა 12% მეტს, ხოლო თავდაცვითი საქონლისთვის 50% მეტს ამერიკელი მომწოდებლებისთვის უცხოელებთან შედარებით. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ბოლო დრომდე კავშირგაბმულობის საშუალებები იყო სახელმწიფოს ხელში, პრაქტიკულად არ იყო კავშირგაბმულობის მოწყობილობებით ვაჭრობა, რადგანაც სახელმწიფო ფირმებისაგან ითხოვდნენ ეყიდათ ასეთი მოწყობილობა მხოლოდ თავისი მწარმოებლისგან.

- ადგილობრივი კომპონენტების შენახვის მოთხოვნა არის სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკის ფარული მეთოდი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე აწესებს საბოლოო პროდუქტის წილს, რომელიც უნდა იყოს აღიარებული ნაციონალური მწარმოებლების მიერ, თუ ასეთი პროდუქტი გათვალისწინებულია შიდა ბაზარზე გასაყიდად. ჩვეულებრივ მოთხოვნა ადგილობრივი კომპონენტების შენახვის შესახებ გამოიყენება განვითარებად ქვეყნების მიერ იმპორტის შენაცვლების პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს იმპორტირებული საქონლის წარმოების ნაციონალური ბაზის შექმნას და ზრდას იმისთვის, რომ შემდგომში უარი ეთქვას იმპორტს. განვითარებული ქვეყნების მთავრობები სარგებლობენ მოთხოვნით ადგილობრივი კომპონენტების შენახვის შესახებ, იმისთვის რომ თავიდან აიცილონ წარმოების გადაადგილება განვითარებად ქვეყნებში უფრო იაფი მუშახელით და ამით შეინარჩუნონ დასაქმების დონე.

ამრიგად, ფარული პროტექციონიზმის მეთოდები არასაბაჟო ხასიათის მრავალგვარი ბარიერებია, რომლებიც წარმოდგებიან სახელმწიფო ცენტრალური ორგანოების და ადგილობრივი ხელისუფლების მიერაც ვაჭრობის ბაზარზე. მათ რიცხვში შედის ტექნიკური ბარიერები, ნაციონალური სტანდარტების დაცვის მოთხოვნები, იმპორტირებული პროდუქციის ხარისხის სერტიფიკატების მიღების შესახებ, საქონლის სპეციფიკური შეფუთვის და მარკირების შესახებ, გარკვეული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ; შიდა გადასახადები და მოსაკრებლები, (დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზები, გაყიდვის გადასახადი) სახელმწიფო შესყიდვები უპირატესად ადგილობრივი პროდუქციის და უცხოურის მიმართ დისკრიმინაცია; წარმოებულ საქონელში ადგილობრივი კომპონენტების შენახვის მოთხოვნა, იმისთვის რომ შეინარჩუნონ დასაქმებულობა და შეზღუდონ იმპორტი.

პროტექციონიზმის გამართლება შეიძლება შემდეგი არგუმენტებით: დაცვას საჭიროებენ ახალი არაკონკურენტუნარიანი დარგები, რათა ისინი ჩანასახშივე არ ჩაკვდნენ. საერთაშორისო კონკურენციისგან დაცული დარგები კი მიიზიდავენ კაპიტალსა და შესაძლებელი იქნება ეროვნული მრეწველობის განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია გამოდის ინიციატივით: შემცირდეს ან საერთოდ გაუქმდეს ვაჭრობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები, უმეტესი მათგანი მაინც იყენებს პროტექციონისტულ პოლიტიკას, რათა დაიცვან ქვეყნის შიგნით არსებული ეროვნული ბაზარი, ასევე სამამულო კომპანიებისათვის საგარეო ბაზარზე კონკურენციული უპირატესობის ხელშეწყობა უზრუნველყონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები თბ., 2010.
2. Шербанин Ю.А., Мировая экономика, Учебник. М., 2007.
3. Киреев А., Международня экономика., М., 1998.
4. S.J. Evenett, Crisis-era protectionism one year after the Washington G20 meeting, The Great Trade Collapse: Causes, Consequences and Prospects, 2009, A Vox-EU.org Publication.
5. http://www.economy.ge
6. http://theworldeconomy.org
7. http://wn.com

აია – პულა, იგივე პოლა: ქართველთ გზა-ხიდი ევროპისაკენ

მილორდ სიჭინავა, *ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

სტატია ეძღვნება ქართულ-ევროპულ ურთიერთობათა განვითარების პრობლემებს „არგონავტების“ პერიოდში (არაუგვიანეს ძვ.წ. XIIIს-სა). სახელდობრ, ანტიკურ წყაროებს არგონავტების მიერ გატაცებული ოქროს საწმისისა და მედეას მდევარ კოლხთა (ლეგენდარული აიას მკვიდრთა) მიერ ადრიატიკის ზღვის ჩრდილო ნაწილში, ისტრიის ნახევარკუნძულზე ქალაქის – „პოლას“ დაარსებისა და მისი სახელწოდების წარმომავლობის შესახებ.

აღნიშნული წყაროების თანახმად, იგი კოლხური სიტყვაა და „ლტოლვილს“ აღნიშნავს (კალიმაქე კვირენელი, ძვ.წ.III ს., ლიკოფრონი — ძვ.წ. III ს., სტრაბონი – ძვ.წ. I ს. – ა.წ. I ს. და სხვ.).

ავტორის მტკიცებით, სახელი „პულა“ თანამედროვე კოლხურ ენაში (ხოლო სახელი „პოლა“, მეცნიერებაში არსებული ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, საკუთრივ ქართულ ენაში), დღესაც კი, გარკვეულ სიტყვებსა თუ სიტყვათკომპლექსში, დანამდვილებით „ლტოლვილის“ სინონიმია. მეტიც. აღნიშნული სახელწოდების ქალაქი – „პულა“ („პოლა“) დღესაც არსებობს ისტრიის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე (დღევანდელი ხორვატიის ტერიტორია), როგორც ეს ანტიკურ ცნობებშია მითითებული. ამიტომ, ავტორის აზრით, იგი სწორედ ცნობებში აღნიშნულ ქალაქს უნდა წარმოადგენდეს.

Summary

Aea – Pula the same Pola:
the way of Georgians to Europe

This article is dedicated to the problems of development of Georgian – European relationships in the epoch of the Argonauts (not later XIII c. BC). Namely it discusses ancient sources about Golden Fleece stolen by the Argonauts and about the colchian pursuers (legendary native population of Aea) of Medea , that founded the city of Pola in north part of the Adriatic sea on istrian peninsula; it also analyses a problem of its origin.

According to above mentioned sources "Pola" is colchian word and means "a refugee" (Callimachus of Cyrene III c. BC, Lycophron III c. BC , Strabon I c. BC and I c. AD etc.).

The author claims that the name "Pula" in contemporary (and the name "pola" – according to one of the assertions – in Georgian Language itself) colchian language in certain words or in word combinations even today actually presents a synonym of " a refugee". Moreover, the city of this name – "Pula" ("Pola") even in our days exists on the western coast on istrian peninsula (territory of present Croatia) as it is indicated in ancient sources. Therefore, the author thinks that it may be the same city mentioned in that sources.

ქალაქი პულა (პოლა) ისტრიის ნახევარკუნძულზე . [19. 112-113] .

* * * * * *

ქართულ-ევროპულ მრავალწახნაგოვან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა აღმოცენებისა და განვითარების პროცესი ათასწლეულთა მიღმა იღებს სათავეს. იგი ასახულია მეცნიერებაში დღემდე მეტ-ნაკლებად გამოკვლეულ არაერთ ცნობასა და გადმოცემაში, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოირჩევა მითები ოქროს საწმისსა და არგონავტებზე[1]. ისინი ხშირად მთელი რიგი

1 „არგონავტების თქმულება მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც ასე თუ ისე უკუფენა იმ საწარმოო დამოკიდებულებისა, რომელიც ადრინდელ ქართველ-ბერძენთა შორის ოდითგან არსებობდა და რომლის ეკონომიკურ-საწარმოებრივ ნიადაგზე ამ ორ ტომს შორის გაიშალა მრავალსახოვანი კულტურული ურ-

სიმბოლური მინიშნებებით სავსებით ნათლად წარმოაჩენენ არა მარტო ამგვარ ურთიერთდამოკიდებულებათა შესაძლებლობასა და მარშრუტებს, არამედ ასევე მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილის მიგრაციასაც იმ პერიოდში.

ერთ-ერთი ასეთი მიგრაციის უტყუარ საბუთს უნდა წარმოადგენდეს ცნობები მედეას მდევარ კოლხთა (ლეგენდარული აია-ს მკვიდრთა) დასახლებისა და მისი სახელწოდების – „პოლას“ ეტიმოლოგიის შესახებ, რომლის შესწავლაც ნათელს მოჰფენდა მთელ რიგ საკითხებს კოლხური ყოფის ელემენტების შესვლის დროისა და შესაძლებლობის შესახებ ძველი ევროპის რიგ რეგიონში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამასთან დაკავშირებით ალექსანდრიზმის დიდი წარმომადგენლის, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მეთაურის (!), პოეტისა და გრამატიკოსის (!) ალექსანდრიული გაგებით, ,,არგონავტიკის“ შემთხზველის – აპოლონიოს როდოსელის მასწავლებლის, კალიმაქე კვირენელის (315-240) ცნობები, რომელსაც თავად ავტორის განსწავლულობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმ დროისათვის ერთობ მწიგნობრული საფუძველი უნდა ჰქონოდა: ,,კ ო ლ ხ უ რ პ ო ლ ა შ ი: პოლა არის ეპირის ქალაქი[2], დაარსებული იმ კოლხთა მიერ, რომლებიც მედეას დაედევნენ, მაგრამ, რაკი ვერ შეიპყრეს, აიეტის შიშით აქ დასახლდნენ და დააარსეს ქალაქი, რომელსაც კოლხურ ენაზე (!-მ.ს.) პოლა ეწოდება. როგორც კალიმაქე ამბობს, კოლხურად (!-მ.ს) ,,პოლა“ ,,ლტოლვილთ“ (ან კიდევ თავად ,,ლტოლვილთა ქალაქს“, როგორც ამას აზუსტებს აკ. ურუშაძე სხვა წყაროებში – მ.ს.) აღნიშნავს...“. (კალიმაქე კვირენელი. ,,ჰიპომნემატა“. ფრგ. 104. – ლიკოფრონის ,,ალექსანდრას'' სქოლიონები. 1022. [14. 312]). ოდნავ სახეშეცვლილად, მაგრამ ფაქტობრივად მაინც თითქმის იმავეს გადმოგვცემს ლიკოფრონიც (ძვ.წ. III ს. ცნობილი ალექსანდრიელი მოღვაწე): ,,კრათისი (მდინარე – მ.ს.) და მილაკთა (ტომი ეპირში – მ.ს.)საზღვრების მეზობელი მხარე თანამოსახლეებად მიიღებს (მაშასადამე, მიიღებს, როგორც ჩანს, სავსებით მშვიდობიანად – მ.ს.) პოლაში იმ კოლხებს, რომლებიც აიასა და კორინთოს მრისხანე გამგებელმა, იდიიას მეუღლემ

თიერთობა და, მათ შორის, სააზროვნოც“ (შ. ნუცუბიძე, 1956.[7. 67]). „შეიძლება ითქვას, რომ თქმულება არგონავტების შესახებ ერთ-ერთი ადრინდელი ძეგლია ქართული კულტურის ისტორიის უკუმფენელი ... მთავარი აქ ისაა, რომ ეს თქმულება მიუთითებს იმ საწარმოო-სავაჭრო ურთიერთობაზე, რომელიც ადრინდელ ქართველ ტომთა და ბერძნებს შორის არსებობდა და უჩვენებს გზებს, რომელთაც ურთიერთი კულტურული კავშირები მოჰყვებოდა“ [7.76]; ცნობილი რომაელი ლირიკოსი – იუვენალი (ახ.ნ. 60-140 წწ.) იაზონს (არგონავტების ლაშქრობის მეთაურს) სწორედ ვაჭარს უწოდებს (იხ. იუვენალი VI. 153. შდრ. [14. 101]; ორფიკული არგონავტიკა. 1977.[8.21] და სხვ.). საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ელინისტური ეპოქის დიდი მოღვაწის, მეცნიერული გეოგრაფიისა და ქრონოლოგიის ფუძემდებლის – ერატოსთენე კვირენელის (ძვ. წ. III ს.) – შემდეგი ცნობაც: „... ძველი ხალხები ცურავდნენ ყაჩაღობისა და ვაჭრობისათვის, მაგრამ შუაგულ ზღვაში კი არ ცურავდნენ, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც იასონი, რომელმაც (თითქოსდა – მ. ს.) გაგზავნა ხომალდები (?! – მ. ს.) და კოლხებიდან [[წამოსულმა]] არმენიასა და მიდიამდე ხმელეთით ილაშქრა“. სტრაბონი. „გეოგრაფია“. I. 3, 2.[14. 417]; „ისტორიული სინამდვილე, რაც არგონავტთა თქმულებაში აისახა, არის ლაშქრობა, რომელიც აწარმოეს მეკობრეობის სურვილით შეპყრობილმა ბერძნებმა შავი ზღვის სანაპიროებზე ვაჭრობის მიზნით“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976.[17. 12]); „ვინ იყვნენ არგონავტები? პასუხი ცალსახაა. დღევანდელი გაგებით ისინი იყვნენ ვაჭრები, რომლებიც ძვირფასი საქონლის (ყველა ისინი იდეალიზებულია ოქროს საწმისში) შეძენის მიზნით გაერთიანდნენ, ააგეს გემი და გაემგზავრნენ უმდიდრეს შორეულ კოლხეთში“. (შ. ქისტაური. 1997.[16]) და სხვ.

2 ზოგიერთი მტკიცებით, უფრო გვიანდელი ვერსიით, ქალაქი ისტრიაში [14. 499], ადრიატიკის (იგივე ძველი კრონოსის) ზღვის ჩრდილო ნაწილში, სწორედ ჩრდილოეთ იტალიისა და ყოფილი იუგოსლავიის — ამჟამინდელი ხორვატიის (იგივე ,,ხორუა - თ ი - ა˜ - ს? ანუ, სიტყვასიტყვით, იგივე დ ა ს ა ხ ლ ე ბ ი ს? კოლხურად.შდრ.ქვეყნის თვითსახელწოდება: ,,Hrvatska“) და სლოვენიის ტერიტორია, სადაც დღესაც არსებობს ისტრიის ნახევარკუნძული ზღვისპირა ქალაქით პულა (იგივე პოლა) [20. პოლა], [19. 112-113, 129-130] და კუნძული, სახელწოდებით – კრკ-ი (Krc, Крк.).([15. 39]; [19. 112-113, 129-130] და სხვ.) – იგივე ,,კრკ-ა? – ანუ, ეტყობა, იგივე „კირკე?“ – რომელიც (აღნიშნული სახელწოდება) თუნდაც აგებულებით, განსაკუთრებით მისი უხმოვნო სტრუქტურით, თითქოსდა მართლაც სწორედ ძირძველ კოლხურ სახელს გვაგონებს, – თუმცა, თქმულების ზოგიერთ გადმოცემათა თანახმად, გრძნეული კირკეს, აიეტ-მეფის დის, კუნძული აიაია მდებარეობდა არა აღნიშნულ უბეში, არამედ თითქოსდა სწორედ ტირენიის (ტირსენიის), იგივე ეტრურიის (ეტრუსკების) [14. 493, 495] ზღვაზე, იტალიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, სადაც განწმინდა კირკემ იასონი და მედეა აფსირტეს (მედეას ძმის – აიეტის ძის) მკვლელობის ცოდვისგან და თავად მედეას **კოლხურ ენაზე** (!) ელაპარაკა (შდრ. აპ. როდოსელი. ,,არგონავტიკა“. III, 304-316, IV, 557-591, 685-748 და სხვ.). აქვეა თავად აფსირტიდებიც, – ორი კუნძული ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე – რომელთაც, გადმოცემების მიხედვით, სახელი თითქოსდა სწორედ აფსირტესაგან მიიღეს, – ამჟამად, როგორც მიუთითებენ, კვარნეროს კუნძულები და, მითის თანახმად, კოლხთა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ე ბ ი კერავნიის, – ამჟამინდელი კიმარას, – მთებში (შდრ. იქვე. IV. 510-519. [1.193, 279-281, 285-289, 351-355, 363-364, 372 და სხვ]). ინტერესს იწვევს ამასთან დაკავშირებით გადმოცემებიც ისტრების ტომზე. ,,ისტრების ტომი (histrorum gens) იმ კოლხთაგან წარმოიშვა, რომლებიც აიეტის ბრძანებით არგონავტებს დაედევნენ. არგონავტების მდევარი კოლხები (მითის თანახმად, მათი ერთი ნაწილი – მ.ს.) პონტოდან ისტროსში (ამჟამად დუნაი – მ.ს.) შენავდნენ, გადაკვეთეს მდინარე სავა, არგონავტებივით მხრებით გადაიტანეს ხომალდი მთათა უღელტეხილებზე და ადრიატიკის სანაპიროზე, აქვილიაში (აწ. Aglar ზემო იტალიაში) დ ა ს ა ხ ლ დ ნ ე ნ (კურსივი ჩვენია – მ.ს.). ისტრებად კი იწოდნენ მდინარე ისტროსისაგან, რომელშიაც ზღვიდან შემონავდნენ“ (ცნობა ეკუთვნის რომაელ ისტორიკოსს, პომპეიუს ტროგუსს (ახ.წ. I ს.). ([14. 102]; შდრ. ასევე: დიოდორე სიცილიელი (ძვ. წ. I ს.). ,,ისტორიული ბიბლიოთეკა“. IV, 56. [14. 409-410]; სტრაბონი. ,,გეოგრაფია“. I. 3, 15. [14. 418] და სხვ.). ასე, რომ, თუკი ამ ცნობებს ვენდობით, არაა სულმთლად არასარწმუნო კოლხთა ცხოვრება ამ რეგიონში, მოყოლებული ,,არგონავტების“ პერიოდიდან, – ვინაიდან, გარდა ზოგიერთ გადმოცემათა უზუსტობისა, რომ თითქოსდა მდინარე ისტროსი იმავდროულად ორივე (ადრიატიკისა და პონტოს) ზღვაში ჩაედინება, ამგვარ მტკიცებათა ავტორნი ,,არაფერს ამბობენ დაუჯერებელსა და უნდოს“ (სტრაბონი. I. 2, 39. [14. 415-416]), – და ასევე მათი მიმოსვლაც მითითებული მარშრუტით (მაშასადამე, მდინარე დუნაის აუზში) თითქოსდა უკვე მანამდეც (შდრ. მდევართა გადაადგილებისა და მანევრირების სისწრაფე თავად მითისა და მათ განმარტებათა – სქოლიასტების – მიხედვით). ამიტომ ინტერესს იწვევს ამასთან დაკავშირებით ამ რეგიონის არაერთი ტოპონიმის დაუჯერებლად ზუსტი ანალოგია კოლხურთან და განსაკუთრებით გვართა ტიპური დაბოლოება ,,სკი“(ძე კოლხურად)-თი და ,,სკუ“ (,,სკუა“ – შვილი კოლხურად)-თი აქ (საერთოდ დუნაის აუზსა და უშუალოდ მის მიმდებარე რეგიონებში) მცხოვრებ ხალხებში, რომელთა (გვართა ამგვარი ტიპების) წარმოშობასაც ძველი კოლხეთის სინამდვილეში თითქოსდა სწორედ ერთობ ხანგრძლივი ისტორია უდასტურდება. ([11. 97-100]; [12. 96-97] და სხვ.).

[აიეტმა] გამოგზავნა ასულის საძებრად, რომლებიც კვალდაკვალ მოსდევდნენ პატარძლის წამომყვან ხომალდს და რომლებიც დიძეროსის (მდინარე – მ.ს.) ღრმა მდინარებასთან დასახლდნენ“ (ლიკოფრონ ქალკიდელი.,,ალექსანდრა“. ტ. 1021-1026. [14. 301]). აქედან, ერთი შეხედვით, ისე გამოდის, რომ პოლა თითქოსდა უკვე არსებულიყო ამ ადგილებში მანამდეც, თანაც კოლხეთის მეფე, აიეტი, გამოცხადებულია ასევე კორინთოს გამგებლად, თუმცა ისინი (ეს მოსაზრებანი) უფრო გარკვევითაა განმარტებული მისსავე სქოლიონებში: ,,პ ო ლ ა – ეპირის ქალაქი, დაარსებული მედეას მდევარ კოლხთაგან, რომლებმაც ვერ შეიპყრეს იგი და შიშის გამო აქ დასახლდნენ და დააფუძნეს ქალაქი. მას კ ო ლ ხ უ რ ე ნ ა ზ ე პოლა ეწოდება; ეს სახელი, როგორც კალიმაქე ამბობს, ნიშნავს ,,ლტოლვილთ“.

ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ: მეზობელი მხარე და მდინარე კრათისი მილაკების საზღვრებში და პოლაში – ასე წოდებულ კოლხთაგან დაარსებულ ქალაქში – თანამოსახლეებად მიიღებს (! – მ.ს.) აიეტის ასულის, მედეას, კვალის მაძიებლებსა და მდევრებს.

ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ: მეზობელი კრათისი, მდინარე იტალიისა (!-მ.ს.), მილაკთა (შდრ. ტოპონიმი ,,მილანი“–მ.ს.) საზღვრებსა და პოლაში მოსახლეებად მიიღებს (!-მ.ს.) კოლხთა [ნაწილს]“ (,,ალექსანდრას“ სქოლიონები. 1021. [14. 303]).

ერთგვარად აზუსტებს აღნიშნულ ცნობებს დიდი ბერძენი გეოგრაფოსი – სტრაბონი (64/63 ძვ.წ. – 23/24 ახ.წ.): ,,პოლა დაფუძნებულია ტბის მსგავს უბეში, რომელსაც კარგი და ნაყოფიერი კუნძულები აქვს (როგორც აქედან გამოდის, ქალაქი პოლა თითქოსდა უნდა არსებულიყო ამ ადგილებში სტრაბონის დროსაც – მ.ს.). დაარსებულია [პოლა] ძველად იმ კოლხების მიერ, რომლებიც მედეას დაადევნეს. მათ ვერ შეასრულეს [დავალებული] საქმე და თავიანთ თავს გაძევება მიუსაჯეს. როგორც კალიმაქემ თქვა: ,,ბერძენი ვინმე დაარქმევდა მას ლტოლვილთა [ქალაქს], ხოლო მათ [კოლხთა] ენამ დაარქვა პოლა“ (სტრაბონი. V. 1,9. [14. 419-420]). და კიდევ, ისევ კალიმაქეს ცნობაზე: ,,შემდეგ [ამბობს] კოლხების შესახებ, რომ ,,მათ [მედეას მდევარმა კოლხებმა —მ.ს.] ილირიის სრუტესთან შეაჩერეს ნიჩბები და ქერა ჰარმონიას ქვის საფლავთან[3] დააფუძნეს ქალაქი, რომელსაც ბერძენი ვინმე ლტოლვილთა [ქალაქს] დაარქმევდა, მაგრამ მათმა ენამ უწოდა პოლა“. სტრაბონი. I. 2,39. [14. 415].

მიუხედავად იმისა, რომ არგონავტების სამშობლოში დაბრუნების მარშრუტის გადმოცემის დროს ბერძნულ წყაროებში დიდი არევ-დარევა და გაუგებრობაა და მდინარე ისტროსით დაბრუნების ვერსია, ეტყობა, შედარებით, გვიანაა წარმოშობილი და ცდილობდა რაციონალისტურად აეხსნა არგონავტების ყოფნა იტალიაში[4], მოყვანილი მოსაზრებებიდან ირკვევა, რომ პოლა – ეს არის სწორედ მედეას მდევარ კოლხთა მიერ დაარსებული ქალაქი ისტრიაში და რომ სახელი პოლა კოლხური სიტყვაა და თან საკუთრივ კოლხურ ენაზე (!-მ.ს.), – რაც ამ გადმოცემებში სავსებით არაორაზროვნადაა გამოკვეთილი, – ,,ლტოლვილთ“ (ან კიდევ თავად ,,ლტოლვილთა ქალაქს“) აღნიშნავს[5]. ამიტომ, თუკი ვენდობით ამ გადმოცემებს და მხედველობაში მივიღებთ ქალაქის – ,,პოლას“ აღმოცენების პერიოდს (ე.წ. მითოლოგიური ქრონოლოგიით, დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეული, არაუგვიანეს XIII საუკუნისა[6]), მდებარეობასა (ადრიატიკის ზღვის ჩრდილო ნაპირი, ძველი ელადის უშუალოდ მიმდებარე ტერიტორია, ილირია, სახელდობრ, ისტრია[7]) და ასევე მისი, როგორც ძველ კოლხთა ადგილსამყოფელისა და, ამდენად, ,,არგონავტებზე“ მითის მიხედვით, ეტყობა, უკვე რკინის ხანაში მყოფი ქალაქის[8] ცხოვრების წესსაც მისთვის დამახასიათებელი, როგორც ჩანს, ერთობ გამორჩეული ქალაქური ყოფის ატრიბუტებით, როგორიცაა: ხელოსნობისა და აღებ-მიცემობის განვითარების კოლხური სიმაღლე, კოლხური კკრბები და, როგორც ნავარაუდევია ავტორის მიერ, შესაძლოა ასევე ფულის მონეტარული მიმოქცევისა და მისი სახელმწიფოებრივი მოწესრიგების კულტურაც[9] და

3 ერთგვარ საიდუმლოს ინახავს, როგორც ჩანს, მსგავსი მიგრაციის დაკავშირებაც სწორედ ბეოტიის თებეს ლეგენდარული დამაარსებლის – კადმოსისა და მისი მეუღლის – ჰარმონიას და ასევე ილირიის ერთ-ერთი ხალხის, სახელდობრ, „ე ნ ქ ე ლ თ ა“ (საგულისხმოა თავად „ენქ-ელიც“) სახელთან, სადაც მდებარეობდა თითქოსდა მითითებული (და თვით კადმოსის) საფლავიც (შდრ. აპ. როდოსელი. „არგონავტიკა“. IV. 507-521. [1.277,354]).

4 იგი მომდინარეობს, როგორც მიუთითებენ, ძვ. წ. III ს. გეოგრაფოსის – ტიმაგეტეს მტკიცებებიდან, რომელიც თითქოსდა გამოიყენა როგორც კალიმაქემ, ისე აპოლონიოსმაც. შდრ. აპ. როდოსელი. ,,არგონავტიკა“. IV. 323-330 [1. 267,353-354]; ჰეკატე მილეტელი. „გენეალოგიები“. 18ა. (339); 18ბ(186), შემონახული გადმოცემებში: აპ. როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონები. IV.259; IV.284. [14. 244-247; 502] და სხვ.

5 ინტერესს იწვევს ამასთან დაკავშირებით შემდეგი ცნობაც: „კალიმაქე [გადმოგვცემს], რომ ადრიატიკის ზღვაში შემონავებულმა [კოლხთა] ნაწილმა არგონავტები ვერ იპოვა: იმათ კი, ვინც კიანეს კლდეების მეშვეობით მიაღწიეს კერკირას, [იპოვეს], ვინაიდან [არგონავტები] მაშინ იქ იყვნენ“. აპ. როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონები. IV. 284.[14. 246].

6 თუმცა არსებობს რიგი განსხვავებული ვერსიაც, რომ ესაა სწორედ, როგორც ჩანს, „...ძვ. წ. XVII-XV სს – დასავლეთ საქართველოს, ანუ კოლხეთის „პირველი აღზევება“, ლეგენდარული აიეტის მეფობა (პარალელურად, დასავლეთით, წინაბერძნულ სამყაროში „მინოსის ხანა“), „ოქროს საწმისისა“ და „არგონავტიკის ხანა“. (გ. სანიკიძე, ლ. სანიკიძე. 1992. [9. 3]; ერთ-ერთმა პირველმა კოლხურმა გაერთიანებამ, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ სიმაღლეს „ძვ. წ. ა. II ათასწლეულის მეორე ნახევარში (XV-XII სს) მიაღწია. საინტერესოა, რომ აიეტ მეფის ლეგენდარული კოლხეთი ძვ. წ. ა. XIV-XIII საუკუნეებში ექცევა ბერძენთა ე. წ. მითოლოგიური ქრონოლოგიის მიხედვით“. (რ. გორდეზიანი. 1993. [6. 38]); „ქალაქი პ. (პოლა – მ.ს.), რომელიც ძველთაგანვე ატარებდა ამავე სახელს, დაარსებულია, გადმოცემის მიხედვით, ქრ.შ.-მდე 1350 წ. (?! – მ.ს.), იმ კოლხების მიერ, რომელთაც მისდევდა იასონი (?! – მ.ს.)“. [20. პოლა] და სხვ.

7 საყურადღებოა ამ თვალსაზრისით რომაელი ისტორიკოსის – პლინიუს უფროსის (ახ.წ. 23-79 წწ.) ენციკლოპედიური ნაშრომი – Historia naturalis, სადაც მოხსენიებულია არგონავტების მდევარ კოლხთაგან დაარსებული კოლონია პოლა (Pietas Julia) ისტრიაში (III,23), ოლკინიუმი ანუ კოლხინიუმი – დალმაციაში და ორიკუმი ილირიის სანაპიროზე (III,26). [14. 103]. შდრ. ასევე [1. 372] და სხვ.

8 შდრ. გადმოცემები რკინის დამუშავების აღმოჩენის შესახებ ხალიბთა მიერ. იხ. ავტორის სტატია:[11. 91].

9 შდრ. ავტორის სტატიები: [10. 97-103]; [11. 85-109]; [12.

სხვ.[10], რომელიც, ეტყობა, უდავოდ, არსებითად განსხვავდებოდა იმდროინდელ ძველბერძნულ დასახლებათა ცხოვრების წესისგან, – მთლად უსაფუძვლო არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ, არაა გამორიცხული, სახელი ,,პოლა", როგორც ქალაქი და თანაც როგორც იმ დროისათვის ერთობ სამაგალითო უცხო ქალაქის უცხო სახელწოდება თავად ტერმინის – ,,პოლისი" აღმოცენების ერთგვარ წინაპირობას, – თუ უშუალოდ საფუძველს არა, – წარმოადგენდეს, ვინაიდან სინამდვილეშიც ისტორიულად თავად ,,პოლისმა, საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის უფრო ახალმა და მოქნილმა ფორმამ, რომელიც განვითარებისაკენ სწრაფვას მძლავრ სტიმულს აძლევდა" (რ. გორდეზიანი. 1988. [4. 18.]), უპირატესად გავრცელება დაიწყო ძველ საბერძნეთში, – და, ეტყობა, ალბათ, ძველ იტალიაშიც, – როგორც ჩანს, სწორედ მოყოლებული ,,არგონავტების" პერიოდიდან [15. 135-136]. მიუხედავად იმისა, რომ სახელი ,,პოლა" არც თანამედროვე კოლხურსა და არც სხვა ქართველურ ენაში დღეისათვის (და არც ასევე თუნდაც შორეულ თვალსაწიერში) არ ატარებს უშუალოდ ამგვარ შინაარსს (ყოველ შემთხვევაში ჩვენ მიერ მოძიებული მასალების მიხედვით), კოლხურში მაინც დაიძებნება სახელწოდება, რომელიც შესაძლოა გამოდგეს კიდეც ერთგვარად აღნიშნულ ენაში მისი ძირძველი ფუძის არსებობის გზამკვლევად. ეს სახელია, როგორც ჩანს, პულა, ანუ იგივე ღრუბელი, ორთქლი, ბოლი და ა.შ. კოლხურად (ი.ყიფშიძე. [18. 503]), რომელიც როგორც ცალკე სიტყვებში, ისე გარკვეულ სიტყვათკომპლექსშიც, დღესაც კი, უკვე სინამდვილეში მართლაც და სწორედ გაძევებულის, ანუ იგივე ლტოლვილის სინონიმია კოლხურში. შდრ. გამოთქმები: „მე-პულა-ნს" – შიშისგან თავზარდაცემული თავქუდმოგლეჯილი გარბის; „პულა მეჩამილი" – „პულა მიცემული" – „ცეცხლშენთებული", გაგდებული, გაძევებული და სხვ., „ქიმეჩეს პულა" – „მისცეს პულა" – „შეუნთეს ცეცხლი", გააგდეს, გააძევეს და სხვ.; „ქოღოლუეს პულა" – „გააკეთეს პულა" – გაიქცნენ, გადაიკარგნენ, გადაიხვეწნენ, გაქრნენ, აორთქლდნენ და ა.შ. კოლხურად და სხვ[11].

ამასთან, საერთოდ მედიტერანულ-წინაბერძნულსა და ასევე ქართველურ ენებში, ბგერათმონაცვლეობის ძირითად ტიპთა შესაბამისად [5. 31-39], სავსებით დასაშვებია აგრეთვე ბგერათმონაცვლეობაც ო/უ სიტყვებში: პოლა/პულა [5. 33] და, ამდენად, სიტყვიდან „პულა" სახელის –„პოლა" სრულიად კანონზომიერი მიღება.

ქალაქ პულას (პოლას) რომაული პერიოდის ოვალური ფორმის ამფითეატრი. [20. პოლა].

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მთლად უსაფუძვლო არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ სახელი პოლა (იგივე პულა) დანამდვილებით კოლხური სიტყვაა და თანაც სწორედ გადმოცემებში ფიქსირებული საზრისით[12]. ამიტომ არაა გამორიცხული ამავე სახელწოდებისა და ზემოთ მოხმობილ ცნობებში მითითებული წარმომავლობის (ანუ მედეას მდევარ კოლხთა მიერ დაარსებული) ქალაქი მართლაცდა არსებულიყო დასახელებულ ადგილას, მოყოლებული „არგონავტების" პერიოდიდან და თანაც სწორედ, ეტყობა, იმ დროისათვის საერთოდ ქალაქური ყოფის განვითარების ერთობ მაღალი ნიმუშისა და სტიმულატორის ფუნქციით უშუალოდ მისი მოსაზღვრე რეგიონებისა და ხალხებისათვის, – მით უფრო მაშინ, როდესაც ამგვარი სახელწოდების პულა (პოლა) ქალაქი დღესაც არსებობს ამავე ადგილას, – რის გამოც სავსებით დასაშვებია ასევე სახელის „პოლა" მართლაც შესაძლო „ნათესაობა" ტერმინთან „პოლისი". შესაბამისად, სადავო ხდება უკვე თავად ამ უკანასკნელისა (სახელის „პოლისი") და, როგორც მიღებულია, სწორედ მისგან წარმომდგარ სიტყვათა: „პოლიტიკა", „პოლიტიკური"

91-114] და სხვ.

10 შდრ. ის გაოცება, რომელიც გამოიწვია არგონავტებში კოლხთა ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის სიმაღლემ და ასევე არგონავტების შემადგენლობაც, რომელშიც, თქმულების თანახმად, თითქმის მთელი იმდროინდელი ელადა იყო წარმოდგენილი.

11 თუმცა არსებობს ერთობ საგულისხმო ვერსიაც სახელის – პოლა ეტიმოლოგიის შესახებ, რომ, რაკი, სავარაუდოდ აღნიშნულ სახელწოდებას უნდა ჰქონოდა კავშირი მდევართა ენაში სირბილის, ლტოლვის, გაქცევის მნიშვნელობასთან დაკავშირებულ ფუძესთან, ამიტომ „შესაძლოა, ამ შემთხვევაში ყურადღება მივაქციოთ უკვე ძველ ქართულში დადასტურებულ და დღემდე შემონახულ „რბოლა" ფორმას, რომელიც სხვადასხვა ვარიაციებით (გარბოლა, გარდარბოლა, თანარბოლა, მირბოლა, წარრბოლა) გვხვდებოდა ძველ ქართულში და იგი აშკარად თანამედროვე „ლტოლვის" სინონიმად უნდა აღვიქვათ. ძველ ბერძნულში სიტყვის თავში რბ-კომპლექსი უთუოდ გამარტივდებოდა (რბ-,რპ-,რფ-კომპლექსები სიტყვის ანლაუტში ძვ. ბერძნულში საერთოდ გამორიცხულია) რ-ს დაკარგვის ხარჯზე და „რბოლა" „პოლა" ფორმით გადმოიცემოდა, რადგან კლასიკური ეპოქის შემდგომ ბერძნულში ქართველურ ბ-ს უფრო π შეესაბამებოდა, ვიდრე β, რომელიც ვ-ში გადასვლის ტენდენციას გვიჩვენებდა. ამდენად, ის უნიკალური შემთხვევა, როდესაც ბერძნები ლექსიკური ფორმატივის მნიშვნელობას გვთავაზობენ, აშკარად ექვემდებარება ქართველურ ინტერპრეტაციას. ამ სახელწოდების სხვაგვარი ეტიმოლოგია ჯერჯერობით არავის შემოუთავაზებია". (რ. გორდეზიანი. 1999. [2. 112-113]). შდრ. ავტორის სტატია [13. 114-123]).

12 კოლხეთის მკვიდრთა ენის საკითხზე არგონავტების პერიოდში და, ამდენად, ასევე სახელის პულა (პოლა) სწორედ ამგვარი წარმომავლობის შესაძლებლობის შესახებ, შდრ. (თ. გამყრელიძე.1984. [3]).

აია – პულა, იგივე პოლა: ქართველთ გზა-ხიდი ევროპისაკენ ... (ძვ.წ. II ათასწლეული, არაუგვიანეს XIII ს-სა.შდრ.: [2.111-116, 2. დანართი]; ასევე:[9.3]; [6.38];[20. პოლა] და სხვ.).

და სხვ. და თვით ტერმინის – „პოლიტიკური ეკონომია“ წმინდა ბერძნული წარმომავლობის საკითხიც და, ამდენად, მაშასადამე, ასევე ქართულ-ბერძნული, ქართულ-რომაული და მთლიანად ქართულ – ევროპული ძირძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის რიგი პრობლემაც საერთოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. თარგმანი, შესავალი, კომენტარები და საძიებელი აკ. ურუშაძისა. თბ., 1970.
2. „არგონავტები“. თხრობა და კომენტარები რ. გორდეზიანისა. თბ., 1999.
3. გამყრელიძე თ. რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? „ოქროს საწმისის“ ბერძნული სახელწოდებისათვის. გაზ. „კომუნისტი“, 24.10.1984.
4. გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია. თბ., 1988.
5. გორდეზიანი რ. წინაბერძნული და ქართველური. თბ., 1985.
6. გორდეზიანი რ. ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბ,. 1993.
7. ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ.1. თბ., 1956.
8. ორფიკული არგონავტიკა. ნ. მელაშვილის თარგ.; რედ., შენიშ. და საძ. აკ. ურუშაძისა. თბ., 1977.
9. სანიკიძე გ., სანიკიძე ლ. უბის ისტორია 2. ქართული ქრონოგრაფია (მნიშვნელოვან თარიღთა ნუსხა). თბ., 1992.
10. სიჭინავა მ. ოქროს საწმისი: ერთ-ერთი პირველი ოქროს მონეტა დედამინაზე. ჟ. ,,ეკონომიკა“, 1994, №9-12.
11. სიჭინავა მ. ოქროს საწმისის გრძნეულებანი: ფულის მონეტარული მიმოქცევისა და მისი სახელმწიფოებრივი მოწესრიგების კულტურა. ჟ. ,,ეკონომიკა“, 1995, №7-9.
12. სიჭინავა მ. სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა კანონზომიერი ისტორიული განვითარების საფეხურები საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა“, 1996, №12.
13. სიჭინავა მ. სახელწოდების – „პოლიტიკური ეკონომია“ თავისთავადი შინაარსისა და მის შესაძლო ქართველურ ფუძეთა შესახებ. ჟ. „ეკონომიკა“. 1998, №10-12.
14. ურუშაძე აკ. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964.
15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.6. თბ., 1983.
16. ქისტაური შ. მოხსენება თემაზე: არგონავტები და ოქროს საწმისი, როგორც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სათავეები საქართველოში. გაზ. „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“. მეცნიერ-პედაგოგთა და ბიზნესმენთა გაზეთი. სექტემბერი, 1997, №15.
17. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976.
18. ყიფშიძე ი. რჩეული თხზულებანი. თბ., 1994.
19. Атлас мира. Гл. ред С.И. Шуров. М., 1954.
20. Энциклопедический словарь. Под. ред. проф.: И.Е. Андреевского, К.К. Арсеньева и заслуженного профессора О.О. Петрушевского. Издатели: Ф. А. Брокгауз (Лейпциг), И.А. Ефрон (С.- Петербург) и др. С.-Петербургъ. 1890- 1907.

განტის გრაფიკის გამოყენების შესაძლებლობები აუდიტის მართვის პროცესში

***ტარიელ კიკვაძე**, სტუ-ს სრული პროფესორი*
***ირინე ფარსელაშვილი**, სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში "განტის გრაფიკის გამოყენების შესაძლებლობები აუდიტის მართვის პროცესში" განიხილება აუდიტის მართვის პროცესში სხვადასხვა რესურსების დაგეგმვისას განტის გრაფიკის გამოყენების უპირატესობები.

დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის უმნიშვნელოვანეს პირობას აუდიტის პროცესის განხორციელების ვადის შეკვეცა წარმოადგენს, რისთვისაც აუცილებელია დროითი პარამეტრების გამოთვლა და მიმდინარე სამუშაოებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების განსაზღვრა, სასურველი ეფექტის მინიმალური ფინანსური დანახარჯებით მიღწევისათვის.

სტატიაში დეტალურად არის გაანალიზებული განტის გრაფიკის აგების ეტაპები და დაგეგმილი გრაფიკის შესრულების პროცესში რესურსების განაწილების ვარიანტები.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი, განტის გრაფიკები, აუდიტის ქსელური დაგეგმვა, პროექტის მართვა.

Summary

Possibilities of Using Gantt Charts in Audit Management Process

The article "Possibilities of Using Gantt Charts in Audit Management Process" discusses the advantages of using Gantt Charts in the process of planning different resources in Audit.

Necessary conditions for successful solution of this task is to reduce the timeline of audit process for which is necessary to calculate the time parameters and define needed human resources for current operations' desired effect with the minimum amount of financial costs.

The article provides detailed analysis of the stages of Gantt Charts and variations of distribution of resources included in the work process.

* * * * *

აუდიტის პროცესის შესაბამისობას საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებთან რევიზირებას უკეთებს კომპლექსური ჯგუფი, ხოლო ამ ჯგუფის კოორდინაციას ახდენს ჯგუფის ხელმძღვანელი კალენდარული გრაფიკების, სამუშაო პროგრამისა და სხვა ორგანიზაციულ-აღმასრულებელი დოკუმენტების საშუალებით. ამ საკითხების რაციონალური გადაწყვეტა შესაძლებელია აუდიტორულ პროცესში ქსელური დაგეგმვის გამოყენებით. დაგეგმვა აუდიტორს ეხმარება გაანაწილოს დავალებები და კოორდინაცია გაუწიოს სამუშაოებს, რომელთაც ასრულებენ სხვა აუდიტორები და ექსპერტები. ზოგჯერ განსაზღვრული პროცედურების ჩატარებისათვის საჭირო ხდება დროის კორექტირება და სხვა სტრატეგიული გადაწყვეტილებები. რთული პროექტები დაკავშირებულია ასეულობით ოპერაციის განხორციელებასთან.

პროექტის მართვისა და რესურსების დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით მოსახერხებელია განტის გრაფიკის გამოყენება, რომელიც რამდენადმე განსხვავებულად ასახავს სამუშაოთა ერთობლიობას.

ეს გრაფიკი საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რა სამუშაოები წარმოებს დროის ნებისმიერ მომენტში, რაც ეხმარება ხელმძღვანელობას განსაზღვროს აუცილებელი რესურსები მათ შესასრულებლად.

განტის გრაფიკის გამოყენების შესაძლებლობებს გავაანალიზებთ ქვემოთ მოცემულ აუდიტის პროცესის დაგეგმვის ქსელური გრაფიკის მაგალითზე (გრაფიკი 1):

გრაფიკი 1.



პირველყოვლისა აუცილებელია წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისი ძირითადი დროითი პარამეტრების გაანგარიშება, რომლის შედეგებიც მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში (ცხრილი 1).

ცხრილი 1.

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხანგრძლივობა	დაწყების ადრეული ვადა	დამთავრების გვიანი ვადა	დროის სრული რეზერვი
1.2	ზოგადი ცნობების შეგროვება კლიენტზე	5	0	5	0
1.3	ინფორმაციის მიღება კლიენტის იურიდიულ ვალდებულებებზე	3	0	3	6
2.3	შიდა კონტროლის სისტემების გაცნობა	4	5	9	0
2.4	აუდიტის ჩასატარებლად საჭირო რესურსების შეფასება	2	5	12	5
2.5	რისკების იდენტიფიცირება	3	5	10	2
3.5	შიდა აუდიტორების გამოყენების აუცილებლობის შეფასება	1	9	10	0
4.6	კადრების შერჩევა	3	7	15	5
5.6	ანალიტიკური პროცედურები	5	10	15	0
6.7	აუდიტის პროგრამის შედგენა	5	15	20	0

დაგეგმილი გრაფიკის შესრულების პროცესში რესურსების განაწილების ვარიანტების გასაანალიზებლად მოსახერხებელია მათი ჰისტოგრამით ასახვა.

განტის გრაფიკის აგებისას ჰორიზონტალურ სკალაზე გადაიზომება მთელი პროექტის ხანგრძლივობის მნიშვნელობები. შემდეგ ერთ ხაზზე გადაიდება ყველა კრიტიკული სამუშაო. ყველა სხვა სამუშაო გადაიდება ცალკე ჰორიზონტალურ ხაზებზე მათი დაწყების ადრეული ვადის, ხანგრძლივობისა და დროის სრული რეზერვის (იგი პუნქტირი წირით აღინიშნება) გათვალისწინებით. მონაკვეთების დასაწყისსა და ბოლოში იწერება შესაბამის ხდომილებათა ნომრები.

ნახაზზე 1.1 წარმოდგენილია შესაბამისი განტის გრაფიკი.

0–.–.–.–.–5–.–.–.–.–10–.–.–.–.–15–.–.–.–.–20
1–––––––2––––––3–5––––––––6––––––––7
1–––3–.–.–.–.–.–.
2––4–.–.–.–.–.
2–––5–.–.
4–––6–.–.–.–.–.

ნახ. 1.1

თითოეული სამუშაოს შესასრულებლად გარკვეულ ვადებში აუცილებელია შესაბამისი რესურსების განსაზღვრული რაოდენობა. სიმარტივისათვის ვიგულისხმოთ, რომ გრაფიკზე მოყვანილ სამუშაოთა მთელი კომპლექსის განსახორციელებლად შეიძლება გამოვიყენოთ ერთიდაიგივე კვალიფიკაციის აუდიტორები. სამუშაოთა შესასრულებლად აუცილებელი აუდიტორების რაოდენობა შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი 2.

სამუშაო	საჭირო აუდიტორების რაოდენობა
1.2	5
1.3	2
2.3	2
2.4	1
2.5	2
3.5	1
4.6	1
5.6	3
6.7	5

აუდიტორთა უკანასკნელ ცხრილში მოყვანილი მონაცემები შეგვიძლია ავსახოთ ჰისტოგრამაზე ისე, როგორც ეს ქვემოთმოყვანილ ნახაზზეა ნაჩვენები:



როგორც ვხედავთ, აუდიტორებზე მოთხოვნის "პიკს" ადგილი აქვს პირველიდან მეათე დღის ჩათვლით და იგი შვიდ ერთეულს შეადგენს.

აღნიშნული "პიკის" დაწევა შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე სამუშაოს დაძვრით მათი დროის სრული რეზერვების გათვალისწინებით (ადვილი მისახვედრია, რომ ნებისმიერი კრიტიკული სამუშაოს დაძვრის შემთხვევაში აუცილებლად დაირღვევა პროექტის შესრულების ვადა).

"პიკის" დაწევისა და რესურსების გათანაბრების აღწერილი პროცესი ცალსახა არ არის. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც აუდიტორთა განსხვავებული პროფესიული უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია, ასევე პროექტის ფინანსური მხ-

არეც.

ბუნებრივია, აქტუალურია აუდიტის განხორციელების ვადის შეკვეცის ამოცანაც. არცთუ იშვიათად ამის მიღწევას ცდილობენ ყველა, ან სამუშაოთა უმრავლესობის ხანგრძლივობის შემცირების გზით. ასეთი მიდგომა, როგორც წესი, არ იძლევა სასურველ ეფექტს, რადგანაც დაკავშირებულია დამატებით დანახარჯებთან, ხოლო სამუშაოთა კომპლექსის შესრულების ვადა უმნიშვნელოდ იკვეცება.

ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდის გამოყენება ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, პირველ ყოვლისა, გულისხმობს კრიტიკული გზის სამუშაოთა ხანგრძლივობის შემცირებას მატერიალური და შრომითი რესურსების გარკვეული ნაწილის არაკრიტიკული სამუშაოებიდან გადასროლის გზით.

დიდ გრაფიკებში კრიტიკულ სამუშაოთა რაოდენობა იშვიათად აღემატება სამუშაოთა საერთო რაოდენობის 10%-ს. არაკრიტიკული სამუშაოებიდან რესურსების კრიტიკულ სამუშაოებზე აღნიშნული გადაადგილებები უნდა განხორციელდეს გონიერ ფარგლებში იმ თვალსაზრისით, რომ ამ დროს ქსელურ გრაფიკებზე შეიძლება გაჩნდეს ახალი კრიტიკული გზები.

საერთოდ, ყველა ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება კრიტიკული გზის ხანგრძლივობის შესამცირებლად, უნდა ჩატარდეს მთელი ქსელური გრაფიკის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიკვაძე ტ., ბერიძე თ., ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები, “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2009;
2. კიკვაძე ტ., ფარსელაშვილი ი., აუდიტის პროცესის ქსელური დაგეგმვა, “ბიზნეს ინჟინერინგი”, თბილისი, 2014;
3. Alvin A. Arens, James K. Loebbecke, AUDITING AN INTEGRATED APPROACH Fifth Edition, PRENTICE HALL, ENGLEWOOD CLIFFS, 2001;
4. Meri Williams, The Principles of Project Management, SitePoint Pty, 2008

დამწყები და ახალგაზრდა ფირმების ეკონომიკური შეფასება

გუგული ყურაშვილი, *სტუ-ს პროფესორი*
ნატო გეგენავა, *სტუ-ს ასისტ. პროფესორი*

* * * * * * *

რეზიუმე

მრავალი ფირმა, რომლებსაც ჩვენ შევაფასებთ, მიეკუთვნება საჯაროდ მოვაჭრე კომპანიებს და არ გააჩნიათ დადგენილი საქმიანი პრაქტიკა. ბევრი ანალიტიკოსი ამტკიცებს, რომ ამ ფირმების შეფასება არ შეიძლება, რადგანაც მათ არანაირი ისტორია არ გააჩნიათ და ზოგჯერ არ გააჩნიათ არც გასაყიდი საქონელი და არც მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში სხვაგვარი მოსაზრებაა წარმოდგენილი. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ახალგაზრდა ფირმების შეფასება უფრო რთულია, ვიდრე მდგრადების, მაგრამ ვამტკიცებთ, რომ შეფასების მთავარი პრინციპები უცვლელი რჩება. ახალგაზრდა ან დამწყები ფირმის შეფასება არის მისი საქმიანობიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირებული ღირებულება, თუმცა ამ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებები შეიძლება ჩვენგან მოითხოვდეს ჩვეული ინფორმაციის წყაროების ფარგლებიდან გასვლას, რომლებსაც მიეკუთვნება ისტორიული ფინანსური ანგარიშები და შესადარებელი ფირმების შეფასება. ახალგაზრდა ან დამწყები ფირმის შეფასება არის მისი საქმიანობიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირებული ღირებულება, თუმცა ამ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებები შეიძლება ჩვენგან მოითხოვდეს ჩვეული ინფორმაციის წყაროების ფარგლებიდან გასვლას, რომლებსაც მიეკუთვნება ისტორიული ფინანსური ანგარიშები და შესადარებელი ფირმების შეფასება.

Summary

Many of the firm, which we measure, attributable to the publicly trading companies and don't have established business practices. Many analysts argue that these firms can not be assessed because they do not have any history, and sometimes do not have any sale value of goods and services. In this case, a different view is presented. We recognize that the measure of young firms is more difficult to rate than sustainable, but we show that estimation of the main principles remain the same. Young or start-up firm's assessment of its activity is reduced the value of expected cash flows, estimates of expected cash flows, however, it may require us to leave the scope of the usual sources of information, which belongs to the historical financial statements of comparable firms in the valuations.

მრავალი ფირმა, რომლებსაც ჩვენ შევაფასებთ, მიეკუთვნება საჯაროდ მოვაჭრე კომპანიებს და არ გააჩნიათ დადგენილი საქმიანი პრაქტიკა. მაგრამ როგორია სიტუაცია ახალგაზრდა ფირმებთან დაკავშირებით, რომლებიც ეს-ესაა იწყებენ საქმიანობას? ბევრი ანალიტიკოსი ამტკიცებს, რომ ამ ფირმების შეფასება არ შეიძლება, რადგანაც მათ არანაირი ისტორია არ გააჩნიათ და ზოგჯერ არ გააჩნიათ არც გასაყიდი საქონელი და არც მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში სხვაგვარი მოსაზრებაა წარმოდგენილი. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ახალგაზრდა ფირმების შეფასება უფრო რთულია, ვიდრე მდგრადების, მაგრამ ვამტკიცებთ, რომ შეფასების მთავარი პრინციპები უცვლელი რჩება. ახალგაზრდა ან დამწყები ფირმის შეფასება არის მისი საქმიანობიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირებული ღირებულება, თუმცა ამ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებები შეიძლება ჩვენგან მოითხოვდეს ჩვეული ინფორმაციის წყაროების ფარგლებიდან გასვლას, რომლებსაც მიეკუთვნება ისტორიული ფინანსური ანგარიშები და შესადარებელი ფირმების შეფასება.

ფირმების შეფასებისას ინფორმაციას ვიღებთ სამი წყაროდან. პირველი - ფირმის მიმდინარე ფინანსური ანგარიშები. მათ ვიყენებთ იმის განსაზღვრისთვის, თუ რამდენად მომგებიანია ფირმის განსახორციელებელი ან უკვე შესრულებული ინვესტიციები და რამდენი იქნება რეინვესტირება მომავალი ზრდის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ყველა საწყისი მონაცემის მისაღებად, რომლებიც საჭიროა ნებისმიერი შეფასებისას. მეორე წყარო - ფირმის ისტორია, რომელიც წარმოდგენილია მისი შემოსავლებისა და საბაზრო ფასების სახით. ფირმის შემოსავლებისა და ამონაგების ისტორია დროის რომელიმე მონაკვეთზე შესაძლებლობას გვაძლევს, ვიმსჯელოთ, რამდენად ციკლური იყო ფირმის ბიზნესი და ზრდის რა ტემპებს აჩვენებდა, მისი ოპერაციების რისკიანობის გაზომვაში. დაბოლოს, მესამე—შეგვიძლია განვიხილოთ ამ ფირმის კონკურენტები ან შესადარებელი ფირმების ჯგუფი, რათა განვსაზღვროთ, რამდენად უკეთესად ან უარესად გამოიყურება ფირმა თავის კონკურენტებთან შედარებით, ასევე დავეხმაროთ ფულადი ნაკადების, ზრდისა და რისკის საკვანძო ფაქტორების შეფასებაში.

უმჯობესი იქნებოდა, ჩვენს განკარგულებაში ყოფილიყო ინფორმაციის დიდი რაოდენობა ყველა წყაროდან, მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა არჩევანი არ არსებობს, იძულებული ვართ, ერთი ტიპის ინფორმაცია შევანაცვლოთ მეორე ტიპის ინ-

ფორმაციით. მაგალითად, იმ ფაქტს, რომ შეერთებულ შტატებში სამი საავტომობილო კომპანიიდან თითოეულს 75-წლიანი ან კიდევ უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რომ ამგვარი კომპანია სამია . (კომპანია GeneralMotors, Chryslerda Ford). და პირიქით - კომპანია AbercombieandFitch -თან დაკავშირებითშეიძლება არსებობდეს ინფორმაცია მხოლოდ რამდენიმე წელზე, თუმცა ეს ფირმა ფუნქციონირებს სექტორში (სპეციალიზებული საცალო ვაჭრობა), აწონასწორებს ფირმის ისტორიის არარსებობის ფაქტს.

არსებობს რამდენიმე ფირმა, განსაკუთრებით, ეკონომიკის ახალ სექტორში, რომლებთან მიმართებითაც შეიძლება შევეჯახოთ ინფორმაციის პრობლემებს. პირველ რიგში, ამ ფირმების არსებობა, ჩვეულებრივ, არა უმეტეს 1-2 წელს ითვლის, რაც ნიშნავს, რომ მათ მეტად მოკლე ისტორია აქვთ. მეორე - მათი მიმდინარე ფინანსური ანგარიშები ცოტას თუ ამბობს მათი აქტივების ისეთ კომპონენტზე, როგორიცაა მოსალოდნელი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე დიდ შენატანს მათ ღირებულებაში. მესამე - ეს ფირმები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე პირველი წარმომადგენლები ერთგვარ ბიზნესში. ბევრ შემთხვევაში არ არსებობენ კონკურენტები ან შესადარებელი ფირმების შემადგენლობით ერთგვაროვანი ჯგუფი, რომლებთან შედარებითაც შეიძლება გაზომვის წარმოება. ამიტომ, ამ ფირმების შეფასებისას შეიძლება წავაწყდეთ შეზღუდვებს ინფორმაციის მიღებაში სამივე წყაროდან. როგორ რეაგირებენ ინვესტორები ამგვარ ინფორმაციის არარსებობაზე? ზოგმა გადაწყვიტა, რომ ასეთი აქციების შეფასება არ შეიძლება და ამიტომ ისინი არც უნდა გქონდეს საკუთარი აქტივების პორტფელში. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამგვარი ფირმების შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას ფულადი ნაკადების დისკონტირების მოდელები.

დისკონტირებული დასკვნითი ღირებულება = საანგარიშო დასკვნითი ღირებულება/(1+მიზნობრივი შემოსავალი)

ფირმის ღირებულება განისაზღვრება მისი უნარით, შექმნას ფულადი ნაკადები და მათთან დაკავშირებული გაურკვევლობები. ზოგადად რომ ვთქვათ, უფრო მომგებიანი ფირმები ფასდება უფრო მეტად, ვიდრე ნაკლებად მომგებიანი. თუმცა ხანდახან ახალგაზრდა ან დამწყებ ფირმებს, რომლებიც ხშირად კარგავენ ფულს, მაინც უფრო მაღალი ღირებულება მიეწერება. როგორც ჩანს, ეს ეწინააღმდეგება იმ მტკიცებას, რომ ღირებულება და შემოსავლიანობა გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. ახალგაზრდა ფირმას არ გააჩნია მნიშვნელოვანი დაბანდებები მიწაში, შენობებში და სხვა მუდმივ აქტივებში, და სავარაუდოდ, თავისი ღირებულების ძირითად ნაწილს არამატერიალური აქტივებიდან იღებს.

უარყოფითი შემოსავლები და არამატერიალური აქტივების არსებობა ანალიტიკოსების მიერ გამოიყენება, როგორც შეფასების ტრადიციულ მეთოდებზე უარის თქმისა და ახალი მეთოდების განვითარების საფუძველი, რომლებიც გამოიყენება ახალგაზრდა ფირმებში ინვესტიციების დასაბუთებისთვის. მაგალითად, ინტერნეტკომპანიების შედარება მათი ახალგაზრდობის დროს ხდებოდა მათი ღირებულების საფუძველზე, საიტის ერთ მნახველზე გათვლით, ე.ი. წარმოებდა ფირმის საბაზრო ღირებულების გაყოფა ვებსაიტის მნახველების რიცხვზე. ეს შედარებები გაურკვევლი სახით შეიცავს ვარაუდებს იმის თაობაზე, რომ მნახველების მეტი რიცხვი გამოიწვევს მეტ ამონაგებს, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს უფრო მეტ მოგებას მომავალში. ახალგაზრდა ფირმებთან დაკავშირებული პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, რომ ისინი ფულს კარგავენ, არ გააჩნიათ ისტორია ან არ ფლობენ მნიშვნელოვნ მატერიალურ აქტივებს. პრობლემა იმაშია, რომ ისინი იმყოფებიან თავისი სასიცოცხლო ციკლის გაცილებით ადრეულ სტადიაზე, ვიდრე მდგრადი ფირმები და მათი შეფასება გვიხდება მანამდე, ვიდრე მათ პროდუქციას გარკვეული ბაზარი მიებმება. ფირმის ღირებულება მაინც ტოლია მისი აქტივებიდან შემოსული მომავალი ფულადი ნაკადების შემცირებული ღირებულებისა, მაგრამ ამ შემოსავლების შეფასება, შესაძლოა, ბევრად რთული იყოს.

ხდება თუ არა შეფასების პრინციპების რეალიზება ციკლის სტადიის მიხედვით? არა. შეფასება დაკავშირებულია სერიოზულ წინააღმდეგობებთან სასიცოცხლო ციკლის გაცილებით ადრეულ სტადიებზე, ხოლო ღირებულების შეფასებები გაცილებით მეტი ალბათობით შეიძლება შეიცავდეს შეცდომებს დამწყებ ფირმებთან ან მაღალი შემოსავლის მქონე ფირმებთან მიმართებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, რ. ქუთათელაძე, ლ. გვაჯაია, გ. ყურაშვილი, საინვესტიციო მენეჯმენტი, თბილისი, 2012;

მსოფლიო სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემაში საქართველოს ჩართულობის პერსპექტივები

გიორგი ლაგვილავა, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია გლობალურ მსოფლიოში საქართველოს ჩართულობის გაფართოების საკითხი. მასში ნათქვამია, რომ საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა და ტრანსპორტის სათანადო დონეზე განვითარებით ეფექტურად მოემსახუროს აზიიდან ევროპისკენ, და პირიქით, წამოსულ ტვირთ და მგზავრთ ნაკადებს.

სტატიაში განხილულია რკინიგზის და საჰაერო ტრანსპორტის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს მეტი ჩართულობის კუთხით.

Summary

Georgia Opportunities in the World's Transport-Logistic System Enrolment

Article considers an extension issue of Georgia's participation in The Global World. The article states that Georgia should use its Geographical location as much as possible. The country should serve the passenger and goods flow from Asia to Europe and vice versa effectively by the transport development in appropriate level.

The article reviews the possibilities of rail and air transport further development in terms of greater involvement of Georgia in The world's transport economy

* * * * * *

მსოფლიო საზოგადოება და მათ შორის ქართველი ერი ამჟამად იმყოფება პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე, რომელიც ხასიათდება ეროვნული ეკონომიკის გლობალური ინტეგრაციით.

საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გლობალურ სამყაროში ქვეყნის როლის ახლებური გააზრება და მისთვის დამატებითი – საერთაშორისო ფუნქციის შეძენის აუცილებლობა. ამ ფუნქციის შინაარსს საქართველოს აძლევს ის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრცე – სამხრეთ კავკასია – რომელშიც ის მდებარეობს. ეს ხომ ის სივრცეა, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზასაყარზე, სივრცე რომელიც პატარაა, მაგრამ განსაკუთრებულია. აღმოსავლეთიდან იგი უკავშირდება რესურსებით (განსაკუთრებით ნავთობით) მდიდარ აზერბაიჯანს და აზიის ქვეყნებს, დასავლეთიდან კი შავი ზღვის მეშვეობით – ევროპას. თუ საქართველო (და საქართველოსთან ერთად მთლი სამხრეთ კავკასია) სისტემურად და თანმიმდევრულად შეასრულებს მსოფლიოს ამ ორი უდიდესი რეგიონის – აზიის და ევროპის – დამაკავშირებელ სატრანზიტო დერეფნის ფუნქციას, რომელიც უკვე დაწყებულია „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის" ნავთობ და გაზსადენის ამუშავებით, ეს იქნება მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში მისი ახალი მისია, მისი არსებობის და განვითარების ახალი ფორმატი.

ამ ახალი მისის შესრულება საქართველომ უნდა შეძლოს მსოფლიო სატრანსპორტო ბიზნესის ლოგისტიკურ სისტემაში სრული ჩართვით, იმ კონვენციებთან მიერთებით, რომლებიც ამ სფეროში მსოფლიო დონეზეა შექმნილი და მსოფლიო სტანდარტებით მუშაობს.

აუნდა ავღნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ ვერ პოვა თავისი ბუნებრივი, ისტორიული ფუნქციის შესაფერისი ადგილი და ვერც დროის მოთხოვნის შესაბამისი ნაბიჯი გადადგა. მაშასადამე, ჩვენ დღემდე მთელი სისრულით ვერ გამოვიყენეთ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის შანსი. ასეთ დროს, ჯერ კიდევ შაჰ-აბასს ჰქონია ასეთი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სპარსეთთან შეერთებას, ფაზისზე ძლიერი საზღვაო ფლოტის შექმნას და ევროპასა და შიდა აზიას შორის ვაჭრობის ძირითადი გზის ხელში ჩაგდებას" [1, გვ. 204].

ქართველი მეცნიერი ზ. ხონელიძე წერს, რომ "დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, დრო ჩვენს სასიკეთოთ შემოვატრიალოთ და ჩვენი ბედის გადაწყვეტის დარჩენილ მცირე დროში მხოლოდ მაყურებლის როლში არ აღმოვჩნდეთ" [2, გვ. 3]. ამას მაშინ მოვაღწევთ, თუ ჩვენ შევძლებთ საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემაში ინტეგრირებას, ევროპა-აზიის დამაკავშირებელ სატრანზიტო დერეფნის ახალ ფორმატში ისე მუშაობას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა განაწყოს აღიაროს ქართული სახელმწიფოს მნიშვნელობა და მისი განვითარებული სამყაროს ღირსეულ, სრულუფლებიან წევრად ქცევის საჭიროება.

ასეთ პირობებში, როცა დაირღვა ეროვნული საზღვრები, გაფართოვდა ქვეყნებს შორის კავშირების მასშტაბი და სიმჭიდროვე, წარმოიშვა მრავალეროვნული ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც ფილიალები მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში აქვთ, ცხადია, ცვლილებები განიცადა კავშირის საშუალებებმაც, კერძოდ სატრანსპორტო ბიზნესმა.

ეკონომიკის ფუნქციონირება წარმოუდგენელია ტრანსპორტის გარეშე, ტრანსპორტის ფუნქციონირება კი – ლოგისტიკის გარეშე. ლოგისტიკის სატრანსპორტო უზრუნველყოფის აქტუალობა დღითიდღე მატულობს, რადგანაც საერთაშორისო სატრანსპორტო კავშირებში ჩართულ სახელმწიფოთა რიცხვი ყოველდღე იზრდება, რაც ლოგისტიკურ სამსახურებს ავალებს მოაქციონ

ისინი მატერიალური, ინფორმაციული თუ ფინანსური ნაკადების ერთიან მსოფლიო ჯაჭვში და მართონ ისინი როგორც ერთი მთელი.

ცნობილი მოვლენების გამო, რაშიც ვგულისხმობთ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფას და სტაბილური კავშირების მოშლას, ტრანსპორტის გამართული მუშაობა შეფერხდა. ამდენად, 1990 წელი, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინა წელი, იყო პიკი ტრანსპორტის საქმიანობაში. ეს ეხება ტვირთების გადაზიდვასაც, მგზავრთა გადაყვანასაც და ტვირთ და მგზავრთბრუნვასაც.

2012 წელს საზღვაო ტვირთბრუნვა 1990 წელთან შედარებით თითქმის განულებულია (0,4%-ია), რკინიგზის ტვირთბრუნვამ შეადგინა 38,6%, საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 26,1%, საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 1,7%. მთელი სიმძლავრით არ არის ამუშავებული "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" და "ბაქო-თბილისი-ერზრუმის" ნავთობ და გაზ მაგისტრალური მილსადენებიც. პირველი ათვისებულია სანახევროდ – 29,67 მლნ ტონა (ნაცვლად 60 მლნ ტონისა), მეორე კი – 40%-ით (8 მლრდ კუბ მეტრი, ნაცვლად 20 მლრდ კუბ. მეტრისა).

გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ გადაზიდულ ტვირთებში პირველ-მეორე ადგილს რკინიგზა და ავტოტრანსპორტი ინაწილებენ. საზღვაო ტრანსპორტს გარდა იმისა, რომ მისი წილი ტვირთბრუნვასა და მგზავრთბრუნვაში მცირეა, არც მისი დინამიკა აქვს სახარბიელო. ასეთ დროს მისი ტვირთების დამუშავების მოცულობა ზრდადია.

მაშასადამე, საზღვაო ტერმინალებში და პორტებში შემოსული ტვირთების მოცულობა იზრდება, მაგრამ სათანადო გადაზიდვები არ ხდება. ჩვენი გამოკვლევით ამის მიზეზია გადამზიდავ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობა. მაშინ როდესაც უწინ ჩვენს საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში ირიცხებოდა 90 გემი, ამჟამად ერთი ლაინერი და ტანკერიც არა აქვთ. სწორედ ამ მიზეზით და კიდევ სხვა მიზეზებითაც (პროცედურების სიძვირე და სირთულე, საბაჟო მომსახურების ხანგრძლივობა, ტვირთბრუნვის მარეგულირებელი კანონმდებლობის არასტაბილურობა და ა. შ.) შუა აზიიდან და აზერბაიჯანიდან წამოსული ტვირთების გადამისამართება ხდება უფრო კონკურენტულ მაგისტრალებზე (მხედველობაში გვაქვს რუსეთის მაგისტრალი). შეუთანხმებლობა და არასინქრონიზმია სხვადასხვა სახის ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვებს შორისაც. ყველა ეს მიზეზი სუბიექტურია და გამოსწორებადი.

ამ ვითარებიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია რომ საქართველოს ტრანსპორტის დეპარტამენტს ყველა სახის ტრანსპორტისთვის და აგრეთვე, ყველა საზღვაო პორტებისთვის ცალ-ცალკე ყავდეს შიდა ანალიტიკოს-აუდიტორი, რომელიც სისტემატურად ჩაატარებს SWOT-ანალიზს, ე. ი. შეისწავლის როგორც ჩვენი, ისე კონკურენტების ძლიერ და სუსტ მხარეებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს და რეგიონში ლიდერის პოზიციის დასაკავებლად მისცემს რჩევებს შესაბამისი სახის ტრანსპორტის ხელმძღვანელობას.

საქართველოს სატრანსპორტო ბიზნესი უნდა გახდეს საერთაშორისო ლოგისტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი, მათ ერთი სტანდარტით და "ერთ ენაზე" უნდა იმუშაონ. ამაში ვგულისხმობთ სწორედ ერთნაირი კანონმდებლობით მუშაობას. ასეთ დროს, საქართველო მეტად მრავალ საერთაშორისო სატრანსპორტო კონვენციებთან არ არის მიერთებული. ეს საკითხი სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი.

საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში საქართველოს ჩართულობის გაფართოების ხაზით. საქართველოს დიდი პერსპექტივა რომ აქვს, ეს ცხადზე-ცხადია. ამაზე ბევრს წერენ ტრანსპორტის დარგის ქართველი მკვლევარებიც – ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, თ. ჩხეიძე, ვ. კუჭუხიძე, ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე, რ. თევდორაძე, ე. ტუხიაშვილი, თ. გოჩიტაშვილი და სხვები. სწორედ მათ გამოკვლევებზე და ზოგიერთ უცხოურ გამოცემებზე (რუსულ, ინგლისურ) დაყრდნობით, რომლებშიც შეფასებულია, შედარებული და შეჯერებულია ამ სფეროში საქართველოს გეოგრაფიული, ტექნიკური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური შესაძლებლობები, ვაკეთებთ დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველო როგორც ევროპა-აზიის სატრანზიტო დერეფანი მთელი სიმძლავრით უნდა ამოქმედდეს, მთლიანად უნდა დაიტვირთოს მისი ყველა სახის ტრანსპორტი, როგორც ქვეყნის "სისხლძარღვთა სისტემა" და საქართველოს სამომავლო პერსპექტივაზე უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ მისი სატრანსპორტო კონვეიერის მუშაობის რითმის მიხედვით.

წინამდებარე ნაშრომის მოცულობის შეზღუდვულობის გამო ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ რკინიგზის ტრანასპორტზე და საჰაერო ტრანსპორტზე.

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის მეტი ჩართულობის მიმართუ-ლებით მხარს ვუჭერთ "ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის" რკინიგზის მშენებლობის საკითხსდა რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის საკითხს.

საერთაშორისო ლოგისტიკურ სისტემაში საქართველოს რკინიგზის მეტ ჩართულობას წინ უპირველესად უდგას ტექნიკური პრობლემები. ეს იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ და ჩვენ მეზობელ ქვეყნებს რკინიგზის განსხვავებული ლიანდაგები გვაქვს. ჩვენი რკინიგზის ლიანდაგი 1520 მმ-იანია, თურქეთისა – 1656 მმ-იანი. ამიტომ თურქეთში საქართველოს მხრიდან რკინიგზის ხაზების გაგრძელება, რა თქმა უნდა, დასახელებულ ტექნიკურ პრობლემას აწყდება. ეს პრობლემა დგას "ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის" რკინიგზის მშენებლობის იმ მონაკვეთზე, რომელიც ახალქალაქს ყარსთან (თურქეთის ტერიტორია) აკავშირებს. განსხვავებული ლიანდაგის მქონე ხაზიდან მეორე ხაზზე უნდა განხორციელდეს ტვირთის ჩამოტვირთვა-გადატვირთვის სამუშაოები. ეს კი ტვირთის ტრანსპორტირებას მეტად აძვირებს.

მაშასადამე, საქართველოს და თურქეთის რკინიგზის განსხვავებული ლიანდაგები, მათი შეუთავსებლობა, აუცილებლად პრობლემას შეუქმნის ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მონაკვეთს, რომლის მშენებლობა დაწყებულია. იგივე მოხდება ირანის შემთხვევაში, თუკი საერთოდ დაისმება სომხეთის გავლით ირანთან სარკინიგზო ხაზით დაკავშირება.

ყოველივე ამის მიუხედავად, ქართველი მეცნიერები ს. პავლიაშვილი და ზ. გარაყანიძე, რკინიგზას

მაინც განიხილავენ აზიის რეგიონების ცენტრალურ ევროპასთან დაკავშირების ერთ-ერთ ალტერნატიულ გზად. ისინი თავიანთ ნაშრომში – "საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები და პერსპექტივები" – განიხილავენ "ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის" რკინიგზის და რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნის საკითხს (რომელიც აფხაზეთში მომხდარი ცნობილი მოვლენების გამო დაიკეტა).

"ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის" რკინიგზის განხილვისას ისინი საუბრობენ საქართველოს და თურქეთის საზღვარზე ვაგონების გოგორწყვილების ევროპულზე გადაცვლის პროცესს და წერენ რომ "მატარებელს აზერბაიჯანული ლოკომოტივი საქართველოს საზღვრამდე მოიყვანს, შემდეგ მას ჩაიბამს საქართველოს ლოკომოტივი. სავარაუდოდ, თურქეთის საზღვართანაც იგივე პროცედურა განხორციელდება თუ არ ჩავთვლით ვაგონების გოგორწყვილების ევროპულზე გადაცვლის ხანმოკლე პროცესს, რაც ახალქალაქთან სპეციალურ სადგურზე განხორციელდება" [3, გვ. 29].

გოგორწყვილების გამოცვლა რკინიგზის ერთი ხაზიდან მეორე ხაზზე ტვირთის გადატანის (გადატვირთვის) ერთი მეთოდია. ეს მეთოდი გამოსადეგია არაგაბარიტული, საშიში და თხევადი ტვირთების ტრანსპორტირებისას, აგრეთვე, ასეთ გადატვირთვას აზრი აქვს ევროპის სტანდარტის ვაგონებისთვის. ასე რომ, მხედველობაში მისაღებია ისიც, თუ როგორი სტანდარტის ვაგონები იმოძრავებენ "ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის" რკინიგზაზე.

განიხილება რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის საკითხიც. ამ საკითხით განსაკუთრებით სომხეთია დაინტერესებული, რადგან იგი სომხეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ამ გზით სომხეთი ყველაზე მოკლე და იაფი გზით შეიტანს რუსეთში პროდუქციას.

ამ საკითხის გადაწყვეტა რუსეთის, აფხაზეთის, საქართველოს და სომხეთის ურთიერთშეთანხმებაზეა დამოკიდებული. ყველაზე ძნელი დასათანახმებელი ალბათ იქნება აფხაზეთი, რომელიც შიშობს, რომ რკინიგზით მიმოსვლის აღდგენას მოყვება ლტოლვილების დაბრუნება აფხაზეთში. თუ ეს შეთანხმება მაინც შედგა, რაც გააფართოებს ჩვენს ჩართულობას რეგიონის ქვეყნების სატრანსპორტო კავშირებში და რაც სასარგებლო იქნება ყველა მონაწილე მხარისთვის, საქართველოს ბევრი ტექნიკური საკითხი ექნება გადასაწყვეტი.

საქართველოს რკინიგზას რომ თანდათან ემატება საერთაშორისო და სატრანზიტო გადაზიდვები, ამის შესახებ საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკაშიც არის ჩაწერილი: "რკინიგზის ტრანსპორტს მნიშვნელოვნად ეკარგება შიდა გადაზიდვების ფუნქცია და იგი, ძირითადად სატრანზიტო გადაზიდვების მომსახურებაზე ხდება ორიენტირებული. კერძოდ, გადამწყვეტი ხდება მისი როლი "ევროპა-კავკასია-აზიის" სატრანსპორტო დერეფნის ფორმირებაში" [4, გვ. 39].

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს რკინიგზაში შემუშავებული "სწრაფი რკინიგზის" პროექტი, რაც გულისხმობს საქართველოს რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალის სრულ მოდერნიზაციას და რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთზე ახალი, სწორი მაგისტრალის მშენებლობას [4, გვ. 39].

მეტად მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული თბილისი-ერევნის რკინიგზის რეაბილიტაციის პროექტი. ორივე ეს პროექტი ხელს შეუწყობს მზარდი ტვირთნაკადების მოზიდვას საქართველოს რკინიგზაზე და მის კიდევ მეტ ინტეგრაციას მსოფლიო სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემაში.

სატრანსპორტო ბიზნესის საერთაშორისო ლოგისტიკურ სისტემაში საქართველოს ჩართულობას გარკვეული პერსპექტივა აქვს საავიაციო ტრანსპროტშიც. 1990 წელთან შედარებით საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვები საქართველოში მეტად შემცირდა. არც მგზავრთა გადაყვანებია შესაძლებლობის ფარგლებში.

ამჟამად ქართულ ავიაბაზარს ყოველდღე ახალ-ახალი ცვლილებები აქვს. ზოგი კომპანია ბაზარს ტოვებს (მაგ., ჩეხეთის კომპანია) ან ამცირებს რეისებს, ზოგი კი ეხლა შემოდის ბაზრაზე, თანაც, საკმაოდ დაბალი ფასებით (მაგ., "ფლაი დუბაი"). ეს ბოლო გარემოება მძიმე მდგომარეობაში აყენებს ადგილობრივ კომპანიებს – "აირზენას" და სხვებს. "აირზენას" განცხადებით "დღეს ქართულ ავიაბაზარზე საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. თუ სახელმწიფო სერიოზულად არ ჩაერევა და ვითარებას არ დაარეგულირებს, სულ მალე ქართველი მგზავრები მხოლოდ თურქული ავიაკომპანიების მომსახურებით ისარგებლებენ. ქართული ავიაკომპანიებიც დაიხურებიან და ავტორიტეტული უცხოური კომპანიებიც წავლენ" [5, გვ. 27].

როგორც ჩანს, ქართულ ავიაბაზარზე მწვავე კონკურენტული ბრძოლაა გაჩაღებული. უცხოურ კომპანიებს ჩვენი ავიაკომპანიები ვერ უწევენ სათანადო კონკურენციას, არც სახელმწიფო პროგრამა გაგვაჩნია ამ დარგში და მთელი ავიაბაზარი "უხილავ ხელს" არის მინდობილი. საზღვარგარეთ ასეთი პროგრამები არსებობს, იქ ავიაკომპანიებს აქვთ სახელმწიფო დაფინანსება.

ჩვენი აზრით, ეს დარგი საქართველოს სახელმწიფოსთვის პორიორიტეტული უნდა იყოს, თუნდაც მისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენთვის ცნობილია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ყველა უცხოურმა ავიაკომპანიამ შეწყვიტა ჩვენთან ფრენები, მარტო ქართულ „აირზენა"-ს არ შეუწყვეტია იგი. ამის შემდეგ არ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ჩვენ სათანადოდ განვითარებული და სახელმწიფოსგან მხარდაჭერილი ავიაპარკი უნდა გვქონდეს?

საქართველოს აეროპორტები (მაგალითად, თბილისის) ასრულებენ სატრანზიტო ფუქნციებს, მაგრამ ამ მხრივ დიდ კონკურენციას ხვდებიან თურქული საერთაშორისო აეროპორტების მხრიდან, რომლებიც ევროპას და აზიას შორის საჰაერო ხიდის ფუნქციას ითავსებენ და საქართველოს ამ მხრივ, სერიოზულ კონკურენციას უწევენ. ჩვენი აზრით, თუ ჩვენ აეროპორტებს სახელმწიფო დაფინანსება გაეზრდებათ, მაშინ, მათ შეეძლებათ გარკვეული შეღავათები და მომსახურების უკეთესი პირობები შესთავაზონ როგორც მგზავრებს, ისე ტვირთმზიდავ ავიაკომპანიებს,

რომ მათ საქართველოს აეროპორტები აირჩიონ სატრანზიტო პუნქტად.

ამის გარდა, ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანი, როდესაც რომელიმე ქვეყანაში (განსაკუთრებით დაშორებულ ქვეყანაში) მიემგზავრება, ის სატრანსპორტო საშუალებად საჰაერო ტრანსპორტს ირჩევს. ასე რომ, საჰაერო ტრანსპორტი განსაკუთრებით გახდა მნიშვნელოვანი იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ტურიზმის განვითარებაზე აკეთებენ აქცენტს და გლობალურ ტურისტულ ქსელით წამყვანი ადგილის დაკავებას ცდილობენ.

რამოდენიმე წელია ცნობილია, რომ ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად არის გამოცხადებული და საკმაო ყურადღება ეთმობა საქართველოს პოპულარიზაციის საკითხს ტურისტების მოსაზიდად. იმ ქვეყნებისათვის კი, რომელსაც ამ დარგში ასეთი ამბიციური გეგმები აქვთ და მილიონობით ტურისტის მოზიდვას ისახავენ მიზნად, აუცილებელია საკმაოდ მოზრდილი, საერთაშორისო სტანდარტების დონის აეროპორტის ქონა, რომელიც დააინტერესებს დიდი პრესტიჟის მქონე ავიაკომპანიებს და უცხოელი ტურისტებისთვის კომფორტულ და უსაფრთხო გარემოს შექმნის.

ტურისტის კმაყოფილება აეროპორტიდან იწყება. როცა იგი აეროპორტშივე ღებულობს დაბალ მომსახურებას, რაც ჩვენ აეროპორტებში ხდება (ლოდინი, პროცედურების სირთულე და ა. შ.) ის უკვე ნეგატიურად განეწყობა ამ ქვეყნის მიმართ.

ევროპა ჩვენთვის ტურისტების ჩამოსვლის ძირითად სამიზნე რეგიონს წარმოადგენს, ევროპელები კი მომსახურების მაღალ სტანდარტებს არიან მიჩვეულნი. ამიტომ ქართულმა მხარემ აქცენტი სწორედ ულტრათანამედროვე სტანდარტების მქონე საერთაშორისო აეროპორტზე უნდა გააკეთოს.

ამის გარდა, აეროპორტები ჩვენ მხოლოდ მსხვილ ქალაქებში გვაქვს, საიდანაც ტურისტული ზონები (თუშეთი, რაჭა, სვანეთი, ხევსურეთი და სხვ.) საკმაოდ დაშო¬რებულია, ხოლო მათთან საავტომობილო გზები უკიდურესად უვარგისი. საზღვარგარეთ დიდ ყურადღებას აქცევენ ასეთ ზონებსაც, კერძოდ, პატარა მასშტაბის, მაგრამ არანაკლებ მაღალი სტანდარტების აეროპორტების აშენებას, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში ტურისტისთვის გადაადგილება არაკომფორტული და დამღლელია. თუ ჩვენ ასეთი დონის ტურისტული ზონების აეროპორტები გვექნება, მაშინ ბათუმის, თბილისის და ქუთაისის აეროპორტებოც უფრო მეტად დაიტვირთებიან. ამის მაგალითად მოვიყვანთ პორტუგალიას, სადაც ალგარვეს რეგიონში ფაროს აეროპორტის გახსნამ ქვეყანაში ტურისტების რიცხვი საგრძნობლად გაზარდა [6, გვ. 27].

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის გასაფართოებლად რეზერვია ტვირთების მოცულობის გაზრდაც. საქართველოს მთავრობამ აქტიურად უნდა იფიქროს იმაზე, რომ რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს შემდეგ საქართველოს პროდუქცია გაიტანოს ევროპის ქვეყნებში. განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელიც შედარებით სხვა ქვეყნების პროდუქციასთან ეკოლოგიურად სუფთაა (ამიტომ არის, რომ თურქ და ირანელ გადამზიდავებს, რომელთაც ავტოტრანსპორტით ჩამოაქვთ საქართველოში იქაური კარტოფილი, კიტრი, პომიდორი და სხვა ბოსტნეული, უკან მიაქვთ იგივე დასახელების პროდუქცია, მხოლოდ ქართული ჯიშის და ქართულ მიწაზე მოყვანილი). ეს პროდუქცია მალფუჭადია და მას სათანადოდ მოწყობილ ავიასაშუალებები სჭირდება და მის ევროპაში გატანას სათანადო ორგანიზაცია. ამას ცალკეული ფერმერი (მით უფრო გლეხი) ვერ გააკეთებს, ეს სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. თუ ჰოლანდიის მთავრობა აკეთებს ამას ყვავილებთან მიმართებაში და თითქმის მთელ მსოფლიოს აწვდის მათ ავიაკომპანიების მეშვეობით, რატომ იგივე არ უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ, მაგალითად, ქართულ, კერძოდ ქუთაისურ მწვანილზე, რომლის ევროპაში მიწოდება მეტად მომგებიანი იქნება. არსებობს აზრი, რომ ქუთაისური მწვანილის მწარმოებლები მცირე მეწარმეები არიან და სატვირთო რეგულარული ავიარეისის დანიშვნის შემთხვევაში ისინი ვერ დატვირთავენ მას [7, გვ. 20]. ჩვენი აზრით, პირველ ეტაპზე ექსპერიმენტის მსგავსად სახელმწიფოს დაფინანსებით გაიგზავნოს ევროპაში, თუნდაც ნაწილობრივ დატვირთული ავიალაინერი და მისი წარმატების შემთხვევაში, მთავრობამ იზრუნოს როგორც მწვანილის ფართობების გაზრდაზე იმერეთში, ისე მის ხარისხზე და, ისე მის გადაზიდვაზე მომავალში. იგივე ეხება კახეთის და ქართლის ატამს, სუფრის ყურძენს და სხვას.

ამრიგად, საქართველოს დღეს აქვს შანსი გახდეს გლობალური მსოფლიოს ღირსეული წევრი. მან ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას. ჩვენი აზრით, მან ეფექტურად უნდა გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა და ტრანსპორტის სათანადო განვითარებით ევროპული დონის მომსახურება გაუწიოს ევროპა-აზიის ტვირთ და მგზავრთ ნაკადებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, გვ. 204.
2. ზ. ხონელიძე, სამხრეთ კავკასია - გეოპოლიტიკური სივრცე, გაზეთი "ბანკები და ფინანსები", 23-29/VI, 2014, გვ. 3.
3. პავლიაშვილი ს. გარაყანიძე ზ., საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი, პრობლემები და პერს¬პექტივები, თბ., 2014, გვ. 29.
4. საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფცია, თბ., 1997, გვ. 39.
5. ასათიანი ლ., რატომ აშინებთ ვოწ ჩოსტ კომპანიები ავიაბაზრის მოთამაშეებს, ჟ. "საქართველოს ეკონომიკა", №3, 2012, გვ. 27.
6. კუჭუხიძე ვ., აეროპორტები და მათი მნიშვნელობა რეგიონის განვითარებისთვის, ჟ. "ბიზნესი და მენეჯმენტი', №3, 2012, გვ. 21.
7. ნადარია ო., გორგოძე ო. და სხვები. ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია, ჟ. "ეკონომიკა და საბანკო საქმე", 2013, ტ. I, გვ. 20.

როტორზე სამფაზა აგზნების გრაგნილიანი ვენტილური ძრავის განტოლებები ცვლადთა გასაშუალოებული მნიშვნელობებისათვის

გრიგოლ ხარშილაძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში გამოყვანილია ვენტილური ძრავის განტოლებები ცვლადთა კომპლექსური გარდაქმნის მეთოდის გამოყენებით სიდიდეთა გასაშუალოებული მნიშვნელობებისათვის. მიღებული განტოლებები შეიძლება გამოყენებულ იქნას დამყარებული და გარდამავალი რეჟიმების გასაანგარიშებლად. მეთოდი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ძრავას მუშა მახასიათებლები. ყველა ძირითადი პარამეტრის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ვენტილური ძრავა, კომუტატორი, ნახევრადგამტარი, გადამრთველი, გარდაქმნის მატრიცა.

Резюме

В статье выведены комплексные уравнения переходных процессов вентильного двигателя с трёх фазной обмоткой возбуждения на роторе. Уравнения являются общими для установившихся и переходных режимов. Метод дает возможность определить рабочих характеристик двигателя с учетом всех его параметров

Ключевые слова: Вентильный двигатель, коммутатор, полупроводниковый переключатель, матрица преобразования.

ვენტილური ძრავი წარმოადგენს სამფაზა ასინქრონულ მანქანას ფაზური როტორით. ძრავის სტატორზე განლაგებულია ბოგური სქემით შეერთებული კომუტატორი სრულად მართვად ნახევარგამტარ გადამრთველებზე. გადამრთველები შეიძლება აგებულ იქნას მძლავრ ტრანზისტორებზე ან სრულად მართვად ჩთჭ ტიპის ტირისტორებზე. სტატორის გრაგნილი შეერთებულია ვარსკვლავად და მისი ფაზების გადართვა ხორციელდება ნახევარგამტარი გადამრთველებით მართვის იმპულსების მიწოდების მიმდევრობის მიხედვით. მანქანაში ერთმანეთის მიმდევრობით გვაქვს ორი რეჟიმი: არაკომუტაციური და კომუტაციური. არაკომუტაციურ რეჟიმში სტატორის გრაგნილის ორი ფაზა მიმდევრობით ჩაირთვება, კომუტაციურ რეჟიმში სტატორის გრაგნილის ერთი ფაზიდან მეორეში ხდება დენის გადასვლა.

მანქანის ინტეგრალური მახასიათებლების გასაანგარიშებლად მიზანშეწონილია ცვლადთა (დენის, ძაბვის, ნაკადთშებმის) გასაშუალოებული მნიშვნელობების გამოყენება სიდიდეთა კომპლექსური გარდაქმნის მეთოდთან შეთავსებით. [1].

გამოვიყენოთ აღნიშნული მეთოდიკა ზემომოყვანილი ვენტილური ძრავისათვის არაკომუტაციურ რეჟიმში სტატორისა და როტორის წრედებისათვის ცვლადთა მყისი მნიშვნელობებისათვის გვაქვს შემდეგი წონასწორობის განტოლებები:

$$u_k^s = r^c i_k^s + \frac{d\psi_k^s}{dt} \quad (k = 1,2)$$
$$u_k^r = r^n i_k^r + \frac{d\psi_k^r}{dt} \quad (k = 1,2,3) \qquad (1)$$

სტატორისა და როტორის ფაზების ნაკადთშებმებისათვის გვაქვს:

$$\psi_k^s = L_s i_k^s + \sum_{t=1}^{2} M^s i_t^s \cos(\alpha_t^s + \theta_s - \beta_k^s) +$$
$$+ \sum_{t=1}^{3} M^{sr} i_t^r \cos(\alpha_t^r + \theta_r - \beta_k^s) \qquad (k = 1,2)$$
$$\psi_k^r = L_s^r i_k^r + \sum_{t=1}^{3} M^r i_t^r \cos(\alpha_t^r - \alpha_k^r) +$$
$$(2) \quad + \sum_{t=1}^{2} M^{sr} i_t^s \cos(\alpha_t^s + \theta_s - \theta_r - \alpha_k^r) \qquad (k = 1,2,3)$$

სადაც

$$\beta_k^s = \alpha_k^s + \theta_s = \alpha_k^s + (k-1)\frac{\pi}{3} = \alpha_k^s + (k-1)\omega_s \Delta_s$$

წარმოადგენს კუთხეს, რომელიც განსაზღვრავს სტატორის ექვივალენტური ფაზის მდებარეობას, რომლის მაგნიტური ღერძი ბრუნავს სივრცეში კომუტატორის გადართვის შედეგად.

ω_s - სტატორის გრაგნილის გადართვის კუთხური სიხშირეა;

$\Delta_s = \dfrac{\pi}{3\omega_s}$ -გადართვის შუალედია.

დრო ტ წარმოვადგინოთ შუალედების სახით,

მივიღებთ

$$t=(k-1)\Delta_s+\tau,\quad -\frac{\Delta s}{2}<\tau<\frac{\Delta s}{2},\quad k=1,2,3.$$

τ -შუალედის შიგნით დრო, რომელიც აითვლება თითოეული შუალედის დასაწყისიდან.

დროის თითოეული შუალედის შემდეგ სტატორის ექვივალენტური ფაზის მაგნიტური ღერძი ნახტომისებურად შემობრუნდება სივრცეში $\frac{\pi}{3}$ კუთხით. იგი დროის შუალედის განმავლობაში არ იცვლის თავის მდებარეობას. ვთვლით, რომ კომუტაცია ხდება მყისიერად.

ასეთი დაშვების გამო β_k^s დროის ერთი შუალედიდან მეორეზე გადასვლისას იცვლება ნახტომისებურად. მეორე მხრივ დენების, ძაბვებისა და ნაკადთშებმების მყისი მნიშვნელობები და როტორის მობრუნების θ_r კუთხე τ დროისაგან დამოკიდებულებით იცვლებიან უწყვეტად. გასაშუალების მეთოდის გამოყენებით Δ_s შუალედში დენის და ნაკადთშებმა ტოლია ამ სიდიდეთა საშუალო მნიშვნელობისა. მანქანის მომჭერებზე მოდებული მუდმივი ძაბვა გასაშუალოებას არ საჭიროებს. შუალედში სიდიდეთა გასაშუალოებული მნიშვნელობები იქნება:

$$i_k^{sl}=\frac{1}{\Delta_s}\int_{-\frac{\Delta_s}{2}}^{+\frac{\Delta_s}{2}}\psi_k^s d\tau;\quad i_k^{rl}=\frac{1}{\Delta_s}\int_{-\frac{\Delta_s}{2}}^{+\frac{\Delta_s}{2}} i_k^{rl}\, d\tau;$$

$$\psi_k^{sl}=\frac{1}{\Delta_s}\int_{-\frac{\Delta_s}{2}}^{+\frac{\Delta_s}{2}}\psi_k^s d\tau;\quad \psi_k^{rl}=\frac{1}{\Delta_s}\int_{-\frac{\Delta_s}{2}}^{+\frac{\Delta_s}{2}}\psi_k^r d\tau;$$

მოვახდინოთ (1) და (2) განტოლებების თითოეული წევრის ინტეგრირება τ ცვლადით და შედეგები გავყოთ Δ_s-ზე, გასაშუალოებული სიდიდეებისათვის მივიღებთ (ინტეგრირებისას θ_s და θ_k^s მიჩნეულია მუდმივ სიდიდეებად):

$$u_k^{sl}=r^s i_k^{sl}+\left[\frac{d\psi_k^{sl}}{dt}\right]_{\beta_k^s}\qquad (k=1,2)$$
$$u_k^{rl}=r^r i_k^{rl}+\frac{d\psi_k^{rl}}{dt}\qquad (k=1,2,3) \qquad (3)$$

$$\psi_k^{sl}=L_s^s i_k^{sl}+\sum_{t=1}^{2}M^s i_t^{sl}\cos(\alpha_t^s+\theta_s-\beta_k^s)+$$
$$+\sum_{t=1}^{3}K_1 M^{sr} i_t^{rl}\cos(\alpha_t^r+\theta_r-\beta_k^s),$$
$$\psi_k^{rl}=L_s^r i_k^{rl}+\sum_{t=1}^{3}M^r i_t^{rl}\cos(\alpha_t^r-\alpha_k^r)+$$
$$+\sum_{t=1}^{2}K_1 M^{sr} i_t^{sl}\cos(\alpha_t^s+\theta_s+\theta_r-\alpha_k^r),$$

(4)

სადაც

$$K_1=\frac{\frac{1}{\Delta_s}\int_{-\frac{\Delta_s}{2}}^{+\frac{\Delta_s}{2}}\cos(\alpha_t^P+\theta_r-\beta_k^s)d\tau;}{\cos(\alpha_t^r+\theta_r-\beta_k^s)}=\frac{\sin\omega_r\frac{\Delta s}{2}}{\omega_r\frac{\Delta s}{2}}$$

წარმოადგენს გასაშუალოების კოეფიციენტს.

მოვახდინოთ ნაკადთშებმების დიფერენცირება და შედეგებში ჩავსვათ $\beta_k^s=\alpha_k^s+\theta_s$.

შემდგომში გასაშუალოების α ინდექსი გამოტოვებულია და ცვლადებში ნაგულისხმებია მათი გასაშუალოებული მნიშვნელობა გადართვის შუალედში.

(3) და (4) განტოლებების მიმართ გამოვიყენოთ ცვლადთა კომპლექსური გარდაქმნა, მივიღებთ განტოლებებს ახალ კომპლექსური ცვლადებით. სტატორის კოორდინატთა სისტემაშ (5)

სადაც

$$\dot{U}^s - U_0^s = r^s I^s + \frac{d\psi^s}{dt} + j\omega_r \psi^{s1},$$

$$\dot{U}^r = r^r I^r - j(\omega_r - \omega_s)\psi^P,$$

$$\psi s = (L_s^s + \frac{3}{2}M^s)I^s + K_1 M^s I^r - \frac{1}{2}K_1 M^s e^{j(\alpha_1^s + \alpha_2^s)}$$

$$\psi s' = \frac{1}{2}M^s I^s + K_1 M^s I^n + \frac{1}{2}K_1 M^s e^{j(\alpha_1^s + \alpha_2^s)},$$

$$\psi^r = (L_s^r + \frac{3}{2}M^r)I^r + \frac{3}{2}K_1 M^s I^s$$

$$\dot{U}^s = \frac{U^s}{2}(e^{j\alpha_1^s} - e^{j\alpha_2^s}) \quad I^s = i^s(e^{j\alpha_1^s} - e^{j\alpha_2^s})$$

$$\dot{U}^r = \sum_{k=1}^{3} u_k^r e^{j(\alpha_k^r + \theta_r - \theta_s)} I^r = \sum_{k=1}^{3} i_k^r e^{j(\alpha_k^r + \theta_r - \theta_s)},$$

$u_0^s = u_0^s(e^{j\alpha_1^a} + e^{j\alpha_2^a})$ - სტატორის გრაგნილის ნულოვანი წერტილის ძაბვის კომპლექსი.

(1) განტოლებები ჩაწერილია სახელობით ერთეულებში და შეიცავს ნულოვანი წერტილის u_0^s ძაბვას. თუ (5) განტოლებათა სისტემის პირველ განტოლებას გამოვაკლებთ მის შეუღლებულ განტოლებას გამრავლებულს $e^{j(\alpha_1^s + \alpha_2^s)}$-ზე, მაშინ u_0^s გამოირიცხება. ფარდობით ერთეულებში განტოლებები ოპერატორული სახელით ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\begin{bmatrix} u^s + u_0^s \\ u^r + u_0^r \\ u_0^r + u_0^r \end{bmatrix} = \begin{bmatrix} Z_1^s & Z_1^s & Z_2^s \\ Z_1^s & Z_1^r & 0 \\ Z_1^s & 0 & Z_1^r \end{bmatrix} \cdot \begin{bmatrix} I^s \\ I^r \\ I^{r*} \end{bmatrix} \qquad (6)$$

ოპერატორული წინაღობები ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$Z_1^s = (P + \rho_c)X_1^s$$

$$Z_2^s = \frac{1}{2}k_1 X_1^s [P + \gamma(\omega_r + \omega_s)]$$

$$Z_2^r = X_1^r (P + \rho^p + j\omega_s)$$

$$Z_1^s = k_1 X_1^p (P + j\omega_s)$$

$$Z_2^s = -k_1 X_1^s (P - j\omega_s)e^{-j(\alpha_1^s + \alpha_2^s)}$$

სადაც ინდუქციური წინაღობები ტოლია:

$$X_2^s = 2X_s^s + 3X_m^s = 2X_s^3 + 3X_m$$

$$X_1^s = 2[1 - \cos(\alpha_1^s - \alpha_2^s)] X_m$$

$$X_1^s = \frac{3}{2}X_m$$

$$X_1^r = X_s^r + \frac{3}{2}X_m$$

$$X_m^s = X_m^s = X_m^s = X_m$$

მილევის კოეფიციენტები ტოლია:

$$\rho^s = \frac{2r^s}{x_1^s}; \; \rho^r = \frac{r^r}{x_1^r};$$

ძაბვისა და დენის კომპლექსები სტატორის კოორდინატთა სისტემაში ტოლია:

$$U^c = U^c(e^{j\alpha_1^s} - e^{j\alpha_2^s}) = U_\alpha^s + jU_q^s$$

$$I^s = i^c(e^{j\alpha_1^s} - e^{j\alpha_2^s}) = I_\alpha + jI_q^s;$$

$$U_\alpha^s = U^s(\cos\alpha_1^s - \cos\alpha_2^s)$$

$$I_\alpha^s = i^s(\cos\alpha_1^s - \cos\alpha_2^s)$$

$$I_q^s = u^s(sib\alpha_1^s - \sin\alpha_2^s)$$

$$I_q^s = i^s(sib\alpha_1^s - \sin\alpha_2^s)$$

გამოყენებული ლიტერატურა

1. Лутидзе Ш. И., Кохреидзе Т. К., Кохреидзе Д. К., Кутателадзе Э. Ш. Безконтактные электрические двигатели постоянного тока. Тбилиси: «Сабчота Сакартвело», 1986. -203 с.

ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი თანამედროვე ეკონომიკაში

***ალექსანდრე კეკენაძე**, სტუ-ს პროფესორი*
***ციური ფხაკაძე**, სტუ-ს პროფესორი*
***ლევან ზედელაშვილი**, სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა ეკონომიკის განვითარებასა და სხვადასხვა სუბიექტებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებეზე. თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობები წარმოუდგენელია უახლესი კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენების გარეშე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, ინტერნეტი, ბიზნესი.

Резюме

влияние современных информационных технологий на развитие экономики и экономические отношения между различными субъектами. Современные экономические отношения уже не мыслимы без привлечения новейших средств связи.

* * * * * *

კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიის მანძილზე, შრომის საფუძვლებს წარმოადგენდნენ მატერიალური ობიექტები. ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე გამოიხატებოდა მის მატერიალურ რესურსებში. თანამედროვე პირობებში სიტუაცია შეიცვალა, დაემატა ინფორმაციული რესურსები. აქტიურ ინფორმაციულ რესურსებს ეროვნული რესურსების ის ნაწილი წარმოადგენს, რომელიც მოიცავს ავტომატიზირებულ ძებნას, შენახვასა და გადამუშავებას. აღსანიშნავია, რომ კარგი ინფორმაციის ძირითად თვისებას წარმოადგენს აქტუალურობა, სიზუსტე, სისრულე, ადეკვატურობა და მიღწევადობა. ეკონომიკურ სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიები გამოიყენება იმისთვის, რომ გადავამუშაოთ მონაცემები სწორ, ოპერატიულ ინფორმაციად, აპარატული და პროგრამული საშუალებებით გადაწყვეტილების მისაღებად, ოპტიმალური საბაზრო პარამეტრების მიღწევის მიზნით.

პერსონალური კომპიუტერებისა და ინტერნეტის ქსელის გამოჩენასთან ერთად, მისაღები ინფორმაციის მიღების მოცულობა და სიჩქარე მკვეთრად გაიზარდა, ამის გამო უკაბელო ტექნოლოგიების განვითარების საშუალებით, თანამედროვე ოფისის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. უკაბელო ტექნოლოგიების, როგორიცაა Wi-Fi, 3G, 4G განვითარების შედეგად, ინტერნეტთან მიერთება პრაქტიკულად ყველგან არის შესაძლებელი. თავისმხრივ კი ინტერნეტი არის ცოდნის, სწავლის საშუალების, ბიზნესის მართვის ინსტრუმენტის და სხვათა შემნახავი.

ინტერნეტის ქსელში მომხმარებელთა აქტიურმა ჩართვამ განავითარა ელექტრონული ბიზნესი. ელექტონული ბიზნესის გამოყენების სფეროები მნიშვნელოვანია, მაგალითად: ელექტრონული ვაჭრობა, საბანკო ოპერაციები, სადაზღვეო ოპერაციები, სხვადასხვა პროდუქციის ყიდვა-გაყიდვა, ოპერაციები საფონდო ბირჟაზე და სხვა. შევჩერდეთ რამდენიმე მათგანზე. ბანკები გვთავაზობენ საკუთარ მომსახურებას, დღეღამის ნებისმიერი დროის განმავლობაში, მუდმივად მუშაობენ ინტერნეტ მაღაზიები, ქსელში ხდება გარიგებები. ინტერნეტი იქცა მარტივ და მოხერხებულ საშუალებად მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის (B2C) და კავშირი მეწარმეთა შორის (B2B).

Business-to-Consumer, Customer (B2C) ანუ ბიზნეს მომხმარებელი არის ელექტრონული კომერციის სახეობა, რომელიც ელექტრონული კომერციული ოპერაციებით აკავშირებს საწარმოსა და მომხმარებელს.

Business-to-Business (B2B) წარმოადგენს ელექტრონულ კომერციას მეწარმეთა შორის. ელექტონული კომერციის გამოყენების უპირატესობად შეიძლება დავასახელოთ:

- ბრაუზერის გამოყენება საკმაოდ მარტივია. მომხმარებელს სჭირდება მოხლოდ აითვისოს პროგრამა და თავისუფლად იღებს ელექტრონული ვაჭრობის საშუალებებთან წვდომას.
- საჭირო საქონლის ყიდვაში დროის ხარჯვის შემცირება.
- პოტენციურ დამკვეთთა რიცხვის ზრდა.
- ინტერნეტის გამოყენებით შესაძლებელია უცხოელ მყიდველთა ხარჯზე, გასაღების ბაზრის გაფართოება.
- საქონლის შესახებ ინფორმაცია შეგვიძლია წარვადგინოთ ინტერნეტში სხვადასხვა ფორმით. ვები საშუალებას იძლევა გადმოვცეთ არამხოლოდ ტექსტი, გრაფიკა არამედ ვიდეო და ხმაც.
- მყიდველის იდენტიფიცირების საშუალება.
- მინიმალური დანახარჯები პერსონალსა და შენობის არენდაზე.
- მუდმივი წვდომის საშუალება.

ელექტრონული ბიზნესი სხვა ნებისმიერისაგან განსხვავებით მოითხოვს მინიმალურ დაბანდებას, მაგრამ სიტუაცია ეკონომიკურ კომერციასთან დაკავშირებით საკმაოდ რთულადაა, ეს ხდება ჩვენი მოსახლეობის დაბალი საქმიანი აქტიურობის გამო.

დროის იმ ნაწილს, რომელსაც ვაატარებდით ტელევიზორის წინ, ახლა ჩვენ და ახალი თაობა

ატარებს კომპიუტერის მონიტორებთან. ინტერნეტი იძლევა ფეხბურთის მატჩის, ახალი ამბების, ტელესერიალების, ფილმების და ა.შ. ნახვის საშუალებას. ძვირადღირებული რეკლამა ტელეეკრანზე, მიღწევადია ინტერნეტში ბანერის სახით, რომელსაც ათავსებენ ხშირად მონახულებად სერვერებზე.

თუ თქვენ არ ხართ ინტერნეტში, არ ხართ ბიზნესში. ბილ გეითსის ეს სიტყვები არავითარ დავას აღარ იწვევს. მართლაც, დღესდღეობით წარმატებული ბიზნესი ინტერნეტში საიტების გარეშე წარმოუდგენელია. მთელი ეს ინფორმაციული რესურსები საშუალებას იძლევიან კომპანიამ გადმოსცეს საკუთარი ცხოვრებისა და პროდუქციის შესახებ. კორპორატიული ბლოგი შეიძლება იქცეს გაყიდვების აქტივიზაცისს მძლავრ საშუალებად.

კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის ცოდნა ესაჭიროებათ არამხოლოდ მეწარმეებსა და მენეჯერებს, არამედ ყველა ადამიანს. განსაკუთრებით ისეთი პროგრემები როგორიცაა ტექსტური და გრაფიკული რედაქტორი, ელექტრონული ცხრილები, მონაცემთა ბაზები და სხვა.

არ უნდა დავივიწყოთ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. მთავარია არა მხოლოდ არსებული ინფორმაციის ჭკვიანურად გამოყენება, არამედ მისი ხარისხიანი დაცვის ყველა დასაშვები საშუალებებით უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. З.В.Архипова, В.А.Пархомов Информационные технологии в экономике. Учеб. пособие // Иркутск: Изд-во БГУЭП, 2003 С. 52-58
2. А.Ю. Топорец Информационные технологии в экономике. Учеб. пособие // Москва Изд-во МИЭМ, 2005 С.17-25
3. Т.П. Барановская, В.И Лойко. и др. Информационные системы и технологии в экономике (учебник) // 2-е Изд-во 2005.
4. Е.В. Филимонова Н.А. Черненко А.С. Шубин Информационные технологии в экономике. // Изд-во Феникс, Ростов. 2008
5. А. Г. Ивасенко, А. Ю. Гридасов, В. А. Павленко Информационные технологии в экономике и управлении. Учеб. пособие // Изд-во КноРус, 2008.

ფინანსური პოლიტიკის სტრატეგია XXI საუკუნის დასაწყისში და საქართველოს მთავრობის ძირითადი ამოცანები და მიმართულებები

ლია კურახჩიშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ფინანსური პოლიტიკის მიზნებისა და ინსტრუმენტების, პოლიტიკური სიტუაციის სრულყოფის, მოქალაქეების მატერიალური კეთილდღეობის, მათი სულიერი დონის ერთიანობის, .ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის გარეშე ფინანსური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია.

საჭიროა შემუშავებულ იქნას პროდუქციის ექსპორტის გაფართოების ეროვნული პროგრამა.

ფინანსური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკა.

არსებით მოდერნიზაციას მოითხოვს საგადახდო-საანგარიშსწორებო სისტემაც.

მთავრობის მიერ განსაზღვრული პოლიტიკა, სტრატეგია, პრიორიტეტული მიმართულებები და სამოქმედო გეგმა ემსახურება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებას,

Summary

It is impossible to solve important objectives of financial policy without goals and instruments of financial policy, improvement of political situation, material welfare of citizens and integrity of their spiritual level. It is necessary to work out a national program to expand export of products.

Tax policy is an important part of financial policy.

Tax-accounting system needs substantial modernization as well.

Policy, strategy, priority directions and acting plan determined by the government serves to restoration-maintenance of territorial integrity of the country.

* * * * * *

XX საუკუნეში ფინანსური პოლიტიკის ძირითადი ტენდენციების, გადაუჭრელი პრობლემებისა და გაუმართლებელი ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი სამომავლო ფინანსური პოლიტიკის შემდეგი სტრატეგიული ხაზების გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა:

ფინანსური პოლიტიკის მიზნებისა და ინსტრუმენტების, პოლიტიკური სიტუაციის სრულყოფის, მოქალაქეების მატერიალური კეთილდღეობის, მათი სულიერი დონის ერთიანობის, .ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის გარეშე ფინანსური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია.

ფინანსური რეგულირების გაუმჯობესების გარეშე XXI საუკუნეში ფინანსური კრიზისების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება. იმისთვის რომ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში საკუთარი როლი არ დაკარგოს და აღნიშნულ პროცესში ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათ ვალისწინების ხერხები იქნას მოძიებული, საჭიროა ახალი ფინანსური ტექნოლოგიების შესწავლა, სახელმწიფო ფინანსების, კორპორაციული ფინანსების, ფინანსური მენეჯმენტის სფეროში თანამედროვე ცოდნის დაუფლება, იმავე დონეზე უნდა იქნეს დაყენებული, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო საქმის სწავლების სისტემაში არის დანერგილი.

ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიის საბაზო, მზიდი კონსტრუქცია უნდა გახდეს ეროვნული ფულადი ერთეულის გამაგრების, ფინანსურ-საბანკო და საკრედიტო ინსტიტუტებისადმი ნდობის ამაღლების საფუძველი. ეროვნული ფულადი ერთეულის განმტკიცების ქვეშ იგულისხმება მისი სასაქონლო და სარესურსო უზრუნველყოფა, სხვა ვალუტებს შორის მისი თანაბარუფლებიანი მდგომარეობა, ხოლო აღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისას ეროვნული ვალუტის ძლიერ ვალუტაში გარდაქმნა.

ფულადი ერთეულის სასაქონლო-სარესურსო უზრუნველყოფისათვის ერთდროულად შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა იქნება საჭირო;

მაღალი ფინანსური უკუგების მომცემი წარმოების ზომიერად გაზრდა;

ნავთობის, გაზის, ენერგეტიკული სიმძლავრეების, ძვიფასი ლითონების მობილური და ლიკვიდური რეზერვების შექმნა;

კაპიტალის მაღალი ბრუნვით გამორჩეული სასურსათო და მსუბუქი მრეწველობის წილის 2-3-ჯერ გადიდების აუცილებლობა.

ეროვნული ფულადი ერთეულის, როგორც სასაქონლო უზრუნველყოფის, ასევე სასურსათო უზრუნველყოფის განმტკიცება.

მნიშვნელოვანია საიმედო ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა, რომლებიც ფულადი მასის, საგირავნო ოპერაციებში კრედიტების მოცულობების განსაზღვისას გათვალისწინებადი სასარგებლო წიაღისეულების ლიკვიდურ აქტივებად გარდაქმნის შესაძლებლობას იძლევა. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფა საიმედო ფინანსური ტექნოლოგიების შექმნას მოითხოვს.

ეროვნული ფულადი ერთეულის უზრუნველყოფადობის შექმნას ასევე ეკონომიკური აქციების ფონდის შექმნას სჭირდება სხვა რესურსების (მიწა, დაუმთავრებელი მშენებლობა და.ა.შ.) ჩართვაც. ამისათვის ეკონომიკური აქტივებისა და მთლიანი

ქონების ინვენტარიზაცია უცხოეთის ჩათვლით, მათი ფასეულობის, ლიკვიდობის განსაზღვრა, აღნიშნული აქტივების ბალანსის სქემა იქნება შესამუშავებელი და საერთაშორისო აუდიტის ჩატარება იქნება საჭირო.

კაპიტალის გადინების შენელება, მისი რეპუტაციის გაზრდა ეროვნული ფულადი ერთეულის განმტკიცების ხალშემწყობ ფაქტორად გვესახება.

რიგი ღონისძიებებია გასატარებელი მეანაბრეების ბანკებისადმი ნდობის განმტკიცების თვალსაზრისით. პირველ რიგში, დაგროვებისა და ინვესტირების გრძელვადიანი პოლიტიკაა შესაქმნელი.

დღეს სადეპოზიტო განაკვეთი, საშუალოდ, 2-3-ჯერ უფრო დაბალია იმ განაკვეთზე, რომლითაც ბანკი გასცემს კრედიტებს. ამიტომ სადეპოზიტო განაკვეთის ამაღლებისათვის შესაძლებლობები არსებობს და იგი სავსებით რეალურია. მეორეს მხრივ, მიზანშეწონილია, ქვეყანაში ანაბრების დაზღვევის სისტემა შეიქმნას. მესამე, საჭიროა შემუშავებული და მოქმედებაში იქნას შეყვანილი კანონი კრედიტის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომლის გარეშე ბანკების საიმედო სადეპოზიტო პოლიტიკის აგება მეტად რთულია.

ფინანსური რესურსების მაღალი უკუგების უზრუნველმყოფელი ეკონომიკის სტრუქტურის ფორმირებაზე კურსის წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში შეიძლება ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის საიმედოობაზე, კორპორაციის ფინანსების მდგრადობაზე და ქვეყნის საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესებაზე ვიქონიოთ იმედი.

საჭიროა შემუშავებულ იქნას პროდუქციის ექსპორტის გაფართოების ეროვნული პროგრამა შესაბამისი ბიუჯეტით, ექსპორტის მხარდაჭერის საგადასახდო და საკრედიტო ინსტრუმენტებით, აგრეთვე მკაფიო სახელმწიფოებრივი პრიორიტეტიანი დიპლომატიის აქტივიზაციის გზები.

ბიუჯეტის დაბალანსების უზრუყნველყოფის ამოცანა უახლესი 10-15 წლის ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიულ ამოცანად რჩება. მთავარია, ბიუჯეტის შემუშავების მაღალი ხარისხი იქნას უზრუნველყოფილი, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო ინსტრუმენტები საქონლისა და მომსახურების მოცულობის გადიდებას და სტრუქტურას გაფართოებას უწყობდეს ხელს, მათი რეალიზაცია კი უფრო მეტი შემოსავლების მოტანის საფუძველი გახდება.

შექმნილი უნდა იქნას ბიუჯეტში განვითარების ტექნოლოგიური ორგანიზაციული ბლოკი, სამეცნიერო-ინოვაციური და საინვესტიციო სფეროს ჩათვლით. ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის რეალიზაციის შესაბამისად, მასში საჭიროა უფრო ხანგრძლივი ვადიანი უკუგებით საინვესტიციო პროექტები იქნას ჩართული.

ფედერალიზმის პრინციპის ჩარჩოებში ქვეყნის თითოეულ რეგიონში რეგიონალურ ბიუჯეტთან ერთად საჭიროა კონსოლიდირებული ბიუჯეტიც იქნას შემუშავებული, რომელიც ადგილობრივ პრობლემების გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

ფინანსური სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანას სხვადასხვა დონეების ბიუჯეტების შედგენის შესახებ საკითხის სრულყოფა წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხში შემოსავლების განაწილების საბიუჯეტო პოლიტიკის ,,ოქროს წესის" (შემოსავლების 50:50%-ზე განაწილება) დაცვა იქნება უფრო სამართლიანი და ადგილობრივი სუბიექტების საქმიანობის ინტერესების გაზრდის საფუძველი.

ფინანსური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკა. გადასახადების ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების მიზნით, საჭიროა, საგადასახადო განაკვეთების ერთიანობასთან ერთად, დიფერენცირებული რეჟიმის გამოყენებაც იქნას შეხამებული, რაც გარკვეულ შეღავათებს უნდა ითვალისწინებდეს იმ სუბიექტებთან მიმართებაში, რომლებიც საკუთარი პროდუქციის გასაღებით ბაზარს აფართოებენ, ფასებს ამცირებენ ან საკუთარ შემოსავლებს ინვესტიციებშიც იყენებენ.

ფინანსური და ფულად-სააკრედიტო პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანების რიცხვში ეკონომიკის მონეტიზაციის კოეფიციენტის გადიდების ამოცანაც შედის, მიგვაჩნია, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში M2-ის მნიშვნელობა მშპ-ს 30%-მდე უნდა იქნას მიყვანილი, ხოლო 2020 წლისათვის 50%-მდე გაზრდილი. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა გაძნელებულია არა მარტო ეკონომიკაში ფულადი ფაქტორის გაუგებრობით, არამედ სახსრების წრებრუნვის უწყვეტადობის უზრუნველყოფისათვის, მისი მნიშვნელობის, საბრუნავი კაპიტალის შევსების, გადასახადების აკრეფის გაუმჯობესების ფაქტორების გაუთვალისწინებლობით არის გამოწვეული.

არსებით მოდერნიზაციას მოითხოვს საგადახდო-საანგარიშსწორებო სისტემა. საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გაძლიერდეს ანგარიშსწორების ორგანიზაციაზე და არგადახდების წარმოშობაზე ცენტრალური ბანკის პასუხისმგებლობა. მეორე ერთიანი საკლირინგო-საანგარიშსწორებო ცენტრის შექმნით საჭიროა დაკრედიტებისა და მიზნობრივი ემისიის ინსტრუმენტები გამოყენებული იქნას არგადახდების მოსაწესრიგებლად. ამასთან, ბაზრის გაკოტრებული სუბიექტების ანგარიშებზე ზედმეტი ფულის „ჩატუმბვის" გამორიცხვით.

საფონდო ბაზრის მუშაობის მოწესრიგების ამოცანა ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად გვესახება უახლოეს პერიოდში. აღნიშნული ბაზარი დივიდენდების მაღალი დონისა და ინფლაციური პროცესების განვითარების პირობებში მუშაობაზე არის „მიჩვეული" და გამოსავალი გვესახება შემდეგში: უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გამოშვებული იქნას მოკლევადიანი ფინანსური ინსტრუმენტი ზომიერი შემოსავლით (საშუალო დივიდენდს პლუს 0.5-1 პუნქტი). მეორე მხრივ, 3-5 წლით შესაძლებელია სახელმწიფოებრივი რეგულირების დეპოზიტური და საკრედიტო საპროცენტო განაკვეთების დროებით შემოღების საკითხის განხილვა. ფინანსური პოლიტიკის საინვესტიციო და ინოვაციური მიმართულების გაძლიერების მიზნით საბანკო სისტემის საქმიანობაში სერიოზული ცვლი-

ლებების განხორციელება არის საჭირო. შეიძლება სხვადასხვა სისტემები იქნა გამოყენებული. საინვესტიციო ბანკების ჯგუფის შექმნა (განვითარების ბანკი და ა.შ.), რიგ უნივერსალურ კომერციულ ბანკებში საინვესტიციო საქმიანობის უშუალო კომერციალიზაციის გამოყოფა. ამასთან საჭიროა მსოფლიო ფინანსური სისტემის განვითარების ტექნოლოგიები იქნას გათვალისწინებული.

21-ე საუკუნეში ფინანსური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ხაზის რეალიზაცია ფინანსურ რეგულირებაში საერთშორისო სტანდარტების აქტიურ გამოყენებას ითვალისწინებს, მათ შორის, ახალი მეთოდების - ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კოდექსები, ფინანსური სექტორის სამედოობის კრიტერიუმები, კორპორაციული ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვის, გაკოტრების არგატარების პროცედურების მართვის სტანდარტები.

ბ) საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2010-2014 წლებში:

მთავრობის მიერ განსაზღვრული პოლიტიკა, სტრატეგია, პრიორიტეტული მიმართულებები და სამოქმედო გეგმა ემსახურება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩეუნებას, ეკონომიკის სტაბილურ განვითარებასა და აღმავლობას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგი ანგარიშვალდებულია თავისი ხალხის წინაშე. მთავრობის ქმედება გამჭვირვალეა. ქვემოთ მოყვანილი და მსგავსი დოკუმენტები საშუალებას აძლევს მოსახლეობას სისტემატურად ადევნოს თვალყური მთავრობის მიერ გასულ წლებში გატარებული ღონისძიებების ანგარიშს და მომავალი წლებისთვის შემუშავებულ სტრატეგიებს, ძალისხმევას დასახული მიზნების მისაღწევად და მის ეფექტიანობას, ქვეყნის განვითარების პროგრესს. მთავრობისა და ხალხის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, მოსახლეობის აქტიური ჩართულობა და ინფორმაციის სისტემატური მიწოდება ამაღლებს მტავრობასა და ქვეყნის მოსახლეობას შორის ურთიერთნდობის ხარისხს, რაც შემდგომი წინსვლის და ქვეყნის განვითარების გარანტიაა.

მთავრობის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის სრული ვერსიის ნახვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინგოროყვა ა. ცაავა გ. - ფინანსური მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო, ტომი I - თბილისი, გამომცემლობა „გრაალი“, 2011 წ.

2. Белоусов Р. А. Економическая история Росии XX века, кн I - Москва, 1999 г.

3 .Финансы, денежное обращения кредит, учебник / под. Ред. Л.А. Дробзиной, Москва, 1997г.

4.ინფომაცია ინტერნეტიდან - www.undp.org.ge/files/project_files/TNC_Prodoc_GEO.doc

ეკოპროდუქტი - გზა ევროკავშირისკენ

მაია ბენია, *სტუ-ს დოქტორანტი*
ნინო მიროტაძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქართველი მწარმოებლებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სურსათით ვაჭრობას.ვინაიდან შიდა და საერთაშორისო ვაჭრობაში ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სურსათის უვნებლობაა, ქართულ ბაზარზე არსებული როგორც ადგილობრივი წარმოების, მით უფრო უცხოური პროდუქტების დიდი ნაწილი სრულიად არ შეესაბამება უვნებლობის სტანდარტს.ამ მხრივ დაუცველია არა მხოლოდ ქართველი მომხმარებელი, არამედ ქართული პროდუქციის უმთავრსესი ნაწილი საერთოდ ვერ ქმნის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის პოტენციალს.

ამდენად ჩვენთვის რთული იქნება ევროკავშირის ბაზრის გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პირველ რიგში სწორედ ეკოლოგიურად სუფთა, სერტიფიცირებული პროდუქციის ექსპორტზე გამახვილდეს ქვეყნის ყურადღება. მიგვაჩნია, რომ ქართული პროდუქტი ბიონიშანდებით ყველაზე ადრე დაიმკვიდრებს ადგილს ევროკავშირის ბაზარზე. ვინაიდან ბიოლოგიური მეურნეობა მსოფლიო სოფლის მეურნეობის წარმოების მხოლოდ მცირე ნაწილია და ერთადერთი ნიშაა სადაც მოთხოვნა მიწოდებას ბევრად აჭარბებს.

Summary

In the present stage of development of Georgia foodstuffs trade with European Union (EU) has a significant importance for Georgian manufacturers. The food safety is the key priority for EU in internal and international trade, the great part of domestic as well as foreign manufactured products available on the Georgian market do not comply food safety standards. In this regard, Georgian consumers are unprotected, and the great part of Georgian product unable to provide export potential at EU market.

Thus, it would be difficult to meet the requirements of EU market standards. Hence, State should be focused on the export of ecologically clean, certified products. We consider that Georgian product will establish its place in the EU market by biomarker. As the biological thrift is the small part of worlds agriculture and the only niche, where demand exceeds supply.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის შემადგენლობაში შემავალ ყოფილ რესპუბლიკებს თითქმის ყველა სახის (პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური) დახმარება ესაჭიროებოდათ. ევროკავშირი აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი, ვინც პოლიტიკური ურთიერთობები დაამყარა და კომპლექსური დახმარების პროგრამები აამოქმედა პოსტსაბჭოთა სივრცეში. აღნიშნული გარდამავალი პერიოდის მძიმე წლებში ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება აღმოუჩინა საქართველოს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების განხილვისას, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად სჭირდება ორივე მხარეს რეალურად ეს ურთიერთობები. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილმა საქართველოსთვის მისი ნატოში გაწევრიანების ამბიციები გადაფარა. ევროკავშირთან მიახლოვება არა მხოლოდ უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანად იქცა, არამედ რეალური უსაფრთხოების ელემენტად, რუსეთის გეოპოლიტიკური დესპოტიზმისგან თავდაცვისა და საქართველოს დარჩენილი ტერიტორიების ანექსიის შეჩერების მცდელობად. ევროკავშირი ამ თვალსაზრისით ერთგვარ ბუფერად იქცა ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის.

მეორეს მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის განვითარებული ეკონომიკური ურთიერთობები აისახა ,,ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ" შეთანხმებაში. საქართველოს არ მოეთხოვება ევროკავშირის სრული კანონმდებლობის მიღება. საქართველომ კანონთა მხოლოდ ის ნაწილი უნდა მიიღოს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას უახლოეს წლებში. რეფორმები ეფუძნება იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც საქართველომ უკვე აღიარა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში (მაგ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) გაწევრიანებით თუ შესაბამის საერთაშორისო კონვენციის ხელის მოწერით. DCFTA მიზნად ისახავს ამ მიღწევებზე დაყრდნობით, სიღრმისეულად შეუწყოს ხელი განვითარებას, მაგალითად, წარმოებისა და ექსპორტის მოცულობის ზრდის მეშვეობით.

საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქართველი მწარმოებლებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სურსათით ვაჭრობას. ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ მას ყველაზე მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე 500 მილიონი მომხმარებელი ჰყავს, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი 39,000 აშშ დოლარია და 16 ტრილიონ ევროზე მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტი გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ შიდა და საერთაშორისო ვაჭრობაში ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სურსათის უვნებლობაა. სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და შესაბამისად სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვას გულისხმობს. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ევროკავშირმა, სურსათის უვნებლობის შესახებ მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები შეიმუშავა.

ამ საკითხისადმი ევროკავშირის კომპლექსური მიდგომა სურსათის წარმოების

ყველა ეტაპს და ასპექტს მოიცავს. ნორმატიულ აქტებში მოცემული მოთხოვნები

ვრცელდება როგორც ევროკავშირში წარმოებულ, ასევე ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებულ სურსათზე და ამდენად, ისინი მესამე ქვეყნების ექსპორტიორებისთვისაცსაყურადღებოა.

ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესაღწევად განვითარებად ქვეყნებს მეტად რთული მოთხოვნების დაკმაყოფილება უწევთ. ამ მოთხოვნათა სირთულე ნაკარნახევია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა სურვილით:

ა) ერთის მხრივ, მაქსიმალურად დაიცვან საკუთარი მოქალაქეების ინტერესები

ბ) მეორეს მხრივ, ევროკავშირის შიდა ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პირობები შექმნან, ანუ არ დაუშვან საკუთარ ბაზარზე ისეთ პირობებში და ისეთი ტექნოლოგიებით დამზადებული პროდუქციის შემოსვლა, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებს არ შეესაბამება (შესაბამისად დაბალი თვითღირებულება აქვს და ამით ბაზარზე გარკვეულ უპირატესობას ფლობს).

გადამუშავებული პროდუქციის მარკირება ნიშნით "CE" მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისათვის დაწესებული მოთხოვნაა, რომელიც განსაზღვრავს, რომ ევროკავშირის ბაზარზე შემოტანილი პროდუქცია უსაფრთხოა მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის. "CE" მარკირების მოთხოვნა სავალდებულოა გადამამუშავებული მრეწველობის პროდუქციის ფართო ჩამონათვალისათვის. არსებობს პროდუქციის სამი ჯგუფი, რომელსაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს "CE" მარკირება, ესენია:

1. ყველა ახალი პროდუქცია, წარმოებული როგორც ევროკავშირის წევრ, ასევე სხვა ქვეყნებში;

2. ევროკავშირში მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული გამოყენებული და მეორადი მოხმარების პროდუქცია;

3. არსებითად მოდიფიცირებული პროდუქცია, რომელზეც ახალი პროდუქტების მსგავსად, შესაბამისი ევროდირექტივები ვრცელდება.

მარკირების გამოყენება შეუძლია როგორც ევროკავშირის, ისე მის არაწევრ ქვეყანას, თუ ამ უკანასკნელის "შესაბამისობის შეფასების სისტემა" შესაბამისი ევროდირექტივების მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ევროკავშირში ასევე წარმატებით ფუნქციონირებს სურსათის უვნებლობის სპეციალური კონტროლის სისტემა - ,,საფრთხის ანალიზი და კრიტიკული კონტროლის პუნქტები (Hazard Analysis and Critical Control Points – HACCP). ეს არის პრევენციული სისტემა, რომელიც სურსათის წარმოებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე რისკების იდენტიფიცირებას და მათ აღმოფხვრას ემსახურება. ამ სისტემით ხდება როგორც ევროკავშირში წარმოებული სურსათის, ისე ევროკავშირის ბაზარზე სასურსათო პროდუქციის იმპორტის პროცესის კონტროლი.

ევროკავშირის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ავალდებულებს ადგილობრივ მწარმოებლებს და იმპორტიორებს, მკაცრად დაიცვან ხსენებული კანონმდებლობით დადგენილი წესები და მოთხოვნები. კერძოდ, სასურსათო პროდუქტების ეტიკეტებზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ევროკავშირის სასურსათო პროდუქტების ბაზარზე ექსპორტირებისათვის დაწესებულია სხვა მოთხოვნები, მაგალითად სასურსათო პროდუქტებში პესტიციდების დასაშვებ მაქსიმალურ ზღვართან, მძიმე ლითონების შემცველობის დასაშვებ მაქსიმალურ ზღვართან, მიკრობიოლოგიური და რადიოაქტიური ელემენტების დონესთან და ა.შ. დაკავშირებით.

სურსათის უვნებლობის პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს და ევროკავშირის

შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობს ევროპის სურსათის უვნებლობის სამსახური (EFSA) რომლის დანიშნულება სურსათის უვნებლობის გაუმჯობესება და მომხმარებელთა უფლებების დაცვაა.

როგორც ვხედავთ სურსათის უვნებლობა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საკითხია განვითარებული ქვეყნებისათვის. მაგრამ ჩვენთან ჯერ კიდევ უმნიშვნელო ადგილი უკავია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პროდუქციის წარმოებას. ქართულ ბაზარზე არსებული როგორც ადგილობრივი წარმოების, მით უფრო უცხოური პროდუქტების დიდი ნაწილი სრულიად არ შეესაბამება უვნებლობის სტანდარტს. ამ მხრივ დაუცველია არა მხოლოდ ქართველი მომხმარებელი, არამედ ქართული პროდუქციის უმთავრესესი ნაწილი საერთოდ ვერ ქმნის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის პოტენციალს. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქცია (გარდა მთის ძირითადი ნაწილისა და ზოგიერთი თითებზე ჩამოსათვლელი ეკომეურნეობისა) ტოკსიკურობით ტოლს არ უდებს იმპორტირებულ პროდუქტს.

მსოფლიო პროდუქტების დასახელებისას კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტებით ხელმღვანელობენ. იგი ადგენს პროდუქტი რა რაოდენობით, რა კომპონენტს უნდა შეიცავდეს. საქართველოში კი ძირითადად ეგრეთწოდებულ „საწარმოო სტანდარტებს" იყენებენ, რაც ნიშნავს რომ ნებისმიერ მეწარმეს თავად შეუძლია აწარმოოს ნებისმიერი შემადგენლობის

პროდუქტი და თავისუფლად გადაწყვიტოს რა სახელი დაარქვას. (მაგ. პროდუქტს დაარქვს რძე, კარაქი რომლის შემადგენლობაში რძის ცხიმი 0% -ია) ამ კუთხით დიდი ქაოსია ბაზარზე ვინაიდან საკითხის რეგულირება საერთოდ არ ხდება. 2006 წელს სახელმწიფო სანიტარიული, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სამსახურების გაუქმების შემდეგ შეიქმნა სურსათის ეროვნული სააგენტო. 2006 წლიდან სურსათის უვნებლობის ოფიციალური მიდგომა შეიცვალა: სურსათის უვნებლობასა და ხარისხზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ნაცვლად დაეკისრა სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებს.

სურსათის უვნებლობასა და ხარისხზე სურსათის ეროვნული სააგენტო ეყრდნობა ბიზნესმენთა რწმუნებას მათი პროდუქციის უვნებლობის შესახებ. ქვეყანაში არსებული ათამდე სურსათის კერძო ლაბორატორია აკრედიტაციას იმ პარამეტრებზე იღებს (სიძვირის გამო) რაზეც მოთხოვნა არსებობს. მოთხოვნა კი ძირითადად საექსპორტო პროდუქციაზეა. 2005 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", რომელშიც მოგვიანებით ინსპექტირებასთან დაკავშირებული მუხლები შეჩერეულ იქნა კანონქვემდებარე აქტების მიღებამდე. მხოლოდ 2010 წლიდან განახლდა სურსათის ბიზნესოპეარატორთა ინსპექტირება, როცა მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №173-ე დადგენილება, რომელმაც სურსათის ეროვნულ სააგენტოს მისცა უფლება დაეწყო სურსათის ბიზნესოპერატორთა ინსპექტირება. 2006-2010 წლებში გეგმური ინსპექტირება არ ტარდებოდა საქართველოში. 2010 წლიდან 2013 წლის ბოლომდე 50 000 რეგისტრირებული სურსათის ბიზნესოპერატორიდან დაახლოებით 2 000 ბიზნესოპერატორი იქნა შემოწმებული. გეგმური ინსპექტირების გზით. შედეგად, სურსათის ბიზნესოპერატორთა 90%-ში არასოდერ არ განხორციელებულა სურსათის უვნებლობის კუთხით ინსპექტირება.

მიმდინარე სურსათის ბიზნესოპერატორთა ინსპექტირების შესაძლებლობები საქართველოში ძალიან დაბალია: 2013 წლის დეკემბრისათვის გეგმური ინსპექტირება განხორციელდა რეგისტრირებულ სურსათის ბიზნესოპერატორთა (FBOs) მხოლოდ 1.3%-ში. რომელიც შეადგენდა 659-ზე მეტ ინსპექტირებას, როცა რეგისტრირებულია 50,000 ბიზნესოპერატორი. ინსპექტრებულ ბიზნესოპერატორთა 33% იყო შეუსაბამო საქართველოს კანონმდებლობასთან, რის გამოც დაჯარიმდნენ. დაახლოებით 1%-ს (6 ბიზნესოპერატორს) შეუჩერდა საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობების არსებობის გამო. ინსპექტირებული საწარმოებიდან 37 იყო ცხოველთა სასაკლაო, რომელთა 31%-ში აღმოჩნდა შეუსაბამობა. ინსპექტირება არ ჩატარებულა ცხოველთა საკვების მწარმოებელ საწარმოებში.

სურსათის უვნებლობის მონიტორინგი არის ფრაგმენტული და მეტად შეუსაბამო. 2013 წელს დეკემბრისათვის 519 სურსათის ნიმუში იქნა გამოკვლეული. საქართველოს სიდიდის მქონე ქვეყნისათვის სავარაუდოდ ასჯერ მეტი ნიმუშის აღებაა საჭირო სრულყოფილი მონიტორინგისათვის. არ არსებობს მონიტორინგის გეგმა კონკრეტულ მიკრობიოლოგიურ და ქიმიურ საფრთხეებზე შიდა სასურსათო ჯაჭვის ყველაზე პრობლემატურ სურსათში. ნაცვლად ამისა, მონიტორინგის ძალისხმევა მიმართულია სურსათის საცალო ვაჭრობაზე. სურსათის ეროვნული სააგენტო (NFA) დაუკომპლექტებელია ინსპექტირების თვალსაზრისით, ცენტრალურ ოფისში 23 ინსპექტორია, ხოლო რეგიონალურ ოფისებში საერთოდ არ არის ინსპექტორი. რისკის შეფასების უწყებათაშორისო მულტიდისციპლინარული საკონსულტაციო ორგანომ საფრთხის პრიორიტეტების განსაზღვრით და რისკზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის მონიტორინგის გეგმების შემუშავებით უნდა უზრუნველყოს რისკის მართვისათვის უკეთესი ბაზა და ამით გააუმჯობესოს სურსათის უვნებლობის მდგომარეობა.

გარდა ამისა საქართველოში ეტიკეტირების წესის დარღვევა წლების განმავლობაში არ ისჯებოდა. 2014 წლის პირველ კვარტალში ეტიკეტირების დარღვევის მხოლოდ 51 შემთხვევა დაფიქსირდა და ბიზნესოპერატორები მხოლოდ 400 ლარით დაჯარიმდნენ. 2004 წლის შემდეგ დაიწყო საკვებისმიერი დაავადებების ინციდენტობის ზრდა, რომელიც დღემდე გრძელდება (დიაგრამა. 1). დიარეული დაავადებები, რომლებიც წარმოადგენენ სურსათის უვნებლობის სრულუფლებიან ინდიკატორებს მატულობს (დიაგრამა. 2).

დიაგრამა 1. ბაქტერიული სურსათისმიერი ინტოქსიკაციები საქართველოში 2002-2012 წლებში



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

დიაგრამა 2. დიარეა და გასტროენტერიტი ყველა ასაკში



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

2012 წელს განხორციელებული მონიტორინგისას ასევე გამოვლინდა სასმელი წყლის არასათანადო სანიტარული მაჩვენებლის (41% შეუსაბამობა სასმელ წყალსა და ბოთლის წყალში) ფართოდ გავრცელება და კრიტიკული სიტუაცია თევზის პროდუქტების ბაზარზე: 45,5% არ შეესაბამება მოთხოვნებს, ასევე იყო ბოტულიზმის შემთხვევებიც.

ევროკავშირმა შეაჯამა 2004-2009 წლების სურსათის უვნებლობის მდგომარეობა საქართველოში - "თითქმის არ არის კონტროლი, არა არის ინსპექტირებები (მხოლოდ მოთხოვნით!), არ არის სურსათის მწარმოებელ საწარმოთა რეგისტრაციის ვალდებულება, არანაირი ცხოველთა იდენტიფიკაცია და მიკვლევადობა, მხოლოდ რამდენიმე ოფიციალური ვეტერინარი, არ არსებობს ეროვნული რეფერენს ლაბორატორია ... ანუ არ არსებობს სისტემა."

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კონტროლი დაინერგა 2011 წლიდან და ვრცელდება მაღალი რისკის მქონე სურსათის წარმოების შიდა ბაზარზე სურსათის უვნებლობის სიტუაცია კვლავ კრიტიკულია.

საქართველოს დღევანდელ რეალობაში საკითხი ასე შეიძლება დაისვას: არის კი ამ ფონზე ევროკავშირის ბაზარი ჩვენთვის ხელმისაწვდომი, ან თუ გაგვაჩნია ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისი საექსპორტო პოტენციალი, მაშინ როდესაც შიდა ბაზარზე ასეთი მდგომარეობაა?

ჩვენთვის რთულია ევროკავშირის ბაზრის გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილება. ევროკავშირის ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ დიდია. საქართველოს ამ ეტაპზე სამწუხაროდ გაუჭირდება გაუწიოს კონკურენცია მაღალტექნოლოგიური განვითარების ქვეყნებს, ვინაიდან, ჯერ ჩვენთან არ იწარმოება ევროკავშირის ბაზრის შესაბამისი პროდუქცია და ეს საკითხები ქართული ექსპორტის პრობლემას წარმოადგენს.

მიგვაჩნია რომ ერთადერთი რაზეც დღეს ჩვენ აქცენტი უნდა გავაკეთოთ სერტიფიცირებული ბიოპროდუქტია. მით უმეტეს რომ ამ მხრივ მეტნაკლებად ყველაზე ჩამოყალიბებული სისტემა გვაქვს. მნიშვნელოვანია პირველ რიგში სწორედ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ექსპორტზე გამახვილდეს ქვეყნის ყურადღება.

ქართული პროდუქტი ბიონიშანდებით ყველაზე ადრე დაიმკვიდრებს ადგილს ევროკავშირის ბაზარზე. ეს სერიოზული მარკეტინგული უპირატესობაა ქართული პროდუქციისთვის. ბიოლოგიური მეურნეობა მსოფლიო სოფლის მეურნეობის წარმოების მხოლოდ მცირე ნაწილია დ ა ერთადერთი ნიშაა სადაც მოთხოვნა მიწოდებას ბევრად აჭარბებს. ამიტომ ამ მიმართულებით საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ქვეყანაში არსებულ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სერტიფიცირებულ ეკომეურნეობებს, რაც უზრუნველყოფს საექსპორტო პროდუქციის ზრდასთან ერთად სოფლად დასაქმების სტიმულს გრძელვადიან პერიოდში.

სასურსათო პროდუქტზე შეიძლება გაკეთდეს ბიონიშანდება, თუ ის წარმოებულია ბიომეურნეობაში, სადაც გამოიყენება ისეთი მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს ეკოსისტემის განვითარებასა და პროდუქტიულობის მდგრადობას, უზრუნველყოფს სარეველების, მავნებლებისა და დაავადების კონტროლს სხვადასხვა სასიცოცხლო ფორმის კულტურების ერთ საწარმოო სისტემაში მოქცევით, სადაც ხდება მცენარეული და ცხოველური ნარჩენების გამოყენება, კულტურების შერჩევა და თესლბრუნვა, წყლის რესურსების მართვა, ნიადაგის დამუშავება და კულტივაცია.

2014 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით 30 სერთიფიცირებული ბიომეწარმე არის რეგისტრირებული, რომელთაგან ძირითადად არიან ბიოღვინის მწარმოებლები სხვადასხვა რეგიონიდან, აგრეთვე მარცვლოვანი კულტურების, ხეხილის, ბოსტნეულის, ველურად მზარდი მცენარეების, თხილის, ვარდის პლანტაციის, დაფნის, ასკილის, შინაური ცხოველებისა და მეფუტკრეობის მწარმოებლები. მეწარმეების სიის განახლება ხდება ყოველთვიურად.

ამგვარად, საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ევროკავშირთან თავსებადი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას,სურსათით ვაჭრობის განვითარებას, უზრუნველყოფს სექტორული კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემოს შექმნას, მნიშვნელოვნადგაზრდისსაქართველოს საინვესტიციო გარემოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Juan Echanove. EU support to Georgia on Food Safety and Agriculture, Tbilisi, presentation on 26.11.2013.
2. სურსათის უვნებლობა საქართველოში, გამოწვევები და პერსპექტივებითბ. 2014 .
3. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი http://eprc.ge/index.php?a=main&pid=461&lang=geo
4. http://www.netgazeti.ge/GE/105/business/32859/
5. http://www.ictplgeorgia.ge/index.php?name=PagesG&op=page&pid=50
6. http://gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/109/id/55

უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში

მაია გელაშვილი, *სამცხე-ჯავახეთის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორი*

რეზიუმე

სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება ყოვლად შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების გარეშე, რადგან ინვესტიციები უზრუნველყოფენ კვლავწარმოების უწყვეტობას, ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. Უქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად დიდი მნიშვნელობა ენიჭება: ა) ეროვნულ ეკონომიკაში არსებული ინვესტორის აქტივობას; ბ) ისეთ ეკონომიკურ გარემოს, სადაც მესაკუთრეს გააჩნია კაპიტალის დაცვისა და ზრდის გარანტიები. ხოლო რაც შეეხება უცხოური ინვესტიციების რეგულირებას მათი მოზიდვის შემდეგ აუცილებელია ისეთი ზომიერი მიდგომების შემუშავება, რომელიც თანაბრად იქნება მისაღები, როგორც უცხოელი ინვესტორის, ასევე ქვეყნის ინტერესებისათვის, რაც საქარათველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ

Summary

The Role of Foreign Investments in Georgia

The functioning of the complex of the state agriculture is impossible without the foreign investments, because the investments provide continuity of reproduction, they promote the realization of manufacturing, innovative and social projects, it participates in increasing of production volume and enhance the further efficiency of the community in this case. The great importance is attached to attraction of foreign investments is the country: a) The activity of investor within the national economy; b) the economical environment in which the owner has guarantees of preservation and growth of his/her capital. As for the regulation of foreign investments, after attracting them, it is necessary to elaborate such a reasonable approaches, that would be equally acceptable for foreign investor and for interests of the country as well, which we deem one of the top priorities of the government.

* * * * * * *

მსოფლიო საფინანსო კრიზისის პირობებში საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში საქართველო ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა., რომელიც გულისხმობს სტაბილიზაციას, ინფლაციის დაძლევას, საფინანსო-საბან¬კო სისტემის გამყარებას და ეროვნული ვალუტის დამკვიდრებას. ყველასთვის ცნობილია, რომ საზოგადოებაში ცხოვრების დონის ამაღლების წყარო მისი „უდიდებულესობა“ ინვესტიციებია, რაც პირდაპირ კავშირშია ახალ სამუშაო ადგილთან და შემოსავალთან, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

მართალია, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მაგრამ, როგორც წესი, უცხოელ ინვესტორს მოაქვს არა მხოლოდ კაპიტალი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მოჰყავს დამსაქმებელიც და ამის მიზეზად ასახელებს ადამიანური რესურსების დაბალი კვალიფიკაციის დონეს ქვეყანაში, სადაც ინვესტიციას ახორციელებს. იმას, რომ უცხოელ ინვესტორებს მართვის აპარატში, მაღალანაზღაურებადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის და ზოგჯერ მუშების თანამდებობებზე თავიანთი ხალხი მოჰყავთ, ადასტურებს ბოლო 9 წლის მანძილზე საქართველოში შემოსულ უცხოურ ინვესტიციებზე დასაქმებულთა სტატისტიკაც, კერძოდ: 2013 წლის პირველი კვარტლის სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც უმუშევრობა საქართველოში გაიზარდა 42000 ადამიანით, ხოლო ფასების დონე, მიმდინარე წლის მაისში, აპრილთან შედარებით — 0,7%-ით. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მშპ-ის 6%-იანი ზრდის პროგნოზის კორექტირება უნდა მოხდეს 3%-იან მაჩვენებელთან, ხოლო რაც შეეხება 2004-2007 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის საშუალო მაჩვენებელს ის შეადგენდა 10%-ს. 2012 წელს კი 12.3%-ს მიაღწია. საქართველოს ეკონომიკა ამ პერიოდში 35%-ით გაიზარდა. მსოფლიოს ფინანსური კრიზისის და 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის ფონზე, ქვეყანამ შეინარჩუნა 2.3%-იანი ზრდის მაჩვენებელი. 2011 წელს კი ამ მაჩვენებელმა 7%-ს მიაღწია. 2004-დან 2011 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით საქართველოში განხორციელდა 7,8 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია. 2004 წელს — 499,1 მლნ. აშშ დოლარი შემოვიდა, 2005 წელს — 449,8; 2006-ში — 1190,4; 2007-ში — 2014,8; 2008-ში — 1564,0; 2009-ში — 759,1.

პირდაპირი ინვესტიციების კლების ტენდენციებს თუ დავაკვირდებით, ჩემი აზრით, ოპტიმისტური პროგნოზია, რაც იმას ნიშნავს, რომ 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, ეკონომიკა შეიძლება არც გაიზარდოს რადგან, 2012 წელს ინვესტიციები წინა წელთან შედარებით 23%-ით შემცირდა. ამას ადასტურებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ გამოქვეყნებული 2012 წელს ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოფიციალური მონაცემები. (კერძოდ იხ. დიაგრა-

მა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ საქართველოში 2011-2013წწ.მლნ.აშშ.დოლარი)

დიაგრამა 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2013წწ.(მლნ.აშშ.დოლარი)



http://geostat.ge/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წლის I კვარტალში 226 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16%-ით ნაკლებია 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე: 2012 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 269 მილიონი აშშ დოლარი იყო, II კვარტალში - 219 მილიონი, III კვარტალში 195 მილიონი და IV კვარტალში 181 მილიონი აშშ დოლარი.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა 2013 წლის I კვარტალში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 71% შეადგინა. უმსხვილეს ინვესტორებს შორის პირველ ადგილზეა იაპონია — 20%-ით, მეორეზე აზერბაიჯანი - 17%-ით, ხოლო მესამეზე - ნიდერლანდები 15%-ით. საქსტატის მონაცემებით, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა (65 მლნ აშშ დოლარი) რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 29 პროცენტია. მეორე ადგილზეა ენერგეტიკა 42 მლნ აშშ დოლარით, თუმცა წინა წელთან შედარებით ინვესტიციები ენერგეტიკის სექტორში 33 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო საფინანსო სექტორში - 12 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა ხოლო მესამეზე - სამთო მოპოვებითი მრეწველობა 13 მლნ აშშ დოლარით. 2012 წელს ინვესტიციებისთვის ყველაზე მიმზიდველი დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი აღმოჩნდა. ამ დარგში მთლიანი ინვესტიციების 22% ანუ 192 მილიონი აშშ დოლარი ჩაიდო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბაზრო ინსტიტუტების გაძლიერება. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია დამატებითი ფინანსების უზრუნველყოფა, ტექნოლოგიისა და ნოუ-ჰაუს შემოტანის სტიმულირება და საექსპორტო ბაზრებში შეღწევის გადაადგილება. ისინი, ასევე, ზემოქმედებენ ადგილობრივ ეკონომიკაზე შიდა მომწოდებელთან კავშირების მეშვეობით და ხელს უწყობენ მწარმოებლობის გაუმჯობესებას. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ნამდვილად არსებობს კორელაცია. მაგრამ მისი ქმედების მიმართულება არ არის ნათელი: ხშირად შეინიშნება ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთქმედება ბრუნვის სასარგებლო ეფექტით. მთავრობამ ქვეყანა მიმზიდველი უნდა გახადოს („საინვესტიციო კლიმატი") უცხოური ინვესტორებისთვის და ხელი უნდა შეეწყოს ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების დაბანდებას იმისთვის, რომ საგადამხდელო ბალანსის ნეგატიური ეფექტი შესუსტდეს.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ ეკონომიკური მაჩვენებლები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის, რადგანაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას ენიჭება. სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება ყოვლად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე, რადგან ინვესტიციები უზრუნველყოფენ კვლავწარმოების უწყვეტობას, ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად დიდი მნიშვნელობა ენიჭება: ა) ეროვნულ ეკონომიკაში არსებული ინვესტორის აქტივობას; ბ) ისეთ ეკონომიკურ გარემოს, სადაც მესაკუთრეს გააჩნია კაპიტალის დაცვისა და ზრდის გარანტიები; გ) სანამ არ გავაცნობიერებთ, რომ პრობლემა არის არა კაპიტალის სიმწირეში, არამედ იმაში, რომ ახალი ტექნოლოგიების შექმნის ცოდნით ბევრად ჩამოვრჩებით ქვეყნებს, სადაც ცხოვრების დონე ჩვენზე მაღალია, ვერასდროს გამოვალთ ამ კრიზისიდან. ხოლო რაც შეეხება უცხოური ინვესტიციების რეგულირებას მათი მოზიდვის შემდეგ აუცილებელია ისეთი ზომიერი მიდგომების შემუშავება, რომელიც თანაბრად იქნება მისაღები, როგორც უცხოელი ინვესტორის, ასევე ქვეყნის ინტერესებისათვის, რაც საქარათველოს მთავრობს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გვესახება

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევგენი ბარათაშვილი დ. მაგრაქველიძე. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბ.,2009
2. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები 2007წ. იანვარი
3. www.economy.ge/economic-seqtors/foreign-direct-investments
4. http://geostat.ge/

გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პირობებში

მარინა ბაღათურია, *სტუ-ს პროფესორი*
მანანა ბერუაშვილი, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემატური საკითხია. გლობალიზაციის მიმართ მეცნიერებასა და პრაქტიკაში ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომები არსებობს.

გლობალიზაციის პროცესების გაღრმავებამ გამოიწვია სახელმწიფოთა უსაფრთხოების, კერძოდ, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პრობლემების შესწავლა - ანალიზისა და განზოგადების აუცილებლობა.

* * * * * *

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, თავისი არსით უნივერსალურია და მისი ძლიერი ტენდენციების გავლენა დღეს გარდაუვალია. გლობალიზაცია ერთმანეთთან აახლოვებს და ურთიერთდამოკიდებულს ხდის ქვეყნებს. იგი ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერების მიღწევების მოკლე ვადაში დანერგვას, რესურსდამზოგველი და ნაკლებნარჩენებიანი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, განსაკუთრებით ფინანსური კაპიტალის მობილურობის ზრდას და ა.შ.

გლობალიზაციის პირობებში იზრდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, მის ხელმისაწვდომობას, მისთვის სასურველი გარემოს შექმნას და მასთან დაკავშირებულ მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

მსოფლიო ეკონომიკაში ძლიერდება ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ტენდენციები. აღნიშნული პროცესები, უცხოური ინვესტიციების ზრდის კვალობაზე, სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ინვესტიცია- ესაა ფინანსური, მატერიალური და ინტელექტიალური ფასეულობების ყველა სახეობა, რომელიც შეიძლება ჩაიდოს ნებისმიერი საქმიანობის სფეროში, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, მაღალი მოგების მიღების მიზნით. ამ პროცესში ორი ძირითადი კომპონენტია გასათვალისწინებელი : დანახარჯები , ანუ საინვესტიციო დაბანდებები და შედეგები, ანუ ის შემოსავლები, რასაც ინვესტორი საინვესტიციო პროექტის განხორციელების შემდეგ იღებს.

ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის საშუალებაა. ეს ნაბიჯი აუცილებელია რიგი მიზეზების გამო: გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში როგორც საქართველოა , ნელა ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი, პრივატიზებულია საწარმოთა უმრავლესობა, რომლებიც თავიანთი პირვანდელი დანიშნულებით აღარ ფუნქციონირებენ, მაღალია უმუშევრობის დონე, დაბალია შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი და შესაბამისად შრომის ანაზღაურება, რაც განაპირობებს მოსახლეობის დანაზოგების სიმცირეს და ქვეყანაში მწირი ადგილობრივი კაპიტალდაბანდებების შესაძლებლობას.

ცნობილია, რომ გლობალიზაციის პირობებში ხდება სახელმწიფოების ინტეგრაცია და ურთიერთგადაჯაჭულობა, საფინანსო ეკონომიკური ურთიერთობების ინტერნაციონალიზაცია. ამ გარემოებებიდან გამომდინარე დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის უმთავრეს თავისებურებად და ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა , რომელიც ტეკ-ების განვითარებასთან და მათი მასშტაბების ზრდასთან ერთად უფრო და უფრო ღრმავდება.

მსოფლიო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის თანახმად საერთაშორისო კაპიტალდაბანდება ხორციელდება პირდაპირი, პორტფელური და სხვა ინვესტიციების სახით. ინვესტიციების განხორციელებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, რომელშიც უნდა მოხდეს კაპიტალდაბანდება, არამედ მთლიანად მსოფლიოში არსებული სიტუაცია.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ თვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ამგვარი უსაფრთხოების გარკვეულ გარანტსაც თანამედროვე გლობალურ სივრცეში. ინვესტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინვესტიციის მიმღებ ქვეყანაში ბაზრის სიდიდესა და ტევადობას. ეს მაჩვენებელი ერთ ერთ ძირითადს წარმოადგენს, როდესაც იგი თავისი საქმიანობისათვის ამა თუ იმ რეგიონს ირჩევს და ქმნის საწარმოს ან სხვა სახით აბანდებს კაპიტალს. ინვესტორი, სწავლობს და აანალიზებს თავისი საქმიანობისათვის სასურველ სახელმწიფო რეგულირების აპარატსა და საკანონმდებლო აქტებისა და კანონების მთელ სპექტრს. ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური, სოციალური და კრიმინოგენული სიტუაციების სტაბილურობა სტიმულს

აძლევს ინვესტორს მონაწილეობა მიიღოს ახალი საწარმოების შექმნაში. აწარმოოს პროდუქცია და გაიტანოს ბაზარზე. ინვესტორის საბოლოო მიზანია რეგიონში ბაზრის განვითარების შესაძლებლობა, ხოლო იმისათვის, რომ ეს მოხდეს აუცილებელია ყველა სხვა ფაქტორთან ერთად ქვეყანაში მიღებულ იქნას ყველაზე „სამართლიანი" კანონი მეწარმეობის შესახებ.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაზე და გლობალიზაციაზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლით, კომუნიკაციების , კერძოდ კი ინტერნეტის როლს ამ სფეროში „ინტერნეტ ეკონომიკა" სულ უფრო დიდ პოპულარობას იხვეჭს მსოფლიოში, ეს განპირობებულია იმით , რომ ეკონომიკური ურთიერთობების ასეთი ფორმა, ბევრად უფრო სწრაფია და ნაკლებ დანახარჯებს საჭიროებს. ინტერნეტის საშუალებით ყველაზე მარტივად ხდება ძვირადღირებული პროდუქტის - ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება , თანაც ეს ხდება არალოკალური არამედ გლობალური მასშტაბით, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების - ინფორმაციის სწორად გამოყენება გარკვეულწილად განსაზღვრავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას. თუ გავითვალისწინებთ ინტერნეტ-ეკონომიკის და საერთოდ ინტერნეტის დღევანდელ მასშტაბებს, შეიძლება ვივარაუდოთ რომ ინტერნეტი უდიდეს როლს შეასრულებს მსოფლიოს ეკონომიკაში და ხელს შეუწყობს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას.

თანამედროვე პირობებში სუვერენული სახელმწიფოების ერთ-ერთი ამოცანაა ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლის ერთ-ერთ ძირითად ელემენტად - მდგრადი განვითარება განიხილება. მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანთა დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც ცხოვრების მაღალი დონის მიღწევას გულისხმობს. ასეთი ეკონომიკა უნდა ეყრდნობოდეს მართვის თანამედროვე პრინციპებს: პროგნოზირებას, სტრატეგიულ დაგეგმვას, მიზნობრივ პროგნოზირებას და ა.შ.

ქვეყნის უსაფრთხოებად იგულისხმება მისი დაცვის ხარისხი ისეთი ფაქტორების გავლენისაგან, რომლებიც იწვევენ ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის დაკარგვის, პროგრესული განვითარების პოტენციალის მოშლის საფრთხეს. ეროვნული უსაფრთხოება, როგორც ერთიანი სისტემა მოიცავს სამ ძირითად შემადგენელს: სახელმწიფოს - როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის უსაფრთხოებას, საზოგადოების უსაფრთხოებას და პიროვნების და მოსახლეობის უსაფრთხოებას.

როდესაც რეალურად დადგა ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების და რესურსების ამოწურვადობის პრობლემა, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ახალ პირობებთან მიმართებაში უზრუნველყოს სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოება საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში , რესურსები განსაზღვროს ისე რომ გათვალისწინებული იქნას გარემოსა და მეზობელი სახელმწიოფოების უსაფრთხოების პირობები, მდგრადი განვითარება და გლობალური პოტენციალის კოორდინაციის მაღალი დონე.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება წარმოდგენილია შემდეგნაირად: ადამიანის უსაფრთხოება, მაკროეკონომიკური უსაფრთხოება, მეზოეკონომიკური უსაფრთხოება, მიკროეკონომიკური უსაფრთხოება, მეგაეკონომიკური უსაფრთხოება. ადამიანის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების ძირითად მაჩვენებლებად მიჩნეულია ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი და ცხოვრების ხარისხი, ასევე ადამიანის შრომითი სასურსათო, ფსიქოლოგიური უსაფრთხოება, ადამიანისეული კაპიტალის კონკურენტუნარიანობა და სხვა. თანამედროვე პირობებში წინა პლანზეა წარმოდგენილი ადამიანის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება. ეს სავსებით სამართლიანია, რადგან ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები ქმნიან გლობალურ სივრცეს.

შეიძლება ითქვას რომ ძლიერი ეკონომიკა არის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი. თუ ქვეყანას აქვს არჩეული ეკონომიკის განვითარების სწორი კურსი, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც სოციალური საკითხები, ასევე ეროვნული ინტერესები და ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება მაღალი ტემპებით, მას აქვს საერთაშორისო, ორმხრივი კავშირები უცხო ქვეყნებთან და ტეკ-ებთან, მაშინ ეს ქვეყანა არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც უსაფრთხოდ განვითარდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ერონული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ. „ინოვაცია" 2005 წ
2. სიჭინავა ა. ინვესტიციები, თბ 2010 წ
3. არჩვაძე ი. გლობალური ეკონომიკური კრიზისი- ნიშნები და ტენდენციები 2009 წ
4. ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო 2010 წ
5. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა თბ. „სიახლე" 2006 წ
6. მალაშხია გ. კრიზისი და განვითარება თბ. „სიახლე" 2010 წ

ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და რეალობა

ნათელა წიკლაშვილი, *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*
თამილა თურმანიძე, *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

Summary

There is a significant difference between the salaries of men and women around the world. In fact, if we discuss in terms of gender, female labor is cheap. Women are mainly employed in the private sector and representing the core of the country's economic welfare creation. Nowadays, many women have family breadwinner role. Economic independence gave women some kind of power, but this new situation will not change traditional gender roles, and women main activity remains taking care of household duties, child care, and so on. The majority of women who are employed in the formal sector, especially the agriculture, education, healthcare and light manufacturing sectors in low-paying jobs. Georgia is western values country. In 2010, the Parliament adopted the Law on Gender Equality, and low's main idea is to eliminate gender discrimination.

Keywords: Gender Pay Gap – GPG; Women's Economic Opportunity Index, Gender equality;

საკვანძო სიტყვები: გენდერული სახელფასო სხვაობა, ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი, გენდერული თანასწორობა

ქალთა დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები არა ერთხელ გამხდარა მეცნიერ-ეკონომისტთა და საერთოდ, საზოგადოების მსჯელობის საგანი. ოცდამეერთე საუკუნეში კვლავ განსხვავებულია მამაკაცთა და ქალთა დასაქმების მაჩვენებლები, შრომის ანაზღაურების სიდიდე, შრომის პირობები. ამ საკითხების ანალიზის დროს გვეერდს ვერ ავუვლით ქალთა დისკრიმინაციის ცნებას, რადგან ქალთა და მამაკაცთა ხელფასებს შორის საგრძნობი განსხვავება, მართალია, სხვადასხვა დონით, მაგრამ მაინც მთელ მსოფლიოში შეინიშნება. ამ ფენომენის საზომად გენდერული სახელფასო სხვაობა (Gender Pay Gap – GPG) გამოიყენება. ეს ინდიკატორი წარმოადგენს მამაკაცისა და ქალის საშუალო საათობრივ ხელფასებს შორის სხვაობას შეფარდებულს მამაკაცის საშუალო საათობრივ ხელფასთან. Eurostat-ის მიხედვით ქალები მამაკაცებთან შედარებით 16,2%-ით ნაკლებს გამოიმუშავებდნენ საათში. ეს სხვაობა იცვლება ქვეყნების მიხედვით.[3]

2012 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში „Development Report on Gender Equality" სადაც სამოცაოთხი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნის შესახებ წარმოადგენს მონაცემებს და ასკვნის, რომ ქალის ხელფასი საშუალოდ 8-დან 48 პროცენტამდე ნაკლებია მამაკაცის ხელფასზე. ეს სხვაობა განსაკუთრებით დიდია დაბალშემოსავლიან ქვეყნებში.[4]

ტერმინი "ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობის ინდექსი" ზომავს ქალთა ეკონომიკურ აქტივობას, იგი პირველად ჟურნალმა The Economist-მა გამოაქვეყნა 2010 წელს. იგი მოიცავს 5 მსხვილ კომპონენტს–შრომის კანონმდებლობა და დასაქმება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, განათლება და პროფესიული სწავლება, ქალთა სამართლებრივი და სოციალური სტატუსი და ზოგადი ბიზნესგარემო. ეს კომპონენტები თავის მხრივ უფრო დეტალური ინდიკატორებისგან შედგება. ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს მაჩვენებელი ორივე – მსოფლიო და რეგიონის – საშუალო ინდექსზე მაღალია. კვლევის შეფასებით, ქალები ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ის ფაქტი, რომ ქალები მამაკაცებთან ერთად უფრო აქტიურად ერთვებიან ეკონომიკურ ცხოვრებაში, მშპ-ის ზრდაზე დადებითად აისახება. კვლევის მონაცემებით, ევროპაში, 1995 წლიდან მშპ-ის წლიური ზრდის 25% სწორედ ქალთა გაზრდილ ეკონომიკურ აქტივობაზე მოდის. საქართველო მსოფლიოს 128 ქვეყანას შორის 59-ე ადგილზე მოხვდა. [4]

იმისთვის რომ ქვეყანამ რეიტინგში მაღალი პოზიცია დაიკავოს, სახელმწიფო ქალებისთვის თანაბრად უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებას, ფინანსებზე წვდომას, განათლებას და პროფესიულ სწავლებას. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ქალის სამართლებრივი და სოციალური სტატუსი და ზოგადი ბიზნესგარემო.

სხვადასხვა კვლევის შეფასებით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანაში ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საკანონმდებლო დონეზე წლიდან წლამდე უმჯობესდება. მაგალითად, უმრავლეს ქვეყნებში არსებობს კანონები, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას დასაქმების, საკუთრების უფლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში. თუმცა, კანონების აღსრულება და კონტროლი მაინც პრობლემად რჩება. კანონმდებლობით თუ მისი აღსრულებით, საქართველო ყველა უშუალო მეზობელ ქვეყანაზე წინაა. ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის ინდექსში პირველ სამეულში შედიან: შვედეთი, ნორვეგია და ფინეთი. მათი პირველობა ძირითადად განპირობებულია დასაქმების,

საშუალო განათლების ხანგრძლივობის და ზოგადი ბიზნესგარემოს მაღალი მაჩვენებლებით.

ქალთა მაღალ ეკონომიკურ აქტივობაზე მიუთითებენ სილვერშტეინი და სეირა, რომლებიც აღნიშნავენ რომ ქალებს აქვთ უფრო მეტი ეკონომიკური შესაძლებლობა, ვიდრე ჩინეთსა და ინდოეთს. რომ 2009 წელს მსოფლიოს ქალებმა გამოიმუშავეს 13 ტრილიონი დოლარი, რაც ორჯერ უფრო მეტია ვიდრე ჩინეთის და ინდოეთის მშპ ერთად. ვარაუდობენ, რომ 2014 წლისთვის ეს მაჩვენებელი 18 ტრილიონამდე გაიზრდება. [5]

ბევრი ინსტიტუტი აღიარებს, რომ ქალთა მზარდი სიმდიდრედა გავლენაარ შეიძლებაიგნორირებული იყოს, ვინაიდან ქალებს აქვთ ბაზარზე თავის დამკვიდრების დიდი შესაძლებლობა. ქალებს არა მხოლოდ მზარდი შემოსავალი აქვთ, არამედ ისინი მსოფლიო მაშტაბით აკონტროლებენ სამომხმარებლო ხარჯების დაახლოებით 64%-ს. ბარქლაიზის კვლევის მიხედვით (2013) ქალები აგროვებენ ქონებას მოგებიდან, დანაზოგებიდან და ბიზნესის შემოსავლებიდან. ტენდენციები ცხადყოფს, რომ გაიზარდა თვითდასაქმებულ ქალთა რაოდენობა, რომლებიც ქმნიან ცხოვრების წესს და მზარდ კომპანიებს. ქალების მუშაობას კორპორაციებში დადებითი ეფექტი აქვს. Catalyst (2007) დაახლოებით 500 კომპანიაში ჩაატარა დაკვირვება სადაც მაღალ თანამდებობაზე იყვნენ ქალები. შეადარა ცუდი და საუკეთესო ინდექსის მქონდე ქალთა წარმომადგენლობითი კომპანიები და ნახა, რომ მათი გავლენა კომპანიაზე დიდია. დაკვირვების შედეგად გამოვლინდ, რომ სააქციო კაპიტალის მოგება გაიზარდა 53 %-ით, ზღვრული შემოსავალი 42 %-ით. [6]

ინვესტიციები, რომლებიც ქალი ლიდერების ზრდისთვისაა გაწეული, დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მშპ-სა და კეთილდღეობაზე. როგორც Booz&Co კომპანიის მკვლევარებმა(2012) გამოთვალეს, მშპ-ს შესაძლო ზრდა ეკონომიკაში დამატებით ქალთა ჩართვის ხარჯზე ინდოეთში, სამხრეთ აფრიკასა და დიდ ბრიტანეთში შესაბამისად შეადგენს – 27%, 10% და 5%-ს. კვლევებმა ისიც აჩვენა, რომ ქალები უფრო მეტს ხარჯავენ საკუთარი და შვილების განათლებასა და ჯანმრთელობაზე, ვიდრე მამაკაცები რომლებიც უფრო გართობას და მათთვის სახალისო საქმიანობას ახმარენ თავიანთ შემოსავლებს. [6]

ამდენად, თუ შევუქმნით ქალებს დასაქმების და საკუთარი შემოსავლების მიღების პირობებს, ეს, პირდაპირ თუ ირიბად, დადებითად აისახება მომავალი თაობის კეთილდღეობასა და სტაბილურობაზე.

ევროკომისიის ანგარიშის თანახმად 2012 წლის დასაწყისისთვის ევროკავშირში ლიდერ ქალთა რაოდენობა მხოლოდ 13,7 % იყო. 2010 წლის მონაცემებით აზიის და წყნარი ოკეანის ქვეყნებში ქალები მაღალ თანამდებობაზე 6,5 %-ია. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში კი 3,2 %. 2010 წლის მონაცემებით ინდოეთსა და პაკისტანში ქალთა დასაქმების მაჩვენებელი 29 % და 22 %-ია. ნიგერიაში 48% ქალებისა დასაქმებულია. სამხრეთ აფრიკაში - 44 %, დიდი ბრიტანეთში 56 % ქალებისა არის დასაქმებული. [4]

საინტერესოა დასაქმებულ ქალთა განათლების დონე, განვითარებულ ქვეყნებში 50%-ზე მეტია განათლებულ ქალთა რიცხვი. დიდ ბრიტანეთის ეროვნული ტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა 54 %-ზე მეტი ქალია. [7]

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომლის მთავარი არსი სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობაა. ქვეყანაში არსებობს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც ქალსა და მამაკაცს თანაბარ პირობებში აქცევს. საკანონმდებლო თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა. მაგრამ 2013 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა- საჯარო სამსახურში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში. 166 საჯარო ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, დასაქმებულების 70,7%-ია კაცი და ქალები მხოლოდ 29,3%-ით არიან წარმოდგენილნი. ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაქმებულია 78,3% კაცი და 21,7% ქალი. [2]

მონაცემები დამაფიქრებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას რომ, საჯარო სექტორი შედარებით სტაბილურ ხელფასებსა და სამუშაო პირობებს სთავაზობს მოქალაქეებს, ვიდრე კერძო სექტორი ან თვითდასაქმება და სქესის მიხედვით დისკრიმინაციას ადგილი არა აქვს, სხვა შემთხვევაში, როგორც ზემო ვნახეთ, ქალის შრომა მამაკაცთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ ანაზღაურებადია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით დაქირავებით დასაქმებული ქალების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაახლოებით 50%-ით ნაკლებია, ვიდრე კაცების. საინტერესოა ასევე ეკონომიკური სტატუსის მიხედვით მოსახლეობის განაწილება.

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელების სქესობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ქალებში უმუშევრობის დონე შემცირდა 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში პირიქით 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 12.3 და 16.5 პროცენტი შეადგინა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად კაცებში უმუშევრობის დონე მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა დიასახლისია და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 43.2 და 22.7 პროცენტი). ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის, ასევე დასაქმების დონე. 2013 წელს 2012 წელთან შედარებით

ქალებში დასაქმების დონე 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და ყველაზე მაღალ ნიშნულს (49.8 პროცენტი) მიაღწია ბოლო 9 წლის განმავლობაში, ხოლო კაცებში დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 64.5 პროცენტი შეადგინა.[1]

ამრიგად, ქალებს აქვთ დიდი ეკონომიკური შესაძლებლობები, რომელთა ნაწილი არარეალიზებულია, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მეტი ჩართულობა ეკონომიკაში დადებითად აისახება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის და ზოგადად, საზოგადოების კეთილდღეობის ზრდაზე. სახელმწიფო უნდა იქცეს ქალთა (ცხადია, არა მხოლოდ ქალთა!) დასაქმების და შესაბამისი ანაზღაურების, ღირსეული სამუშაო პირობების შექმნის, ჰარმონიული პიროვნული განვითარების გარანტად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „დასაქმება და უმუშევრობა“- სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი 2013;

2.საზოგადოებრივი დამოკიდებულების კვლევა გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, თბილისი 2013;

3. http://epp.eurostat.ec.europa.eu/statistics_explained/index.php/Gender_pay_gap_statistics

4.. https://siteresources.worldbank.org/INTWDR2012/Resources/7778105-1299699968583/7786210-1315936222006/Complete-Report.pdf

5. Michael J. Silverstein and Kate Sayre, the-female-economy, Harward business reviw, 2009

6. Gita Patel “Gender differences in leadership styles and the impact within corporate boards”. June 2013.

7. “Women’s economic opportunity: A new global index and ranking” An Economist Intelligence Unit publication. 2010

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები

ნანი მამფორია, *ეკონომიკის დოქტორი*
ნინო ლეთანძე*, სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

ყველა თეორია საბოლოო ანგარიშით ჰიპოტეზაა და ყოველთვის შეიძლება მისი უარყოფა. ეკონომიკური კრიზისის შესახებ ზოგადი, თეორიული წარმოდგენები იცვლება მსოფლიოს საერთო სამეურნეო პროგრესის საფუძველზე. ამჟამად, როდესაც წარმოიქმნა ერთიანი მსოფლიო ბაზარი და გლობალიზაცია გახდა შეუქცევადი პროცესი, იცვლება ჩვენი წარმოდგენები ეკონომიკური კრიზისის შესახებ და თვით კრიზისიც მეტად საგრძნობი ხდება თავისი დამანგრეველი ძალითა და გავრცელების არეალით.

დღეს მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევა და ძიება ფინანსური კრიზისის წარმომშობი მიზეზებისა და მისი აღმოფხვრისა, ხდება შეცდომებისა და გამოცდილების გაზიარება მსოფლიო მასშტაბით (გლობა-ლიზაციიდან გამომდინარე), რადგან ერთხმად აღიარებულია, თუ რაოდენ დიდი გავლენა აქვს ფინანსურ კრიზისებს (რომლებიც უმთავრესად, როგორც წესი, გადაიზრდება ეკონომიკურ კრიზისზე) ქვეყნის სამომავლო ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: კრიზისი, ფინანაური კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი, გლობალიზაცია.

Summary

In the final analysis each theory appears to be a hypothesis which always can be rejected. The general theoretical conception of the world economic crisis changes based on industrial progress.

Nowadays, when an integrated world market has been fully established and globalization has become an irreversible process, any disruption in the system has, as a rule, a great influence on the economic order. It is also true that our notion about the economic crisis changes as well, and crises have become much more perceptible for their destructive impact and huge scope.

The investigation and research into the reasons and origins of the financial crisis is very active nowadays all over the world. Searching for ways of eliminating them is being conducted world-wide. Toward this goal, efforts are being made to become familiar with the mistakes made and to engage in reciprocal skill-sharing which will contribute to the prevention of future economic crises.

* * * * * *

ვიდრე გავარკვევთ, რა არის კრიზისების გამომწვევი მიზეზები, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადად ,,მიზეზს" სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ: რაც რაიმეს ქმნის, მოქმედების წყაროა ან მოტივია, აგრეთვე ის, რაც ხსნის, თუ რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა, ან რატომ იწყება რაიმე მოქმედება. მიზეზობრიობის იდეა უკავშირდება ადამიანის ძალისხმევას, შექმნას ან შეცვალოს საკუთარი გარემო. ამ თვალსაზრისით რაიმეს მიზეზის ძიება არის მისი თავიდან აცილების, ან მუდმივად შენარჩუნებისათვის მოქმედების პროგრამის დასაწყისი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიზეზის ცნება გამოყენებით მეცნიერებაში. ეკონომისტები მუდმივად იკვლევენ ფასების ზრდის, დასაქმების გადიდების ან დანახარჯების შემცირების მიზეზებს. უაღრესად აქტუალურია ეკონომიკური კრიზისის მიზეზების გამოკვლევაც.

,,კრიზისის მიზეზები შეიძლება იყოს გარე (ეგზოგენური) და შინაგანი (ენდოგენური). პირველს იწვევს ფორსმაჟორული სიტუაციები, ბუნებრივი მოვლენები, ეპიდემიები, ხანძრები, გვალვები, მიწისძვრები, ომები და სხვა. მეორეს კი მიეკუთვნება ეკონომიკური წინააღმდეგობებით გამოწვეული კრიზისები. ისინი ერთგვარად შეიძლება ითქვას ,,მოწესრიგებული", პერიოდუ-ლი და პროგნოზირებადიც კია" .

ცნობილია, რომ ეკონომიკური კრიზისი, როგორც წესი, ჭარბწარმოებითი ხასიათისაა, ეს იმიტომ, რომ ერთ მხარეს კონცენტრირებულია კაპიტალის დიდი, მოუქნელი და უმართავი მასა, ხოლო მეორე მხარეს ისადგურებს გადახდის უუნარო მოთხოვნა. ამ ზოგადი მიზეზიდან გამომდინარე, ეკონომისტები ეძებენ ცალკეული ეკონომიკური კრიზისების გამომწვევ კონკრეტულ მიზეზებს. მათი ამოცანა ხდება იმის გარკვევა, თუ რით არის გამოწვეული გადახდის უუნარობა, ან რამ განაპირობა კაპიტალის უზარმაზარი მასის კონცენტრაცია აქ და ამჟამად.

კეინსი თავის ,,ზოგად თეორიაში" აღნიშნავს, რომ ეკონომიკური კრიზისები შედეგია უარყოფითი საბაზრო ძალების კონცენტრაციისა, რომელთა ნეიტრალიზებაც მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური და ძლიერი ჩარევის შედეგად არის შესაძლებელი და ეს ჩარევა მანამ უნდა მიმდინარეობდეს, სანამ არ აღსდგება კლასიკური ეკონომიკური თანაფარდობები. ე. ი. კრიზისების მიზეზები ბაზარზე არასწორი მოქმედების შედეგად ჩნდება და ამიტომ ბაზარზე დაკვირვება და მისი პოზიტიური ძალებისადმი ხელშეწყობა სახელმწიფოს ვალდებულებაა. ,,მას კრიზისი, რომ ბუნებრივ ფატალურ მოვლენად მიაჩნდეს, ისე როგორც ავსტრიული სკოლა გვასწავლის, ან მონეტარისტებს წარმოუდგენიათ, მაშინ კრიზისიდან გამოსვლის ღონისძიებებსაც არ შეიმუშავებდა. ან, რომ

ეფიქრა - კრიზისი ეკონომიკის გაჯანსაღების ბუნებრივი საშუალებაა, როგორც მიაჩნდათ ფონ მიზესსა და ფონ ჰაიეკს, მაშინ ანტიკრიზისული ღონისძიებებისკენ არ მიგვითითებდა".

ყოველი ეკონომიკური კრიზისის მიზეზები ეკონომიკური ციკლის აღმავლობის ფაზაში მწიფდება. ამ ფაზაში ერთობლივი მოთხოვნის ზრდა წინ უსწრებს მიწოდების ზრდას და მიმწოდებლებს ექმნებათ ილუზია, რომ თვალსაწიერ მომავალშიც ასე გაგრძელდება. ამიტომ განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა საინვესტიციო საქონელზე. ხოლო როდესაც აღმოჩნდება, რომ წმინდა (ახალ) ინვესტიციებს აღარ შეუძლიათ მოგების მოტანა, ეს მოთხოვნა ეცემა და მიმწოდებლები იძულებულნი ხდებიან შეკვეცონ წარმოება. გორდება ფირმების გაკოტრების ტალღა, იზრდება უმუშევრობა. თითოეულ მიკრო-ერთეულში წარმოშობილი სიძნელეები ჯაჭვური რეაქციით გადაეცემა ახალ-სა და ახალ ერთეულებს და, საბოლოოდ ახალსა და ახალ ქვეყნებსაც. გროვდება გაუსაღებელი საქონელი. მიმოქცევიდან ქრება ფული (იგი საერთოდ როდი ,,ქრება" - იგი ილექება ,,რეზერვუარებში", ჩერდება ძირითადად ინვესტორებთან). ვითარდება საგადამხდელო, საბანკო, საფონდო კრიზისი.

კრიზისის მიზეზებს მეცნიერები, ტრადიციულად, ეძებენ ან ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობაში (,,არაეფექტიანი მოთხოვნის" კეინსური თეორია), ან - ერთობლივი მიწოდების ისეთ ზრდაში, როგორიც დინამიური კაპიტალისტური ეკონომიკისათვის არის ნიშანდობლივი. ე. ნ. ,,მიწოდების ეკონომისტთა" (სეპლაიდერების) უმრავლესობა არც თვლის კრიზისებს კანონ-ნზომიერ, გარდაუვალ მოვლენად, რადგან, მათი აზრით, ბაზარს თვითონ ძალუძს შესაბამისობაში მოიყვანოს გაზრდილი მიწოდება მოთხოვნასთან. სად-ღეისოდ, ასეთი ხელოვნურად გამარტივებული წარმოდგენა მეცნიერებამ

უკუაგდო, თუმცა პრაქტიკოსებს შორის მას ჯერ კიდევ აქვს გადგმული ფესვები.

,,მიწოდების" კონცეფციის ერთ-ერთი გავრცელებული ვარიანტია მიზეზის ძიება ხელფასის დონის გადამეტებულ ზრდაში, რაც მართლაც არის დამახასიათებელი აღმავლობის ფაზაში მყოფი კაპიტალისტური ეკონომიკისათვის, როდესაც უმუშევრობის დონე მკვეთრად მცირდება: ამ დროს მუშახელზე მოთხოვნა მაღალია, თავისუფალი შრომითი რესურსები კი - მცირე და დამქირავებლებს შორის ძლიერდება კონკურენცია ამ რესურსების მისა-ზიდად.

ჯერ კიდევ არისტოტელე იცნობდა მიზეზის ცნებას და განასხვავებდა მის ოთხ სახეობას. თუ არისტოტელეს მემკვიდრეობას მიზეზის კლასიფიკაციის საკითხში განვიხილავთ ფულის ბაზარზე მოქმედი ბროკერის მაგა-ლითზე, ეს ოთხი სახეობა ასეთია: 1. მოქმედი მიზეზი, ის რაც მოქმედებს შექმნილ სიტუაციაში, ესე იგი თვითონ ბროკერი; 2. მატერიალური მიზეზი, რისი საშუალებითაც მოქმედებს ბროკერი, ანუ სხვადასხვა ფულის ერთეუ-ლებზე მოთხოვნა-მიწოდების არსებობა; 3. ფორმალური მიზეზი, ის ოპერა-ცია, რომელიც უნდა განახორციელოს ბროკერმა; 4. მიზნობრივი მიზეზი, მოგება, რომლის მიღებასაც აპირებს ბროკერი ამ ოპერაციის ჩატარებით.

არისტოტელესეული გაგება დღეს საკამათოა. უფრო სწორად, მატერიალურ და ფორმალურ მიზეზებს - მიზეზებს აღარ ეძახიან, ხოლო მიზნობრივი მიზეზი გამოიკვეთა, როგორც დამოუკიდებელი ცნება მიზნისა. მიუხედავად ამისა, ჩვენ არისტოტელეს იმიტომ მოვუხმეთ, რომ მიგვაჩნია მიზეზის ცნება უნივერსალურ კატეგორიად ეკონომიკური პროცესების ანალიზისას. ვაი, იმ ბროკერს, რომელიც საკუთარი მოგების ან ზარალის მიზეზებს არ შეისწავლის და არ გააანალიზებს.

მიზეზის უნივერსალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ იგი უკავშირდება ძალისა და აუცილებლობის იდეას. ბროკერს თუ არ გააჩნია ძალა იმუშაოს ბირჟაზე, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია მის შესახებ, უბრალოდ, ის ბროკერი ვერ იქნება. გარდა ამისა, ძალისხმევა უნდა გამომდინარეობდეს რაღაც აუცილებლობიდან. თუ მოგების, ან მინიმუმ კუთვნილი გასამრჯელოს მიღება არ სურს ბროკერს, ის ბირჟაზე არ წავა და მთელ თავის უნარებს არ გამოიყენებს.

ამგვარად, ძალა ადამიანების მახასიათებელია, ხოლო აუცილებლობა - მოვლენების, მათი ,,შეერთება" განაპირობებს შედეგს. შესაბამისად, ძალა და აუცილებლობა ერთიანობაში წარმოადგენს რაიმეს მიზეზს.

ფინანსური კრიზისის მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ფინანსური კაპიტალი ერთი ან რამდენიმე ოლიგარქისა, რომლებიც ქმნიან კლიმატს მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე. სახელმწიფო უფრო ნაკლებ კაპიტალს ფლობს. დოლარის მოჭრაც კი ოლიგარქების მიერ შექმნილ კერძო ორგანიზაციაში ხდება: მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინანსური მაგნატი აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკია, რომელიც კერძოა და მორგანების კლანის საკუთრებას წარმოადგენს. ფედერალურ ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება, დაბეჭდოს იმდენი ფული, რამდენსაც იგი ჩათვლის საჭიროდ და კრედიტის სახით მისცეს აშშ-ის ხელისუფლებას. მსოფლიო კრიზისები თავისუფალი ბაზრის ქვეყნებისათვის უცხო არ არის. სამომხმარებლო საზოგადოება, ,,ეკონომიკური ადამიანი" არ გამოირჩევიან საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით. ისინი საბაზრო სივრცეში ქმნიან თამაშის წესებს, რომლის მსხვერპლნიც შემდგომში თავადვე ხდებიან. სახელმწიფო უძლურია მოაწესრიგოს ფინანსური ან რომელიმე სახელმწიფოებრივი კრიზისი, რომელსაც იწვევენ ფინანსური ოლიგარქები, რადგან სახელმწიფო მმართველობის სადავეებიც მათ ხელშია. ოლიგარქები აკონტროლებენ სახელმწიფოს პოლიტიკას. 1910 წ. ატლანტის ოკეანის პატარა კუნძულ ჯეკილზე შეიკრიბნენ მსოფლიოს უმსხვილესი და უმდიდრესი ფინანსური კლანების წარმომადგენლები: როტშილდები, როკფელერები, გოლდმანები, ზაგ-

სები, კუნები, მორგანები და სხვ. შეხვედრას ხელმძღვანელობდა გერმანელი ბანკირი - პოლ ვარბურგი. 1913 წლის 23 დეკემბერს დამტკიცდა პროექტი - ფულის მოჭრის კერძო ორგანიზაციის დაარსებაზე და ეწოდა - ,,ფედერალური სარეზერვო სისტემა" (ფსს აღიქმება ,,წამყვანი" სახელმწიფო-ების წრეში შესვლის სიმბოლოდ). ამ კანონს ხელი პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა მოაწერა. ფედერალური სარეზერვო სისტემის შტაბბინა ნიუიორკშია, სადაც ამერიკის კაპიტალის უმთავრესი წილია თავმოყრილი. პოლ ვარბურგი გახდა ,,ნიუიორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის" პირველი პრეზიდენტი. ,,თუკი ცენტრალური ბანკი კერძო სტრუქტურას წარმოადგენს, მაშინ მას შესაძლებლობა აქვს ინფლაციური პროცესები წარმოშვას არა მარტო სახელმწიფოს დაკვეთით, არამედ საკუთარი მოგების გადიდების მიზნითაც" . (ჯონ კენედი შეეცადა გარკვეულ ჩარჩოებში მოექცია ფეედერალური სარეზერვო სისტემა. მან გადაწყვიტა ამერიკის ხელისუფლებისათვის დაებრუნებინა ფულის ბეჭდვის უფლება, მაგრამ ეს იდეა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა).

ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ციკლური ეკონომიკური კრიზისების ,,სამშობლო" ყოველთვის რომელიმე განვითარებული ქვეყანა იყო. რატომ? იმიტომ, რომ იქ შემოსავალი და ცხოვრების დონე მაღალია, ხოლო ცხოვრე-ბის სტანდარტს შეადგენს ყოველი მოცემული მომენტისთვის არსებულ სიკე-თეთა გარკვეული რაოდენობა. განვითარებული ქვეყნების მაღალშემოსავ-ლიანი მომხმარებლისათვის, ცხადია, უფრო ადვილი მისაღწევია ეს სტანდა-რტი, იმ დროს, როდესაც დაბალშემოსავლიანები გამუდმებით განიცდიან იმ სიკეთეთა მწვავე დეფიციტს, რომელი სიკეთეებიც ბაზარზე გამოდის. ომის შემდგომი ექვსი ათეული წლის მანძილზე განვითარებული ქვეყნების მაღალშემოსავლიანი მომხმარებლის თვალშიც საქონელთა არსებული სახეობები ნაკლებად უფასურდებოდა ამ სახეობათა გამრავალფეროვნების გამო და, ამან შეასრულა მნიშვნელოვანი როლი იმაში, რომ ამ ექვს ათწლეულში ვერ იპოვი ,,დიდი დეპრესიის" მსგავსს ან თუნდაც მასთან მიახლოებული ძალის კრიზისს".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაკობიძე დ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, მეთოდოლოგიური წიაღსვლები და ქართული სინამდვილე. სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა ,,უნივერსალი" თბ., 2009.
2. იაკობიძე დ. გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე, ,,ინოვაცია'', თბ., 2011.
3. იაკობიძე დ. საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თბ., 2009.
4. ნანუაშვილი გ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები ჟურნ. ,,ბიზნეს-ინჟინერინგი" №1 თბ., 2013.
5. გველესიანი მ. ჯ. კეინსის თეორიის შუქჩრდილები და ეკონომიკური კრიზისის ტექნოლოგიური, მიკრო და მაკროეკონომიკური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ასპექტები. ჟურნ. ,,ბიზნეს-ინჟინერინგი" № 1. 2011.

საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები

ხათუნა ხარხელაური, სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

Summary

Decisions related to the attachment of financial resources - one of the most important stages of any company. Therefore, for the effective use of funds involved and maximize the benefits of investments - to maximize the return on your investment - a careful analysis of the cash flows associated with the project.

There are several methods to assess the attractiveness of the investment project and a few basic criteria for the selection of a project. At the heart of each method is an important principle, according to which the result of the project company must make a profit (should increase equity). At the same time various financial indicators characterize the project from different angles, in accordance with the interests of various stakeholders associated with the company (such as lenders, investors, management).

* * * * * *

ინვესტორის ანუ კაპიტალის მფლობელისთვის, ინვესტიციების არსი მდგომარეობს "დღეს" მოგებაზე უარის თქმაში "ხვალ" უფრო მეტი მოგების მიღების სანაცვლოდ. შესაბამისად, კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდების გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ისეთი ინფორმაციის ფლობა, რომელიც ამა თუ იმ დონეზე ამტკიცებს ორ ძირითად მოთხოვნას:

1) დაბანდებული კაპიტალი მთლიანად უნდა იქნას ამოღებული;

2) ამ ოპერაციის შედგად მიღებულმა მოგებამ უნდა აანაზღაუროს სახსრების დროებით გამოუყენებლობა, ასევე ის რისკი, რომელიც წარმოიქმნება საბოლო ოშედეგის გაურკვევლობის გამო.

ინვესტიციის შეფასების კრიტერიუმები

საინვესტიციო პროექტის შეფასება მდგომარეობს, მოცემული პროექტის ინვესტირების (ან მასზე უარის თქმის) გადაწყვეტილების მისაღებად, ინვსტორისათვის ინფორმაციის მიწოდებაში. საინვესტიციო პროექტების შეფასების არსებულ მრავალრიცხივან კრიტერიუმებს შორის განვიხილავთ ორ ძირითადს: ფინანსურს და ეკონომიკურს. შეფასების ეს ორი მეთოდი ურთიერთშემავსებელია.

ᵭფინანსური შეფასება მდგომარეობს პროექტის რეალიზების პროცესში მისი ლიკვიდობის ან გადახდისუნარიანობის ანალიზში, სხვაგვარად, პროექტის იმ ფინანსური კოეფიციენტების ანალიზში, რომლებიც მიიღება მოგების, ფულადი სახსრების მიმოქცევის ანგარიშებიდან და მთლიანად ბალანსიდან. ᵭპროექტის ეკონომიკურ შფასებაში მთავარია მისი პოტენციური შესაძლებლობა შეინარჩუნოს ჩადებული სახსრების მსყიდველობითი ფასეულობა და უზრუნველყოს მათი ზრდის საკმარისი ტემპი. ინვესტიციების ეკონომიკური შეფასებისათვის გამოიყენება სტატიკური და დინამიკური (დისკონტირების) მეთოდები.

შეფასების სტატიკური მეთოდები

ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სტატიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს, გამოსყიდვის (თვითანაზღაურების) ვადის მაჩვენებელი (Payback Period – PP) – უკუგების პერიოდი. გამოსყიდვის ვადაში იგულისხმება პერიოდი პროექტის რეალიზების დაწყებიდან იმ მომენტამდე, როდესაც, ობიექტის ექსპლუატაციით მიღებული შემოსავალი გაუტოლდება საწის ინვესტიციას (კაპიტაურ და ექსპლუატაციის ხარჯებს).

Aამ მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს იმ ვადის განსაზღვრაში, როდესაც ინვესტორი შესძლებს დაბანდებული კაპიტალის ამოღებას. იგი განსაკუთებით მნიშვნელოვანია მყიფე ფინანსური სისტემის მქონე ქვეყნებში მდებარე ან მოწინავე ტექნოლოგიების სფეროს ბიზნესსში ფულის დაბანდებისას, სადაც პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი მცირეა და სწრაფი მოძველება ნორმაა, რაც თავისმხრივ საინვესტიციო ხარჯების ამოღებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საერთო ფორმულა, რომლითაც ითვლება ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა შემდეგი სახისაა:

$$\boldsymbol{P} = \min, n \text{, რომლის დროსაც } \sum_{t=0}^{n} \boldsymbol{Є}_{t} \geq I_0$$

, სადაც

n-არის პერიოდების (წლების) ოდენობა;

CF_t არის t-პერიოდის (წლების) განმავლობაში გენერირებული ფულადი ნაკადი

I_{0-} საწყისი ინვესტიციის ოდენობა.

ცხრილი1: უკუგების პერიოდის (Payback Period – PP) მაჩვენებლის გამოთვლა

მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში მაჩვენებლის მნიშვნელობა (წლებისმიხედვით)								
	0	1	2	3	4	5	6	7	8
წლიური წმინდა შემოსავალი	-160	20	20	30	50	70	90	100	100
აკუმულირებული ფულადი ნაკადის სალდო	-160	-140	-120	-90	-40	30	120	220	320
					"–"	"+"			

როგორც ცხრილიდან ჩანს, საწყისი 160 ათასი ლარის ინვსტიციის ამოღებისათვის საჭიროა ოთხ წელზე მეტი და ხუთ წელზე ნაკლები. ფრო ზუსტი გაანგარიშებისათვის კი

$$P = \Delta I / P + P_n$$, სადაც

P_n – არის პროექტის რეალიზაციიდან საპროექტო სიმძლავრეზე გასვლის პერიოდი,

$\Delta I / P$ -კი, ამ პერიოდისთვის აკუმულირებული ფულადი ნაკადის სალდოს შეფარდება საშუალო წლიურ შემოსავალთან.

ისეთი პროექტებისთვის, რომლებსაც აქვთ მუდმივი, რეგულარული შემოსავალი დროის ერთსადაიმავე ინტერვალში (მაგალითად ერთთიდაიგივე ოდენობის წლიურიშემოსავალი) შესაძლოა გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

$$P = I_o / p$$, სადაც

I_o –არის ინვესტიცის საწყისი ოდენობა (საინვესტიციო ხარჯები);

P-რეგულარული წლიური შემოსავალი.

იმისდამიხედვით, თუ ინვესტორისთვის რა პერიუდია ხელსაყრელი უკუგების მისაღებად გადაწყვეტს პროექტში ინვესტიციას განახორციელების თუ არა.

ინვესტიციების ფინანსური ანალიზის მეორე სტატიკურ მაჩვენებელს წარმოადგნს ინვესტიციების ეფექტიანობის ინდექსი (Account Rate of Return – ARR).

$$ARR = \frac{PN}{\frac{1}{2}(I_o - R_V)}$$, სადაც

PN- არის მოცემულპროექტიდან მიღებული საშუალო წლიური შემოსავლი

Io-საწყისი ინვესტიციის სიდიდე

R_V-საწყისი ინვესტიციის სალიკვიდაციო ღირებულება.

ეს თანაფარდობა არსებითად წარმოადგენს ავანსირებული კაპიტალის რენტაბელობის კოეფიცენტის კერძო შემთხვევას. შტატიკური მაჩვენებლების უპირატესობას წარმოადგენს გაანგარიშების სიმარტივე. Iგი გასაგებია ყველადონის მენეჯერისთვის დად ა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ჯამობრივ მაჩვენებელს- რამდნად სწრაფად იქნება ანაზღაურებულისაწყისი დანახარჯები.

შეფასების დინამიკური მეთოდები

თითოეული საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს კრიტერიუმებს, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ პრინციპებს. კერძოდ გათვალისწინებულუდა იქნას: ფულის ღირებულება დროში, პროექტის ალტერნატიული ხარჯების არსებობა, პროექტის პარამეტრებში შესაძლო ცვლილებები, ინფლაციის გავლენა, საინვესტიციო რისკიების განსაზღვრა.

წმინდა დისკონტირეული შემოსავლის გამოყენება (წმინდა მიმდინარე ღირებულება- Net Present Value – NPV) ითვალისწინებს სამი ეტაპის თანმიმდევრულ შესრულებას:

1. საინვესტიციო პროექტის ფულადი ნაკადის გაანგარიშება;
2. დისკონტირების განაკვეთის შერჩევა, რომელიც ითვალისწინებს ალტერნატიული დაბანდების მომგებიანობასა და პროექტის რისკს;
3. წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლა.

წმინდა მიმდინარე ღირებულება გამოითვლება ფორმულით:

$$NPV = -I_o + \sum_{t=1}^{n} C_t (1+r)^{-t}$$, სადაც

I_o –არისსაწყისი ინვესტიციის ოდენობა;

C_t- საინვესტიციო პროექტის რალიზაციიდან მიღებულიფულადი ნაკადი, t პერიოდის (წლის) განმავლობაში;

r- დისკონტირების განაკვეთი;

თუ NPV- წმინდა მიმდინარე (დისკონტირებული) ღირებულება მეტია ნულზე, პროექტი მისაღებია. თუ ნაკლებია ნულზე მაშინ ზარალიანია. რამოდენიმე პროექტიდან ის პროექტია მისაღები, რომლის NPV მაჩვენებელიც მეტია.

საინვესტიციო პროექტის შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებულიქნას ინვესტიციების რენტაბელობის (მომგებიანობის) ინდექსი (Profitability Index – PI), რომელიც განიხილება, როგორც დამოკიდებულება შემომავალ და გამავალ ფულად ნაკადებს შორის (საწყის ინვესტიციის ჩათვლით) :

$$P = \sum_{t=1}^{n} C_t (1+r)^{-t} / I_o$$.

თუ ინვესტიციების რენტაბელობის ინდექსი-ერთზე მეტია, პროექტი მისაღებია. თუ ერთზენაკლებია პროექტი მიუღებელია. თუ ერთის ტოილ აღმოჩნდა არცმოგება მიიღება და არც ზარალი.

საინვესტიციო პროექტების შეფასების კიდევ ერთი მეთოდია ინვესტიციების რენტაბელობის შიდა ნორმა- Internal Rate of Return – IRR. დისკონტირების კოეფიციენტის იმ მნიშვნელობას, როცა ინვესტიციის წმინდა დისკონტირებული ღირებულება ნულის ტოლია, ინვესტიციების რენტაბელობის შიდა ნორმას უწოდებენ. იგი გვიჩვენებს ხარჯების დასაშვებ მაქსიმალურ დონეს, რომელიც შეიძლება მოცემულ პროექტზე გაიწიოს. მაგალითად თუ საწარმო პროექტს მთლიანად ბანკის სესხით დააფინანსებს, მაშინ, უკუგების შიდა ნორმა წარმოადგენს საბანკო კრედიტის

საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ზღვარს, რომლის გადაჭარბება პროექტს წამგებიანად გადააქცევს.

IRR = i, რომლის დროსაც

NPV = f (i)= 0.

IRR- შესაძლოა შემდეგი ფორმულით გამოვითვალოთ:

$$IRR = A + \frac{N}{N_a - N_b} \times (B - A),$$ სადაც

A-არის დისკონტირების დაბალი საპროცენტო განაკვეთი;

B-არის დისკონტირების მაღალი საპროცენტო-განაკვეთი;

N_{A-} არის წმინდა დისკონტირებული ღირებულება A საპროცენტო განაკვეთის დროს;

N_B- არის წმინდა დისკონტირებული ღირებულება B საპროცენტო განაკვეთის დროს;

საწარმოები თავის საქმიანობაში დაბანდებული სახსრებისათვის იხდიან დივიდენდებს, პროცენტებს და ა.შ. ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებისათვის გარკვეულ ხარჯებს ეწევიან. მაჩვენებელს რომელიც ახასიათებს ამ ხარჯების ფარდობის დონეს,უწოდებენ ავანსირებული ღირებულების ანუ კაპიტალის "ფასს". (capital cost-CC) და გამოიანგარიშება , როგორც საშუალო შეწონილი სიდიდე:

$$C = \frac{\text{პროდუქციის თვითღირებულება}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}} \times 100$$

მიღებული პროცენტი მეწარმის მიერ აიღება დისკონტირების საპროცენტო განაკვეთად.

მომსახურების სფეროში იგი გამოითვლება საოპერაციო ხარჯების მიხედვით. თუ ინვესტიციების შიდა განაკვეთი მეტია კაპიტალის ფასზე, პროექტი მიუღებელია.

წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას (NPV), ინვესტიციების რენტაბელობის შიდა ნორმას (IRR), რენტაბელობის ინდექსს (PI) და კაპიტალის ფასს (CC) შორის შემდეგი ურთიერთკავშირი არსებობს:

თუ NPV0, მაშინ IRR და PI1; პროექტი მისაღებია;

თუ, NPV0, მაშინ IRR და PI1; პროექტი მიუღებელია;

თუ, NPV0, მაშინ IRR და PI1; პროექტი მიუღებელია, არც მოგებას იძლევა და არც ზარალს.

დისკონტირებული უკუგების (Discounted Payback Period – DPP) გამოთვლის დროს აღმოიფხვრება ინვესტიციის გამოსყიდვის ვადის სტატიკური მაჩვენებლის ზოგიერთი ნაკლოვანება. კერძოდ მასში გათვალისწინებულია ფულის ღირებულება დროში. ფულად ნაკადებს დისკონტირებას ვუკეთებთ დადგენილი უკუგების ნორმით და უკუგების პერიოდის მეთოდს ვიყენებთ უკვე დისკონტირებულ ნაკადებზე. საერთო ფორმულა გამოსყიდვის დიკონტირებული ვადის გამოსათვლელად ასეთია:

$$DPP = \sum_{t=1}^{n} \frac{CF_t}{(1+r)^t} I_o,$$ სადაც

n- არის პერიოდის ოდენობა;

CF_t-ფულადი საშუალებების ნაკადი;

r-დისკონტირების კოეფიციენტი

I_o- საწყისი ინვესტირების ოდნობა.

თუ დიკონტირებული გამოსყიდვის ვადაგაიზრდება, მაშინ ყოველთვის DPP.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ყველაზე რეალური დასკვნა წმინდა დისკონტირებული ღირებულების მეთოდის გამოყენებით მიიღება. იგი აჩვენებს მისაღები პროექტის დროს, კაპიტალის ზრდის მოსალოდნელ შეფასებას და სრულად პასუხობს მმართველი პერსონალის ძირითად მიზანს: ამაღლდეს საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი. თუმცა არანაკლებ სასარგებლოა კაპიტალის უკუგების პერიოდის გაანგარიშების მეთოდის გამოყენება წმინდა დისკონტირებული ღირებულების მეთოდის გამოყენბასთან ერთად, როცა ნაღდი ფულის ნაკდები წინასწარ დისკონტირებულია და მხოლოდ ამის შემდეგ გამოითვლება უკუგების პერიოდი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. სიჭინავა "ინვესტიციები" თბ.2010
2. ი.ჭილაძე – "ფინასური ანალიზი"
3. Методика оценки инвестиционных проектов-Под общей редакцией академика РАЕН, д.э.н. Г.Б. Клейнера. Москва, «КОНСЭКО»,1998

შუქდიოდური სანათები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქუჩის განათებისათვის

თენგიზ მუსელიანი, *სტუ-ს პროფესორი*
გიორგი მთვარელიშვილი, *სტუ-ს პროფესორი*
ირმა ქათამაძე, *სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს შუქდიოდური ტექნოლოგიების გამოყენება ქუჩის განათებაში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და განვითარებადი მიმართულებაა.

როგორც ქ.გორის ერთ უბანში განხორციელებელმა ღონისძიებამ აჩვენა, რომ 57 ცალი რკალურ ნატრიუმიანი ნათურის შეცვლამ ეკვივალენტური სინათლის ნაკადის მქონე შუქდიოდური სანათით 4,2-ჯერ შეამცირა მოხმარებული სიმძლავრე და შესაბამისად მოხმარებული ელექტროენერგია.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების განვითარება. ენერგოდამზოგი ღონისძიებების გატარების გზაზე, ერთ-ერთ ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ელექტროენერგიის მოხმარების მუდმივი ზრდა. წარმოების მოცულობის გაზრდა და ქალაქების მუდმივი განვითარება საჭიროებს მოიძებნოს ელექტროენერგიის მოხმარების შემცირების გზები. თუ ამ საკითხს ყურადღება არ მიექცევა, ის მნიშვნელოვნად შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლის ჰიდროელექტროსადგურებში წარმოებული ელექტროენერგია საკმარისი არ არის ქვეყნის ელექტრომომარაგებისთვის. ხოლო თბოელექტროსადგურებისთვის საჭირო საწვავი საბაზრო ფასებით შემოაქვს საზღვარგარეთიდან. ამიტომ მოცემულ ეტაპზე ენერგოდაზოგვის პრობლემა მეტად აქტუალურია ენერგეტიკისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, რადგან დაზოგილი ენერგია ბევრად იაფია ახლად მოპოვებულზე.

ელექტროენერგიის მოხმარების შემცირების მიზნით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს შუქდიოდური ტექნოლოგიების გამოყენება ქუჩის განათებაში. ის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და განვითარებადი მიმართულებაა ელექტროეფექტურობის თვალსაზრისით.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებას საქართველოში უდიდესი ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ამიტომ უპირველესად უნდა მოხდეს ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების, კერძოდ შუქდიოდური სანათების დანერგვა განათებაში.

გარე განათების დანადგარები ქალაქისა და დასახლებული პუნქტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ისინი ბევრად უზრუნველყოფენ ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოებას, ქუჩებისა და მოედნების სივრცეში ადამიანების მხედველობით ორიენტაციას, ასევე ღამის საათებში დასახლებული პუნქტის გარეგნულ სახეს.

დღეისათვის განათების სისტემაში ელექტრონიკის თანამედროვე მიღწევების შემოსვლამ ხელი შეუწყო ელექტრული ენერგიის დაზოგვის შესაძლებლობის განვითარებას და უფრო მაღალეფექტური სინათლის წყაროების დანერგვას.

ასეთ მოთხოვნებს მაქსიმალურად შეესაბამებიან შუქდიოდური სანათები. ამის შესაძლებლობას იძლევა მისი უპირატესობები ვარვარა და ეკონომნათურებთან შედარებით, კერძოდ: მუშაობის დიდი ხანგრძლივობის ვადა, მომწამლავი მდგენელების არქონა, დაბალი მოხმარებული სიმძლავრე და ა. შ

განათების შუქდიოდურმა ტექნოლოგიებმა, ელექტროენერგიის ეფექტურად ხარჯვისა და კონსტრუქციის სიმარტივით, ფართო გამოყენება ჰპოვეს სანათებში, პროჟექტორებში, შუქდიოდურ ლენტებში, დეკორატიულ შუქტექნიკასა და განსაკუთრებით კომპაქტურ სანათ ხელსაწყოებში.

თანამედროვე შუქდიოდების სინათლის გაცემა მჭიდროდ მიუახლოვდა 100-150 ლმ/ვტ ნიშნულს, რაც საშუალებას იძლევა კონკურენცია გაუწიოს ისეთ მოწინავე სინათლის წყაროებს, როგორებიცაა კომპაქტური ლუმინესცენციური და რკალური ნატრიუმიანი ნათურები.

სინათლის შუქდიოდური სანათების დანერგვა ქალაქის ქუჩის განათებაში ხელს უწყობს ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას, ენერგორესურსებისა და ფულადი სახსრების ეკონომიურობას.

გარე განათებაში შუქდიოდების ნორმალური მუშაობისთვის საჭიროა წინასწარი ელექტრომაგნიტური თავსებადობის გაანგარიშება მთელი ჰარმონიული მწკრივის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მკვებავი ქსელის არასინუსოიდურობის მაჩვენებლები.

შუქდიოდური სანათების ბაზაზე გარე განათების სრულ მოდერნიზაციას, საქართველოში, პირველად შეუდგა ქ. გორის მუნიციპალიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული ენერგეტიკული დანადგარების ტექნიკური დიაგნოსტიკისა და ენერგოეფექტურობის სამეცნიერო ცენტრთან ერთად. სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორ თ.მუსელიანისა და დოქტორანტების ი.ქათამაძისა და მ.ბახტაძის მიერ ჩატარებული იქნა ქ. გორის გარე განათების არსებული და შემცვლელი

შუქდიოდური სანათების ტექნიკურ-ეკონომიური შედარების სამუშაოები, რომლის შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 1-ში.

№	არსებული სანათები				შემცვლელი შუქდიოდური სანათები				
	სანათის ტიპი	რაოდ-ება	სიმ-ძლავ-რე, ვტ	ჯამური სიმ-ძლავრე, კვტ	სანა-თის ტიპი	რა-ოდ-ება	სიმ-ძლავ-რე, ვტ	ჯამ-ური სიმძ-ლავრე, კვტ	სინა-თლის ნა-კადი, ლმ
ქუჩის განათება									
1	ეკო 65	1002	65	65,13	OCR26	1118	26	29,07	3100
2	ეკო 75	1073	75	80,48	OCR36	1073	36	38,63	4000
3	**ДНаТ-70**	44	84	3,7	OCR54	59	54	3,78	6600
4	**ДРЛ -125**	10	140	1,4					
5	**ДНаТ-150**	269	170	45,73	OCR96	651	96	62,5	10200
6	**ДНаТ-250**	1234	290	357,86	OCR96	371	96	35,62	10200
7	**ДНаТ-250**				OCR130	348	130	45,24	13800
8	**ДНаТ-250**				OCR215	12	215	2,58	25800
	სულ ქუჩის განათება	3632		554,3		3632		217,42	
შენობების მინათება									
1	ეკო -36	32	36	1,152	OCR26	32	26	0,83	3100
2	**ДНаТ-70**	92	84	7,728	OCR54	92	54	4,97	5700
3	**ДНаТ-150**	489	170	83,13	OCR80	489	80	39,12	8700
4	**ДРЛ** -400	103	450	46,35	OCR110	103	110	11,33	12400
5	**ДРВ**-500	14	510	7,14	OCR75	14	75	1,05	8700
	სულ მი-ნათება	730		145,5		730		57,30	
	სულ	4362		699,8		4362		274,72	

როგორც ცხრილი1-დან ჩანს, ქუჩის განათებისთვის და შენობა-ნაგებობების მინათებისთვის მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრე 699,8 კვტ-დან შემცირდა 274,72 კვტ-მდე, ანუ 61%-ით. შესაბამისად მოხმარებული აქტიური ენერგიაც მცირდება 61%-ით. შუქდიოდური სანათების გამოყენებისას სიმძლავრის შემცირებასთან ერთად მცირდება დატვირთვის დანაკარგები ტრანსფორმატორებსა და გადამცემ ხაზებში.

გარდა ზემოთმოყვანილი შუქტექნიკური მონაცემებისა განათების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ პარამეტრს, როგორიცაა სინათლის ძალის განაწილების მრუდი. სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით ავტომაგისტრალებისა და ქუჩებისთვის, კატეგორიების მიხედვით გამოიყენება Л (ნახევრად ფართო) ან Ш (ფართო) ტიპის სინათლის ძალის განაწილების მრუდები.. აღნიშნული სინათლის ძალის განაწილების მრუდის მქონე სანათები უზრუნველყოფენ ქუჩის თანაბარ განათებას. სინათლის ნაკადის განაწილების მიხედვით სანათები იყოფა ხუთ ჯგუფად [1]. ქუჩის განათებისთვის, სტანდარტით, გამოიყენება П ტიპის სანათები, რომელთა მიერ გამოსხივებული სინათლის 80% მიმართულია ქვედა ნახევარსფეროსკენ, რითაც ღამის განათება ხელს არ შეუშლის მაცხოვრებლებს.

ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით შეირჩა შუქდიოდური სანათების ძირითადი პარამეტრები და მახასიათებლები.

ჩატარდა ეკონომიური გაანგარიშება. წელიწადში შუქდიოდური სანათების ჩართვის ხანგრძლივობად ითვლება τC.x = 8760/2 = 4380 სთ. დროის ამ პერიოდში მოხდა არსებული და მისი შემცვლელი შუქდიოდური სანათების მიერ წლიურად მოხმარებული ელექტროენერგიის გაანგარიშება. მოხმარებულ ელექტროენერგიას უნდა დაემატოს დანაკარგები ტრანსფორმატორსა და გადამცემ ხაზებში დაახლოებით 3%. არსებული სანათების მიერ წლიურად მოხმარებული ელექტროენერგია დანაკარგების ჩათვლით ტოლი იქნება, W1‘ = 3 065 124 X 1,03 = 3 157 078 კვტ.სთ. ხოლო, შუქდიოდური სანათებისთვის W2 = 274,72 X 4380 = 1 203 274 კვტ.სთ. დაზოგილი წლიური ელექტროენერგია იქნება ΔW = W1‘-W2 = 3 157 078 - 1 239 372 = 1 917 706 კვტ.სთ. თანხით 1 917 706 X 0,16 = 306 833 ლარი.

გარე განათების მართვის ავტომატიზირებული სისტემის (გეგმის) დანერგვის, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის მონაცემების საფუძველზე, მიღებულია ქ. გორის ქუჩის განათების მოდერნიზაციის ხარჯი, რომელიც შეადგენს 1 333 423 ლარს. იმ შემთხვევისთვის, როდესაც შუქდიოდური სანათები მოიხმარენ მაქსიმალურ სიმძლავრეს, აღნიშნული ხარჯი ანაზღაურდება 4,3 წელიწადში 1 333 423 / 306833 = 4,3 წ. მაგრამ მოდერნიზაციაში გათვალისწინებულია ქუჩის განათების ავტომატიზირებული სისტემის შექმნა, რომლის დანიშნულებაა ქუჩის განათების ქსელების ენერგოეფექტიანი მართვა, რაც უზრუნველყოფს მოთხოვნილი სიმძლავრისა და შესაბამისად მოხმარებული ელექტროენერგიის კიდევ უფრო შემცირებას. ამიტომ, გაწეული ხარჯი ანაზღაურდება დაახლოებით 2,5-3 წელიწადში. თუ გავითვალისწინებთ, რომ შუქდიოდური სანათების მუშაობის ხანგრძლივობაა 70 000 სთ, ხოლო საშუალოდ განათებისთვის გათვალისწინებულია 4380სთ, დარჩენილ 13 წელში (70 000/4380 -3=16-3 = 13) დაზოგილი ელექტროენერგია იქნება 1 917 706 X 13 = 24 930 178 კვტ.სთ. ანუ დღევანდელი ტარიფით 3 988 828 ლარი.

გასათვალისწინებელია სანათების გამოცვლის საექსპლოატაციო ხარჯები.

არსებული სანათების შეცვლის საჭიროებაა τ1= τ C.x./15000 = 4380/15000 = 0,29 -ჯერ წელიწადში (15000 არსებული სანათების მუშაობის ხანგრძლივობა სთ-ში); შუქდიოდური სანათების შეცვლის საჭიროება არის τ2= τ C.x./80000=4380/80000 = 0,055 -ჯერ წელიწადში (80 000 შუქდიოდური სანათების მუშაობის ხანგრძლივობა). შესაბამისად, საექსპლუატაციო ხარჯები მცირდება 0, 29/0,055=5,3-ჯერ [2].

ამასთან, შუქდიოდური სანათები არ შეიცავენ მომწამლავ ნივთიერებებს და არ საჭიროებენ უტი-

ლიზაციისთვის დამატებით ხარჯებს.

ქ. გორში ელექტროფიკაციის დასახლებაში მოეწყო ქუჩის განათება შუქდიოდური სანათებით. სულ დამონტაჟდა 57 სანათი, თითოეული 36 ვტ სიმძლავრის. მთლიანი დადგმული სიმძლავრე 2,05 კვტ. იგივე განათებულობის პირობებში, მოდერნიზაციამდე დაყენებული იყო 150 ვტ სიმძლავრის 57 ნათურა, საერთო სიმძლავრით 8,55 კვტ, ანუ მოთხოვნილი სიმძლავრე შემცირდა 4,2 -ჯერ.

ამრიგად ქ.გორის ქუჩების არსებული სანათების შეცვლამ შუქდიოდური სანათებით მნიშვნელოვნად შეამცირა მოხმარებულ ელექტროენერგია.

დღეისათვის მსოფლიოში განათებაზე მოდის მთელი მოხმარებული ელექტროენერგიის დაახლოებით 19 %. 2016 წლისთვის, გათვალისწინებულია, რომ განათების დაახლოებით 15% იქნება შუქდიოდური, რაც ელექტროენერგიის მოხმარებას შეამცირებს 20%-ით .

ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებას მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც უდიდესი ეკონომიური და ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს. შუქდიოდურ სანათებზე გადასვლა და მათი გამოყენება გარე განათებაში შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოების ამაღლებაში შეტანილ წვლილად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. СНиП 23-05-95 “Естественное и искусственное освещение”.

გადასახადების რეგულირების მოქმედი მექანიზმები გერმანიაში

მალხაზ სულაშვილი, *სტუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი*
სალომე ჯაფარიძე, *სტუ-ს დოქტორანტი*
ბელა ხოტენაშვილი, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები ბიუჯეტის შევსების ფისკალური ფუნქციის გარდა წარმატებით ახორციელებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ ფუნქციებს. საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემებში წამყვანი როლი საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს გააჩნიათ, თუმცა ადგილობრივი გადასახადების როლი და მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნებში აშკარად განსხვავებულია. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს, როგორც წესი, მიეკუთვნებიან პირდაპირი გადასახადები, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი კორპორაციათა შემოსავლებიდან.

გერმანიის საგადასახადო სამართალი მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი დოკუმენტია. იგი სავსეა შესწორებებით, განსაკუთრებული ინსტრუქციებით, გამონაკლისებით. არსებობს საგადასახადო შეღავათები, მაგალითად გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის, სპეციალური წესები კერძო მეწარმეებისათვის— ექიმებისათვის, ადვოკატებისათვის, მთარგმნელებისათვის, ჟურნალისტებისათვის, მხატვრებისათვის. საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ინვალიდები, დროებით დასაქმებული პირები.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო სისტემა, გადასახადის გადამხდელი, გადასახადები და დაბეგვრის მექანიზმები, დაბეგვრის ობიექტი.

Резюме

Налоговые системы развитых иностранных государств, кроме фискальной функции пополнения бюджета, успешно осуществляют функцию регулятора внешних экономических отношений, а также экономического и социального развития. Ведущую роль в налоговых системах развитых иностранных государств несут государственные налоги. Однако важность местных налогов в разных странах мира разная. К государственным налогамб как правило, относят прямые налоги, как например прибыльный налог и налог с прибыли корпораций.

Налоговое право Германии является одним из сложнейших докментов в мире, который полон инструкциями, исключчениями, налоговыми льготоами и так далее. Например в документе прописаны инструкции для непридвиденных расходов для индивидуальных предпринимателей – врачей, адвокатов, переводчиков, журналистов, художников. Налоговыми льготами пользуются ученики школ, студенты, инвалиды и лица имеющие временную работу.

Ключевые слова: налоговая система, налогоплательщик, налоги и механизм уплаты налогов, объект налогооблажения.

ძირითადი ნაწილი

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ საგადასახადო მექანიზმების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებაში, ასევე გავითვალისწინოთ ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში არსებული გადასახადებით დაბეგვრის გამოცდილება.

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები ყალიბდებოდნენ სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით. გადასახადების სახეებით, მათი სტრუქტურით, აკრეფის საშუალებებით, განაკვეთებით, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური უფლებამოსილებით, საგადასახადო ბაზით, გადასახადების მოქმედების სფეროთი, საგადასახადო შეღავათებით საგადასახადო სისტემები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების ორგანიზაციის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ცენტრალური ბიუჯეტისა და სხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლების მკვეთრი გამიჯვნა, რომელიც შეესაბამება ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის ფორმას. უნიტარულ სახელმწიფოებში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) არსებობს ბიუჯეტების ორი დონე: ცენტრალური და ადგილობრივი, რომლებსაც შეესაბამებიან საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეები. ფედერალურ სახელმწიფოებში (მაგ. გერმანია) ორგანიზებულია ბიუჯეტის სამი დონე და შესაბამისად საგადასახადო შენატანების სამი დონე – ფედერალური, რეგიონალური, ადგილობრივი.

თითქმის ყველა ქვეყანაში საგადასახადო სისტემის რეფორმის ძირითად მიმართულებად გვევლინება საშემოსავლო გადასახადისა და საწარმოთა მოგების გადასახადის სისტემების ლიბერალიზაცია. აღნიშნული განხორციელდა საგადასახადო ბაზის გაფართოებასთან

ერთად, საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო შეღავათების შემცირების გზით.

გერმანიაის საგადასახადო რეფორმის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ტვირთის შემცირება მოსახლეობისათვის, განსაკუთრებულად კი იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავდათ არასრულწლოვანი ბავშვები. 1986-88 წლებში გაიზარდა გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმი, შემცირდა საგადასახადო პროგრესია, გაფართოვდა დაბეგვრის პროპორცია, გაუქმდა მთელი რიგი საგადასახადო შეღავათები და სხვა. გერმანიის საგადასახადო რეფორმამ გარდაქმნა კორპორაციული გადასახადი შემდეგი პრინციპით: ,,სჯობს დაბალი განაკვეთები და ცოტა შეღავათები, ვიდრე მაღალი განაკვეთები და მრავალი შეღავათები''.

საგადასახადო რეჟიმების მიხედვით, მსოფლიო ქვეყნები შეიძლება დაიყოს სამი ტიპის სახელმწიფოებად. პირველ ჯგუფში ერთიანდება ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები, ისეთები როგორიცაა: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, აშშ, იაპონია, საფრანგეთი, სადაც მოგების გადასახადის განაკვეთი შეიძლება შეადგენდეს 40-50%-ს. ასეთი ტიპის ქვეყნებში, როგორც წესი, მაღალია მოგების გადასახადი სააქციო საზოგადოებებისა და მსხვილი სამრეწველო კომპანიებისათვის.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის ის ქვეყნები, სადაც მაქსიმალურად გაადვილებულია კომპანიათა რეგისტრაცია და შესაძლო მინიმალურ ზღვარზეა დასული მოგების გადასახადი-ასეთ ქვეყნებს უწოდებენ ,,საგადასახადო სამოთხეს". როგორც წესი, ეს ქვეყნებია პატარა, ჯუჯა სახელმწიფოები, ყოფილი კოლონიები და კუნძულები, როგორც ქვეყნები.

მესამე ჯგუფში გაერთიანებულია ისეთი იურისდიქციის ქვეყნები, სადაც, ერთის მხრივ, მაღალია საშემოსავლო გადასახადი და მკაცრი აუდიტორული რეგულაციებია, მაგრამ, მეორე მხრივ, მოქმედებს საგადასახადო შეღავათების სისტემა, რომელიც პირველ რიგში, ეხება ჰოლდინგური სახის კომპანიებს, ფინანსურ და სავაჭრო კომპანიებს. ასეთი ტიპის ქვეყნებში დაბალია შეღავათების საფუძველზე ქვეყნიდან გასატანი დივიდენდის გადასახადი, საბანკო საპროცენტო მომსახურების გადასახადი, როაილტისა და ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტებით მიღებული შემოსავლის გადასახადი და სხვა.

ომის შემდგომი გერმანიის ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია ცნობილი ეკონომისტისა და სახელმწიფო მოღვაწის, მეურნეობის ყოფილი მინისტრის, ხოლო შემდეგ გერმანიის კანცლერის პროფესორ ლუდვიგ ერჰარდის სახელთან. ლ. ერჰარდის დროიდან გერმანიაში დამკვიდრდა საგადასახადო სისტემის აგებულების მნიშვნელოვანი პრინციპები:

- გადასახადები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური;
- მინიმალური, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მინიმალურად საჭირო უნდა იყოს მათი აკრეფის ხარჯები;
- გადასახადები არ უნდა უქმნიდნენ წინააღმდეგობას კონკურენციას;
- გადასახადები უნდა შეესაბამებოდნენ სტრუქტურულ პოლიტიკას;
- გადასახადები მიმართული უნდა იყოს შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე;
- საგადასახადო სისტემა უნდა გამორიცხავდეს ორმაგ დაბეგვრას;
- გადასახადი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო მომსახურების მოცულობას, მათ შორის პიროვნების დაცვას და ყოველივე იმას, რაც მოქალაქეს შეუძლია მიიღოს სახელმწიფოსაგან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონში გადმოცემულია გერმანიის საგადასახადო სისტემის ძირითადი დებულებები. კონსტიტუციის თანახმად, ფედერაციის ბიუჯეტი ყალიბდება საბაჟო მოსაკრებლების, აქციზური მოსაკრებლების, სადაზღვევო მოსაკრებლების, კაპიტალის ბრუნვის გადასახადის, სავექსილო მოსაკრებელის ხარჯზე (ფედერალური გადასახადები).

ფედერალური მიწების ბიუჯეტები ყალიბდება ქონების გადასახადის, მემკვიდრეობის გადასახადის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადის, ლუდზე გადასახადის ხარჯზე (ფედერალური მიწების გადასახადები).

შემოსავლების ერთობლივ წყაროს (როგორც ფედერაციისათვის, ასევე ფედერალური მიწებისათვის) წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი კორპორაციების შემოსავლებიდან, დამატებული ღირებულების გადასახადი (ერთობლივი გადასახადები). მაგალითად, დღგ-ის შემოსავლების 56 პროცენტი ირიცხება ფედერაციის შემოსავალში, ხოლო დანარჩენი 44 პროცენტი – შესაბამისი ფედერალური მიწების შემოსავალში.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ეკუთვნით საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი წილი, სარეწაო გადასახადი და გადასახადი უძრავი ქონებიდან.

საკუთარი ქვეყნის საგადასახადო სისტემას გერმანელები იმ გოლიათს ადარებენ, რომელსაც სახელმწიფოს სოციალური გარანტიების ტვირთის ზიდვა შეუძლია. რაშია მისი სიჯანსაღისა და დღეგრძელობის საიდუმლო? ალბერტ ეინშტეინი თავის დროზე ამბობდა: "ძალიან რთულია საშემოსავლო გადასახადის არსს ჩაწვდე". მისი არსი ძალიან მარტივია: იშოვე ფული — უწილადე სახელმწიფოს.

გერმანიაში გადასახადები სამ შტოდ იყოფა: ბეგარა შემოსავლებიდან, ქონებიდან, მოხმარების საგნებიდან და საქმიანი გარიგებებიდან. პრაქტიკულად ყოველი გერმანელი ჩამოთვლილიდან ყველა ბეგარას იხდის: ხელფასის მიღებისას — საშემოსავლო გადასახადს, საკუთარ სახლში ცხოვრებისას — უძრავი ქონების ბეგარას, შენაძენებისგან — დამატებული ღირებულების გადასახადს.

სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, გერმანიის საგადასახადო სისტემა დიფერენცირებული დაბეგვრის სისტემას 14-45%-ის ფარგლებში გულისხმობს. ბეგარის განაკვეთი შემოსავლის ზრდასთან

ერთად პროგრესირებს. გერმანიის ეკონომიკაში საგადასახადო შემოსავლების უმეტესი წილი სწორედ საშემოსავლო გადასახადზე მოდის. გერმანიაში მუდმივად მცხოვრები და დასაქმებული უცხოელები ამ საშემოსავლო გადასახადს მხოლოდ ამ ქვეყანაში მიღებული შემოსავლებიდან იხდიან. ეს ბეგარა ჯერ კიდევ 1891 წელს დაწესდა.

გერმანიის საგადასახადო სისტემა შედგება 38 სახის გადასახადისაგან, რომელთა ხარჯზეც ფორმირდება მისი ყველა შემოსავლის 60-დან 80 პროცენტამდე. ამასთან, 54 პროცენტს შეადგენენ არაპირდაპირი გადასახადები (დღგ და აქციზი), ხოლო 46 პროცენტს პირდაპირი გადასახადები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადასახადებიდან უმრავლეს გადასახადს ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში არ გააჩნიათ პრინციპული მნიშვნელობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა გადასახადი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მსხვილი გადასახადები (მხოლოდ შვიდი გადასახადის სახე), რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების თითქმის 90 პროცენტს. კერძოდ, მათ მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, სარეწაო გადასახადი, კორპორაციათა გადასახადი, აქციზი ბენზინზე და თამბაქოს ნაწარმზე.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საშუალო გადასახადები, მაგალითად: მიწის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი და სხვა (სულ 13 სახე), რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების თითქმის 10 პროცენტს.

მესამე ჯგუფს მცირე გადასახადები შეადგენს (სულ 18 სახის, მ.შ. დარჩენილი შენატანები გაუქმებული გადასახადებიდან) და უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 0,4 პროცენტს (აქციზი ყავაზე, შაქარზე, მინერალურ ზეთებზე და სხვა).

პირდაპირი გადასახადების ძირითად სახეებს წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი კორპორაციების შემოსავლებიდან.

საშემოსავლო გადასახადი გერმანიაში პროგრესირებადია. მისი მაქსიმალური განაკვეთია 45 პროცენტი, ხოლო მინიმალური განაკვეთი – 14 პროცენტი. საკმაოდ მაღალი საგადასახადო განაკვეთია დაწესებული მათთვის, ვისაც დიდი შემოსავლები აქვს. ყველაზე დიდი, პროგრესირებადი საშემოსავლო გადასახადია, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც მეტს გამოიმუშავებს მოქალაქე, მით მეტი უნდა შეიტანოს სახელმწიფო ხაზინაში. 7834 ევროს ზევით შემოსავლის დასაბეგრი განაკვეთი 14%-ს უტოლდება, რომელიც სწრაფად იზრდება იმათთვის, რომლებიც წელიწადში 52552 ევროზე მეტს გამოიმუშავებს და იგი 42%-ს უტოლდება. წელიწადში 250 ათას ევროზე მეტი შემოსავლის შემთხვევაში საგადასახადო განაკვეთი 45%-ს აღწევს, რომელსაც გერმანიაში მდიდართა ბეგარას უწოდებენ. მოქმედებს ყოველთვიური დაუბეგრავი მინიმუმი (7834ლარის ფარგლებში). საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ფიზიკური პირის მიერ მიღებული ყველა სახის შემოსავლები, მ.შ. შემოსავლები დაქირავებული მუშაობიდან, თავისუფალი პროფესიების მიმდევარი პირების დამოუკიდებელი საქმიანობიდან, სამეწარმეო საქმიანობიდან ან სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობიდან, კაპიტალიდან, ქონების იჯარიდან ან გაქირავებიდან, აგრეთვე ყველა სხვა სახის შემოსავლები.

დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრის მიზნით შემოსავლებიდან გამოიქვითება ხარჯები. ამასთან, მხედველობაში მიიღება განსაკუთრებული ხარჯებიც, მაგალითად, ალიმენტის თანხები, სამედიცინო დაზღვევისა და სიცოცხლის დაზღვევის შენატანები, საეკლესიო გადასახადის თანხები, პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯები და ა.შ. საშემოსავლო (ხელფასიდან) გადასახადის დაკავება დაქირავებული მუშაკებიდან წარმოებს დამქირავებლის მიერ ხელფასის გაცემისას.

გადასახადი კაპიტალიდან შემოსავლებზე წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის ერთ-ერთ ფორმას და მისი გადამხდელები არიან ფიზიკური პირები, რომლებიც იღებენ შემოსავლებს დივიდენდებისა და პროცენტების სახით. დაბეგვრას ექვემდებარება დივიდენდის სახით მიღებული თანხები.

კორპორაციათა მოგების გადასახადი წარმოადგენს პირდაპირ გადასახადს დაბეგვრას დაქვემდებარებულ ფაქტიურად მიღებული მოგებიდან. ამ გადასახადის ხვედრითი წილი ბიუჯეტის საერთო შემოსავლებში 6 პროცენტს შეადგენს.

გერმანიაში კორპორაციული მოგების გადასახადის განაკვეთია 25 პროცენტი, რომელსაც ემატება სოლიდარობის გადასახადი 5,5% და მუნიციპალური სავაჭრო გადასახადი, რომელიც გაიანგარიშება დასაბეგრი შემოსავლიდან. თუ კორპორაციათა მოგების გადასახადს დავუმატებთ სოლიდარობის გადასახადს და მუნიციპალურ სავაჭრო გადასახადს 14-დან 17 პროცენტამდე, ფაქტიურად მოგების გადასახადი 2008 წლამდე შეადგენდა 38-40%-ს. 2008 წლის 1 იანვრიდან გათვალისწინებული იყო მოგების გადასახადის შემცირება 15%-მდე, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს კორპორაციათა მოგების დაბეგვრას 30-32%-ის ფარგლებში. (1990 წლამდე იყო 56 პროცენტი).

ამ ქვეყანაში კორპორაციები სპეციალური გადასახადებით იბეგრებიან. საინტერესოა ის, რომ თუკი კომპანიის მფლობელი რამდენიმეა, იგი წლიური მოგების 30%-ით იბეგრება. ერთი მფლობელის შემთხვევაში ეს ბეგარა 45%-მდე იზრდება.

სარეწაო გადასახადით იბეგრებიან საწარმოები, ამხანაგობები და ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სახის საქმიანობას. გადასახადი გამოიანგარიშება სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგებიდან და კომპანიის კაპიტალიდან გამომდინარე. გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება მუნიციპალური ორგანოების მიერ. მაგალითად, განაკვეთი შეიძლება შეადგენდეს მოგების 5 პროცენტს და ძირითადი ფონდების ღირებულების 0,2 პროცენტს. ამასთან, მოქმედებს ასევე დაუბეგრავი მინიმუმი.

მიწის გადასახადი წარმოადგენს გადასახადს უძრავ ქონებაზე. დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, აგრეთვე ამ მიწის ნაკვეთებზე გან-

ლაგებული შენობა-ნაგებობები. გადასახადის აკრეფას ახორციელებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

მიწის გადასახადის გადახდა არ არის დამოკიდებული გადასახადის გადამხდელის ფინანსურ შედეგებზე ან მის შემოსავლებზე.

მიწის გადასახადისაგან თავისუფლდებიან სახელმწიფო საწარმოები, ეკლესია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, საავადმყოფოები, ინტერნატები და ა.შ., აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო მიზნებისათვის.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სტიმულირების მიზნით, გერმანიაში ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებზე, პირველი ათი წლის განმავლობაში, მიწის გადასახადის გადახდა არ წარმოებს.

ქონების გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. პირადი და საწარმოო ქონების დაბეგვრისას გამოიყენება გადასახადის სხვადასხვა განაკვეთები. იურიდიული პირების ქონების გადასახადის განაკვეთია 0,6 პროცენტი.

გერმანიაში კომპანიების უძრავი ქონება იბეგრება სამი გადასახადით: ქონების, მიწის და სარეწაო გადასახადებით. ამასთან, ქონების გადასახადის გადახდილი თანხები არ გამოიქვითება წარმოების დანახარჯებიდან. გადასახადის გადახდა წარმოებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საწარმომ საანგარიშო პერიოდი ზარალით დაამთავრა. დაბეგვრას ექვემდებარება პირადი უძრავი ქონებაც, აგრეთვე ფასიანი ქაღალდები, საბანკო ანგარიშები, შენატანები სადაზღვევო კომპანიებში, ხელოვნების საგნები, ძვირფასეულობა, კერძო თვითმფრინავები, იახტები და ფუფუნების სხვა საგნები. გადამხდელისათვის დადგენილია ქონების დაუბეგრავი მინიმუმი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამატებული ღირე-ბულების გადასახადი. გერმანიაში დამატებული ღირებულების გადასახადი მეთვრამეტე საუკუნიდან ამოქმედდა. საქსონიის მხარეში ეს ბეგარა ბრუნვიდან მიღებული ბეგარით ჩაანაცვლეს. დღეისათვის, გერმანიის ბიუჯეტში ყველა საგადასახადო შემოსავლების ერთი მესამედი სწორედ დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის და უკავია მეორე ადგილი საშემოსავლო გადასახადის შემდეგ.

დამატებული ღირებულების გადასახადი თავისი არსით წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს საზოგადოებრივი და პირადი მოხმარებისათვის, რომლის გადახდაც წარმოებს საქონლის მოძრაობის ყველა სტადიაზე საბოლოო მომხმარებლამდე. დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს საქონლის, სამუშაოების, მომსახურების რეალიზაცია. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 1 იანვრიდან დღგ-ის გადასახადის სტანდარტული განაკვეთი გაიზარდა 16%-დან 19-მდე. ძირითადი საკვები პროდუქტები, წიგნები და ჟურნალები, სამედიცინო საქონელი იბეგრება დღგ-ის შემცირებული განაკვეთით 7%-ით. გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს მეწარმე, ე.ი. პირი, რომელიც ახორციელებს რაიმე სახეობის საქმიანობას მოგების მიღების მიზნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღგ-ის გადამხდელი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული პირი, ასევე ინდივიდუალური მეწარმე.

სოფლისა და სატყეო მეურნეობის საწარმოები თავისუფლდებიან გადასახადისაგან. განთავისუფლებულია საქონლის ექსპორტიც.

აქციზი ძირითადად მიიმართება ფედერალურ ბიუჯეტში, გარდა ლუდზე დაწესებული აქციზისა, რომელიც წარმოადგენს ფედერალური მიწების ბიუჯეტების შემოსავლის წყაროს. ხაზინის უმნიშვნელო შემოსავლებს უზრუნველყოფს აქციზი მინერალური ზეთებიდან, აგრეთვე აქციზი თამბაქოს ნაწარმიდან.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია ნათესაურ კავშირზე და მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებაზე. გერმანიაში განასხვავებენ მემკვიდრეთა ოთხ კატეგორიას. პირველ თანრიგში, რომელშიც შედიან მეუღლეები და შვილები, გადასახადის განაკვეთია 3 პროცენტი. მეოთხე თანრიგში იგი იზრდება 70 პროცენტამდე, თუ ქონების ღირებულება აღემატება დადგენილ ზღვარს.

სოციალური ანარიცხები შეადგენენ შრომის ანაზღაურების ფონდის 6,8 პროცენტს. ანარიცხების თანხა, ისევე როგორც აშშ-ში, იყოფა თანაბარი პროპორციით დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშაკს შორის.

დასკვნა

გერმანიის საგადასახადო სისტემა იმდენად რთულია, რომ კომპეტენტურ და მცოდნე გერმანელ ჩინოვნიკებსაც სასოწარკვეთილების მდგომარეობაში აგდებს. თითქოსდა ყველაფერი გასაგებია: რაც უფრო მეტს იშოვი, მით მეტი იბეგრება სახელმწიფოს მიერ, მაგრამ არათანაბარია ამ ქვეყნის მოქალაქეთა სასტარტო პირობები. რეალურად ყველაფერი არც ისე მარტივად არის: რაც უფრო მეტია შემოსავლის წყარო, მით მეტია შესაძლებლობები ლეგალურად, ან თითქმის ლეგალურად შემცირდეს ფისკალურ ორგანოებში შესატანი თანხა. ამის უმთავრესი მიზეზი საგადასახადო სისტემის უჩვეულო სირთულე გახლავთ.

გერმანიაში საგადასახადო რეფორმის ჩატარების ყოველი მცდელობა საგადასახადო კანონმდებლობის გართულებით მთავრდებოდა. ბეგარის რეალურად შემცირება ამ კრიზისულ დროში გერმანიაში მხოლოდ ოცნებად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ.როგავა, საგადასახადო სამართალი, თბილისი, ბაკმი,2009;
2. http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=153&rubr=0&mas=1462;
3. http://www.aaf.ge/;
4. www.internationaltaxreview.com;
5. www.Taxsits.com;
6. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,ბუღალტრული აღრიცხვა" N5 -თბილისი,2014 წ;
7. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,ბუღალტრული აღრიცხვა" N7-თბილისი, 2014 წ.

განვითარების პერსპექტივები: საქართველოს რეკრეაციულ-ტურისტული სისტემის ინოვაციური მოდელი

ნანა ნადარეიშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

Резюме

Перспективы развития: инновационная модель рекреационно-туристической системы Грузии

За последние годы одной из приоритетных направлений экономики правительством Грузии признанно развитие рекреационно-туристической сферы. В результате осуществления ряда важных мероприятий количество приезжих туристов превысило 5 млн. человек, а удельный вес туризма в ВВП составил почти 7% (2013). При этом в отмеченной сфере обслуживания, совершенствованием стратегии и менеджмента, внедрением инновационных технологий, возможно более эффективное использование природного и трудового потенциала нашей страны, повышение уровня качества обслуживания.

В связи с переходом на экономику знания, весьма актуальной становится проблема разработки и развития инновационной модели рекреационных зон Грузии. Инвестирование в инновацию может принести быструю отдачу. Хотя, успешное решение данной проблемы требует разработки самых рациональных и эффективных моделей.

Автором разработана инновационная модель рекреационно-туристической системы, где главными структурообразующими блоками являются: 1. Валеологический инновационный центр (ВИЦ); 2. Центр формирования и развития трудового потенциала; 3.Учреждения и предприятия; 4. Научно-технический потенциал; 5. Инновационная инфраструктура.

В статье даётся характеристика и обоснование функций каждого блока, которые связанны с формированием объектов туризма, развитием материально-технической базы, совершенствованием организационной структуры инновационных центров здоровья, механизмом управления формирования и развития трудового потенциала, коммерциализацией научно-технических достижений. Структурообразующие блоки взаимосвязаны.

Для финансирования модели должны использоваться разные источники, как банки, так и частный сектор, но основная доля должна быть государственное инвестирование.

Представленная теоретическая модель будет способствовать развитию туристических центров (например, Боржоми, Цхалтубо, Абастумани) и преобразованию их в рекропарки, рекрополисы, курортополисы.

საკვანძო სიტყვები: რეკრეაციულ-ტურისტული-სისტემა, ინოვაციური სტრუქტურები, სტრატეგია.

ძირითადი ტექსტი

ბოლო 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო დაინტერესებულია საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარებით, ის აღიარებულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. განხორციელდა საკანონმდებლო რეგულაციები, გარკვეულ წილად განახლდა და შეიქმნა ახალი ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოზიდულ იქნა კერძო ინვესტიციები, შეიქმნა კერძო ბიზნესის ხელშემწყობი ფინანსური პირობები, ფუნქციონირებენ ცენტრები და ფირმები, რომლებიც ტურისტების მოზიდვაზე და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებაზე ზრუნავენ, ეწევიან საშინაო ტურიზმის პოპულარიზაციას. ტურისტული ბიზნესით დაკავებული (მსოფლიოში ცნობილი) არაერთი ფირმა უკვე დაინტერესებულია ჩვენი სამშობლოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალით. საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 2013 წლის ჯამური მონაცემებით 5,4 მლნ შეადგინა, რაც 22%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს (4,4 მლნ) [1]. მშპ-ში კი მისმა წილმა თითქმის 7 % შეადგინა.

ამისთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რეკრეაციული და შრომითი პოტენციალი მთელი მოცულობით არ არის გამოყენებული და სერვისის დონე, ხშირ შემთხვევაში ბევრად ჩამორჩება წამყვანი ტურისტული ქვეყნების სტანდარტებს. არ ექცევა სათანადო ყურადღება ამ სფეროში მეცნიერულ კვლევებს და რეკომენდაციებს.

კარგი სტრატეგიითა და მენეჯმენტით, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით, სავსებით შესაძლებელია ბუნებრივი და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენება და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ქვეყნის მშპ-ს ზრდაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ძალზე აქტუალური ხდება საქართველოს რეკრეაციული ზონებისგან ვითარების ინოვაციური მოდელების შემუშავებისა და განვითარების პრობლემა. ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტირებას შეუძლია მოიტანოს სწრაფი უკუგება. თუმცა, ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს განვითარების ყველაზე რაციონალური და ეფექტური მოდელების შემუშავებას.

„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია–საქართველო 2020„, გარკვეულ მითითებებს შეიცავს ქვეყნის ინოვაციური გზით განვითარების შესახებ [2]. სტრატეგიაში დეტალუ-

რადაა აღწერილი ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა საჭიროა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ამ დოკუმენტში საუბარია ინოვაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. აღნიშნულია, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას - „ინოვაციის მხარდაჭერისთვის, მთავრობა ხელს შეუწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინკუბატორები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას. ამასთან, მოხდება კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ლაბორატორიებისთვის„[2]. როგორც იყო აღნიშნული აქ იგულისხმება ისეთი ინოვაციური სტრუქტურები, რომლებიც ცოდნის ეკონომიკის მამოძრავებელი ინსტრუმენტებია. ასეთ ინოვაციურ სტრუქტურებში ზოგადად მოიაზრება ბიზნეს-ინკუბატორები, დამაჩქარებლები (აქსელერატორები), ტექნოპარკული და კლასტერული სტრუქტურები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ მიუთითებს საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციური სტრუქტურების მშენებლობას 2020 წლამდე, მათ შორის რეკრეაციულ-ტურისტულ სისტემაში. ამისათვის, შესაბამისმა სამთავრობო სტრუქტურებმა და სამეცნიერო საზოგადოებამ უნდა შეიმუშაონ რეკრეაციულ-ტურისტული სისტემის ინოვაციურად განვითარების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ასევე უნდა მოხდეს ასეთი ვალეოლოგიური სტრუქტურების ორგანიზაციული მოდელირებაც. ეკონომიკურმა მოდელირებამ უნდა აჩვენოს აღნიშნული ინოვაციური სტრუქტურების განვითარების ის სავარაუდო სცენარები, რომელთაგან ადვილად იქნება შესაძლებელი ოპტიმალური სტრუქტურების ფორმირება შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ადამიანური რესურსებით. საქართველოს რეკრეაციულ ზონებში ძალიან დიდი პერსპექტივა გააჩნიათ რეკროპარკების, რეკროპოლისებისა და კურორტოპოლისების ფორმირებას. ასეთი ინოვაციური სტრუქტურები ჩვენი აზრით შეიძლება შეიქმნას კურორტ ბორჯომის, წყალტუბოსა და აბასთუმნის მაგალითზე.

როგორ უნდა მოხდეს ინოვაციების დანერგვა ტურისტულ-რეკრეაციულ სისტემაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენი აზრით საჭიროა, რომ გაკეთდეს დღევანდელი ვითარების დიაგნოსტიკა, ამ სფეროში შემუშავდეს გრძელვადიანი განვითრების სტრატეგია, ხოლო შემდეგ უნდა გადაიჭრას ტაქტიკური ამოცანები.

ამჟამად, საქართველოში ინოვაციური სტრუქტურების მშენებლობის მხრივ ფრიად არასახარბიელო მდგომარეობაა. ქვეყანაში არსებობს ერთადერთი სერიოზულად მომუშავე ბიზნეს-ინკუბატორი ქალაქ ბათუმში[3]. აღსანიშნავია, რომ ამ ბიზნეს-ინკუბატორში ჩამოყალიბდა ისეთი ტურისტული ფირმა, როგორიცაა „ფლეშტური„ [4]. რაც შეეხება ტექნოპარკულ სტრუქტურებს, პირველი ნაბიჯი გადაიდგა 2014 წელს, როდესაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებულმა „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო„-მ თბილისში, ოქროყანაში არსებული ყოფილი მეფუტკრეობის ინსტიტუტის ტერიტორიაზე ჩამოაყალიბა პირველი ტექნოლოგიური პარკი. აღნიშნული ტექნოპარკი ჯერ ფორმირების პროცესშია და მისი პროფილი უპირატესად საინფორმაციო ტექნოლოგიები იქნება. სამწუხაროდ, სხვა ინოვაციური სტრუქტურები ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არ ჩანს, მათ შორის რეკრეაციულ-ტურისტული პროფილის. რაც შეეხება კლასტერულ სტრუქტურებს, 2014 წლისათვის, არცერთი მათგანი ჩვენ ქვეყანაში არ არის იდენტიფიცირებული.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც ემყარება გარკვეულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, შემუშავებულ იქნა საქართველოსრეკრეაციულ-ტურისტული სისტემის ინოვაციურიმოდელი „კურორტოპოლის წყალტუბოს„ მაგალითზე, რომელიც ქვემოთ არის სქემატურად წარმოდგენილი (იხ. ნახ. №1).

მისი ძირითადი მდგენელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული შრომითი პოტენციალის ფორმირება-განვითარებასთან. რეკრეაციული სისტემის მთავარ სტრუქტურშემქმნელ ბლოკებს წარმოადგენენ: 1. ვალეოლოგიური ინოვაციური ცენტრი (ვიც);2. შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და განვითარების ცენტრი; 3. საწარმოები (დაწესებულებები, ორგანიზაციები); 4. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი; 5. ინოვაციური ინფრასტრუქტურა. განვიხილოთ დაწვრილებით მათი ფუნქციები, თავისებურებები და განვითარების ტენდენციები.

ვალეოლოგიის ინოვაციური ცენტრების (ვიც) სახელწოდება წარმოიშვა სიტყვა „ვალეოლოგიისაგან„- მეცნიერება ჯამრთელობის შესახებ. მათი მართვის ორგანიზაციულ საფუძველს შეადგენს სიახლეზე ორიენტირებული სტრუქტურის „ინოვაციური„ ტიპი. ამიტომ, ასეთი ცენტრების საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს მუდმივ დამუშავება-რეალიზაციაზე; ასევე, რეკრეაციაში, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მეთოდიკებში უპირატესად ბუნებრივი პრევენციული და აღდგენითი საშუალებების საფუძველზე თანამედროვე მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების დანერგვაზე.

ნახ. №1. საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული სისტემის ინოვაციური მოდელი

ვიც-ის ძირითადი ამოცანები უნდა იყოს:

- საბაზისო რეკრეაციული რესურსების ათვისება ვიც-ის გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, სპა-ს, დასვენებისა დატურიზმის ობიექტების ფორმირებისათვის;
- გამაჯანსაღებელი მომსახურების დაბალანსებულად წარსადგენად მეთოდებისა და ფორმების სრულყოფა;
- განახლებად პროფილაქტიკურ საშუალებათა უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარე-

ბა და სრულყოფა;

- ღონისძიებათა სისტემის სრულყოფა ჯანმრთელი ცხოვრების წესის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაწესებულებათა განვითარების საქმეში;
- ვიც-ის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სრულყოფა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაფართოება მოსახლეობის ჯამრთელობის აღდგენის, შენარჩუნებისა და პროფილაქტიკის საკითხებში.

ვიც-ის განვითარება ხორციელდება ჯანდაცვაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების საფუძველზე, როგორც მისი კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი შემადგენელი ნაწილი.

რადგან ვიც-ები ტერიტორიული ინოვაციური სტრუქტურებია, მათ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელონ საკუთარი ტერიტორიის განვითარების კონტექსტში და რომელთა კოორდინაციას მოახდენენ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები; მიზანშეწონილია, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური საბჭო ვიც-ში არჩეულ იქნას ვიც-ის ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შემადგენლობიდან, მათი დამფუძნებლებისაგან და შესაბამისი სფეროს მეცნიერებისაგან[5].

უეჭველია, რომ რეკრეაციული ზონის შრომითი პოტენციალის ფორმირებაში მთავარი როლი ეკუთვნის შრომითი რესურსების ფორმირებისა და განვითარების ცენტრს (იხ. სქემა), თუმცა, ეს, მოცემული პროცესების მართვისაგან არ ათავისუფლებს სხვა სამეურნეო სუბიექტებს.

რაც შეეხება შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და განვითარების პროცესის მართვის მექანიზმს, ის უნდა მოიცავდეს კოორდინაციას, მონიტორინგს და პროგრამულ დაგეგმვას. ის ასევე უნდა შეიცავდეს შრომის ბაზარზე, საგანმანათლებლო მომსახურებაში და სხვადასხვა პროფესიებში სიტუაციის მონიტორინგსა და მოთხოვნილებებს, შესაძლო სცენარების მოდელირებას და პროგნოზირებას, საინფორმაციო და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას.

სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის ბლოკის მთავარ ამოცანას, როგორც რეკრეაციული ზონის ინოვაციური სისტემის მესამე ძირითადი სტრუქტურა შემქმნელისა, წარმოადგენს სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების კომერციალიზაცია.

შეზღუდული შიდა ფინანსური რესურსების გამო, გამოყენებული უნდა იყოს დაფინანსების ყველა წყარო, მათ შორის საბანკო, კერძო სექტორის და ა.შ.; მაგრამ ძირითადი დაფინანსება თავის თავზე სახელმწიფომ უნდა აიღოს, როგორც ეს გაკეთდა თბილისში, ოქროყანის ტექნოპარკის შემთხვევაში. ერთი რამ ცხადია, რეკრეაციული ინოვაციური სისტემის ფორმირება-განვითარება შეუძლებელია ინოვაციური ინფრასტრუქტურის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციურ სფეროს ყველა საჭირო მომსახურებით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ასეთი ინფრასტრუქტურა საქართველოში შესაქმნელია. პრაქტიკულად არ არსებობს ისეთი ელემენტები, როგორებიცაა, სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების, ინოვაციური პროექტებისა და გამოგონებების ბირჟები (გამოფენები), ვენჩურული კომპანიები, ინოვაციური რისკების დაზღვევა და ა.შ. ჩვენი აზრით, რეკრეაციული ზონის ინოვაციური ინფრასტრუქტურა უნდა გამოიყურებოდეს ისე, როგორც ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სქემაზეა მოცემული: მარკეტინგული კვლევის ცენტრი, ტექნოპარკული სტრუქტურები, ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები, კონსალტინგური კომპანიები, ლიზინგისა და სადაზღვეო კომპანიები, ინოვაციური საქმიანობის მონიტორინგის ცენტრი, ბიზნეს-ინკუბატორები, ვენჩურული ფონდები.

ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობის გაზრდა ნიშნავს არა მარტო მცირე ინოვაციური მეწარმეობის რესურსული უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტას, არამედ შრომითი პოტენციალის ფორმირება-განვითარების მოგვარებასაც. ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ამ პროცესების სტიმულირების ღონისძიებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროhttp://www.economy.ge/ge/economic-sectors/tourism

http://www.economy.ge/uploads/meniu_publikaciebi/ouer/turizmis_statistikuri_mimoxilva_2013.pdf

2. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია–საქართველო 2020„. გვ. 27-28. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10967

3. ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორი. http://www.bbi.ge/

4. http://www.frequency.com/video/batumi-business-incubator/40411020

5. ნ. ნადარეიშვილი, ნ. ძიძიკაშვილი. სამკურნალო და SPA ტურიზმის კლასტერიზაციით განვითარების პერსპექტივები (წყალტუბოს მაგალითზე). ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 5-6 ივლისი, ბათუმი. 2014. გვ.400-406.

საქმიანი კულტურა, როგორც შედარებითი მენეჯმენტის საკვანძო ელემენტი

ნატო ჩიკვილაძე, *სტუ-ს პროფესორი*
ლაშა კაკულია, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

შედარებითი (კროს-კულტურული) მენეჯმენტი გულისხმობს ბიზნესის წარმოების ეროვნული თავისებურებების შესწავლას, შესაბამისად, საქმიანი კულტურა არის ცენტრალური დებულება საკვლევი საგნის ფარგლებში და წარმოადგენს პრინციპების, ტრადიციებისა და ქცევითი სტერეოტიპების კომპლექსს ბიზნესის წარმართვის პროცესში.

საქმიანი კულტურის,როგორც შედარებითი მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი დებულების განხილვას, ავტორები მიჰყავს შემდეგ დასკვნებამდე:

- კულტურა და მენტალიტეტი, ახდენენ რა უძლიერეს გავლენას ყოველდღიური საქმიანობის პრაქტიკაზე, იმყოფებიან უწყვეტ კავშირში მენეჯმენტთან. კულტურის ზოგიერთი მახასიათებლები შობენ განსაკუთრებულ მიდგომებსა და ტრადიციებს მართვის სფეროში;
- ეროვნული კულტურების შეფასების უამრავი მიდგომების არსებობა საშუალებას იძლევა შევაფასოთ ისინი სხვადასხვა კრეტერიუმებით, მრავალმხრივად გამოვიკვლიოთ მართვის კულტურები, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზებას. ქვეყანა-პარტნიორის მრავალმხრივი შესწავლა ამაღლებს ადექვატური გადაწყვეტილების მიღებისა და სწორი სტრატეგიის შემუშავების ალბათობას;
- სავარაუდოა, რომ შედარებითი მენეჯმენტის შემდგომი განვითარების შედეგად უახლოეს პერიოდში გამოყოფილი იქნება "ცენტრალური ღერძი", რომლის გარშემოც აიგება საქმიანი კულტურის ყველა დანარჩენი თეორია;
- არსებობს ობიექტური ფაქტორების მთელი რიგი, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთაშორისო ბიზნესზე და შედარებით მენეჯმენტზე. ამ უკანაკნელის ორგანიზებისას აუცილებელია ყოველი ამ ფაქტორის გავლენის გათვალისწინება.

Резюме

Сравнительный (кросс-культурый) менеджмент подразумевает изучение национальных особенностей ведения бизнеса , соотвественно, деловая культура является центральным понятием в рамках изучаемого предмета и представляет собой комплекс принципов, традиций и поведнеческих стереотипов в процессе ведения бизнеса.

Рассмотрение деловой культуры в качестве одного из основных понятий в системе сравнительного менеджмента приводит авторов к следующим выводам:

- культура и менеджмент,оказывая сильнейшее влияние в повседневную трудовую практику,находятся в непрерывной взаимосвязи с менеджментом. Некоторые черты культуры порождают особые подходы и традиции в области управления;
- наличие множества подходов по оценке национальных культуры на управление с различных сторон,существенно упрощает организацию международного бизнеса.Многостороннее изучение страны-партнера повышает вероятность принятия адекватного решения и выработки верной стратегии. Для более полного понимания культуры рекомендуется использовать несколько вариантов;
- вероятно,в результате дальнейшего развития сравнительного менеджмента в ближайшие годы будет выделен центральный стержень, вокруг которого будут выкраиваться все остальные теории деловой культуры;
- существует ряд объективных факторов, влияющих на международный бизнес и сравнительный менеджмент.При организации последного необходимо учитывать влияния каждого из этих факторов.

შედარებითი (კროს-კულტურული) მენეჯმენტი გულისხმობს ბიზნესის წარმოების ეროვნული თავისებურებების შესწავლას, შესაბამისად, საქმიანი კულტურა არის ცენტრალური დებულება საკვლევი საგნის ფარგლებში და წარმოადგენს პრინციპების, ტრადიციებისა და ქცევითი სტერეოტიპების კომპლექსს ბიზნესის წარმართვის პროცესში.

საკითხის ადექვატური გაგებისათვის ავტორებს აუცილებლად მიაჩნიათ მიმართონ საბაზისო დებულებებს, მიჰყვნენ ურთიერთკავშირს "კულტურა-მენტალიტეტი-საქმიანი გარემო"-ს დონეზე.

ჩვეულებივ, კულტურად განიხილავენ ქცევისა მანერებისა და ადათების ერთობლიობას, სოციოლოგები განმარტავენ მას "როგორც ადამიანური ცხოველმყოფელობის ორგანიზაციისა და განვითარების სპეციფიკურ საშუალებას, რომელიც წარმოდგენილია მატერიალური და სულიერი შრომის პროდუქტებში, სოციალური ნორმების სისტემაში, სულიერ ფასეულობებში, ადამიანის ბუნებასთან, ერთმანეთთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულების ერთობლიობაში".

სხვა სიტყვებით, ეს არის სისტემების, ნორმების, ცოდნის, სიმბოლოების კომპლექსი, რომლებიც არეგულირებენ ცხოველმყოფელობას ამა თუ იმ სოციალურ გარემოში.

კულტურის ფორმირება ხდება ცოდნის, რწმენის, ხელოვნების, მორალის, კანონების, ადათ-წესებისა და ნებისმიერი სხვა უნარებისა და ჩვევების ზეგავ-

ლენით, რომლებიც შეძენილია საზოგადოების მიერ საკუთარი განვითარების პროცესში. კულტურის გავლენით სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს უყალიბდებათ ღირებულებათა საკუთარი სისტემა.

თავის მხრივ, მენეჯმენტისათვის ღირებულებათა სისტემას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, რამდენადაც ცალკეული მუშაკებისა და კოლექტივების მართვა ასე თუ ისე ეყრდნობა ღირებულებათა სისტემაზე ობიექტურ წარმოდგენას, რომლებიც საფუძვლად უდევს ქცევას. ხოლო მართვის ბევრი ასპექტი, მაგალითად, მოტივაცია, საერთოდ მთლიანადაა აგებული ფასეულობათა ბაზისზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს კულტურის გავლენის შესწავლა საზოგადოების ეკონომიკის სფეროზე, საქმიან გარემოზე, მოგების მიღებისა და განაწილების პროცესზე.

როგორც ცნობილია, ეროვნული კულტურების ადრინდელი კვლევები აგებული იყო მოცემული საზოგადოების წარმომადგენლების სპეციფიკური ქცევის ნიმუშების გამოვლენაზე შესადარებელ სიტუაციებში. შედარებითი მენეჯმენტის ფარგლებში კულტურების ურთიერთობების შესწავლის მიზანი კი არის ურთიერთკავშირის განსაზღვრა ეროვნული კულტურის განზომილებასა და საქმიანი ორგანიზაციების მართვას შორის.

კულტურას გააჩნია მრავალდონიანი სტრუქტურა, რაც ასახავს მისი ფუნქციების მრავალფეროვნებას ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში. მოკლედ ავღწერთ კულტურის ძირითად ფუნქციებს:

- საინფორმაციოს (თაობიდან თაობაზე, ეპოქიდან ეპოქაზე სოციალური გამოცდილების გადაცემის საშუალება);
- შემეცნებითს (სამყაროს შესახებ ცოდნის დაგროვების და შესაბამისად, მისი გაგებისა და შეთვისების საშუალებას იძლევა. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საზოგადოება ინტელექტუალურია იმდენად, თუ რამდენად იყენებს ის მთელი მსოფლიოს გამოცდილებას. მაგალითს წარმოადგენს იაპონია. რომელიც აჩვენებს დინამიზმს ეკონომიკის ყველა საფეროში);
- ნორმატიულს (დაკავშირებულია ადამიანებისა და საზოგადოების ცხოველმყოფელობის სხვადასხვა მხარეების განსაზღვრასთან. ყოფის ნებისმიერ სფეროში: შრომის, ყოფაცხოვრების, პიროვნებათშორის კავშირების, ურთიერთირთობების რეგულირება ასე თუ ისე ხორციელდება, კულტურა ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ მატერიალურ თუ სულიერ ღირებულებებზე, აკონტროლებს ქცევასა და ქმედებებს. აქვე შეიძლება მორალისა და უფლების მოხსენიებაც);
- მანიშნებელს (წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანს კულტურის მთელს სისტემაში. ამ ფუნქციისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ენას, რომელიც წარმოადგენს ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებას);
- ღირებულებითს (ადამიანს უყალიბდება ღირებულებათა და ორიენტაციების გარკვეული სისტემა).

პირველ რიგში მეცნიერები კულტურას ყოფენ მისი მატარებლის მიხედვით: შეიძლება გამოვყოთ მსოფლიო და ეროვნული კულტურა. ეროვნული კულტურა ასახავს კონკრეტული საზოგადოების თავისებურებებს სულიერ (ენა, რელიგია, მუსიკა და ა. შ.) და მატერიალურ (ეკონომიკური წყობის თავისებურებები, მეურნეობის წარმართვა, შრომისა და წარმოების თავისებურებები) სფეროებში.

ეროვნული კულტურის როლი მატერიალურ სფეროში განისაზღვრება როგორც ძირითადი ფაქტორი მოცემულ სამუშაოს ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზებისას.

ეროვნული კულტურა თავის დაღს ასვამს პიროვნებას, ადამიანის ხასიათს და აისახება ბიზნესის წარმართვაში, ამასთანავე, ყველა ქვეყანაში არსებობს საქმიანი ურთიერთობებისა და საქმიანი ეთიკის საკუთარი ტრადიციები და ადათ-წესები

ყველაზე მკაფიოდ კულტურული განსხვავებები ვლინდება სხვა საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთქმედებაში — იქნება ეს მოლაპარაკებების წარმოება, ერთობლივი საწარმოს ორგანიზება თუ გამოცდილების უბრალო გაზიარება.

ნათელია, რომ მსგავსი კულტურების წარმომადგენლები უფრო სწრაფად იპოვნიან საერთო ენას ნებისმიერი სახის თანმშრომლობის ორგანიზაციის თვალსაზრისით და, პირიქით, "ურთიერთდაპირისპირებული" ხალხების ურთიერთქმედებას აუცილებლად თან სდევს სიძნელეები.

სავარაუდოა გარკვეული გაუგებრობების წარმოშობა სხვა კულტურების წარმომადგენლებთან ურთიერთობის უკვე საწყის სტადიაზე, ანუ მოლაპარაკებების სტადიაზე. ასე, მაგალითად, დავუშვათ, მოლაპარაკებების დროს საქმიანი საუბრის დროს ღრმა პატივისცემის გამოხატვა უფროსი ასაკის ადამიანის მიმართ იქნება ბუნებრივი და აუცილებელი აღმოსავლური კულტურის ფარგლებში და აღქმული იქნება როგორც უპატიებელი ჩამორჩენილობა დასავლელი ბიზნესმენების მიერ. თავის მხრივ, ინფორმაცია ახალგაზრდა მენეჯერების განათლების მაღალ დონეზე არის დასავლელი პარტნიორის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება, რომელიც შეიძლება საერთოდ არაადექვატურად იქნას აღქმული აღმოსავლური ან აფრიკული კულტურის წარმომადგენლის მიერ, რომლებიც მთავარ ყურადღებას მიაპყრობენ ცხოვრებისეულ გამოუცდელობაზე. აღმოსავლურ კულტურებში კომპლიმენტები მოწოდებულია გამორიცხონ ყველა მწვავე მომენტი საქმიანობის საზიანოდაც კი, დასავლეთში კი ეს აღიქმება როგორც დროის ფუჭი ხარჯვა.გარდა ამისა, სხვადასხვა კულტურების ურთიერთქმედების პროცესში არსებობს სტერეოტიპიზაციის საშიშროება, რაც ხელს უშლის კონსტრუქციულ ურთიერთობებს. ზოგჯერ გარკვეული ტიპის სტერეოტიპებს, ე. წ. იარლიყებს, რომლებსაც ჩვენ ვანიჭებთ სხვა კულტურებისა და ერების წარმომადგებლებს, მივყავართ იქამდე, რომ უარს ვამბობთ ინფორმაციის ობიექტურ აღქმაზე და ანა-

ლიზზე, ვოპერირებთ "ნაციონალური შტამპებით".

ეროვნული სტერეოტიპიზაცია — ამა თუ იმ კულტურის განვითარების ყველაზე რთული პროცესია, ამა თუ იმ ფსიქოლოგიური ზეწოლის, პოლიტიკური მოვლენების და სხვა პროცესების ზეგავლენის. შედარებითი მენეჯმენტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მართვის სფეროში სტერეოტიპების დამსხვრევა სხვა კულტურების წარმომადგენლებთან ურთიერთობის პროცესების ოპტიმიზაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

კულტურის ზემოქმედების ქვეშ ფორმირდება ერის მენტალიტეტი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან ცნებას წარმოადგენს ნებისმიერი სახის ორგანიზაციის ფორმირებისათვის. ფაქტიურად, ყველა თანამედროვე მეცნიერი თანხმდება იმაზე, რომ ეროვნული და რეგიონული მენტალიტეტი — უმთავრესი ფაქტორია, რომელიც ზემოქმედებს მართვის ფორმებზე, ფუნქციებზე და სტრუქტურაზე. ის წარმოადგენს უმნიშვნელოვანესს, ეს კი ნიშნავს "ბაზისურ" ფაქტორსაც, რომელიც მოქმედებს მენეჯმენტის სპეციფიკაზე.

გარდა ამისა, მენეჯმენტსა და მენტალიტეტს შორის არსებობს უფრო ღრმა, არსებითი ურთიერთკავშირი, რომელიც ვლინდება "მენეჯმენტისა და მენტალიტეტის შესაბამისობის პრინციპში". არსებობს მენტალიტეტის განსაზღვრების მთელი რიგი: მენტალიტეტი "ეს არის ერის ქცევის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური თავისებურებების ერთობლიობა" "ერის ერთგვარი მეხსიერება წარსულზე, მილიონობით ადამიანების ქცევის დეტერმინანტა" რომლებიც ერთგულნი არიან თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული "კოდისადმი" ნებისმიერ ვითარებაში...", სუბიექტის — ერის, ეროვნების, ხალხის, მისი მოქალაქეების გარკვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა (არა "ხალხის მეხსიერებაში, არამედ მის ქვეცნობიერში) მენტალიტეტის სუბიექტის ცხოვრების ეთნიკური, ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგი". ნაშრომის ავტორების შეხედულებით, მენტალიტეტი წარმოადგენს ერის ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებების სოციალურ-ფსიქოლოგიურ კომპლექსს, რომელიც ჩამოყალიბდა ბუნებრივი, ისტორიული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით, რომლებიც ზემოქმედებენ ქვეყნის ხანგრძლივი ევოლუციის განმავლობაში.

განსაზღვრებებში ლაპარაკია მენტალიტეტის არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ბუნებაზეც. ბუტენკო და კოლესნიჩენკო, ეყრდნობიან რა ვიგოტსკის კვლევებს, აღნიშნავენ ამ მოვლენის გენეტიკურ, ისტორიულ, ბუნებრივ-კლიმატურ წყაროებს, გამოყოფენ რა მენტალიტეტს როგორც "კოდს", რომელიც ადეტერმინებს ცალეკული ადამიანისა და ერის სოციალურ-ეკონომიკურ ქცევას.

ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგიური პროგრამის გამოვლინება თავის დაღს ასვამს ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს: ყოფითს, ურთიერთობითს, წარმოების. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მართვაზეც. ასე, მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნებში მართვის ფორმებისა და მეთოდების ანალიზისას, ჩვენ არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ გერმანული პედანტობა, ინგლისური კონსერვატიზმი, ამერიკული პრაგმატიზმი, იაპონური პატერნალიზმი, ქართული უდარდელობა. ადამიანის არ შეუძლია თავისუფალი იყოს საზოგადოებისაგან, საკუთარი თავისაგან, საკუთარი მენტალობისაგან. იმავდროულად, ის ყოველთვის იმყოფება გარკვეულ იერარქიულ სისტემაში: ის იქვემდებარებს და ხელმძღვანელობს, ან ემორჩილება. თუნდაც მარტოობისას ის მართავს თავის ქმედებებს, საქციელს, გამომდინარე თავისი ქვეცნობიერიდან და მენტალობიდან.

მენტალიტეტის თავისებურებზე დამოკიდებულებით იგება ძირითადი ურთიერთობები, მენეჯმენტის სისტემები. თუ ადამიანი მიეჩვია ჯგუფურ ცხოვრებას, მაშინ მართვის სისტემის მაფორმირებელ სპეციფიკურ საფუძველს წარმოადგენს კოლექტივზე დაყრდნობა, კოლექტიური კონტროლი და გადაწყვეტილებების მიღება. თუ საზოგადოებაში დამკვიდრდა ინდივიდუალიზმზე, საკუთარი ღირსების გამწვავებულ გრძნობაზე და ა. შ. დაფუძნებული ღირებულებათა სისტემა, მაშინ მზიდი კონსტრუქციის კარკასი, რომელიც შეზრდილია მართვის სისტემასთან, დაეყრდნობა ინდივიდუალურ თვისებებს კონტროლის ინდივიდუალური ფორმების გამოყენებით. შრომისმოყვარეობის, გაფრთხილების უნარის, პუნქტუალობის სიჭარბე ასევე განსაზღვრავს მართვის ფორმებსა და მეთოდებს, მნიშვნელოვნად იმოქმედებს მმართველების ქცევასა და ქმედებებზე. ამ უკანაკნელებმა ისინი მხედველობაში უნდა იქონიონ, გაითვალისწინონ ადამიანური ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები მართვის პროცესში. წახალისებისა და დასჯის სისტემები, მატერიალური და მორალური სტიმულირების, ქვეგანყოფილებათა ურთიერთქმედების ორგანიზება (რომელიც ემყარება უფროსების პატივისცემას, ან პირიქით, ინდივიდუალიზმს) და საწარმოს მართვის სხვა ასპექტები უნდა შეესაბამებოდნენ მენტალიტეტს და სწორედ ამ შეთხვევაში იქნებიან ისინი ეფექტიანი.

ამრიგად, მართვა შეიძლება განვიხილოთ როგორც შიდა, სიღრმისეული სოციალ-ფსიქოლოგიური პროგრამის გამოვლინებები, რომელიც ადამიანშია ჩადებული. ამ სახით მენტალიტეტი - ეს არის ქცევითი მენეჯმენტის საერთო საფუძველი, მისი ელემენტი, არსობითი მხარე. ამაში ვლინდება მენეჯმენტის მენტალიტეტთან შესაბამისობა.

„მენტალიტეტი-მენეჯმენტი", მათი შეფარდება, შესაბამისობა და წინააღმდეგობრიობა, როგორ შინაარსი და ფორმა, როგორც არსი და მოვლენა. ისინი იმყოფებიან ობიექტურად უწყვეტად განპირობებულ, მუდმივად განმეორებად ურთიერთკავშირში, რომლის კლასიფიცირებაც შეიძლება, როგორც „მენტალიტეტისა და მენეჯმენტის შესაბამისობის პრინციპი". შესაბამისობა მენეჯმენტსა და მენტალიტეტს

შორის განაპირობებს წარმოების შედარების მდგრად სისტემას, არბილებს წინააღმდეგობებს მმართველსა და მართულებს შორის, ხელს უწყობს კრიზისული სიტუაციების გადალახვას. შესაბამისობა მენეჯმენტსა და მენტალიტეტს შორის - არის სოციალური სისტემების თანასწორობის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნიშანი, რომელიც ხასიათდება სოციალური კონფლიქტების არარსებობით.ამის მაგალითია აშშ-ს, საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის ეკონომიკური განვითარება მე-20 საუკუნის 90-იან წლებში.

წინააღმდეგობრიობა სისტემაში „მენტალიტეტი-მენეჯმენტი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზთაგანს, რომელიც განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების ჩასახვასა და ხანგრძლიობას. ამის ნათელი მაგალითია საქართველო, სადაც გადასვლა ბაზარზე და მასთან დაკავშირებული მართვის სისტემის რეფორმირების აუცილებლობა ვარაუდობს მის ქართული მენტალიტეტის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოყვანას. მენეჯმენტის მენტალიტეტთან შესაბამისობის კანონი ნიშნავს, რომ განსაზღვრულ მენტალობას, ეროვნული ხასიათის თითოეულ კონკრეტულ ნიშანს, მენტალიტეტის მხარეს მთლიანობაში შეესაბამება მენეჯმენტის ადექვატური ფორმები, სახეები, სისტემები. ეროვნული მენეჯმენტი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც რაღაც სტატიკური. ის გვევლინება როგორც განვითარებაში დინამიური სისტემა. მართვის მსოფლიო სისტემაში მისი მოძრაობის, როლისა და ადგილის გაგება შესაძლებელია, თუ გამოვალთ არსებული ეროვნული მენტალიტეტის ანალიზიდან და განვითარებიდან.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საქმიანი კულტურების თავისებურებების ანალიზისათვის და ქვეყნების ჯგუფებად დასაყოფად ამ თავისებურებების შესაბამისობით. ასეთი კვლევების შედეგად დგინდებოდა ამა თუ იმ ქვეყნების მსგავსებები და განსხვავებები, მათი კლასტერებად დანაწილება, მუშავდებოდა რეკომენდაციები კომპანიებში მართვის ორგანიზებისათვის ეროვნული კუთვნილების მიხედვით, ასევე ქვეყნების ჯგუფებში, ფასდებოდა საქმიანი კულტურის დადებითი და უარყოფთი მხარეები, იგებოდა მთელი რეგიონების მართვის მოდელები.

შედარებითი მენეჯმენტის მიზნები ვარაუდობენ გარკვეული კრიტერიუმებისა და ფაქტორების გამოვლენას საქმიანი კულტურების შესადარებლად, ანუ ე .წ. „სკალებს“, რომლებიც ეხმარებიან მათი რაობის განსაზღვრას. ასეთი კვლევების შედეგად მკვლევარების მიერ განხორციელებულ იქნა მცდელობები მენეჯმენტის დამახასიათებელი თავისებურებების გამოსავლენად მთელს გეოგრაფიულ რეგიონებში, მაგალითად, ჩრდილოამერიკულ, ევროპულ, აზიურ და სხვ.

დღეისათვის მეცნიერთა მიერ დადგენილია შედარების 30-ზე მეტი სკალა. მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მხოლოდ რამდენიმე მოდელი. საკმაოდ საინტერესოა საქმიანი კულტურის ა. ტრომპენაარსის და კ. ჰამპდენ-ტერნერის „შვიდი განზომილება”. თავის დროზე კვლევებს ატარებდნენ ასევე აგეევი, გრაჩოვი, ჰინსტრიკი, როკიჩი. მიუხედავად ამისა, ყველა არსებული მოდელებიდან ყველზე დიდი პოპულარობით დღეისათვის სარგებლობენ გ. ჰოფსტედეს, ვ. ვარნის, რ. ლუისის სისტემები..

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Люис Р.,Деловые культуры в международном бизнесе,М.1999
2. Эпштеин М.З.,Сравнительный менеджмент, С.П.2003.
3. Тромпенаарс Ф., Хэмпден-Тернер Ч. Национально-культурные различия в контексте глобального бизнеса-МН: ООО.Попурри,2004.

პროტექციონიზმი, როგორც საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმა

ნინო არაშვილი, *ეკონომიკის მაგისტრი, სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

პროტექციონიზმი, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებაა. მისი მიზანი ქვეყანაში, იმპორტის გადასახადების გაზრდით, შემზღუდავი კვოტების დაწესებით ან სხვა სამთავრობო რეგულაციებით — იმპორტირებული საქონლის შემცირებაა. ადგილობრივი წარმოებების მხარდასაჭერად და უმუშევრობის დონის შესამცირებლად, მთავრობები პროტექციონიზმისკენ მიდრეკილებას, განსაკუთრებით, კრიზისების დროს ამჟღავნებენ.

ფინანსური კრიზისის დროს, პროტექციონისტული ზომების ნაკლებად გამოყენების მიზეზები კომპლექსურ, ერთმანეთის განმსაზღვრავ ფაქტორებში შეგვიძლია ვეძებოთ.

პროტექციონისტული პოლიტიკა საფრთხეს უქმნის მომხმარებლის უფლებას - აირჩიოს კონკურენტულ საქონელსა და მომსახურებას შორის მისთვის საუკეთესო. მომხმარებლის უფლება ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც სიტყვის ან რელიგიის თავისუფლება, ამიტომ ნებისმიერი ნაბიჯი მის შესაზღუდად ნიშნავს თითოეული მოქალაქის თავისუფლების შეზღუდვას.

საკვანძო სიტყვები: პროტექციონიზმი, მერკანტილიზმი, ტექნიკური ბარიერები.

Summary

Protectionism is one of the approaches of economic policy, aiming to limit import in the country by raising tariffs on import and imposing quotas or other government regulations. In order to promote domestic production and reduce unemployment, governments tend to apply protectionism especially during crises.

The reasons of applying protectionism less extensively during financial crisis can be found in complex factors, which determine each other.

Protectionism restricts the right of a consumer to choose among competitive goods and services the most appropriate for him. The right of a consumer is as important as freedom of expression or religion, thus every step to restrict this right means restriction of each person's freedom.

* * * * * *

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ტრადიციული და უფრო მეტად განვითარებული ფორმა საერთაშორისო ვაჭრობაა. მის წილად მოდის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთლიანი მოცულობის 80%.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით, ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, ეროვნული მეურნეობათა ურთიერთზემოქმედებას აძლიერებს და საერთაშორისო ვაჭრობას ააქტიურებს. საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც ქვეყანათა შორის სასაქონლო ნაკადების მოძრაობით განისაზღვრება, წარმოებასთან შედარებით უფრო მაღალი ტემპებით იზრდება. სახელდობრ, მსოფლიო წარმოების ყოველ 10%-ით ზრდაზე საერთაშორისო ვაჭრობის 16% მოდის. ამით თვით წარმოების განვითარების ხელსაყრელი პირობები იქმნება და, პირიქით, როცა ვაჭრობა ფერხდება, წარმოების განვითარებაც ქვეითდება.

ქვეყნებს შორის საქონელგაცვლის პროცესი ახალი არ არის. იგი საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა, რამაც საერთაშორისო ვაჭრობის აზრი განსაზღვრა და მისი მიზნების შესახებ თეორიული შეხედულებები (კონცეფციები) ჩამოაყალიბა.

მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გარეშე არ შეუძლია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. ყოველი ქვეყანა სხვა ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისას ახორციელებს გარკვეულ პოლიტიკას. საერთაშორისო ვაჭრობაში არსებობს პროტექციონისტული პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირებას სხვა ქვეყნების მიმართ. მის მიზანს წარმოადგენს სამამულო კომპანიების საქმიანობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა ეროვნულ და უცხოურ ბაზარზე უცხოურ კონკურენტებთან შედარებით. იგი ხორციელდება, როგორც შიდა ბაზრის დაცვის, ასევე სამამულო კომპანიებისათვის საგარეო ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის ხელშეწყობის გზით. იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა აცხადებს თანხმობას შეწყდეს ყველანაირი შეზღუდვები საერთაშორისო ვაჭრობაში, პროტექციონიზმი იყო და რჩება ეროვნული ეკონომიკის პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტად მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.

სხვადასხვა ელექტრონული თუ ლიტერატურული სამეცნიერო წყარო პროტექციონიზმის განსხვავებული ინტერპრეტაციით ჩამოყალიბებულ განმარტებას იძლევა. მაგრამ ყველა განმარტების შინაარსში ერთი რამ ნათელია, რომ პროტექციონიზმი ეს არის უცხოური კონკურენციისაგან შიგა ბაზრის დასაცავად მიმართული პოლიტიკა.

მტკიცებები შეუზღუდავი სავაჭრო ურთიერთობების უპირატესობების შესახებ თეორიულად მეტად გონივრულად გამოიყურება, რაც ასახულია საერ-

თაშორისო ვაჭრობის კლასიკურ თეორიებში. მისი მომხრენი სათანადო პოლიტიკის გატარებას გვთავაზობენ. იგი ფართოდ არის დეკლარირებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებასა და განვითარებული ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკის კოცეფციებში. ჯერ გატტ-ის (გენერელური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ), ხოლო მოგვიანებით ვმო-ის (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) ფარგლებში წარმოებული მოლაპარაკებების ბაზაზე შემცირდა სატარიფო ბარიერები, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვის ძირითადი ფორმა. კონცეფტუალური აღიარების მიუხედავად მსოფლიო რეალობა გვიჩვენებს, რომ აბსოლუტურად თავისუფალი ვაჭრობა დღეისათვის უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დიდი წინააღმდეგობებია გარე ბაზარზე გასასვლელად. თვით განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში ფართოდ გამოიყენება „არადეკლარირებული" შეზღუდვები. ფაქტობრივად, მსოფლიო მასშტაბით ფართოდ გხვდება ფარული საგარეო სავაჭრო პროტექციონისტული მაგალითები. პრაქტიკულად დღემდე ასევე პოპულარულია იდეა პროტექციონიზმის შესახებ, რომლის სისტემატიზირებული კონცეფცია პირველად მერკანტილისტურმა სკოლამ (XV-XVIIIსს.) წარმოადგინა.

იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლების საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა, სპეციფიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ — მერკანტილიზმმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც საზოგადოების მიზნის სრულიად ახლებური კონცეფციით გამოდიოდა. მერკანტილისტური იდეები უმთავრესად ვაჭრობის, ბანკირებისა და მანუფაქტურების მფლობელთა მიერ იყო ჩამოყალიბებული, რომელნიც სახელმწიფოს სიძლიერის განმტკიცებას ითვალისწინებდნენ. ბევრი სახელმწიფოსათვის მერკანტილიზმი მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებად იქცა, რამდენადაც ისინი მიიჩნევდნენ, რომ ვაჭრობაში ქვეყნების წარმატებანი მჭიდროდ უკავშირდებოდა პოლიტიკური ძალაუფლების გაძლიერებას. იგი სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა და ძირითადად მიმოქცევის სფეროს კვლევით იფარგლებოდა.

მერკანტილისტები სიმდიდრეს ფულში ხედავდნენ, ხოლო მისი შექმნის ძირითად წყაროს — საგარეო ვაჭრობაში. ექსპორტის იმპორტზე უპირატესობის დამკვიდრებული წესი იყო მათი „ვაჭრობის საუკეთესო ბალანსი" და ოქროს „შემოდენის" საშუალება. იმდროინდელ საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, სწრაფვა მიზნის მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ვაჭრებს სწამდათ, რომ რასაც ერთი ქვეყანა იძენდა, მეორე მას კარგავდა. ვაჭრობის სურვილის შესანარჩუნებლად, სახელმწიფო იცავდა მის მიერ წაროებულ პროდუქტს, რომელიც შიგა ბაზრისთვის იყო განკუთვნილი და რომლის მწარმოებლებსაც უცხოელი კონკურენტი ჰყავდა. მთავრობის მთავარ მიზანს აგრეთე საექსპორტო წარმოებების სტიმულირება წარმოადგენდა.

სავაჭრო პოლიტიკის საკითხების განხილვისას, ჩვეულებრივ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ აუცილებელია იმ საქონლის სამამულო წარმოების მხარდაჭერა, რომლის შიგა მოხმარებაც მოცემულ მომენტში იმპორტით არის უზრუნველყოფილი.

მოსაზრებები განსხვავებულია. ჩვეულებრივ, პროტექციონიზმის სასარგებლოდ გამოთქმული ყველაზე გავრცელებული მოსაზრებები დაიყვანება იმპორტთან კონკურირებადი დარგების მხარდაჭერიდან მოსალოდნელი სარგებლობის დასაბუთების სხვადასხვა ვარიანტზე. ერთ-ერთია მოსაზრება ახალი დარგების დაცვის აუცილებლობაზე, მეორე — დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაზე.

მრავალ ქვეყანაში უმუშევრების მიერ იქმნება ეგრეთ წოდებული ზეწოლის ჯგუფები, რომლებიც მთავრობისგან მოითხოვენ იმპორტის შეზღუდვას. ასეთი მოთხოვნა განპირობებულია სამუშაო ადგილების შექმნის სურვილით, მაგრამ ამ შემთხვევაში იმპორტის შეზღუდვა, რომელიც მეორე ქვეყნისათვის ექსპორტია, სხვა ქვეყნების საპასუხო ქმედებებს იწვევს. უდიდესი დეპრესიის წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იმპორტის შეზღუდვამ სამუშაო ადგილების ზრდას კი არ შეუწყო ხელი, არამედ, პირიქით, სხვა ქვეყნების მიერ განხორციელებული რეპრესალიების შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა დეპრესია, შემცირდა ექსპორტი და დაინგრა ქვეყნის მეურნეობა. რეპრესალია იძულებითი ზომაა, რომელსაც მიმართავს ერთი სახელმწიფო მეორის არაკანონიერი მოქმედების საპასუხოდ. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ გარკვეულ პირობებში (ორი ფაქტორის შემთხვევაში) შეიძლება რეპრესალიების ზემოქმედების შერბილება. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება:

1. ქვეყნის მცირე ზომა (ეკონომიკური თვალსაზრისით), რომლის მიმართ ჩვეულებრივ საპასუხო ზომები არ ტარდება და ამიტომ მას შეუძლია დასაქმების დონის ამაღლება;

2.რეპრესალიებით გამოწვეული რესურსების გადანაწილება კაპიტალტევადი დარგებიდან შრომატევად დარგებში. ამ შემთხვევაშიც მიზანი (სამუშაო ადგილების ზრდა) მიღწეული იქნება.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რეპრესალიების არარსებობის პირობებშიც კი, იმპორტის შეზღუდვით მიღებული სამუშაო ადგილების მატება მაინც ნაკლებია, პროტექციონიზმით დაცულ დარგებში უმუშევართა დასაქმების რაოდენობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში იმპორტის შეზღუდვას ნამდვილად თან ახლავს სამუშაო ადგილების ზრდა, მაგრამ იგი ჩვეულებრივ მაღალ ფასებთან ან გადასახადებთანაა დაკავშირებული. ესე იგი იწვევს დანახარჯების ზრდას, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მომენტად.

იმპორტის შეზღუდვის აუცილებლობა დასაბუთებულია 1792 წელს ალექსანდრე ჰამილტონის მიერ ჩამოყალიბებულ „ახაგაზრდა დარგის დაცვის

თეორიაში", რომლის თანახმად პროტექციონისტული ზომები საჭიროა, რათა მაღალი დანახარჯების მქონე ახალგაზრდა დარგმა დროთა განმავლობაში მიაღწიოს წარმოების ეფექტიანობას და გახდეს კონკურენტუნარიანი. ამასთან, ხარჯების შემცირებას ხელი უნდა შეუწყოს ორმა ფაქტორმა: წარმოების მასშტაბის ეფექტმა და კვალიფიკაციის ამაღლებამ. აღნიშნული მოსაზრების მიმდევართა აზრით, ახალგაზრდა დარგის სიმწიფის უზრუნველსაყოფად მისთვის გარანტირებული უნდა იყოს შიდა ბაზრის დიდი წილი.

თანამედროვე ეტაპზე მრავალი სახელმწიფო პროტექციონიზმს იყენებს საკუთარი ინდუსტრიული ბაზის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია მრეწველობის განვითარება სოფლის მეურნეობასთან შედარებით უპირატესი ტემპით და, შესაბამისად, პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდება, უცხოური ინვესტიციების ზრდა მრეწველობის დარგებში, მრეწველობის განვითარება ვაჭრობის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ვაჭრობაში მზა ნაწარმით მონაწილეობა, ვინაიდან იგი უფრო მომგებიანია ნედლეულის რეალიზაციასთან შედარებით.

პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება გასაკუთრებით გააქტიურდა თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში და ბევრმა ფარულმა დამცავმა ღონისძიებამ აშკარა და გარდაუვალი ფორმა მიიღო. ასეთი მიდგომა ეროვნული ეკონომიკის გადარჩენის საშუალებად მიიჩნია უმარავმა ქვეყანამ, რაც თითქმის დაურეგულირებელ სიტუაციას ქმნის მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში და დიდ შეშფოთებას იწვევს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მმართველ წრეებში.

კრიზისის ფონზე ბევრი ქვეყანა განიცდის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების ძლიერ დაცემას, სწრაფი ტემპებით იზრდება უმუშევრობა. პროტექციონისტური პოლიტიკის გამოყენება აქტიურად დაიწყო ვაჭრობისა და ინვესტირების სფეროში. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, რომელიც დაფიქსირდა „დიდი ოცეულის" სამიტზე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გამართულ შეხვედრებსა თუ მიმართვებში, პროტექციონიზმის ტენდენცია მაინც ძლიერდება. გართულდა სავაჭრო ურთიერთობების დარეგულირება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღიარებული წესრიგის ჩარჩოებში. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერების შემოღების უარყოფის შესახებ მიღებულ იქნა 2008 წლის ნოემბრის „დიდი ოცეულის" შეხვედრაზე, მსოფლიო მოიცვა საყოველთაო პროტექციონისტული ღონისძიებების ტალღამ როგორც რეაქციამ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისზე. დღეისათვის პროტექციონიზმი ვლინდება სხვადასხვა ფორმით. ზოგიერთი გამოკვლევით 600-ზე მეტი სახელმწიფო ღონისძიება გატარდა ამ თვალსაზრისით, მათგან დიდი ოცეულის ქვეყნებზე მოდის - 179. ყველა მათგანი არ არის ზიანის მომტანი კომერციული ინტერესებისთვის, მაგრამ პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე.

ფარული პროტექციონიზმის სახეები:

ზოგიერთი შეფასებით, არსებობს ფარული პროტექციონიზმის რამდენიმე სახე, რომელთა მეშვეობითაც ქვეყნებს შეუძლიათ ცალმხრივად შეზღუდონ იმპორტი ან ექსპორტი. მათ რიცხვშია:

- ტექნიკური ბარიერები — სავაჭრო პოლიტიკის ფარული მეთოდები, რომლებიც წარმოიქმნება იმის გამო, რომ ნაციონალური, ტექნიკური, ადმინისტრაციული და სხვა ნორმატივები და წესები ისეა მოწყობილი, რომ ხელი შეუშალონ საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანას. ტექნიკური ხასიათის ყველაზე გავრცელებული ბარიერებია — ნაციონალური სტანდარტების დაცვის მოთხოვნები, იმპორტული პროდუქციის ხარისხის სერტიფიკაციის მოთხოვნები, საქონლის სპეციფიკური შეფუთვის და მარკირების მოთხოვნები, გარკვეული სანიტარიულ-ჰიგიენული ნორმების დაცვა, გარემოს დაცვის ღონისძიებების გატარების ჩათვლით, გართულებული საბაჟო ფორმალობები და მომხმარებელთა დაცვის კანონის მოთხოვნების შესრულება და ბევრი სხვა. მაგალითად, საფრანგეთის მთავრობამ იმისთვის, რომ შეეზღუდა იაპონური ვიდეო კასეტების იმპორტი, გადაწყვიტა მთელი მათი პარტია გაეშვა ერთი ვიწრო საბაჟოთი პატარა ქალაქ უატიეში, რაც არ იძლეოდა ქვეყანაში მათი სწრაფი გაშვებისა საშუალებას. იგივე საფრანგეთი კრძალავდა შოტლანდიური ვისკის რეკლამას, ხოლო დიდი ბრიტანეთი უწესებს უცხოური ფილმების ჩვენების შეზღუდვას, ინგლისის ტელევიზიით. ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპორტირებული საქონელი უნდა იყოს მარკირებული ინგლისურ ენაზე, მკაფიო და ისეთი წარწერებით, რომლებიც გაყიდვის მომენტამდე არ იშლება და არ ირეცხება. კანადაში იგივე მოთხოვნებია, მხოლოდ წარწერები უნდა იყოს უკვე ინგლისურად და ფრანგულად. შვეიცარიაში სასურსათო და სააფთიაქო საქონლისთვის შეფუთვაზე უნდა იყოს მითითებული შიგთავსის დასახელება შვედურ და ფინურ ენებზე.

ტექნიკური ბარიერები ყოველთვის არ წარმოადგენს პროტექციონიზმის მეთოდს. ბევრ შემთხვევაში მათი შემოღება ნაკარნახევია არა იმდენად სურვილით, დაცული იქნას შიდა ბაზარი, რამდენადაც ქვეყნის მოსახლეობის დაცვაზე ზრუნვით. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში 1993 წლიდან მოქმედებს დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ, რომელიც ავალდებულებს სამომხმარებლო საქონლის მწარმოებლებს გამოუშვან ბაზარზე მხოლოდ ის საქონელი რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობისათვის.

მწარმოებელი ვალდებულია გააკეთოს მომხმარებლის ინფორმირება საქონლის გამოყენების რისკების შესახებ ინსტრუქციაში, მარკირების დროს, ეთიკაზე.

- შიდა გადასახადები და მოსაკრებლები.

გადასახადები, რომლებიც ძირითადად იდება იმპორტულ საქონელზე, მრავალგვარია და შეიძლება იყოს პირდაპირი (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზური გადასახადი, გაყიდვის გადასახადი) ან ირიბი (გადასახადები საბაჟო გაფორმებაზე, რეგისტრაცია და სხვა ფორმალობების შესრულება, საპორტო გადასახადები) შიდა გადასახადები და მოსაკრებლები თამაშობენ დისკრიმინაციულ როლს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ მათ უწესებრნ მხოლოდ იმპორტულ საქონელს, ამასთან ადგილობრივი მწარმოებლების საქონელი გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება. თუკი შიდა დაბეგვრის წესები ერთნაირია, როგორც ნაციონალური საქონლისთვის ასევე იმპორტულისთვის, მაშინ ასეთი პოლიტიკა შეიძლება განიხილებოდეს როგორც, თანაბარი სასტარტო პირობების შექმნის პოლიტიკა კონკურენტებისთვის ფასში და ხარისხში.

- პოლიტიკა სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში — სავაჭრო პოლიტიკის ფარული მეთოდი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებისგან და დაწესებულებისგან მოითხოვს გარკვეული საქონელი იყიდონ ნაციონალური ფირმებისგან მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი შეიძლება იყოს იმპორტზე ძვირი. ასეთი პოლიტიკის ტიპური ახსნა მდგომარეობს ნაციონალური უსაფრთხოების მოთხოვნებში. მაგალითად, ამერიკის მთავრობა 1933 წლის კანონის მიხედვით, რომელმაც მიიღო სახელწოდება აქტი „იყიდე ამერიკული", იხდიდა 12% მეტს, ხოლო თავდაცვითი საქონლისთვის 50% მეტს ამერიკელი მომწოდებლებისთვის უცხოელებთან შედარებით. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ბოლო დრომდე კავშირგაბმულობის საშუალებები იყო სახელმწიფოს ხელში, პრაქტიკულად არ იყო კავშირგაბმულობის მოწყობილობებით ვაჭრობა, რადგანაც სახელმწიფო ფირმებისაგან ითხოვდნენ ეყიდათ ასეთი მოწყობილობა მხოლოდ თავისი მწარმოებლისგან.
- ადგილობრივი კომპონენტების შენახვის მოთხოვნა არის სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკის ფარული მეთოდი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე აწესებს საბოლოო პროდუქტის წილს, რომელიც უნდა იყოს აღიარებული ნაციონალური მწარმოებლების მიერ, თუ ასეთი პროდუქტი გათვალისწინებულია შიდა ბაზარზე გასაყიდად. ჩვეულებრივ მოთხოვნა ადგილობრივი კომპონენტების შენახვის შესახებ გამოიყენება განვითარებად ქვეყნების მიერ იმპორტის შენაცვლების პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს იმპორტირებული საქონლის წარმოების ნაციონალური ბაზის შექმნას და ზრდას იმისთვის, რომ შემდგომში უარი ეთქვას იმპორტს. განვითარებული ქვეყნების მთავრობები სარგებლობენ მოთხოვნით ადგილობრივი კომპონენტების შენახვის შესახებ, იმისთვის რომ თავიდან აიცილონ წარმოების გადაადგილება განვითარებად ქვეყნებში უფრო იაფი მუშახელით და ამით შეინარჩუნონ დასაქმების დონე.

ამრიგად, ფარული პროტექციონიზმის მეთოდები არასაბაჟო ხასიათის მრავალგვარი ბარიერებია, რომლებიც წარმოდგებიან სახელმწიფო ცენტრალური ორგანოების და ადგილობრივი ხელისუფლების მიერაც ვაჭრობის ბაზარზე. მათ რიცხვში შედის ტექნიკური ბარიერები, ნაციონალური სტანდარტების დაცვის მოთხოვნები, იმპორტირებული პროდუქციის ხარისხის სერტიფიკატების მიღების შესახებ, საქონლის სპეციფიკური შეფუთვის და მარკირების შესახებ, გარკვეული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ; შიდა გადასახადები და მოსაკრებლები, (დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზები, გაყიდვის გადასახადი) სახელმწიფო შესყიდვები უპირატესად ადგილობრივი პროდუქციის და უცხოურის მიმართ დისკრიმინაცია; წარმოებულ საქონელში ადგილობრივი კომპონენტების შენახვის მოთხოვნა, იმისთვის რომ შეინარჩუნონ დასაქმებულობა და შეზღუდონ იმპორტი.

პროტექციონიზმის გამართლება შეიძლება შემდეგი არგუმენტებით: დაცვას საჭიროებენ ახალი არაკონკურენტუნარიანი დარგები, რათა ისინი ჩანასახშივე არ ჩაკვდნენ. საერთაშორისო კონკურენციისგან დაცული დარგები კი მიიზიდავენ კაპიტალსა და შესაძლებელი იქნება ეროვნული მრეწველობის განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია გამოდის ინიციატივით: შემცირდეს ან საერთოდ გაუქმდეს ვაჭრობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები, უმეტესი მათგანი მაინც იყენებს პროტექციონისტულ პოლიტიკას, რათა დაიცვან ქვეყნის შიგნით არსებული ეროვნული ბაზარი, ასევე სამამულო კომპანიებისათვის საგარეო ბაზარზე კონკურენციული უპირატესობის ხელშეწყობა უზრუნველყონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები თბ., 2010.
2. Шербанин Ю.А., Мировая экономика, Учебник. М., 2007.
3. Киреев А., Международня экономика., М., 1998.
4. S.J. Evenett, Crisis-era protectionism one year after the Washington G20 meeting, The Great Trade Collapse: Causes, Consequences and Prospects, 2009, A Vox-EU.org Publication.
5. http://www.economy.ge
6. http://theworldeconomy.org
7. http://wn.com

ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის აუცილებლობა

***ნინო ფაილოძე**, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
***ანა კობიაშვილი**, სტუ-ს პროფესორი*
***კონსტანტინე რამაზაშვილი**, სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ინფორმატიზაცია მოითხოვს ინფორმაციის ყოველ¬მხრივ განზოგადებას და კომპლექსურ მაჩვენებელთა გაერთიანებას კომერციულ საიდუმლოებათა დაცვით. ამდენად, ოპერატიული, პირველადი მონაცემები, მათი ბუღალტრულ-სტატისტიკურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში განზოგადებული მაჩვენებლები თანამედროვე ეკონომიკაში ხდება ერთიანი ეკონომიკური ინფორმაციის შემადგენელი ნაწილი. თუ დღემდე იხმარებოდა სამეურნეო აღრიცხვის გაგება, დღეს ის გვევლინება ინფორმატიზაციის სახით უფრო კომპლექსური და გაფართოებული.

საკვანძო სიტყვები: აღრიცხვის კომპიუტერიზაცია, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საერთაშორისო სტანდარნტები, დაფინანსების წყაროები.

Summary

The modern economy informatization requires the generalization of the information access to information in all aspects and unification of complex indexes in order to protect commercial secrets. Thus, the operative, the primary datas, statistical accounting of their accounts in a single generalized indicators of economic information become an integral part of the modern economy. If you put up an understanding of the economic census, the day he comes across as a more complex and advanced informatization.

Keywords: accounting computerization, information security, international standards, funding sources.

შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვა არის საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების, სამეურნეო ფაქტების ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის თავმოყრის, დაჯგუფებისა და გადაცემის სისტემა, საბოლოოდ ფულად საზომ ერთეულში განზოგადებული სახით.

ბუღალტრული აღრიცხვა ქმნის საინფორმაციო სისტემას სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შესახებ. საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისი ქონება და მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები, სამეურნეო საქმიანობის საბოლოო ფინანსური შედეგი.

ბუღალტრული აღრიცხვისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა საწარმოს დაარსებიდან მიმდინარე პერიოდამდე მიმდინარე ოპერაციების განუწყვეტელი აღრიცხვა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

ეს გარემოებები განსაზღვრავს ბუღალტრულ აღრიცხვაში რეფორმების მიმართულებას. რეფორმები პერმანენტულად, უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს. ბიზნესპროცესების ავტომატიზაცია, ბიზნესუწყვეტობის და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა წარმოადგენს მიზნის მიღწევის უმაღლეს შედეგს.

ნებისმიერი სახის ორგანიზაცია თუ საწარმო აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას. საწარმო (ორგანიზაცია) ვალდებულია შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება საწარმოში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესში. თანამედროვე პირობებში ფირმის წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მოწესრიგებული, საერთაშორისო სტანდარნტების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება. ეს კი შესაძლებელია განხორიცელდეს აღრიცხვა - ანგარიშგების ავტომატიზაციის გზით.

ძირითადი ნაწილი

ბუღალტრული აღრიცხვა არის გადამწყვეტი ფუნქცია ყველა დიდი თუ მცირე ბიზნესისათვის. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამებები წარმოადგენს პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის ერთობლიობას, ასევე მონაცემთა ბაზას, რომელსაც ფირმა იყენებს საოპერაციო საქმიანობის რეალურ დროში ჩასაწერად. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამებით არის შესაძლებელი საბუღალტრო ჩანაწერების შესრულება. კომპიუტერიზებული სისტემის გამოყენება დამოკიდებულია

კონკრეტულ საბუღალტრო საქმიანობაზე.

თანამედროვე საბაზარო ურთიერთობები ითვალისწინებენ მაღალ მოთხოვნებს ინფორმაციის სიზუსტეზე, სისრულესა და ხარისხზე. სამეურნეო სუბიექტის (საწარმოს) წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მართვის სისტემა, რომელიც მისი ყველა სტრუქტურული ელემენტის, განყოფილების საქმიანობის დაგეგმვას და კოორდინირებას ახსნის. ამის გარეშე შეუძლებელია ეფექტური მარკეტინგული, ფინანსური, საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობის წარმართვა.

ფინანსურ აღრიცხვაში თავს იყრის ინფორმაცია საწარმოს მიმდინარე ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შესახებ, ფინანსური ინვესტიციებისა და მათგან მიღებული შემოსავლების შესახებ, დაფინანსების წყაროების მდგომარეობის შესახებ და ა.შ., რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების შესადგენად. ფინანსური ანგარიშგება ქვეყნდება და გამიზნულია როგორც საწარმოს ადმინისტრაციის, ასევე გარე მომხმარებელთა მიერ გამოყენებისათვის.

ფინანსური აღრიცხვა სამეურნეო მოვლენების ჩაწერის, შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში განზოგადების საშუალებას იძლევა, მისთვის დამახასიათებელია ინფორმაციის მომზადება შიდა და გარე მომხმარებლისათვის, ორადი ჩაწერის სისტემის გამოყენება, ბუღალტრული აღრიცხვისთვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებისა და ნორმების სავალდებულო დაცვა, სამეურნეო ფაქტებისა და ნორმების ფულადი საზომი ერთეულით ასახვა და სრული სიზუსტე.

ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია მხოლოდ ფაქტიური, რეალური მონაცემებია, ობიექტური ხასიათი აქვს და დასრულებულ ოპერაციებს ასახავს. ფინანსური აღრიცხვა ინფორმაციას განსხვავებული სახით წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა წარმოებს რეგულარულად, მკაცრად განსაზღვრული პირობების მიხედვით, მაგალითად, წელიწადში ერთხელ.

ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც ეფუძნება საინფორმაციო სისტემებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერიზაციას, სადაც ცირკულირებენ ეკონომიკური ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადები, რომლებიც გამოიყენებიან მართვის ოპტიმიზაციის საკითხების გადაწყვეტისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის ამოცანებია:

- ბუღალტრული აღრიცხვის დაგეგმვის და საფინანსო — სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ამოცანების მთელი კომპლექსის ავტომატიზირებული გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
- კომპანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ საიმედო ოპერატიული ინფორმაციის მიღება და მის საფუძველზე აუცილებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება;
- ერთიანი პირველადი ინფორმაციის საფუძველზე ოპერატიული, ბუღალტრული და სტატისტიკური აღრიცხვის ინტეგრაცია;
- უკუკავშირებისთვის უტყუარი და საიმედო ინფორმაციის მოპოვება მართვის ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის შესახებ, რომლის გამოიყენებაც არის შესაძლებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად;
- პირველადი აღრიცხვის სტადიიდან დაწყებული მთელი ტექნოლოგიური პროცესის დამუშავების ავტომატიზაცია.

ბუღალტრული აღრიცხვა საქართველოში თანთადანობით პასუხობს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ბუღალტრის ახალი უნარ—ჩვევების ჩამოყალიბებას და განვითარებას. ბუღალტერი უკვე არ არის ვიწრო სპეციალისტი, ხოლო მისი საქმიანობის სფერო მნიშვნელოვნად ფართოვდება.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბუღალტერი უნდა ფლობდეს ოპერატიულ, საბუღალტრო აღრიცხვის და საფინანსო ანალიზის თანამედროვე მეთოდებს. ახალ რეალობაში მას შეიძლება ეწოდოს "ფინანსური მენეჯერი", "ბუღალტერი—ანალიტიკოსი". მუშაობის ახალი მეთოდების დაუფლება შეუძლებელია კომპიუტერული ტექნიკის ფართო გამოყენების გარეშე, ბუღალტერი უშუალოდ მონაწილეობს გამოთვლით პროცესებში და ღებულობს მათზე მთლიან პასუხისმგებელობას. საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერიზაცია გულისხმობს კომპიტერზე სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის განთავსებას და შემდგომში მთელი ბუღალტერიის კომპიუტერზე გადაყვანას. ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემები ამაღლებენ ბუღალტრის შრომის მწარმოებლობას, ამცირებენ "ადამიანური ფაქტორის" გავლენას, ანგარიშგების შედგენის და დოკუმენტაციის წარმოების ხანგრძლივობას.

ამგვარად, ბუღალტრული აღრიცხვა თანამედროვე ეტაპზე არის:

- საინფორმაციო სისტემა, რომელიც თავს უყრის ფინანსურ ინფორმაციას სამეურნეო სუბიექტის შესახებ;
- ეკონომიკური მონაცემების შეგროვების, შეფასების, განზოგადოების და გაფორმების სისტემა;
- მისი მონაცემები აუცილებელია შეზღუდული რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის.

ქართულ საინფორმაციო ბაზარზე წარმოდგენილია დიდი რაოდენობის ადგილობრივი და საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემები.

ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების დანერგვა წარმოებაში არ წარმოადგენს მარტივ ამოცანას. მისი წარმატებით განხორციელებისათვის წარმოებაში უნდა გააჩდეთ ამ პროცესის პრობლემების მკაფიო გაგება.

წარმოებაში ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების დანერგვა ხშირად პრობლემებთან არის დაკავშირებული.

წარმოებაში ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების დანერგვას საგრძნობლად ართულებას საგადამხდელო, ანგარიშგების და აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილებები. ამ პრობლემის გადასაჭრელად არჩევანი უნდა გაკეთდეს ისეთ საინფორმაციო სისტემებზე, რომლებსაც გააჩნიათ მეტი მოქნილობა და საშუალებას იძლევიან უკეთ ასახონ გარეშე პირობების ცვლილებები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - ეს არის კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციისათვის აუცილებელია საინფორმაციო სისტემების მომხმარებელი თანამშრომლებისთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება.

აღსანიშნავია ასევე ის პრობლემები, რომლებიც წარმოიშვება წარმოებაში ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების დანერგვის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ დანერგვა განახორციელდა ამ სფეროში მომუშავე სპეციალიზირებული გარე ორგანიზაციის მიერ, დიდი პრობლემა შეიქმნება სისტემის მხარდაჭერის უზრუნველყოფაში მოწვეული კონსულტანტის წასვლის შემდეგ. რადგანაც ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, ხოლო საგადამხდელო ორგანოებში ანგარიშგების წარდგენა აუცილებელი პროცედურაა. მიზანშეწონილია წარმოებაში თანამშრომლის არსებობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემის მომსახურეობაზე და მის შემდგომ განვითარებაზე.

ყველა ზემოთჩამოთვლილმა პრობლემამ შეიძლება გამოიწვიოს ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემის დანერგვაზე დანახარჯების გაზრდა, რაც საგრძნობლად შეამცირებს მისი დანერგვის ეკონომიკურ ეფექტურობას. სწორედ ამიტომ არის მიზანშეწონილი ამ პრობლემების გააზრება პროექტის მომზადების სტადიაზე და შეძლებისდაგვარად მათი გადაწყვეტა ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემის დანერგვის საწყის ეტაპზე.

დასკვნა

ბოლო წლების მანძილზე საქართველოში მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების ბაზრის სტრუქტურაში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე არსებობს მრავალი ბუღალტრული პროგრამა წარმოებებისათვის მათი არჩევის ამოცანა ძალიან რთულია.

ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების შეძენას და დანერგვას სჭირდება მნიშვნელოვანი ფინანსური და მატერიალური რესურსები. რესურსების დანახარჯებს ასევე მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების პრაქტიკული გამოყენება. ანუ, ერთის მხრივ, ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაცია წარმოადგენს წარმოებისათვის ობიექტურ აუცილებლობას, ხოლო, მეორეს მხრივ, სწორად რომ იქნას შერჩეული ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა აუცილებელია წარმოებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნების და ბაზარზე არსებული საინფორმაციო სისტემების სიღრმისეული ცოდნა. ამ ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტა კი მნიშვნელოვნად განაპირობებს იმ თანა¬მედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომლებიც ნაეყენება წარმოებაში ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ფაილოძე, ჯ. ალანია, ზ. ლიპარტია, ვ. კეკენაძე, ო. ხუციშვილი, გ. სულაშვილი. საბუღალტრო საქმე. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2013. გვ.360;
2. კომპანია „ქართული პროგრამული სისტემები“ http://www gss.ge;
3. Хохлов А. Е. “Экономические и бухгалтерские информационные системы”;
4. http://do.pnzgu.ru/depozit/Lektsii.pdf;
5. Ильина О.П. Информационные технологии бухгалтерского учета: Учебник. СПб.: Питер, 2002. — 688 с.;
6. Марк Додж, Крейг Стинсон, Эффективная работа с Microsoft Excel 2000. Санкт-Петербург, Москва, 2001.

მდგრადობის პრობლემა ეკონომიკურ სისტემებში

ოლგა ხუციშვილი, *სტუ-ს უნივერსიტეტი*
თეა ხუციშვილი, *სტუ-ს უნივერსიტეტი*
ბესარიონ ციხელაშვილი, *სტუ-ს უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ლეონტიევის დარგთაშორისი ბალანსის მოდელის არაწრფივი ვარიანტი, მრავალდარგოვანი ეკონომიკის ფუნქციონირების ანალიზისათვის. ამისათვის განხილება საწარმოო კოეფიციენტების დაზუსტებული ფორმა. აღწერილი მოდელისათვის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ კოეფიციენტების მნიშვნელობათა ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური სისტემების მდგრადობაზე. კვლევების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორდარგიანი დინამიკური მოდელის არაწფივი ვარიანტისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას კატასტროფების თეორია.

ჩვენი ამოცანაა შევქმნათ კონკრეტული წარმოდგენა ეკონომიკური სისტემების მდგრადობაზე, აღმოვაჩინოთ გამოსაკვლევი მოვლენის ისეთი განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც ჩნდებიან ეკონომიკურ სისტემაში კრიტიკულ მდგომარეობაზე გადასვლის შემთხვევაში. ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა შეგვიძლია განვიხილოთ ურთიერთქმედი კავშირების ერთობლიობად. ამ კავშირების შეცვლის კონკრეტული მიზეზი, რომელსაც საბოლოო კრიზისამდე მივყავართ შეიძლება იყოს როგორც ცალკეული ფაქტორების, ასევე რიგი ფაქტორების ერთობლივი მოქმედება. ამ ფაქტორების გავლენით შეიძლება სისტემა მივიდეს კრიტიკულ მდგომარეობამდე. კრიტიკულ მდგომარეობაზე გადასვლა ხასიათდება კრიტიკული წერტილით. კრიტიკულ წერტილზე ხდება გადასვლა ერთი სისტემიდან მეორეზე. განმასხვავებელ ნიშნად ამ გადასვლისას შეიძლება ჩაითვალოს ხარისხობრივი გარდაქმნა, როცა იცვლება სისტემის ელემენტების ნაკრები ან კავშირი მათ შორის.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური სისტემა, წონასწორობის წერტილი, ფაზური ტრაექტორია, სისტემის მდგრადობა.

Summary

Nonlinear version of inter-branch balance model of Leontev is analyzed in the work, for analysis of multi-field economical function . Defined form of production coefficient is discussed for it. For the described model as a result of analysis it is determined that changing of coefficient meanings makes the important influence on steadiness of economical systems. As a result of researches we can conclude, that the catastrophe theory might be used for nonlinear versions of two-branch dynamic model.

Our mission is to create the concrete opinion on steadiness of economical systems, to find out such particular features of searching occurrences, which are appeared in economical system in case of transition into the critical condition. We can consider any economical system as the unity of interaction connections. The concrete reason of changing these connections, with which we are brought to the final crisis, might be the unity action of as separate factors as several factors. The system might be come to the critical situation by influence of these factors. Transition from one system to the second one is made on critical point. At the time of such transition the qualitative transformation might be deemed as distinctive mark, when the collection of system elements or connection between them is changed.

დარგთაშორისი ბალანსის ლეონტიევის მოდელის არსი შემდეგია, განვლილი წლის დარგთაშორისი ბალანსის საფუძველზე ცალკეული დარგების პრიორიტეტული განვითარების აუცილებლობის პირობებში, სწორად დაიგეგმოს მიმდინარე წლის პროდუქციის საერთო მოცულობა. ლეონტიევის წრფივი დინამიკური განტოლებები ფართოდ გამოიყენება მრავალდარგოვანი ეკონომიკის ფუნქციონირების ანალიზისათვის. თუმცა უმრავლეს შემთხვევებში მიზანშეწონილია განხილულ იქნას დარგთაშორისი კავშირები მცირე რაოდენობის დარგებისათვის შესაბამისი ინტეგრალური მაჩვენებლებით, ამასთან საჭიროა მოდელის დაზუსტება არაწრფივი ეფექტების გათვალისწინებით.

განვიხილოთ ლეონტიევის დინამიკური განტოლებების ორდარგიანი ეკონომიკის შემდეგი ვარიანტი:

$$x_1 - z_1(x_1) - a_{12}\, x_2 = \upsilon_1 \frac{dx_1}{dt} + \upsilon_{12} \frac{dx_2}{dt} + y_1(x_1),$$

$$-a_{21}\, x_1 + x_2 - z_2(x_2) = \upsilon_{21} \frac{dx_1}{dt} + \upsilon_2 \frac{dx_2}{dt} + y_2(x_2).$$

სადაც $x_1,\ x_2$ - დარგების მთლიანი გამოშვებული პროდუქიის მოცულობაა ფულად გამოსახულებაში, $z_1(x_1)$ - პირველი დარგის პროდუქციის მოცულობა, რომელიც გამოიყენება ამავე სექტორის წარმოებ-

ის მოთხოვნებისათვის, $a_{12}x_2$ - პირველი დარგის პროდუქციის ის მოცულობა, რომელიც გამოიყენება მეორე დარგის მოთხოვნებისათვის, $y_1(x_1)$ - პირველ დარგისათვის დარჩენილი თავისუფალი პროდუქციის მოცულობა ფულად გამოსახულებაში, $a_{21}x_1$ - მეორე დარგის პროდუქციის ის მოცულობა, რომელიც გამოიყენება პირველი დარგის მოთხოვნებისათვის, $z_2(x_2)$ - მეორე დარგის პროდუქციის მოცულობა, რომელიც გამოიყენება ამავე სექტორის წარმოების მოთხოვნებისათვის, $y_2(x_2)$ - მეორე დარგისათვის დარჩენილი თავისუფალი პროდუქციის მოცულობა ფულად გამოსახულებაში, $\upsilon_{11}, \upsilon_{12}, \upsilon_{21}, \upsilon_{22}$ - ფონდტევადობის კოეფიციენტები. წრფივი განტოლებებისაგან განსხვავება მდგომარეობს შესაკრებებში $z_1(x_1)$, $y_1(x_1)$, $z_2(x_2)$, $y_2(x_2)$, რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდეს თავისი არგუმენტების არაწრფივი ფუნქციებს. ვთვლით, რომ ურთიერთკავშირები ორ დარგს შორის წრფივი დამოკიდებულებისაა, ასევე წრფივია დინამიური წევრები, რომლებიც ორივე დარგზე ინვესტიციების გავლენას ახასიათებს.

ჩავწეროთ ფუნქციები $z_1(x_1)$, $z_2(x_2)$ შემდეგ ფორმაში $z_i = \beta_{i0} + \beta_{i1}x_i + \beta_{i2}x_i^2 \qquad (i = \overline{1,2})$.

ჩანაწერში მუდმივი შესაკრები β_{i0} არის დანახარჯები, რომლებიც არაა დამოკიდებული მოცემული დარგის წარმოების მოცულობაზე. წრფივ შესაკრებს $\beta_{i1}x_i$ აქვს ლეონტიევის განტოლებისათვის ჩვეულებრივი აზრი და აჩვენებს ხარჯებს, რომელიც წარმოების მოცულობის პროპორციულია. კვადრატული წევრი $\beta_{i2}x_i^2$ ასახავს სიტუაციას, როდესაც წარმოების ხარჯები იცვლება წარმოების მოცულობის არაპროპორციულად. მაგალითად, როდესაც დამატებითი შეკვეთის შესასრულებლად საჭირო საწარმოო მოწყობილობების არსებობა მოითხოვს მცირე დანახარჯებს, ამ შემთხვევაში $\beta_{i2} < 0$. ან პირიქით, დამატებითი შეკვეთის შესასრულებლად საჭირო საწარმოო მოწყობილობების არ არსებობა მოითხოვს დიდ დანახარჯებს, ამ შემთხვევაში $\beta_{i2} > 0$.

ანალოგიური ფორმით წარმოვადგინოთ $y_1(x_1)$ და $y_2(x_2)$ გამოსახულებები

$$y_i = b_{i0} + b_{i1}x_i + b_{i2}x_i^2 \qquad (i = \overline{1,2})$$

შესაკრები $b_{i1}x_i$ გვიჩვენებს ლეონტიევის განტოლებისათვის ჩვეულებრივ დამოკიდებულებას წარმოების მოცულობასა და თავისუფალი სახსრების რაოდენობას შორის. მუდმივი შესაკრები b_{i0} ასახავს არასაწარმოო დანახარჯებს, რომლებიც არაა დამოკიდებული წარმოების მოცულობაზე, მაგალითად სოციალური ხარჯები. $b_{i2}x_i^2$ შესაკრები შეიძლება ასახავდეს მაგალითად პროგრესირებად გადასახადებს (როცა $b_{i2} > 0$). თუ შემოვიტანთ აღნიშვნებს

$$f_1(x_1,x_2) = x_1 - z_1(x_1) - y_1(x_1) - a_{12}x_2 = -\beta_{10} - b_{10} + (1 - \beta_{11} - b_{11})x_1 - (\beta_{12} + b_{12})x_1^2 - a_{12}x_2$$

$$f_2(x_1,x_2) = -a_{21}x_1 + x_2 - z_2(x_2) - y_2(x_2) = -a_{21}x_1 - \beta_{20} - b_{20} + (1 - \beta_{21} - b_{21})x_1 - (\beta_{22} + b_{22})x_2^2$$

$$\upsilon_{11}\frac{dx_1}{dt} + \upsilon_{12}\frac{dx_2}{dt} = f_1(x_1,x_2),$$

$$\upsilon_{21}\frac{dx_1}{dt} + \upsilon_{22}\frac{dx_2}{dt} = f_2(x_1,x_2) \qquad (1)$$

მივიღებთ

თუ ამოვხსნით (1) სისტემას $\frac{dx_1}{dt}$, $\frac{dx_2}{dt}$ წარმოებულების მიმართ. მივიღებთ

$$\frac{dx_1}{dt} = \frac{\upsilon_{22} f_1(x_1,x_2) - \upsilon_{12} f_2(x_1,x_2)}{\upsilon_{11}\upsilon_{22} - \upsilon_{12}\upsilon_{21}} = h_1(x_1,x_2),$$

(2)

$$\frac{dx_2}{dt} = \frac{-\upsilon_{21} f_1(x_1,x_2) - \upsilon_{11} f_2(x_1,x_2)}{\upsilon_{11}\upsilon_{22} - \upsilon_{12}\upsilon_{21}} = h_2(x_1,x_2) \quad \upsilon_{11}\upsilon_{22} - \upsilon_{12}\upsilon_{21} \neq 0$$

.

არაწრფივი განტოლებათა სისტემა (2) ამოიხსნება რიცხვითი მეთოდების გამოყენებით კომპიუტერზე. x_1, x_2 -ის მუდმივი მნიშვნელობების შემთხვევაში (2) განტოლებებიდან მივიღებთ წონასწორობის განტოლებებს $h_1(x_1,x_2) = 0$; $h_2(x_1,x_2) = 0$

ეს განტოლებები ანალოგიურია განტოლებების $f_1(x_1,x_2) = 0$; $f_2(x_1,x_2) = 0$ (3)





ე.ი. სტატიკური ლეონტიევის განტოლებების. (3) სახის განტოლებების ამოსახსნელად განვიხილოთ მათი გრაფიკული ფორმა სიბრტყეზე x_1, x_2. (3) განტოლებებიდან პირველს შეესაბამება პარაბოლა ვერტიკალური ღერძით, ხოლო მეორეს –

პარაბოლა ჰორიზონტალური ღერძით. პარაბოლების ურთიერთგანლაგებაზე დამოკიდებულებით მათი გადაკვეთის წერტილები, რომლებიც შეესაბამებიან (3) განტოლების ამონახსნებს, შეიძლება იყოს განსხვავებული. გადაკვეთის წერტილები შესაძლებელია არ არსებობდეს (ნამდვილი ამონახსნების არ არსებობა), ან უმეტეს შემთხვევაში არსებობდეს ოთხი გადაკვეთის წერტილი (ოთხი ამონახსნი). ნახაზ 1 და ნახ. 2-ზე მოცემულია გამოსახულებები ორი და ოთხი ამონახსნის შემთხვევაში.

წერტილები შეესაბამებიან სისტემის წონასწორობის მდგომარეობას და წარმოადგენენ განსაკუთრებულ წერტილებს სიბრტყეზე x_1, x_2. ეს წერტილები ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ფაზური ტრაექტორიების სახეზე.

$\upsilon_{11}\upsilon_2 - \upsilon_{12}\upsilon_1$ გამოსახულების უარყოფითი მნიშვნელობა აჩვენებს ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როდესაც დარგები უფრო კარგად ითვისებენ საკუთარ ინვესტიციებს, ვიდრე ერთმანეთის. ამასთან ეკონომიკური სისტემის მდგრადობა უფრო მკვეთრად უმჯობესდება.



განვიხილოთ რამდენიმე მახასიათებელი მაგალითი. სისტემის ოთხი წონასწორული მდგომარეობის არსებობისას და პირობით $\upsilon_{11}\upsilon_2 - \upsilon_{12}\upsilon_1 > 0$ ფაზურ ტრაექტორიებს აქვთ ნახ. 3-ზე მოცემული სახე. ფაზური ტრაექტორიებიდან ნათლად ჩანს, რომ წერტილი $(x_{1,1};\ x_{2,1})$ წარმოადგენს არამდგრად კვანძს. წერტილის მიდამოდან აღებული ნებისმიერი საწყისი პირობის შემთხვევაში ხდება დაშორება ამ წერტილიდან. წერტილი $(x_{1,2};\ x_{2,2})$ წარმოადგენს მდგრად კვანძს. ნებისმიერი საწყისი პირობისათვის წერტილის მიდამოდან ხდება მიახლოება ამ წერტილთან. $(x_{1,3};\ x_{2,3})$ და $(x_{1,4};\ x_{2,4})$ წერტილები წარმოადგენენ უნაგირის ტიპის არამდგრად განსაკუთრებულ წერტილებს. ფაზური ტრაექტორიები გადის მის ახლოს.



ნახ. 3-ზე მოცემული სურათი საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ეკონომიკური სისტემების ევოლუციის ვარიანტები. თუ ეკონომიკური სისტემა საწყის ეტაპზე იმყოფება არამდგრად $(x_{1,1};\ x_{2,1})$ მდგომარეობაში წარმოების მცირე მოცულობით, მას შეუძლია გადავიდეს $(x_{1,2};\ x_{2,2})$ მდგრად მდგომარეობაში, წარმოების დიდი მოცულობით. ამისათვის საჭიროა გადაადგილება მკაცრად შესაბამისი წრფის გასწვრივ. ამ წრფიდან მცირე გადახრის შემთხვევაში ფაზური ტრაექტორიები გადის უნაგირის ტიპის განსაკუთრებული წერტილთან ახლოს და აღწევს მდგრად მდგომარეობას $(x_{1,2};\ x_{2,2})$. მაგრამ ამ ვიწრო "კორიდორის" საზღვრებიდან გასვლის შემთხვევაში შეუძლებელი ხდება $(x_{1,1};\ x_{2,1})$ წერტილიდან გადასვლა $(x_{1,2};\ x_{2,2})$ მდგომარეობაში, არამედ მიღება x_1 ან x_2-ის უარყოფითი მნიშვნელობა ე.ი. ხდება ეკონომიკური სისტემის რღვევა.



$\upsilon_{11}\upsilon_2 - \upsilon_{12}\upsilon_1 < 0$ შემთხვევაში განსაკუთრებული წერტილების მდებარეობა იგივეა, თუმცა მათი ხასიათი არსებითად განსხვავებულია. წერტილები $(x_{1,1};\ x_{2,1})$ და $(x_{1,2};\ x_{2,2})$ ხდება უნაგირის ტიპის, ხოლო წერტილები $(x_{1,3};\ x_{2,3})$ და $(x_{1,4};\ x_{2,4})$ წარმოადგენენ ფოკუსებს.

განვიხიოთ შემთხვევა ორი წონასწორული მდგომარეობით (ნახ. 1). $\upsilon_{11}\upsilon_2 - \upsilon_{12}\upsilon_1 > 0$ პირო-

ბისას (2) განტოლების რიცხვითი ინტეგრირებით მიიღება ფაზურ ტრაექტორიები, რომელთაც აქვთ ნახ. 5-ზე მოცემული სახე. წონასწორობის მდგომარეობა, რომელიც მოიცემა $(x_{1,1};\ x_{2,1})$ წერტილით წარმოადგენს არამდგრად კვანძს, ხოლო მდგომარეობა რომელიც მოიცემა $(x_{1,2};\ x_{2,2})$ წერტილით წარმოადგენს – უნაგირს. ამგვარად ორივე წონასწორული მდგომარეობა არამდგრადია.



$\upsilon_{11}\upsilon_{22} - \upsilon_{12}\upsilon_{21} < 0$ შემთხვევაში ფაზურ სიბრტყეს აქვს ნახ. 6-ზე მოცემული სახე. მდგომარეობა $(x_{1,1};\ x_{2,1})$ წარმოადგენს – უნაგირს, ხოლო მდგომარეობა $(x_{1,2};\ x_{2,2})$ წარმოადგენს მდგრად კვანძს. ამიტომ სისტემის გამოსვლით $(x_{1,1};\ x_{2,1})$ მდგომარეობიდან და x_1 ან x_2-ის მნიშვნელობათა ზრდით აუცილებლად გამოიწვევს სისტემის გადასვლას ახალ წონასწორულ მდგომარეობაში.

ამგვარად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ამ შემთხვევისათვის სისტემის მდგრადობის თვალსაზრისით მოსახერხებელია შემთხვევა, როდესაც $\upsilon_{11}\upsilon_{22} - \upsilon_{12}\upsilon_{21} < 0$

წონასწორობის მდგომარეობის არ არსებობის შემთხვევას არ განვიხილავთ, რადგან ასეთ შემთხვევას მივყავართ ეკონომიკური სისტემის რღვევასთან.

ყურადღება მივაქციოთ, რომ სისტემის გადასვლა, შედარებით დიდი რაოდენობის წონასწორული მდგომარეობიდან რიცხობრივად მცირე რაოდენობის წონასწორული მდგომარეობაში, ხდება ნახტომისებურად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკური სისტემის გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში ხდება ნახტომისებურად. რაოდენობრივი პარამეტრების ცვლილებისას სისტემის მდგომარეობის ასეთ ნახტომისებურ ცვლილებას კი შეისწავლის კატასტროფების თეორია.

ამიტომ კრიტიკული მდგომარეობის მოხერხებულ მოდელს გვაძლევს მათემატიკური კატასტროფების თეორია. ერთი და იგივე პარამეტრის ცვლილებისა, ყველაზე ახლოს მდებარე საწყისი მდგომარეობისას, სისტემა შეიძლება წავიდეს ერთმანეთისაგან დაშორებულ საბოლოო მდგომარეობაში

კვლევების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორდარგიანი დინამიკური მოდელის არაწფივი ვარიანტისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას კატასტროფების თეორია. ამ თეორიის მეთოდიკის გამოყენება, პარამეტრების რეალური მაჩვენებლებისათვის, შესაძლებელს გახდის მივიღოთ გაფრთხილება არასასურველი ეკონომიკური მოვლენების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მართვის თეორია. სინერგეტიკა, ტ.3, პროფ. ა. გუგუშვილის და პროფ. რ. ხუროძის რედაქციით. –თბილისი.: სტუ-ს გამომცემლობა, 2000. -869გვ.
2. თ. ობგაძე. ‘‘მათემატიკური მოდელირების კურსი (უწყვეტი მათემატიკური მოდელები)’’, ტომი 1, აკად. ა.ფრანგიშვილის რედაქციით, მონოგრაფია, თბილისი, სტუ-ს გამომცემლობა, 2006, 100გვ.
3. Хакен Г. Синергетика. Иерархия неустойчивостей в самоорганизующихся системах и устройствах. -М.: Мир, 1985. -420с.
4. Арнольд В. И. Теория катастроф. -М.: Наука. 1990.-128с.

ბიზნესის ღირებულების შეფასების პრაქტიკა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში

რატი ბაკურაძე *- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი*

ზურაბ ლიპარტია *- ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი*

რეზიუმე

ბიზნესის ღირებულების შეფასების პრაქტიკა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში

რატი ბაკურაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

ზურაბ ლიპარტია - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

წინამდებარე სტატიაში განხილულია ბიზნესის ღირებულების შეფასების საერთაშორისო გამოცდილება და საშემფასებლო მიდგომები, როგორიცაა: შედარების, შემოსავლებისა და დანახარჯების მიდგომა, რომლებიც წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ ანალიტიკურ მეთოდოლიგიას და საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს შესაფასებელი ობიექტის განსაკუთრებულ მახასიათებლები და თავისებურებები.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პარალელურად საქართველოში აქტუალური ხდება ბიზნესის ღირებულების შეფასება, რისთვისაც საჭიროა საფუძვლიანად იქნას შესწავლილი განვითარებული ქვეყნების გამოცდილება არსებულ საკითხთან დაკავშირებით. სტატიაში, შემოთავაზებულია ბიზნესის შეფასების საზღვარგარეთული ქვეყნების პრაქტიკა და კონცეფციურ-მეთოდოლოგიური ასპექტები შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებისა (ფასს) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) სხვადასხვა საფუძვლები სხვადასხვანაირად აფასებს ბიზნესის ღირებულებაში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს. ზოგიერთი საფუძვლების მიხედვით, იმის განსაზღვრა, თუ როგორ განხორციელდეს რეალური ღირებულების აღრიცხვა, დამოკიდებულია ხელმძღვანელი პირების განზრახვაზე, სპეციფიკური აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ გარკვეული ქმედებების კურსის გატარების შესახებ. საერთაშორისო სტანდარტებით (ასს №540 "სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის, რეალური ღირებულების სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების აუდიტი") ხშირად მოითხოვს რეალური ღირებულების გარკვეულ სპეციფიკურ შეფასებებსა და განმარტებებს განსხვავებული ხარისხით.

* * * * * *

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პარალელურად საქართველოში აქტუალური ხდება ბიზნესის ღირებულების შეფასება, რისთვისაც საჭიროა საფუძვლიანად იქნას შესწავლილი განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.

ეკონომიკური თეორიის განვითარების კვალობაზე ევოლუციას განიცდიდა შეფასებითი საქმიანობაც და მისი სეგმენტირება სხვადასხვა მიმართულებებით. 1981 წელს დაფუძნდა დაფუძნდა "აქტივების შეფასების საერთაშორისო კომიტეტი", რომელსაც 1994 წელს შეეცვალა სახელწოდება და "შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი ეწოდა". დღესდღეობით ეს კომიტეტი აერთიანებს 50-ზე მეტი ქვეყნის შემფასებელთა ეროვნულ გაერთიანებას. მისი უმთავრესი ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სტანდარტების ურთიერთშეთანხმება და შეფასების სტანდარტების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მისაღები და ეფექტური იქნება საერთაშორისო თანამეგობრობი წევრი ქვეყნებისათვის. (7)

შეფასების სტანდარტები პირველად დიდ ბრიტანეთში იქნა ჩამოყალიბებული მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. იმ პერიოდისთვის ბრიტანეთის უძრავი ქონების ბაზარზე დიდი ბუმი იყო, რასაც თავდაპირველად უძრავ ქონებაზე ფასების მკვეთრი ზრდა, ხოლო შემდგომ პერიოდებში მკვეთრი დაცემა მოჰყვა. შეფასების სისტემა მუდმივად განიცდიდა სრულყოფას და მოიცავდა მთელ რიგ პრაქტიკულ დებულებებს, რომლებიც აუცილებელი იყო შემფასებლებისათვის და რომლებსაც იყენებდა თითოეული თავის დარგში.

დიდ ბრიტანეთში შემფასებლები იყენებენ 5 ძირითად მეთოდს, რომელთაგან თითოეულს გააჩნია სხვადასხვა ვარიაციები:

1. შედარების მეთოდი - აქ გაანალიზდება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გარიგებები, ბაზურ მაჩვენებლად მიღებული ფასის ან რენტის ოდენობის საფუძველზე ხორციელდება შეფასების ობიექტის ღირებულების განსაზღვრა;
2. ინვესტიციური მეთოდი - საშუალებას გვაძლევს საბაზრო რენტის ოდენობიდან გამოვიყვანოთ საკუთრების კაპიტალიზებული ღირებულება.
3. ყველაზე საუკეთესოდ გამოყენების მეთოდი - მიღებულია ყველაზე ხშირად განაშენიანების ან

რეკონსტრუქციის პოტენციური ადგილების შესაფასებლად.

4. მოგების მეთოდის არსი დაკავშირებულია იმასთან, რომ ზოგიერთი სახის უძრავი ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმ ბიზნესის მოგებიანობით, რომელშიც ჩართულია იგი.

5. შენაცვლების ღირებულების მეთოდი - მოიცავს შენობის შეცვლის ღირებულებას, მაგრამ ამორტიზაციის გამოკლებით და ნაკვეთის ღირებულების დამატებით, რადგან მშენებლობის ღირებულება არ არის იგივე, რაც შენობის ღირებულებითი შეფასება. ამიტომ ეს მეთოდი მხოლოდ განსაზღვრულ, საკმაოდ შეზღუდულ გარემოებებში გამოიყენება.

საშემფასებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბიზნესის საშემფასებლო საქმიანობაში გამოყოფენ ბიზნესის შეფასების პრინციპების სამ ჯგუფს:

1. ქონების მესაკუთრის წარმოდგენებზე დაფუძნებული პრინციპები - იგი, თავისმხრივ, მოიცავს: სარგებლიანობის, ჩანაცვლებისა და მოლოდინის პრინციპებს.

2. ქონების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პრინციპები - იგი მოიცავს: წარმოების ფაქტორებს, წვლილის შეტანის, ნარჩენი პროდუქტიულობის, დაბალანსებულობისა და ზღვრული შემოსავლიანობის გავლენას.

3. საბაზრო გარემოს ზემოქმედებით განპირობებული პრინციპები - ეს ჯგუფი მოიცავს: მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეებს შორის შესაბამისობის; კონკურენციის; ღირებულების ცვალებადობის; შესაბამისობის; ეკონომიკური განაწილებისა და ქონების საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენების პრინციპებს.

ბიზნესის ღირებულების საშემფასებლო საქმიანობის პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა მიდგომები და მეთოდები. შეფასების მიდგომა ნიშნავს საყოველთაოდ აღიარებულ ანალიტიკურ მეთოდოლიგიას, რომელიც გამოიყენება თანამედროვე საშემფასებლო საქმიანობაში. ბიზნესის შეფასების ძირითადი მიდგომებია: შედარების, შემოსავლებისა და დანახარჯების მიდგომა. თითოეული მიდგომა საშუალებას გვაძლევს ხაზი გავუსვათ შესაფასებელი ობიექტის განსაკუთრებულ მახასიათებლებს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

შედარების მიდგომა ითვალიწინებს შესაფასებელი ანალოგიური ობიექტების გაყიდვებს და მასთან დაკავშირებულ საბაზრო მონაცემებს, შესაფასებელი ობიექტის ღირებულების დადგენა კი ხდება უშუალოდ შედარების პროცესით. შესაფასებელი ობიექტი უდარდება ბაზარზე ანალოგიური ობიექტის ბოლოდროინდელ გაყიდვებს. იგი მოიცავს კაპიტალის ბაზრის (დაფუძნებულია ანალოგიური კომპანიების აქციათა საბაზრო ფასების გამოყენებაზე. ინვესტორ მოქმედებს რა შენაცვლების პრინციპების გათვალისწინებით, ახორციელებს კომპანიაში ინვესტირებას აქციის საბაზრო ფასის მიხედვით. იმ კომპანიის მონაცემები, რომელთა აქციები თავისუფალ გაყიდვაშია, შესაბამისი კორექტირების შემდეგ გადაიქცევა კომპანიის ფასის გაანგარიშების მთავარ ორიენტირად) გარიგებათა (ასეთ დროს ხდება მსგავსი კომპანიების საკონტროლო პაკეტის შეძენის ფასების გაანალიზება) და დარგობრივი კოეფიციენტის (იგი საშუალებას იძლევა გამოვიანგარიშოთ ბიზნესის საორიენტაციო ღირებულება დარგობრივი სტატისტიკის ბაზაზე გაანგარიშებულ მონაცემებზე დაყრდნობით) მეთოდებს. ეს მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც არსებობს შესაფასებელი და შესადარებელი ობიექტების აქტიური ბაზარი. შეფასების სიზსტე დამოკიდებულია შეგროვებული მონაცემების ხარისხზე. შემფასებელმა უნდა შეაგროვოს უტყუარი ინფორმაცია შესაფასებელი ობიექტის ანალოგიური ობიექტების ახლახან ჩატარებული გაყიდვების შესახებ. მონაცემები მოიცავს სხვადასხვა ეკონომიკურ მახასიათებლებს, გაყიდვის დროს, ადგილმდებარეობას, გაყიდვისა და დაფინანსების პრინციპებს. ასეთი მიდგომების ქმედითობა მცირდება, თუ: მსგავსი გარეიგების რაოდენობა მცირეა; მათი განხორციელების მომენტსა და შეფასების მომენტს ყოფს დროის ხანგრძლივი პერიოდი, რადგან სწრაფ ცვლილებებს ბაზარზე მივყავართ მაჩვენებლების დამახინჯებამდე.

შემოსავლების მიდგომისას ობიექტის ღირებულების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს შემოსავალი წარმოადგენს. იგი მოიცავს ორ მეთოს: შემოსავლების კაპიტალიზაციისა (იგი ერთმანეთთან აკავშირებს შემოსავალსა და გარკვეული ღირებულების ღირებულების ტიპს, ამ დროს ხორციელდება შემოსავლის თანხის გარდაქმნა ღირებულების საძიებელ სიდიდედ) და ფულადი ნაკადების დისკონტირების (იგი დაფუძნებულია მოცემული ბიზნესიდან იმ ფულადი ნაკადების პროგნოზირებაზე, რომლებიც შემდეგ დისკონტირდება ინვესტორის მიერ მოთხოვნილი შემოსავლის განაკვეთის შესაბამისი დისკონტის განაკვეთით. ამ დროს გაითვალისწინება ის შემოსავალი, რომელიც რამდენიმე პროგნოზულ წელზეა გათვლილი და მხედველობაში იღებს საპროგნოზო პერიოდის ბოლოს შეფასების ობიექტის გაყიდვით მიღებულ ამონაგებს)

მეთოდებს. რაც უფრო მეტია შემოსავალი, რომელიც მოაქვს შეფასების ობიექტს, მით უფრო დიდია მისი საბაზრო ღირებულების ოდენობა სხვა თანაბარი პირობების არსებობისას. ამ მიდგომის გამოყენების დროს განსაკუთრებული მნიშნელობა ბიზნესიდან მისაღები მოსალოდნელი შემოსავლების მიღების ხანგრძლივობას და თანმხლები რისკების ხარისხს ენიჭება.

დანახარჯების მიდგომა, ზემოაღნიშნულ მიდგომებთან შედარებით, ყველაზე მეტად გამოყენებადია. იგი თანაბრად გამოიყენება როგორც კომპანიის აქტივების, ისე არასტაბილური შემოსავლების მქონე ბიზნესის შეფასებისას. იგი, თავის მხრივ, მოიცავს წმინდა აქტივებისა (ამ მეთოდის თანახმად ბიზნესის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება როგორც საწარმოს ყველა აქტივის საბაზრო ღირებულების სიდიდესა და საწარმოს ყველა ვალდებულებას შო-

რის სხვაობა) და სალიკვიდაციო ღირებულების (ამ მეთოდის თანახმად ბიზნესის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება როგორც საწარმოს აქტივებსა და ჯამურ ღირებულებასა დამ ის ლიკვიდაციაზე გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობა. მეთოდებს. მოცემული მიდგომის გამოყენება მიზანშეწონილია სპეციალური სახის ბიზნესის შეფასების (სასტუმროები, მოტელები და სხვა.) და დაზღვევის დროსაც. ამ მიდგომების გამოყენებისთვის საჭიროა შესაფასებელი აქტივების შესახებ შემდეგი სახის მონაცემების შეგროვება: ფასები მიწაზე, მშენელობის დანახარჯები, ხელფასების დანახარჯები და ა.შ. შეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია დამოკიდებულია შესაფასებელი ობიექტის სპეციფიკაზე. რთულია, მაგალითად, ხარჯვითი მიდგომის გამოყენება უნიკალური ობიექტების შეფასების დროს, რომლებსაც გააჩნია ისტორიული ღირებულება და განსხვავებული ესთეტიკური მახასიათებლები. ეს მიდგომა დაფუძნებულია შენაცვლებისა და საუკეთესო ეფექტიანობით გამოყენების პრინციპზე. (იხ. ნახაზი №1)

ბიზნესის ღირებულების შეფასება ერთმანეთისგან განსხვავებული სტადიებისგან შემდგარი რთული შრომატევადი პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ სტადიებს: 1. პრობლემის განსაზღვრა; 2. შესაფასებელი ობიექტის წინასწარი დათვალიერება და შეფასებაზე ხელშეკრულების გაფორმება; 3. ინფორმაციის შეკრება და ანალიზი; 4. საბაზრო კონკურენციის ანალიზი; 5. შეფასების მეთოდების არღჩევა; 6. შეფასების სხვადასხვა მიდგომების საშუალებით მიღებულ შედეგთა შეთანხმება; 7. ბიზნესის ღირებულების შეფასების ანგარიშის მომზადება;

ბიზნესის ღირებულების შეფასება ერთმანეთისგან განსხვავებული სტადიებისგან შემდგარი რთული შრომატევადი პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ სტადიებს: 1. პრობლემის განსაზღვრა; 2. შესაფასებელი ობიექტის წინასწარი დათვალიერება და შეფასებაზე ხელშეკრულების გაფორმება; 3. ინფორმაციის შეკრება და ანალიზი; 4. საბაზრო კონკურენციის ანალიზი; 5. შეფასების მეთოდების არღჩევა; 6. შეფასების სხვადასხვა მიდგომების საშუალებით მიღებულ შედეგთა შეთანხმება; 7. ბიზნესის ღირებულების შეფასების ანგარიშის მომზადება;

ნახაზი: №1



ბიზნესის ღირებულების შეფასებისას გასათვალისწინებელია გარე და შიგა ინფორმაცია. გარე ინფორმაცია შეიძლება ასახავდეს საწარმოს ფუნქციონირების პირობებს როგორც დარგის, ისე მთლიანად ეკონომიკის დონეზე. ბიზნესის შეფასების თაობაზე სამუშაოთა ჩატარებისთვის აუცილებელი ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: საბუღალტრო ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.

მითითებული წყაროები საფუძველია მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბაზრო ღირებულების, ფინანსური რისკებისა და წმინდა მოგების ზუსტი მოცულობის დასადგენად. უფრო დეტალური ანალიზისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საბუღალტრო ანგარიშგების სხვა ფორმები, ისე მმართველობითი აღრიცხვის მასალებიც.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) სხვადასხვა საფუძვლები მოითხოვს ან უშვებს რეალური ღირებულების განსხვავებულ შეფასებებსა და განმარტებებს ფინანსური ანგარიშგებებისათვის. ისინი განსხვავდებიან აგრეთვე სახელმძღვანელო მითითებების ხარისხითაც, რომლებიც ეხება აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების ან მათი შესაბამისი განმარტებების საფუძველს. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ზოგიერთი საფუძვლები დირექტივების სახით იძლევა მითითებებს. გარდა ამისა, არსებობს კონკრეტული დარგის შესაბამისი სპეციფიკური მეთოდები რეალური ღირებულების შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნებისთვის.

ფასს-ის ფარგლებში სხვადასხვა აქტივის, ვალდებულებისა და განმარტებითი შენიშვნებისათვის შეიძლება არსებობდეს რეალური ღირებულების სხვადასხვა განმარტება. ჩვეულებრივ, რეალური ღირებულების კონცეფცია გულისხმობს მიმდინარე და არა წარსულის ან მომავლის ოპერაციებს. შესაბამისად, რეალური ღირებულების შეფასების პროცესი წარმოადგენს ისეთი ფასის მოძებნას, რომლითაც ეს ოპერაცია განხორციელდება. ასევე, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სხვადასხვა საფუძვლები სხვადასხვანაირად აფასებს დროთა განმავლობაში რეალურ ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებს. ზოგიერთი საფუძვლების მიხედვით იმის განსაზღვრა, გამოყენებულ იქნას თუ არა რეალური ღირებულების აღრიცხვა ან როგორ უნდა განხორციელდეს იგი, დამოკიდებულია ხელმძღვანელობის განზრახვაზე, სპეციფიკური აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ გარკვეული ქმედებების კურსის გატარების შესახებ. ასევე, ფასს-ის საფუძვლები შეიძლება მოითხოვდეს რეალური ღირებულების გარკვეულ სპეციფიკურ შეფასებებს და განმარტებას განსხვავებული ხარისხით. ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებში შეიძლება:

- დადგენილი იყოს შეფასების, წარდგენისა და შენიშვნებში განმარტებების მოთხოვნები ფინანსურ

ანგარიშგებაში ასახული გარკვეული ინფორმაციისთვის ან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მოცემული ინფორმაციის, ან დამატებით წარსადგენი ინფორმაციისათვის;

- ნებადართული იყოს რეალური ღირებულების გარკვეული შეფასებების გამოყენება, სამეურნეო სუბიექტები არჩევანის მიხედვით, ანდა მხოლოდ მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია გარკვეული კრიტერიუმები;
- დადგენილი იყოს რეალური ღირებულების განმსაზღვრელი სპეციფიკური მეთოდები, მაგალითად, დამოუკიდებელი შეფასების ან დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების გამოყენებით;
- ნებადართული იყოს რეალური ღირებულების შეფასების მეთოდის არჩევანის შესაძლებლობა სხვადასხვა ალტერნატიულ მეთოდებს შორის;
- მოცემული არ იყოს არანაირი მითითება რეალური ღირებულების შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ, გარდა მათი გამოყენების შესახებ გამოცდილების ან მრეწველობის დარგის პრაქტიკიდან გამომდინარე;

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ზოგიერთ საფუძველში რეალური ღირებულების შეფასებებისა და შენიშვნების განმარტების მოთხოვნისა და დაშვებებისათვის წინაპირობის სახით აღიარებულია, რომ აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს წინაპირობა შეიძლება გადახედილ იქნას, როდესაც აქტივსა და ვალდებულებას არა აქვს კოტირებული საბაზრო ფასი აქტიურ ბაზარზე და მათი რეალური ღირებულების დასაბუთებული შეფასებისათვის არ არსებობს ან არ მუშაობს სხვა მეთოდები.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მრავალ საფუძვლების რეალური ღირებულების შეფასების კონცეფციის საფუძველია ის, რომ სამეურნეო სუბიექტი ფუნქციონირებადი საწარმოა, რომელსაც არ აქვს განზრახული ან აუცილებლობა ლიკვიდაციის, ოპერაციების მნიშვნელოვნად შეზღუდვის ან არახელსაყრელ პირობებში შესრულების. რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებული შეფასებებისა და განმარტებების მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში. რეალური ღირებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას და გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვადასხვა სახით.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 540 - "სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის, რეალური ღირებულების სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების აუდიტი", რომელიც აღქმულ უნდა იქნას ასს 200-თან ერთად - "დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო ამოცანები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად" – ერთად, რომლის მიხედვითაც, აუდიტორს ეკისრება პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს გამოთვლილ სააღრიცხვო შეფასებებზე, რეალური სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებით შენიშვნებზე. ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი მუხლის ღირებულების ზუსტად დადგენა შეუძლებელია, ამიტომ ხდება მათი მიახლოებითი გამოთვლა. კორპორაციის (ბიზნესის) ხელმძღვანელობისათვის სააღრიცხვო შეფასებებისათვის საჭირო ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხასიათი და საიმედოობა ცვალებადია, რაც მოქმედებს სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობაზე. განუსაზღვრელობის ხარისხი გავლენას ახდენს სააღრიცხვო შეფასების არსებითი უზუსტობების რისკებზე (ასს 315; ასს 330), ხელმძღვანელობის უნებლიე თუ გამიზნული მიკერძოებისადმი მგრძნობიარობის ჩათვლით.

ასს 540-ში განხილულია ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო შეფასებების გამოსათველად გამოყენებული დაშვებები და მეთოდები, მათ შორის, მოდელები, რომლებიც მეტად სპეციფიკურია. აუდიტორსა და აუდიტორის გარე ექსპერტს შორის შეთანხმებაში გასათვალისწინებელ საკითხებად განიხილება: აუდიტორის ექსპერტის სამუშაოს ადეკვატურობის შეფასება; აუდიტორის დასკვნაში აუდიტორის ექსპერტზე მინიშნება, რომელიც არ ამცირებს აუდიტორის პასუხისმგებლობას აუდიტორულ მოსაზრებაზე (ასს 620 - "აუდიტორის ექსპერტის სამუშაოს გამოყენება", პუნქტი გ41); ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისათვის საჭირო რთული მოდელების ან აუდიტის სპეციფიკური ასპექტებისა და სხვა სფეროების ექსპერტული ცოდნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო, 2009, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია;
2. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., მენეჯმენტის პრინციპები, სტუ, თბ., 2010
3. უძრავი ქონების შეფასება, მეორე კანადური გამოცემა, თარგმ. ინგლ. საქართველოს პროფესიონალ ქონების შემფასებელთა ფედერაცია (რედ. პ.მიქაძე) თბ 2003, ნაწ I, III, V;
4. ქუთათელაძე რ., ლიპარტია ზ., "საქართველოში ბიზნესის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები" //ჟურნალი "ეკონომიკა", თბილისი, №7-8, 2011;
5. Валдаицев В.А. Оценка бизнеса. М. 2009;
6. თომ ჩოპელანდ, თიმ ჯოლლერ, Jack Murrin, „VALUATION", measuring&managing the value of copanies, third edition, john wiley&sons, inc. 2000;
7. http//: www.asset.ge საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი (სქმეი);

საინვესტიციო გარემოს შეფასება საქართველოსა და სხვა ტრანსფორმირებად თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში

ნათია შენგელია, *სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი,*
სსუ-ს ასოცირებული პროფესორი

დაფინანსებულია ***"ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტით" № 52/18 (2013 / 2014*** *წწ.) გაცემული*
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ

Summary

In the assessment of economic, investment environment the following indexes can play a significant role: investment, business, financial and trade freedom indexes; inflation, tax, deposit and borrowing rates. From analyzing the above data it is shown that Georgia has averagely high investment activity indexes comparing to the transforming and highly-developed countries in 2009-2014 years. Furthermore, to increase the investment attractiveness-this will be a directly financial, strategic, portfolio or other type of investment program, it should be directed towards those factors that influence the development of facilities that demonstrate the potential of venture financing. These include the existing strategies and business models in companies that are capable of ensuring a potential for high growth, the improvement of management, technique and technologies, as well as measures should be taken into account, which will increase the solvency of a region and encourage the development of those companies that are willing to place their shares on the open market .

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, ბიზნესის თავისუფლება, საინვესტიციო გარემო, სტრატეგიული და პორტფელური ინვესტიციები, საინვესტიციო აქტივობა;

* * * * * * *

ამა თუ იმ ქვეყნის სტაბილური განვითარების საფუძველია ძლიერი სახელმწიფო. ქვეყნის სიძლიერე, თავის მხრივ, ძლიერი ეკონომიკით განისაზღვრება. მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, ბევრმა ქვეყანამ, რომლებიც გარდამავალ ეტაპზე იმყოფებოდა, ეკონომიკურ სიძლიერეს ინვესტიციების ზრდის შედეგად მიაღწია. ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაცია, ინვესტიციების ზრდა კი დამოკიდებულია რაციონალური სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე. მხოლოდ მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი უწყობს ხელს კერძო სექტორის საინვესტიციო აქტივობის ამაღლებას, ეროვნული და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის მასშტაბით ინვესტიციების მოცულობის ზრდას. ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სწორედ ინვესტიციის ზრდით მიიღწევა საწარმოთა რეკონსტრუქცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, უცხოური გამოცდილების გაზიარება, ახალი კომპანიების შექმნა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდა, სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესება და საბოლოო ჯამში, ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, სოციალურ—ეკონომიკური სისტემის რეფორმირება და ქვეყნის ინტეგრაცია საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში.

საინვესტიციო გარემო კომპლექსური ცნებაა და გულისხმობს კაპიტალის ავანსირებისათვის ხელსაყრელი, სასურველი პირობების შექმნას. საინვესტიციო შეფასების პირველი გამოკვლევა ეკუთვნით ჰარვარდის ბიზნესის სკოლის თანამშრომლებს (1969 წელი) . მათ შეფასების საფუძვლად აიღეს საექსპერტო შკალა, რომელიც მოიცავდა შემდეგ მაჩვენებლებს: საკანონმდებლო პირობები უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის, კაპიტალის გადატანის შესაძლებლობები, ეროვნული ვალუტის მდგრადობა, პოლიტიკური ვითარება, ინფლაციის დონე, ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობები და ა.შ. მსოფლიო ქვეყნების საინვესტიციო მიმზიდველობის კომპლექსურ რეიტინგს პერიოდულად აქვეყნებენ ასევე წამყვანი ეკონომიკური ჟურნალები: „Euromoney", "Fortune".

თანამედროვე ეტაპზე საქართველოსთვის, როგორც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნისათვის გასათვალისწინებელია, რომ რეგიონში, სადაც სამი გარდამავალი, პოსტსაბჭოური ქვეყანაა (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) ყოველთვის იქნება კონკურენცია ინვესტიციებისათვის. ერთადერთი გამოსავალი, რითაც შეიძლება მოზიდულ იქნას კაპიტალი საკუთარ ეკონომიკაში, ესაა საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შექმნა. უცხოელ ინვესტორს აინტერესებს ისეთივე ან დაახლოებით ისეთივე საინვესტიციო, სამეწარმეო გარემოში ფუნქციონირება, როგორიც არსებობს მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომელსაც ის უკვე შეჩვეულია და რომელიც მისთვის მისაღებია. ამიტომ, ჩვენი აზრით, სხვადასხვა ინვესტორებს სხვადასხვანაირი მიდგომა, პოლიტიკა და შესაბამისად, სხვადასხვანაირი საინვესტიციო გარემოს შექმნა სჭირდება. ასევე აუცილებელია ვიცოდეთ, როგორი ფაქტორები, რანაირი საინვესტიციო გარემო ხდის რეგიონს თუ ქვეყანას მიმზიდველად ინვესტორები-

სათვის.

მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის საინვესტიციო აქტივობის დონის გაანალიზება შემდეგი მაჩვენებლების გათვალისწინებით: 1) დეპოზიტების განაკვეთი - უცხოელი ინვესტორი დაინტერესებულია დროებით მოჭარბებული ან გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები ისევ სადმე დააბანდოს და პარალელურად სარგებელი ნახოს; 2) სესხის აღების განაკვეთი (ფინანსური სახსრები საჭიროა როგორც წარმოების დასაწყებად ასევე მის გასაფართოებლადაც. სესხის აღება თუ საქართველოში წლიური 15-18 პროცენტია, ხოლო ჩეხეთში — 5-7%. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ინვესტორი ჩეხეთში ამჯობინებს თავისი კაპიტალის დაბანდებას; 3) ინფლაციის განაკვეთი; 4) გადასახდების განაკვეთი-თუ იგი დაბალია, მით უფრო მეტი სტიმულია , რომ კომპანია დაფუძნდეს ამ ქვეყანაში და დაიწყოს ფუნქციონირება, რომ არაფერი ვთქვათ „ საგადასახადო არდადეგების“ სიკეთეზე:

ცხრილი № 1[1]

ქვეყანა	1 წლამდე დეპოზიტების განაკვეთი, %	1 წლამდე სესხების განაკვეთი, %	ინფლაციის განაკვეთი, %	გადასახადის განაკვეთი, %
წელი	2009/2011/ 2012/2013	2009/2012 /2013	2009/2011/ 2012/2013	2009/2011/2012/2013
საქართველო	10.8/11.5/10.7/7	17.9/14.8/13.6	-2.0/9.7/1.2/-0.6	15.3/16.5/16.5/16.4
სომხეთი	8.7/9.2/9.6	18.8/17.2/16	2.6/17.2/18.1/18.5	38.6/38.8/38.8/38.8
უკრაინა	13.8/7.9/13	20.9/18.4/16.6	13.1/14.3/8.2/1.2	57.2/57.1/55.4/54.9
რუსეთი	8.6/4.4/5.5	15.3/9.1/9.5	2.0/15.9/7.5/5.9	48.3/46.9/54.1/50.7
ჩეხეთი	1.3/1.0/1.0	6.0/5.4/5.0	2.3/-0.9/1.6/1.9	46.4/48.1/48.1/48.1
აზერბაიჯანი	12.2/10.9/10.2	20/18.3/18.2	--18.9/22.6/1.4/1.0	40.9/40.0/40.0/40.0
ავსტრალია	3.1/4.3/3.9	6.0/7.0/6.2	4.9/6.1/2.0/-0.3	47.6/47.3/47.2/47
კანადა	0.1/0.5/0.5	2.4/3.0/3.0	-2.1/3.2/1.7/1.2	42.3/26.1/24.6/24.3

ცხრილ №1 -ში მოცემული მონაცემების გასაანალიზებლად გამოვიანგარიშოთ საშუალო არითმეტიკული შემდეგი 4 ფაქტორის გათვალისწინებით :

$$IAL = \frac{I_{\text{დეპ}} + I_{\%} + I_{\text{ინფ}} + I_{\text{გადას.}}}{4}, \text{ სადაც}$$

1) I დეპ-- 1 წლამდე ვადით დეპოზიტებზე სა%-ო განაკვეთი;

2) $I_{\%}$- -- 1 წლამდე ვადით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი;

3) I ინფ -- ინფლაციის %; 4) I გადას - გადასახადების განაკვეთი ;

ზემოაღნიშნულის შესაბამისად გაანგარიშებულ იქნა საქართველოს, ავსტრალიის, უკრაინის, ჩეხეთის, უკრაინის საინვესტიციო აქტიურობის შეფასებისათვის პირობითი საშუალო მაჩვენებლები:

$IAL_{\text{საქ}\ 2009} = (10.8+17.9-2.0+15.3)/4 = 10.5;$

$IAL_{\text{საქ}\ 2012} = (10.7+14.8+1.2+16.5)/4 = 10.8;$

$IAL_{\text{ავსტრალია}\ 2012} = (3.9+7+2+47.2)/4 = 15.03;$

$IAL_{\text{უკრ}\ 2012} = (13+18.4+8.2+55.4)/4 = 23.75;$

$IAL_{\text{ჩეხ}\ 2009} = (1,3+6+2,3+46,4)/4 = 14;$

$IAL_{\text{ჩეხ}\ 2012} = (1+5,4+1,6+48,1)/4 = 14,03.$

დანარჩენი ქვეყნების – წლების მიხედვით საქართველოს, სომხეთის, ჩეხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, უკრაინის, ავსტრალიის, კანადის საინვესტიციო აქტიურობის დონის საშუალო მაჩვენებლები გაანგარიშდა 2009, 2012 წლებში ანალოგიურად (მათი შედეგების შესადარებლად იხ. ცხრილი 2).

ცხრილი №2

ქვეყანა	2009 წ.	2012 წ.	2009/2012 წწ.	ტენდენცია
საქართ-ველო	10.5	10.8	+2,86 %	↘
სომხეთი	17,18	20,93	+21,83 %	↘
ჩეხეთი	14	14,03	+ 2,14 %	↘
აზერ-ბაიჯანი	13,55	17,48	+29 %	↘
რუსეთი	18,55	15,53	-16,28 %	↘
უკრაინა	26.25	23.75	- 9,52 %	↘
ავს-ტრალია	15.4	15.03	- 2,4 %	↘
კანადა	10.7	7.45	- 30.4 %	↘

ღოგორც ცხრილი №2-დან ჩანს, საქართველოს, სომხეთის, ჩეხეთის, აზერბაიჯანის საინვესტიციო აქტიურობის საშუალო მაჩვენებლები 2009-2012 წლებში ზრდადი ტენდენციით (იხ. ისრებით გრაფიკული გამოსახულება) გამოირჩევა, გარდა ავსტრალიისა, კანადისა, უკრაინისა და რუსეთისა. რუსეთისა და უკრაინის საინვესტიციო აქტივობის საშუალო კლებადი მაჩვენებლები რთული პოლიტიკური ვითარებით აიხსნება; ხოლო ავსტრალიის და კანადის კლებადი ტენდენცია შეიძლება ლოგიკურიც იყოს, რაც მიუთიუთებს იმაზე, რომ ეს ქვეყნები ნელ-ნელა ნაკლებ უცხოურ ინვესტიციებს იღებს და ბევრს არც საჭიროებს, რადგან არცთუ მეტად არიან დამოკიდებული უცხოურ ფინანსურ თუ სხვა სახის რესურსებზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც მხედველობაში მიიღება ევროკავშირში ამა თუ იმ ქვეყნის გაწევრიანების დროს, არის ამ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობა, მისი უსაფრთხოება. საინტერესოა 2009-2014 წლების “The Heritage Foundation”- ის მიერ გამოქვეყნებული საინვესტიციო, ბიზნესის, ფინანსური და ვაჭრობის თავისუფლების ინდექსების შედარება ქვეყნების მიხედვით:

1 http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.DEFL.KD.ZG

ცხრილი № 3[2]

ინდექსი / ქვეყანა	საინვესტიციო თავისუფლება	ბიზნესის თავისუფლება	ფინანსური თავისუფლება	ვაჭრობის თავისუფლება
თარიღი	2009/2011/2012/ 2013/2014	2009/2011/2012/ 2013/2014	2009/2011/2012/ 2013/2014	2009/2011/2012/ 2013/2014
სომხეთი	70.0/75.0/75.0/ 75.0/70	83.7/82.4/87.8/87.6/83.1	70.0/70.0/ 70.0/70.0/70.0	86.4/85.5/85.4 /85.4/85.5
აზერბაიჯანი	30/55/55/55/60	74.6/72.9/68.6/69.2/73.5	40/40/40/4050	78.4/77.1/77.2/77.2
ჩეხეთი	70/70/70	65.1/69.8/67.7	80/80/80	85.8/87.6/87.1
საქართველო	70/70/70/75/80	86.6/87.3/86.9/90.6/87.8	60/60/60/60/60	80.6/89.2/ 89.2/89.2/88.6
რუსეთი	30/25/25/25/25	54/50.7/65.1/69.2/70	40/40/40/30/30	60.8/68.2/ 68.2/77.4/74.6
უკრაინა	30/20/20/20/20	40.5/47.1/46.2/47.6/59.8	30/30/30/30/30	84/85.2/84.4/ 84.4/86.2
აშშ	80/75/70/70/70	91.9/91/91.1/90.5/89.2	80/70/70/70/70	86.8/86.4/86.4/ 86.4/86.8
გაერთიანებული სამეფო	90/90/90/90/90	89.8/94.6/94.7/94.1/92	90/80/80/80/80	85.8/87.6/87.1/ 86.8/87.8
გაერთიანებული არაბთა საემიროები	30/35/35/35/35	57.7/67.3/68/74/74.4	50/50/50/50/50	80.8/82.6/82.6/ 82.6/82.5

როგორც ცხრილი №3-ის მონაცემებიდან ჩანს 2009-2014 წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები გამოირჩევა. ხოლო ყველაზე დაბალი ინდექსები აქვს ისევ უკრაინასა და რუსეთს რთული პოლიტიკური, საინვესტიციო-ეკონომიკური გარემოს გამო, სადაც ინვესტირება, ბიზნესის, ფინანსური თუ ვაჭრობის თავისუფლება მეტ-ნაკლებად შეზღუდულია, საქართველო კი ამ ქვეყნებთან შედარებით საშუალოდ მაღალი ინდექსებით ხასიათდება.

ამრიგად, საინვესტიციო ეკონომიკური გარემოს შეფასებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საინვესტიციო, ბიზნესის, ფინანსური და ვაჭრობის ინდექსები, ასევე ინფლაციის, გადასახადის, დეპოზიტის თუ სესხების განაკვეთები. ზემოთხსენებული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს სხვა ტრანსფორმირებად თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საინვესტიციო აქტიურობის საშუალოდ მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა 2009-2014 წლებში. საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გასაზრდელად ზოგადად ეს იქნება პირდაპირი ფინანსური, სტრატეგიული თუ პროტფელური ან სხვა სახის საინვესტიციო პროგრამა, ის უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ ზეგავლენა მოახდინონ ასევე ისეთი ფაქტორების განვითარებაზე, რომლებიც წარმოაჩენენ სარისკო დაფინანსების ობიექტების პოტენციალს. მათ მიეკუთვნება კომპანიებში ისეთი სტრატეგიისა და ბიზნეს—მოდელების არსებობა, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ზრდის მაღალი პოტენციალი, მენეჯმენტის კვალიფიკაცია, კორპორაციული ურთიერთდამოკიდებულების დონე, ასევე ისეთი ღონისძიებები იქნება გათვალისწინებული, რომლებიც აამაღლებს რეგიონის გადახდისუნარიანობას და წაახალისებს იმ კომპანიების განვითარების პროცესებს, რომლებიც მზად არიან განათავსონ თავიანთი აქციები ღია ბაზარზე.

2 http://www.heritage.org/index/explore.aspx?view=by-region-country-year

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://data.worldbank.org , www.heritage.org,
2. ა. სიჭინავა-ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. თბ. 2010 წ.
3. რ.შენგელია, ჟ,წიკლაური, ნ.შენგელია- ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში-თბ. 2013 წ.
4. Investments (McGraw-Hill/Irwin Series in Finance, Insurance, and Real Est) by Zvi Bodie, Alex Kane and Alan Marcus (Sep 9, 2013);
5. ლ. ქოქიაური-საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, თბ. 2008.
6. Wealth Building: Wealth Building Guide To Building Wealth Through Smart Investments And Wealth Creation Techniques... by John McQuilkin (Aug 22, 2014).

ინსტიტუციონალური ეკონომიკა (ლექციების კურსი)

ინსტიტუციონალიზმი ახალი გამოწვევები

დავით იაკობიძე, *სტუ-ს პროფესორი*

ინსტიტუციონალისტები არიან ის ეკონომისტები, რომლებიც უბრალოდ თვლიან, რომ ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს გარკვეულ სისტემას, რომლის სწორი გააზრება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მას უფრო დიდ სისტემაში განვიხილავთ. მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანი და ადამიანთა საზოგადოება არის სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობა და წარმოების წესი, დოვლათის განაწილების სისტემა და ამ დოვლათის მოხმარების თავისებურებები დამოკიდებულია, არა მარტო ადამიანის განვითარების ფაქტორებზე, არამედ განიცდის იმ ისტორიულ სპეციფიკურ თავისებურებათა არსებით ზემოქმედებას, რომელიც დამახასიათებელია ამა, თუ იმ ქვეყნისათვის.

ცნობილია, რომ დროთაგანმავლობაში ჩნდება ახალი პარადიგმები, სახეს იცვლიან ძველი კონცეფციები. გარდაქმნებს ვერ გაექცა მეოცე საუკუნის დასაწყისში აღმოცენებული ეკონომიკური თეორია ინსტიტიციონალიზმიც. იგი გასული საუკუნის 90-იან წლებში გარდაიქმნა ნეო(ახალ)ინსტიტუციონალიზმად და შესამჩნევად გაფართოვდა მისი მიმდევრებისა და მხარდამჭერების რაოდენობა. განსაკუთრებით პოპულარულია იგი პოსტსოციალისტურ და სხვა რადიკალური გარდაქმნების ქვეყნებში. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ თეორია, თავისი ზოგადობის მაღალი დონის გამო, გაგრძელებას პოულობს სხვა ეკონომიკურ მიმდინარეობებში. მისგან უშუალოდ წარმოიშვა "კონსტიტუციონალური ეკონომიკის", ხოლო მასთან დიდკუსიაში შეიქმნა " ეკონომიკური იმპერიალიზმის" თეორია. გარდა ამისა იგი ორგანულად უკავშირდება, ისეთ საზოგადოებრივ მეცნიერებებს, როგორიცაა პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკური ანთროპოლოგია. თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ყველგან და ყოველთვის არ არსებობს ამ მნიშვნელოვანი თეორიის ერთგვაროვანი გაგება, ინსტიტუციონალიზმსა და ნეოინსტიტუციონალიზმს შორისაც არ შეინიშნება მკაცრი, უშუალო დამოკიდებულება. ანუ, ერთი მეორის, ახალ სიტუაციაში გაგრძელება კი არ არის, არამედ ძველი ინსტიტუციონალიზმის ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიასთან შეთანხმების მცდელობაა, თეორიული მემკვიდრეობის ახალ, ისტორიულ საფუძველზე გააზრებაა.

ამგვარად, თუ ინსტიტუციონალიზმი წარმოიშვა, როგორც ახალი, უკვე არსებული მეცნიერული ეკონომიკური თეორიებისადმი ალტერნატიული მიმართულება, ნეოინსტიტუციონალიზმი, ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიასთან და კეინსიანელობასთან მჭიდრო კავშირში ვითარდება. ამიტომ, ახალ და ძვლ ინსტიტუციონალურ თეორიებს შორის არსებითი სხვაობაა, როგორც კვლევის მეთოდით ასევე, საკვლევი ობიექტისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ინსტიტუციონალიზმის ერთიანი ეკონომიკური თეორიის სახით გააზრება და მკითხველისადმი მიწოდება უკავშირდება მეთოდურ სირთულეებს. ამიტომ, ჩვენ შევეცდებით შემდეგი თანმიმდევრობით:

1.ინსტიტუციონალიზმი - დამოუკიდებელი მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში

1.1.ინსტიტუციონალიზმის კვლევის საგანი

1.2.ინსტიტუციონალზმის კვლევის მეთოდი

1.3.ინსტიტუციონალიზმის გამოყენებითი მნიშვნელობა

2.ინსტიტუციონალიზმის ისტორიული წანამძღვრები და მისი ჩამოყალიბება დამოუკიდებელ მეცნიერულ მიმართულებად

2.1.ინსტიტუციონალიზმის მეთოდოლოგიური სირთულეები

2.2.ინსტიტუციონალიზმის განვითარების მიმართულებები

2.3. სამეურნეო პრაქტიკაში ინსტიტუციონალური მიდგომების შეფასებები

3.ინსტიტუციონალიზმიდან ნეოინსტიტუციონალიზმისაკენ

3.1.ნეოინსტიტუციონალიზმის საფუძვლების მომზადება

3.2.ნეოინსტიტუციონალიზმი

3.3.ნეოინსტიტუციონალიზმის თნამედროვე მიმართულებები

4.საით მიდის ინსტიტუციონალიზმი

4.1.ნეოინსტიტუციონალიზმი: წინსვლა, თუ კრიზისი(რეზიუმე)

4.2.ინსტიტუციონალიზმი საქართველოში (რეკომენდაციები)

გადმოვცეთ, ამ თეორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების რთული გზა. შესაძლებლობის ფარგლებში გავაანალიზოთ ამ საინტერეო ეკონომიკური თეორიის მიმართულებები და ის შესაძლებლობები, რომელსაც იგი აძლევს ეკონომიკის განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებს, რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და წარმოებისათვის.

1. ინსტიტუციონალიზმი - დამოუკიდებელი მიმართულება ეკონომიკურ თეორიაში

ინსტიტუციონალისტი ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ადამიანების ურთიერთობები მრავალმხრივ, მუდმივად ცვალებად კავშირებისა და მიმართებებისაგან შედგება. ისინი თავიანთი შინაარსით ისტორიულ ხასიათის მატარებლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ოდესღაც წარმოიქმნებიან, ვითარდებიან, გარდაიქმნებიან და კვდებიან. ანუ, ადგილს უთმობენ, ამ ურთირთობათა გამოვლინების ახალ, პროგრესულ ფორმებს, რომელთა სათავეც წარსულ ურთიერთობათა სისტემაში ჩნდება. ადამინებს შორის ურთიერთობათა სისტემას საზოგადოებრივ ურთიერთობებს ვუწოდებთ. საზოგადოებრივ ურთიერთობები როგორც მთლიანი, კონკრეტული შეისწავლება სხვადასხვა მხრიდან, შესაბამისად ჩნდება მათი შემსწავლელი სხვადასხვა მეცნიერებები: პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, კულტუროლოგია და სხვ. საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის ეკონომიკური ასპექტის არსებობა და მისი კვლევის აუცილებლობა არ არის სადაო. ამ საკითხისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვანი და არსებითია ყველა ეკონომიკურ თეორიაში. ეკონომიკური თეორიის ის მიმართულება, რომელიც ეყრდნობა კვლევის ისეთ მეთოდებს, რომელის მიხედვით, საზოგადოებრივ მოვლენათა ანალიზისას რთულია გაარჩიო რით განსხვავდება ეკონომიკური მიდგომები სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიური, ანტროპოლოგიურ, პოლიტიკურ და გენეტიკური მიდგომებისგან და ამიტომ, ეკონომიკური კატეგორიები წმინდა სახით კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ ისინი უნდა წარმოვადგინოთ სოციალურ, იურიდიულ და პოლიტიკურ ურთიერთობებთან კავშირში, დამოუკიდებელი სახით გამოცალკევდა ეკონომიკურ მეცნიერებაში და ინსტიტუციონალიზმის სახელით გახდა ცნობილი. ამ თეორიული წანამძღვარიდან გამომდინარე, მკვლევარები ცდილობენ მოძებნონ ადმაიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებში ეკონომიკური მიდგომის მთავარი, განმასხვავებელი ნიშნები და განიხილონ არა დამოუკიდებლად, წმინდა სახით, არამედ როგორც მთლიანი, განვითარების სოციალური პროცესის მამოძრავებელი მომენტი.

ეკონომიკური თეორიის იმ მიმართულებას, რომელიც ცდილობს შეისწავლოს ეკონომიკური საკითხები საზოგადოებრივ ურთიერთობების ფარგლებში, მათი იურიდიულ, პოლიტიკურ, ანთროპოლოგიურ და სხვა ასპექტებთან მჭიდრო კავშირში, თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში, ინსტიტუციონალიზმი ეწოდება.

აქვე ჩნდება კითხვა, რატომ ეწოდა ეკონომიკური თეირიის ამ მიმართულებას ინსტიტუციონალიზმი? საქმე ისაა, რომ ეკონომისტების ერთმა ნაწილმა არ მიიღო ეკონომიკურ თეორიაში გაბატონებული დოქტრინა "რაციოანლური ადამიანის" შესახებ. მათი აზრით ადამიანის საქმიანობა თავისი შინაარსით დამოკიდებულია იმ ინსტიტუტებზე, რომლის ფარგლებშიც ისინი საქმიანობენ, ანუ ამ ადამიანების ტრადიციებზე, უნარებზე, ჩვევებზე და ჩვეულებებზე, აგრეთვე საზოგადოებაში დამყარებულ წესრიგზე და იმ საკანონმდებლო ნორმებზე, რომელიც სავალდებულოა ყველასათვის. ამიტომ უნდა შევისწავლოთ, ამბობენ ისინი, არა ადამიანთა შორის მყარ ურთიერთდამოკიდებულებების რაციონალური ეკონომიკური კავშირები, არამედ რეალური ადამიანების საქმიანობა, მათი აქტივობის ადგილებზე, ე.ი. საზოგადოებრივ ინსტიტუტებში. ამგვარად:

ეკონომისტ-ინსტიტუციონალისტები სწავლობენ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, როგორც "რეალური" ადამიანის აქტივობის არეალს, ეკონომიკურ მოვლენებს ევოლუციურ პროცესში და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ურთიერთ განპირობებულობას.

შესაბამისად, რადგან მათი დაკვირვებისა და ანალიზის საგანს წარმოადგენს საზოგადოებრივი ინსტიტუტები, დასხელება "ინსტიტუციონალიზმიც" ამ ფაქტით არის განაპირობებული.

1.2 ინსტიტუციონალიზმის კვლევის საგანი

რომ დავადგინოთ როგორ ესმით ინსტიტუციონალისტებს, ეკონომიკა, როგორც კვლევის ობიექტი, ამისათვის უნდა გავარკვიოთ ეკონომიკურ თეორიათა შორის, ინსტიტუციონალიზმის ადგილი და მნიშვნელობა. ცნობილია, რომ კლასიკური და ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიები (ძველი და ნეო კეინსიანელობა, ავსტრიული სკოლა და მონეტარიზმი, ნეოკლასიკური სინთეზი და ა.შ.) ეკონომიკური მეცნიერების საგანად მიიჩნევენ საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას. ინსტიტუციონალისტები კი არსებითად აფართოებენ კვლევის ობიექტს და მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური ურთიერთობები საზოგადოებრივი ურთიერთობების მხოლოდ ნაწილია და განხილული უნდა იქნას მათთან კავშირში. თვალსაჩინოდ, რომ წარმოვიდგინოთ როგორ ესმით ინსტიტუციონალისტებს ეკონომიკური მეცნიერების კვლევის საგანი, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მივყვეთ ამ ეკონომიკური თეორიის ერთერთი კრიტიკოსის, ჰერი ბეიკერის (1930-1914, ნობელის პრემია -1992) ლოგიკას, რომელიც ცდილობს კვლევის ინსტიტუციონალური მიდგომები ჩაანაცვლოს ადამიანის აქტივობის ყველა სფეროში ეკონომიკური მიდგომებით.

ეკონომიკურ მეცნიერების სამი პოპულარული განმარტება არსებობს, მსჯელობს ბეიკერი. იგი შეისწავლის:

- მატერიალური სიმდიდრის (კეთილდღეობის, დოვლათის) წარმოებას და განაწილებას ადამიანის მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით,
- საზოგადოების საბაზრო სექტორს,
- შეზღუდული, ალტერნატული გამოყენების

რესურსების განაწილებას კონკურენტული მიზნების დაკმაყოფილებისათვის.

ამ განსაზღვრებებიდან გამომდინარე, ის ეკონომისტები, რომლებსაც არ უნდათ დააკავშირონ ადამიანის საქმიანობის ცალკეული სახეობები "უსულგულო" ეკონომიკურ გათვლებს და მათ აკავშირებენ ადამიანთა ურთიერთობების სხვა ასპექტებთან, თავიანთ თავს ინსტიტუციონალისტებს უწოდებენ. მეტიც, მათ მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური კატეგორიები, მხოლოდ მაშინ არის გასაგები, თუ ისინი განიხილება მთი წარმოშობის მიზეზებთან და ფუნქციონირების შედეგებთან მჭიდრო კავშირში. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან, ბეიკერის აზრით, ეკონომიკური მხარე აქვს ადამიანის აქტივობების ნებისმიერ გამოვლინებას. მას მიაჩნია, რომ ეკონომიკური მეცნიერება საგნით (კვლების ობიექტით) არ განსხვავდება სხვა სოციალური მეცნიერებებისაგან, მაგრამ ყველა სფეროში, სადაც ადამიანი მოქმედებს მისი აქტიობის შეფასების, საქმიანობის ეფექტიანობის საფუძველს ქმნის ეკონომიკური მეთოდები. ასეთი მსჯელობა დღეს საკმაოდ პოპულარულია და მას "ეკონომიკურ იმპერიალიზმს" უწოდებენ. ეკონომიკურ იმპერიალიზმს ბევრი მიმდევარი ყავს, ისინი ვინც მიიჩნევს, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი ურთიერთობები შესაძლებელია გადაწყდეს ეკონომიკურ საფუძველზე რაღაც ფორმით აღიარებენ ეკონომიკურ იმპერიალიზმს. ასე იყო საქართველოში, 2004-2012 წლებში, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ ადამიანის დანაშაულის, მათ შორის სისხლის სამართლის დანაშაულის შეფასება შესაძლებელია ფულადი ფორმით და შესაბამისად სასამართლოს არ გამოუტანია 1% მეტი გამამართლებელი განაჩენი, ხოლო პატიმრობა წარმატებით იცვლებოდა ფულადი კომპენსაციით.

ჩანართი განსჯისათვის. №1

"ეკონომიკური იმპერიალიზმის" მახინჯი გამოვლინებები

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის ავტორიტეტული მკვლევარები, მათ შორის ჰოლანდიელი მარკ ბლაუგსაც (ჰოლანდიელი ეკონომისტი 1927-2011) მიაჩნია, რომ ეკონომიკური მეცნიერების ყველაზე პოპულარული განმარტება ეკუთვნის ჯონანა რობინსონს (ინგლისელი ეკონომისტი, 1903-1993) და იგი, მომდინარეობს ალტერნატული გამოყენების რესურსების განსაზღვრულობისა და კონკურენტულ მიზნებს შორის დამოკიდებულებათა შინაარსის დადგენის აუცილებლობიდან. აგრეთვე ნათელია, რომ ეკონომიკა თავისთავად ადამიანთა ურთიერთობების უფრო დიდ სფეროს მოიცავს, ვიდრე საბაზრო სექტორია და რასაც ეკონომიტები აკეთებენ ბევრად უფრო ფართოა ვიდრე ბაზარზე ადამიანის აქტივობებია. ამ განმარტების ანალიზით გარი ბეიკერი მიდის დასკვნებამდე, რომ იშვიათობა და არჩევანი უკავშირდება ნებისმიერ რესურსს, რა ფორმაშიც არ უნდა ხდებოდეს მისი განაწილება:

- პოლიტიკური პროცესების ჩარჩოებში (რომელი დარგი დავბეგროთ გადასახადებით, სად უფრო გვზარდოთ ფულის მიწოდება, საჭიროა, თუ არა ომის დაწყება და ა.შ.),

-ოჯახში (მეუღლის არჩევა და ოჯახის სიდიდის დაგეგმვა, ეკლესიაში სიარულის სიხშირე და ძილსა და ღვიძილს შორის დროის განაწილება),

-სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზაციის დროს (მეცნიერის მიერ თავისი გონებრივი შესაძლებლობების განაწილება სხვადასხვა პრობლემების მიხედვით).

ამიტომ, ეკონომიკური მეცნიერება სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებისაგან იმდენად საგნით კი არ განსხვავდება, რამდენადაც მიდგომით. დაასკვნის ბეიკერი და ცდილობს დაასაბუთოს, რომ "ეკონომიკური მიდგომა თავისი სიძლიერით არის უნიკალური, რადგან მას აქვს უნარი მოახდინოს ადამიანის საქმიანობის მრავალი, სხვადასხვაგვარი ფორმების ინტეგრაცია".

გერი ბეიკერი შეეცადა მოეხდინა თავისი მიდგომის ინტერპრეტაცია იმ პროცესების მიმართ, რომლებიც არ გამომდინარებდნენ საბაზრო სისტემიდან. კერძოდ, მან შეისწავლა "ქორწინების ბაზარი"და სათანადო მათემატიკური აპარატურის გამოყენებით დაასკვნა, რომ მრავალ ცოლიანობას მიმართავენ მაშინ, როდესაც ერთი ცოლი ვერ აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას. ერთ ცოლიანობა და მრავალცოლიანობა, ეკონომიკური შინაარსით ერთი და იგივეა, რადგან უკავშირდება ოჯახური ცხოვრების ეფექტიანობას. არაფერს არ ვიტყვი ასეთი მსჯელობის ზნეობრივ ასპეკტზე, მაგრამ შევნიშნავ, რომ ბეიკერის ამ მოსაზრებას საკმარისი მიმდევრები ყავს.

გარდა "ქორწინების ბაზრისა" ბეიკერმა შეისწავლა "დანაშაულებათა ბაზარიც" და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასჯელის მიმართ დამოკიდებულება ყველა დამნაშავეს ერთგვაროვანი არა აქვს და საჭიროა ქონდეთ მათ არჩევანი. ვისაც სურს ციხეში მიხადოს სასჯელი, ხოლო ვისაც ციხე არ უნდა გადაიხადოს კომპენსაცია. საქართველოში ეს თეორია გადაიქცა სამუშაო თეზისად და იუსტიციის სამინისტრომ მთელი სისტემა შექმნა "დანაშაულებათა ბაზრის" სარეგულირებლად. მან სხვადასხვა რეესტრების, მეშვეობით, რომლის საშუალებითაც ქონებრივი საფუძველზე რანჟირებული იყო მთელი საქართველოს მოსახლეობა, სასჯელ აღსრულებისა და მოსახლეობის იურიდიული მომსახურეობის დახმარების სამინისტროსთან ერთად, მართლაც შექმნა "დამნაშაულებათა მარეგულირებელი საბაზრო სისტემა", რომლის საქმიანობის შედეგიც 24 ათას პატიმარს და 250 000 მუდმივი მეთვალყურეობას დამოკიდებულ პირის (პრობაციონერის) არსებობაში გამოიხატა. შედარებისათვის 1988 წელს 5.5 მილიონიან საქართველოში ციხეებში სასჯელს იხდიდა 16.5 ათასი ადამიანი. ხოლო 1937 წლის ცნობილი რეპრესიების დროს პატიმართა რაოდენობა 11 კაცს არ აღემატებოდა. 2012 წელს 4, 6 მილიონიან ქვეყანაში პატიმრების რაოდენობა 24 ათასს აჭარბებდა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაშაულებებთან ბრძოლის საბაზრო სისტემამ საქართველოში აშკარა ჰიპერტროფია განიცადა და იგი გახდა თავისუფალ მოქალაქეთა დასჯის ეფექტური მექანიზმი. ბეკერს რომ ეს ყველაფერი ცოდნოდა და 2012 წლის აგვისტოს კადრებიც ენახა ტელევიზიით, ალბათ საფლავში გადაბრუნდებოდა.

ჰერი ბეიკერის ასეთ, სოციალური ურთიერთობებში გაფართოებულ საბაზრო მექანიდტურ მიდგომებს არ ეთანხმება, ეკონომისტ-ნეოინსტიტუციონალისტი რონალდ ქოუზი (1010-2013, ნობელოს პრემია 1991), იგი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ურთიერთობები გადაჯაჭვულია სამართლებრივ, სოციალურ და კულტურულ ურთიერთობებთან საკამათო არაა. ეს ცხადია, მეტიც ეკონომიკური ურთიერთობები წმინდა სახით არ არსებობენ, ისინი ადამიანურ ურთიერთობათა რთული კონკრეტულობის გარკვეულ შრეს შეადგენენ. მაგრამ, ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისადმი ასეთი მიდგომით იკარგება მისი კვლევის საგანი, იგი ხდება ამორფული და განუსაზვრელი. ამიტომ ინსტიტუციონალისტების აზრით ეკონომიკის კვლევის ობიექტი იმდენად პროცესებისადმი "მოგება-ბალანსის" პრინციპით მიდგომა კი არ არის, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათ შიგნით საკუთრივ ეკონომიკური ურთიერთობების გამოყოფა და ანალიზია. ასეთი კვლევები კი უნდა განხორციელდეს იმ ინსტიტუტების როლისა და მნიშვნელობის საფუძველზე, რომელთა მეოხებითაც ხორციელდება ადამიანის რეალური ეკონომიკური აქტივობები. კონკრეტულ (მრავალმხრივ) ადამიანურ ურთიერთობებიდან ეკონომიკური ასპექტის გამოყოფა და ანალიზი კი შეუძლებელია, თუ არ შევისწავლით ამ პროცესის მოქმედების არეალს, იმ ინსტიტუტს სადაც იგი ავლენს თავის თავს. გარად ამისა ბაზრის ისეთი გაფართოებული ინტერპრეტაცია, რომელსაც გვთავაზობენ მიუღებელია ქოუზისათვის, იგი მოითხოვს ეს ეკონომიკური ფენომენი განმარტებული იქნას მკაცრად. მისი აზრით: ბაზარი არის საქონლისა და მომსახურეობის რეალიზაციის გამაადვილებელი მექანიზმი, რომელიც გასაყიდი პროდუქტის თავისებურებეიდან გამომდინარე ქმნის განსხვავებული ტექნოლოგიის მქონე ინსტიტუტებს. იგი სხვა ინსტიტუციონალისტების მსგავსად ეკონომიკური საქმიანობის საგნად მიიჩნევს ეკონომიკურ ინსტიტუტებს: ფირმას, ფასწარმოქმნას, კონკურენციას, ფულის მიმოქცევას, საფონდო საქმიანობას და ა.შ. იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ქმნიან ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის დამოუკიდებლ საგანს.

1.2.ინსტიტუციონალიზმის კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდის თვალსაზრისით ინსტიტუციონალისტები აქცენტს აკეთებენ ისტორიზმის მეთოდოლოგიურ პრინციპზე. რამდენადაც ფართოა ინსტიტუციონალი ეკონომისტების წარმოდგენები ეკონომიკური კვლევების ობიექტზე, იმდენად ფართოა მათი კვლევის მეთოდოლოგიაც. მათი აზრით წარსული უნდა ჩადგეს დღევანდელობის სამსახურში და განაპირობოს მომავლისაკენ სავალი მიმართულებები.

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ამერიკელი ეკონომისტი ინსტიტუციონალისტი დონალდ ნორტი (1920- ,ნობელის პრემია 1993): "ისტორიას აქვს მნიშვნელობა არა მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენ გაკვეთილებს ვიღებთ წარსულიდან, არამედ იმიტომ, რომ აწმყო და მომავალი წარსულს უკავშირებს საზოგადოებრივი ინსტიტუტების უწყვეტობას, არჩევანს რომელსაც ვაკეთებთ დღეს, ან ხვალ გავაკეთებთ წარსულმა წამოგვიყენა. ხოლო წარსული გასაგები ხდება მაშინ, როდესაც მას ინსტიტუციონალური განვითარების თანმიმდევრობის სახით წარმოვიდგენთ."

ისტორიზმის მეთოდი რეალურად უგულვებელყოფილია კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლებისაგან, მათ მიაჩნიათ რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტები მუდმივად განიცდიან გარდაქმნებს და აუცილებელია მათი იმ მახასიათებლების შესწავლა, რომლებიც აზრს აძლევს მის სისტემურობას. აქ თითქოს სადაო არაფერია, გარდა ერთ საკითხისა, როგორ ესმით მოკამათე მხარეებს ცნება, "სისტემურობა". როდესაც საკითხს განვიხილავდით ეკონომიკური თეორიის საგანთან მიმართებაში აღვნიშნეთ, რომ თუ კლასიკური ეკონომიკა ეძებს ეკონომიკურ სისტემას, როგორც საკუთრივ ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას, ინსტიტუციონალისტები თვლიან რომ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემურობა, მხოლოდ სოციალურ სისტემის შიგნით იურიდიულ და სხვა სოციალურ ურთუერთობებთან კავშირში არის გასაგები. სისტემურობის ამგვარი წარმოდგენა, მხოლოდ მისი მოცულობითი ლოგიკური საზღვრების დადგენის აუცილებლობიდან კი არ ჩნდება, არამედ ცნება "სისტემის," როგორც კვლევის მეთოდოლოგიური საშუალების გაგების განსხვავებულობიდან გამომდინარეობს. საქმე ისაა, რომ ინსტიტუციონალისტები საზოგადოებრივი პროცესების გააზრებისას დარვინის შეხედულებებს ეყრდნობიან. ამიტომ მათთვის სისტემა მუდმივ ურთიერთქმედებაშია გარე სამყაროსთან, რეაგირებს მასზე და მისი ზემოქმედებით იცვლება კიდეც. საზოგადოების, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, კონკურენტული სისტემის ცვალებადობა, განპირობებული მიზეზშედეგობრივი კავშირებით და არ ექვემდებარება კითხვას "რატომ", როგორც ეს ფიზიკაში ხდება, არამედ იგი გამომდინარეობს კითხვიდან "რისთვის". ამასთან, ასეთ მიზეზშედეგობრივ განპირობებულობას არა აქვს თელეოლოგიური შინაარსი, რადგანაც იგი მიზნის მეშვეობით არ იხსნება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინსტიტუციონლიზმის ფუძემდებლის ტორსტეინ ვებლენის (1857-1929) შეხედულებები, რომელზედაც ახლა ვმსჯელობთ, საბუთდება ცნობილი ეტოლოგის კონრად ლორენცის (ავსტრიელი ექიმი, ეტოლოგიის ფუძემდებელი 1903 -1989 ნობელის პრემია 1973) დკვირ-

ვებებით ცხოველთა სამყაროზე. ამიტომ ისტორიზმი, რომელსაც ეყრდნობა ინსტიტუციონალიზმი შინაარსობრივად ბევრად უფრო მდიდარი მეთოდოლოგიური პრინციპია, ვიდრე ის რომელსაც, ჩვენ ვიცნობთ ფილოსოფოსებისა და ეკონომისტრბის სხვა ნაშრომებიდან.

ჩანართი განსჯისათვის №2
ისტორიზმი-სოციალური ტოპოლოგიის საფუძველი

ინსტიტუციონალისტი მკვლევარები ისტორიზმის მეთოდს იყენებენ არა იმისათვის, რომ დაადგინონ, რომ "ოდესღაც რაღაც მომხდარა", არამედ იმისათვის რომ იპოვონ ისტორიის წიაღში ის მაცოცხლებელი ძალა, რომელიც დღევანდელობის განვითარების საფუძვლებს შექმნის. ამ თვალსაზრისით ისინი ახლოს არიან ფრანგულ ისტორიოგრაფიულ სკოლის წარმომადგენლებთან მარკ ბლოკითან (1886-1944), ფერნან ბროდელთან (1902-1985)და სხვ. მაგრამ, რამდენადმე განსხვავდებისნ კიდეც, რადგან ისინი ისტორიისაგან მოითხოვენ მეტს, იმას რაც დროში მუდმივია და თავისი სახეცვლილებეით ქმნის განვითარების მუდმივობის საფუძველს. ამ თვალსაზრისით ისინი, თოთქოს მატემატიკის დარგის ტოპოლოგიის, ჰუმანიტარულ ინტენპრეტაციას ახდენენ. როგორც ვიცით, ტოპოლოგია შეისწავლის უცვლელობას უზოგადესი ფორმით, კერძოდ, სივრცის ისეთ უცვლელ მდგომარეობას, რომელიც განიცდის მუდმივ დეფორმაციას. ამასთან, ტოპოლოგია არ შეისწავლია ობიექტის მეტრულ თვისებებს, რის გამოც სრულიად სერიოზულად მტკიცდება, რომ ფინჯანი და "ბუბლიკი," ამ თვალსაზრისით, არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სწორედ ასეთ უცვლელ ობიექტებად, რომლებიც ინარჩუნებენ უცვლელ თვისებებს, მუდმივად დეფორმირებად, ცვალებად, საზოგადოებრივ დინამიკაში, არიან ინსტიტუტები, რომლებიც ფუნდამენტალური სოციალური პროცესების უცვლელობას განაპირობებენ. მართალია, დონალდ ნორტი, ასე პირდაპირ არ ამბობს, ინსტიტუტებს ასეთი მნიშვნელობა (იგულისხმება "ტოპოლოგიური უცვლელობის" საზრისი) ჩვენ მივანიჭეთ, რადგან მივიჩნიეთ, რომ მას შემდეგ რაც ახალგაზრდა რუსმა მათემატიკოსმა გრიგორი პერელმანმა, ანრი პუანკარეს (ფრანგი მათემატიკოსი, 1854-1912) ჰიპოთეზა ამოხსნა, შეიძლება მისივე სიტყვებით ვამტკიცოთ, რომ... "ყველა მათემატიკური თეორია, თუ იგი მკაცრია, ადრე თუ გვიან პოულობს გამოყენების არეალს. ... მე შევისწავლე სიცარიელეთა გამოთვლა, ჩემს კოლეგებთან ერთად ჩვენ ვეუფლებით ეკონომიკურ და სოციალურ "სიცარიელეთა" შევსების ხელოვნებას". ის ძიება, რომელსაც თაობები აწარმოებენ საზოგადოებრივი განვითარების გზის საპოვნელად, სწორედ ასეთი "სიცარიელეების" შევსების მცდელობაა, რომელზედაც პელერმანი საუბრობს.

დონალდ ნორტი საუბრობს ისტორიულ წარსულზე და მის მუდმივ "დეფორმაციაზე", იმ ადექვატურ სამეურნეო ინსტიტუციონალური სისტემის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპისათვის შესაბამისი იქნება. ასეთი გზით მიდიოდა საქართველო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც დავიწყეთ საბაზრო ეკონომიკის "მშენებლობა" ჩვენთვის მთავარი ამოცანა იყო შეგვექმნა ისეთი საბაზრო მექანიზმები, რომლებსაც წარმატებით ჩავანაცვლებდით არსებულ, ბიუროკრატულ-ადმინისტრაციული სისტემის მიერ დამკვიდრებულ ინსტიტუტებს, ამ პროცესში, რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული. შემდეგ 2004-2012 წლებში გატარებულმა გაუაზრებელმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ქვეყანაში არსებული "ცარიელ" ადგილებს: შრომის ბაზარი, საფონდო ბაზარი, საპენსიო დაზღვევის დაგროებითი სისტემა, ანტიმონოპოლიური საქმიანობა, განათლების და მთელი მერიტორიული სფეროს საბაზრო ორგანიზაციის სისტემა და სხვა ზოგიერთი მოქმედი ინსტიტუციების მოშლით დამატებითი "სიცარიელეები" შექმნა: ადგილობრივი ბიუჯეტები, საპენსიო სისტემა, სადაზრვეო აქტუარული ბაზარი (გარდა ჯანდაცვის დაზღვევისა), ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ასეთი ქმედებებით კი არა მარტო ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებს დავშორდით, არამედ ეკონომიკური ზრდის საფუძვლები შევარყიეთ. განვითარება ეს ხარისხობრივი სიდიდეა, ხოლო ზრდა არსებული სტანდარტის პირობებში რაოდენობრივი მეტობაა. ჩვენ კი სწორედ ხარისხობრივი უკუსვლა განვიცადეთ. ამიტომ, როდესაც ეკონომიკის ფუნქციონირების აუცილებელი ინსტიტუტები მოვშალეთ, განვითარებაზე საუბარი გაუგებარია.

1.3.ინსტიტუციონალიზმის გამოყენებითი მნიშვნელობა

ახლა, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ ინსტიტუციონალიზმი თავისი შინაარსით სამეურნეო პრაქტიკაზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორიაა, საინტერესოა გაირკვეს რას სთავაზობს იგი საზოგადოებას. ინსტიტუციონალური პრაქსიკოლოგია (პრაქტიკული გამოყენება) სამართლიანად მიაჩნიათ, რომ მიმართულია ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, მისი რეკომენდაციები საშუალებას იძლევა მიზანმიმართული გახდეს ეკონომიკური გარდაქმნები და შემუშავდეს ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ეფექტური გახდება შეზღუდული რესურსების გამოყენება. ანუ საზოგადოება გახდება უფრო ჭკვიანი ვიდრე იყო.

ზოგადად, ინსტიტუციონალისტებს აინტერესებთ, იპოვონ სოციალური ევოლუციის პროცესში საზოგადოების უცვლელობის ის საერთო ფორმები, რომლებიც განაპირობებს მის ერთიანობას, მიუხედავად ურთიერთობათა მუდმივი დეფორმაციისა და შესთავაზონ საზოგადოებას ამ ფორმათა სრულყოფის შესაძლებლობები. ამიტომ, ინსტიტუციონალისტები უფრო ახლოს არიან თავიანთი კვლევების შედეგე-

ბით ანტროპოლოგებთან, კერძოდ სოციალური ანთროპოლოგიის იმ მიმართულებასთან, რომელსაც "ეკონომიკურ ანთროპოლოგიას" უწოდებენ, ვიდრე ეკონომიკის ისტორიულ სკოლასთან. მაშინ, როდესაც ისტორიული სკოლა იზღუდება ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკური ფარგლებით, ეკონომიკური ანთროპოლოგია, კერძოდ ამერიკელი კარლ პოლანი (1886-1964) გვიხსნის, რომ დემოკრატიულ საზოგადოება შესაძლებელს ხდის განხორციელდეს "დიდი ტრანსფორმაცია", ანუ, თუ სახელმწიფოები ვითარდება დემოკრეტიულად, მაშინ მათ შორის მყარდება იდენტური, ურთიერთმისაღები საბაზრო დამოკიდებულებები. დემოკრატია საშუალებას გვაძლევს ეკონომიკაში დამკვიდრდეს ბაზრის ახალი ინოვაციური ფორმები, რომელიც განვითარებული სტანდარტებით საქმიანობის საშუალებას იძლევა. მაგალითად ჯანმრთელობის დაცვის ის სისტემა, რომელიც კანადაში, სკანდინავიის ქვეყნებში და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყნებშია, დიდხანს, დაახლოებით 300 წლის განმავლობაში ყალიბდებოდა,მაგრამ ასეთი მექანიზმის გადატანა განვითარებად ქვეყანაში 30 წლის განმავლობაშია შესაძლებელი. ამისათვის საჭიროა არსებობდეს დემოკრატიული გარემო სადაც ტრადიციული ინსტიტუტები შეძლებენ უმოკლეს დროში და ეფექტურად აითვისონ ეს სიახლეები. ეს იმიტომ, რომ, როგორც ეკონომიკური ანთროპოლოგი ბრიტანელი ბრონისლავ მალინოვსკი (1884-1942) ამტკიცებს, დემოკრატიულ გარემოში საბაზრო ინსტრმენტები ორგანულად შემოდიან ქვეყნის საზოგადოებრივ ქსოვილში და პროცესის ნორმალური მსვლელობა გვიჩვენებს, რომ მთავრობის ჩაურევლობას კერძო ინციატივების სფეროში გეგმაზომიერი ხასიათი აქვს, ხოლო მისი მონაწილეობა, საბაზრო სფეროში სპონტანური ხასიათისაა, შექმნილი აუცილებლობებიდან გამომდინარეობს. გამოდის რომ ეს ორი პარალელურად განვითარებადი პროცესი, საზოგადოებრის ინტეგრაცია ბაზრის მეშვეობით და ბაზრის განვითარება, ერთმანეთთან ბალანსდება სახელმწიფოს ძალისხმევით. რადგან იგი იძულებული ხდება საჭირო შემთხვევაში გამოიჩინოს სამეწარმეო ინციატივები. შესაბამისად სახელმწიფოს ინსტიტუციონალური მოწყობა ხდება აქტუალური და იმაზე, თუ როგორი მექენიზმები შეიქმნება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მიზნით დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის პროგრესი. გარდა ამისა, ეკონომიკური საბაზრო კრიტერიუმები გამოიყენება სხვა არაეკონომიკური, სოციალური პროცესების სამართავადც, ამიტომ, ქვეყნის განვითარების ერთერთ, უმთავრეს მექანიზმს წარმოადგენს მისი საბაზრო სისტემა და ის ინსტიტუტები, რომლებიც ამ სისტემას გარკვეულ ჩარჩოებში სვამმს. ასეთ საზოგადოებრივ წარმონაქმნები (ინსტიტუტები), რომლებიც რამდენადმე აწესრიგებენ საბაზრო სტიქიურ კანონზომიერებებს, ისინი ამ შემთხვევაში იძენენ უარყოფით უკუკავშირების ფორმას და საბაზრო მოტივაციებს წარმართავენ სოციალური სამართლიანობიდან გამომდინარე. მთავრობა ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი, მიმართულების მიმცემი, შემფასებელი და გარდამქმნელი. იგი არის ობიექტიც და სუბიექტიც. ასეთ სიტუაციაში დგება მისი საბაზრო პროცესების ჩართულობის ამოცანა.

ინსტიტუციონალისატების მიმართ კვლევის ობიექტის გარკვევისა და შედეგების თვალსაზრისით, არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები არსებოს. იგი თანდათან უფრო პოპულარული ხდება, სულ უფრო მეტი სპეციალისტი აღიარებს კვლევის ამ მიმართულებას და თვითონ იწყებენ საკითხების ინსტიტუციონალურ საფუძველზე შესწავლას. ამის მაგალითია რუსი ეკონომისტი ალექსანდრე აუზანი, ქართველი კახა ბენდუქიძე, ბესარიონ ალადაშვილი და სხვები. შეინიშნება ნეგატური დამოკიდებულებაც. მაგალითად ინტერნეტენციკლოპედია "ვიკიპედიაში," მოჰყავთ, ვასილი ლეონტიევის,(ამერიკელი ეკონომისტი,1905-1999. ნობელის პრემია 1973 წელს), შეხედულება, " ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის საქმიანობის გაგრძელება პრობლემატურიად მიმაჩნია. - 1997 წელს აღნიშნავდა იგი -ვფიქრობ, რომ მისი ყურადღება ეკონომისტ-თეორეტიკოსებიდან თანდათანობით გადაერთო ინსტიტუციონალისტ ეკონომისტებზე. ახლა კი წარმოიშვა პრობლემა, რამდენადაც კონკრეტულ ეკონომიკურ კვლევებში შეიძლება, ილაპარაკო გარკვეულ იერარქიაზე, წინგადადგმულ ნაბიჯებზე, გარღვევაზე, ამდენადვე ინსტიტუციონალურ სკოლის საქმიანობაში ნამდვილად ვერ ვხედავ სერიოზულ ძვრებს". ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ნობელის კომიტეტი არ დაეთანხმა ინსტიტუციონალიზმის ლეონტიევისეულ შეფასებას და 1997 წლის შემდეგაც გაიცა ნობელის პრემიები ამ მიმართულების ეკონომიცტებზე.

ჩანართი განსჯისათვის. №3
ძველ ტიკებში ახალ ღვინოს არ ასხამენ!

საქართველოში 2012-2014 წლებში, პოლიტიკური ინსტიტუტების უცვლელობის პირობებში, დიდი სოციალური გარდაქმნები განხორციელდა. ქვეყნის მართვის პოლიტიკური და ორგანიზაციული სისტემის უცვლელობის პირობებში სხვა საზოგადოებრივი პრიორიტეტები ჩამოყალიბდა და ვითარდება. ადამიანებისა და მათი ყოველდღიური საზრუნავისაკენ შებრუნდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობების ვექტორი. ეს ფუნდამენტალური სახის ცვლილებაა. საქმე ისაა, რომ თუ 2012 წლამდე, მოსახლეობის სოციალური დაცულობა იყო ეკონომიკური აქტივობების შედეგი და სიღარიბე განიხილებოდა, როგორც ცალკეულ პირთა დროებითი უნიათობის გამოვლენა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მონაპოვარი ისაა, რომ მოსახლეობის სოციალური დაცულობა, ადამიანის განვითარების მახასიათებლების ზრდა ეკონომიკური რეფორმების წინამძღვარი გახდა. ამიტომ თუ, 2012 წლამდე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ერთობლიობა, მიმდინარე დეფორმაციების პირობებში,

ქმნიდა ისეთი იერსახის მქონე სოციუმს, რომელიც შეიძლება შევადაროთ "ბუბლიკს", სადც ხალხისათვის მხოლოდ ცარიელი რგოლი ქონდათ დატოვებული, ახლა, 2913 წლიდან, იგი ფინჯანს დაემსგავსა და ხალხი, სამართლიანად ელოდება როდის აივსება იგი ნაღებით. როგორც ვხედავთ, ქვეყანა თამამად ცვლის განვითარების პრიორიტეტებს და წინააღმდეგობები, რაც გზაზე ხვდება მოსალოდნელი და ანგარიშგასაწევი მოვლენებია. საქმე ისაა, რომ კანონების მოქმმედების ფუნდამენტალური და უზოგადესი მიმართულებების შეცვლა საკმაოდ ადვილია, ხოლო ადამიანების ჩვევები თანდათანობით და საკმაოდ რთულად იცვლება. მიაქციეთ ყურადღება, 2010 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტში განმრთელობის დაცვაზე დაიხარჯა 3 მილიარდ ლარამდე, დაახლოებით 16%, აქედან სახელმწიფოს წილი შეადგენდა, მხოლოდ 300 მილიონ ლარს, გაწეული ხარჯების მეათედს. დანარჩენს იხდიდა პირადად პაციენტი. საქართველოს მედია მხოლოდ პოზიტიურ მასალას აშუქებდა და გვესმოდა, რომ ამ სფეროშ დიდ წარმატებეს მივაღწიეთ. ამჟამად, როდესაც გადავედით საყოველთაო სამედიცინო დაზღვევაზე და თვითოეულმა ადამიანმა იგრძნო ასეთი სამედიცინო მომსახურეობის სიკეთე, რეალობის საზოგადოებრივი ასახვის სრულიად საწინაღმდეგო მოცემულობები მივიღეთ. ასეთივე მაგალითების მოყვანა შეიძლება განათლების სფეროდანაც, სადაც უფასოდ დარიგებული სასწავლო სახელმძღვანელოები, ერთი მითქმამოთქმის საგანი გახადეს ფსევდო ლიბერალებმა, გამომდინარე თავიანთი დოქტრინალური შეზღუდულობიდან. როგორც ვხედავთ, საზოგადოების ფუნქციონირება მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს პოლიტიკურ მოწყობას და მიღწეული შედეგები მუდმივი ანალიზისა და განხილვის საგანი უნდა იყოს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც თვითეული მოქალაქე უნდა გრძნობდეს სახელმწიფოს პოზიციონირებიას თანაცხოვრების ნებისმიერ სფეროში და შეეძლოს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება. დღეს ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ქვეყანა აგრძელებს ცხოვრებას იმ პოლიტიკური მოდელის საფუძველზე, რომელიც წარსულ პერიოდში ჩამოყალიბდა და რომელსაც უარი უთხრა საქართველოს მოსახლეობამ. მართალია 2013 წლიდან საქართველოს ხელსუფლება ერთგვარად შემობრუნდა მოსახლეობისაკენ, ეს აისახა კიდეც ადამიანის კეთილდღეობაზე, მაგრამ ძველ ტიკებში ჩასხმული ახალი ღვინო ამ ტიკს არღვევს და მიწაზე იქცევა თავანკარა და ჯერ კიდევ, დაუვარგებელი სასმელი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ საქართველოში საზოგადოების განვითარების ორიენტირები იცვლება. მიმდინარეობს საზოგადოების ტრანსფორმირებია, მიზნობრივ ამოცანათა ცვლილების პროცესი, მაგრამ მისი დაჩქარებისათვის აუცილებელია, რევიზია ჩაუტარდეს იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ქმნიან პოლიტიკური მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას. ასეთი პოლიტიკური წარმონაქმნები თავიანთი უარყოფითი უკუკავშირებით, ნეგატურ ზეგავლენას ახდენენ მოქალაქეთა თანაცხოვრების არსებულ წესზეც და სამომავლო მიმართულებების ფორმირებაზეც.

მიუხედავად ინსტიტუციონალიზმისადმი ასეთი არაერთგვაროვანი მიდგომებისა იგი, მისი მეცნიერული მონაპოვარი, უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოების განვითარებაზე მაფიქრალ და პასუხისმგებელი ადამიანების წინაშე სვამს მნიშვნელოვან პრობლემას, კერძოდ, რას წარმოადგენენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რით განსხვადებიან ისინი ორგანიზაციულად და როგორ ზემოქმედებენ სახალხო დოვლათის წარმოებისა და მითვისების რეალურ გარემოზე. საკითხის ამგვარი დასმა კი გაგვიადვილებს პასუხა კითხვაზე, როგორ მივუდგეთ ახლის შენებას. ქვეყნის განვითარების უცვლელი პირობების ცოდნა მოგვცემს საშუალებას, გავარკვიოთ:

- რა ცვლილებებია მოსალოდნელი და რაში მდგომარეობს მათი გარდუვალობა.
- როგორი საზოგადოებრივი მექანიზმებია საჭირო, რომ ეს ცვლელებები ქვეყნის განვითარების მიმართულებით მოქმედებდეს და არა საწინააღმდეგოდ,
- დავძლიოთ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები, რომლებიც გარდუვალი იყო მიმდინარე რეფორმებისა და ცვლილებების ფონზე.

მიუხედავად ჩვენი დამოკიდებულებებისა წარსულისადმი, უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც ადამიანებისათვის დღეს მისაღებია. გარდაქმნების ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ რაც წინა პერიოდებში თავს გადაგვხდენია. უნდა გვახსოვდეს, რომ არ არსებობს ტრანსფორმაციის ისეთი თეორია, რომელიც მოსალოდნელი შეცდომების მინიმიზაციას ითვალისწინებს.

2. ინსტიტუციონალიზმის ისტორიული წანამძღვრები და მისი ჩამოყალიბება დამოუკიდებელ ეკონომიკურ მიმართულებად

ტერმინი ინსტიტუციონალური ეკონომიკა პირველად 1919 წელს გაჩნდა. იგი თავის სამეცნიორო სტატიაში ამერიკელმა ეკონომისტმა უოლტ ჰამილტონმა გამოიყენა. თავდაპირველად, ტერმინით "ინსტიტუციონალური ეკონომიკა", აღინიშნებოდა კონკრეტული, გამოყენებითი ხასიათის ეკონომიკური კვლევები. იგი მოცემული ადგილზე, მიმდინარ პერიოდში განხორციელებული ანალიტიკური საქმიანობის ერთგვარი საერთო სახელი იყო. აღნიშნავდა დაახლოებით იმას, რასაც საბჭოთა კავშირში დარგობრივ ეკონომიკას უწოდებდნენ, და ამ სფეროში მოღვაწე ეკონომისტებს არ ქონდათ საკვლევი მასალის თეორიული განზოგადები პრეტენზიები. თვით ტერმინი "ინსტიტუტციონალური" გაჩნდა სიტყვებისაგან, "ინსტიტუტი" და "ინსტიტუცია", რაც ნიშნავს, როგოც უკვე აღვნიშნეთ, წესებს და წესრიგს, ჩვევებს და ჩვეულებებს, რაც მდგრადია და საზოგადოებაში მოქმედებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ინ-

სტიტუციებს) და კანონით დადგენილ წესებს და დაწესებულებებს (ინსტიტუტებს). ეკონომისტი ინსტიტუციონალისტები შეისწავლიდნენ სახელმწიფოს, ოჯახს, კერძო საკუთრებას, ფირმებს, ბაზრის სხვადასხვა სექტორს, საგადასხაო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემებს, ფულის მიმოქცევას, საბანკო კაპიტალის ფუნქციონირების თავისებურებეს და ა.შ. მათი ეს გამოკვლევები საფუძველს უქმნიდა გამოყენებითი ხასიეთის ეკონომიკური დისციპლინების: მარკეტინგის, ფინანსური თეორიის, დასქმების, მერიტორული ეკონომიკის და სხვა ამგვარი სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინების შექმნას და განვითარებას. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა ტორსტენ ვებლენის ფუნდამენტალური ნაშრომები, რომლებშიც ავტორი საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობებს შეისწავლიდა არა, მხოლოდ "აქ" და "ახლა", რათა არსებულ შეზღუდულ სოციალურ გარემოში გამოევლინა ეკონომიკის რაციონალური ფუნქციონირების ფორმები და მეთოდები, არამედ ეკონომიკურ ინსტიტუტებს წარმოაჩენდნენ, როგორც საზოგადოებრივი სისტემის განვითარების ისტორიულ გარდუვალობას და ხსნიდა მათი განვითარების მექანიზმებს ევოლუციურ პროცესში.

2.1. ინსტიტუციონალიზმის მეთოდოლოგიური სირთულეები

ინსტიტუციონალიზმის დამკვიდრების სირთულეებმა თავი იჩინა ტორსტეინ ვებლენის ნაშრომების გამოქვეყნებისთანავე, როგორც ცნობილია ეს შრომები ემყარებოდა არსებული წარმოების წესისის, კაპიტალიზმის, კრიტიკულ ანალიზს, რაც მიუღებელი აღმოჩნდა მისი თანამედროვე ეკონომისტებისათვის. იმხანად, საზოგადოება მზად არ იყო აღექვა კაპიტალისტები უსაქმურებად, დემონსტრაციულ მომხმარებლებად. გარდა ამისა, საზოგადოების დახასიათებისას არგუმენტების მოხმობა სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესებიდან და ის ძლიერი ისტორიული და ეთნოგრაფიული ექსკურსები, რომელსაც ანხორციელებდა იგი, ამერიკული ეკონომიკური სკოლისათვის მისაღები არ იყო. ამიტომ ტორსტენ ვებლენი, ფორმალურად თავის თანამედროვე საზოგადოების წინაშე წარმოჩდა, როგორც გერმანული ისტორიული სკოლას გაგრძელება ამერიკის სინამდვილეში. ეს მცდარი წარმოდგენა დღესაც არ არის დაძლეული და თანამედროვე მკვლევარები ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ თეორიის წინაპირობებს და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს გერმანული ისტორიული სკოლის წიაღში ეძებენ.

მართალია, როგორც 1.3 პარაგრაფში აღვნიშნეთ პრაქსიკოლოგიის თვალსაზრისით, ინსტიტუციონალიზმს არაფერი აქვს საერთო გერმანულ ისტორიულ სკოლასთან, მაგრამ რეალური ეკონომიკური პროცესების შესწავლის დაკავშირება, მოცემული ქვეყნის უნიკალურ, კულტურულ ისტორიულ თავისებურებებთან, გარეგნულად რამდენადმე აახლოებს ამ ორ მიმართულებას ერთმანეთან.

ჩანართი განსჯისათვის. №4

გერმანული ისტორიული სკოლა და ინსტიტუციონალიზმი

გერმანული ისტორიული სკოლა სათავეს იღებს ფრიდრიხ ლისტის (1789-1846) შრომებიდან, რომელსაც მიაჩნდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სხვა ქვეყნებთან კონკურენტული ურთიერთობის პროცესში მიმდინარეობს და აუცილებელია პოლიტიკური მექანიზმების შემუსავება, რომლებიც დაიცავს ქვეყანას უცხოელთა ექსპანსიისაგან. გრმანული სკოლის უდაოდ ყველაზე დიდი წარმომადგენელს გუსტავ ფონ შმოლერი (1838-1917) ანვითარებდა რა ლისტის მოსაზრებებს თვლიდა, რომ ნებისმიერი ეკონომიკური თეორია უნდა ეფუძნებოდეს, სამეურნეო ინდივიდების განზრახვათა კონკრეტულ-ისტორიულ შესწავლას ეთიკის და მათი პრაქტიკაზე ორიენტირებულობის თვალსაზრისით, გამომდინარე ტექნიკის განვითარების დონიდან, ბუნებრივი პირობებიდან, სოციალური ინსტიტუტების ხასიათიდან, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობას. შმოლერის მოსაზრებები გააკრიტიკა ავსტრიული სკოლის ფუძემდებელმა კარლ მენგერმა (1840-1921), რომელსაც მიაჩნდა, რომ ისტორიული კვლევა ეწინაღ ეკონომიკური პროცესების არსს, ახვევს მას ფაქტების, ემპირიული მასალის გარსში, რითაც ამოუცნობი ხდება ეკონომიკური სუბიექტების მოქმედებების ჭეშმარიტი მოტივები. მისი აზრით, ისტორიული ასპექტი უკარგავს ეკონომიკას კვლევის უშუალო სგანს. მთავარია ვეძებოთ ის უმარტივესი სოციალური საწყისი, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სისტემურობას და მის საფუძველზე განვიხილოთ არსებული სამეურნეო პროცესები. დისკუსია გაცდა მეცნიერული ეთიკის სფეროს და პოლიტიკური ხასიათი მიიღო. კერძოდ შმოლერმა გამოიყენა გერმანიის იმპერიაში მისი დიდი ავტორიტეტი და მიზესისა და მისი მიმდევრების შეხედულებეის სწავლება იმპერიის უმაღლეს სკოლებში აიკრძალა. სამაგიეროდ ავსტრიული სკოლა კარგად მოერგი ინგლისური პოლიტიკური ეკონომიას და დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ მსოფლიოში. ამიტომ, როდესაც ამერიკაში გამოქვეყნდა ვებლენის ნაშრომები, რომლებიც დაფუძნებული იყო ისტორიზმის პრინციპებზე მყის გაჩნდა ასოციაცია გერმანულ ისტორიულ სკოლასთან, კერძოდ მის განახლებულ მიმართულებასთან, რომელიც ვერნერ ზომბარდტთან (გერმანელი ეკონომისტი და სოციოლოგი, 1863-1941) იყო დაკავშირებული და რომელსაც "ახალგაზრდა მარქსიზმსაც" ეძახდნენ. (ამ მიმართულებას მიმდევრები საქართველოში იყვნენ პროფესორი ბიძინა რამიშვილი, რომელიც დახვრიტეს 1937 წელს და მისი მოწაფეები ოთარ ბეროძე და ტოგო ჭელიძე, რომლებიც "გულაგის" ბანაკებში საკმარისი წლები გაატარეს.)

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ინ-

სტიტუციონალისტებს მოუწიათ თავდაცვით პოზიციაში ჩადგომა და იმის მტკიცება, რომ მათ პრინციპში არაფერი ქონდათ საერთო მარქსიზმთან, ხოლო გერმანული სკოლის მსგავსად იყენებდნენ ისტორიზმის მეთოდს. ისინიც, ისე როგორც ავსტრიული სკოლა, ეძებდნენ ეკონომიკური სისტემის საწყისს, მის გარაგადამწვდომ ატრიბუტულ თვისებას, რომელიც განაპირობებდა სისტემის მუდმივობას და ახსნიდა მის თავისებურებებს შესწავლის პერიოდისა და ადგილის შესაბამისად. ამიტომ გარეგნულად ჩანდა, რომ ისინი უარს ამბობდნენ კვლევის დედუქციურ მეთოდზე და ამკვიდრებდნენ ემპირიულ ინდუქტივიზმს. ვიმეორებ ეს მხოლოდ მოვლენათა ზედაპირზე ჩანდა ზოგიერთი ავსტრიული სკოლის დოქტრინით გაბრუებული სპეციალიატისათვის, ხოლო რეალურად ინსტიტუციონალისტები სოციალირ სისტემას აღიქვამდნენ, როგორც ცოცხალ განვითარებად სისტემურობას და ეძებდნენ ისეთ საწყის ურთიერთობებს, რომლებიც სისტემას გარესამყაროს მიმართ მდგრადობას ანიჭებდა.

მეორე დიდი "გაუგებრობა", რომელიც ტორსტეინ ვებლენის ნაშრომის "უსაქმური კლასის თეორია" გამოსვლას მოყვა, იმან გამოიწვია, რომ ვებლენი ცდილობდა გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოდ დაეტკიცებინა, რომ ბაზარზე მომხმარებლის პრიორიტეტი კი არ ბატონობს, არამედ მწარმოებლი განსაზღვრავს, თუ რა სახის საქონელზე როგორი მოთხოვნები იქნება. ეს თეორია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან განამტკიცა მარკეტინგულმა კვლევებმა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ვებლენის თეორიის გამგრძელებლები თამამდ წერენ, რომ ვატყუილებთ მკითხველს განსაკუთრებით სტუდენტებს, რადგან ეკონომიკური თეირიის სწავლების მეთოდიკას აქვს პირდაპირი დამოკიდებულება სასწავლო პროცესთან, იგი აგებულია ეკონომიკურ ცხოვრებაზე მორგებული რიტუალური და სიმბოლური მნიშვნელობით. ეს იმიტომ, რომ არსებობს გაუპიროვნებელი ბაზარი, ბაზარი როგორც განცალკევებული და დამოუკიდებელი პროცესების ინტეგრატორი. რომელიც გვიჩვენებს, რომ მომხმარებელი კარნახობს მწარმოებელს რა და რამდენი გამოუშვას, სად მოახდინოს რეალიზაცია. სინამდვილეში კი არავინ არ მოკიდებს ხელს რაიმე საქონლის წარმოებას ან მომსახურეობის ორგანიზაციას, თუ არ იცის, წინასწარ, როგორი მოთხოვნილებები იქნება მის პროდუქტზე. "მართლაც, -წერს ჯონ გელბრეიტი (1908-2006) -რატომ უნდა უნდა იყოს შენი ბიზნესი მომხმარებელთა არჩევნის ზემოქმედებაზე დამოკიდებული, როდესაც შეგიძლია ეს არჩევანი არა მარტო გაითვალისწინო, არამედ აკონტროლო კიდევაც".

ამგვარად, დოვლათის წარმოების პროცესის და წარმოების სეროში არსებული ინსტიტუტების პრიორიტეტული მნიშვნელობის შესახებ აზრი ეკონომიკურ თეორიაში პირველად ვებლენმა განავითარა და დააკავშირა იგი ადამიანის შინაგან ატრიბუტულ მახასიათებლებს, მის ფსიქოლოგიას, ფიზიოლოგიას და დიდ ჯგუფებში თანაარსებობის ისტორიულად ჩმოყალიბებულ მდგრად ჩვევებს. მისი კვლევის საგნის ამ სახით წარმოჩენა, მოითხოვდა მეთოდოლოგიურ თავისებურებებსაც, კერძოდ საჭირო ხდებოდა საზოგადოების ევოლუციური პროცესი წარმოედგინათ, როგორც მთლიანი ობიექტურად განპირობებული რელობა, რომელიც მოითხოვდა, მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრულობის აუცილებლობას. იმდროისათვის გაბატონებული ეკონომიკური თეორია, რომელიც ამ საკითხში დავით რიკარდოს (ინგლისელი ეკონომისტი 1772-1823) მიერ განსაზღვრულ პოზიციებზე იდგა და მიაჩნდა, რომ რესურსების გამოყენების პროცესი ვერ დაექვემდებარება უზოგადეს კანონზომიერებებს და ეკონომიკური კანონები მხოლოდ განაწილების სფეროში ავლენენ თავს, სამეურნეო პროცესების, მით უფრო წარმოების სფეროში პროგნოზირების შესაძლებლობებსაც კი უარყოფდა. ამიტომ, რა თქმა უნდა, გაგებით ვერ შეხვდა ვებლენის მოსაზრებებს. მონეტარისტები, თუ მილტონ ფრიდმენის (1912-200, ნობელის პრემია 1976) ბოლო ნაშრომების მიხედვით ვიმსჯელებთ და სხვა მისი მოწაფეები, ეკონომიკის პროგნოზირების რაიმე შესაძლებლობას უარყოფენ დღესაც. ამიტომ ინსტიტუციონალიზმის კრიტიკოსებმა, კიდევ ერთხელ გადაიტანეს კამათი ეკონომიკური თეორიის კვლევის მეთოდების სფეროში და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ინსტიტუციონალიზმის ნორმატული ხასიათი.

ჩანართი განსჯისათვის №5
ისტორიზმი- ეკონომიკაში პოზიტიური და ნორმატული მიდგომების სინთეზი

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით პრობლემა, რომლითაც ინსტიტუციონალისტები დაუპირისპირდნენ სხვა ეკონომიკურ მიმართულებეს არის მომავლის პროგნოზირების პრობლემა. ეს საკითხი თავის დროზე ინგლისელმა ფილოსოფოსმა დავით იუმმა (ინგლისელი ფილოსოფოსი, 1711-1776) დააყენა და მიანიჭა მსოფლმხედველობითი მნიშვნელობა. რასაც შემდეგ იუმის "გილიოტინა" უწოდეს. იუმი ამტკიცებდა, რომ "იქედან რაც არის არ შეიძლება გამოიყვანო ის რაც იქნება", მაგრამ მეორე თეზისიც სამართლიანად მიაჩნდა: "თუ არ იცი სად ხარ, ვერ გაიგებ სად იქნები". ეკონომისტების იმ ჯგუფს, რომლებიც თავის თავს კლასიკურიეკონომიკური თეორიის მიმდევრებად მიაჩნევენ, თვლიან რომ ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება შეუძლებელია, ამიტომ მეცნიერებას არ ძალუძს განსაზღვროს როგორ ვიმოქმედოთ მომავალში, შესაბამისად ეკონომიკური მეცნიერება პოზიტიურა, რადგან თვითვე არის ჩართული ეკონომიკურ პროცესებში და განსაზღვრავს მის მიმართულებებს, იცავს სამეურნეო პრაქტიკას შეცდომებისაგან. ინსტიტუციონალისტებს კი მიაჩნიათ, რომ მართალია ზუსტი პროგნოზირება არ შეგვიძლია მაგრამ სამომავლო საქმიანობის რაციონალიზაცია სავსებით შესაძლებელია და ამიტომ, მათი

აზრით, ეკონომიკური მეცნიერება მოწოდებულია შეიმუშაოს ნორმატიული ბაზა, რომელიც შექმნის ეკონომიკის განვითარების საფუძვლებს. ამგვარად მათი აზრით ეკონომიკური მეცნიერება ნორმატული ხასიათისაა და ამიტომ იგი თვითოეული ადამიანის სამოქმედო პროგრამის ამოსავალი თეორიაა=

ისინი თვლიან, რომ ნორმატული ეკონომიკა არის ეკონომიკურ ცხოვრებაზე მორგებული და ინსტიტუციონალურად გამყარებული ეთიკა და თუ მას დავაკავშირებთ ცხოვრების მიზნების მყარ სისტემას, პოზიტიურ ეკონომიკურ პროცესებს, მაშინ მივიღებთ სრულყოფილ ეკონომიკურ თეორიას. ამ თვალსაზრისით ეკონომიკური თეორია არსებობს ნორმატულადაც და პოზიტურადაც. გერმანული "ორდო" ლიბერალიზმის წარმომადგენლები ვოლტერ ოიკენი (გერმანელი ეკონომისტი, "ორდო" ლიბერალიზმის ფუძემდებელი 1891-1950) და სხვები მიიჩნევენ, რომ ასეთი მიდგომა სავსებით სამართლიანია, მაგრამ შედეგად მივიღებთ ეკონომიკურ პოლიტიკას და არა ეკონომიკურ თეორიას.

ინსტიტუციონალისტები მიიჩნევენ, იმის გამო, რომ ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება ზუსტად შეუძლებელია, მაგრამ სამეურნეო პროცესების დროში გავრცობა მათზე თვალყურისდევნების საშუალებას იძლევა ასეთ დამოკიდებულებას ქონდეს პოლიტიკური ხასიათი აუცილებელი არ არის. ამ თვალსაზრისით გუნარ მიურდალი (შვედი ეკონომისტი 1898-1987, ნობელის პრემია 1974) პირდაპირ მიუთითებდა ოპონენტებს, რომ უცილებელია განვასხვაოთ ფაქტები, რომლებსაც კვლევისას მოვიპოვებთ და მათი შეფასებები, ისინი მუდამ ჩვენთანაა, მაგრამ ერთმანეთისდმი არაექვივალენტურია. მართლაც, პოზიტიური კვლევით გამოვავლინეთ, რომ საქართველოში მოსახლეობის 30% სიღარიბის ზღვარს დაბლა ცხოვრობს, რას გვძლევს ეს ფაქტი თუ მას მნიშვნელობა არ მივანჭეთ, ე.ი არ შევაფასეთ და არ დავსახეთ ნორმატული ამოცანები მის აღმოსაფხვრელად? მიურდალის აზრი ნათელია და კარგია რომ ასეთი მიდგომა სხვა მეცნიერებებისათვისაც მისაღებია. ინფორმაციის თწეორიაში მიჩნეულია, რომ ფაქტს თუ არ ახლავს მნიშვნელობა იგი ინფორმაცია არ არის. მოკლედ წერენ: ფაქტი+ მნიშვნელობა=ინფორმაციას. ეს კარგად იციან ფინანსური ანალიზის სპეციალისტებმა.

მაგრამ ასეთმა შეხედულებამ, კერძოდ, ინსტიტუტები, რომელთა საფუძველშიც ძევს ეკონომიკურ პროცესებს მორგებული ეთიკა, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, არ მითხოვენ სახელმწიფოს ჩარევებს, კვლავ გააჩინა ინსტიტუციონალური თეორიის "ეკონომიკურ იმპერიალიზმისადმი" მიიკუთვნების საშიშროება. ამ მიმართულებით გამოთქმულ კრიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა ამარტია სანმა (1933-, ნობელის პრემია 1998) და შენიშნა, რომ ინსტიტუციონალისტებმა მეტი გააკეთეს, ვიდრე "ეკონომიკური იმპერიალიზმის" მიმდევრები გვთავაზობენ, რადგან ცხოვრების ფილოსოფია, ადამიანების მორალურ სისტემა, დააკავშირეს მათ სტრატეგიას, ეკონომიკას.

ეკონომიკა, საზოგადოების განვითარების სტრატეგიული გზა, უშუალოდ გამომდინარეობს საზოგადოების მორალური სისტემიდან და ეს კავშირი მაშინ არის ეფექტიანი, თუ იგი გაცნობიერებულია, ორგანული და ბუნებრივია.

2.2. ინსტიტუციონალური მიდგომების განვითარების მიმართულებები

ინსტიტუციონალიზმის განვითარება, შეიძლება ითქვას, ბუნებრივი გზით წარიმართა. როგორც ვიცით ტორსტეინ ვებლენის არ შეუქმნია ინსტიტუციონალიზმი, როგორც ეკონომიკური თეორია, მან საფუძველი ჩაუყარა კვლევის ამ მიმართულებას და შეეცადა ახლებურად დაენახვებინა საზოგადოებისათვის წარმოების არსებული წესის ნაკლოვანებები და მიეთითებია მათი გამოსწორების აუცილებლობებზე. იგი აქტიურად იყენებდა ბიოლოგიური დინამიკის ცნებებს, მიაჩნდა რომ ევოლუცია არის ბუნებრივი შერჩევის ევოლუციური შედეგი და ადამიანთა საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს მათი ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია და ანთროპოლოგია. ამიტომ მან ბევრი ახალი ტერმინი შემოიტანა ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელთაც ქართულ ენაზე შემდგომი დახვეწა ესაჭიროება, მაგრამ ამჯერად ასე გადმოვცემთ სათქმელს.

ტორსტეინ ვებლენის მოსაზრება, რომ ადამიანის ფსიქოლოგია და ფიზეოლოგია არის მათი ეკონომიკური ინიციატივების განმსაზღვრელი საწყისი, რის საფუძველზეც წარმოების ფაქტორების მესაკუთრე დაშორდა შემოქმედებით საქმიანობას და ეკონომიკური აქტივობის მოტივად იქცა მისი მიდრეკილება მომხვეჭელობისაკენ, მიუღებელი აღმოჩნდა იმ დროინდელი საზოგადოებისათვის. მისი განმარტებით უსაქმურთა კლასი არის მესაკუთრე, რომლებიც ნაცვლად რაციონალური მოქმედებისა გადასულია დემონსტრაციულ, პრესტიჟულ მოხმარებაზე და ყოველივე ამას გააჩნია ბუნებრივი, საკუთრივ ადამიანური მიზეზები, რომლის აღმოფხვრაც საზოგადოებრივი ინსტიტუტების მათ შორის სახელმწიფოს მეშვეობით უნდა განხორციელდეს. ეს თეზისი გაუგებარი იყო მაშინდელი ეკონომიკური მაცნიერებისათვის. მაგრამ მისმა მოწაფეებმა, რომლებმაც მოტანილი მგალითების უკან დაინახეს მძლავრი და პროდუქტიული მსოფლმხედველობა, გააგრძელეს ამ მიმართულებით საქმიანიბა.

ჯონ კომმონსმა (1862-1945) ვებლენის მოსზრებები სამართლებრივ საკითხებთან დააკავშირა, მან კვლების პროცესები ადამინებს დიდ კოლექტიურ ერთიანობებში: სააქციო საზოგადოებში, პროფკავშირებსა და პოლიტიკურ პარტიებში გადაიტანა. მისთვის ამოსავალს ეკონომიკური ანალიზია დროს წარმოადგენდა კოლექტიური მოქმედებები. შემოიტანა ტევადი და ეფექტური ტერმინი "ტრანსაქცია"

(შეთანხმება, გარიგება) რომელიც განსაზღვრავდა დიდ კოლექტივებში ადამიანის ადგილს და როლს დოვლათის განაწილებისა და საბოლაო პროდუქტის მითვისების პროცესში. მისი აზრით შრომის დანაწილების გაღრმავებამ და ტექნოლოგიური პროცესების გართულებამ გამოიწვია დიდი საწარმო გაერთიანებების შექმნის აუცილებლობა, სადაც ადამიანები ერთობლივად საქმიანობდნენ და ბუნებრივად დგებოდა წესრიგის ამოცანა, როგორც სამართლიანობის კონკრეტული გამოვლენოს ფაქტი მოცემულ ადგილზე. ამიტომ მან დაიწყო "კოლექტიური მოქმედების ეკონომიკის" დამუშავება. მისი აზრით დიდ კოლექტივებში გარიგებები, ხდებოდა ადამიანთ პროფესიული ჯგუფებში, ერთი მხრივ მუშები და მეორეს მხრივ მეწარმეები თანხმდებოდნენ გარკვეულ პირობებში თანამშრომლობაზე, რომელთა შორის კონფლიქტები უნდა დარეგულირებულიყო სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტით. მან სამეცნოერო ანალიზი სფეროში შემოიტანა ახალი ტერმინი, "საკუთრების ტიტული" და მიაჩნდა, რომ კაპიტალის მიმოქცევის სფეროში გადაადგილდებოდა არა საკუთრება არამედ საკუთრების ტიტული. ეს აზრი პოპულარული იყო სსრკ ეკონომისტებშიც, მაგრამ რთულად გასაგები, ამიტომ ძალიან უჭურდათ გაერკვიათ რით განსხვავდებოდა კოოპერატული საკუთრება სახელმწიფო საკუთრებისაგან. შესაბამისად, სწორედ საკუთრების ამ ფორმაზე მიიტანეს იერიში საქართველოს დამუკიდებლობის პირველივე წლებში და სასტიკად გაანიავეს იგი. დღეს როდესაც არსებობს რეალური წარმოდგენა აქციონერულ კაპიტალზე, იგი შედარებით იოლი გასაგები ხდება. ყველა ხვდება, რომ აქციების პაკეტის ყიდვით იღებ მესაკუთრის იურიდიულ უფლებას, ანუ ტიტულს, ხოლო კაპიტალის ნივთობრივ ფორმაზე პრეტენზიას ვერ გამოაცხადებ. სხვა სიტუაციას ვაწყდებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში. აქ ძალიან უჭირთ გაარკვიონ სად იწყება საკუთრების ტიტულარული ფორმა და რა უფლებები აქვს მესაკუთრეს ძირითად და საბრუნავი კაპიტალის განკარგვის სფეროში. ამ რეალური დილემის ახსნისათვის კომმონსმა განსაზღვრა "სამომავლო გარანტიების" ეკონომიკური საზრისი, მისი აზრით ადამიანის აქტივობა გამომდინარეობს იმ იმედიდან, რომელიც მისი ქმედების მოლოდინიდან მომდინარეობს. მოლოდინი კი რამდენადმე გარანტირებული უნდა იყოს. "ამ, მოლოდინის გარანტიების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს ღირებულება, მეწარმეობა, შეთანხმებები და დასაქმება. ღირებულება არის მომავალი სიკეთის დღევანდელი შეფასება," წერდა იგი.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ ბრძენ მოაზროვნეს, როდესაც ხედავ, რომ ფასიან ქაღალდებში მოქცეული "საკუთრების ტიტული" ჯერადობით აღემატება იმ რეალურ კაპიტალს, რომელიც ამ "ფიქციის" უკან დგას. რა არის წყარო იმ სიმდიდრისა, რომელიც ფულის ფუდეციარული სისტემის საფუძველზე კაპიტალის ბაზარზე დაგროვდა და მოძრაობს? რა თქმა უნდა იმედი, რომ შენი მოლოდინი გამართლდება. კომონსის იდეები კორპორაციათა ფუნქციონირების საკითხებში ბევრისთვის აღმოჩნდა მისაღები, იგი მრავალ ასპექტში იქნა განხილული და შემოწმებული. ჩვენ მათზე არ შევჩერდებით, მხოლოდ აღშანიშნავთ, რომ არმენ ალჩიანმა (ამერიკული წარმოშობის სომეხი ეკონომისტი 1914-2013), დიდ კოლექტივებში კომფლიქტის წყაროდ მესაკუთრეები და მენეჯერები კი არ მიიჩნია, არამედ მუშები და სხვა თანამშრომლები. ამის მიზეზი მას გაუჩინა შრომის დანაწილების ბაზაზე შექმნილმა ისეთმა სპეციალიზაციებმა, რომელთა შესრულებაც სრულებით არ იყო დაკავშირებული კვალიფიკციასთან და მუშაკის წინასწარ მომზადებასთან. მართლაც, შრომა ყოველთვის არ არის ღირსების საკითხი.

ჩანართი განსჯისათვის. №6
შრომა ყოველთვის ადამიანის ღირსების წყაროა?

ჯონ კეინსმა (ინგლისელი ეკონომისტი.1883-1946) ინგლისის ერთრთ სასაფლაოზე ამოიკითხა შრომისაგან გატანჯული დამლაგებელი ქალის საფლავის ქვაზე წაწერილი ეპიტაფია:

"არ მიგლოვოთ მეგობრებო,
ცრემლები არ დამაპკუროთ,
შრომისაგანგ დატანჯული,
აქ ვისვენებ სუკუნოდ."

იგი ჩააფიქრა ამ მოკლე და შინაარსიანი ლექსმა. მართლა ასეთი მნიშვნელოვანია შრომა ადამიანისათვის, როგორც ამას ფილოსოფოსები გვასწავლიან, თუ იგი თავისი მნიშვნელობით, განსხვავებულობით და წინასწარი მომზადებით ერთობ რთული და ქანცგმომცლელი საქმიანობაა. ჯონ კეინსის ეს მოსაზრებები ძალიან ახლოსაა ინსტიტუციონალისტთა წარმოდგენებთან შრომისა და დასაქმების შესახებ. შრომა ყოველთვის არ არის ადამიანის ღირსების საგანი, პირიქით იგი მისი პიროვნების დამაცირებელ აქტადაც შეიძლება მოგვევლინოს. ალბათ ამიტომ იტალიიის სასამართლომ სილვიო ბერლუსკონის (იტალიის პრემიერ მინისტრი 2008-2012 წლებში) ისეთი სამუშაოები მიუსაჯა, რომლებიც საზოგადოების მიერ არ აღიქმება სასურველ და საინტერესო საქმიანობად. ეს გამოცდილება ჩვენთვის ჭკუასასწავლია. არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ყოფილი პრეზიდენტის შემჩნეულია ავკაცობაში, და ჩვენს სამართალდამცველებს მოუწევს მისთვის სასჯელის გამოტანა, არც იმიტომ, რომ დღევანდელ შრომის ბაზარზე სუფევს უწესრიგობა და უცოდინრობა დასაქმებისა და შრომის ნორმების დაცვის თვალსაზრისით, არამედ, პირველ რიგში, იმის გამო რომ, საქართველო ჩართულია შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, იგი ინტეგრირებულია მსოფლიო ბაზარზე, მსოფლიო გლობალური ინსტიტუტების მეშვეობით ჩვენი სამუშაო ძალა თავისუფლად გაედინება სხვა ქვეყნებში, ასევე ჩვენს ქვეყანაში სამუშაოს

პოულობენ ადამიანები მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. რას ვხედავთ, ჩვენ ასეთ ფონზე, თითქმის 1.7 მილიონი ადამიანია მიგრირებული ქვეყნის გარეთ, რას აკეთებენ ისინი იქ, შრომობენ, ისე აზრი არ ექნებოდა მათ მიგრაციას, მაგრამ რამდენად მისაღებია მათთვის ის საქმიანობა რასაც ეწევიან? რა თქმა უნდა სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს მოქალაქეთა შრომითი ინიციატივების გამოვლენის საქმეში, მაგრამ მას უნდა ქონდეს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ საკუთარი მოქალაქეები დააზღვიოს ქანცგამომცლელი და პიროვნების დამთრგუნველი შრომითი პროცესებისაგან. ამისათვის არსებობს უკვე აპრობირებული მეთოდები და შემუშავებულია ინსტიტუციონალური ფორმები, რომლებიც იცავს ქვეყნის მოქალაქეებს ასეთი დამოკიდებულებეისაგან. ასევე არსებობს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები, რის მიხედვითაც ტრეფიკინგი გათანაბრებულია ნარკობიზნესსა და ტერორიზმთან და იგი მიიჩნევა ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად. ვებლენის სტატია, "შრომის ინსტიქტი, ოსტატობა და სიდუხჭირე" სწორედ ამ საკითხებზე მიუთითებს და გვაფრთხილებს, რომ შრომისა და დასაქმების პრობლემა მუდამ უნდა სახელმწიფო ინსტიტუტების ზრუნვის საგანი, მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკური შეხედულებები აქვს ხელისუფლებას.

ჯონ კომმონსი მეცნიერულ საქმიანობას უთანხმებდა დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მან შეიმუშავა და მიაღწია აშშ-ში 1935 წელს მიეღოთ "სოციალური დაცულობის აქტი", რომელმაც ბიძგი მისცა პროფესიული კავშირების საქმიანობას და შექმნა ხელსაყრელი პირობები საპენსიო დაგროვებითი ფონდებისათვის. ასევე დიდი დამსახურება აქვს ინსტიტუციონალური თეორიის განვითარებაში უელს მიტჩელს (1874-1948) რომელიც აშს-ში 1920-1926 წლებში ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობდა. მან კვლევები გაამდიდრა სტატისტიკური მეთოდებით და მათემატიკური აპარატით. იგი ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით იკვლევდა ეკონომიკის ციკლურ ხასიათს და ცდილობდა ციკლების თეორია აბსტრაქტული, მჭვრეტელობითი ანალიზის სფეროდან გამოეყვანა და მყარად, ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, დაენახვებია საზოგადოებისათვის, თუ რა სირთულეებს აწყდება საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფოს სათანადო ჩაურევლობის შემთხვევაში. ვებლენის მოწაფეების კომმონსისა და მიტჩელის მრავალმხრივმა და აქტიურმა საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი თეორიის ამ მიმართულების განვითარებას, მაგრამ იგი აღმოჩნდა, ეკონომიკური თეორიის ისტორიკოს მკვლევართა დაბნეულობის, ერთგვარი წყაროც. საქმე ისაა, რომ ვებლენსათვის, მთავარი კითხვა რომელსაც პასუხი ჭირდებოდა იყო, ის თუ როგორ მოხდა, რომ თავისუფალმა მშრომელთა დემოკრატიის საფუძველზე აღმოცენებულმა წარმოების წესმა წარმოშვა უსაქმურ ადამიანთა კლასი. ამ მიზნის მისაღწევად ეკონომოკური პროცესების სისტემურობას განიხილავდა ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, რითაც ასაბუთებდა, რომ ინსტიტუტები არის ადამიანთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა განხორციელების არეალი და მათი სრულყოფა იძლევა საზოგადოების წინსვლის შესაძლებლობებს. მისი წიგნი "უსაქმური კლასის თეორია" გამოვიდა 1899 წელს და მოუწოდებდა საზოგადოებას, რომ არა რადიკალური, რევოლუციური გარდაქმნებით არამედ, თანმიმდევრული ინსტიტუციონალური ცვლილებებით უნდა განხორციელდეს "ჭკვიანური საზოგადოების" ფორმირება. ადამიანის ბუნებრივი ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების შესაბამისი შრომის ორგანიზაცია და სიმდიდრის განაწილება, მოხმარების დემონსტრირებული აქტებიდან რაციონალურ პირობებზე გადასვლა. ასეთი გადმოცემის თავისებურებებიდან გამომდინარე, რაც იმ დროისათვის ახალი სიტყვა იყო ეკონომიკურ თეორიაში, მიაჩნიათ, რომ ვებლენი არის ინსტიტუციონალიზმის პიონერი (რაც უდაოა) და მისი ინსტიტუციონალიზმი განსხვავდება მის მიმდევართა მიდგომებისაგან, რადგან საფუძველში უძევს ადამიანის ფსიქოლოგია.

2.3. სამეურნეო პრაქტიკაში ინსტიტუციონალური მიდგომების შეფასებები

ინსტიტუციონალიზმი საზოგადოების ევოლიციური პოცესში ეძებს იმ უცვლელობას, რომელიც უნარჩუნებს სოციალურ სისტემას მუდმივობას, თვითმსგავსებას, მიუხედავად ურთიერთობათა სისტემის მუდმივი დეფორმაციისა, რაც შედეგად მოყვება ახალ ტექნოლოგიებს და სიმდიდრის განაწილების ახალ ფორმებს. ამიტომ არ ვეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ვებლენის, კომმონსის და მიტჩელის შეხედულებეს შორის არსებითი სხვაობა არსებობს და ცდილობენ განვითარების ეს ერთიანი მიმართულება ეტაპებად დაყონ.

საქმე ისა, რომ როდესაც მიიჩნევენ ვებლენის ნაშრომებს საწყის ეტაპად თეორიის განვითარებაში მას უწოდებენ "ფსიქოლოგიურ ინსტიტუციონალიზმს" და უპირისპირებენ მას კომონსის შრომებს, რომელიც "ჭკვიანი საზოგადოების" შესაქმნელად იღწვოდა და ამისათვის მოითხოვდა სამართლებრივი ურთიერთობების სრულყოფას. ასეთი მსჯელობისას ურევენ პრობლემის სისტემურობის და მისი მოქმედების აქტუალობის პრობლემებს ერთმანეთთან. ვებლენისათვის მთავარი იყო დაესაბუთებინა ინსტიტუციონალური სრულყოფის აუცილებლობა, კომმონსი, რომლის მოღვაწეობის პერიოდი დაემთხვა დიდი დეპრესიის პერიოდს, ხედავდა, რომ საზოგადოებას ესაჭიროებოდა ინსტიტუციური სრულყოფა სწორედ სოციალური დაცვისა და მისი საკანონმდებლო აქტით განმტკიცების თვალსაზრისით. ამიტომ მისი ინსტიტუციონალიზმი ვებლენისაგან განსხვავებული, რამ კი არ ყოფილა, რომელიც ეკონომიკას სამართლის საკითხების პრიზმაში შეისწავლიდა, არამედ მოცემული პერიოდის შესაბამისად იგი მიმდინარე ფუნდამენტალური ხასიათის აქტუალურ

საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობდა, რაც ეკონომიკური შინაარსის ინსტიტუტების იურიდიულ, საკანონმდებლო ნორმებით აღჭურვში გამოიხატებოდა. ამიტომ მისი შრომებისადმი "სამართლებრივი ინსტიტუციონლიზმის" სახელის მინიჭება არ არის კორექტული. ასევე მიტჩელი, იგი თავისი შრომითი ფუნქციიდან გამომდინარე მიმდინარე კონიუქტურულ პროცესებს სწავლობდა და ცდილობდა მოეხდინა ეკონომიკური ციკლის რეგულირების, ფულის მიმოქცევის სისტემის, კორპორაციათა განვითარების კანნონზომიერებები დაედგინა. ამიტონ მისთვის ერთგვარ "კონიუნქტურულ-სტატისტიკური ინსტიტუციონალიზმად" სახელდება არასწორია.

ასეთი წესით ეკონომიკის მოძღვრებათა ისტორიკოსების, ლოგიკას რომ გავყვეთ, მაშინ მოგვიწევს გელბრეიტისა და მისი მიმდევრებისათვის "ტექნოკრატიული ", ბუკინენისა და მისი მიმდევრებისათვის "კონსტიტუციური", ნორტისა და მისი მიმდევრებისათვის "ისტორიულ კორპორაციული", მიურდალის და მისი მიმდევრებისათვის, "ნორმატული" იოსებ შუმპეტერისა (ავსტრიელი და ამერიკელი ეკონომისტი 1883-1950) და მისი მიმდევრებისათვის "ზრდისა და განვითარების" ან, "კრეატული ნგრევის" და ა.შ. სახელების დარქმევა. ისე დამერწმუნეთ თვითოეული აქ ჩამოთვლილი პიროვნება მართლაც იმსახურებს მისი შეხედულებების სპეციალურ კვლევას. გარდა ამის არის კიდევ ფუტუროლოგების, სოციოლოგების, ანთროპოლოგების, სოციალური ფსიქოლოგების, ეტოლოგების მთელი არმია ვისაც თამამად შევიყვანდით ინსტიტუციონალისთთა რიგებში. არა მარტო დემოკრატიულ ქვეყნებში "მუშაობს" ინსტიტუციონალიზმის თეორია. როგორც აღვნიშნე პირველ თავში იგი უაღრესად პოპულარულია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. მაგალითად რუსეთსი სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ და მისი განვითარების საკითხებს განიხილავდნენ ნორტი და გელბრეიტი. მეტიც შეიძლება ითქვას, ინსტიტუციონალისტებს ყურადღებით უსმენდნე სსრკ-შიც. ამ სკითხზე იხილეთ ჩანართი №, მაგრამ დამატებით აღვნიშნავ, რომ მიხეილ გორბაჩოვის (საბჭოთა პოლიტიკოსი. სსრკ პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი. 1931-, ნობელის პერმია 1996.) პოლიტიკის კრახი იმანაც გააძლიერა, რომ მან ეკონომიკური პროცესების, მართვისა და დებიუროკრატიზაციის საკითხებში არ მიიღო გელბრეიტის რჩევები. მისი თანამოაზრე რუსი ეკონომისტი სტანისლავ მენშჩიკოვი (საბჭოთა და რუსი ეკონომისტი. 1927-) კი კრემლიდან დაითხოვა. მეტიც საბაზრო ეკონომიკის პოზიციებიდან გელბრეიტს ოპონირებას უწევდა ლეონიდ აბალკინი (საბჭოთა და რუსი ეკონომისტი 1930-2011), რომელსაც გაუჭირდა ერთმანეთისაგან გაერჩია წარმოებს პროცესის რეგულირების პრობლემები, საწარმოოს მართვის ბიუროკრატული ფორმებისაგან. საინტერესოდ მეჩვენება ისიც, რომ საბაზრო ეკონომიკას, 1990 წელის დისკუსიაში, გელბრეიტისაგან იცავდა აბალკინი.

ჩანართი განსჯისათვის. №7

ინსტიტუციონალური მიდგომების გამოყენება სოციალიზმის პოლიტეკონომიაში

მართალია, როდესაც საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ თეორიებს განიხილავენ მას აკავშირებენ კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაშრომენთან, მაგრამ ამ პერიოდის პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოთა განხილვა გვაფიქრებინებს, რომ ავტორები შეძლებისდაგვარად იყენებდნენ ამერიკელი ინსტიტუციონალისტების ნაშრომებს. კერძოდ მათთვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო ვებლენისა და კომმონსის ინსტიტუციონლუიზმი. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას ის, რომ იოსებ სტალინი (საბჭოთა პოლიტიკოსი. 1879-1953) თავის ნაშრომში "სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" ანვითარებს მოხმარებისადმი წარმოების პრიორიტეტულობის აზრს. გარდა ამისა იგი მითითებდა, ავტორებს, რომ პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში საფუძვლიანად განეხილათ საზოგადოებრივი საკუთრება, როგორც სოციალისტური მეურნეობის განმსაზღვრელი ინსტიტუციონალური ფორმა, ხოლო მთელი სამეურნეო სისტემის მდგენელად სერთო სახალხო (სახელმწიფო) და კოპერაციული საკუთრებეზე დამყარებულ სამეურნეო კავშირები წარმოედგინა. ამას ადასტურებს მისი მითითებები: "კოლმეურნეებს არ სურთ თავიანთი პროდუქტი გაასხვისონ სხვა რაიმე ფორმით გარდა საქონელისა" და მოცემულ ეტაპზე "კოლმეურნეების მიერ წარმოების საშუალებეის შეძენა მათ გააღარიბებს". პირდი საკუთრებაც მეურნეობის ერთინ ქსოვილში ერთვებოდა, მისი დიაპაზონი გეოგრაფიული მდებარეობისა და წარმოების სპეციალიზაციიდან გამომდინარე თვითოეულ კოლმეურნე წევრზე 1.5 ჰა-დან 7 ჰა-მდე მერყეობდა, სადც რეგლამენტაციას ექვემდებარებოდა, მხოლოდ გამწევი ძალა მეწველი ფურები. შემდეგ 1956 წლის ნიკიტა ხრუშჩოვის (საბჭოთა პოლიტიკოსი 1894- 1971) ინციატივით განხორციელებული რეფორმები პრინციპულად ცვლიდა ქვეყანაში არსებულ ინსტიტუციონალური სისტემის შინაგან ბუნებას, რამაც საბოლაოდ სსრკ-ი ლიკვიდაციამდე მიიყვანა. გარდა ამისა, აშკარა იყო კრემლის დაკვეთა შეეცვალათ არსებული თეორიული წარმოდგენები სოციალისტური ეკონომიკის შესახებ სხვა დოქტრინით, რომელიც უფრო შეესაბამებოდა ხრუშჩოვის მიერ დამკვიდრებულ სულისკვეთებას. ამ მიმართულებით ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა პროფესორ ნიკოლოზ ცაგოლოვის (საბჭოთა ეკონომისტი. 1903-1984) ცდა, რომელმაც საკუთრებითი ურთიერთობები, როგორც ყოვლისმომცველი სისტემურობა ჩაანაცვლა გეგმაზომიერების კატეგორიით. ეკონომიკის წინასწარგანსაზღვრულობათა ერთობლიობით, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელებულიყო მეურნეობაში კანონმდებლობაზე და მორალზე დამყარებულ ურთიერთობათა შემდეგი სტრატეგიული გარდაქმნები. ეს თეორიაც

თავისი სიღრმეებით ახალი ისტორიული სკოლიას და ინსტიტუციონალიზმის თეორიულ მონაპოვაებს ემყარებოდა. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ რამდენადმე ნიკოლოზ ცაგოლოვის შეხედულებები ეკონომიკურ პროცესებზე უკავშირდებოდა დიმიტრი უზნაძის (ქართველი საბჭოთა ფსიქოლოგი, 1856-1950)განწყობის თეორიას. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და მითხოვს შემდგომ კროსდისციპლინარულ გამოკვლევებს. ისტორიული ფაქტია, რომ იმდენად მძლავრი იყო ნიკოლოზ ცაგოლოვის თეორიული მიგნების ძალა, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში იან ტინბერგენის (ჰოლანდიელი მეცნიერი, ნობელის პრემიის პირველი ლაურიატი 1969. 1903- 1994. მისი ძმა იყო ცნობილი ეტოლოგი 1973 წელს მედიცინაში ნობელის პრემიის ლაურიატი ნიკო ტინბერგენი, ეტოლოგიის სამცნიერო მიღწევების ცოდნა ეხმარებოდა იან ტინბერგენს აქტიურად გამოეყენებინა ბიოლოგიური დინამიზმის ტერმინები) კონვერგენციის თეორიას, რომელიც გულისხმობდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობათა განვითარების გზით მის კაპიტალისტურ ეკონომიკასთან დაახლოებას, რომ დაუპირისპირდა ახალი, ჯონ გელბრეიტის მიერ შემუშავებული თეორია, რომელიც ტინბერგენის საპირისპიროდ გულისხმობდა, რომ კონვერგენციის საფუძველი უნდა ყოფილიყო, არა ბაზარი და საბაზრო ურთიერთობები, არამედ მაკროეკონომიკური პროცესების გეგმაზომიერი მართვა.

3. ინსტიტუციონალიზმიდან ნეოინსტიტუციონალიზმისაკენ

"უსაქმური კლასის" ანალიზიდან საკმარისი დრო გავიდა, სამეურნეო ინციატივების გააზრებისა და ამ პროცესში ადამიანების ფსიქოლოგიის მნიშვნელობა არავისთვის სადაო აღარ არის. ასევე დარწმუნდნენ ეკონომისტები, რომ, თუ მეწარმეობის ეთიკური ნორმები არ დავიცავით, არ განვამტკიცეთ კანონმდებლობით, იგი მხოლოდ ლამაზ ფრაზებად დარჩება. უდიდესი გაკვეთილები, რომელიც მიიღო საზოგადოებამ ისტორიული პროცესის ახლებური გააზრების აუცილებლობაზე, ეს იყო: რუსეთის 1917 წლის სოციალისტური რევოლუცია, დიდი დეპრესია (1928-1932 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი) მეორე მსოფლიო და ცივი ომები და მათ, ფონზე მსოფლიოში მიმდინარე, ტექნიკური და ტექნოლოგიური ძვრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური გლობალიზაციის შეუქცევადობა, რომელმაც სხვადასხვა ეკონომიკური თეორიების გადასინჯვა და ახლებური გააზრება მოითხოვა. ცვლილებები განიცადა ინსტიტუციონალურმა თეორიამაც, გაჩნდა ახალი აქცენტები, საზოგადოების განვითარების სისტემურობამ ახალი მასშტაბები შეიძინა. ჩამოყალიბდა საერთაშორისო ინსტიტუციონლური სისტემა, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო მსოფლის განვითარების უმთავრეს ტენდენციებზე, შეიქმნა რესურსების გამოყენების ახალი კრიტერიუმები, შეიქმნა ცალკეულ მაკროეკონომიკური წარმონაქმნების განვითარების და მათი ეკონომიკური ზრდის ამოცანების გადაწყვეტის ახლებური გააზრების აუცილებლობა.

3.1. ნეო (ახალი) ინსტიტუციონალიზმის საფუძვლების მომზადება

ნეოინსტიტუციონალიზმი უკავშირდება განვითარებულ საზოგადოებასი მიმდინარე ფუნდამენტალურ ცვლილებებს. როგორც ვიცით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადგა აუცილებლობა სამრეწველო ციკლის განახლებისა და მთელი სამეწარმეო პროცესის ინტენსიფიკაციისა. ამ პრობლემის სათავეს წარმოადგენდა მსოფლიოს ორ დიდ ბანაკს შორის გაჩაღებული ცივი ომი. ვებლენისა, კომმენსის და მიტჩელის ნაშრომებმა ახალი შინაარსი შეიძინეს. ინსტიტუციონალური თეორია გახდა ტექნოკრატიის აღზევების ერთ ერთი მთავარი თეორიული დასაყრდენი. ეს ის პერიოდია, როდესაც თეთრი სახლი ჯერ კიდევ თანამშრომლობს ინსტიტუციონალისტებთან გელბრეიტი დაინიშნა ჯონ კენედის (აშს პრეზიდენტი 1960-1962 წლებში) მრჩევლად ეკონომიკის საკითხებში და მუშაობა წარიმართა, აშშ-ს მთავარი მეტოქის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არა სამხედრო სფეროში კაპიტალდაბანდებათა მოცულობის გადიდებით, საწარმოო პროცესების მილითარიზაციის გზით, არამედ, სამოქალაქო მიმართულებით. მათი ჩანაფიქრით ბრძოლა უნდა წარმართულიყო ეკონომიკის სფეროში. ამ თვალსაზრისიც ისიც აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიებსა და მის უზრუნველმყოფ ეკონომიკურ პროცესებს შორის დრითი პერიოდების გაბალანსებულობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. გელბრეიტი ცდილობდა ტექნოლოგიებიდს განვითრებისათვის შეეწყო ხელი "ჭკვიანი საზოგადოების" სათავეში ინჟინრები მოეყვანათ. მართალია ტექნოკრატიამ ტექნოკრტიამ კენედის მკვლელობისა და ინსტიტუციონალისტების მიერ თეთრი სახლის დატოვებისა, სხვა ელფერი შეიძინა, იგი ჩანაფიქრის ავტორთა ნების საწინაღმდეგოდ საწარმოო პროცესების დეჰუმანიზაციის ფაქტორად იქცა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ტექნოლოგიების მართვა მთლიანად დაშორდა საზოგადოების კულტურულ საწყისებს, და თვითმიზნური ხასიათი მიიღო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ტექნოკრატობა სირცხვილი გახდა. საკითხის ილუსტრაციისათვის იხილეთ ჩანართი №9, სადც შევეცდებით ავხსნათ თუ რამდენად მჭიდრო კავშირია კულტურასა და ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემებს შორის.

ჩანართი განსჯისათვის. №8

ეკონომიკური ინსტიტუტებისადმი კულტუროლოგიული დამოკიდებულება

ფულის შესახებ არა მარტო ეკონომისტები მსჯელობენ,არამედ თითქმის ოთხასი წელი ხდება რაც იგი სხვა მეცნიერების წარმომადგენელთა კვლევის ობიექტიც გახდა. ამის მაგალითია ნიკოლოზ კოპერნიკის (პოლონელი მეცნიერი, 1473-1543) და ჯონ ლოკის (ინგლისელი ფილოსოფოსი, 1643-1704) გამოკვლევები ფულის შესახებ, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ფულის, როგორც კულტურის ფენომენის განხილვას თავს ყველა არიდებს. მეტიც ადამიანები, ვინც იციან ფულის გამოყენება და მათი საქმიანობა ფულის მრავალმხრიობის გამოვლენათა ფორმების შესწავლას უკავშირდება, მას კულტურის არეალში არ განიხილავენ. ეს მეტად დამაფიქრებელი დამოკიდებულებაა ადამიანთა თანაცხოვრების ამ მნიშვნელოვანი ატრიბუტის მიმართ. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ "ეკონომიკური იმპერიალიზმის" საკითხზე და მას ვერ გავექცევით რადგან არსებობს და საჭიროა მუდმივად მივანიჭოთ მას მნიშვნელობა. სამართლიანად აღნიშნავდა მერაბ მამარდაშვილი(საბჭოთა და ქართველი ფილოსოფოსი.1930-1990), რომ "დეფინიციის თანახმად კაცი რომელმც იცის ფულის გამოყენება არ არის კულტურული, ის არ შედის კულტურაში! ყოფით მეტყველებაში კულტურის სახით ჩვენ გვესმის რაღაც უფრო მაღალი, დიდებული, ამაღლებული, სულიერი,...კულტურა არის ცოდნის ერთ ერთი სახე, არა მეცნიერული ცოდნა, არამედ შეუცნობლის (გამოუცნობის) პირდაპირ დგომის ხელოვნება. ყველგან სადაც არის კულტურა, არის რაღაც შეუცნობი და აუცილებელია, რომ ის დატოვო უცნობად. ფულის მაგალითი,... არის კულტურული ინსტიტუციის მაგალითი. ...ფული არის სიმბოლური საგანი, რომელიც აზუსტებს ინფორმაციას, ადგენს კულტურის წარმოსახვით პროდუქტს, რომელიც ქმნის არა ფიზიკურ, არამედ კულტურული სივრცის ველს. არავინ არ იცის ფულის ბუნება, ფულის მოქმედების პირობაა მხოლოდ ის, რომ მისი ბოლომდე გაგება არ უნდა მოხდეს. სხვაგვარად არასოდეს გვექნება ფული". ამ ციტატიდან გასაგებია ის, რომ ფული როგორც სიმბოლური საგანი ქმნისს ისეთ კულტურულ ინსტიტუციას, რომელიც მუდმივად ცვლებადობს, მუდმივად ზუსტდება მის შესახებ ინფორმაცია, ამიტომ "ბოლომდე" არავინ არ იცის რა არის ფული, არავის არ უნდა ეგონოს, რომ ის რაც იცის ფულის შესახებ საკმარისია და ამომწურავად პასუხობს ყველა დასმულ კითხვას.

მართლაც რომ ფული აშკარად და აქტიურად ზემოქმედებს კულტურულ პროცესებზე. მეტიც, იგი თავისი შინაარსობლივი მახასიათებლებით წვდება თვითოეული შემოქმედის საქმიანობას და განსაზღვრავს მათი აქტივობების მაშტაბებს. გალაქტიონ ტაბიძის ბიოგრაფებისაგან ვიცით, თუ რა რუდუნებითა და გულისყურით ზრუნავდა თვითეული ლექსის გამოცემაზე პოეტი. გარდა საკითხის ლიტერატურული ასპექტისა ავტორის სტიმულს ჰინორარიც წარმოადგენდა. რაც, იმ დროს, განისაზღვრებოდა მარტივად: ერთი სტრიქონი ერთი მანეთი. გალაქტიონიც ამ ჯამური სიდიდის მოლოდინში, გეგმავდა თავი მიმდინარე ხარჯებს, წუხდა, განიცდიდა, ანგარიშობდა...

მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთშიც მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებების ავტორების შრომის ანაზღაურება გამომცემლების მიერ სტრიქონების მიხედვით ხდებოდა. პირველი იყო ალექსანდრე დიუმა, რომელმაც სპეციალური მაღლანაზღაურებადი სტილი შეიმუშავა. მიუხედავად მისი რომანების პოპულარობისა, გამომცემლებმა მას განსაკუთრებული ნიხრი დაუწესეს, გვერდების მიხედვით. როდესაც მსჯელობენ მარსელ პრუსტის ლიტერატურულ სტილზე, სადაც აბზაცების დიდი ნაკლებობაა და ხანდახან ერთი წინადადება იჭერს 1.5-2 გვერდს, ამის მიზეზი ისაა, რომ მას საკუთარი ფულით უწევდა გამოეცა თავისი რომანები და ცდილობდა მაქსიმალურად ეკონომიური ყოფილიყო. ინსტიტუცია გამომცემელი-ავტორი აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას სადაც ფულს პროდუქტის საბოლაო ფორმზე უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია. ასევე ფერწერაში და ხელოვნების სხვა დარგებში. განსაკუთრებით მუსიკაში, სადაც ნაწარმოების სანოტო კრებულის გამოცემები უდიდეს რისკებს უკავშირდება.

ანალოგიური სიტუაცია წარმოიდგინეთ საწარმოო სფეროში, როდესაც ტექნოლოგიური პროცესის დაპროექტებას და სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების დასრულებას წლები სჭირდება.

ვებლენის მოწაფეები, ერთგული რჩებოდნენ იმ მეთოდოლოგიური წინამძღვრების რომელიც, მათმა მასწავლებელმა შესთავაზა საზოგადოებას. გამომდინარე აქედან მათ საზოგადოების მაინტეგრირებელ ელემენტად ბაზარი კი არ მიაჩნათ არამედ საზოგადოებრივ სხვადსხვა დონის ინსტიტუციებს მიიჩნევდნენ. გელბრეიტი პირდაპირ ილაშქრებდა ცნების "საბაზრო ეკონომიკა" წინააღმდეგ დ მიაჩნდა, რომ ჩვეულებრივ ეკონომიკურ მეცნიერებაში წარმოდგენილი "მეწარმე", "ეკონომიკური სუბიექტი" გამოგონილი პერსონა იყო. სინამდვილეში ეკონომიკური პროცესების მთავარი აგენტები იყვნენ კორპორაციები. კორპორაციები, კი სახელმწიფოსაგან არა სათანადო მარდაჭერის გამო, თნდათანობით გარდაიქმნენ ბიუროკრატიულ დწესებულებებად. ეკონომიკური პროცესების ბიუროკრატიზაცია კი მოასწავებდა ისეთ რეგრესს, როდესაც საზოგადოების განვითრების მთავარი ორიენტირები იცვლებოდა მიძნებს ენაცვლებოდა მისი მიღწევის საშუალებეი. მართლაც, თუ დავაკვირდებით, ბაზარი დამოკიდებულია კარგ მენეჯმენტზე და არა იმაზე ვინ ფლობს სინამდვილეში კაპიტალს.ხოლო მენეჯმენტს დ მესაკუთრეს სორის არსებობს წინააღმდეგობა, რომლის დაძლევისთვისაც უნდა არსებობდეს ეკონომიკური პოლიტიკა. მართლაც საქართველოში, ხელისუფლება ცდილობს მხარი დაჭიროს სოფლის მეურ-

ნეობას, ამისათვის ეძებს რესურსებს და შედეგად ვიღებთ, რომ 700 ათასამდე ადამიანი ფლობს 1 ჰა მიწის ნაკვეთს, მათი უმრავლესობა არ ნაკვეთს არ ამუშავებს, სხვაგვარად დამუშავებული მიწის ჯამური რაოდენობა ვერ იქნებოდა 350 000 ჰა. რატომ? პრობლემ უკავშირდება მენეჯმენტს. მესაკუთრეთა უდიდესმა ნაწილმა არ იცის: რა, როგორ და ვისთვის აწარმოოს. ეს წვრილი მწარმოებელი მარტოა დატოვა საზოგადოებამ: ბუნების კაპრიზებთან, ახალ ინტენსიურ სამეურნეო გამოცდილებასთან, მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურასთან და თავიანთი საბაზრო მექანიზმებით და არასათანადოდ შესწავლილი ინსტიტუციონალური ფორმებით, კი არ ეხმარებიან მას, არამედ კიდევ უფრო ურთულებენ ცხოვრებას.

საბაზრო ეკონომიკის შესახებ ნეოკლსიკური ეკონომიკური თეორის წინაღმდეგ გარდა გელბრეიტისა აქტიურად ილაშქრებდა მეორე დიდი ამერიკელი მეცნიერი ჯეიმს ბუკინენი (ამერიკელი ეკონომისტი 1919-2013, ნობელის პრემია 1986), იგი როგორც კომონსის იდეების გამგრძელებელი ასაბუთებდა, რომ საზოგადოების წინაშე დგას მუდმივი, ყოველდღიური პრობლემები, რომლებიც სოციალური ფილოსოფიის სესჭავლის ობიექტია და სტრატეგიული ამოცანები, რომელსაც სეისწავლის ეკონომიკური მეცნიერება, ხოლო სტრატეგიასა (ეკონომიკას) და მიმდინარე პრობლემებს (სოციალურ ფილოსოფიას) შორის დგას სამართლებრივი სისტემა რომელიც გამაგრებული უნდა იყოს კონსტიტუციონალიზმით. ბუკენენი როდესაც "საზოგადოებრივი არჩევანის თეორიას" განიხილავს, ეყრდნობა ემანუილ კანტის (გერმანელი ფილოსოფოსი 17-18) მოსაზრებას, რომელიც მან "წმინდა გონების კრიტიკაში" ჩამოაყალიბა, რომ ადამიანის ბედნიერებას, უნდა ქონდეს იურიდიული, შემადგენელი, იგი უნდა განიხილებოდეს, როგორც ადამიანის "უფლება" და ამით განსხვავდებოდეს "გულმოწყალეობისაგან". ამოტომ იგი სამართლიანად ითვლება კონსტიტუციონალური ეკონომიკის შემქმნელად. ეკონომიკური მოძღვრების ამ მიმართულებას არა აქვს პრეტენზია მოიცვას მთელი ეკონომიკური პროცესი, მაგრამ სამართლებრივ და ეკონომიკურ პროცესებთა ურთიერთ დაკავშირების თვალსაზრისით იგი უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

როგორც ვხედავთ ინსტიტუციონალისტებსა და ნეოკლსიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს, ასევე კეინსიანელებს შორის დაპირისპირება არსებითად დაიძაბა დაა ამის ინციატორები იყვნენ გელბრეიტი და ბუკინენი. ამ პერიოდში ინსტიტუციონალისტთა ერთმა ნაწილმა რონალდ ქოუზის მეთაურობით სერიოზული ნაბიჯები გადადგეს ტრადიციულ ეკონომიკური მიმართულებებთან დასაახლოებლად. ეს ნაბიჯები შემდეგში გამოიხატებოდა:

მათ აღიარეს ბაზრის კონსტრუქციული მნიშვნელობა ეკონომიკურ პროცესებში,

მათ აღიარეს, რომ სრულად და ბილომდე ნორმირებული ეკონომიკის შექმნა შეუძლებელი იყო, რითაც ეჭვის შეიტანეს ეკონომიკური პროცესების პროგნოზირების შესაძლებლობებში,

ფსიქოლოგიური ასპექტები ეკონომიკურ გნზრახულობათა შესრულების თვალსაზრისით გადაიყვანეს ბიხევიორისტულ საფუძველზე.

შესაბამისად, სახეცვლილებები განიცადა პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთდამოკიდებულებემა, ამ პროცესის ამსახელმა, ინსტიტუციონალური თეორიის ცენტრალურმა კატეგორიებმა. მეტიც ისინი შეეგუენ აზრს, რომ ეკონომიკური თეორია განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკური მოქმედების პოლიტიკურ მიზნებს.

3.2.ნეო(ახალი)ინსტიტუციონალიზმი

ნეოინსტიტუციონალიზმი გაჩნდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. მისი წარმოშობა უკავშირდება რონალდ ქოუზის შრომებს. კერძოდ, 1960 წელს, თავის სტატიაში, იგი განიხილავდა ისეთ საბაზრო ფაქტორს, როგორიც არის "ექსტერნალიები" და ასაბუთებდა, რომ ბაზრის ფუნქციონირებაზე მოქმედი გარეგანი, ანუ ისეთი ფაქტორები, რომლებიც ირიბად ზემოქმედეს ნებისმიერ სამეურნეო საქმიანობაზე და რომლის შედეგებიც გავლენას ახდენს, არა უშუალოდ ბაზრის მონაწილეებზე, არამედ მესამე პირებზე ყოველთვის და ყველგან არ ზემოქმედებს უარყოფითად კერძო მეწარმეობაზე. სტატიაში მან განიხლა საზღვაო შუქურების მოქმედებისა და რადიო ტალღების გავრცელების, სახელმწიფო რეგულირების რამოდენიმე მაგალითი და განავითარა აზრი, რომლის მიხედვითაც: ბაზარს ძალუძს გაუმკლავდეს გარეგან ზემოქმედებებს ნოლოვანი ტრანსაქციური დანახარჯების პირობებში.

რონალდ ქოუზის ეს დასკვნა მხედველობის გარეშე არ დარჩენია კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლებს და 1966 წელს ჯონ სტიგლერმა (ნობელის პრემია 1996 წ.) ჩამოაყალიბა თეორემა (როგორც, თვით რონალდ ქოუზი შენიშნავს: "გამობეჭდა ფრაზა") : თუ საკუთრების უფლებები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ტრანსაქციული დანახარჯები ნოლის ტოლია, მაშინ მიუხედავად საკუთრების სტრუქტურაში ცვლელებებისა, რესურსების შეერთების არსებული ფორმა და წარმოების ეფექტიანობა რჩება უცვლელი. შემდეგში ამ დებულებას ეკონომიკურ ლიტერატურაში "ქოუზის თეორემა" ეწოდა.

ჩანართი განსჯისათვის. № 9

ფასი, საბაზრო წონასწორობას, თუ ინფორმაციული ასიმეტრიის შედეგი

2001 წელს ნობელის პრემია მიიღეს ამერიკელმა მეცნიერებმა: ჯორჯ აკერლოფმა (1940-), ჯონ სტიგლიცმა (1943-) და მაიკლ სპენსმა (1943-) ასიმეტრიული ინფორმაციის ბაზრების კვლევის გამო. ეს მეცნიერები არ ითვლებიან ინსტიტუციონალისტებად, მათ ნეოკეინსიანელებად მოიხსენიებენ,

მაგრამ მჭიდროდ უკავშირდებიან მას. რას ნიშნავს "ასიმეტრული ინფორმაციის ბაზარი"? მოკლედ ეს არის ბაზარზე კონტრაგენტთა ისეთი დამოკიდებულება, როდესაც ერთი მხარემ ფლობს მეტ ინფორმაციას გასაყიდი საქონლის ან მომსახურეობის შესახებ, ვიდრე მეორე მხარე.

საბაზრო წონასწორობა მყარდება მიწოდება მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულებით. საქონლისან მომსახურეობის ფასი ასახავს აღნიშნულ თანაფარდობას. მასზე ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს. სინამდვილეში გამყიდველმა იცის მეტი საქონლის შესახებ ვიდრე მყიდველმა. ამიტომ გამყიდველს უჩნდება შესაძლებლობა თამამდ შეიცდინოს მყიდველი. ეს ჭეშმარიტება ყველას შეუძლია დაადასტუროს საქართველოში, ვისაც უცდია ეყიდა "დეზერტირების" ბაზარზე მარტვილის სულგუნი, ან ჭოპორტის პომიდორი, ტავი რომ დავანებოთ ლილოს ბაზრობს, სადაც ბატონობსკონტაფაქტული საქონელი. ეს ისეთ მარტივ ყოველდღიური მოხმარების საქონლის სესახებ, როგორიც არის პომიდორი და სულგუნი, მაგრამ როგორ დამოკიდებულებაში არიან მყიდველები გამყიდველებისაგან, როდესაც გადიან ავტომობილების, კომპიუტერების, ელექტრონული ყოფითი ტექნიკის ან საკრედიტო ბაზრებზე? აქ ხომ მყიდველის და გამყიდველის ინფორმაციულობის დონეებს შორის სერიოზული დისტანცია არსებობს.

როგორ მოვიქცეთ ასეთ დროს, ვენდოთ საბაზრო სტიქიას და ის დაარეგულირებს პრობლემას, დაახლოებით 75-100 წლის შემდეგ, როგორც ეს მოხდა განვითარებულ ქვეყნებში, თუ შევიმუშაოთ სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ჩვენს მომხმარებელს დაიცავს გამყიდველთა თვითნებობისაგან?

ეს კითხვა განსაკუთრებით მნშვნელოვანია ისეთ სფეროებში სადაც მომხმარებლის კვალიფიკაციური შესაძლებლობები შეზღუდულია, ჯანდაცვისა და განათლების სისტემაში. ეს ბაზრები არაა თავისუფალი, რადგან მიწოდება მოთხოვნა აქ ვერ ხორციელდება მესამე პირების გარეშე. ჯანდაცვასი ესაა ექიმი, ხოლო განათლების სისტემაში მასწავლებელი. მართლაც არც ერთმა პაციენტმა წინასწარ არ იცის რა დაჯდება მისი მკურნალობა, სანამ ექიმები არ დაადგენენ დაავადების ნოზოლოგიიდან გამომდინარე. ამიტომ, მისასალმებელია მინისტრ დავით სერგეენკოს წამოწყება, რეცეპტით წამლების გაცემასთან დაკავშირებით. ამ სფეროში ადრე არსებულმა უკონტროლო საქონელბრუნვის სისტემის არსებობამ მიგვიყვანა იმ შედეგებამდე, რომ ეს ბაზარი მიუხედავად გარეგნული მიმზიდველობისა არნახულად მოუწესრიგებელი და მონოპოლიზებულია.

ასევე დიდი ყურადრება უნდა მიექცეს განათლების სისტემის სრულყოფას. აქაც შემუშავებული უნდა იქნას ის მექანიზმები, რომლებიც ინსტიტუციონალური პასუხისმგებლობის ამაღლებით ზღვარს დაუდებს არსებულ სიმახინჯეებს. განათლების სოსტემაში უფრო რთულადაა საქმე ვიდრე სამედიცინო მომსახურეობის სეროში. განვითარებული ქვეყნების მაგალითზე თუ ვიმსელებთ, მაგალითად კანადაში სამედიცინო ბაზრის ასიმეტრულობის დაღევის ერთერთი ფაქტორია ოჯახის ექიმის ინსტიტუტი, რომელიც იცავს პაციენტა სხვადასხვა გაუგებრობებისაგან.

ქოუზის თეორემა ეკონომისტთა ყურადღების საგანი გახდა, მას იკვლევდნენ, როგორც ეკონომიკური თეორიის, ჩვენ რომ მიკროეკონომიკას ვეძახით სპეციალისტები, ასევე მაკროეკონომისტები. ასეთი დიდი ყურდღება უკვალოდ ვერ ჩაივლიდა და ისლანდიელმა ეკონომისტმა ტრენინ ეგგორტსონმა შეიმუშავა მისი მაკროეკონმიკური გამოყენების ვარიანტი: თუ ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში ტრანსაქციები ნულის ტოლია, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვიარება ძირითადად ამ ქვეყნის მართველობის ტიპზე და ხელისუფლების შემადგენლობაზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ, როდესაც ტრანსაქციული დანახარჯები დადებითია, მაშინ ქვეყნის შიგნით ხელისუფლების შტოებად დანაწილება და მისი დაწესებულებების სტრუქტურა და სამოქმედო ნორმატული ბაზა არის ქვეყნის განვითარების ფაქტორი. რასაც ქოუზის განზოგადებულ თეორემას უწოდებენ. ასეთი განზოგადების შემდეგ, იგი ხდება ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთი დებულება, რომელიც გვასწავლის, რომ: ქვეყანაში სახელმწიფოს ინსტიტუციონალური ხარჯებისს მინიმიზაციის შემთხვევაში "თამაშის წესების" ოპტიმალური ერთობლიობა, ყალიბდება ყველგან და ყოველთვის, თუ ნებისმიერი მოძველებული ინსტიტუტის ნაცვლად იქმნება ახალი (განახლებული), რომელის შექმნაც ხარჯებს არ ზრდის. ასეთ შემთხვევაში კი ტექნიკური პროგრესი და კაპიტალის დაგროვება ავტომატურად და ყველგან იწვევს ეკონომიკურ ზრდას.

ქოუზის თეორემის გაგებისათვის საჭიროა განვიხილოთ მისი საფუძვლები. ამოსავალი კატეგორია, რომელიც აგვიხსნის ამ თეორემის საზრისს არის "ექსტერნალიები". იგი არტურ პიგუს (ინგლისელი ეკონომისტი, 1877-1959) "საბაზრო კრახის" თეორიის განხილვისას მივიდა" ექსტერნალიების" პრობლემამდე, რომელთა შესწავლისას დაადგინა, რომ სრულებითაც არ არის საჭირო სახელმწიფოს ჩარევა, რადგან კარგად ორგანიზებულ მეწარმეებს შეუძლიათ შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევა. ექსტერნალიები არის ის ეკონომიკური ეფექტი, რომელსაც იღებს მესამე პირი, ის ვინც. რაიმე მოცემულ სამეურნეო აქტივობაში პირდაპირ და უშუალოდ არ მონაწილეობს. მაგალითად, სახელმწიფო ქმნის რადიოლოკაციის სისტემას საკუთარი შეიარაღებული ძალების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით, შემდეგ ეს სისტემა ხელმისაწვდომი ხდება ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის, ამ დიდი პროექტის მესამე პირებისათვის. ასეთი მსჯელობით ცდილობდნენ ინსტიტუციონალისტი ეკონომისტები შეეტანათ სახელმწიფოს საქმიანიბაში მიზანდასახულობები და გაეხადათ იგი შემოქმედი დიდი და უდიდესი სახელმწიფო პროგრამებისა. ჯონ გელბრეიტი, გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს

წერდა, რომ "არა თუ კოსმოსს, ამერიკის შეერთებული შტატები ველურ დასავლეთს ვერ აითვისებდა, რომ არა ეკონომიკაში გეგმაზომიერი მიდგომები." მიმდინარეობდა ცივი ომი და ორი სისტემის გამალებული შეიარაღება მოითხოვდა ახალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, გარღვევებს. ტექნოლოგიის მოთხოვნები იმორჩილებდა წარმოების შესაძლებლობებს. ეკონომიკის მართვის ასეთი მიდგომა ცნობილია ტექნოკრეტიის სახელით. ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, როგორ მოხდა ტექნოლოგიების განვითარების მარდაჭერის იდეის დეფორმირება, რომელიც სამართლიანად შეიცვალა ჰუმანური მიდგომებით და ახლა ტექნოკრატობა, არა თუ რეტროგრადობის მაჩვენებელია, არამედ სირცხვილია. და აი, შორეულ 1970-იან წლებში ამერიკელი ინსტიტუციონალისტების მსგავსად საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ოფიციალურ სახელმძღვანელოებში მიიჩნევდნენ, რომ "ეკონომიკის მილიტარიზაცია იყო სახალხო მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი", ამიტომაც საზოგადოებას ეგონა, რომ სამხედრო ქარხნების კონვერსიით საბჭოთა კავშირი იოლად დაძლევდა ტექნოლოგიურ ჩამორჩენას ფართო მოხმარების საგნების ბაზარზე, რაც საბჭოთა სამხედროსამრეწველო კომპლექსის შესახებ შეთხზული პროპაგანდისტული მითის შედეგი აღმოჩნდა. ამიტომ მაკროეკონომიკის დონეზე მუდმივად დგას საკითხი: როგორ მოხდეს ქვეყანაში საწარმო პრიორიტეტების ისეთი ფორმირება, რომ საერთო სარგებლობის რესურსების ზრდამ განაპირობოს თვითოეული ინიციატივიანი მეწარმის საქმიანობის ინტენსიობა. ამიტომ ასეთი დიდ მნიშვნელობის მინიჭება ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გასაგები და მისაღებია.

3.2. ინსტიტუციონალიზმის თანამედროვე მიმართულებები

ინსტიტუციონალიზმის ახალი მიმართულებები უკავშირდება ცივი ომის დამთავრებას და მსოფლიოში ერთიანი გლობალური ეკონომიკური პროცესების განვითარებას. თანამედროვე მსოფლიო მიისწრაფის საერთო, ერთიანი წესრიგისაკენ. გლობალიზაცია გვთავაზობს ურთიერთობათა სისტემას, რომელიც რთულად, მაგრამ ინტენსიურად მკვიდრდება და აღსავსეა წინააღმდეგობებით. ის დინამიზმი (ევოლუცია), რომელსაც დღეისათვის განიცდის მსოფლიო, აისახება საზოგადოების განვითარების შემსწავლელ თეორიებში.

ეკონომიკური ინსტიტუტების ისტორიული განვითარების საკითხების კვლევას მრავალი ნაშრომი მიუძღვნა დონალდ ნორტმა, რომლის დაკვირვებითაც დაადგინა, რომ ინსტიტუციონალური განსხვავებები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ესპანეთის და ჰოლანდიის ეკონომიკების შედარებითი ანალიზის მეშვეობით დადგინა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში, ესპანეთში სახელმწიფო იმის გამო რომ ორიენტირებული იყო სარგებლობაზე თანდათანობით გარდაიქმნა სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატად. მისი ეს ჰიპერტროფია კერძო სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელიშემშლელი აღმოჩნდა, რამაც საბოლაო ჯამში განაპირობა ესპანეთის ეკონომიკური ჩამორჩენა. ხოლო იმავე პერიოდში ჰოლანდიისა და სხვა ჩრდილო ევროპის სახელმწიფოები ხელს უწყობდნენ კერძო ინიციატივების გამოვლენას და კერძო სტიმულებს ხელს არ უშლიდნენ, რაც აისახა ეკონომიკური განვითარების დონეებზე. ამ მასალის განზოგადებით მან დადგინა რომ ეკონომიკური ინსტიტუტები წყვეტენ ორ ამოცანას, ისინი ხელს უწყობენ სახელმწიფოს გაძლიერებას და ამავე დროს არიან კერძო ინიციატივების განვითარების წყარო, შესბამისად ის სახელმწიფო, რომელიც ქმნის პირობებს კერძო ინიციატივების გამოვლენისათვის განვითარების უფრო მაღალ დონეს აღწევს. ისევე, როგორც ნორტი რობერტ ფოგელიც (1926-2013, ნობელის პრემია 1993) ერთად ასაბუთებდა თავის ნაშრომებში, რომ მცირე გაუმჯობესებეი საწარმოო პროცესში, საბოლაო ჯამში მიგვიყვანს უფრო დიდ ცვლილებებამდე, ვიდრა დიდი ტექნოლოგიური გარდაქმნები. ამიტომ კერძო ინიციატივებისათვის ხელსაყრელი პრობების შექმნა ყველა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ჩანართი განსჯისათვის. №10
სამართლიანობის ინსტიტუციონალური ასპექტი

მიმდინარე პერიოდში, მას შემდეგ რაც ხელისუფლებაში "ქართული ოცნება" მოვიდა საზოგადოება "სამართლიანობის აღდგენას ითხოვს". საზოგადოების მოთხოვნაა გულისხმობს, არა სამართლიანობის ფუნდამენტალური ინსტიტუტების მშენებლობას, არამედ წინა ხელისუფლების აშკარა სამართალდარღვევების აღმოფხვრას, რომელიც ჭიანურდება და სამართლიანად იწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას. ეს საკითხი სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალდამცავი ინსტიტუტების საქმიანობის დაბალეფექტიანობაზე მიუთითებს, რაც მათი 9 წლიანი თვითნებობის შემდეგ, რამდენადმე გასაგებია, ამ სფეროში კადრების დეკვალიფიკაცია ფაქტია და აჩქარებით კიდევ მეტი დანაშაულის ჩადენაა შესაძლებელი.

სამართლიანობის საკითხებიდან გვინდა ყურადღება მივაქციოთ, დოვლათის თაობათა შორის გნაწილების საკითხებს. ცნობილია, რომ 2004-2012 წლებში ხელისუფლებამ მოახერხა და მოსპო სოციალური დაცვის არსებული სისტემა, საპენსიო ფონდი. იმ ქვეყნების, რომელთაც ჩვენ განვითარებულ ვუწოდებთ ისტორიული გამოცდილებით შეიქმნა ისეთი საპენსიო სისტემა, სადაც დაგროვებითი და ხარჯვითი ფონდები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და უზრუნველყოფენ საპენსიო ასაკიის ადამინების სოციალურ დაცულობას. მეწარმეობის ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე ამ ქვეყნებში შეიქმნას ისეთი ინსტიტუცია, რომელმაც გადაწყვიტა აღნიშნულ პრობლემა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც

მსოფლიომ უარი თქვა ფულის მეტალურ სისტემაზე, ინფლაცია გახდა საზოგადოების თანამდევი მოვლენა. ინფლაციის პირობებში კი დეფორმაცია განიცადა დაგროვების პრობლემამ. ასეთმა გარემოებამ ბიძგი მისცა საბანკო სისტემის განვითარებას. ბანკები, საკრედიტოს ნაცვლად გადაიქცნენ სადეპოზიტო დაწესებულებებად, რადგან მათთვის კანონის ძალით მინიჭებული განსაკუთრებული უფლების, სხვისი აქტივების საბუღალტრო ანგარიშებში თავის პასივებად გატარების გამო, დაეკისრათ მოსახლეობის დანაზოგების თვითმზრდობაზე პასუხისმგებლობა. ამიტომ ბანკების მიმართ სახელმწიფოს დიდი ყურადღება, რაც ხშირად ზრუნვაში გადაიზრდება ხოლმე, რამდენადმე გამართლებულია.

ბანკების ასეთმა გაბატონებამ, ფულის ბაზარზე, წარმოშვა პრობლემები საპენსიო დანზოგებისათვის. თუ სადეპოზიტო საპროცენტო განაკვეთს არ აღემატება საპენსიო შენატანის პრემია, მაშინ ფულის ასეთ შენახვას აზრი ეკარგება. ზოგიერთმა ქვეყანამ ამ საკითხის დასაძლევად საპენსიო ფონდებს უფლება დართო თავმოყრილი კაპიტალი გაეტარებინა პასივში და თვითონ ეწარმოებინა საკრედიტო პოლიტიკა, ზოგიერთმა ქვეყანამ კი სექმნა საპენსიო ფონდებიდან სახელმწიფო დასესხების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთის მეტობას, საბანკო საკრედიტო პროცენტის მიმართ. ასეთი მექანიზმის ასამუშავებლად საჭირო იყო განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი. იმ ქვეყნების საპენსიო ფონდებმა, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი ნაკლებად განვითარებულია, შეიძინეს სხვა ქვეყნის ბაზრებზე მონაწილეობის უფლებები. დღეისათვის ჩილეს, ნორვეგიის, საფრანგეთის, იაპონიის, ინგლისის და სხვა ბევრი ქვეყნის საპენსიო კაპიტალი ფუნქციონირებს აშშ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით. ამგვარად შეიქმნა მექანიზმი, რომელიც ერთდროულად წყვეტდა: 1. მოსახლეობის დანაზოგების ინფლაციისაგან დაცვის, 2. მოსახლეობის დროებით თავისუფალი თანხებით საინვესტიციო პროექტებში მოქცევის, 3. მოსახლეობის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემებს.

ასეთი მექანიზმის შექმნი საშუალება საქართველოშიც იყო, რაზეც უცხოელი კონსულტანტები მიუთითებდნენ, მაგრამ ჩვენმა ხელისულებამ სხვა გზა აირჩია. მან, ქვეყნის საფინანსო სისტემის მონოპოლიზაციის მიზნით, მთლინად მოახდინა მისი დეინსტიტუციონალიზაცია: შეცვალა საბიუჯეტო კანონმდებლობა და ბიუჯეტი მთავარ საფინანსო გეგმის ნაცვლად აქცია მთავრობის საჭიროებებისათვის პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვად, ასევე დაუკარგა ეკონომიკური შინაარსი ადგილობრივ ბიუჯეტებს. გარდა ამისა, შიდა ბაზარზე, გარდა ბანკებისა, არც ერთი სხვა ტიპის კორპორაცია ორგანიზაცია არ დაუშვა. რითაც გზა გაუხსნა ლომბარდისა და სასესხო ტიპის დაწესებულებეს. გამონაკლისს წარმოადგენდა ჯანდაცვის მიმართულებით მოქმედი სადაზღვეო ორგანიზაციები, რომელთა კაპიტალი მიბმული იყო საბანკო სადეპოზიტო სისტემაზე და აქ ხელოვნურად შექმნილი მაღალი საპროცენტო განაკვეთით ახდენდა მის კაპიტალიზაციას. მათი შემოსავლების უმტესი ნაწილი კი, არა მოსახლეობის ჯნდაცვას, არამედ ახალის მშენებლობას და ძველი სავადმყოფოების გარემონტებას ხმარდებოდა.

ეკონომიკურ მეცნიერების სხვა წარმომადგენლები, განსაკუთრებით მისი ნეოკლასიკური განშტოების მიმდევრები, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას შეცდომად მიიჩნევენ და მათი აზრით, ადამ სმიტის "ფარული ხელის" პრობლემა დღესაც აქტუალურია. ამ საკითხის ანალიზიზსას ისინი მიდიან იმ დასკვნებამდე, რომ თომას ჰობსის თეორია სახელმწიფო ხელისუფლების აბსოლუტიზმზე მცდარია და ეწინააღმდეგება ადამ სმიტის მოსაზრებებს. წლების მანძილზე ადამ სმიტსა (11723-1790) და თომას ჰობსს (1588-1679) წარმოადგენდნენ ერთმანეთის ანტაგონისტებად. ინსტიტუციონალური კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე ელინორ ოსტრომმა (1933-2012, ნობელის პრემია 2009 წ.) დაასაბუთა, რომ ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია და წარმოიშვა, ეკონომისტების მიერ, ჰობსის თეორიის არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზით. ჰობსი მართალია მოაზროვნე სუბიექტის არსებობას უარყოფს, მაგრამ იგი საზოგადოებრვი შეთანხმების შესახებ პირველი ავტორი, აღნიშნავდა, რომ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს ნებაყოფლობითი შეტანხმებები და არა ძალადობრივი, დაპყრობის შედეგად ჩამოყალიბებული ერთობები. ამ თეორიულ დებულებაზე დაყრდნობით ელინორ ოსტრომი მიიჩნევს, რომ მთავრობათ საქმიანობა მიმართული უნდა იყოს იქეთ, რომ ისეთ პირობები შექმნას ეკონომიკური ინსტიტუტების განვითარებისათვის, რომ კოლექტიური საქმიანობა ინდივიდების სასარგებლოდ წარიმართოს. დღეს ვდგევართ დიდი გამოწვევის წინაშე, "როგორ ვისწავლოთ საერთო სარგებლობის რესურსების გამოყენება, მაშინ როდესაც ვაწყდებით ყოველდღიურ პრობლემებს მათ გამოყენაბისას" ამბობს ოსტრემი და მიიჩნევს, რომ სახელმწიფოსა და კერძო ინციატივებს გარდა არის ისეთი ინსტიტუციები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოების განვითარებაში. როდესაც ელინორ ოსტრომის შეხედულებათა ფონზე განიხილავ საქართველოს დღევანდელობას, რწმუნდები რომ ჩვენი გზა ევროგაერთიანებისა და ნატოსაკენ არის ბუნებრივი, ნებაყოფლობითი პოლიტიკური არჩევანი, მაშინ როდესაც ევრაზიული წარმონაქმნი ძალადობის დამღას ატარებს. გარდა ამისა როდესაც ვხედავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებულ საერთო სარგებლობის რესურსების გამოყენების ინსტიტუტებს, როგორ ვერ ვანჩნევთ, როგორ უდიერად ვეპყრობით მათ, აზრი გიჩნდება, რომ დადგა დრო, როდესაც მთელი სერიოზულობით უნდა მოვუბრუნდეთ ჩვენი სამეურნეო მემკვიდრეობის შესწავლას.

ელინორ ოსტრომთან ერთად ნობელის პრემიით 2009 წელს დაჯილდოვდა ოლივერ ულიამსონი (ამერიკელი ეკონომისტი,1932-), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ტრანსაქციების პრობლემების შემდგომ დამუშავებაში. კერძოდ მან ეს ტრანსაქციები საბაზრო "იერარქიას" დაუკავშირა და შეეცადა მათ კლასიფიცირებას. ასეთი მიდგომით შესაძლებელი გახდა ბაზრის რთულ იერარქიულ სისტემაში ინდივიდების ჩართულობის უფრო გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმი შეექმნა. მისი აზრით ყველა თრანსაქციას აქვს სამი საერთო მახასიათებელი: 1.ისინი დამოკიდებულნი არიან აქტივების სპეციფიკაზე, ეს ნიშნავს, რომ აქტივს აქვს მაღლი ფასეულობ მოცემულ შეთანხმებაში და დაბალი, სხვა ალტერნატიულ გარიგებეში. 2. შეთანხმებეი არ არიან შეზღუდულები, რაც უფრო ჩქარია მათი მამოძრავებელი ტექნოლოგიები, მით უფრო ჩქარა ავიღჩევთ ფირმას და არ კონტრაქტს.3. ტრანცაქციების სიხშირე მათი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რაც უფრო ხშირია შეტანხმებები მით მეტი ინფორმაციას ფლობს კონტრაგენტი.

როდესაც ვსაუბრობდით ნეოინსტიტუციონალიზმის ახალ, თანამედროვე მიმართულებეზე, ჩვენ სემოვიფარგლეთ მხოლოდ იმ მცნიერთა შრომების მიმოხილვით ვისი ნაშრომებიც აღინიშნ ნობელის პრემიით. კარგად გვესმის, რომ ეს საკითხი უფრო დიდი და მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ფორმატში წარმოდგენილი მასალა საკმარისად მიგვაჩნია.

3.საით მიდის ინსტიტუციონალიზმი

ინსტიტუციონალიზმა, როგორც ვნახეთ, რთული და საინტერესო გზა გაიარა. მისი წარმომადგენლები თანმიმდევრულად და დამაჯერებლად ამკვიდრებდნენ საზოგადოებაში ეკონომიკური პროცესების გაძღოლის დემოკრეტიულ და ადამინების კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სამეურნეო სისტემებს. ეკონომიკური მეცნიერების ეს მიმართულება პოულარული გახდა მთელ მსოფლიოში, გფართოვდა მისი მოქმედების არეალი. მიუხედავად ამისა, მის განვითარებაში შეინიშნება კრიზისული მოვლენებიც. მიგვაჩნია, რომ მისი საფუძვლიანი შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სამეურნეო სისტემას და ჩვენც ქართველ ეკონომისტებს. იმისათვის, რომ გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მეცნიერების ამ რთულ და მრავალმხრივ მიმდინარეობის შესახებ დაიწერა წინამდებარე ნაშრომი, სადც შევეცადეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, მიმოგვეხილა ინსტიტუციონლიზმის მიღწევები, რომლის რეზიუმესაც აქ გთავაზობთ.

4.1. ნეოინსტიტუციონალიზმი: წინსვლა, თუ კრიზისი (რეზიუმე)

ინსტიტუციონალიზმი ეყრდნობა სამ მძლავრ პოსტულატს: პირველი ის არის, რომ ადამიანი რეალურია და არაა რაციონალური არსება, ამიტომ მისი უნარები სოციალური შინაარსის მატარებელია, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი მოწოდებულია (განწყობილია) კოლექტივში გაწიოს საქმიანობა, მათ შორის ეკონომიკური შინაარსის საქმიანობა. ამ დებულებას ასაბუთებენ ფაქტიურ მასალით, რომელიც გვარწმუნებს, რომ ადამიანის საზოგადოებრივი საზრისი ბატონობს მის ინდივიდუალურ მისწრაფებეზე, რადგანაც ეს უკანასკნელი მხოლოდ დიდ საზოგადოებრივ ერთობაში არის შესაძლებელი. ამიტომ,

ეკონომიკური ურთიერთობების კვლევის ობიექტი არის ის ინსტიტუტები, რომლებიც ადამიანთა თანაცხოვრების გარემოს ქმნის და განაპირობებენ საზოგადოებრივ დინამიზმს (ევოლუციას). შესაბამისად, ეკონომიკური ურთიერთობები სხვა სოციალურ ურთიერთბებთან თანაარსებობის პირობებში ხდებიან გასაგები დ იძენენ ერთგვარ სისტემურობას.

მეორე, პოსტულატი იმაში მდგომარეობს, რომ საღი აზრიდან გამომდინარე იმისათვის, რომ გავარკვიოთ "რეალური" ადამიანების თანაცხოვრების საერთო წესები, რომელიც დროში მდგრადია და განიცდის ევოლუციას, ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ისეთი მეთოდი, რომელსაც კარლ პოპერი (ავსტრიელი და ბრიტანელი მეცნიერების ფილოსოფოსი, ლოგიკოსი,1902-1994) და მისი მიმდევრები უწოდებენ დედუქციის ინდუქციას, ანუ,

აბსტრაქტულიდან ვიაროთ კონკრეტულისაკენ, ავსახოთ გრძნობითი (მოცულობითი) კონკრეტული მის ზოგადობაში.

ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დავაკვირდებით ადამიანთა ერთობის ისტორიულ პროცესში წარმოქმნილი ინსტიტუტების ევოლუციურ განვითარებას, ადამიანების ურთიერთობების ანთროპოლოგიურ და ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს საფუძველზე დავადგენთ საზოგადოების აქტივობის მიმართულებებს.

მესამე პოსტულატი კი გვეუბნება,

ეკონომიკური თეორია მიმართულია საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგებისაკენ, ამიტომ წლობით ჩამოყალიბებული წესჩვეულებები, ფასეულობები, დამკვიდრებული ინსტიტუციები და ინსტიტუტები, მოითხოვს სახელმწიფოს იურიდიულ მხარდაჭერას და კანონის სახით პრაქტიკაში დამკვიდრებას.

ტორსტეინ ვებლენისა და მისი მოწაფეების მიერ ეკონომიკური თეორიის ასეთი ფორმულირება ძალიან ფრთხილად და ზედაპირულად იქნა აღქმული, იმდროინდელი საზოგადოების მიერ, როგორც გერმანული ისტორიული სკოლისა და მარქსიზმის სინთეზის ერთერთი ვარიანტი. შემდეგ მოსახლეობის სოციალური აქტივობების გაღრმავებისა და გამწვავების შედეგად, ამერიკის პოლიტიკურმა წრეებმა ამ თეორიაში დაინახეს შექმნილი ფეთქებადი სიტუაციის ნეიტრალიზების საშუალება. შესაბამისად შეიქმნა ამ თეორიის განვითარების საშუალება. რის შედეგადაც ინსტიტუციონალისტების დისკუსია ტრადიციულ ეკონომიკურ მიმართულების ეკონო-

მისთებთან ჩვეულებრივი მოვლენა იქცა. სადისკუსიო თემატიკა მომდინარეობდა ინსტიტუციონალიზმის მეთოდოლოგიური პრინციპებიდან და შემდეგი სამი პრობლემის ირგვლივ ტრიალებდა:

1.ისტორიული პროცესები გვიჩვენებს განვითარების დინამიზმს და შესაძლებლობებს, ამიტომ იგი არ უნდა იყოს შეზღუდული პოლიტიკური გარემოპირობებით, ამბობენ ინსტიტუციონალისტები და საზოგადოებას განიხილავდნენ, როგორც ღია სისტემას და მისი "დახურვის" მცდელობებს, განვითარების არაბუნებრივი ხაზად მიიჩნევდნენ. ასეთი მიდგომებით ინსტიტუციონალისტები ემიჯნებოდნენ გერმანულ ისტორიულ სკოლას და განვითარების იმპულსებს აძლევდნენ ეკონომიკურ ანთროპოლოგიას.

2."ეკონომიკური სისტემა, როგორც უფრო დიდი სოციალური სისტემის ნაწილი გასაგებია მხოლოდ საერთო სოციალურ კონტექსტში", ეს თეზისი საკამათო გახდა იმის გამო, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი მას "ეკონომიკურ იმპერიალიზმთან" ათანაბრებდა, საიდანაც ერთი ნაბიჯი იყო ეკონომიკის პირველადობის (ბაზისურობის) ფრიდრიხ ენგელსის (გერმანელი ფილოსოფოსი, მარქსიზმის ფუძემდებელი და კლასიკოსი, 1820-1898) თეორიასთან. სხვები მიიჩნევდენ რომ ეკონომიკურ თეორიას ეკარგებოდა საკუთარი კვლევის საგანი.

3.რადგან ეკონომიური თეორიის საზრისი არის "ჭკვიანი საზოგადოების " შექმნა, საზოგადოების დაჭკვიანება, ამიტომ ეკონომიკური თეორია ნორმატული მეცნიერებაა.

ამტკიცებდნენ ინსტიტუციონლისტები. შეიძლება თუ არა სწორი არჩევანი გავაკეთოთ? სვამდნენ კითხვას ავსტრიული სკოლის წარმომადგენლები. ეკონომიკური თეორია არის პოზიტიური მეცნიერება და მას მომავლის პროგნოზირება არ შეუძლია.

ეს საკამათო პრობლემები მუდმივად იდგა ინსტიტუციონალისტი ეკონომისტების წინაშე და მათი გააზრების აუცილებლობამ მიიყვანა ეს მიმართულება კომპრომისებამდე სხვა ეკონომიკურ თეორიების მიმართ. ინსტიტუციონალისტთა კომპრომისები გახდა საფუძველი ახალი ინსტიტუციონალიზმის წარმოშობისა. ინსთიტუციონალიზმის პოზიციიდან "უკუსვლა" შემდეგ ფუნდამენტალურ საკითხებში მოხდა:

შეუძლებელია შემუშავდეს სრულყოფილი შეთანხმება, შესაბამისად ნულოვანი ტრანსაქცია ვერ იარსებებს, ამიტომ მომავლის პროგნოზირებას აქვს შეზღუდული შესაძლებლობები.

პოზიტიური ეკონომიკური კვლევები ხდბა პოლიტიკური მოქმედების საფუძველი, ამიტომ ეკონომიკური თეირია შინაარსით პოზიტიური მეცნიერებაა,

ადამიანების დამოუკიდებელი საქმიანობა განისაზღვრება არა მათი გამოცდილებით და შინაგანი იმპულსებით, არამედ კოლექტივში მათი საქციელით..

ნეოკლასიკურ და ნეოკეინსური მიმართულების ეკონომიკურ თეორიებთან ასეთი კომპრომისები გვაფიქრებინებს, რომ ახალიინსტიტუციონლიზმი წინაღმდეგობებით აღსავსე მეცნიერული მიმართულებაა. ამის მტკიცების საშუალებას მაძლევს ის გარემოება, რომ მათ ვერ დაიცვეს ინსტიტუციონალიზმი და მოექცნენ მათთვის უცხო ეკონომიკური დოქტრინების გავლენაში. განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი სამი კომპრომისი:

1.შეუძლებელია შეთანხმების ისეთი ვარიანტის შემუშავება, რომელიც შემდეგ სრულყოფას არ მითხოვს. ეს კომმონსმაც და ბუკინენმაც კარგად იცოდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ არსებუბდა ადამიანების ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შეზღუდვები, გამოდიოდნენ არსებული მდგომარეობიდან და სწორედ ამიტომ ითხოვდნენ იურიდიული ნორმების სრულყოფას, რომ მიღწეული ყოფილიყო მოცემული ეტაპზე არსებული დმოკიდებულებათა შორის სამართლიანობა. ასეთი მსჯელობა საღი აზრის ერთადერთი გაოხატულება იყო აღნიშნულ საკითხზე.

2.იმის გამო, რომ არ შეიძლება ტრანსაქცია (შეთანხმება) სრულყოფილი იყოს, გამომდინარეობს ლოგიკურად ის, რომ საჭიროა კვლევის თეორიული შედეგები, ნორმატივებად გარდაიქმნას ეკონომიკურ პოლიტიკის დებულებებად. ასეთი დათმობებით ხდება უგულვებელყოფა, ინსტიტუციონალისტების იმ მოსაზრებისა, რომ ეკონომიკური თეორია მოწოდებულია შექმნას "ჭკვიანი საზოგადოება", რომ მეცნიერული კვლევის შედეგები ერთნაირად მისაღები უნდა იყოს ყველასათვის. ეს შეგვაძლებინებს შეიქმნას ისეთი საზოგადოება სადაც ხელისუფლების შტოებსა და მოსახლეობას შორის იარსებეს ერთგვრი კონსესუსი და ამიტომ ეკონომიკური თეორიის მიღწევებიდან, მეცნიერულად დადგენილი ნორმებიდან გამომდინარე ეკონომიკური პოლიტიკა იმოქმედებს საზოგადოებაში.

3.რადგან შეთანხმება არასრულყოფილია და ადამიანი მოქმედებს კოლექტივში რომელიც განსაზღვრავს მისი აქტივობის სტიმულებს, მათი ინტერესებისა და მოქმედების თავისებურებებს განისაზღვრება მათი საქციელით.

ადამიანის ფსიქოლოგიის ასეთი ბიხივერისტული ინტერპრეტაცია უცხო იყო ვებლენისათვის. იგი ფსიქოლოგიას აღიქვამდა, როგორც ადამიანის აზროვნების და არა როგორც მისი ქცევების მახასიათებელს. გარდა ამისა გასული საუკუნის 60-იან წლებში თვით ბიხიევიორისტებმა თქვეს უარი თავიანთ ძირითად პოსტულტებზე და კოგნიტურ ფსიქოლოგიურ სკოლად გარდაიქმნენ. ცნობილი ეტოლოგი ლორენცი კი ფსიქოლოგიის ამ მიმართულებას მცდარმეცნიერებად მიიჩნევდა, იგი თვლიდა, რომ ადამიანის დაშორება მისივე საქციელისაგან, ნიშნავს უარი თქვა მას სულიერ და ფიზიკურ ერთიანობაზე. იგი ამერიკულ სამართალწარმოების ნაკლოვანებეს სწორედ ბიხევიორისტების მიერ დაშვებული შეცდომებით ხსნიდა.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ინსტიტუციონალური სკოლის სიძლიერე სწორედ იმაში გამოიხატება, რომ

იგი სწავლობს ადამიანს მის რეალურ ისტორიულ პროცესში, სწავლობს, როგორც მთელს, ერთიანს მისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით და თვითეული მათგანის მიღწევებს მიაწერს "მის უდიდებულესობა" შემთხვევითობებს.

4.1.ინსტიტუციონალიზმი საქართველოში (რეკომენდაციები)

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნეოინსტიტუციონალიზმი, რამდენადმე ინსტიტუციონალიზმის კრიზისის გამოხატულებაა და შემდგომში რა მომავალი ეწევა ეკონომიკური მეცნიერების ამ მიმართულებას ძნელია განსაზღვრო. მიუხედავად ამისა, ქვეყნებისათვის სადაც მკვიდრად გაიდგა ფეხი საბაზრო ეკონომიკურმა სისტემამ და რომლებიც თავიანთ განვითარებას აკავშირებენ მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ დინამიზმს, ინსტიტუციონალური კვლევები წარმოება აუცილებელია. ეს იმიტომ, რომ მათ წინაშე დასმული ამოცანა: გაარკვიონ ქვეყნის მაკროეკონომიკური სისტემის განვითარების თავისებურებები და მისი სტრუქტურა თანამედროვე მოთხოვნებისადმი შესაბამისობაში მოიყვნონ, შეუძლებელია გლობალური დინამიზმის ადგილობრივ რეალობებთან სათანადო კავშირების გარეშე. ინსტიტუციონალური კვლევები განსაკუთრებით მაღალეფექტურია საქართველოს მსგავს ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ეთნიკური თავისებურებები, საუკუნეების მნძილზე ჩამოყალიბებული ისტორიული ტრადიციები, გეოპოლიტიკური თავისებურებები სერიოზულ დაკვირვებას მოითხოვს მსოფლიო საბაზრო ტენდენციების მიმართ მათი ადაპტაციისა და ინტეგრაციის მიზნით.

ვერ გმოვიჩინეთ სათანადო ყურადღება ჩვენი ქვეყნის ინსტიტუციონალური განვითრების თვალსაზრისით 90-იან წლებში. ადმინისტრაციულ-ბიურაკრატული სისტემის ნგრევას ბევრი სასარგებლო და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი გადავაყოლეთ. უკვე აღვნიშნე, რომ საკუთრების ისეთი ფორმა, როგორიც იყო კოოპერაცია კანონგარეშე გამოვაცხადეთ და აღიგავა მიწისაგან პირისა, როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევა ვჭრობაში. სიმბოლურია, რომ ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, 2014 წლის აგვისტოში, მიმდინარეობს "ცეკავშირის" სათაო ოფისის შენობის გამალებული დემონტაჟი თავისუფლების მოედანზე. საბოლოოდ გაქრება პირისაგან მიწისა ერთ დროს მძლავრი სავაჭრო საპაიო ინსტიტუტი, რომელიც საქონელს ატარებდა ქალაქსა და სოფელს შორის. განა მხოლოდ საკუთრებითი ურთიერთობების მიუღებლობა იყო მიზეზი განუკითხაობისა, მთავარი მიზეზი უცოდინრობა და მომხვეჭელობა იყო. ასე აღიგავა მიწისაგან პირისა საფოსტო ოფისების განშტოებული სისტემა, კინოგაქირავების, სასწრაფო დახმარების და ფარმაციის ქსელური სისტემები. ახლა, როდესაც რეტროსპექტულად თვალს ვადევნებ კაპიტალის თავდაპირველი დაგროების პროცესს საქართველოში, მახსენდება ვერნერ ზომბარტი, რომელიც რომელიც გვაფრთხილებდა, რომ ამ პროცესში წარმატება მოდის იმ ადამიანებს, ვინც ერთდროულად არიან მეწარმეობის მოყვარულნი, პოლიტიკური ძალით აღჭურვილნი და ყაჩაღობაზე უკან არ დაიხევენ. აი ასეთი სურვილებისა მქონე, მაგრმ სამწუხაროდ გაუნათლებელი ხალხი აღმოჩნდა სხვადასხვა ინსტიტუტების სათავეებში და შედეგებიც ისეთივე დადგა.

90-იანი წლებიდან საკმარისი დრო გავიდა იმისათვის რომ ბევრი სკითხი გაგვეაზრებინა, სერიოზულად მოგვეკიდა ხელი ქვეყნის ბუნებრივი, მისთვის შესაფერისი სამეურნეო და პოლიტიკური ინსტიტუციის მშენებლობისათვის, არსებულებისათვის კანონიერი უფლებები მიგვენიჭებინა, გამოგვესწორებინა დაშვებული შეცდომები, შეგვექმნა ახალი ინსტიტუტები და აღმოგვეფხვრა ის სიცარიელეები, რომლებიც ჩვენი აჩქარებული და ბოლომდე გაუაზრებელი ძალისხმევით შევქმენით. ის რაც 90-იან მოვიმოქმედეთ ჩვენი უცოდინრობით მოხდა, მაგრამ 2006 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის განადგურება, საპენსიო სისტემის ლიკვიდცია, ანტიმონოპოლიური სამსახურია გაუქმება და სხვა ანგვარი ქმედებები რას უნდა მივაწეროთ? ეს ამბები ხომ ასოცირდება ადამიანებთან, რომელიც, თუ ჩვენს მას მედიას დავეყრდნობით, დღესაც შეუვალ ავტორიტეტად ითვლებიან ეკონომიკის სფეროში. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მათთვის "ჭეშმარიტება" პირად ინტერესების სფეროდან გამომდინარე განისაზღვრება, ხოლო საზოგადოებრივი კეთილდღეობა, გულისხმობს ხელისუფლების მიერ დახმარების მომლოდინე ადამიანებს.

ეკონომიკური პროცესებისადმი ინსთიტუციონალური მიდგომები საშუალებას მოგვცემს, როგორც უკვე აღვნიშნეთ 1.3.პარაგრაფში, გავარკვიოთ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ეკონომიკაში და რაში მდგომარეობს მათი გარდუვალობა. დღეს როდესაც ეკონომიკური საქმიანობა გვიხდება გლობალიზებულ მსოფლიოში, ეკონომიკის გაძღოლის განვითარებული მექანიზმების გადმოთანა ჩვენს მეურნეობაში პრობლემას არარ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ რა და რა ზომით გვესაჭიროება, რა და ვისგან ვისწავლოთ. მაგალითად საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემა დღეს უფრო ახლოა გერმანიის და საფრანგეთის სისტემებთნ ვიდრე ბრიტანულ მოდელთან, სუ წელიწად ნახევრის წინ კი პირიქით იყო. ფაქტია, რომ განვითარებული საბაზრო მექანიზმების გადმორანა, პრობლემა არ არის, მთავარია ვიცოდეთ რამდენად შეგვიძლია მათი ატვისება და რა ეკონომიკურ ეფექტებზე იქნება ყოველივე გათვლილი. საკითხის ასეთი დაყენება მოქვცრმს შაშუალებას ეკონომიკას მივანიჭოთ ინოვაციური ხასიათი, ამ სიტყვის იოსებ შუმპეტერისეული გაგებით. შესაბამისად სახელმწიფოს ჩარევები ეკონომიკური საქმიანობის მოწესრიგების მიმართულებით უნდა გამომდინარეობდეს შექმნილი აუცილებლობებიდან და ამ აუცილებლობათა აღსაქმელად უნდა ვიყოთ

მზად.

ეკონოიმკური ტრანსფორმაციის მზაობისათვის საჭიროა დისკუსია, განსჯა, რათა გამოვავლინოთ როგორი საზოგადოებრივი მექანიზმებია საჭირო, რომ ცვლელებები ეკონომიკაში ქვეყნის განვითარების მიმართულებით მოქმედებდეს და არა საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, იმისათვის, რომ შევქმნათ ეკონომიკის ზრდისა და განვითარების კარგი პირობები პირველ რიგში საჭიროა დავძლიოთ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები, რომლებიც გარდუვალი იყო მიმდინარე რეფორმებისა და ცვლილებების ფონზე. დაშვებული შეცდომების გამოსწორება კი მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია. ამისათვის საჭიროა პოლიტიკური ძალისხმევები რაც მიზანდასხულებას მიანიჭებს სახელმწიფოს სპონტნურ ჩარევას ეკონომიკაში. ახალის შექმნა, "სიცრიელეთა" შევსება და შეცდომების გამოსწორება, ერთიანი პროცესია და გამომდინარეობ იმ ვალდებულებებიან, რომელიც ხელისუფლებას ხალხის წინაშე აქვს. ამიტომ, რომ დღეს ხელისუფლება ვალდებულია ქვეყანაში შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე განახორციელოს ეკონომიკური პროცესებში გარდაქმნები.ჩვემ მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელობანია შემდეგი ძალისხმევების განხორციელება:

უნდა გაუქმდეს, ან საფუძვლიანად გადაისინჯოს ლიბერტარიანული ფორმატის 2007 წელს მიღებული "ეკონომიკური თავისუფლების აქტი". განსაკუთრებით გადასახედია მისი მსოფლმხედველობითი ნაწილი, ხოლო ის ნაწილი რომელთა ფორმულირებაც პოლიტიკური გადაწყვეტილების სახით "ვაშინგტონის კონსენსუს" უკავშირდება მოითხოვს არსებითად ახლებურ, ჩვენს ქვეყანაზე მორგებულ რედაქციას;

სერიოზული ცვლილებებია შესატანი "ეროვნული ბანკის შესახებ" კანონმდებლობაში. დაუშვებლია ეროვნული ბანკის მოგება-ზარალის პრინციპით მუშაობა, როგორც საკუთრებითი ურთიერთობების ასევე მისი უშულო ფუნქციონალური დანიშნულების თვალსაზრისით. მისი ასეთი დამოუკიდებლობა იწვევს მის ბიუროკრატიზაციას და აშორებს ქვეყნის საბანკო სისტემისაგან. გარდა ამისა, მონეტარული ფონდის მიერ შეთავაზებულისამის (დამოუკიდებელი ფულადი პოლიტიკა, თავისუფალი ფინანსური ტრანცაქციები და ფულის ფიქსირებული საცვლელი კურსის) ერთდროულად შეუძლებლობის" კონცეფციისადმი ბრმა თანმიყოლა, უკარგავს მას ბანკების საქმიანობაზე, განსაკუთრებით მათი მენეჯმენტზე კონტროლის შესაძლებლობას, რაც სამწუხაროგ მისსავე გამოცემულ კანონქვემდებარე აქტებში აისახება;

გადახედვას მოითხოვს საბიუჯეტო კოდექსი. აქ განმარტებული სახელმწიფო ბიუჯეტის დეფინიცია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ასევე გადასახედია ირიბი გადასახადების დაწესების და მათზე საჯარიმო სანქციების დაწესების ნორმატული ბაზაც;

ყურადღებითაა განსახილველი სხვა ეკონომიკური კანონმდებლობებიც, სადაც "გამორჩენილია" ადამიანის უფლებები და დასაქმებულთადმი ხელისუფლებისა და მეწარმის მოვალებები;

საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მითითებების საფუძველზე განისაზღვროს დასქმებულის, უმუშევრის და შრომის ბაზართან დაკავშირებულ სხვა სხვა პირთ დეფინიცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ წარმოდგენა ვიქონიოტ ქვეყნაში შრომისუნარიანი მოსახლეობის პროფესიულ დინამიკაზე და შექმნის შრომის პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობას;

შემუშავდეს სიღარიბესთან ბრძოლის საერთოჩარჩო კანონმდებლობა, სადც გაირკვევა, როგორც სიღარიბის ზღარის ცნება და განისაზღვრება მისი შესაბამისი ღონისძიებათა სისტემისათვის საკანონმდებლო ბაზა:

აღდგეს არსებული ხარჯვით პრინციპებზე ორგანიზებული საპენსიო ფონდი. აუცილებელია გადაიდგას ნაბიჯები ქვეყანაში დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესაქმნელად და სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ქვეყნიდან ემიგრირებული მოსახლეობის საპენსიო სისტემაში ინტეგრაციის საკითხებზე;

უნდა აღდგეს ქვეყანაში თვითმართველობის დონეზე ბიუჯეტირების პროცესი, უნდა შემუშავდეს პოლიტიკური გადაწყვეტილებები ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისა და ხარჯვის ნორმატიული ბაზის შესაქმნელად;

ძლიერ მხარდაჭერას მოითხოვს ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ბაზარიც;

უნდა შეიქმნას ქვეყნის მერიტორული სფეროს (განათლება, მეცნიერება, კულტურა) საბიუჯეტო დაფინანსების თანამედროვე ნორმები, რომლებიც ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპების შესაბამისად განსაზღვრავენ ამ სფეროში ფულადი წყაროების ოდენობა.

ეს ის ამოცანებია, რომელთ განხორციელება ხელისუფლების პრეროგტივაა. მათი განხორციელება მოითხოვს დიდ საზოგადოებრივ მხარდაჭერას და რადგან ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტა, არა მარტო ჩვენი ქვეყნის ინტერესთა სფეროდან მომდინარეობს, არამედ გლობალური გარემოს მოთხოვნებიცაა ამიტომ აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობაც. გარდა ასეთი გარესამყაროსთან თანამშრომლობის სისტემური მექანიზმების "მშენებლობისა" ჩვენს წინაშე დგას ისეთი ამოცანებიც, რომლებიც უშუალოდ ქვეყნის ისტორიული წარსულიდან მომდინარეობს. ადამიანების დიდ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ეს ისეთი ფორმებია, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბდა და ხშირად სათვალავში არ ვაგდებთ, რადგან პირდაპირ და უშუალოდ არ ეკორესპოდენტირება იგივე საკითხებზე ჩვენთან აღიარებულ დოქტრინებს. მაგალითად ავიღოთ სიღარიბის პრობლემა. მისი გადაწყვეტა საქართველოში უკავშირდებოდა წმინდა წერილიში გადოცემულ ქრისტიანულ მრწამსს. "არც ბევრის შემგროვებელს აღმოაჩნდა ზედმეტი და არც მცირეს შემგროვებელს დაჰკლებია რამე." (გამოსვლა 16. 18.) გვასწავლის ბიბლია და ეს ფილოსოფია, იყო ქართველებისათვის,

ერთ ერთი მთავარი გზამკვლევი არსებობის ხანგრძლივ ისტორიულ გზაზე.

სიღარიბის დაძლევის მთავარი მექანიზმი არსებული დოვლათი განაწილების სფეროში კი არ უნდა ვეძებოთ, რდგან ეს სფერო არ განსაზღვრავდა ჩვენი მოსახლეობის თანაცხოვრების წესს, არამედ, წარმოების სფეროში, რადგან დოვლათის შექმნის შესაძლებლობების სმართლიანი, საყოველთაო ხელთმისაწვდომობა არის ჩვენი ისტორიული გამოცდილების ამოსავალი მახასიათებელი. ისტორიულად საერთო მოხმარების რესურსებზე წვდომა თვითოეულ მაცხოვრებელს შეეძლო. "სამი რამ არ დაუკავდება კაცსა: წყალი, ტყე და ბალახი." ამბობს ვახტანგ მეექვსის კანონი და თუ დააკვირდებით მქონებლობის მიხედვით მოსახლეობის რანჟირების საფუძვლადაც რესურსებზე ასეთი თავისუფალი წვდომის შესაძლებლობები ხდება: ბოგანო-უაგარაკო კაცი, უქონელი- სახლკარ არმქონე, უპოვარი- დედით მამით უქონელი. ასეთი იერარქიის საფუძველს ქმნიდა სართო სარგებლობის რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა. ეს საკითხი ძალიან ყურადრებით არის შესასწავლი, ეს ინსტიტუცია დღესაც შემორჩენილია და მოსახლეობას სისხლში აქვს გამჯდარი. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს მეცხოველეობაში, აქ ძველიდან შემორჩენილია მიწების დამაგრების სისტემა ცხვრის სერთო გადასარეკი ტრასებიდან დაწყებული, სართო საბალახოებით, იმერეთში და სამეგრელოში, გასარეკებით კახეთში და ა.შ არსებობს და დღესაც მოქმედებს ტყის და ტყის პროდუქტების საერთო გამოყენების ინსტიტუციონალური ფორმები. ასევე წყალის გამოყენების ისტორიულად ჩამიყალიბებული ტრადიციები. მაგალითად ქართლში გვალვების დროს, სარწყავი წყლალზე მორიგეობისა და გამოყენების ვადების დასდგენ თავყრილობაში კაცები არ მონაწილეობენ, ვაითუ რამე ხიფათს გადაეყარონ და ქალები "არჩევენ" ამ პრობლემას და არც თუ იშვიათია მათ სორის ფიზიკური შეხლაშემოხლა.

დღეს როდესაც ვაკვირდებით, ბალახის ამ საერთო მოხმარების მნიშვნელოვანი რესურსის გამოყენების ტრადიციულ ფორმებს, ვხედავთ, რომ სისტემა გულისხმობს სოფლის, როგორც გამოცალკევებული საცხოვრებელი არეალის წევრთა საკუთრების განსაკუთრებულ უფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ: 1.სოფელს ინარჩუნებს უფლებამოსილება გამორიცხოს გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან სხვა ეკონომიკური აგენტები და რესურსი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ. 2. ტრანსაქციული დანახარჯები მინიმალურია. რესურსისადმი ასეთი დმოკიდებულება კი გამპირობებს რესურსის გამოყენების ეფექტიანობას.

ვინმემ შეიძლება ასეც დასვას საკითხი, რა დროს ეს, მამა პაპის დროინდელი ადათების აღდგენაა, ჩვენ მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზით უნდა ვიაროთო. აამგვარად საკითხის დასმისას, ორ სერიოზულ შეცდომას ვუშვებთ, პირველი ის არის, რომ ჩვენ ძველი რეალობის დაბრუნებაზე კი არ ვსაუბრობთ, არმედ იმ ინსტიტუტზე, რომელიც ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ უნიკალური გეოგრაფიული გარემოს გათვალისწინებით, ბარისა და მთიანეთის სამეურნეო დაახლოებისა და ნაყოფიერი მიწების ეკონომიურად გამოყენების მიზნის მისაღწევად. სოციუმის ერთიანობის პირობებში კი მიუგნიათ რესურსების გამოყენების სამართლიან ფორმისთვის. ეს ის ინსტიტუციონალური ფორმაა, რომლიც საარსებო საშუალებების საერთო გამოყენების მეშვეობით ქმნის უნიკალურ სასოფლო სამეურნეო სისტემას, იგი დროში მდგრადია და მას ვერაფერი დააკლო მეფის რუსეთის დროინდელმა კაპიტალიზმმა, ვერც სოციალისტურმა სამეურნეო სისტემამ და დღესაც ამ არაფორმარული ინსტიტუციის მეშვეობით იწარმოება საკვები პროდუქტების უდიდესი რაოდენობა და რაც მთავარია ხელმისაწვდომ ფასად. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც შეადრებს რძისა და რძის პროდუქტების ფასებს ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ბაზარზე. მეორე შეცდომა იმაში მდგმარეობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მისაღები გზაა მისი ინკლუზიური განვითარება, რაც გულისხმობს ეკონომიკის ზრდის მიზნით, როგორც ინტენსიური ასევე ექსტენსიური ფაქტორების გამოყენებას.

ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი გამოწვევაა დღევანდელი საქართველოსათვის საერთო სარგებლობის რესურსების სწორი გამოყენება. ამ სფეროში უამრავ წინაღმდეგობებს ვაწყდებით. კომუნალური რეფორმიდაან დაწყებული წყლის რესურსების ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენების პრობლემებით დამთვრებული, საერთო სარგებლობის რესურსების მოხმარება ქვეყანაში სოციალური მთლიანობისა და თანაცხოვრების ჰუმანური წესების დამკვიდრების სირთულეებს უკავშირდება. ჩვენი წინსვლაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადავწყვეტთ ამ უაღღესად მნიშვნელოვან პრობლემას.

ეკონომიკურ სისტემათა ანალიზის ინსტიტუციური მეთოდები

გიორგი მალაშხია, სტუ-ს პროფესორი

ეკონომიკურ სისტემათა ინსტიტუციური ანალიზის დონეები

ეკონომიკური სისტემა ერთიანი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთერთი სფეროა. იგი არსებობს და ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებთან მჭიდრო კავშირის პირობებში. ეს სფეროებია: პოლიტიკა (სახელ მწიფო), მეცნიერება, კულტურა, რელიგია, ყოფითი ურთიერთობები და სხვა. ამ სფეროებს მარეგულირებელი გავლენა აქვს ეკონომიკაზე, რაც გარკვეულად ინსტიტუციურ ხასიათს ატარებს. ამავე დროს ისინი თავის მხრივ განიცდიან ზემოქმედებას ეკონომიკისაგან, მაშასადამე, ადგილი აქვს ურთიერთ ზემო ქმედებას.

ეს კავშირი და ურთითიერთ დამოკიდებულება აღნიშნულ სფეროთა შორის წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

ეკონომიკური სისტემა საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროები.

ეკონომიკაზე, საზოგადოების ცხოვრებაში მის დანიშნულებაზე, მნიშვნელობაზე, ფუნქციონირებაზე საზოგდოებრივი ინსტიუციების ზემოქმედების საზრისი, ხასიათი, ზომა საგრძნობი იყო დასაბამიდან. თავიდან ეკონომიკის უმარ ტივეს სისტემაშიც და, საერთოდ საზოგდოების განვითარების უმდაბლეს დონეზეც, ეკონომიკური საქმიანობა და ურთიერთობები შემოსავლების განაწილება, შრომის დანაწილება, გაცვლა ადათჩვევების, რელიგიურ წამოდ გენების ძლირ გავლენას განიცდიდა. ამის შედეგად ჩამოყალიბდა ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევის ნორმები, რომლებიც სავალდებულოდ ითვლებოდა.

საზოგდოებრივი ცხოვრებისა და სამეურნეო განვითარების პროცესმა, სახელმწიფოს წამოშობამ ახალი საფეხური შექმნა ეკონომიკისა და საზოგდ ოებრივი ინსტიტუტების ურთიერთდამოკიდებლებაში. ეკონომიკისთან მიმარ თებაში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ფუნქციები აიღო თავის თავზე. ამავე დროს მას დაეკისრა აუცილებელი ეკონომიკური ვალდებულებები. სახელ მწიფო, გარკვეული აზრით, ეკონომიკურ ინსტიტუტადაც (სუბიექტად, დოვლათის მწარმოებლადაც) ჩამოყალიბდა.

ეკონომიკური სისტემისა და საზოგადოებრვი ინსტიტუტების ურთიერთკავშირი და ურთიერთზემოქმედება იცვლებოდა და ვითარდებოდა ისტორიული ეპოქების შესაბამისად. ეს ცვლილებები გართულების და გაფართოების ნიშნით ხასიათდებოდა. დღევანდელ პირობებში ისინი მრავალ ფეროვანი და მრავალფუნქციურია. სრულიად გამოკვეთილია სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის, როლი ეკონომიკის მიმართ, ასევე ეკონომიკის მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის, პოლიტიკისთვის.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკური მეცნიერება ვერასროს ვერ პასუხობდა ამ მხრივ სათანადოდ საზოგადოების ინტერესებს, ხშირადაც დაბ ნეულობა შემოჰქონდა და პროცესების გაუკუღმართებულად მიმდინარეობას უწყობდა ხელს.

ინსტიტუციური ფაქტორი ეკონომიკაში ძირითადად ორ დონეზე შეიძლება განვიხილოთ ფირმის (მიკროეკონომიკურ) და სახელმწიფოს (მაკროეკონომიკურ) დონეზე.

ნეოკლასიკური თეორია ფირმას განიხილავს ძირითადად ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტით, როგორც საწარმოო პროცესების ერთობლობას. თითქმის გვერდზე რჩება ფირმის შინა კავშირების, სტიმულების, კონტრაქტების (გარიგებათა), მაშასადამე, ურთიერთობათა ფართო სპექტრის ინსტიტუციური ასპექტები. მათ კი მნიშნელოვანი ადგილი უჭირავს ფირმის საქმიანობაში. ამასთან, საყურადღებოა ფირმის წარმოქმნის, ზომის, ეფექტიანი საქმიანობის ინსტიტუცური მხარე. ინსტიუციური მიდგომა ცდილობს შეავსოს არსებული ხარვეზი, ის ყურადღებას ამახვილებს სწორედ ინსტიტუციების როლზე ფირმის წამოქმნასა და ფუნქციონირებაში.

ჯერ კიდევ 1923 წელს ფ. ნაიტმა წამოაყენა მოსაზრება, რომლის მიხედვით ფირმის შექმნა უკავშირდება რისკების განაწილების (შემცირების) ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობას დანახარჯების ეკონომიის თვალ თახედვით. მისგან განსხვავებით, რ. კოუზმა შეიმუშავა კონცეფცია, რომელიც ფირმების შექმნას მიაწერს ტრანსაქციული ხარჯების გარიგებათა, კონტ რაქტების, საერთოდ მმართველობითი, შინა საორგანიზაციო და სხვა ოპერაციების ხარჯების ეკონომიის აუცილებლობას. (ტრანსაქციული ხარჯების შესახებ უფრო დაწრილებით იხ. ქემოთ).

ფირმის შექმნის ,,პრინციპალაგენტის" განკარგულებელშემსრუ ლებელის მოდელი (ა. ბერლი, ჰ. მინზი) ფირმის არსებობის საფუძვლად. დამქირავებლისა და დაქირავებულთა საქმიანობით ურთიერთობებს მიიჩნევს.

ფირმის ინსტიტუციურმა თეორიებმა წამოაყენა რიგი იდეა, რომლ ებიც ასახავს რეალურ სიტუაციას ეკონომიკის მიკროდონზე და აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ფირმის ანალიზსა და პრაქტიკაში. ასეთია, ჯერ ერთი, კონტრაქტების არასრულობის (არასრულყოფილების) იდეა. იგი გულისხმობს იმას, რომ კონტრაქტებში შეუძლებელია წინასწარ იქნეს გავალისწნებული საქმიანობის პირობების ყველა შესაძლო ცვლილება. მეორე იდეა შეეხება დაქირავებულისა და დამქირავებლის ურთიერთობათა ხასიათს. ამ მხარეთა შორის კონტრაქტი განსხვავდება სხვა რესურსების მომ-

წოდებლებთან კონტრაქტისაგან. ეს უკანასკნელნი ავტონომიურად მოქმედებენ, მაშინ როცა დაქირავებული დამქირავებლის მორჩილებაში რჩება საკონტრაქტო ვადის ფარგლებში. მესამე, აღსანიშნავია დამქირავებლის უფლებათა უპირატესობა დაქირავებულის უფლებებთან შედარებით და მათი განსხვავება ფირმის ფუნქციონირებაში როლების მხრივ, კერძოდ კონტროლის, ინფრმაციის ფლობის მხრივ და სხვა .

აღსანიშნავია ისიც, რომ განხილულ მოდელებში ფირმა წარმდგენ ილია გარიგებათა ორგანიზაციის ფორმად. ეკონომიკური აგენტების არარაციონალურობა, მათი იერარქიულობის აუცილებლობა, კონტრაქტების არასრულფასოვნება, ტრანსაქციული (მმართველობითი) დანახარჯების, ფირმის ოპტიმალური ზომის განსაზღვრის და სხვა საკითხები სულ უფრო მეტ ყურადრებას საჭიროებს ეკონომიკური საქმიანობის, ბიზნესურთიერთობათა გაფართოებისა და გართულების შედეგად. ეს საკითხები მწვავედ აყენებს ინსტიტუციურ ურთიერთობათა ანალიზის საჭიროებას. აქ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ნეოკლასიკური კონცეფციები ხასიათდება ცალმხრივობით, ნაკლები კავშირებით ფირმის საქმიანობის მთავრ მხარეებთან, დოვლათის წარმოების რესურსების, ტექნოლოგიის, საბაზრო მოთხოვნის საკითხებთან და ა. შ. ისინი იგულისხმება მოცემულობად, მაგრამ არ ჩანს კავშირი მათ შორის. ეს მდგომარეობა დიდი ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ამასთან ერთად, განხილული მიდგომები კერძო საკითხებს ეხება და მომიჯნავეებს არ ითვალისწინებს. ისინი კი უნდა იქნეს გათვალისწინებული პრაქტიკაში კომპლექსურად, სათანადო ანალიზის საფუძველზე.

ფირმის ინსტიტუციურ ანალიზისას მეტად საყურადღებოა საკუთ რებითი ურთიერთობის საკითხი. იგი რთული და მრავალასპექტიანია. აქ შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ მისი შინაარსი. საკუთრების უფლება ფუნდამენტურ ეკომომიკურ ურთიერთობებს მიეკუთვნება, რომელსაც მიკრო ეკონომკურთან ერთად, მაკროეკონომიკური ასპექტები აქვს. ასევე საგულისხმოა საკუთრების საერთაშორისო ასპექტიც. აქ მას ფირმის კუთხით შევეხებით. ეს ასპექტი გულისხმობს საკუთრების მნიშვნელობის, მისი უფლების შეცლის (გადაცემის) პირობებს, შედეგებს და სხვა მომენტებს. გარკვეულ სრულ წარმოდგენას ამაზე მოგვცემს ცხრილი 1.

ცხრილი 1

საკუთრების უფლება და მისი შინაარსი (ა. ონორეს მიხედვით)

საკუთრების უფლება	განმარტებები
1. ფლობის უფლება	დოვლათზე განსაკუთრებული ფიზიკური კონტ როლის უფლება.
2გამოყენების უფლება	საკუთარი მიზნებისთვის დოვლათის სასარ გებლო გამოყენების უფლება
3.განკარგვის (მართვის) უფლება	გადწყვეტილების მიღების უფლება იმის თაო ბაზე, თუ ვისთვის და რა პირობებში იქნება ხელმისაწვდომი დოვლათის გამოყენება
4.უფლება შემოსავალზე	დოვლათის გამოყენების შედეგების ფლობის უფლება დოვლათის მოხმარების, გასხვისების, ცვლილების, განადგურების უფლება.
5.სუვერენის უფლება	დოვლათის ექსპლუატაციიდან და გარემო სთვის ზიანისაგან დაცვის უფლება დოვლათის მემკვიდრეობით ან ანდერძით გადაცემის უფლება.
6.უსაფრთხოების უფლება	დოვლათის უვადოდ ფლობის უფლება
7.მემკვიდრეობითობის უფლება	დოვლათის ისეთი წესით გამოყენების ვალდებულება, რომელიც ქონებრივ და მატერიალურ ზიანს არავის არ აყენებს
8.უვადობის უფლება	დოვლთის ამოღების შესაძლებლობა ვალის გადასახელად;
9.საზიანო გამოყენების აკრძალვა	სხვაზე გადაცემული უფლებამოსილების „ბუნებრივი დაბრუნების“ უფლება; დარღვეული ინსტიტუტებისა და მექანიზმების გამოყენების უფლება.
10.უფლებებისა და პასუხისმგებლობის ანაზღაურებადობა	
უფლება გადავადებაზე	

ფირმის ფარგლებში საკუთრების საკითხს მიეკუთვნება მისი ცვლი ლებები საწარმოთა შერწყმის, ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური ინტეგ რაციის შემთხვევაში, ინვესტიციებთან (ინვესტორთა უფლებებთან) დაკავშირებით და სხვა. ფირმის საკუთრე-

ბითი ურთიერთობების საკითხს კიდევ მრავალი ასპექტი აქვს. ისინი ტრანსაქციული დანახარჯებისა და სიკეთეთა კავშირში იქნება განხილული ქვემოთ.

ფირმის ინსტიტუციური თეორიისთვის მნიშვნელოვანია ფირმის შიგა სტრუქტურებს შორის კოორდინაციის პირობები, მუშაკთა სტიმულირების საკითხი, რასაც არსებული თეორია მხოლოდ კონტროლთან კავშირში განიხილავს. ტექნოლოგიური ცვლილებები გარემოში განუსაზღვრელ ცვლილებათა მიზეზი შეიძლება გახდეს. არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს ფინანსური შეზღუდულობის საკითხი. მეწარმეები ხშირად არ ფლობენ საჭირო ფინანსურ რესურსებს და ამიტომ აუცილებელი ხდება მიმართონ ინვესტორებს. ამდენად ფირმის ინსტიტუციურ ანალიზში უნდა ჩაერთოს ინვესტორებისა და კრედიტორების როლი, უფლებები, კონტროლის , მ. შ. მუშაკთა მხრივ კონტროლის საკითხები.

ფირმის დონეზე ინსტიტუციური ანალიზი უნდა განხორციელდეს საწარმოთა ალტერნატიული (ორგნიზაციულსამართლებრივი) ფორმების შესაბამისად, მათი სპეციფიკის, კერძოდ, საკუთრებრივი, მასშტაბის, ფუნქციონირებისა და სხვა პირობების გათვლისწინებით.ეს ეხება ფირმის შემდეგ ფორმებს:

- კერძო მეწარმეობრივი ფირმა;
- ამხანაგობები;
- სააქციო საზოგადოება;
- რეგულირებადი საწარმოები;
- სახელმწიფო საწარმოები;
- არაკომერციული ორგანიზაციები.

ფირმის მიმართებით აქტუალურია ეფექტიანი მართვისა და კონტ როლის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების მასშტაბთან, ინვესტიციებთან, შრომის ანაზღაურებასთან, მოგების განაწილებასთან სუბი ექტებს შორის და დანიშნულების მიხედვით (მოხმარება, დაზოგვა ინვესტიციები). ასევე საყურადღებოა მოკლე და გრძელვადიანი ამოცანები და მიზნები, საკუთრების ფორმათა ცვლილება, ფირმის ზრდა. მათი გადაწყვეტა დაკავშირებულია ორგანიზაციულ ურთიერთობებთან, კონტარაქტებთან, ინფორ მაციის მიღებადამუშავებასთან, გადაწყვეტილებათა მიღებასთან კონკრეტული სიტუაციის გათალისწინებით. ფირმის წარმატება დამოკიდებულია ამ ინსტი ტუციური საკითხების მოგვარების დონეზე.

სახელმწიფო დონეზე ინსტიტუციური ანალიზის შესახებ თავიდან უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტებს შორის ეკონომკის ყველა დონეზე განსაკუთრებულად გამოიკვეთება სახელმწიფოს როლი. ისტორიული ეპოქების მიხედვით ეს როლი იცვლებოდა, რამაც მიგვიყვანა თანამედროვე მოდელის, საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების ჩამოყალიბებამდე.

საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური გარემო სახელმწიფოს დონეზე ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. ის სათავეს იღებს ინდუსრტულის წინა ეპოქების ეკონომიკური სისტემებიდან. საბაზრო ეკონომიკის სისტემაში თავისი ჩამოყალიბებული სახე მიიღო კაპიტალისტურმა საკუთრებამ, ეკონო მიკურ ურთერთობათა შესაბამისმა ფორმებმა. საკუთრების ფუნქციონირებისა და დაცვის გამოკვეთილი სისტემის გარეშე თავისუფალი მეწარმეობრივი საქმიანობა შეუძლებელია. ამან განაპირობა სათანადო ინსტიტუცების, მ.შ. საკნონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება და სრულყოფა, სახელწიფო ადმინი სტაციული ორგანოების სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის განვითარებული ინსტიტუტების არსებობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროფკავშირების, როგორც მშრომლთა უფლებების დამცველი, მეწარმეთა და დაქირავებულთა შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას,

ინდუსტრიული ეპოქის კაპიტალიზმის პირობებში ჩამოყალიბებული ინსტიტუტები, ერთი მხრივ, ხელს უწობდნენ ეკონომიკის გამართულ ფუნქციონირებასა და განვითარებას, მეორე მხრივ, ეკონომიკის ჩაყენებას მთელი საზოგადოების სამსახურში მის მოთხოვბილებათა დაკმაყოფილების ამოცანის გადაწყვეტას.

მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება ბიძგს აძლევდა სხვა დარ გების აგრარული, სამშენებლო წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირ გაბმულობის განვითარებაგაფართოებას. ეს, თავის მხრივ, მოითხოვდა სოციალური ინფტრასტრუქტურის დარგების განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და მეცნიერული მომსახურების სათანადო დონეზე მოწყობას. ეს, თავის მხრივ, აფართოებდა ეკონომიკისა და სხვა სფეროთა კავშირებს, სათანადო ინცტიტუციური პროცესების, კომუნიკაციების გართულებასა და განვითარებას.

ინდუსტრიული ეპოქის კაპიტალიზმის პირობებში ჩამოყალიბებულ;ი ინსტიტუტები, ერთი მხრივ, ხელს უწობდა ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესს, მეორე მხრივ, ეკონომიკისაგან საზოგადოების სასარგებლო შედეგების მიღებას, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

ეკონომიკური თეორია, როგორც სპეციალური მეცნიერება, ჩამოყა ლიბების დასაწყისიდან, კერძოდ მერკანტილიზმის ეპოქიდან, ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ინსტიტუტს მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა. განსაკუთრებით ეს ეხება საგარეო ვაჭრობას, რაც მაშინ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა თითქმის ერთადერთი ფორმა იყო. მერკანტიკლისტური მოძღვრება სახელმწიფოს აკისრებდა ეკონომიკის მაკოორდინირებელ როლს ძირითადად ადმინისტრაციული (მბრძანებლური) მეთოდების, საკანომდებლო აქტების, ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით.

სამრეწველო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებიასთან ერთად, რაც მანქანური ინდუსტრიის ბაზაზე ხორციელდებოდა, ეკონომიკური საქმიანობა გააქტიურდა, დაჩქარდა დოვლათის ზრდისა და გაცვლის პროცესები. ამან განაპირობა ეკონომიკური სუბიექტების (ბიზნესის წარმომადგენელთა)

მოთხ ოვნების გაფართოება ეკონომიკური თავისუ-ფლებისადმი. წარმოიშვა მოძრაობა ვაჭრობის თავისუფლების მოთხოვნით, ე.წ, ,,ფრიტრედერობა", რაც გულის ხმობდა საერთოდ ეკონომიკური საქმი-ანობის თავისუფლებას. დამკვიდრდა ლეისსეზ ფაირეს ,, წავიდეს როგორც მიდის" ანუ ეკონომი-კური პროცესების თვითდინების, მათში ჩაურევლო-ბის პრინციპი. იგი ამ ეპოქიდან მოყო ლებული თან გაჰყვა კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის განვითარების მთელ ისტორიას.

ცხოვრებაში მიმდინარე ამ პროცესმა ასახვა ჰპოვა მეცნიერებაში. ეკონომკური მეცნიერება გახ-და ეკონომიკური სუბიექტების, ბიზნესის წარმო მადგენლთა ინტერესების დამცველი. საფუძველი ჩაეყარა თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების თეორიულ კონცე ფციას, რომელსაც ასაზრდოებდა ფრიტრედერული იდეოლოგია. ეს იყო ეკონომიკისაგან სახელმწიფოს დისტანცირების კონცეფციის დასაბამი, რომე ლიც შემდგომ ჩამოყალიბდა მწყობრ ლიბერალურ და ბო-ლოს ლიბერტა რიანულ კონცეფციებად.

ლიბერალური კონცეფციის სათავე ჩამოყალიბდა თანამედრვე ეკონო მიკური თეორიის ფუძემდებ-ლის ადამ სმითის ნაშრომებში. ეს არის მოძღვრე-ბა ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმის, ეკონომიკური თავისუფლების, ეკონომიკური ადა-მიანის ანუ ეკონომიკური სუბიექტის ქცევის შესახებ. ადამ სმითის მიერ შემუშავებული ,,უხლავი ხელის" ანუ ეკონომიკის თვითრეგულირების კონ-ცეფცია ასაბუთებს ეკონომიკური თვითრეგულირე-ბის მექანიზმს, რომ ,,საბაზრო ძალთა თავისუფალი თამაში ქმნის ჰარმონიულ მოწყობას" (ა. სმითი). ა. სმითი გვერდს არ უვლიდა სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში, მაგრამ ყურადღება უფრო მიაქცევდა მის შესაძლო უაროფით გავლენას. კერძოდ, აღნიშ-ნვდა, რომ: ,,დიდი ერები არასოდეს ღარიბდებიან კერძო პირთა ბედოვლათობისა და წინდაუხედაო-ბის მიზეზით, მაგრამ არაიშვიათად ღარიბდებიან სახელმწიფო ხელისუფლების მფლნგველობისა და წინდაუხედაობის გამო. მთელი ან თითქმის მთელი სახელმწიფო შემოსავალი მეტწილ ქვეყნებში იხარ-ჯება არაპროდუქტიული ელემენტების შესანახად." ეკონომიკური ადამიანი, სმითის მიხედვით, მოქ-მედებს თავისი პირადი ანგარებითი ინტერესების მიხედვით და ამის სფუძველზე წესრიგდება დოვ ლათის საჭირო მიწოდება მთელი საზოგადოებისთ-ვის. კონკურენცია განა პირობებს ფასების თავისუ-ფალ ჩამოყალიბებას, რესურსების განაწილებას წარ-მოების დარგებს შორის, საერთოდ მთელი დოვლა-თის განაწილებას.

ა. სმითის ხაზი შემდგომ ამ მიმართულებით არსე-ბითად არ შეცლილა. იგი განავითარეს დ. რიკარდომ, ჟ.ბ. სეიმ. ჯ.ს. მილმა, ა. მარშალმა და სხვებმა. იგი დღემდე ძალაშია ეკონომიკური თეორიის სფეროს დიდ ნაწილში. ე. წ. სეის კანონმა, რომ წარმოება თა-ვად წარმოშობს მის მიერ შექმნილ საქონელზე შე-საბამის მოთხოვნას და ეკონომიკაში წონასწორობა ავტომატურად მყარდება, ყველაფერი წესრიგდება შინაგანი კანონებით, გარედან ჩარევის გარეშე, გა-ნამტკიცა ეკონომიკის თვითრეგულირების თეორია, რაც პრაქტიკის სფეროში საქმიანობის საფუძველი ხდებოდა. მეცნიერული აზრი იქამდეც მივიდა, რომ მან სრულიად გამორიცხა სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუციების ეკონომიკაში ჩარევის საჭიროება. გავრცელდა შეხედულება ეკონომიკის მიმართ სახ-ელ მწიფოს, როგორც ,,ღამის დარაჯის", როლის შესახებ. ეს გულისხმობდა სახელმწიფოს მხრივ მხ-ოლოდ მეწარმეთა ქონებისა და პიროვნების თავისუ ფლების დაცვის ფუნქციის შესრულებას.

სახელმწიფოს შეზღუდული როლი ეკონომიკის მიმართ პრაქტიკაში გამოიხატებოდა სახელმწიფო საკუთრების და სახელმწიფო ფინანსების მცირე წილით. მაგალითად, სახელმწიფო დანახარჯების წილი 1900 წელს მთლიან შიდა პროდუქტში შეად-გენდა აშშში 8 %ს, იაპონიაში 11,1 , ინგლისში 10,0, გერმანიაში 10,0 , საფრანგეთში 15, შვეიცარიაში 6 %ს.

მაგრამ ტენდენცია სახელმწიფოს როლის გაზ-რდისკენ იყო მიმართული. მე 19 საუკუნეში ო. ბისმარკის მრჩეველმა გერმანელმა ეკონომისტმა ა. ვაგნერმა ჩამოაყალიბა მზარდი სახელმწიფო აქტი-ურობის კანონი, რომლის მიხედვთ, განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯები ეროვნულ შე-მოსა ვალთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდე-ბა. ამ კანონის სისწორეს რეალობა ადასტურებს. 1998 წლისათვის შესაბამისად ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში ეს წილი გაიზარდა 33,1; 35,5; 39,7 ; 47,4; 55,5; 60,8 % მდე. 1 საქართველოში იგი ბოლო პერიოდში უდრიდა 29 %ს.

აღსანიშნავია მეტწილ შემთხვევაში განვითარე-ბულ ქვეყნებში სახელმწიფო საკუთრების მნიშ-ვნელოვანი წილი მთელ სიმდიდრეში. კერძოდ, ქვეყნების ქონებაში ბოლო პერიოდში იგი შეადგენ-და: შვედეთში 62 %ს, იაპონიაში 35 5ს, ინგლისი 40 %ს. [2]

პრაქტიკამ აჩვენა, რომ თეორიები, რომლებიც ლიბერალიზმის სახელწოდებაში ერთიანდება, სრუ-ლად არ შეესაბამება სინამდვილის კანონებსა და ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტურ პირობებს. განვითარების კვალობაზე სულ უფრო თვალსაჩი-ნო გახდა ე.წ. ,,ბაზრის ჩავარდები (ფიასკო)", მისი უუნარობა თვითრეგულირების მექანიზმის მეშ-ვეობით უზრუნველყოს ეკონო მიკის ნორმალური ფურქიონირება, საზოგადოების წინაშე მისი დანიშ-ნულების შერულება. კერძოდ, ეს ეხება ეკონომიკის ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა: სრულ ყოფილი ფასწარმოქმნა, რესურსების და დოვლათის სწო-რად განაწილება, ე.წ. საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება საზოგადოების მოთხოვნილებათა შესა-

1 Wirld development Deport. 1991 p. 139.

2 ი. ფრანგიშვილი. ოქროს პროპორცია ბუნებაში, საზოგადოებაში , ეკონომიკაში. ჟ. ,,კომენტარი,, № 3, გვ 32.

ბამისად, მოსახლეობის სოციალური დაცვა და სხვა. საბაზრო მექანიზმის მოქმედების ხარვეზების შედეგად პრაქტიკაში უკვე მე19 სუკუნის 20იანი წლებიდან პერიოდულად მეორდებოდა ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც სხვადასხვა სიღრმისა იყო. ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმის უმწეობა განსაკუთრებით გამოვლინდა მეოცე საუკუნის 30 იან წლების მსოფლიო ღრმა ეკონომიკური კრიზისის, ე.ნ. დიდ დეპრესიის დროს (19291930 იან წლებში). ნათელი გახდა, რომ ეკონომიკის რეგულირების საბაზრო მექანიზმი შეწყვილებული უნდა იყოს სახელმწიფო რეგულირების მექანიზთან, ანუ უნდა იყოს კომპლექსური, ბინარული.

უნდა ითქვას, რომ მანადეც ეკონომიკის მიმართ საელმწიფოს როლის უგულებელყოფის გაუმართელობა, მარქსისტული მოძღვრების წარმომადგე ნელთა გარდა, გასაგები იყო ეკონომიკურ თეორიის სხვა ცალკეული წარმო მდგენლებისთვის, განსაკუთრებით ინსტიტუციური მიმართულების ფუძემდებლებისთვის მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. კერძოდ, ჯ. ჰობსონი, ტ. ვებლენი, ჯ. კომონსი, უ. მიტჩელი სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს აუცილებლობად მიიჩნვდნენ, რის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგები სრულად შეესაბამებოდეს საზოგადოების ინტერესებს, ეკონომიკა ფუნქციონირებდეს გამართულად. უ. მიტჩელმა, მაგალითად, ჯერ კიდევ 1923 წელს წამოაყენა ინდიკატიური დაგეგმვის იდეა, რომელიც მოგვიანებით განხორციელდა საფრანგეთში, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში და სხვა ქვეყნებში. მაკროეკონომიკური ინდიკატიური დაგეგმვის ელემენტები ყველა განვთარებულ ქვეყანაში გამოიყენება, მეტიც, დირექტიული დაგეგმვა სახელ მწიფო ფინანსების სფეროში (ბიუჯეტური დაგეგმვა).

ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებელთა თეორიები საზოგადოებრივი ინსტიტუციების როლის შესახებ ეკონომიკაში განავითარეს ახალი და ნეო ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლებმა (ჯ. გელბრეითი, ჰ. მინზი, ჰ. მიურდალი, რ. ტოინბი, დ. ბელი. რ. ჰაილბრონერი, უ. როსტოუ, ე. ტოფლერი, და სხვა). მათი შეხედულების მთავარი იდეაა ე.წ. კონვერგენციის თეორია, რომელიც გამოიხატება საბაზრო ეკონომიკისა და გეგმიანი სახელმწიფო ეკონომიკის ძირითადი ნიშანთვისებების, საუკეთესო მახასიათებლების შერ წყ მაში და საბაზრო და გეგმიანი ეკონომიკების ხარვეზების თავიდან აცილებაში. ამან, მათი აზრით, შეიძლება მიგვიყვანოს ჰარმონიული, საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების ჩამოყალიბებამდე. ამაში სახელმწიფოს განსაკუთრებული ფუნქციები ეკისრება.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების უარყოფის, დერეგულირების განუსაზღვრელობის გარშემო ხმამაღალ ძახილს, რასაც ადგილი აქვს ლიბერტარიანელების მხრიდან, საფუძველი შეურყია ისტორიულმა პროცესებმა, ეკონომიკურმა კრიზისებმა, განსაკუთრებით მე20 საუკუნის 30იანი წლების ე.ნ. დიდმა დეპრესიამ. თეორიულად ეს დაასაბუთა ჯ. მ. კეინზმა, რომელსაც მრავალი მიმდევარი ჰყავს (ჯ.ჰიკსი, ე. ჰანსენი, ნ. კალდორი, რ.ჰაროდი, უ. ბემოლი, მ. კალეცკი პ. სრაფა და სხვა).

ამ თეორიამ პრაქტიკაში ძირითადად გაამართლა. თვით ცხოვრებამ დაადასტურა სახელმწიფოს მნიშვნლოვანი როლი ეკონომიკაში. ეს, გამოიხატა ზემოთ აღნიშნული სახელმწიფო საკუთრების წილით ქვეყნების ქონებაში, ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფო ფინანსების წილის გადიდებით, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების რეალურად ჩამოყალიბებითა და განხორციელებით. ეს ფუნქციები შემდეგია:

- ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა და სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური სუბიექტების პიროვნებისა და ქონების დაცვა;
- ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებისა და მიზნების განსაზღვრა;
- რესურსების განაწილების და გადანაწილების რეგულირება;
- ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის შემუშავება და მხრდაჭერა;
- მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერა;
- კონკურენციული გარემოს არსებობის უზრუნველყოფა (ხელშეწყობა);
- მეწარმეობრივი საქმიანობის წარმართვა სახელმწიფო სექტორის საწარმოებში;
- ეკონომიკური განვითარების სოციალური შედეგების განსაზღვრა და საზოგადოების წევრთა სოციალური უზრუნველყოფა;
- ეკონომიკის სტაბილიზაციის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;
- გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტიების შექმნა;
- ეროვნული, პირველ რიგში სამხედრო, ენერგეტიკული, სასურსათო და სხვა უსაფთხოების პრობლემების გადაწყვეტის პირობების შექმნა;
- საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების, ფუნდამენტური მეცნიერების, კულტურის განვითარების მხარდაჭერა.

ამ ფუნქციების განხორციელება გულისხმობს სახელმწიფოს მრავალმხრივ ღონისძიებებს, კონკრეტულ საქმიანობას, რაც საბოლოო ანგარიშით გამოიხატება ინსტიტუციური აქტებით ორგანიზაციული, რეგულირებითი საქმიანობით, რეალური მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის ზომებით.

სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის თავისებურება ისაა, რომ ის ემყარება როგორც საბაზრო, ისე არასაბზრო ურთიეთობებს, მექანიზმებს, სადაც უპირატესობა სწორედ მეორეს მიეკუთვნება.

ამ ფუნქციების რეალიზაციის გარეშე თანამედროვე ეკონომიკა, მისი მდგრადი განვითარება შეუძლებელია. ისინი დაკავშირებულია სახელმწიფოს დიდძალ ფინანსურ დანახარჯებთან, ადამიანისეული

რესურსების გამოყე ნებასთან, ინფორმაციული და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პროცესებთან, კოლექტიურ სიკეთეთა შექმნასთან, გარე ეფექტებთან (ექსტერნალიებთან), ტრანსაქციულ დანახარჯებთან და მათ სიკეთესთან თუ დანაკარგებთან, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

თანამედროვე ლიბერალების (ლ. ფ. მიზესის, ფ. ჰაიეკის, ჯ. ტოინბის, ვ. ოიკენის, ლ. ერჰარდის და სხვათა), უკანასკნელ პერიოდში თანამედროვე მონეტარისტების (მ. ფრიდმენი ა. შვარცი, ო. სელდნი და სხვა) მხრივ ეკონომიკის რეგულირებაში სახელწიფოს როლის დაბეჯითებითმა უარყოფამ ფაქტობრივად ფიასკო განიცადა, განსაკუთრებით უკანასკნელი პერიოდის მოვლენების ფონზე. თანამედროვე მონეტარისტები მ. ფრიდმენი და სხვები თვლიან, რომ სახელმწიფოს ჩარევა საბაზრო ძალთა თავისუფალ ,,თამაშში“ არა თუ არაა საჭირო, არამედ საზიანოცაა. თითქოს ფულის რაოდენობის განსაზღვრით და საბანკო სექტორის მიერ მისი მიწოდების რეგულირებით ყველაფერი წესრიგდება, წონასწორობა და სტაბილურობა ყველა დონეზე თავისთავად მყარდება. სინამდვილეში ეს არ ხდება. მაშასადამე, თეორია არ ასახავს სინამდვილეს, ე.ი. სწორი არაა. მონეტარისტული პოლიტიკა ბოლო ხანებში მთავრობათა ეკონომიკური პოლიტიკის იარაღი იყო მრავალ ქვეყანაში, მათ შორის დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ჩილეში, საქართველოში და სხვა, სადაც მან თავისი დადებითი შედეგი ვერ აჩვენა. ამიტომაც მან ნდობაც დაკარგა, განსაკუთრებით 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი შემდეგ.

ლიბერტარიანული იდეების გავლენა პრაქტიკაზე და მისი უარყოფითი შედეგები რიგ ქვეყანაში გახდა თვალსაჩინო, მათ შორის ბოლო წლების მან ძილზე საქართველოში. ლიბეტარიანელები ქადაგებენ ეკონომიკაში სახელ მწიფოს ჩარევის მინიმიზაციას, ეკონომიკის განუსაზღვრელ დერეგულირებას, პრაქტიკულად ძველისძველი ‍ეაისსეზ ფაირე პრინციპის გატარებას. სხვადახვა ზომით, ცალკეული განშტოების რადიკალიზმის კვალობზე, დღესაც საერთო მათ შორის რჩება სახელმწიფოს როლის დაკნინება. ეს მიდის იქამდე, რომ ცალკეული წარმომადგენელი ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს უარყოფით როლსაც კი ანიჭებს, ზედმეტად თვლის ეკონომიკაში მის ნებისმერ ჩარევას.

საზოგადოებისა და ეკონომიკის გამვითარებაში, ასევე ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის თვალთახედვით, განსაკუთრებული მოვლენაა პოსტსოციალისტური ტრნსფორმაცია, რასაც მეოცე საუკუნის ბოლო და ოცდამეერთე საუკუნის დასწყისში აქვს ადგილი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ესაა უპრეცენდენტო შემთხვევა, როცა ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირება სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობით მოხდა. სოციალურეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია გამოიხატა საკუთრებით ურთიერთობათა, ეკონომკური მექანიზმის, ფასწარმოქმნის სისტემის, პოლიტიკური სისტემის, ინსტიტუტების, სოციალურ, შრომით, განაწილებით ურთიერთობათა და, აქედან გამომდინარე, ცხოვრების ყველა სფეროში კარდინალური ცვლილებებით. ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბება ხდებოდა მწვავე წინააღმდე გობათა, დიდი ეკონომიკური და სოციალური დანაკარგების (ეკონომიკის უკიდურესი დაქვეითების, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის, სამართლებრივი ქაოსის, სახალხო ქონების არნახული დატაცების, კორუფციის, არაფორმალური ეკონომიკის უპრეცენდენტო მასტშაბების, და მრავალ სხვა მანკირებათა პირობებში. სიმახინჯეთა ფორმებითა და მასშტაბებით აქ ე. წ. პირვანდელი დაგროვების, ,,ველური კაპიტალიზმის“ ზოგიერთ ანალოგს ვპოულობთ, თუმცა სიახლეებიც საკმაოდ ბევრია. ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში თანდათან ყალიბდებოდა საბაზრო სისტემა და მექანიზმი, რომელსაც სახელწიფო მთელი ძალით უჭერდა მხარს, რის გარეშე ამ ქვეყნებისთვის ახალი, საბაზრო სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა. ამრიგად, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინსტიტუციური ფაქტორების როლის სპეციფიკურ შემთხვევასთან. ეს კიდევ უფრო ადასტურებს სახელმწიფოს როლს განსა კუთრებულ სიტუაციაში ეკონომიკასთან მიმართებით, თუმცა აქ მარტო ეკონო მიკასთან არ გვაქვს საქმე, არამედ ეს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხება.

დღეისათვის საკითხი დგას ეკონომიკის თვითრეგულირებისა და სახელმწიფო რეგულირების შეთანაწყობისტაობაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის სტაბილური, წონასწორული განვითარება, ეფექ ტიანობა და საბოლოოდ საზოგადოების კეთილდღეობა. სახელმწიფოთა პოლიტიკა ჩვეულებრივ ემყარება არა ეკონომიკური თეორიის ერთ მიმარ თულებას, არამედ მათ ნაზავს, კერძოდ, ნეოკლასიკურ სინთეზს, კეინზიანელობისა და მონეტარიზმის ცალკეულ იდეებს და ა. შ. ეკონომური თეორიის სახელმძღვანელოებიც არ ავლენენ მონიზმს. იქ გამოყენებულია ძველი და ახალი კლასიციზმის, მარჟინალიზმის, ინსტიტუციონალიზმისა და სხვა მიმდინარეობათა იდეები. ყოველივე ეს გასაგებია, რომელიმე ერთმა მიმდინარეობამ ვერ მოიცვა პრობლემების მთელი სპექტრი და ვერ დაამტკიცა თავისი უპირატსობა ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხთა მთელი წრის ახსნის მხრივ.

საერთოდ, და ზემოთ არნიშნულ ქვეყნებში, კერძოდ, განხორციელებული ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესისა და მისი შედეგების არსებული ინსტიტუციური ანალიზის ნაკლად ალბათ უნდა ჩაითვალოს რიგი მასალების გამოუყენებლობა, რომლებიც ასახავს მიმდინარე პროცესებს. შეიძლებოდა, კერძოდ, საერთაშორისო ინსტიტუტების კვლევების მონაცემების გამოყენება ეკონომიკის ფუნქციონირების სხვადასხვა მხარის შეფასებისთვის..

ასევე ხარვეზია საზოგადოებრივი აზრის სოციოლოგიური კვლევის გამოუყენებლობა, რითაც შეძლებოდა ისტორის მთავარი შემოქმედის ხალხის

მიერ მოცმული შეფასების გათვალისწინება მოვლენათა შედეგების განსა ზღვრისას. ეს გაცილებით უტყუარ მონაცემებს მოგვცემდა პროცესის შესახებ, კერძოდ, შესაბამისი ქვეყნებისთვის ახალი ეკონომიკის, მისი პროგრესულობის ირგვლივ. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სოციალურ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების შედეგების ასახვა მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკვლევით მიღებულ ინფორმაციაში.

აქტუალურია სახელწიფოსა და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლის ეფექტიანობის ეკონომიკური ასპექტები. ეს დაკავშირებულია მართვის, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირეული ურთიერთობათა, გარიგებებისა და სხვა დანახარჯების შედეგიანობის საკითსებთან. ამის საპასუხოდ წარმოიშვა ინსტიტუციური ანალიზი. მის წმინდა ეკონომიკურ ასპექტებს, კერძოდ, ტრანსაქციულ დანახარჯებსა და სიკეთეს, ქვემოთ შევეხებით.

ტრანსაქცია: არსი და სახეები

ეკონომიკური დოვლათის შექმნა (წარმოება), როგორც ზემოთ აღინიშნა, არ წარმოადგენს წმინდა ტექნოლოგიურ პროცესს. იგი დაკავშირებულია ურთიერთობათა ფართო სპექტრთან. ამ ურთიერთობათა ნაწილი უშუალოა, საწარმოს შიგნით ყალიბდება, ნაწილი გარე სივრცეში. ეკონომიკური პროცესი არა მარტო ფიზიკური წყაროების (ფაქტორების), არამედ ურთიერთობების, კონტრაქტების, კულტურის, ადათწესების, პოლიტიკის ერთობლივ არსებობაზეა დამყარებული. მარტივად რომ ვთქვათ, ყოველივე ურთიერთქმედების აქტად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ ნაბიჯზე ადგილი აქვს ტრანსაქციებს, როგორც ამას ამჟამად უწოდებენ.

ტრანსაქცია სიტყვასიტყვით ლათინურიდანაა, ტრანსაცტიო ინგლ. ტრანსაცტიონ ნიშნავს შეთანხმებას, ხელშეკრულებას (კონტრაქტს). ტერმინი გამოიყენება სამართლის სფეროში, ფსიქოლოგიაში, ეკონომიკაში, პოლიტკაში და ფიზიკაშიც. ეკონომიკაში ფართოდ გავრცელებულია მისი ორი აზრით გამოყენება: პირველი, უმარტივესი შინაარსით, როცა ის აღნიშნავს ფულის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანის საბანკო ოპერაციას, მეორე, როცა გულისხმობს გარიგებას ანუ შეთანხმებას, რომელიც ურთიერთდათმობის თანხლების პირობებში შედგება. აღნიშნული შინაარსით ტრანსაქციები (მოქმედებები) მოიცავს მრავალ კონკრეტულ ფორმას.

ინსტიტუციური ანალიზის ამოსავალ პუნქტად ითვლება ტრანსაქცია, რომელიც ითვალისწინებს საქმიანობის ეკონომიკურ, სამართლებრივ, ეთიკურ მხარეთა კავშირებს, რამაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს საქმიანობის შედეგის სიმდიდრის შექმნისა და განაწილებისათვის საჭირო პირობები. ეს კავშირები ამა თუ იმ ზომით ადამიანთა მოქმედების აქტს თან ახლდა ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის პირობებში. მაგრამ ტრანსაქციის ცნება წარმოიშვა მხოლოდ ბოლო პერიოდში თვით ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ხასიათის, კონტრაქტებთან, გარიგებებთან დაკავშირებული ურთიერ თობების გართულებისა და გაფართოების პირობებში, ამ მოვლენებში მეცნიერების წვდომის ჩაღრმავების შედეგად. ეს პროცესი მოიცავს ინფორ მაციის შეგროვებას, ანალიზს, გადაწყვეტილების მიღებას. იგი, გარკვეული აზრით, მმართველობითი აქტების ერთობლობაცაა.

ეკონომიკაში ტრანსაქციის ტერმინის გამოყენება დაკავშირებულია ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებელთა სახელებთან. მათ ყურადღება მიაქციეს ეკონომიკური საქმიანობისადმი ნეოკლასიკოსთა მიდგომის ვიწრო და გამარტივებულ ხასიათს, რომ ისინი ეკონომიკურ სუბიექტებს განიხი ლავდნენ რაციონალურად მოქმედ არსებებად და უგულებელყოფდნენ მათი ურთიერთობის მორალურფსიქოლოგიურ და სამარლლებრივ ასპექტებს. ამის გამო ეკონომიკური საქმიანობის ინსტიტუციური ფაქტორების როლის ახსნის აუცლებლობა დაინახეს მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ეკონომიკური მეცნიერების ახალი მიმრთულების წარმონადგენლებმა. ტ. ვებლენი ყურად ღებას ამახვილებდა უთთიერთობათა სოციალურფსიქოლოგიურ მომენტებზე ჯ. კომონსი ეთიკურზე, უ. მიტჩელი კონიუნკტურულსტატისტუკურ მხარეზე.

კომონსის მიხედვით, ,,საქმიანობის ამოსავალი ერთეული, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სამართალს, ეკონომიკას და ეთიკას, უნდა მოიცავდეს კონფლიქტის, ურთიერთდამოკიდებულებისა და წესრიგის პრინციპებს. ტარნსაქცია ინსტიტუციური ანალიზის ამოსავალი ელემენტია.“ [3]

ტრანსაქციის არსთან დაკავშირებით კომონსი სამ პრინციპს განიხილავდა: ეკომომიკურ სუბიექტთა შორის კონფლიქტის პრინციპს, მათი ურთიერთისგან დამოკიდებულების პრინციპსა და სისტემაში წესრიგის პრინციპს. ეს მიდგომა იმასთანაა დაკავშირებული, რომ ეკონომიკური სუბიექტების მოქმედება ემყარება ისეთ პირობებს, როგორიცაა: რესურსების განსაზღვრულობა და პირადი ინტერესების საფუძველზე მოქმედება. სწორედ აქედან გამომდინარე, კომონსის მიხედვით, სოციალური ურთიერთობები აღნიშნული სამი პრინციპის ფონზე ყალიბდება.

კონფლიქტის პრინციპი ნიშნავს შეზღუდული რესურსების გამოყენების მხრივ ინტერესთა და დაკმაყოფილების ურთიერთ გამორიცხვას. ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი გულისხმობს ურთიერგაგებას კეთილდღეობის ამაღლების შესაძლებლობის თვალსაზრისით; წესრიგი ეს არის სარგებლის მხარეთა შორის განაწილების მთლიანობითი ურთიერთობა.

ნეოკლასიკური თეორია კონფლიქტების არსებობას გვერდს უვლის, მაშინ როცა კეთიდღეობისთვის მნიშვნელოვანია ინტერესთა ჰარმონია. კონფლიქტის არსებობასთან ერთად, ფაქტობრივად ად-

3 Commons J. Institutional Economics. It Place Political Economy. N.Y. Mcmillan . 1034. P. 58.

გილი აქვს ინტერესთა ურთიერთკავშირსაც. ეკონომიკური სუბიექტები სხვადასხვა ასპექტით ურთი ერთდამოკიდებულნი არიან. სინამდვილეში არსებობს მათი საქმიანობისთვის აუცილებელი საერთო პირობები, რომელთა გარეშე ისინი ვერ გასწევენ საქმიანობას თავიანთ მიზნების მისაღწევად. ამის გათვალისწინება ობიექტურად აუცლებელია.

წესრიგის პრინციპს რაც შეეხება, ის აუცილებელია სტაბილურობის, როგორც ეფექტიანობის, უზრუნველყოფის პირობა. სუბიექტების მოქმედებები განმეორებადია. ისინი მომავლისათვის უნდა ელოდნენ სტაბილურობას და კონფლიქტებისა და ურთიერთდამოკიდებულების არსებობის ერთიან დადებით შედეგს.

კომონსი ტრანსაქციას განიხილავს როგორც ინდვიდების მიერ საზო გადოების მიერ შექმნილი საკუთრებისა და თავისუფლების გასხვისებასა და შეძენას მაშასადამე, უფლებათა გაცვლის აქტს.

ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაში, კომონსის მიხედვით, შეიძლება ტრანსაქციის შემდეგი ფორმები განვიხილოთ: გრიგებათა ანუ ვაჭრობის ტრანსაქცია, მმართველობითი ტრანსაქზია და რაციონირების ტრანსაქცია. ეს დაყოფა ამჟამად განიხილება ტრანსაქციების ერთერთ ძირითად კლასი ფიკაციად.

გარიგების (ვაჭრობის) ტრანსაქცია ემყარება მხარეთა ურთიერთ თანხმობას საკუთრებისა და თავისუფლების განაწილებისა და მითვისების პროცესში, რაც შესაძლებელია მოხდეს მათი ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინების, მოლაპარაკებაში მათი პოზციების ძალისა და იურიდიული სტატუსის შესაბამისად. ეს გულისხმობს კონტრაგენტების მიერ გასაცვლელი ობიექტების ფასეულობათა თანაბრობას. მხოლოდ ტრანსაქციის ამ სახეო ბისას არის შესაძლებელი კონტრაგენტებს შორის უფლებრივი ურთიერთობის სიმეტრიულობის დაცვა.

გარიგების ტრანსაქციის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ ორი კონტრაგენტის (გამყიდველისა და მყიდველის) პირობებთან, არამედ სხვა იმათისაც, ვინც შეიძლება კიდევ იყოს ბაზარზე მოცემული საქონლის გამყიდველი და მყიდველი. გარიგების სუბიექტებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რა ფასს მოითხოვენ ან თავაზობენ ეს უკანასკნელნი. ამრიგად, გარიგებაზე მოქმედებს კონკურენტთა პირობები. ეს ნიშნავს, რომ გარიგების მონაწილე მხოლოდ ორი, უშუალოდ ჩართული მხარე კი არაა, არამედ კიდევ არსებობს სხვა მხარეები. აქედან გამომდინარე, გარიგება აუცილებლად ითვალისწინებს ამ პირობებს. იგი არ შეიძლება განვიხილოთ ორი სუბიექტის შეთანხმებად, არამედ არანაკლებ 4-ისა.

საყურადღებოა, რომ გარიგების პროცესში არავითარი ახლი დოვლათი არ იქმნება, არამედ ხდება შექმნილის გადანაწილება გაცვლის გზით. გაცვლის პროცესში თითოეული მონაწილე ცდილობს თავისი სარგებლის რაც შეიძლება გადიდებას, რაც გამომდინარეობს რესურსების შეზღუდულობიდან. ამასთან, მიუხედავად შეთანხმებისა, გარიგების დროს მხარეთა შორის, ბაზარზე არსებულ გარემოებათა შედეგად (ფასწარმოქმნა, არაფასობრივი პირობების მოქმედება და სხვა) შესაძლოა მხარეთა მიერ მიღებული სარგებელი განხვავებული იყოს ერთი მხარე აღმოჩნდეს უფრო მოგებული ან წაგებული, ვიდრე მეორე. ამასთან, გარიგება ემყარება ნებაყოფილობით შეთანხმებას მხარეთა შორის, რაც გამოხატავს მათი უფლებრივი სიმეტრიულობის დაცვას იმ პირობებში, რაშიც მოცემულ რეალობაში კონტრაგენტები აღმოჩნდებიან. პოლიტკურ ბაზარზე შეიძლება ადგილი ექნეს ე.წ. ლოგროლინგს ანუ ერთი კანონპროექტის მხარდაჭერას მეორის სანაცლოდ, რომლის მიმართ ინტერესი უფრო ნაკლებადაა გამოხატული.

მმართველობით ტრანსაქციად განიხილება მმართველ მორჩილის ურთიერთობა. ამ შემთხვევაში სუბიექტთა ერთ მხარეს გარკვეულ საფუძველზე (დელეგირება, უფლების შეძენა რაღაც წესით, უზურპაცია და სხვა) აქვს განკარგულების (ბრძანების, გადაწყვეტლების მიღების) უფლება, მეორე მხარეს აქვს ვალდებულება შეასრულოს განკარგულება (ბრძანება). ასეთი სიტუაცია გვხვდება, მაგალითად, ბიუროკრატიულ ორგანოებში, რომლებიც ემყარება იერარქიულ წყობას.

ამ ურთიერთობის ტიპური კლასიკური ფორმა იყო მონათმფლობელისა და მონის ურთიერთობა, შემდეგ ბატონისა და ყმისა. ეს ურთიეთობა ძალაშია თანმედროვე პირობებში, ცხადია, სხვა შინაარსით. ამჟამად იგი პრინციპულად განსხვავებულია წინა ფორმებისაგან, რომლებიც უხეშ იძულებაზე იყო დამყარებული. დაქირავებული შრომითი ურთიერთობა გულისხმობს კონტრაქტს, ნებაყოფლებით შეთანხმებული პირობებით, თუმცა ეს არაა სრული თავისფალი ნების გამოხატვა, არამედ ეკონომიკური აცილებლობითაა ნაკარნახევი.

ასეთი ურთიერთობის დროს სარგებელი განმკარგულებელისა (პრინცი პალისა) მეტია შემსრულებლისათვის საბაზრო ფასით გაცემულ შრომის ხელფასზე. ამის მაგალითად, შეიძლება ავიღოთ პროგრამისტის მომსახურება და ხელფასი. პროგრამისტის ხელფასი ჩვეულებრივ ნაკლებია, ვიდრე საკუთრივ საინფორმაციო ბაზის მომსახურების ხარჯები. ამ შემთხვევაში თანამედროვე სახით კონტრაქტი ნებაყოფილობითია და არა იძულებითი, ე.ი. ერთი მხარე თანხმდება იმას, რომ მეორეს მიენიჭოს ბრძანების, განმკარგულებლის გაცემის ულფება. მაშასადამე, მეორე მხარე შეგნებულად არის თანახმა ჰქონდეს შემსრულებლის ფუნქცია. ამგვარ პრინციპს ემყარება მთელი დაქირავებული შრომითი ურთიერთობა. ცხადია, ასეთი ურთიერთობა ყალიბდება მის მონაწილეთა (მაგალითად, მენეჯერებისა და მუშების) მწარმოებლური რესურსების საფუძველზე. პირველთათვის ეს იქნება პროფესიონალიზმი, კვალიფიკაცია, ორგანიზატორული უნარი და ა.შ. მეორეთავის კონკრეტული პროფე-

სიული ჩვევები. ერთს აქვს გამკარგველის მონაცემები, მეორეს შემსრულებლისა. ამ მდგომარეობაში ისინი თანასწორუფლებიანნი არ არიან, სტატუსით განსხვავდებიან. ამასთან, მათი შეთანხმების მიზანია საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, რამაც ორივეს უნდა მოუტანოს სარგებლობა. .

ამ შემთხვევაში ნების თავისუფლება კონტრაქტის პირობებში განისაზღვრება.

მმართველობითი ტრანსაქციის მრავალი კონკრეული ფორმა გვხვდება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მათი არსი მხარეთათვის საბოლოოდ ერთ წესზე და შედეგზე დაიყვანება ერთ მხარეს უპირატესი მდგომარეობა აქვს მინიჭებული მეორესთან შედარებით.

ფორმალურად აქ დაცულია თავისუფლების სამართლიანი განაწილება, ფაქტობრივად ადგილი აქვს მხარეთა არათანაბარ მდგომარეობას, რაც შენიღბულია ტრანსაქციის შინაარსით.

რაციონირების ტრანსაქცია გამოიხატება ურთიერთობათა შემდეგი თავისებურებებით: ჯერ ერთი, იგი არ გულისხმობს მხარეთა ბაზრის სუბიექტების, ხელისუფლების ორგანოსა და პიროვნებათა თუ ორგანი ზაციების მოლაპარაკებას, შეთანხმებას, კონრაქტს. მეურნე სუბიექტები ფირმები, კონკრეტული მეწარმეები, ორგანიზაციები ვალდებულნი არიან დაემორჩილნენ ორგანიზაციის თუ სახელმწიფო ხელიხუფლების მიერ დადგენილ წესებს, შეასრულონ მათ მიერ დადგენილი ნორმები და ვლდებულებები; ფირმის დონეზე ამის მაგალითი შეიძლება იყოს დირექტორთა საბჭოს მიერ შედგენილი ბიუჯეტი ან მიღებული გადაწყვეტილებები. უფრო თვალსაჩინო მაგალითია სახელმწიფოს მიერ საწარმოებისა თუ მოქალაქეების დაბეგვრა გასასახადებით. ამ უკანასკნელთ არავინ ეკითხება, თუ რამდენი და რა წესით უნდა გადაიხადონ გადასახადები, მაგრამ მათი გადაუხდელობა კი იწვევს მკაცრ სანქციებს; მეორე, რაციონირების ტრანსაქციაში ორი მხარე მონაწილეობს, მაგრამ, მმართველობითი ტარნსაქციისაგან განსხვავებით, მათი სტატუსი და უფლებები განსხვავებულია და განსხვავებულად ყალიბდება. ეს სტატუსი და ვალდებულებები ერთი მხარისა მეორის წინაშე ყალიბდება ტრანსაქციის მიღმა. ტრანსაქციის უმაღლესი მხარის როლში გამოდის კოლექტიური ორგანო (კომპანიის დირექტორთა საბჭო, ქვეყნის პარლამენტი და სხვა); შემდეგი თავისებურებაა ის, რომ მხარეთა ურთიერთობა აგებულია არა თანასწორობის, არამედ იძულებისა და დამორჩილების პრინციპზე. ერთი, უფლებრივი უპირატესობის სტატუსის მქონე მხარე ახორციელებს დიქტატს მეორე მხარეზე, ვისაც ნაკლები უფლებები აქვს. რაციონირების ტრანსაქციის ასეთი მაგალითია სასამართლოს, არბიტრაჟის გადაწყვეტილებები.

ამგვარი ტრანსაქციის პირობებში ერთი მხრისათვის შესაძლებელია არსებობდეს მოთხოვნები მეორე მხარის მიმართ, რაც თითქოს მოლაპარაკებად წარმოგვიდგება. მაგალითად, დოვლათის გასხვისების ან მითვისების თაობაზე საჭიროა სათანადო დასაბუთების წარდგენა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებული უფლება მხოლოდ ერთ მხარეს (დირექტორთა საბჭოს, სასამართლოს, არბიტრაჟს) აქვს და მას გამოაქვს საბოლოო ვერდიქტი.

აქ სააბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ რაციონირების ტრანსაქცია არის ძალაუფლებითი გაწყვეტილება, რომელშიც აისახება ქვეშევრდომთა სარგე ბელი და დანახარჯები სიმდიდრის შექმნიდან. ზემოთ მოტანილი მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება მოვახდინოთ ტრანსაქციების შედარება სხვადასხვა მახასიათებლის მისედვით, კომონსის კლასფიკაციის საფუძველზე (იხ ცხრილი 2).

ცხრილი 2
ტრანსაქციის სხეობათა შედარებითი დახასიათება

მახასიათებლები	გარიგების ტრანსაქცია	მმართველობითი ტრანსაქცია	რაციონირების ტრანსაქცია
მონაწილე მხარეთა რაოდენობა	4 მონაწილე	ორი მონაწილე	2 მონაწილე (ერთ ერთი კოლექტიური)
ურთიერთდამოკიდებულების საფუძველი	ერთნაირი უფლებრივი სტატუსი;	უფლებრივი სტატუსის განსხავების ნებაყოფილებითი აღიარება	უფლებრივი სტატუსის იძულებითი აღიარება
სიმდიდრის გარდაქმნა	მოლაპარაკების სხვადასხვა ძალა	სიმდიდრის შექმნა	სიმდიდრის შექმნიდან დანახარჯებისა და სარგებლის განაწილება
უნივერსალური პრინციპი	სიმდიდრის გადანაწილება	ეფექტიანობა	იძულება
	იშვიათობა		

ამრიგად, ტრანსაქციების სისტემა საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს საბაზრო სუბიექტებს და არა მარტო მათ შორის, ინსტიტუციურ ურთი ერთობებზე, მათ ხასიათზე, ასევე ცალკეულის სხვადასხვა ნიშნით განსხვავებაზე.

აქ შეიძლება დავამატოთ კარლ პოლანის მიერ ფორმულირებული მოსაზრება ტრანსაქციების შესახებ. იგი არ ეთანხმება ა. სმითის მოსაზრებას, რომ ადამიანები ხასიათდებიან გაცვლისადმი, ვაჭრობისადმი მიდრეკილებით. საბაზრო სისტემა, მისი აზრით, მხოლოდ ერთერთი გარემო არაა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევას. გარდა ამისა,არსებობს სხვა გარემოც. საბაზრო გარემო საზოგადოების დიდ ნაწილში სულაც არაა ქცევის გამსაზღვრელი. კ. პოლანმა ჩამოაყალიბა ტრანსაქციის ოთხი სახე: ურთიერთპატივცემის,

გადანაწილების, საოჯახო მეურნეობისა და გაცვლის ტრანსაქციები.

ურთიერთპატივცემის (ნაცვალგების) ტრანსაქციას ადგილი აქვს მაშინ, როცა ადამიანები გამოხატავენ პატივცემას ერთმანეთისადმი, მაგალითად თანა დგომით, დახმარებით, საჩუქრების მირთმევით და სხვა.

გადანაწილების ტრანსაქცია დაკავშირებულია ხელისუფლების მოქმედებასთან, რომლითაც ის სოციალურ გადახდებს აკეთებს ვინმეს სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს რაიმე მოლაპარაკებას, შეთანხმებას თუ ვაჭრობას.

საოჯახო მეურნეობის ტარანაქცია ესაა ოჯახის საჭიროებებისთვის საქმიანობა.

გაცვლის ტანსაქცია ბაზარზე განხორციელებული საქმიანობაა, კერძოდ: საოპერაციო, ანუ საქონლის უბრალო გადაადგილება; ადმინისტრაციული, რაც განაპირობებს საკუთრების უფლების გადაცემას ერთი პირიდან მეორეზე და ინტეგრაციული, რაც გულისხმობს გაცვლის მონაწილეთა მისწრაფებას სარგებლისაკენ და დაკავშირებულია საკუთრების უფლების გადაცემასთან ,,გაცვლით კურსის" მიხედვით, რომელიც მხარეთა შორის ვაჭრობისა და მოლაპარაკების შედეგად ყალიბდება. .

ურთიერთპატივცემისა (ნაცვალეგებისა და საოჯახო მეურნეობის), ასევე გაცვლის ტრანსაქცია ჰორიზონტალურ ურთიერთობებს გულისმობს, ხოლო გადანაწილებითი ვერტიკალურს.

ტრანაქციული დანახარჯები: არსი, კლასიფიკაცია, მინიმიზების გზები

ტრანსაქციული დანახარჯების გარშემო მსჯელობა იმით უნდა დავიწყოთ, რომ ისინი დიდხანს ეკონომიკური თეორიის წარმომადგენელთა, მათ შორის ნეოკლასიკოსების მიერ უგულებელყოფილი იყო. ეკონომიკური სამყარო წარმოდგენილი იყო იდეალიზებულად, თითქოს ეკონომიკურ ურთირთობათა მონაწილენი რაციონალურნი არიან; მათ ხელთ არსებული ინფორმაცია სრული და საიმედოა; კონტრაქტებს არავინ არღვევს, წინასწარ შეიძლება კონტრაქტების შედეგების განჭვრეტა; საკუთრების უფლება არ საჭიროებს ზრუნვას, რადგან მას სახელმწიფო იცავს; სახლმწიფო სავსებით უზრუნველყოფს კონკურენციის პირობებს; თითქოს ეკონომიკურ აგენტებს არ უწევთ ხარჯების დამატებით გაწევა საქმიანობის გარემო პირობების შესაქმნელად.

მაგრამ სინამდვილის სურათი ისეთი არაა, როგორიც აღვწერეთ, ის საწინააღმდეგოა. ეკონომიკურ აგენტები რაციონალურები სულაც არ არიან. მათი საქმიანობის პირობები ასე აწყობილი როდია. მათ ყოველთვის უწევდათ ხარჯების გაწევა თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებების და სხვა ტრანსაქციებისთვის. ეს დანახარჯები გაიზარდა საბაზრო ურთიერთობათა განვითარების მაღალი ეტაპზე. ამას ყურდღება მიაქციეს მეცნიერებმა, რომელთაც კრიტიკულად განიხილეს ეკონომიკის ნეოკლასიკური მოდელი. კერძოდ, მე 20 საუკუნის 30იან წლებში რონალდ კოუზმა დასვა საკითხი საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების დანახარჯების შესახებ. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ საბაზრო სუბიექტები ეწევიან დანახარჯებს პარტნიორების ძებნის, კონტრაქტების გაფორმებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გადაწყდეს ეკონომიკური საქმია ნობის დოვლათის წარმოების, გაცვლისა და განაწილების დროს. ამგვარი დანა ხარჯების საკითხი პირველად აისახა კოუზის სტატიაში ,,ფირმის ბუნება" (1937 წ). ეს დანახარჯები წარმოიშვება ისეთი მიზეზის გამო, როგორიცაა: ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა შორის ინფორმაციის ასიმეტრიულობა, რაც ხელს უშლის მოთხოვნამიწოდების, ფაწარმოქნის პროცესების ნორმალურ მსვლელობას. უფრო კონკრეტულად ტრანსაქციული დანახარჯების წარმოშობის მიზეზები შემდეგია:

1. მეურნე აგენტების ინტერესთა დაუმთხვევლობა, როლებიც სხვადასხვა რესურსებს ფლობენ;
2. ადამიანთა საქმიანობის ეკონომიკურ და სოციალურ გარემოში გაურკვევ ლობის არსებობა, რომლებიც აიძულებს მათ იმოქმედონ თავიანთი უფლებების, ქონებისა და თავისუფლების დასაცავად;
3. ნებისმიერ საზოგადოებაში ისტიტუტების არასრულყოფილება, რაც აიძულებს მის წევრებს გასწიონ მეტი დანახარჯები, ვიდრე საჭიროა გარკვეულ პერიოდში;
4. სოციალური ინსტიტუტების ,,შექმნა", რაც ასევე დანახაჯებს მოითხოვს.

დანახარჯებს, როლებიც დაკავშირებულია ზემოთ, წინა პარაგრაფში განხილულ ტრანსაქციებთან, უწოდეს ტრანსაქციული დანახარჯები. ცხადია, ფირმის, ნებისმიერი ეკონომიკური აგენტის მიზანია როგორც ყველა სხვა, ისე ტრანსაქციული დანახარჯების შემცირება. ამისთვის კი აუცილებელლია ამ დანახარჯების ბუნებაში, წარმოშობის პროცესში, ეკონომიის შესაძლებლობებში გარკვევა.

ტრანსაქციის დანახაჯების სიდიდე და სტრუქტურა განსხვავებულია სხვადასხვა გარემოსა და სუბიექტისათვის. ეს პირობები განიხილა და ამ განსხვავების მიზეზები ჩამოაყალიბა დუგლას ნორტმა. კერძოდ, ნორტის მიხედვით, ეს მიზეზები შემდეგია:

1. ბაზრის სიდიდე: ხარჯები შეიძლება ბაზრის მასშტაბთან დაკავშირებით კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული წესით იზრდებოდეს ;
2. გაცვლის პროცესში საქონელთა და მომსახურების მახასიათებლები: ტრანსაქციული დანახარჯები სხვდასხვა საქონლისა და ბაზრისათვის განსხვავდება;
2. იძულების სისტემა: კერძოდ, ბაზრის აგენტების სამრთლებრივი ნორმების დაცვის იძულება;
3. ინდივიდების იდეოლოგიური განწყობის და შეხედულებათა ჩამოყალიბების პირობათა შექმნა: როგორც გამყიდველებზე, ისე მყიდველებზე იდეოლოგიურ ზემოქმედებას მნიშვნელოვანი როლი აქვს მათი ქცევის ჩამოყალიბებაში. ეს ზემოქმედება მრავალი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებით, რაც შესაბამისად დაკავშირებულია დანახრჯებთან.

ტრანსაქციული დანახარჯები შეიძლება განვასხვავოთ წარმოქმნის წესის მიხედვითაც, კერძოდ, გამოყოფენ პირდაპირ და ალტერნატიულ დანახარჯებს.

პირდაპირს მიაკუთვნებენ ტრანსაქციულ დანახარჯებს, რომლებსაც ეკონომკური აგენტები ფირმები, ორგანიზაციები, საოჯახო მეურნეობა, კერძო პირები გასწევენ ტრანსაქციებისთვის. ესაა უშუალო დანახარჯები ინფორმაციის მოპოვების, კონტრაქტების გაფორმების, საკუთრების უფლების, კონტრაგენტის იძულებისთვის, რომ შეასრულოს ვალდებულებები და სხვა.

ეს დანახარჯები შეადგენენ საწარმოს (ეკონომური აგენტის) მთლიანი დანახარჯების ნაწილს, რაც ემატება საწარმოო დანახარჯებს. მათი განსაზღვრა მნიშვნელოვანია საქმიანობის ეფექტიანობის (მომგებიანობის), მოგების სიდიდის განსაზღვრისთვის. ამის გარეშე საქმიანობის გაგრძელების მიზანშეწონილობის დადგენა შეუძლებელი იქნებოდა.

ალტერმატიულს უწოდებენ იმ ტრანსაქციულ და-

ნახარჯებს, რომლებიც განაპირობებს ეკონომიკური აგენტის მხრივ ტრანსაქციის განხოციელებაზე, მაშასადამე, დანახარჯების გაწევაზე უარის თქმას. ამის მაგალითი შეიძლება იყოს კრედიტის აღებ-ის ხარჯები, რომელთა გამო ეკონომიკური აგენტი უარს იტყვის ამ ოპერაციაზე.

უფრო დაწვრილებით განხილვისას შეიძლება მივმართოთ ტრანსაქციული დანახარჯების სხვა კლასიფიკაციებს. ასეთი რამდენიმე შეიძლება იყოს.

ჯერერთი, ესაა მილგრომ რობერტსის (ავტორე-ბი) კლასიფიკაცია. იგი იხილავს კოორდინაციის დანახარჯებსა და მოტივაციის დანახარჯებს. ეს უკნასკნელი შედგება ინფორმაციის უსრულობითა და არასრულყოფილებით გამოწვეულ და ოპორ-ტუნიზმის შედეგად წარმოქმნილ დანახარჯებს.

კოორდინაციის დანახარჯები ხმარდება ტრანსაქციის დროსა და სივრცეში შესაბამისობის უზრუნველყოფას. ეს დანახარჯები შესძლოა დაკავ შირებული იყოს ფირმის შიგა და გარე ტრანსაქციებთ-ან ფასების შესახებ და პატრტნიორებთან შესა-თანხმებელი სხვა ინფორმაციის მოპოვებისთვის, ფირმის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის და ა.შ.

მოტივაციის დანახარჯები არის პარტნიორე-ბის მიერ კონტრაქტის პირობათა შესრულებაზე ინფორმაციის შეგროვების, საქმიანობის კონ-ტროლის, მონიტორინგისათვის ფირმის შიგნით და ბაზარზე გადახდილი სახსრები. ეს ხარჯები შეიძლე-ბა გამოწვეული იყოს ინფორმაციის უკმარობითა და არასრულყოფილებით, ოპორტუნიზმის გამოვლინე-ბით ურთიერთობის მონაწი ლეთა მხრივ.

შემდეგ. დ. ნორტისა და ტ. ეგერტსონის მიერ შემუშავებულია უფრო დაწვრილებითი კლასიფიკ-ცია. იგი გამოყოფს შემდეგ ტრანაქციულ დანახარ-ჯებს:

1.ინფორმაციის ძებნის დანახარჯები. ინფორ-მაციის მოპოვება ხდება ოთხი ძირითადი მიმა-რთულებით: ა) საქონლისა და მომსახურების ფასები შესახებ; ბ) საქონლისა და მომსახურების ხარისხის შესახებ; გ) გამყიდველთა ,, ხარისხის“ შესახებ და დ) მყდველთა ,,ხარისხის “ შესახებ.

თავის მხრივ, ეს მონაცემები მოიცავს კონკრე-ტულ ცნობებს შესაბამის საკითხებზე, რომლებიც შეიძლება აინტერესებდეს ეკონომიკურ სუბიექტს. ინფორმციის მოპოვბა ხდება სხვადსხვა გზით, მ. შ, სოციალური ქსელის აგენტების დახმრებით, ანონ-იმურად ღია ბაზარზე და სხვა. მაგალითის სახით შეიძლება განვიხილოთ აშშში სამუშაოს ძებნის სტრატეგიის მონაცემები. (იხ ცხრილი 3)

ცხრილი 3

სამუშაოს ძებნის სტრატეგიის რაოდენობითი მაჩენებლები

სამუშაოს ძებნის მახასიათებლები	სიხშირე	% ჯგუფი დან	ჯგუფის ზომა
მუშაკთა მიერ გამოყენებული სტრატეგია			
ფორმალური შუამავლები შრომის ბაზარზე	581	50,9	1141
პირდაპირი მიმართვა	345	30,4	1136
პირადი კავ-შირები	608	53,2	1142
დამქირავე-ბულთა მიერ გამოყენებული სტრატეგიები			
ფორმალური შუამავლები შრომის ბაზარზე	333	36,5	910
პირადი კავ-შირები		40,2	910
ვინ ახორციელებ-და ძებნას?			
მუშაკიც და დამქირავებლიც	366	34,6	
	315	27,8	
მხოლოდ მუშაკი	253	18,3	
ნხოლოდ დამქი-რავებელი	167	19,3	911
არც მუშაკი ,არც დამქირავებელი	176	100,0	
სულ			
საბაზრო გაცვ-ლის ინდიკა-ტორები	323	28,4	1139
არჩევანი მუშაკის მხრიდან	407	45,9	905
არჩევანი დამქი-რავებლის მხრი-დან	90	9,9	911
	546	58,7	030
ვაჭრობა ხელფა-სის გარშემო			
დაქირავების დაკმაყოფილების ხარისხი			

მოტანილი მონაცემები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ტრანსაქციებზე სამუშაოს ძებნის სტრატეგიის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით როგორც მუშაკთა, ისე დამქირავებელთა პოზიციიდან. ამგვარი მონაცემები გამოსადეგია მუშაკებისთვისაც და დამქირავებელთვისაც.

2. ფირმების მიერ საქმიანი პარტნიორების ძებნის (შესაძლო სტრატეგიათა სპექტრის) დანახარჯები. ფირმა მუშაობის პროცესში დაკავშირებლია საქნიან პარტნიორებთან, რომლებთანაც ის თანამშრომლობს ამა თუ იმ ხანგრძლივობით. პარტნიორების ძებნისას შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ვარიანტი, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულოს მისი მოთხოვნები. ამასთან, ჩვეულებრივ პოტენციურ პარტნიორთა შესაძლებლობები ამა თუ იმ ასპექტით სხვადასხვაა. დგება საკითხი პოტენციურ პარტნიორთა შორის საუკეთესოს არჩევის შესახებ. საჭირო ხდება საქმიანი რეპუტაციის გათვალისწინება. ასევე აუცილებელი პირობაა მეორე მხარის თანხმობა პარტნიორობაზე. ყოველივე ამის შესახებ ფირმას ესაჭიროება ინფორმაცია. ასეთი შეიძლება იყოს სავაჭრო ასოციაციების, ბანკების გამოხმაურებები, საკვალიფიკაციო დიპლომები, სერთიფიკატები, აუდიტორული ფირმების დასკვნები და სხვა დოკუმენტები. ეს მონაცემები სჭირდება თვით პოტენციურ საპარტნიორო ფირმასაც. მცირე მნიშვნელობა არა აქვს პირად კავშირებს, დარგობრივი სტანარტებისა და ნორმებისადმი ნდობას.

სხვადასხვა ქვეყანაში საქმიანი პარტნიორების ძებნის პირობები განხვავებულია. მაგალითად, იაპონიაში პირველ რიგში მნიშველობას ანიჭებენ სერთიფიკატებსა და ლიცენზიებს, რომლებსაც ფლობს ფირმა.

განასხვავებენ ძებნის ტიპებს, როგორიცაა: იდიოსინკრეტული, საყოველთაო, რუტინული და დარგობრივი.

იდიოსინკრეტული ძებნა უპირატსად ემყარება პირად კავშირებს და ნდობას. საყოველთაო ძებნა გამოიხატება პირადი კავშირების გზით პარტნიორის შესახებ მიღებული ინფორმაციის მასობრიობაში. ეს ფორმა ახასიათებს მაღალორგანიზებულ დარგებს და ეფექტიანია. რუტინული წესი ფორმალიზებული და ბიუროკრატიზებულია. ამ შემთხვევაში გამოიყენება რუტინები, დიდი ხნის არსებული პირობები, რაც მომავალი ურთიერთობის გარშემო გაურკვევლობას ამცირებს. დარგობრივი ძებნის დროს ემყარებიან მკაცრად სრუქტურიზებულ დარგებს. ფირმები პირადი კავშირების მონაცემებს არ ენდობიან. ისინი იყენებენ მაღალი რეიტიგის მქონე სააგენტოების, სააუდიტორო ფირმების და სხვათა ინფორმაციას.

3.მოლაპარაკებათა წარმოების დანახარჯები. ეს დანახარჯები სამი სახის შეიძლება იყოს: 1. კომუნიკაციის დანახარჯები, რაც წარმოიშვება შეთანმების პირობებისადმი გარკვეული შეუთავსებლობის გამო, ბიზნესკულტურის განსხვავებისას და ა.შ. 2. სტრატეგიული დანახარჯები. კერძოდ, ასეთი იქნება ძვირდღირებული მიღებების, სადილების და სხვა ხარჯები. ასეთი დანახარჯები წარმოიშვება პარტნიორთა შეთანხმების სირთულისას, როცა აუცლებელია მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მოწვევა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მონაწილელეთა სტრატეგიული ხედვა. მონაწილეებმა ორმხ რივი მოლაპარაკების ნაცვლად შეიძლება გამოიყენონ აუქციონები, როცა ისინი ცდილობენ გარკვეული მოსაზრებით დამალონ ინფორმაცია და იძულებულნი ხდებიან გაასაჯაროონ იგი კონკურენტის ზეწოლით. 3. ამ კატეგორიას მიეკუთვნება გააწყვეტილების მიღების გაჭიანურების დანახარჯები. ეს ალტერ ნატიული დანახარჯებია. იგი აიძულებს სუბიექტს დააჩქაროს მოქმედება, მაგალითად, ინფლაციის მოლოდინის პირობებში.

4. მოლაპარაკებათა გაჭიანურების დანახარჯები. მოლაპარაკებათა გაჭიანურება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მოხდეს. მათ შორის შეიძლება იყოს ხელოვნური მიზეზები: პარტნიორზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, რათა იგი უფრო დამთმობი გახდეს და მოლაპარაკების მეორე მხარემ მიაღწიოს მისთვის უფრო სასურველ შეთანხმებას.

5. კონტრაქტის შედგენის დანახარჯები. მოლაპარაკების შემდგომ ეტაპზე ხდება კონტრაქტის შედგენა, რასაც ახლავს მნიშვნელოვნი დანახ არჯები. მათ მიეკუთვნება: ხელშეკრულების შინაარსის შემუშავებაში ჩართული იურიდიული მომსახურების წარმომადგენელთა ხელფასების, ტექნიკური უზრ უნველყოფის (კომპიუტერები, პრინტრები, ქაღალდი და სხვა) ხარჯები. უნდა აღინიშნოს ამ ხარჯების განსაზღვრის სირთულეც, რადგან კონტრაქტის დადებამდე მისი დასრულების სამუშაოთაგანსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. კონტრაქტის შედგენის ხარჯები მსხვილი ფერმებისთვის კონტრქტის 1015 % მდე აღწევს.

6. მონიტორინგის ხარჯები. კონტრატის რეალიზაციის სტადია დაკავშორებულია მის შესრულებელ პარტნიორთა საქმიანობის მონიტორინგთან, რაც დანახარჯებს საჭიროებს. მონიტორინგის შედეგად ირკვვა, თუ როგორ მიმდინარეობს კონტრაქტის შესრულება, ხომ არ დგას პარტნიორისგან სანქციების მოთხოვნის, ასევე კეთილსინდისიერი საქმიანობის სტიმულირების საჭიროება.

მონიტორინგი კონტრაქტის შესრულების პროცესის მნიშვნელოვანი მომენტია. ის უძველესი დროიდან გამოიყენებოდა პრაქტიკაში, რის მაგალითები ძველი ეგვიპტიდანაა ცნობილი. მონიტორინგს ტექნოლოგიურთან შედარებით ერთი სპეციფიკა ახლავს. მისი ინტენსიურობაც (მენეჯერებისა და ადმინისტრაციის მუშაკთა რიცხვის შეფარდება წარმოებაში დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვთან) ქვეყნების მიხედით სხვადასხვაა. მაგალითად, იგი შეადგენდა ავსტრალიაში 0,1 ს , ავსრტიაში 0,078ს, ბელგიაში 0,055ს, დიდ ბრიტანეთში 0,154ს, გერმანიაში 0, 044ს, დანიაში 0,063ს, იტალიაში 0, 037ს, კანადაში 0,126ს, ნიდერლანდებში 0, 045ს, ნორვეგიაში 0, 088ს, ა შ შ ში 0,

176ს, საფრანგეთში 0, 06ს, შვეიცარიაში 0, 036ს, შვეციაში 0, 04ს, იაპონიაში 0, 063ს. [4]

7. კონტრაქტის შესრულების იძულების დანახარჯები. ეს არის შემთხვევა, როცა კონტრაქტის მონაწილენი შეეცდებიან ამა თუ იმ ზომით გვერდი აუარონ საკონტრაქტო ვალდებულებების შერულებას, რასაც სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ექნეს, მათ შორის პარტნიორთა მიმდინარე ინტერესებთან ვალდებულებების შესრულების შეუსაბამობა. ასევე მიზეზი შეიძლება იყოს არკეთილსინდისიერება და ა.შ. ეს განაპირობებს იძულების მექანიზმის არსებობას. იძულების ორგანიზება დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან. ისინი დამოკიდებულია ქვეყნების თავისებურებებზე, მათ შორის სამართლებრივი სისტემის, კულტურის მხრივ და სხვა.

კონტრაქტის შესრულების იძულებითი მექანიზმი ორგვარია: რეპუტაციული და საკონტრაქტო.

რეპუტაციული მექანიზმი ემყარება ფირმის დაინტესებას ძველ, ახალსა და მომავალ პარტნიორებთან კარგი ურთიერთობით. დადებითი რეპუტაცია ხელს უწყობს ფირმას საქმიანობის გაადვილებაში, ხოლო საპირისპიროდ, უარყოფითი რეპუტაცია გრძელვადიანი პერიოდისათვის მისთვის საზიანოა, თუმცა დროებითი სარგებელი შეიძლება ჰქონდეს. განსკუთრებით ეს საგულისხმოა დარგში შესვლისა და კონკურენტუნა რიანობისთვის.

საკონტრატო მექანიზმი ესაა ყოვლისმომცველი კონტრაქტის დადება მხარეთა ურთიერთვალდებულებების დეტალურად განსაზღვრით, ასევე კონფლიქტის მოგვარებისთვის მესამე მხარის მოწვევისას არაპროგნოზირებად გარემოებათა შემთხვევაში. ამ მექანიზმის ეფექტიანობა დამოკიდებულია კანონმდებლობის ხარისხზე და უფრო იაფი სანქციების ხელმისწვდომობაზე.

იძულების რეპუტაციული მექანიზმი ემყარება კონტროლის შემდეგ სისტემებს: კერძო არაფორმალური, ფორმალური საკონტრაქტო, არფორმლური ქსელური და ფორმალური ქსელური.

კერძო არაფორმალური მექანიზმი ისეთ ქვეყნებშია გავრცელებული, სადაც კონტროლის რეპუტაციული და საკონტრაქტო მექანიზმები სუსტია. ამ შემთხვევაში დადებული კონტრაქტების შერულება დამოკიდებულია თვით კონტრაქტორთა ურთერთ ნდობაზე. ფირმები ნაკლებად ახდენენ ისეთი ტრანსაქციების ინვესტირებას, რომლებიც გაურკვევლობის მაღალი ხარისხით ხასიათდება. ალბათობა, რომ ისინი ერთბლობივად განახორციელებენ არასტანდარტულ ინოვაციურ პროექტებს მცირეა.

ფორმალური საკონტრაქტო კონტროლი ისეთ შემთხვევაში გამოი ყენება, როცა საკონტრაქტო იძულება და კანონის საფუძველზე განხორ ციელებული ფორმალური იურიდიული სანქციები შეერწყმის სუსტ რეპუტაციულ იძულებას. ამ შემთხვევაში ფირმები ინარჩუნებენ შედარებით დამოუკიდებელ პოზიციას. საერთო დარგობრივი ინტერესები აქ ნაკლებადაა გამოხატული. წამყვანი ფირმების შემადგენლობა არამყარია, სუსტია დარგობრივი წესების ინსტიტუციონალიზცია. ამ დროს რეპუტაციური იძულება არ მოქმედებს, იძულების მთელი ფუნქციები ეკისრება სამართლებრივ სისტემას. ასეთი კონტროლის არაეფექტიანობის შემთხვევაში ფირმები იჩენენ არაკეთილსინდისიერი ქცევისადმი მიდეკილებას, ნაკლებად შედიან გრძელვალიან შეთანხმებაში. ამასთან, საკონტრქტო კონტროლის დროს ურთიერთობები უფრო პროგნოზირებადია.

არფორმლური ქსელური კონტროლი ეს ძლიერი რეპუტაციული იძულების სუსტ საკონტრაქტოსთან შერწყმაა. ის შესაბამის ფირმებს უადვილებს ერთმანეთთან ურთიერთობას, თავიდან ააცილებს პარტნიორის არაკეთილსინდისიერი მოქმედების საშიშროებას. ამ შემთხვევაში იურიდიული სანქციების სისუტე ხელს უწყობს მოქნილობას და ცვალებადი პირობებისადმი ადაპტირებას.

ფორმალური ქსელური კონტროლი აერთიანებს ძლიერ რეპუტაციულ და ძლიერ საკონტრაქტო კონტროლს. ამის შდეგად იქმნება ფირმებს შორის ნდობის ატმოსფერო, რაც ასტიმულებს მათ შორის გრძელვადიან თანამშრომლობას, საერთო მიზნების მიღწევასთან დაკვშირებული რისკის თავის თავზე აღებისათვის მზადყოფნას. ამასთან, ამ სახის კონტროლს ნაკლიც აქვს ამცირებს პოტენციური პარტნიორების რიცხვს, რამდენადაც ახალი ფირმების დარგში შემოსვლა შეზღუდულია. გრძელვადიან პერიოდში ამან შეიძლება ხელი შეუშალოს რადიკალურ ინოვაციებს, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურ დარგებში.

სანტერესოა მსოფლიო ბანკის მონაცემები კონტრქების შესრულების იძულების შესახებ სასამართლო სისტემის მიერ ვალების ამოღების მაგალითზე (იხ. ცხრილი 4)

4 Gordon D.M. Bosses of Different Stripes : A Gros Naional Perspective on Monitoring and Supervision // American Economic Review . 1994 . Vol 4, № 2 ,p. 376.

ცხრილი 4

ვალების ამოღების საქმეში სასამართლო სისტემის ეფექტიანობის მონაცემები

რეგიონი ან ქვეყნების ჯგუფი	პროცედურების რიცხვი	ხანგრძლივობა, დღეები	ფირმების სასამართლო ხარჯები, %	სირთულის ინტეგრალური ინდექსი
აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნები	19	93	66,3	55
ევროპა და ცენტრალური აზია	25	344	27,9	56
				70
	33	363	38,0	
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზის ქვეყნები				61
	22	297	15,6	40
ახლო აღმოსავლეთი	17	233	7,1	55
და ჩრდილოეთ აფრიკა	19	358	92,6	56
ეგოოს ქვეყნები	30	334	61,2	
სამხრეთი აფრიკა				
ცენტრლური აფრიკა				

8. კონტრაქტების მესამე პირებისგან დაცვის ხარჯები. კონტრქტის შესრულებისადმი მუქარა შეიძლება მომდინარეობდეს კერძო პირებისა ან სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. მუქარა განსაკუთრებით სახელმწიფოს მხრივაა მოსალოდნელი, როცა კონტრაქტი არალეგალურია (უკანონოა) ან ნახევრადლეგალურია (შემოსავლის დაფარვის მიზნით). კონტრაქტი როცა ლეგალურია და მუქარა მომდინარეობს კერძო პირებისგან, დაცვის ფუნქცია სახელმწიფოს ეკისრება. თვით სახელმწიფოსგან დაცვა კი ძნელია, რადგან მას უპირატესობა აქვს უფლებრივი კუთხით, მაგრამ სახელმწიფო დაწესებულებების უკანონო ქმედებისგან დაცვის გარკვეული გარანტი არის კანონები და სამათალდამცავი ორგანოები.

9. გაზომვის დანახარჯები. როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, ტრანაქციები გაზომვად სიდიდეებად წარმოგვიდგება. მათი გაზომვა საჭიროა დანახარჯებისა და შედეგების განსაზღვრისთვის. თვით გაზომვის ოპერაცია დაკავშრებულია ხარჯების გაწევასთან. ეს დანახარჯები ტრანსაქციულ დანახარჯებს უნდა მიეკუთვნოს.

10. ინფორმაციული დანახარჯები. ესაა ეკონომიკური საქმიანობისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ხარჯები, რომლებიც გაიწევა კონტრაქტების დადებისა და მათი შესრულების კონტროლისაათვის. დანახარჯები ინფორმაციაზე ასევე შეიცავს პარტნიორის ძებნის, შერჩევის პროცესთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის ხარჯებს.

11. საკუთრების უფლების დაცვის დანახარჯები. ამგვარი დანახარჯები წარმოიქმნება საკუთრების გაცლის პროსცესთან დაკავშირებული ტარანს აქციების შედეგად. ეს ტრანსაქციები ატარებს იურიდიულ, ძალისმიერ იშვიათად პროპაგანდისტულ ხასიათს კონტრაქტის დადებასთან და შესრულებასთან დაკავირებით. მათზე გაწეულ ხარჯებს დინამიკურ ტრანსაქციულ დანახარჯებს უწოდებენ. ამასთან ერთად, არსებობს საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებული დანახაჯები. მათ სტატიკურ დანახარჯებად განიხილავენ. ეს სახელწოდებები, გარკვეული აზრით, პირობითია, რადგან ცალკეული მათგანი წარმოიშვება ინფორმაციის არასრულყოფილების ან საკუთრების უფლების დაცვის პრობლემის შედეგად. ცალკეული დანახარჯი, მაგლითად კანონების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებული, მიეკუთვნება ორივე ჯგუფს. დანახარჯები საქონლის შესახებ კი ემსახურება საკუთრების უფლების უფრო სრულად რეალიზაციის მიზანს.

12. სააგენტო დანხაჯები. ეს შინასაფირმო დანახარჯებია, რომლებიც მიმართულია აგენტების (დაქირავებული მუშაკების) ოპორტუნისტული ქცევების დანაკარგების შემცირებისკენ. ასევე ესაა ამგვრი ქცევით გამოწვეული დანაკარგები და დანახარჯები შესაბამის მუშაკთა შესახებ ამგვარ ქცევაზე საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის, რასაც დამქირავებელი გაიღებს. ასეთი დანახარჯები თვისი არსით არის დაამქირავებლის დაქირავებულზე კონტროლის, მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის სტიმულის შექმნის დანახარჯები ინფორმაციული ასიმეტრიის პირობებში. ისინი შეიძლება ინფორმაციულ დანახარჯებსაც მივაკუთვნოთ. ასევე სააგენტო დანახარჯების დანიშნულებაა საკუთრების უფლების უფრო სრულად დაცვა. ცხადია, დაქირავებული მუშაკის არაკეთილსინდისიერებისას დამქირავებელი ქონებრივ ზარალს განიცდის (მაგლითად, ტექნიკისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობისას, ქურდობისა თუ სხვა შემთხვევაში). ამ მხრივ ეს დანახარჯები საკუთრების დაცვის დანა ხარჯებსაც შეიძლება მივკუთვნოთ. ამრიგად, სააგენტო დანახარჯებს ორადი ხასიათი აქვს.

13 . გადასხადები როგორც ტრანაქციული დანახარჯების ფორმა. ტრანსაქციული დანახრჯების განსაკუთრებულ სახეობას შეიძლება მივაკუთვნოთ

გადასახადები, რომლებსაც იხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები შემოსავლებისა და ქონებისთვის სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით. მათი თავისებურება ისაა, რომ გადახდილი გადასახადების სანაცვლოდ გადამხდელებს სახელწიფო უწევს მომსახურებას და ამით უმცირებს ტრანსაქციულ დანახარჯებს. ამის შეეგად ტრანსაქციული გადასახადების საერთო სიდიდის განაწილებაში მონაწილეობს სახელმწიფო. გადასახადების სიდიდე დამოკიდებულია შემოსავლებსა და ქონებაზე, რაც შეესაბამება სახელმწიფოს მიერ გადამხდელის სასარგებლოდ გაწეული მომსახურების მოცულობას (სიკეთეს), თუმცა არაპროპორციულად. გადასახადების თავისებურება მისი სავალდებულობაა და გადამხდელის კეთილ ნების არ არსებობისას, ე.ი. როცა მას არ სურს შეასრულოს თავისი ვალდებულება, ისინი იძულებითი ხასიათს იღებს.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ქმნის ტრანსაქ ციულ სიკეთეს. მისი შექმნა შეიძლება შენდეგნაირად წამოვიდგინოთ:

- ტრანსაქციების სფეროები ტრანსაქციული სიკეთენი
- კონტრაქტები,
- კონტრაქტების ტიპური ფორმები,
- შესრულების იძულების სისტემა; გაზომვები, ფული, ზომაწონის
- სისტემა, ხარისხის სტანდარტები
- საკუთრების უფლების დაცვა საკუთრების ტიტულები,
- სასამართლო სისტემა,
- პენიტენციალური სისტემა.
- ინფორმაციული გარემო.პირდაპირი და სტატიკური ინფორმაცია

სახელმწიფო ეკონომიკურ სუბიექტებს აწვდის კონტრაქტების ტიპურ ფორმებს, ეხმარება მათს შესრულებაში სამართლებრივი ინსტიტუტების გამოყენებით. გაზომვებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მისი ძირითადი ინსტრუმენტები შექმნილია სახელმწიფოს მიერ და ეკუთვნის მას. ესაა ფულადი ერთეულები, სტანდარტები და სხვა. სახელმწიფო იცავს ამ ზომის ერთეულების გამოყენების პირობებს. ეს ინსტრუმენტები მნიშვნელოვან სიკეთეს წარმოადგენს ეკონომიკური აგენტებისთვის.

საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტი სახელმწიფო ინსტიტუტებია ხელისუფლების ორგანოები და საკანონმდებლო ბაზა. სახელწიფო ახდენს საკუთრების რეგისტრაციას, უფლების (ტიტულის) გაფორმებას, უსასყიდლო ინფორმაციას აწვდის მესაკუთრეებს საკუთრების უფლების გარშემო არსებული წესებისა და საკანონმდებლო ნორმების შესახებ. იგი არის საკუთრების უფლების დაცვის გარანტი, რისთვისაც იყენებს სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებს. სახელმწფოს გარეშე საკუთრების დაცვა ძლიერ ძვირი და ძნელი იქნებოდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პიროვნებისა და მისი უფლებების დაცვის ფუნქცია, რასაც სახელმწიფო უსასყიდლოდ უწევს მოქალაქეებს და მათ შორის მეწარმეებს, რომელთაც რიგ შემთხვევაში იგი განსაკუთრებით სჭირდებათ, კერძოდ, როცა ემუქრებათა თავდასხმა ფიზიკური თუ მატერიალური ზიანის მიყენების მიზნით.

სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ტრანაქციული სიკეთენი უფასო ან უმნიშვნელო ფასისაა. ამის სანაცვლოდ მოქალაქენი ვალდებულნი. არიან დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი, კაანონები, გადაიხადონ გადასახადები. მაგრამ ამ მოვალეობას ისინი ყოველთვის არ ასრულებენ სათანადო დონეზე. გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით მოვალეობის შეუსრულებლობისადმი მიდრეკილება ე.წ. ,,უბილეთოდ მგზავრობის“ ხატოვანი გამოთქმის შინაარსით შეიძლება დახასიათდეს. ეს გულისხმობს შემთხვევას, როცა ადამიანები თავს არიდებენ გადასახადის გადახდას, ხოლო ტრანსაქციულ სიკეთეს მოითხოვენ და იღებენ სახელმწიფოსგან. არსებულ სინამდვილეში გადასახადების გადაუხდელობის, შემოსავლებისა და ქონების დამალვის გარკვეული შესაძლებლობა ინდივიდებს შეიძლება ექნეთ გარკვეულ პერიოდში მაინც. ამ დროს ისინი სახელმწიფოსგან იღებენ ტრანსაქციულ სიკეთეს სხვების ანალოგიურად, ვინც კეთისინდისიერად იხდის გადასახადებს. სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, გააჩნია ბერკეტები აღკვეთოს ,,უბილეთო მგზავრის“ ქცევა, ამასთან აქ მნიშვნელოვანია ინდივიდთა ზნეობრივი და კულტურული დონე, მოვალეობის გაცნობიერება და გრძნობა.

ტრანსაქციული დანახაჯების რაოდენობითი განსაზღვრა

ტრანაქციული ანალიზის დიდი პრობლემაა დანახარჯების განსაზღვრა და შეფასება. ეს სირთულე უკავშირდება მათ არაფორმალურ და ალბათურ ხასიათს. ამ დანახარჯთა შესახებ მონაცემების ბურალტრული აღრიცხვის მეშვეობით მიღება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, რიგი დანახარჯები კი გაზომვას არც ექვემდებარება, მათი გამოყოფა საქმიანობის სხვა დანახარჯებიდან ვერ ხერხდება. მაგალითად, შეუძლებელია სახელმწიფოს კანონმდებლობის სფეროში ტრანსაქციების დამახარჯები გავანაწილოთ და მივაკუთვნოთ ცალკეულ ფირმებს. მიუხედავად ამისა, ტრანსაქციული დანახარჯების დიდი ნაწლის განსაზღვრისა და შესფასების საკითხი მოხსნილი არაა. ეს დანახარჯები შეიძლება გამოვყოთ და დავადგინოთ, რაც საჭიროა მათი ეფექტიანობის ანალიზისა და მინიმიზაციის ღონისძიებათა შემუშავებისთვის, დანახარჯების დინამიკის პროგნოზრებისთვის. ამრიგად, განიხილება გაზომვადი და გაუზომვადი ტრანსაქციული დანახარჯები.

მეცნიერებამ ტრანსაქციული დანახარჯების განსაზღვრისადმი ორი მიდგომა შემუშავა: ორდინალისტური (არარიცხობრივი, რანგობრივი) და კარდინალისტური (კონკრეტულ რაოდენობით საზომებში გამოხატული). მეტწილად ორდინალისტური მიდგომის გამოყენებას ვხვდებით, რომლის დროსაც

ცდილობენ ახსნან ტრანსაქციის სტრუქტურის ცვლილების ხასიათი და ინტენსიობა ეკონომიკაში მთლიანად ან დარგში, ქვეყანაში, შინა საფირმო ტრანსაქციის შენაცვლება საბაზროთი. ასევე ხდება ინსტიტუციური შეთანხმებების ჰიბრიდული ფორმების გამოვლენა შეფარდებით ტრანსაქციულ დანახარჯებში. ორდინალისტური მიდგომა ცვლილების დონისა და მიმართულების შეფსების საშუალებას იძლევა. ხდება არსებული ალტერნატივების და მათი შეფარდებითი სიდიდეების შედარება მოქმედი ინსტიტუციური შეთანხმების ფარგლებში.

მაგრამ ყოველივე ეს არაა საკმარისი ტარნსაქციული დანახარჯების შეფასებისთვის. გაკეთდა ტრანსაქციული დანახარჯების რაოდენობითი შეფასების (გაზომვის) კარდინალისტური ვარიანტის ცდები. ეს გულისხმობს ისეთი რაოდენობითი (რიცხვითი) მაჩვებენლების მიღებას ტრანსაქციულ დანახარჯებზე, რომლებიც გამოხატევენ მათ სიდიდეს ან ხვედრით წონას ფირმის მთლიან პროდუქციაზე და ქვეყნის მასშტაბით მთლიან შინა პროდუქტზე დანახარჯებში, ასევე გარიგების წილს ფულად გამოხატულებაში და გარიგების დროის ფულად შეფასებას.

ამისათვის დანასახრჯებს ყოფენ მწარმოებლურად ანუ საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგის მომცემად და არამწარმოებლურად, საზოგადოებისთვის დანაკაგების მომტან დანახარჯებად. პირველს მიეკუთვნება, მაგალითად, საკუთრების სპეციფიკაციისა და დაცვის, კონტრაქტების დადების და სხვა დანახაჯები. არასამწარმოებლური ხარჯები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად, რომლებიც დაკავშირებულია: 1. რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და მათზე უფლების მოპოვებასთან; 2. მეურნეობრივი საქმიანობის უფლების მოპვებასთან; 3. საქმიან ურთიერთობათა შენარჩუნებასა და სანქციების გამოყენებასთან.

ამ მაჩვენებელთა განსაზღვრისათვის საჭირო მონაცემები შესაძლებლია მიღებულ იქნეს მეწარმეთა გამოკითხვებიდან, ასევე ეკონომიკური დანაშაულობების შესახებ სასამართლო საქმეების ანალიზიდან.

ეს შეფასებები ტარდება ცალკეული ბაზრებისთვის, ასევე მთელი ეკონომიკისთვის.

ფირმის შინა ტრანაქციული მომსახურების ხარჯების შეფასების ორი ვარიანტი გამოიყენება: 1. ეს მდგომარეობს კონტრაქტების განხილვაში თანმიმდევრული იერარქიული სტრუქტურის მიხედვით: ფირმების მფლობელთა (მესაკუთრეთა) და მენეჯერებს შორის, მენეჯერებსა და კონტროლიორებს (ზედამხედველებს) შორის, კონტროლიორებსა და დაქირავებულ მუშაკთა შორის; 2. ამ შემთხვევაში ტრანსაქციული ხარჯების დადგენა გამოიხატება იმ ადამიანთა შენახვის ხარჯების განსაზღვრაში, რომლებიც წარმოადგენენ შუალედური თანამდებობის მუშაკებს იერარქიულ სისტემაში (ოსტატები, კლერკები, კონტროლიორები , მენეჯერები) . ეს არის დანახარჯების ის ნაწილი, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს უშუალო მწარმოებლებს, მაშასადამე, ეს შუალედური რგოლის დანახარჯებია, რომლებიც გაცვლის, კოორდინციის, კონტროლის ფუნქციებს მიეკუთვნება, პირდაპირ უზრუნველყოფს ამგვარ ტანსაქციულ მომსახურებას.

ტრანაქციული დანახარჯების განსაზღვრა ითვალისწინებს:

პროფესიების გამოყოფას, რომლებიც პირადაპირაა დაკავშრებული ტრანსაქციული ფუნქციების შერულებასთან, კერძოდ: რესურსების შეძენასთან; წარმოებული პროდუქტის განაწილებასთან; ტრანსაქცული ფუნქციის განხორციელების კონტროლთან და შესულებასთან;

მომუშავეთა ხელფასზე ტრანსაქციული დანახარჯების განსაზღვრა მთელი საერთო საფირმო ტრანსაქციულ დანახარჯების მიმართ.

მთელი ეკონომიკის მასშტაბით ტრანსაქციული დანახარჯების განსაზღვრისას გამოდიან იქიდან, რომ არსებობს დარგები, რომელთა საქმიანობა განეკუთვნება ტრანაქციული მომსახურების (სიკეთის) შესრულებას. აქედან გამომდინარე, მათ მიერ გამოყენებული რესურსები განიხილება როგორც ტრაცნსაქციული დანახარჯების ნაწილი. ამ დარგებს პირველ რიგში მიეკუთვნება საშუამავლო ფირმები. მათი რიცხვი შეიძლება გავზარდოთ იმ დარგების დამატებით, რომლებთანაც დაკავშირებულია წმინდა ტრანსაქციული მომსახურება. როგორიცაა: ფინანსები და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები; საბანკო საქმე და დაზღვევა; სამართლებრივი (იურიდიული) მომსხურება; ტრანსპორტი ტრანსაქციული მომსახურების ნაწილში, ასევე საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

ტრანსაქციული დანახარჯების განსაზღრისადმი მეორე მიდგომა, რომელიც მიკრო და მაკრო ანალიზის შეხამებას ემყარება, ადგენს საქონელბრუნვის დინამიკას, ეროვნულ შემოსავალში მათ წილს მაკროდონეზე, ასევე ფირმების ზედნადები დანახარჯების წილს თვითღირებულების სხვა მუხლების მიმართ.

ფირმის ტრანსაქციული დანახარჯებისათვის შემოთავაზებული ერთერთი ფორმულა ასეთია:

$$C = B^* N\lambda \ / (F\mu + I\nu)$$

სადაც: C ფირმის ტრანსაქციული დანახარჯებია; B* პროპორციულიბის კოეფიციენტი, რომელიც გაიზომება ფირმის დანახარჯების ერთეულებში;N ეკონომიკურად აქტიური აგენტების (აქტორების) რაოდენობა, რომელთაც დადებული აქვთ ინსტიტუციური შეთახმება ფირმასთან; F ფორმალური ინსტიტუტების (კონტრაქტების) რაოდენობა, I არაფორმალური ინსტიტუტების რაოდენობა; λ , μ, ν ინსტიტუციური გარემოს ფორმირებისთვის აქტორების, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გამოყენების ელასტიკურობის კოეფიციენტები.

ტრანსაქციული ფუნქციით აღიწერება ტრანსაქციული დანახარჯები, რომლებიც რაოდენობრივად ახასიათებს ტრანსაქციებს. ის შეიძლება გამ-

ოვიყენოთ ამ დანახარჯების მინიმიზაციის ზომების შემუშავებისთვის.

ამ ფუნქციის გამოყენების მნიშვნელოვანი პირობებია: საჭირო სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ელასტიკურობის კოეფიციენტებისა და თვით ტრანსაქციული ფუნქციის დაზუსტება. ამისათვის მნიშვნელოვანია ემპირიული კვლევის ამოცანის დაყენება და გადაწყვეტა.

ამ ფუნქცის მეშვეობით შესაძლებელი გახდება ინსტიტუციური გარემოს პროგნოზირება, რაც აუცილებელია ეკონომიკის რეალურ სექტორში გონივრული სამეურნეო საქმიანობისთვის.

ტრანსაქციული დანახარჯების მინიმიზაცია

როგორც ზემოთ ვნახეთ, ტრანსაქციებს მვიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამეროვე ეკონომიკასა და პოლიტიკაში, შეიძლება ითქვს საქმიანობის ყველა სფეროში. მათ დიდი დანახარჯებიც ახლავს. არსებული შეფასებების მიხედვით, თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებში ტრანსაქციული დანახარჯების წილი მთლიან დანახარჯებში მზარდია. ზოგიერთი შეფასებით, პროდუქციის თვითღირებულებაში გარიგებათა გაფორმების დანახარჯები შეადგენს 70%ამდე. არსებობს სხვა გაანგარიშებაც, რომლის მიხედით, საბაზრო ეკონომიკაში ტრანსაქციული დანახარჯები თვითღირებულების 5960 % შეადგენს.

ამასთან, ტრანსაქცების სიკეთეც დიდია. და მაინც, ისე როგორც ყველა სფეროში, აქაც მნიშვნელოვანია გაწეული დანახარჯების ეფექტიანობა. საერთო ტრანსაქციული დანახარჯების ზრდა გარდუვალია საქმიანობის მასშტაბებისა და მასთან დაკავშირებული ტრანსაციების გაფართოების კვალობაზე, მაგრამ პროდუქციის ერთეულზე მათი მინიმიზაცია შესაძლებელია. ისინი სხვადასხვა სფეროში და ქვეყანაში სხვადასხვა ტემპით იზრდება. ამის შესახებ წარმოდგენას მოგვცემს ცხრილი 5.

ცხრილი 5

ტრანაქციული დანახარჯები ცალკეული ავტორების მიხედვით

ინფორმაციის წყარო	ტრანაქციული სექტორის სიდიდე,%	ტრანსაქციული დანახარჯების წილი ფირმის მთლიან დნახარჯებში,%
დ. უოლესი და დ. ნორტი	54,7	
ე. ფურუბოტი, რ რიხტერი	5060 70 მდე	
ჯ. კ. ლაფტი		
მ.ი ვინოგრადოვა		1,5 დან 15მდე
ლ.ვ .ბუსაროვა, ი.ვ. მირგალაევა		6,7 11,5
ც. ოსმოლოვეცი		

ეს მონახცემები ასახავს ცალკეული ქვეყნის, ასევე ტრანაქციული სექტორის ანალიზის თავისებურებებს. ამ მონცემებით ჩანს, რომ ტრანსაქციული სექტორის სიდიდე ეკონომკაში შეადგენს 50დან 70 % მდე, ხოლო დანახარჯები ფირმის მთლიან დანახაჯებში 1,5 დან 15 %მდე.

ჯ. უოლისის და დ. ნორტის გამოკვლევის მიხედვით, აშშ-ში 1870 წლიდან 1970 წლამდე ტრანსაქციული სექტორის დანახარჯები მშპ-ში გაიზარდა 23 დან 45 %მდე. ყველაზე დიდ ადგილს მათში იჭერს ინფორმაციის ძებნის დანახარჯები,.

ამ ავტორების მიერ ტრანაქციული დანახარჯების კვლევისათვის ტრანსაქციული სექტორის გამოყოფა მიმართულია საერთოდ ხარჯების ანალიზის გაუმჯობესებისკენ. ამ სექტორში კი ისინი გულისხმობენ საბითუმო და საცალო ვაჭრობას, დაზღვევას, საბანკო სფეროს, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, მართველობის აპარატის დანარჯებს სხვა დარგებში, სახელმწიფოს დანახარჯებს სასამართლო და სამართალდაცვით საქმიანობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება ამ სექტორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკონომიკაში. აქედან ნათელია ტრანსაქციული დანახარჯების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელობა. მაღალმა დანახარჯებმა ტრანაქციებზე შესაძლოა შეაფერხოს ცალკეული კოტრაქტების დადება, საბოლოოდ დოვლათის შექმნისა და გასაღების პროცესი. ამდენად ეკონომიკურ სუბიექტების მიზანია მათი შეფარდებითი შემცირება, მინიმუმამდე დაყვანა. ეს მინიმუმი, ცხადია, უნდა იყოს ის ოპტიმალური სიდიდე, რომლის შემდეგ შემცირება იწვევს უარყოფით შედეგს ხელს შეუშლის დოვლათის შექმისა და გასაღების პროცესს. მაშასადამე, დგას ამ დანახარჯების ოპტიმიზაციის ამოცანა. იგი მდგომარეობს მათი შეფარდებითი სიდიდის ანუ საქმიანობის შედეგებზე

(საქონელზე, მომსახურებაზე) მათ ერთეულზე, ე. ი.მთელ დაბახარჯებთან მიმართებით შემცირებაში. საქმიანობის სხვადასხვა დარგში ტრანსაქციული დანახარჯების მინიმიზაციის გზები და კონკრეტული ღონისძიებები სპეციფიკურია ამ სფეროების ტექნოლოგიური და ორგანიზაციული (მართვის) სპეციფიკის გამო. ამასთან, უპრიანია ვიმსჯელოთ საერთო ხასიათის გზებსა და ღობისძიებებზეც. ქვემოთ ძირითათად მათზე შევჩერდებით ცალკეული კონკრეტული მაგალითების მოხმობით.

გამოყოფენ შვიდ ძირითად ფაქტორს, რომლებიც ამცირებს ,,ურთიერთმოქმედების დანახარჯებს" საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

- ჯერ ერთი, ესაა ხელსარელი ,,სამართლებრივი ველი", რომელიც პასუხობს შემდეგ მოთხოვნებს: ეკონომიკური სტიმულების სამართლებრივი საფუძლების გააზრებულობა; ,,თამაშის წესების" სიმარტივე და ,,ყოვლისმომცველობა;" კორუფციისა და ბიუროკრატიზაციის დაბალი დონე; მხარდაჭერის უზრუნველყოფის ცენტრალიზებული (სახელმწიფო) მექანიზმის, მათ შორის კონფლიქტების გადაწყვეტისა და ხელშეკრულების იძულებით დაცვის ბერკეტების არსებობა.
- მეორე, ეკონომიკის სუბიექტების მხრივ კანონების პატივცემა, სხვისი საკუთრების უფლების აღიარება;
- მესამე საზოგადოებაში ნდობის მაღალი დონის არსებობა;
- მეოთხე, მაკროეკონომიკური პოლიტიკური სტაბილურობა;
- მეხუთე, ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი;
- მეექვსე, ეკონომიკის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების საკმარისი დონე;
- მეშვიდე, არაფორმალური წესები, ადათჩვევები, ტრადიციები.

ინსტიტუციურ თეორიაში ჩამოყალიბებულია ტრანსაქციული დანახარჯების მინიმიზაციის პრინციპები. ასეთებად ითვლება:

- სხვადასხვა დონეზე დანახარჯების მართვის მეთოდების ერთიანობა;
- დანახარჯების მართვისადმი სისტემური მიდგომა;
- დანახარჯების მინიმიზაციის ღონისძიებათა შერწყმა პროდუქციის (მომსახურების) მაღალ ხარისხთან;
- ზედმეტი დანახარჯების გამორიცხვა;
- დანხარჯების შემცირების ეფექტინი მეთოდების ფართოდ დანერგვა;
- დანახაარჯების დონის შესახებ ინფორმაციული ბაზის სრულყოფა;
- ფირმის (საწარმოს) ქვედანაყოფების დაინტერესება დანახარჯების მინიმიზაციით.

ტრანსაქციული დნახარჯების მინიმიზაციის გზები ზოგადად შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვალიბოთ:

- მონიტორინგი ტრანსაქციები ოპტიმიზაციის მიზნით;
- ტექნილოგიური ცვლილებები, რომლებიც ამცირებს ტრანსაქციურ დანახაჯებს (რიგ შემთხვევაში მათ შეიძლება გაზარდონ კიდეც ისინი, მაგრამ საბოლოოდ მეტი დადებითი ეფექტიც გამოიწვიონ);
- სახელმწიფოს მიერ შემოღებული ზომაწონის ერთეულები;
- სახელმწიფოს მხრივ სამართლებრივი ნორმების დადგენა და დაცვა, რომლებიც ეხება კონტრაქტების იძულებით შესრულებასა და კონტრაქტორთა მესამე პირისგან დაცვას;
- ინფორმციული სისტემების, მონაცემთა ბაზის შექმნა, საინფორმაციო სამსახურების (მაგალითად, ინტერნეტის ქსელს) განვითარება;
- ვერტიკალური ინტეგრაცია, რომელიც სპეციფიკურ აქტივებში ინვესტიციებს უწყობს ხელს;
- ფულადი სისტემა, რომელიც აადვილებს კონტრაგენტების ძებნას და სხვა ოპერაციებს.

ტრანსაქციული დანახარჯების მინიმიზაციის გზები უნდა განვასხვავოთ ტრანსააქციების დონეთა მიხედვით, კერძოდ, ისინი შეიძლება განვიხილოთ გლობალურ, ქვეყნების დონზე, ეკონომოკური და სოციალური აქტივობებისა და ლოკალურ ფირმებისა და დარგების დონეზე.

პირველ შემთხვევაში ტრანსაქციული დანახარჯების შემცირების გზები დაკავშირებულა შესაბამისი ინსტიტუტების შექმნასთან, რის შედეგად ხდება საზოგადოების მხრივ მზარდი ტარნსაქციული დანახარჯების შემცირება; ლოკალურ დონეზე კი ტრანსაქციული დანახარჯების მინიმიზაციისთვის მთავარია ამ ხარჯების ცალკეული სახეობების შემცირების ზომები კონკრეტულ საწარმოებში (ფირმებში), მათი სპეციფიკის გათვალისწინებით.

განვიხილოთ ეს ზომები ცალკეული სახეობების მიხედვით.

ინფორმაციის ძებნის დანახარჯების შემცირებისთვის ხელსაყრელი ფასების პირობებში ინფორმაციას იძენენ სპეციალიზებული ბაზრის მეშვეობით, კერძოდ ბირჟიდან, ასევე იყენებენ რეკლამას და რეპუტაციას. ორგანიზებულ ბაზარზე ხარჯების ეკონომია შესაძლებელია მოთხოვნისა და მიწოდების კონცენტრაციის მეშვეობით, რის შედეგად ჩქარდება ინფორმაციის ცირკულაცია და ინტენსიურად მიმდინარეობს ფასების გამოთანაბრება.

კონტრაგენტის ოპოტუნისტული ქცევის თავიდან აცილების დანახარჯების შემცირებისთვის გამოიყენება ეკონომიკური აგენტის საზოგადოებრივი შეფასება ოპორტუნისტის საქმიანი ეთიკის მახასიათებლის გარშემო, როცა ეს მეწარმეს ეხება.

სპეციალიზაციის და გაცვლითი ოპერაციების ინტენსიურობის პირობებში მნიშვნელოვანია ანგარიშსწორების დანახარჯების მინიმიზაცია. ეს მასობრივ პროცესებთანაა დაკავშირებული. ამ დანახარჯების შემცირების მთავარი გაზაა საბანკო სისტემის მაღალსპეციალიზებული მომსახურების

უზრუნველყოფა.

გაზომვების დანახარჯების შემცირებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი. მინიმიზაცია შეიძლება შეეხოს გაზომვების ორივე სახეობას ფიზიკურსა და სამართლებრივს. გასაცვლელი დოვლათის ხარისხობრივი მახასიათებლების გაზომვათა ტრანსაქციულ დანახარჯების მინიმიზაციის გზები დაკავშირებულია ფულის, როგორც ანგარიშსწორების საყოველთაოდ მიღებული საშუალების, გამოყენებასთან, რაც გარანტირებულია სახელმწიფოს ძალაუფლებით ან ეკონომიკურ სუბიექტთა სამეურნეო ტრადიციით, ჩვევებით.

კონტრაქტების დადების დანახარჯები, რომლებიც ტრანაქციული დანახარჯების დიდი ნაწილს შეადგენს, შეიძლება დაექვემდებაროს მინიმიზაციას საწარმოში ძლიერი იურიდიული სამსახურის არსებობის შედეგად, რომელსაც შესწევს უნარი ყოველმხრივ ასახოს და დაიცვას აგენტების ინტერესები მრავალპლანიანი საერთო თუ სპეციალიზებული კონტრაქტების შემუშავებისა და შესრულებისას. რაც უფრო დეტალურად, ხარისხიანადაა კონტრაქტი შედგენილი, მით უფრო ნაკლებია ოპორუნისტული ქცევების ალბათობა.

შემდეგ. უაღესად მნიშვნელოანია საკუთრების უფლების დაცვის დანახარჯთა ეფექტიანობა და მათი მონიმიზაცია ამ უფლებათა დაზიანების გარეშე. საკუთრებითი უფლებები მასობრივი მოვლეენაა. იგი ნებისმიერ ეკონომიკურ სუბიექტს ეხება. აცილებელია მათი დაცვის სრულად უზრუნველყოფა. ამასთან, ერთი სუბიექტის საკუთრებითი უფლებების დაცვა არ უნდა აზიანებდეს მეორისას. საერთოდ, ამ უფლებათა დაცვის აუცილებლობა იქიდან წარმოიშვება, რომ არსებობს ერთის უფლებათა გადჭარბების ან ერთის მიერ მეორის უფლების მითვისების შესაძლებლობა. ამდენად საჭირო ხდება მისი აღკვეთა სხვადასხვა სანქციების გამოყენებით.

საკუთრების უფლებათა დაცვის და მათი სპეციფიკაციის ხარჯების შემცირება მიმართულია პარტნიორული დამოკიდებულების თვალსაზრისით კონტრაქტების გრძელვადიანი შედეგისაკენ. ამ ხარჯების მინიმიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია თვით ეკონომიკური აგენტების ზნეობრივი ქცევა, სამართლებრივი ნორმებისადმი პატივცემა, კანონმორჩილება, რაც შეამცირებს დარღვევებს საკუთრებისადმი დამოკიდებულებაში, ამ უფლების შელახვის შემთხვევებს. ცხადია, საკითხი ამით არ ამოიწურება. იგი შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს სამრთლებრივი სამსახურების სისტემის სრულყოფისკენ მიმართული ღონისძიებებით, რაც უმთავრესად სახელმწიფოს პრეროგატივაა.

საგრძნობი შედეგი შეიძლება მოგვცეს ოპორტუნისტული ქცევის აღკვეთის დანახარჯების შემცირებამ. ღონისძიებები უნდა იქნეს მიმართული როგორც შინა, ისე გარე ოპორტუნისტული ქცევის აღკვეთის ხვედრითი ხარჯების მინიმზაციისკენ. რამდენადაც შინა ოპორტუნისტული მოქმედებები გამომდინარეობს თვით საწარმოს (ორგანზაციის) თანამშრომლებისგან, ამ ხარჯების მინიმიზაცია შესაძლებელია კადრების სწორად შერჩევით, კადრებთან მუშაობის მაღალი პროფესიონალიზმით, ასევე მაღალი მორალური თვისებებით. საგულსხმოა სწორი ეკონომიკური და მორალური სტიმულების როლი, საწარმოსა და თანამშრომელთა ინტერესების შესაბამისობის დაცვის საკრედიტო და იურიდიული სამსახურის გაუმჯობესება.

უნდა შევნიშნოთ, რომ ტრანსაქციული დანახარჯების მინიმიზაცია არ შეიძლება იყოს თვითმიზანი. ის უნდა ხდებოდეს ამ დანახარჯების ეფექტიანობის ამაღლების პირობებში, ე. ი. ტრანსაქციული სიკეთის ერთეულზე მათი შეცირებით.

ტრანაქციულ საქმიანობის გაფართოება და მისი დანახარჯების მოცულობის ზრდა საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და გასაღების, განაწილების, საერთო ხარჯების შემცირების ერთერთი პირობაა. ამდენად აუცლებელია ტრანსაქციული დანახარჯების მინიმიზაციისადმი კომპლექსური მიდგომა. ამ ხარჯების სუბოპტიმლური, ცალმხრივი ეკონომია შესაძლ;ებელია დაკავშირებული იყოს რიგ უარყოფით შედეგებთან ეკონომიკური აგენტებისა და სახეკლმწიფოსთვის, ხელს უშლიდეს დოვლათის წარმოების გაფართოებას, ხარისხის გაუნჯობესებას. ამდენად ტრანსაქციული დანახარჯების შემცირების ღობისძიებები უნდა იყოს დასაბუთებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების საფუძველზე. ინსტიტუციური თეორიის დასკვნა ამ მხრივ გამოიხატება ინსტიტუციური სფეროს გაფართოებისა და სრულყოფის, საერთო დანახარჯების ზრდის აუცილებლობაში მათი ხვედრითი სიდიდის მინიმიზაციის პირობებში, ანუ ეფექტიანობის ზრდაში.

არაწონაწორული პროცესების ანალიზის მეთოდები

თავიდან საჭიროა გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობენ არაწონასწორულ პროცესებში და რა ადგილი აქვს მათ ეკონომიკაში, როგორია მათ მიმართ ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის დამოკიდებულება. თეორიისა და პრაქტიკისათვის ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები: ეკონომიკის ბუნება პროცესების შინაგანი კავშრებისა და დაბალანსებულობის თვალსაზრისით; ის, თუ რამდენად არის პროცესები ეკონომიკაში შეწონასწორებულ, დაბალანსებულ მდგომარეობაში; რა მნიშვნელობა აქვს წონასწორობას, არის ის აუცილებელი თუ არა; რა ფაქტორები მოქმედებს წონასწორობაზე თუ უწონასწორობაზე; რა როლი აქვს ადამიანის ქცევის ხასიათს, არის თუ არა ის რაციონალური; როგორ მოქმედებს ეკონომიკაზე, მაგალითად, ეკონომიკური ზრდაზე ამ პროცესის პირობათა ხასიათი; რა გავლენას ახდენს ინდოგენური და ეგზიოგენურო ფაქტორები, კერძოდ ინსტიტუტები, ეკონომიკურ პროცესებზე. ამის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, თუ როგორაა ასახული ეს პროცესები მეცნიერებაში, ანალიზის რა ძირითადი მეთოდები გამოიყენება არაწონასწორული პრო-

ცესების შესწავლისა და შეფასებისთვის.

თავიდან აქ აღსანიშნავია ნეოკლასიკური სინთეზის მიდგომა ეკონომიკური პროცესებისადმი, რაც გულისხმობს ძირითადად ბუნებრივი პროცესების ანალოგიურად მათ წონასწორობის მდგომარეობაში განხილვას. ნეოკლასიკური სინთეზის ფარგლებში მოკლევადიან პერიოდში ასეთი პროცესები აღიწერება შედარებითი სტატიკის მეთოდის საშუალებით, ხოლო გრძელვადიანი პერიოდისთვის ეკონომიკური ზრდის წონასწორული მოდელებით. ყურადღების გარეშეა არაწონასწორული პროცესები ან მათ ანალიზს მეტად მცირე ადგილი ეთმობა.

ახალმა ინსტიტუციურმა მიდგომამ ეს ცოდნა ეკონომიკის შესახებ ეჭვქვეშ დააყენა. განვითარების პროცესის ანალიზისადმი ამ მიდგომების საფუძველზე ეკონომიკა საერთოდ განიხილება როგორც სისტემა, რომელიც ძირითადად მყარ არაწონასწორულ მდგომარეობაში ინყოფება, მისი განვითარება კი არის მოძრაობა არაწონასწორული მდგომარეობიდან წონასწორულ მდგომარეობაში გადასვლისაკენ და ამ ეტაპების მონაცვლეობა. მაშასადამე, სტაბილური წონასწორობა ეკონომიკაში არ არსებობს, იგი იშვიათობაა, ხოლო ნორმალური მდგომარეობაა არაწონასწორობა. მართლაც, პრაქტიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წონასწორული ფასების მოთხოვნამიწოდების მოდელი თეორიული კონსტრუქციაა, ის ზუსტად არადროს ხორციელდება. რესურსების განაწილება დარგებსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის პროპორციული არაა. შრომის ანაზრაურება მოთხოვნამიწოდებით ნაკლებად განისაზღვრება, აქ სხვა ფაქტორების მოქმდება საგძრძნობია. ადამიანების მოთხოვნლებებისა და საბაზრო მოთხოვნის ურთიერთდმოკიდებულებაში წონსწორობის დარღვევა აშკარად შეიმჩნევა და ა.შ. ეკონომკური ადამიანის არსებული მოდელი შორდება რეალურს, რაციონალურობა ადამიანებს არასაკმრისად ახასიათებთ. ნეოკლასიკური მოდელის ეკონომიკა ფაქტობრივად აშკარად განსხვავებულია სინამდვილისაგან.

კიდეე უფრო შორს მიდის, მაგალითად, ვ. კ. ნუსრატულინი, როცა იგი გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის გახილვისას გამოდის შემდეგი პოსტულატებიდან:

ა) ეკონომიკაში არ არსებობს სხვადასხვა საქონელმწარმოებლის მიერ წარმოებული ერთი და იმავე საქონლის წარმოების ტოლი დანახარჯები;

ბ) საბაზრო ფასი არაა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების დამთხვევის შედეგი, ყოველი საბაზრო ფასი ყალიბდება საქონლის გამყიდველსა და მყიდველს შორის ინდივიდუალური აქტის საფუძველზე, რაც შეესაბამება ურთიერთსარგებლიანობის შესახებ მათ ინდივიდუალურ შეთანხმებას.

გ) ეკონომიკაში არსებობს საცალო ფასების უსასრულო დინამიკური მრავალფეროვნება, რომლებიც არამც და არამც არ მიისწრაფის ერთი დონისაკენ, ე.ი წონასწორობისკენ. ამდენად ეკონომიკაში შეუძლებელია არსებობდეს საბაზრო ფასების წონასწორობა. [5]

ეს შეხედულება, ვფქრობთ, გადაჭარბებულია. ჯერ ერთი, წონასწორობაში არ უნდა ვიგულისხმოთ სრული ტოლობა, ეკონომიკური სიდიდეების თანაბრობა; მეორე, ის, რომ ერთიდაიმავე საქონლის მწარმოებელთა დანახარჯებში პრაქტიკულად ყოველთვის დიდი განსხვავებაა, არაა სწორი. ასეთი წარმოებები კონკურენციულ პირობებში ვერ იარსებებს. არც ისაა სწორი, რომ ფასები არ მისწრაფის გათანაბრებისკენ, თუმცა სრული გათანაბრება არ ხდება. ეს კარგად ჩანს პრაქტიკიდან. მაგალითად, ბეზინის საცალო ფასი ქვეყნის ბაზარზე დაახლოებით თანაბარია, რაც ცნობილია ყველასთვის. ასეა სხვა საქონელთა მხრივაც.

ამრიგად, საკითხი დგას ეკონომიკური თეორიის მაინსრტიმის რეკონსტრუქციის შესახებ. მეცნიერებაში არაწონასწორული პროცესების ანალიზის თანმიმდევრული თეორია ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული, საკმარისად დამუშავებული მეთოდები არ არსებობს. ამასთან, ცალკეული იდეები, რომელთაც შეიძლება ანალიზი დაეყრდნოს მოიპოვება თვით წონასწორობის თეორიის ფუძემდებელ ავტორებთან ლ. ვალრასთან ა. მარშალთან, ვ. პარეტოსთან, უ. ჯევონსთან და სხვებთან. საერთო წონასწორობის კონცეფცია, რომელიც შეიმუშავა ლ. ვალრასმა ფართოდ დომინირებდა ეკონომიკურ თეორიაში, მაგრამ ვალრასის მოდელი, ჟ, ბ . სეის მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობისაგან განსხვავებით, გულისხმობდა კერძო ბაზრებზე უწონასწორობის არსებობასაც. ამ შემთხვევაში წონასწორობის დარღვევაზე რეაგირებას ახდენს პროცესები, რომლებიც მას ეწინააღმდეგება. უფრო მნიშვნელოვანი ამ მხრივ არის ჯ. კეინზის, მ. ფრიდმენის , დ. მაკლოკსის ი. შუმპეტერის მოსაზრებები. ეს პრობლემა ამა თუ იმ ზომით და კუთხით წამოწეული იყო ჯ. ჰიკსის, უ. რიკის, ჰ. შულცის, ჰ. კასელის, ი. კორნაის, ტ. სარჯენტის, ლ, ლუკმანის, ე.პ. ბაროს ჰ. გროსმანის, ვ. ბაუმოლის დ. ჰარისის და სხვათა მიერ. მის გარშემო კვლევებში გარკვეული წვლილი შეიტანა პ. სამუელსონმა. მათემატიკური ფორმულირება არაწონასწორულმა პროცესებმა მიიღო რ. ფიშერის, ტ. კუპმასის , ნ. კალდორის, ჯ. მარშაკის, ი. ტინბერგენის შრომებში. ამასთან, მათში არაწონასწორული პროცესების პირდაპირი ანალიზი ნაკლებადაა მოცემული.

ამრიგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ არაწონასწორული პროცესების ანალიზის განვითრებაში გარკვეული მიღწევები არსებობს, თუმცა ეს მიმართულება ჯერ კიდევ საჭიროებს შევსებასა და შემდგომ გამდიდრებას.

წარმოების დაქვეითების, უმუშევრობის, ეკონომიკური რყევების პროცესებმა, განსაკუთებით მე20

5 Нусратуллин В.К. Неравновесная экономика: теория и приложения (зарубежное издание): Монография. Deutschland, Saarbrucken: LAP LAMBERT Academic Publishing, 2011. 478 с.

საუკუნის 30იან წლების მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკურმა დეპრესიამ, ფაქტობრივად ნგრევითმა მოვლენებმა, რაც ეკონომიკის ძირითად დარგებს მოედო მსოფლიოს განვითარებულ ნაწილში, ცხადყო, რომ მათი ახსნა უნდა მოხდეს საბაზრო უწონონასწორობის პოზიციიდან. ეს ასევე ეხება პოსტსოციალურტურ ქვეყნებს, სადაც 90 იან წლებიდან დაწყებული ეკონომიკაში არნახული არასტაბილურობა და დაქვეითება, შესაბმისი გართულებების თანხლებით, სწორედ მაკროეკონომიკის წონასწორობის მკვეთრ და მრავალმხრივ დარღვევაში გამოიხატა. ამდენად მათი ახსნის საშუალებად უნდა ჩაითვალოს არაწონასწორული ანალიზი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არაწოსწორული პროცესების თეორია ონტოლოგიურ შინაარს იძენს.

ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა გარკვეულ შედეგებს უკვე იძლევა.

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხდევით არაწონასწორული პროცესების ანალიზში ძირითად საკითხებად უნდა გამოიყოს:

- არაწონასწორული პროცესების მეცნიერული განსაზღრება;
- არაწონასწორული პროცესების, როგორც ადამიანთა მოთხოვნილებების ცვლილებისადმი ობიექტური მისწრაფების ფუნქციის შედეგის, განხილვა ;
- არაწონასწორული პროცესების გაზომვა;
- არწონასწორული პროცესების თავისებურება მაკროდონეზე;
- მაკროგენერციის ცნება, მაკროგენერაციის პროდუქტიული ტრაექტორია;
- რეალური და ნომინლური მოთხოვნა;
- რეალური და ნომინალური მიწოდება;
- დისიპაციური სტრუქტურები;
- მაკროგენერაციის რეტროსპექტილი ევლუციურ მოდელი;
- მოდელირება არაწონასწორული დინამიკის პირობებში.

ერთ-ერთ მეთოდად, რომელი არაწონასწორული ეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის შემოთავაზებულია, გვევლინება იტერაციის მეთოდი. მისი მეშვეობთ აგებენ რეალური სექტორის ალტერნატიულ მოდელს, რომელიც გამოიყენება როგორც წონაწორობის, ისე არაწონასწორობის მახასიათებლების ანალიზისთვის.

იტერაციის მეთოდი მდგომარეობს ნეოკლასიკურ სინთეზის ხერხების შეერთებაში დინამკური არაწონასწორობის თეორიის მეთოდურ მიდგომებთან, პერიოდების ანალიზში თანამედროვე რაციონალიზმის ინსტიტუციური მიმართულების დებულებათა გამოყენებით. ამ მეთოდის საშუალებით ვარაუდობენ თანამედროვე მაინსტრიმის შესაძლებლობათა არსებითად გაფართოებას.

იტერაციის მოდელის საუძველზე ხდება ალტერნატიული ფორმალური მოდელის შემუშავება. მისი შესაძლებლობები არაწონასწორული პროცესების ახსნის მხრივ ფართოა. კვლევის იტერციის მეთოდი საშუალებას იძლევა ფინანსური ბაზრების სექტორში ავხსნათ ფულად საკრედიტო პოლიტიკის გავლენა საფინანსო სისტემაზე. ამ მიდგომით ფართოვდება IS LM მოდელის გამოყენების შესძლებლობები. IS LM მოდელის მიმართ იტერაციული მეთოდის გამოყენების მეშვეობით შესაძლებელი ხდება არაწონასწო რული პროცესების მოდელირება, რომლებიც წარმოიშვება წონასწორობის ფისკალური და მონეტარული დარღვევების შედეგად სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე. იტერაციის მეთოდი შესაძლებლობას იძლევა ასევე მოინახოს საგადასახადო საბიუჯეტო და ფულად საკრედიტო ღონისძიებების გამოძებნისა და შემუშავების საშუალება რთული მათემატიკური ანალიზის გამოყენების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ არაწონანსწორული პროცესების ჩართვა რეალური ეკონომიკის ანალიზში ნათელყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ნეოკლასიკური მოდელის ლოგიკურ უსუსურობას, რომ თითქოს ფასების ცვლილებას ,,სხვა თანაბარ პირობებში“ შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის სიდიდის ცვლილება. არაწონასწორული მიდგომისას შესაძლებებლია მივიღოთ ეკონომიკის რეალობასთან დაახლოებული მოდელი.

აქ შეიძლება დავამატოთ მათემატიკური ელემენტების გრაფიკებისა და მოდელების გამოყენებით არაწონასწორული პროცესების ანალიზის შესახებ. [6]

შეიძლება ითქვას, რომ მას საფუძველი ა. მარშალმა ჩაუყარა. როგორც ცნობილია, მან შეიმუშვა საქონლის ბაზრებზე წონასწორობის თეორიული მოდელი. ამასთან, მარშალი თვლიდა, რომ ეს მოდელი აღწერს რა ჰიპოთეზურ სიტუაციას ბაზარზე, არ იძლევა რეალური ბაზრის ფუნქციონირებისა და ფასწარმოქმნის სურათს. ის წონასწორობას ბაზარზე მიიჩნევდა პირობით და შეფარდებით სიტუაციად. ეკონომიკური ცხორებაში კი რეალური წონასწორობა ფაქტობრივად ვერ მიიღწევა. ვაჭრობა ფაქობრივად მიმდინარეობს არაწონასწორული ფასებით, რადგან ირღვევა წონასწორობის პირობები: მომხმარებელთა შემოსავლებისა და წარმოების ფაქტორების სტაბილურობა. ასეთია მარშალის აზრი. აქედან ცხადია, რომ ა. მარშალის მოძღვრებაში ძევს არაწონასწოპული პროცესების ანალიზის იდეა.

ჰიკსმა გააფართოვა მარშალის თვალსზრისი. მან გამოიკვლია მარშალის მიერ დასახელებული წონასწორობის დარღვევის პირობები და წარმოადგინა არაწონასწორობის თავისი ანალიზი.

არაწონასწორობის ანალიზის ერთერთი ნიმუშია კლაუერისა და ლეიონჰუფვრუდის არაწონასწორობის მოდელები. ანალიზის კლაუერის მოდელი ძირი-

6. დაწვრილებიით ამ მეოდების შესახებ იხ.В.Е. Маневич Эволюция неравновесного анализа. Экономика и математические методы. 2007. № 1.

თადად შეეხება არაწონასწორობას შრომის ბაზარზე. ის იხილავს არაწონასწორული ფასების, რომლებითაც ტრანსაქციები სრულდება, მნიშვნელობას შემოსავლებისა და საბაზრო წონასწორობის თეორიაში. ლეიონჰუფვრუდი შრომის ბაზარზე არაწონასწორობის წარმოშობის მიზეზებს სასაქონლო ბაზარზე არაწონასწორობაში ეძებს .

ასევე არაწონასწორობას ეხება შრომის ბაზრის მიხედვით პატინკინის მოდელი.

დაბოლოს, აღსანიშნავია ბაროუსა და გროსმანის მცდელობა ჩამოაყალიბონ უწონასწორობის საერთო (ვალრასის საერთო წონასწორობის მოდელის საპიროსპირო) მოდელი. იგი არის ეკონომიკაში საერთო უწონასწორობის ასახვის მცდელობა. ეს მოდელი წარმოადგენს შრომისა და საქონლის ბაზარზე უწონასწორობათა მოდელების ერთგვარ სინთეზს.

ინსტიტუტები როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური რესურსი

ინსტიტუტები საზოგადოების ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ნაწილია თავის ადგილითა და როლით. ეს გამოიხატება მათ გავლენაში ინდივიდების, კოლექტივებისა და მთლიანად საზოგადოების ქცევებზე, მათ ზემოქმედებაში ცხოვრების წესზე, ხასიათზე, ადამიანთა ურთიერთოვებზე, საქმიანობის შედეგებზე, მათ შორის ეკონომიკურ სარბიელზე, საბოლოოდ ცხოვრების მოწყობაზე და კეთილდღეობის დონეზე.

საზოგადოების ცხოვრებაში ინსტიტუტების როლთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი მომენტებია წარმოების ფაქტორების ბუნება, მოქმედების ხასიათი. ინსტიტუტები წარმოგვიდგება როგორც ნორმების, იდეების, ,,თამაშის წესების" (ნორტი), იძულების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ერთიანობა, ქცევის სტერეოტიპები. სწორედ მათი დანიშნულებაა რაც შეიძლება გაზარდონ საზოგადოების დოვლათის შექმნის რესურსების პოტენციალი.

უშუალოდ ისინი არ წარმოადგენენ მატერიალურ ძალებს, მოქმედებენ ადმიანთა და დოვლათის შექმნის სხვა ფაქტორების მეშვეობით. ამასთან, მათი მოქმედების ძალა დაკავშირებულია ადამიანისეული და მატერიალურტექნიკური რესურსების გამოყენებასთან. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, წარმოების რესურსების პოტენციალი მნიშვნელოვნადაა განპირობებული მათი მოქმედების მასშტაბებითა და ეფექტიანობით.

ინსტიტუტების გავლენა ცხოვრებაზე და, კერძოდ ეკონომიკაზე, ორგვარია; პოზოტიური და ნეგატიური. ეს ორგვარობა დამოკიდებულია მათ კონკრეტულ შინაარსზე და ასევე გამოყენების ხასიათზე, მიმართულებაზე. მაგალითად, ტრადიციების, ადათ ჩვევების გავლენა ცხოვრების წესზე, თუნდაც ეკონომიკურ საქმიანობაზე დადებითია მაშინ, როცა ისინი ხელს უწყობს ზნეობრივ მოქმედებას, შრომისმოყვარეობას, მეგობრულ ურთიერთობებს ადამიანებს შორის და სხვა. მაგრამ მათ შეიძლება დაამუხრუჭონ დადებითი ქცევა, ზიანი მოუტანონ ადამიანებსა და საზოგადოებას, როცა, მაგალითად, ადამიანებს შორის ვრცელდება და მკვიდრდება ნეგატიური ჩვევები: ანგარება, სიძუნწე, მოხმარებლური მიდგომა კეთილდღეობისადმი, არაჯანსაღი მეტოქეობა და სხვა. განსაკუთრებით დიდია სახელმწიფოს, პოლიტიკის როგორც დადებითი, ისე უაროფითი როლი ეკონომიკის მიმართ. რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

მაკროეკონომიკურ დონეზეც დამოკიდებულება სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და ეკონომიკას შორის თვალსჩინოა, რაც არ უნდა მიჩქმალონ ისინი მეცნიერებისა და პოლიტიკის ცალკეულმა წარმომადგენლებმა. ინსტიტუტების არსებობა, ჰუმანური ურთიერთობები ფირმის შიგნით, მუშაკთა პასუხიმგებლობა, დაინტერესება ფირმის წარმატებული საქმიანობის ერთერთი არაეკონომიკური, მაგრამ საყურადღებო პირობაა. პირიქით, მუშაკთა ოპორტუნიზმი, წამგლეჯობა, უპასუხიმგებლობა და სხვა უარყოფითი ქცევა და თვისება ფირმებს, მთელ საზოგადოებას დიდ დანაკარგებს უქადის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ნეგატიური მოვლენები ფართოდაა გავრცელებული.

ამრიგად, ინსტიტუტები უწინარესად უნდა წარმოვიდგინოთ როგორც საზოგადოებრივი სიკეთე, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ცხოვრების გაუმჯობესებაში მოწესრიგებით, ადამიანთა სარგებლობის მომტანი ქცევებით.

ინსტიტუტები მოქმედების წესის მიხედვით, დაიყოფა სახეებად: ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებად.ფორმალური ინსტიტუტებია კონსტიტუცია, კანონები, ინსტრუქციები და სხვა. იგი მოიცავეს პოლიტკურ, ეკონომიკურ, წესებს, ასევე კონტრქტებს. არაფორმალურ ინსტიტუტებად წარმოგვიდგება ადათჩვევები,

ეთიკის ნორმები, კულტურული, იდეოლოგიური იმპერატივები და სხვა. საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ქცევის წესების იერარქია შეიძლება წარმოვიდგინოთ ადათჩვევებით დაწყებული და კონსტიტუციით, საკნონმედბლო აქტებით, საკანონმდებლო განკაგულებებითა და დადგენილებებით დამთავრებული სისტემით. მათში დიდ ადგილს იკავებს ინდივიდუალური აქტები, სხვადასხვა დონის კონტრაქტები, რომლებიც საქმიანობისა და მოქმედების აუცილებელ მოთხოვნათა ერთობლობად გვევლინება.

განასხვავებენ ,,მკაცრ" და ,,რბილ" ინსტიტუტებს, რომელთა ურთიერთქმედების ფორმები გავლენას ახდენს მათ როლზე ადამიანთა ქცევის ჩამოყალიბებაში.

საგულისხმოა ინსტიტუტების წარმოშობის წყაროები და ხასიათი. ზოგადად ისინი ბიოლოგიური და სოციალური წარმოშობისაა, თუმცა მეცნიერებაში ამ ორი საფუძვლის ადგილის საკითხი სადავო იყო და რჩება კონკრეტული შინაარსის მიხედვით.

საზოგადოებრივი ინსტიტუტების, საერთოდ, რო-

გორც საზოგდოებრივი პროცესების რესურსის წყაროს, მოქმედება რეალიზდება მათ ფუნქციებით. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება:

ჯერ ერთი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა კვლავწარმოება და განმტკიცება. თითოეული ინსტიტუტი გამომუშავებული წესებისა და ნორმების საფუძველზე ამკვიდრებს საზოგადოების წევრთა ქცევის სტანდარტებს;

მეორე, რეგულაციური ფუნქცია. იგი გამოიხატება საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულების რეგულირების უზრუნველყოფაში ქცევის შაბლონების შემუშავებითა და მათი მოქმედების რეგლამენტაციით;

მესამე, ინტეგრაციული ფუნქცია, რაც მდგომარეობ საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთპასუხიმგებლობის უზრუნველყოფაში;

მეოთხე, ტრანსლაციური ფუნქცია. ესაა სოციალური გამოცდილების გადაცემა, არსებულ ფასეულობებთან, ნორმებთან, როლებთან ადამიანთა შესისხლხორცება.

ეს ზოგადი ფუნქციები კონკრეტდება ცალკეულ სფეროებში, მათ შორის ეკონომიკაში. მათი შესრულების შედეგებში გამოვლნდება ინსიტუტების რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენების შედეგები. ისინი მნივნელოვანეწილად განსზღვრავენ ეკონომიკის მდგომარეობას.

აღნიშნული ფუნქციების მნიშვნელოვანი შედეგია განუსაზღვრელობის შემცირება, როგორც ინსტიტუტების არსებობის გამოვლინება. ამის შედეგად წარმოიქმნება ტრანსაქციათა სხვადასხვა, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური სიკეთე, რამდენადაც სწორედ ინდივიდების თუ კოლექტივების გადაწყვეტილებათა და საქმიანობის მომავალი შედეგის განუსაზღრელობა წარმოშობს მრავალ დანაკარგს.

ინსტიტუტების რესურსული პოტენციალის პირობათა შორის აღსანიშნავია მათი მოქმედების მექანიზმი. იგი განსხვავებულია ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტებისთვის, ასევე საზოგადოების სტრუქტურის, კულტურის დონის, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების მიხედვით და სხვა. ისინი შეიძლება ხასიათს მიხედვით იძულებით, შემზღუდავ (კანონებზე, საერთოდ სამართლებრივი აქტებზე და ა.შ.) და არაძალადობრივ (შეგნებაზე, აღზრდაზე და სხვა) ორიენტირებულ ნორმებად დავყოთ. ეს ნორმები კონკრეტული შინაარსითა და შედეგებით ხასიათდება.

ინსტიტუტებს სისტემურობა ურთიერთშემავსებლობა (კერძო საკუთრება + დემოკრატია) და უთიერთშენაცვლებდობა (ლეგალური სამართალდაცვა, არალეგალური რეკეტი) ახასიათებს.

შევჩერდეთ ინსტიტუტების როლზე ეკონომიკაში. დღეისათვის პრაქტიკა სავსებით ნათლად ადასტურებს ინსტიტუტების მნიშნელოვან გავლენას ეკონომიკურ პროცესებზე, ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, განვითარებაზე. ეს საერთოდ აიხსნება იმით, რომ ეკონომიკა ადამიანთა საქნიანობის პროდუქტია, ის ატარებს ადამიანის, მის ქცევის ნიშანთვისებებს. ყოველგავრი ეკონომიკური ფენომენის ახსნის ამოსავალი სწორედ ადამიანთა ნიშანთვისებებსა და ქცევებში უნდა ვეძებოთ.

ამასთან, ეკონომიკურ მეცნიერებაში დღესაც კი აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა არსებობს ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფო ინსტიტუტის როლისა და მონაწილეობის გარშემო. დავა ამ საკითხზე წარმოიშვა ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბების ადრეული ეტაპიდან. იგი ძირითადად შემდეგ ასპექტებს შეეხება: ეკონომიკაში სხელმწიფოს, როგორც სუბიექტის, მონაწილეობას; ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს როლს; ეკონომიკაზე სახელმწიფოს გავლენის ზომებს; ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთობთა ფორმებს.

ზოგადად ამ დავის მთავარი საკითხია ის, ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებაში, რა ზომით და რა შედეგს გვაძლევს ასეთი ჩარევა. მაშასადმე, საკითხი ეხება იმას, ეკონომიკა საზოგადოების ცხოვრების ავტონომიური, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სფეროა თუ არა; სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს თუ არა ეკონომიკურ სუბიექტად; რა ფუნქციები ეკისრება სახელმწიფოს ეკონომიკის მიმართ; შესაძლებლია თუ არა წარმოვიდგინოთ ეკონომიკა ცალკე და სახელმწიფო ცალკე?

ეს თეორიული დავაა, მაგრამ თვით პრაქტიკამ, მისმა საჭიროებებმა აუცილებლობით ჩამოაყალიბა ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების ტიპები. ეს ტიპები განიცდიდა იდეოლოგიის, პოლიტიკური სუბიექტებისა და სისტემების გავლენას. ამასთან, ცხადი იყო ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების გარდუალობა.

მიუხედავად ეკონომიკური თეორიის ცალკეული სკოლების, მათ შორის ნეოკლასიკური სკოლის შეხედულებათა მიერ ინსტიტუციური ფაქტორის უგულებელყოფისა, რაზეც ზემოთაც აღინიშნა, მეცნიერება, განსკუთრებით ბოლო ხანებში, ინტენსიურად იკვლევს სახელმწიფოს ფატორის გავლენას ეკონომიკაზე. ამ მხრივ მთავარი ადგილი კლასიკურ ინსტიტუციონალიზმსა და ნეოინსტიტუციონალიზმს ეკუთვნის.

პრობლემა იმაშია, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის საუკეთესო, ყველაზე სასარგებლო საზოგადოებისა და ეკონომიკური სუბიექტებისთვის, როდის შეასრულებს ეკონომიკა ყველაზე უკეთ თავის დანიშნულებას ემსახუროს საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობას, თანაც შერჩევითობის გარეშე. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, დგას საკითხი, თუ როგორ შეასრულებს სახელმწფო თავის დანიშულებას, რომ იგი მაქსიმალურად უწყობდეს ხელს აღნიშნული ტიპის ეკონომიკის არსებობას.

ასევე, ეკონომიკის ინსტიტუციურ ფაქტორზე მსჯელობისას დღეისათვის არ შეიძლება შემოვი-

ფარგლოთ სახელმწიფოს, პოლიტიკის როლით, აუცლებელია სხვა ინსტიტუციების გავლენა გავითვალისწინოთ. საზოგადოების ინსტიტუტები ადათჩვევები, ადამიანთა მიდრეკილებები, კულტურა, საზოგადოებრივი (სამოქალაქო) ორგანიზაციები, მათ შორის პროფესიული კავშირები და სხვა სახელმწიფოსთან (ხელისუფლებასთან) ერთობლივად მოქმედებენ ეკონომიკის რეგულირების სფეროში. მათი როლი და მოქმედების წესი განსხვავებულია. ამასთან, არ შეიძლება იმისი უგულებელყოფა, რომ ყველაზე დიდი, განსაკუთრებული როლი ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებაში, აღნიშნულ ინსტიტუციებს შორის, მაინც სახელმწიფოს, პოლიტიკის ფაქტორს ეკუთვნის. მართლზომიერია ვთქვათ, რომ სახელმწიფოს ეს როლი განსაკუთრებული ეკონომიკური რესურსია თავისი ძალით, შინაარსითა და შედეგიანობით.

ეკონომიკური მეცნიერების, როგორც ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლების, შესწავლის, შემეცნებისა და ნორმატიული დებულებების შემუშავების სფეროში მთავარი რგოლის, დანიშნულება საქმიანობის მიმართულებებისა და შინაარსის შემეცნებასა და განსაზღვრაში, საზოგადოებისათვის, მთავრობებისათვის რეკომენდაციების მიწოდებაში მდგომარეობს. იგი ემყარება პრაქტიკის მოთხოვნას და გავლენას, ასევე მათი ასახვის შესაძლებლობას, შემუშავებული თეორიის, ცოდნის, ნორმატიული დებულებების ადეკვატურობას. ეს განაპირობებს აღნიშნულ საკითხებზე მეცნიერების მნიშვნელობას, ამ უკანასკნელის შესაბამისობას მოთხოვნებისადმი, პრქტიკაზე გავლენის ზომას, ეფექტიანობას.

პოლიტიკური (სახელმწიფო) ინსტიტუტების როლი მოკლედ შეიძლება წარმოვიდგინოთ იმით, რომ თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირება მათ გარეშე სრულიად შეუძლებელია. ავიღოთ, მაგალითად, საკუთრებისა და პიროვნების დაცვის ფუნქცია, რასაც სხვა ვერცერთი ინსტიტუტი ვერ შეასრულებს. მართალია, ზნეობის ნორმები, კერძო სადამცველო სტრუქტურა ამ საქმეში ერთერთ აქტიურ ძალად შეიძლება გვევლინებოდეს, მაგრამ სახელმწიფოს სამრთლებრივი ბაზის, სამართალდამცავი ორგანოების არსებობის გარეშე მათი მოქმედება ვერ შედგება, მას სათანადო შედეგი არ ექნება. ეს ფუნქცია ისტორიულად ჩამოყალიბდა. აქ ხელისუფლება, სახელმწფო ეკონომიკის ხელშემწყობ ფაქტორად, რესურსად გვევლინება, რასაც ქმნის ადამიანისეული ფაქტორებისა და მატერიალურფინანსური რსურსების გამოყენება.

ადვილი გასაგებია, რომ ეკონომკის საკანონმდებლო ბაზის, სუბიექტების ქცევის წესების გარეშე, რომელთაც სახელმწიფო შეიმუშავებს და იცავს, ეკონომიკაში სრული უწესრიგობა და ქაოსი დაისდგურებდა, სადაც ვერავითარი დოვლათი ვერ შეიქმნება. ამასთან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ასრულებს სახელმწიფო თავის ფუნქციებს. ამაზეა დამოკიდებული ეკონომიკური წარმარტებები, ზრდა განვითარება, რასაც ცალკეული ქვეყნების მაგლითი კარგად აჩვენებს.

სახელმწიფოს ძალიხმევის, პოლიტიკური ნებისა და პრაქტიკული ღონისძიებთა გარეშე შუძლებელი იქნებოდა საზოგადოების ბუნებრივი, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების განაწილება საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ბაზრის მარეგულირებელი ფუნქციის სისუსტე, როგორც ზემოთაც ითქვა, ამ მხრივ თეორიაში ასახულია ,,ბაზრის ფიასკოს" კონცეფციის სახით, რომლის მიჩქმალვა შეუძლებელია. საზოგდოებრივი საქონლის წარმოებაში სახელმწიფოს როლი შეუცვლელია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ფუნდამენტური მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის სისტემის განვითარების ღონისძიებებს და სხვა.

სახელმწიფო ინსტიტუტები ამ შემთხვევაში რეალურ ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს აქცევენ განსაკუთრებულ მწარმოებლურ ძალად, რომელიც თითქოსდა მეორადი ხასიათისაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველადი რესურსები. აქ ვლინდება ინსტიტუციური ფაქტორების კომპლემენტრული და სუბსტიტუციური ხასიათი, საბოლოოდ ეფექტიანობა.

ეკონომიკური ინსციტუტები ენდოგეული ხასიათის მატარებელია. ისინი დაკავშირებულია ადამიანთა, მათი ჯგუფების ინტერესებთან, რომელიც შესაძლებელია კონფლიქტის შემცველი იყოს. ამიტომ სახელწიფოს მოვალეობაა შეამციროს ამგვარი კონფლიქტების წარმოშობის პირობები.

საზოგადოებრივი, მ. შ. ეკონომიკურიი ინსტიტუტების ეკონომიკაზე ზემოქმედების ზოგად ხაზებში ასახვის თეორიულ იარაღად გამოყენებულია კოუზის თეორემა. იგი შეიძლება განვიხილოთ ამ პრობლემის გადაჭრის საფუძველის შექმნის ერთერთ ცდად, თუმცა ის არ იძლევა ამომწურავ და ნათელ პასუხს ამ საკითხზე. ინსტიტუტები ეკონომიკის მიმართ, გარკვეული აზრით, გარე ფაქტორებია. მათი დადებითი თუ უარყოფითი გავლენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წესით მოქმედებენ, რა დანახარჯებთანაა დაკავშირებული მათი საქმიანობა. ინსტიტუტების მნიშვნელობა იმაშია, რომ მათზე დანახარჯები შედარებით მცირეა და შეიძლება შემცირდეს წარმოების ზრდისაგან დამოუკიდებლად სხვა დანახარჯებთან შედარებით. ამასთან, როგორც ზემოთ, ტრანსაქციული დანახრჯების განხილვისას ვნახეთ, მათ შემცირებას შეფარდებითი ხასიათი აქვს და არა აბსოლუტური (მცირდება ხვედრითი დანახარჯები დოვლათის შექმნაზე). ეს იმითაა გამოწვეული, რომ ისინი შეფარდებით ნაკლებადაა ადამიანური და მატერიალური რესურსების ზრდასთან დაკავშირებული, შედგენილობის გამო, თუმცა მათ გარეშე ინსტიტუტების მოქმედებას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. ამ საკითხების გარკვევის საწყისებს კოუზის თეორემაში პოულობენ.

კოუზის თეორემა, როგორც ცნობილია, შემდეგ მტკიცებას ეძღვნება: თუ საკუთრების უფლე-

ბა ნათლადაა განსაზღვრული და ტრანსაქციული დანახარჯები ნულის ტოლია, მაშინ რესურსების სტრუქტურა დარჩება უცლელი ან ეფექტიანი იმისგან გამოუკიდებლად, იცვლება თუ არა საკუთრების უფლება. უფრო გაშლილი სახით ამ თეორემას შემდეგნაირად გადმოსცემენ (ტრაინ ეგერსტონის ფომულირება): ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება ძირითადად არ არის დამოკიდებული არსებული მთვრობის ტიპისაგან, თუ ტრანსაქციის დანახარჯები ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სფეროებში ნულის ტოლია. ამასთან, როცა ტრანსაქციული დანახარჯები დადებითია, მაშინ ძალაუფლების განაწილება ქვეყნის შიგნით და ნორმაშემოქმედი დაწესებულებების ინსტიტუციური სტრუქტურა განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

მართალია, ამ თეორემაში ძალიან ზოგადადაა მითითებული სახელმწიფოსა და მისი შენახვის (ტრანსაქციების) დანახარჯებთან ეკონომიკის ფუნქციონირების დამოკიდებულება, მაგრამ დასმულია ამ დამოკიდებულების არსებობის სახიათის, საფუძველისა და შედეგების საკითხი. პრაქტიკა ნამდვილად ადასრუტრებს ეფექტიანი ხელისუფლებისა და მისი საქმანობის როლს ეკონომიკის მიმართ. კოუზის თეორემის შინაარსი მრავალმხრივაა დაკონკრეტებული ნეოინსტიტუციონალისტთა და მათ მიმდევართა შრომებში.

ცხადია, ყოველგვარი სახელმწიფო ძალაუფლება ერთნაირ როლს არ ასრულებს ეკონომიკის ფონქციონირებაში. ამ მხრივ ძირეული განსხვავებაა ტოტალიტარულ და დემოკრატიულ სახელმწიფოს შორის. მაგრამ განსხვავება თვით ამ ტიპებს შიგნითაცაა. ეს განსხვავებები თავს იჩენს დე ჯურე და დე ფაცტო.

უეჭველია, რომ თავისუფლება და დემოკრატია უმნიშვნელოვანეს საზოგა დოებრივ სიკეთეთა რიგს მიეკუთვნება. მათ მნიშვნელობას ეკონომიკის განვითარებისთვის პრაქტიკა ნათლად ადასტურებს, თუმცა ეს კავშირი ფუნქციონლურ ხასიათს არ ატარებს, რადგანაც ეკონომიკური განვითარება მულტიფაქტორული პროცესია. ერთნაირ პირობებში კი უთუოა, რომ დემოკრატიული სისტემა და თავისუფლება, საერთოდ, და ეკონომიკური თავისუფლება, კერძოდ, ეკონომიკის განვითარებაზე დადებით გავლენას ახდენს, გარკვეული აზრით, მის რესურსად წარმოგვიდგება. ეს დამოკიდებულება ეკონომიკასა და სოციალურპოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის დადასტურებულია მრავალი გამოკვლევით.

მნიშვნელოვანია პოლიტიკური ინსტიტუტების ცვლლებები, მათი ხასიათი. ისინი გაქვავებული სახით არ არსებობენ, მეტნაკლები ინტენსიობით იცლებიან. ამ ცვლილებათა ხასიათი და ტემპი შეიძლება იყოს პროგრესული ან რეგრესიული მიმართულების. ასევე ცვლილების ტემპი უსწრებს ან ჩამორჩება ცხოვრების საჭიროებებს. განსაკუთრებულ ადგილს ამ პროცესში იკავებს ეკონომკური და პოლიტიკური რეფორმები. ამის მაგალითი მრავალია ცალკეული ქვეყნების ისტორიაში. მათ შორისაა რეფორმირების მრავალპლანიანი პროცესი პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.

ინსტიტუციური ფაქტორის რესურსული პოტენციალის როლის თვალსაჩინო დადებითი მაგალითია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარება, მისი ეკონომიკისა და სოციალურპოლიტიკური სისტემის რეფორმირება უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. განსაკუთრებულია წარმატებები ეკონომიკის რეფორმირებაში, რასაც მიაღწია ჩინეთის სხალხო რესპუბლიკამ. ეს ყველაზე ნათლად გამოიხატა ეკონომიკური ზრდის ტემპით, რაც წლიურად საშუალოდ დაახლოებით 9 10 პროცენტიანი მატების ფარგლებშია. ამის უკან დგას შესაბამისი მიღწევები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ნიშანდობლივია, რომ ჩინური ,,სასწაული" ძირთადად მიეწერება ინსტიტუციურ ფაქტორებს, სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას, საქმიანობას, მის მიერ კონვერგენციის გეგმიანი სოციალისტური და საბაზრო ეკონომიკის უპირატესობათა შერწყმასა და მათი ხარვეზების დაძლევას.

შეიძლება მოვიტანოთ ინსტიტუციური ფაქტორის არასაკმარისი პოტენციალისა და როლის მრავალი მაგალითი. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მიმდინარე ინსტიტუციური რეფორმები ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა. მეტწილ ქვეყნებში მე20 საუკუნის ბოლოს ეკონომიკური ვარდნის შედეგების დაძლევისა და ადრე არსებული დონის აღდგენის ტემპი უაღრესად დაბალია. ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მხრივ ამას მრავალი წელი დასჭირდა, ზოგან ორი ათეული წელი და მეტიც. ეს არნახული ფაქტია ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეპოქაში. საქართველოში, მაგლითად, 2013 წელს წარმოებული მ შ პ მოცულობამ შეადგინა 1990 წლის მოცულობის 84,2 %, ერთ მხცოვრებზე კი 102,1 %. სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მხოლოდ ზოგიერთმა (აზებაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი, ბალტისპირეთის ქვეყნები) წინა წლებში მიაღწიეს ეკონომიკური დაქვეითების გადალახვას.

მრავალი გამოკვლევა ადასტურებს, რომ ეკონომიკური და პოლიტკური რეფორმირების პროცესი რიგ ქვეყანაში სრულად როდი შეესაბმებოდა საზოგადოების ინტერესებს, ხშირადაც ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების უმრავლესობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზანს, აუარესებდა კიდეც მას ან კიდევ გარდაქმნათა ტემპი ჩამორჩებოდა არსებულ შესაძლებლობებსა და აუცილებლობას. ამის ფაქტებად შეიძლება მოვიტანოთ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი და შედეგები, ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული ხარვეზები, კანონმდებლობის ჩამოყალიბების რიგი არასწორი მოდგომები, სახელმწიფო პოლიტიკურ მოღვაწეთა არასწორი მოქმედებები და სხვა. ისინი აისახებოდა ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაში. მაგალითად, საქართველოში, პრივატიზაციის ხარვეზებმა, რაც ძირითადად გამოიხატა

ცალკეული ინდივიდებისა და კლანური ჯგუფების მიერ სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილის უკანონო გზებით მითვისებაში, სხვა მიზეზებთან (უმუშევრობის მაღლი დონე, შრომის ანაზღაურებაში უწესრიგობა და სხვა) ერთად, გამოიწვია მოსახლეობის მკვეთრი ქონებრივი დიცფერენციაცია, დიდი ნაწილის (ფაქტობრივად თითქმის ნახევრის) სიღარიბე, უსამართლობის დამკვიდრება. გაეროს მონცემებით, მოსახლეობის უმდიდრესი 10 პროცენტის შემოსავლები უღარიბესი 10 პროცენტის შემოსალებს საქართველოში 15,9 ჯერ აღემატება, მაშინ როცა ეს შეადგენს იაპონაში 4,5 ს გერმანიაში 6,9ს, საფრანგეთში 9,1ს, ბელორუსში 6,1ს, დანიაში8,1 შვედეთში 5,9 ს აზერბაიჯანში 2,9 ს და ა.შ,. მოსახლეობის მცირე ნაწილის სიმდიდრე, ზოგიერთი მეცნიერის გამოთვლის მიხედვით, საქართველოში მთელი ქვეყნის სიმდიდრის დაახლოებით ნახევარია.

ეკონომიკური რეფორმების არაკვალიფიციური ღონისძიებები საქარტველოში აფერხებდა ცალკეული დარგების განვითარებას, მაგალითად, ეს ძლიერ დაეტყო სოფლის მეურნეობას, მეცნიერებას და სხვა. ხელისუფლების წარმომადგენელთა შეცდომები ნეგატიურად აისახებოდა ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში. იყო სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გამოვლინების შემთხვევები, არასწორი დამოკიდებულება საკუთრებისადმი, ბიუჯეტის სახსრებს გამოყენებისადმი, სახელმწიფო სამსახურში კადრების შერჩევისადმი და სხვა.

ინსტიტუტების, მათ შორის ეკონომიკურისა და პოლიტიკურის, ნელი და არასასარგებლო ცვლილება აისახება კიდეც ადამიანთა ცხოვრებაზე. ეს რიგ შემთხვევში განპირობებულია საზოგადოების ცალკეული ჯგუფების ინტერესების შეუსატყვისობით მთელი საზოგადოების ინტერესებთან. ამ შემთხხვევაში ისინი დაბრკოლებებს უქმნიან რეფორმებს. არის სხვა მიზეზიც. რეფორმების სწორად განხორციელების უუნარობა. ეს იშვიათად როდი მჟღავნდება. პოლიტიკური ელიტა, თუნდაც დემოკრატიის მიმდევარი იყოს, ყოველთვის არაა ინტელექტუალურად და მორალურად მზად განხორციელოს სწორი რეფორმები. ხოლო არასწორი ან პალიატიური რეფორმები უარყოფითი ან ნაკლები შედეგების მომტანია. საბოლოოდ საზოგადოების მატერიალური და პოლიტიკური ინტერესები არასწორი რეფორმების განხორციელებით ზარალდება.

მართალია, დემოკრატიული განვითარება, თავისუფლების მონაპოვრები პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მნიშვნელოვანი სიკეთეა, მაგრამ მათი ინსიტუციური პოტენციალი საზოგადოების კეთილდღეობისთვის ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გამოყენებული. ეს იმით ვლინდება, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში მიღწეული შედეგები მთლიანობაში მცირეა. ისინი მეტწლად გახლართულნი აღმოჩნდნენ მრავალ წინააღმდეგობაში, მათი უნარიც ახალი სისტემის უპირატესობათა გამოყენებაში არასაკმარისი შეიქნა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში შესაძლო წრმატებათა მიღწევისათვის, მუხედავად გარკვეული დადებთი შედეგებისა. ამის მაგალითად შეიძლება ისევ საქართველი დავასახელოთ. კერძოდ, აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს მოსახლების მიერ პირადი ცხოვრებით დაკმყოფილების აღქმის მონაცემები, თუ მათ მსოფლიოს ფონზე განვიხილავთ (ცხრილი 6).

ცხრილი 6

პირადი ცხორებით დაკმაყოფილების აღქმა მოსახლეობის მიერ

(%ობით სრული დაკმაყოფილების მიმართ , რაც =100)

	სამუშაოთი	ჯანმრთელობის დაცვით	საერთოდ ცხოვრების პირობებით
საქართველო	63	50	22
უმაღლეს დონე მსოფლიოში	91	82	91
	68	60	35
საშუალო დონე მსოფლიოში	41	47	27
უმცირესი დონე მსოფლიოში			

განხილული მაჩვენებელი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ნათლად ასახავს საზოგადოების განვითარების საბოლოო შედეგს ადამიანთა კეთილდღეობას. საქართველოს მაჩვენებელი, როგორც ცხრილიდან ჩანს, მნიშვნელოვნად ჩამორეჩება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს. სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების მდგომარეობა დაახლოებით ანალოგიურია. ეს ადასტურებს, რომ ამ ქვეყნების წინშე მთავარი გამოწვევაა გამოიყენონ ყველა რესურსი განვითარების ტემპების დასაჩქარებლად. მათ შორის ერთერთი უმნიშვნელოვანსი, როგორც ზემოთაც იყო ნაჩვენები, ინსტიტუციური რესურსებია.

ძირითადი ლიტერატურა:

1. კეინზი ჯ.მ. დასაქმების, ფუკისა და პროცენტის ზოგადი ტეორია. ტაგმანი. უთაისი. 1995.
2. მალაშხია გ. მეტაეკონომიკა ეკონომიკის ფილოსოფია. თბილისი . 1995.
3. სმითი ადამ. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებეისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი ინ-გლისურიდან. თბილისი . 2007.
4. ი. ფრანგიშვილი. ოქროს პროპორცია ბუნებაში, საზოგადოებაში , ეკონომიკაში. ჟ. ,,კომენტარი„, № 3,
5. ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკური მეტა-მორფოზები და პერაპექტივები. თბილისი. 2012.
6. Азуан А.А. Институциона льная экономика. М,. 2010
7. Виниградов А. . Институциональная экономика, Теория и практика. Учебно методическое пособие. Нижний Новгород. 2012.
8. Доклад ООН о развитии человека за 2010 год.
9. Коуз Р.Фирма, рынок и право / Пер. с англ.,М.:, 2007.
10. Лесных, В. Минимизация трансакционных издержек /В. Лесных, Е. Попов //Общество и экономика /Междунар. ассоц. Рос. акад. наук. М., 2005. № 5. Маневич В.Е. Эволюция неравновесного анализа. Экономика и математические методы. 2007. № 1.
11. Норт Д. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М., 1997.
12. Нусратуллин В.К. Неравновесная экономика: теория и приложения (зарубежное издание): Монография. М,. 2011.
13. Олейник А.Н.. Институциональная экономика. М,. 2011
14. Попов, Е. Трансакционная функция . ,,Общество и экономика“ .М., 2007. №9 10.
15. Gordon D.M. Bosses of Different Stripes : A Gros Naional Perspective on Monitoring and Supervision // American Economic Review . 1994 . Vol 4, № 2 ,
16. Commons J. The Theory of Business Enterprise, 1904/
17.
18.

ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებები

მომხმარებლური საზოგადოებისა და ახალი ტიპის მომხმარებლის (X-მომხმარებლის) ფორმირება

გურამ ჯოლია, *სტუს პროფესორი*
ქეთევან ჯოლია, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

განვითარებულ ქვეყნებში მომხმარებლური საზოგადოება ყალიბდება და ახალი ტიპის მომხმარებელი – X-მომხმარებელი წარმოიშობა, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: მოხმარების საგნების ჭარბი წარმოება, სავაჭრო რევოლუცია, სამომხმარებლო რესურსების გადიდება, ურბანიზაციის დონის ამაღლება, მოხმარების სეკულარიზაცია, მოხმარებაში აქსეოლოგიური ცვლილება და ახალი სამომხმარებლო ცნობიერების ფორმირება.

მომხმარებლურისაზოგადოების ფორმირება მრავალი სიმპტომით ვლინდება, კერძოდ: ჭარბი მოხმარებით, კომოდიფიკაციით, კომფორტული საზოგადოების შექმნით, შოპინგით, მოხმარების დეკოლექტივიზაციითა და ახალი სოციალური გარემოს ჩამოყალიბებით.

მომხმარებლურ საზოგადოებას თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჰყავს.

მომხმარებლურ საზოგადოების მთავარი ბურჯი X-მომხმარებელია, რომელიც განსხვავებული ფსიქიკის მქონეა, ახალი ღირებულებებისა და იდეალების მატარებელი, რეტლანსლატორი და რეციპიენტია. იგი გასული საუკუნის „საშუალო კლასის“ შემავიწროვებელი და ჩამნაცვებელია. ამ ტიპის მომხმარებელთა ზრდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი ტრენდია.

Summary

Formation of consuming society and new customer type (X Customer)

A formation of consuming society in developed countries and a creation of new customer type – X customer is caused by many factors, in those the essentials are: excess production of consumer goods, retail revolution, increase consumer resources, raise of the urbanization, secularization of consumption, axeological change of consumption and formation of new consumer awareness.

Formation of consuming society is occurred with many symptoms, such as: excessive consumption, commodification, by creating comfortable society, shopping, decollectivization of consumption and formation new social environment.

Consumption society has its supporters and opponents.

The main pillar of consuming society is X customer, which has different psychology, with the new values and ideals. This type of customer replaces the middle class of last century. The growth of this type of customer is one of the main trends of the modern world.

* * * * * *

მოხმარება დიდი ხნის განმავლობაში დამოუკიდებელ კვლევის ობიექტად არ მიაჩნდათ. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ფილოსოფიაში (პლატონი, არისტოტელე, ეპიკურე) მოხმარება სიკეთის, ბედნიერებისა და სამართლიანობის ეთიკურ პრობლემებს უკავშირდებოდა და გონივრულ კონტროლს, შეზღუდვას, ზომიერებას ექვემდებარებოდა. შუა საუკუნეებში გადაჭარბებული მოხმარება სულმდაბლობად, უღირს ქცევად ითვლებოდა (წმ. ავგუსტინი,[1] ბონავენტურა[2] და სხვ.).

მოგვიანებით, მოხმარება ადამიანისა და საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთ მხარედ აღიარეს. ჩამოყალიბდა დიხოტომია[3] „წარ-

1 ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მამა, ავგუსტინიზმის ფუძემდებელი, თეოლოგი და ფილო-სოფოსი (354-430).
2 შუა საუკუნეების ფრანგი თეოლოგი (1218-1274).
3 ბერძ. dicha და tome — ორ ნაწილად გაყოფა.

მოება – მოხმარება“, სადაც მოხმარებამ წარმოების განვითარების მასტიმულირებელი როლი იკისრა. გამოიკვეთა მოხმარების უშუალო სუბიექტი, ანუ თვით მომხმარებელი, ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივი კვლავწარმოების რაციონალური ელემენტი გახდა.

XIX საუკუნეში კ. მარქსის საქონლის ფეტიშიზმის იდეებიდან სათავე აიღო მომხმარებლურ საზოგადოების (ინგლ. Consumer society) კონცეფციამ, რომელმაც ტორსტეინ ვებლენის[4] კონცეფციისა და „ფრანკფუტის სკოლის“[5] ძლიერი გავლენა განიცადა.[6]

XX საუკუნეში მოხმარება ერთდროულად სოციოლოგიის, კულტუროლოგიის, მარკეტინგისა და სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის პრობლემა შეიქმნა. მომხმარებლის ქცევის შესწავლა სხვადასხვა ასპექტით დაიწყეს: რაციონალური მოხმარება (ჯ. ბიუკენენი, ლ. ვალრასი); ეფექტური მოხმარება (ჰ. საიმონი, ნ. სმელზერი); კულტურული მოხმარება (პ. კოუზი, ჰ. საიმონი); საჩვენებელი მოხმარება (ტორსტეინ ვებლენი); მარკეტინგული მოხმარება (პ. ბლეკუელი, ფ. კოტლერი, პ. მინიარდი, ჯ. ენჯელი). შეიქმნა მომხმარებლის ქცევის თეორია ბიჰევიორიზმი (ჯ. უოტსონი და სხვ.).

მიუხედავად ამისა, მოხმარებისა და მომხმარებლის არსებული ტრადიციული პარადიგმები (ეკონომიკური, მარკეტინგული, პოზიტივისტური, პოსტმოდერნისტული) თანამედროვე მომხმარებლისა და მოხმარების არსსა და სპეციფიკას სრულად ვერ ასახავდა. მოხმარების კვლევა შესაძლებელი იყო მხოლოდ დისციპლინათშორისი მიდგომების საფუძველზე, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიურ ასპექტებს, ღირებულებით წარმოდგენებსა და ტერმინოლოგიას მთელი რიგი მომიჯნავე დისციპლინების იერარქიაში, დაწყებული ფსიქოლოგიიდან და ტაქტიკური მენეჯმენტიდან, ფილოსოფიამდე და კულტურის თეორიამდე.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ერთ-ერთ მთავარ სუბიექტად მომხმარებელი იქცა, რომლის ქცევა, ჩვევები და მოქმედების ნორმები ეკონომიკური სისტემის განვითარების ვექტორის განმსაზღვრელი გახდა.

უდავოა, რომ მოხმარება თანამედროვე საზოგადოების ძირითადი ბირთვია და მისი სოციალურ-ეკონომიკური არსის განმსაზღვრელი. ასეთია პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცნობილი თეორეტიკოსების დ. ბელლის, ზ. ბზეჟინსკისა და ჯ. კ. გალბრეიტის მოსაზრებები.[7]

ტერმინი „მომხმარებლური საზოგადოება“ პირველად გერმანელმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა, „ფრანკფურტის სკოლის“ წარმომადგენელმა ერიხ ფრომმა (1900-1980) გაავრცელა.

მომხმარებლური საზოგადოება რთული ფენომენია, რომლის წარმოშობა რიგმა სოციალურ-ეკონომიკურმა წანამძღვრებმა განაპირობა, კერძოდ:

1. **მოხმარების საგნების ჭარბი წარმოება,** რამაც ინდუსტრიულ პერიოდთან შედარებით საქონლის ფასი მნიშვნელოვნად შეამცირა და საზოგადოებას სწრაფად ცვალებადი ფართო ასორტიმენტი შესთავაზა.

XX საუკუნის ეკონომიკა კეინსიანური ეკონომიკური პარადიგმის ლოგიკით განვითარდა. კერძოდ, წარმოებასა და ინვესტიციებთან შედარებით, უპირატესობა მოთხოვნას მიენიჭა.

2. სავაჭრო რევოლუცია. წარმოების ხარისხობრივ ცვლილებას ვაჭრობის სერიოზული ტრანსფორმაცია მოჰყვა. ვაჭრობამ განვითარების რიგი ეტაპები გაიარა: სპეციალიზაცია, გამსხვილება და ფორმების მრავალსახეობა.

ევროპასა და აშშ-ში აქტიურად დაიწყეს მსხვილი სავაჭრო ცენტრების (ე.წ. Moll) შექმნა. კერძოდ, მათი რაოდენობა აშშ-ში 1957 წელს იყო 940, 1960 წელს – 2 ათასი, 1977 წელს – 20 ათასი, 2004 წელს 46 ათასზე მეტი, ხოლო 2012 წელს – 87 ათასამდე.[8]

3. სამომხმარებლო რესურსების (არჩევანის თავისუფლება, დრო, ფული) გადიდება. ინდივიდების პირადი თავისუფლება, კერძო მეწარმეობა და თავისუფალი კონკურენცია მომხმარებლურ საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ პირობად იქცა.

არჩევანის თავისუფლებასთან ერთად, მომხმარებლის დამატებითი დროც გამოჩნდა, – სამუშაოს ხანგრძლივობის შემცირების კვალობაზე მოსახლეობის თავისუფალი დრო გაიზარდა.

ინდუსტრიალიზაციის შედეგად საოჯახო მეურნეობაში დასაქმებული ქალის შრომის მრავალი ტრადიციული სახეობა (ქსოვა, კერვა, დართვა) გაუქმდა. გადიდდა მოსახლეობის ფულადი შემოსავლებიც.

4. ურბანიზაციის[9] დონის ამაღლება. ქალაქად

4. ამერიკელი ეკონომისტი (1857-1929). მან მოხმარების კვლევაში სოციოლოგიური მიდგომა გააძლიერა, კერძოდ, მომხმარებლის ქცევის აღწერაში ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები შეიტანა.

5. ინდუსტრიული საზოგადოების კრიტიკული თეორია, მარქსიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა. ძირი-თადი წარმომადგენლები: თეოდორ ადორნი, მაქს ჰორკჰაიმერი, ჰერბერტ მარკუზე, ერიხ ფრომი და სხვ. დაარსდა 1930 წელს.

6 . Димаджио П. Культура и хозяйство//Экономическая социология. Том 5. 2004. №3. С. 45-66. http://www.ecsoc.msses.ru.

7. Белл Д. Грядущее постиндустриальное общество: Опыт социального прогнозирования: Пер. с англ. М.: Academia, 1999; Бзежинский З. Технотронная концепция. М.: 2006; Гельбрейт Дж. Кеннет. Новое индустриальное общество. М.: 1967.

8. Спектор Р. Убийцы категорий. Революция в розничной торговле и ее влиание на культуру потребления. Пер. с англ. М.:, 2013, С. 272.

9. ქალაქების ზრდისა და განვითარების პროცესი. ქალაქის

მოსახლეობის მასობრივად გადასვლამ ქალაქური სამომხმარებლო პრაქტიკა გააძლიერა და სოფლის ტრადიციული სამომხმარებლო ტიპი თანდათან შეავიწროვა.

პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ფრანგი სოციოლოგის, კულტუროლოგისა და ფილოსოფოსის, ჟან ბოდრიარის (1929-2007) აზრით, ქალაქი მოხმარების ესკალაციის ანუ გაძლიერებული სტრატეგიის ისეთი სივრცეა, სადაც მეფობს „მოდის ტოტალური დიქტატურა." ძირითადად ქალაქის კულტურა განსაზღვრავს მოსახლეობის მაღალ სოციალურ მობილურობას, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაც არის მოხმარება.[10]

5. მოხმარების სტრუქტურის ოპტიმიზაცია. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან როგორც ხანგრძლივი, ისე პირველადი მოხმარების საქონელზე დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც მოხმარების სტრუქტურა არსებითად შეცვალა.

მოხმარების სტრუქტურა შედარებით დინამიურად აშშ-ში იცვლება. ახალი, პროგრესული მოთხოვნები აქ რამდენიმე ათეული წლით ადრე ჩნდება. 2010 წელს საშუალო ამერიკელი ოჯახის სამომხმარებლო დანახარჯების სტრუქტურა ასეთი იყო: კვება – 12-17%; ტანსაცმელი – 4-6%; ბინის კეთილმოწყობა – 15-25%; ჯანდაცვა – 12-18%; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 18-22%, დასვენება – 10-12%.[11]

6. მოხმარების სეკულარიზაცია.[12] XX საუკუნეში ინტენსიურად მიმდინარეობდა მოხმარების სეკულარიზაცია, ანუ რელიგიური ნორმების სფეროდან მომხმარების პროცესის გამოყოფა. საუკუნეების განმავლობაში ეკლესია უპირატეობას ასკეტურ[13] სამომხმარებლო პრაქტიკას აძლევდა, ინდივიდის სამომხმარებლო თავისუფლებას არსებითად ზღუდავდა და, ზოგჯერ, საბაზრო ეკონომიკის განვითარების ბარიერი ხდებოდა.

7. აქსეოლოგიური[14] **ცვლილება.** ახალი სამომხმარებლო საზოგადოებრივი რეგულატორები ჩამოყალიბდა: შეიცვალა მოხმარების კულტურა, ეთიკა, მორალი. მოხმარება სულ უფრო ლეგიტიმური გახდა და დომინირებული ფასეულობის როლში მოგვევლინა.

8. ახალი სამომხმარებლო ცნობიერების ფორმირება. მარკეტინგული თვალსაზრისით, არსებულ სოციოლოგიურ-ეკონომიკურ სისტემაში შეუზღუდავი მოხმარება აუცილებელი პირობა გახდა.

ხსენებულმა წინაპირობებმა მომხმარებლური საზოგადოების სრულყოფილად ჩამოყალიბება განაპირობეს, რაც ძირითადად ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში გავრცელდა.

მომხმარებლური საზოგადოება ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას აღნიშნავს, რომელიც ინდივიდუალური მოხმარების პრინციპზეა ორგანიზებული.

მომხმარებლური საზოგადოება ხასიათდება მატერიალური სიკეთეების მასობრივი მოხმარებით და შესაბამის ფასეულობათა სისტემების ფორმირებით. თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთი თავისებურებაა იმ ადამიანების რაოდენობის მატება, რომლებიც მოხმარების საზოგადოების ფასეულობებს იზიარებენ.

მომხმარებლური საზოგადოება კაპიტალიზმის განვითარების პირმშოა, რასაც თან სდევს მძლავრი ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარება და ისეთი სოციალური მოვლენები, როგორიცაა დანახარჯების ზრდა, თავისუფალი დროის გადიდება, მოხმარების ინდივიდუალიზაცია.

აღნიშნული მოსაზრების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ჭარბი მოხმარების გამოვლენის ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: თვით ჭარბი მოხმარების ფენომენი, კომოდიფიკაცია, ზეფასეული კომფორტის ფორმირება, შოპინგი, ახალი სამომხმარებლო გარემოს ჩამოყალიბება და, რა თქმა უნდა, ახალი ტიპის მომხმარებლის წარმოშობა.

1. ჭარბი მოხმარება. განვითარებული სამყაროს მოსახლეობის უმრავლესობა სხვადასხვა საგნებს ჭარბი რაოდენობით მოიხმარს. ჭარბი მოხმარების თანამედროვე ტენდენცია[15] დღეს განიხილება (ე. ფრომი, ჟ. ბოდრიარი, ჯ. კ. გელბრეიტი, ზ. ბაუმანი) როგორც კაცობრიობისათვის მეტად საშიში და სამომხმარებლო ფასეულობების მკვეთრი შემცირების გამომწვევი მოვლენა.[16]

ადამიანს არასოდეს ჰქონია მოხმარებაში ასეთი რაოდენობისა და სახეობის ნივთი, როგორც ახლა. ამასთან, იგი ამ ნივთებით სულ უფრო ნაკლებად სარგებლობს. მოხმარების სიჩქარე მუდმივად იზრდება, რასაც მრავალი ფაქტორი, მათ შორის, მოდა და ტექნიკური პროგრესი განაპირობებს. თანამედროვე მწარმოებლის მთელი ძალისხმევა მიმართულია არა მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არამედ ახალი ან მოდერნიზებული საქონლის შესაქმნელად. საზოგადოებას განსხვავებული საქონელი სჭირდება, რადგან არსებული უკვე მორალურად ძალიან სწრაფად ძველდება და მომხმარებლისთვის მიუღებელი, მოსაწყენი ხდება.

მოდა ახალი ტიპის მომხმარებელს აყალიბებს, რომლისთვის მთავარია საქონლის ხარისხი, ოცნებების ასრულება და ახალი შთაბეჭდილებები.

მოდის ინდუსტრია ადამიანთა ბედნიერების, წარმატებისა და კრეატიულობის სიმბოლოდ გამოდის.

მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა ქვეყანაში, რეგიონში, მსოფლიოში.

10. Бодрийяр Ж. Общество потребления. Его мифы и структуры. М.: 2006, С. 269.

11. http://www.empitry.com/311-struktura-potrebleniya.html

12. პროცესი, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება, პრაქტიკა და ორგანიზაციები კარგავს სოციალურ გავლენასა და მნიშვნელობას.

13. ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარის თქმა.

14. ფილოსოფიური მოძღვრება ღირებულებებზე (იდეები, იდეალები, შეხედულებები, პრინციპები), რაც ადამიანთა ცხოვრების წესის საფუძველია.

15. Гришанин Н.В., Конюшенко Е.В. Мода как фактор формирования социокультурной идентичности личности в условиях общества символического потребления. СПб. 2009. С. 47.

16. Афанасьева В. В. Туркина В. Г. Общество перепотребление. СПб. 2009, С. 20.

ცხოვრება თავისი სოციალური გამოვლინებებით მრავალფეროვანია და მოხმარების სიმბოლოებიც შეუზღუდავი.

მომხმარებლური საზოგადოებაში მყოფი ადამიანი ყოველთვის ახლის ძიებაშია. აღორძინების ეპოქის ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, მიშელ დე მონტენი (1533-1592) წერდა, რომ ჩვენთვის ცნობილი ყველა სიამოვნებათა შორის **მისდამი გამოდევნება** ყველაზე ძლიერია.[17] ეს გამონათქვამი დღევანდელი მომხმარებლის არსს კარგად ხსნის. ენგელსის მსგავსად, თანამედროვე სოციოლოგი ემილ დიურკჰეიმი აღნიშნავს, რომ „რაც მეტს აღწევს ადამიანი, მით მეტი სურს: შეძენილი ან მიღწეული მხოლოდ ავითარებს და ამწვავებს მის მოთხოვნებს და არ ამშვიდებს მას."[18]

2. კომოდიფიკაცია.[19] ჭარბი მოხმარება დაკავშირებულია არა მარტო ჭარბ მოთხოვნასთან, არამედ მოხმარების ექსპანსიასთან[20] ისეთ არასამომხმარებლო სფეროებში, როგორიცაა სპორტი, ხელოვნება და სხვა მრავალი.

კომოდიფიკაცია გვევლინება როგორც სამომხმარებლო მექანიზმების ექსტრაპოლაცია ადრე არარსებულ საბაზრო სივრცეში. იგი იწვევს სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირების ტრანსფორმაციას, კერძოდ, მათ ეკონომიკურ აგენტებად გარდაქმნას, რომელთა ეფექტურობა შესაბამისი ეკონომიკური პარამეტრებით (მაგ., მოგება, რენტაბელობა და ა.შ.) ფასდება.

3. კომფორტული საზოგადოების (შრომა, ყოფა-ცხოვრება, დასვენება, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ.) შექმნა. დღეს მაღალი კომფორტის მოთხოვნა ყველგან და ყველაფერში აშკარად იგრძნობა. იგი ზეფასეული ღირებულება ხდება. მასზე აკეთებს ორიენტაციას როგორც მწარმოებელი და გამყიდველი, ისე მარკეტოლოგი და რეკლამატორი. ასეთი მიდგომა ეხება მრავალ სამომხმარებლო ფენომენს, კერძოდ, კვებას (რესტორანი, კაფე), გართობას (კინო, ატრაქციონი), ყოფა-ცხოვრების ტექნიკური მოწყობილობებით სრულად აღჭურვას (პრაქტიკულად არ დარჩა თავისუფალი სივრცე, სადაც მწარმოებელი ადამიანის საქმიანობის შემცველ შესაბამის საყოფაცხოვრებო ტექნიკას არ გვთავაზობდეს), საქონლის მინიატურიზაციას, ერთჯერადი საქონლის გავრცელებას, საქონლის შეფუთვას, დაფასოების ინდუსტრიას და სხვა.

4. შოპინგი, როგორც სპეციფიკური სოციალური ფენომენი, ანუ მომსახურების კომპლექსი, რომელიც საქონლის ყიდვის გარდა მოიცავს მრავალ თანამდევ მომსახურებას (რესტორანი, კაფე, კინო, ატრაქციონი და ა.შ.). იგი სულ უფრო პოპულარული და თვითმიზანი ხდება, როცა საქონელი არა პრაქტიკული აუცილებლობის, არამედ მორალური კმაყოფილების გამო შეიძინება.

ახალი სოციალური გარემოს შექმნა, რომელიც მრავალი ნიშნით **ხასიათდება:**

- **სოციალური ლანდშაფტის ჰომოგენიზაცია,** სახელდობრ, ფრანჩაიზინგის ფართოდ გავრცელება, რითაც ერთგვაროვანი სამომხმარებლო სტანდარტები მკვიდრდება, მაგ., მაკდონალდიზაცია;
- **მოხმარების დეკოლექტივიზაცია,** მაგ., კერძო ბინათმშენებლობები, პირადი ტრანსპორტი, პერსონალური პრესტიჟული განათლება და ა.შ., რაც სოციალური კაპიტალის რღვევას, ანუ დესოციალიზაციას იწვევს, რადგან ასეთი სამომხმარებლო პრაქტიკა სოციალურ კავშირებს გვარიანად ასუსტებს;
- **სოციალური აქტიურობის მაგივრად მოხმარების ჩანაცვლება**. მომხმარებლური საზოგადოებაში ვლინდება სპეციფიკური პრაქტიკა – „ეთიკური მოხმარება", რომელიც, ეთიკური და პოლიტიკურ-ეკოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, არის მოცემული საქონლის ყიდვა ან არ ყიდვა, რითაც მომხმარებელი თავის პოლიტიკურ უფლებებს გამოხატავს ან ინტერესებს იცავს.

ამგვარად, ყალიბდება მომხმარებლური საზოგადოება ანუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისეთი ერთობლიობა, როცა საკვანძო ადგილი ინდივიდუალურ მოხმარებას უკავია.

როდის შეიქმნა მომხმარებლური საზოგადოება?

ამ საკითხში მეცნიერთა მოსაზრებები განსხვავებულია. ერთნი ფიქრობენ, რომ ინდუსტრიული კაპიტალიზმის აღმოცენებისთანავე, ანუ ინგლისში XVIII საუკუნის ბოლოს და ამ მოვლენას „სამომხმარებლო რევოლუციას" უწოდებენ.[21] სხვები მიიჩნევენ, რომ მისი ელემენტები ჯერ კიდევ ინდუსტრიალიზაციის დაწყებამდე გამოჩნდა.[22]

ზოგადად, დასავლეთში მოხმარების საზოგადოების გამოჩენის პერიოდად მე-2 მსოფლიო ომის დამთავრებას თვლიან.[23] საყურადღებოა, რომ მოხმარების საზოგადოების შექმნის პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად წარიმართა: აშშ-ში – უშუალოდ ომის შემდეგ, დასავლეთ ევროპაში – ეკონომიკის აღორძინების პარალელურად, ძირითადად, 1950-ან წლებში.

მოხმარების საზოგადოებისადმი საზოგადო მოღვაწეთა და სოციოლოგთა შორის განსხვავებული შეხედულებებია გავრცელებული. მათი ძირითადი თეზისები ასეთია:

მომხრეთა არგუმენტები:

- მოხმარება ხელს უწყობს ეფექტური ეროვნული მთავრობის ფორმირებას, რაც საზოგადოებისათვის ხანგრძლივ პერიოდში სოციალურ სტა-

17. Ларс Свендсен. Философия моды. М., 2007. С. 69.

18. Девян Суджин. Язык вещей. М., 2013. С. 63.

19. ინგლ. commodity საქონელი. პროცესი, რომლის მსვლელობაში ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სახე საქონლის ფორმას იღებს და ფაქტობრივად ბაზარზე გაყიდვადი ხდება.

20. გავლენის სფეროს გაფართოება.

21. McKendrick N., Brewer J., Plumb J. The Birth of a Consumer Society. London: Europa, 1982.

22. Бауман З. Глобализация. Последствия для человека и общества. М.: 2004.

23. Lee M. Consumer Culture Rebon: The Cultural Politics of Consumption. London, 1993.

ბილურობას განაპირობებს;

- მომხმარებლური საზოგადოებაში მწარმოებლებს ახალი საქონლისა და მომსახურების შესაქმნელად მეტი მატერიალური სტიმული აქვთ, რაც საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველია;
- ინტენსიური მუშაობით, ხანგრძლივი სწავლითა და კვალიფიკაციის ამაღლებით მაღალი სამომხმარებლო სტანდარტები მიიღწევა;
- მოხმარების განვითარებით ხალხთა შორის სოციალური დაძაბულობა მცირდება;
- მომხმარებლური ქცევის მოტივები ასუსტებენ ეროვნულ და რელიგიურ ცრურწმენებს, რითაც ექსტრემიზმი კლებულობს და მომთმენობა მაღლდება;
- „მესამე სამყაროდან“ ნედლეულისა და საქონლის შესყიდვით მათი განვითარება ძლიერდება.

მოწინააღმდეგეთა არგუმენტები:

- მომხმარებლური საზოგადოებაში ადამიანი უფრო დამოკიდებული ხდება;
- მოხმარება ინდივიდის ძირითად მიზნად ყალიბდება, ხოლო მისი თავდაუზოგავი მუშაობა, სწავლა და კვალიფიკაციის ამაღლება მხოლოდ თანამდევი ეფექტის მომტანი საქმიანობა;
- ბუნებრივი რესურსები, როგორც მოხმარების საზოგადოების განვითარების საფუძველი, ამოწურვადია;
- მომხმარებლური საზოგადოება მხოლოდ განვითარებულ სივრცეში არსებობს, „მესამე სამყაროს“ ქვეყნები კი სანედლეულო რესურსების დანამატის როლში გამოდიან;
- მომხმარებლური საზოგადოებაში პროცესების დაჩქარება წახალისდება, მათ შორის, სშირად უარყოფითი, დამანგრეველიც;
- მომხმარებლური საზოგადოებაში ცალკეული ადამიანის პასუხისმგებლობა მცირდება. მაგ., გარემომცველი გარემოს დაბინძურებაზე პასუხიმგებლობა მთლიანად მწარმოებელს და არა მომხმარებელს ეკისრება;
- მომხმარებლური საზოგადოების მორალური ფასეულობები უცილობლად არ მოითხოვს ადამიანის ყოველმხრივ გონებრივ, ზნეობრივ და სულიერ აღზრდას, რაც ინდივიდის დეგრადაციას, მასობრივი კულტურის დაცემას იწვევს.

მომხმარებლური საზოგადოების მნიშვნელოვანი თავისებურებებია:

- მასობრივი წარმოების გამო, მოსახლეობის უმრავლესობა ფიზიკური გადარჩენის ჩარჩოებს სცილდება. მოხმარება მათი სოციალური იდენტურობის, საზოგადოებაში სოციოლოგიურ-კულტურული ინტეგრაციის ინსტრუმენტის როლში გვევლინება;[24]
- შეძენილი ნივთებით მომხმარებელი საკუთარ ინდივიდუალურობას ადასტურებს;
- მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მომსახურების სფეროს დარგთა ორგანიზაციაში: წვრილი მაღაზიების როლი მცირდება და საკვანძო პოზიციებს მასობრივი დასვენების ადგილებში განლაგებული მსხვილი სავაჭრო ცენტრები და სუპერმარკეტები იკავებენ;
- კომუნიკაციის სფეროში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებები (ინტერნეტისა და მობილური ქსელების გავრცელება) ახალ საინფორმაციო სივრცეს წარმოშობს და ურთიერთობის სფეროს აფართოებს. ამასთან, ამ სივრცეში დაშვება და მონაწილეობა ფასიან მომსახურებად ფორმირდება, რაც შუამავლის (პროვაიდერის) გარეშე შეუძლებელი ხდება.
- ფორმირდება სოციალური სტრატიფიკაცია, რომლის საფუძველია შემოსავლებში განსხვავება. ყველას აქვს სურვილი, მაგრამ განსხვავებული შესაძლებლობა, გახდეს კონკრეტული საქონლის მომხმარებელი, რის გამოც განვითარებული ქვეყნების მხოლოდ ზოგიერთი ინდივიდი ცხოვრობს მოხმარების საზოგადოებაში;
- ეკონომიკური სისტემა მოხმარების კულტურას მჭიდროდ უკავშირდება. ბიზნესი კულტურის მრავალ ისეთ ფენომენს აძლიერებს, როგორიცაა გემოვნებანი, სურვილები, ფასეულობები, ქცევის ნორმები, ინტერესები. ამ საქმეში მეტად მნიშვნელოვანია რეკლამის როლი, რომელიც ადამიანის ცნობიერების ყველაზე ღრმა ფენებში აღწევს;
- აქტიურად ვითარდება ტოტალიზატორების, კაფეების, ბარების, რესტორნებისა და ღამის კლუბების ქსელი;
- ძლიერდება მასობრივი მოხმარების ინდივიდუალიზაცია. მწარმოებელთა კონკურენცია მომხმარებლური კონკურენციას ბადებს. მასობრივი წარმოების ეპოქაში ფართოდ გავრცელებული ლოზუნგი: „ვიცხოვროთ მეზობლის მსგავსად“, იცვლება თანამედროვე ლოზუნგით: „ვიცხოვროთ გამორჩეულად“. დღევანდელ მომხმარებელს სურს არა სხვების მსგავსი ტანსაცმელი, ავტომობილი, საათი ან სხვა რამ, არამედ მათგან განსხვავებული. ინდივიდუალური მოხმარება მომხმარებლის არა მარტო სოციალურ სტატუსს ასახავს, არამედ მისი ცხოვრების ინდივიდუალური წესის მიმნიშნებელი ხდება;
- სამომხმარებლო არჩევანის თავისუფლებაში მეფობს მომხმარებლის დემოკრატია. თავისუფლება ორ შემადგენელს მოიცავს: ხელმისაწვდომი ფართო ასორტიმეტის საქონელი და მომხმარებლის გადახდისუნარიანობა;

24. Ильин В. И. Общество потребления: теоретическая модель и российская реальность. СПб, 2008, С. 2-9.

- აქტიურად ვრცელდება საბანკო და მუდმივი მყიდველის პერსონალური ბარათები და საგზაო ჩეკები. უნაღდო ანგარიშსწორების მრავალფეროვანი ფორმები ყიდვის შესახებ მოფიქრების დროსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს მკვეთრად ამცირებს;
- დაკრედიტების სისტემა სოციალური კონტროლის საფუძვლად ფორმირდება, როცა კეთილდღეობა კრედიტით შეძენილ ნივთებს ეფუძნება და ინდივიდის სტაბილურ შემოსავალზეა დამოკიდებული. გადახდის ახალი საშუალებებით მოხმარების კულტურა რადიკალურად იცვლება, რომელიც, თავის მხრივ, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის პროცესს აჩქარებს. დაგროვების ფენომენი წარსულს ბარდება. ფული, რომელიც ინდივიდმა ახლახან მიიღო, მყისიერად საქონლის შესაძენად მიემართება. ინფლაცია მფლანგველობის კულტურას აძლიერებს: სახლში ან ბანკში შენახული ფული სწრაფად უფასურდება, ამიტომ მოხმარებაში მისი გაშვება უფრო ეფექტური ხდება;
- საქონლისა და მომსახურების ღირებულების სტრუქტურა არსებითად იცვლება. მეტწილად მასში „სავაჭრო მარკის“ (ბრენდის) ფასი სიმბოლურად ერთვება, როცა „ცნობილი“ ფირმის საქონელი გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე ანალოგიური. წარმოების ინტერესია არა უბრალოდ საქონლის, არამედ ბრენდის დამზადება. ბრენდების წარმოება და გაყიდვა ეფექტურ ეკონომიკურ საქმიანობად ფორმირდება. თანამედროვე მსოფლიო ბრენდების ათეული, რომლებიც ჩვენი ცხოვრების მომავალს განსაზღვრავენ, ასეთია: Google, Microsoft, Disney, Apple, Samsung, Intel, Toyota, Johson and Jonhson, Unilever და IBM.[25]
- ბრიტანული კონსალტინგული კომპანია Brand Finance-ს ეკონომიკური პროცესების კვლევებით, დადგენილია 100 ეროვნული ბრენდის რეიტინგი მათი ღირებულების მიხედვით. 2012 წლის მდგომარეობით, მსოფლიოს მოწინავე პირველი ხუთეული ასეთია: 1. აშშ (ბრენდების ღირებულება 14 641 მილიარდი დოლარი), 2. ჩინეთი (4 847), 3. გერმანია (3 903), 4. იაპონია (2 552) და დიდი ბრიტანეთი (2 189 მილიარდი დოლარი). საქართველოს რეიტინგი 99-ეა, ღირებულებით, 9 მილიარდი დოლარი;[26]
- მომხმარებლური საზოგადოების ეკონომიკის ბურჯი ახალი ტიპის პიროვნება ხდება. მისი საკვანძო მახასიათებლებია მოხმარებისადმი მიდრეკილება, როგორც საკუთარი იდენტურობის აღიარება. ამ ვითარებაში დიდი ფრანგი მოაზროვნის რენე დეკარტის (1596-1650) ცნობილი კლასიკური თეზისის პერეფრაზირება ასე ჟღერს: „მოვიხმარ, მაშასადამე, ვარსებობ“;
- მასობრივი სამომხმარებლო კრედიტი სოციალური კონტროლის ახალ ფორმად და მშრომელთა რეპრესიულ ინსტრუმენტად გვევლინება. როცა სახლი, ავტომობილი ან ავეჯი საბანკო კრედიტითაა შეძენილი, ოჯახის (პიროვნების) კეთილდღეობა სტაბილურ სამუშაოზეა ძლიერ დამოკიდებული. ყოველგვარი პროტესტი და სამსახურებრივი კონფლიქტი სამუშაოს დაკარგვის მოსალოდნელ რისკს ადიდებს და საკრედიტო კეთილდღეობაზე უარყოფითად მოქმედებს;
- რეკლამა, როგორც საბაზრო წარმატების საკვანძო ფაქტორი, მასობრივი კულტურის შედარებით გავრცელებულ ფენომენად გვევლინება. მთავარი სირთულეა არა საქონლის წარმოება, არამედ მომხმარებლის დაწმუნება მისი ყიდვის შესახებ. თანამედროვე რეკლამა წარმოების ნაირსახოვან საშუალებად ყალიბდება. კონკრეტული საქონლის შეძენით იგი ინდივიდში სილაღის, ბედნიერებისა და ადამიანთა გამორჩეული ჯგუფის (ელიტის, კლასის) ან ტიპის მიკუთვნების გამძაფრებულ სურვილს ბადებს;
- საქონელი სულ უფრო მეტად კომუნიკაციის საშუალებად ფასდება, რომელიც საშუალებას იძლევა სხვას გადასცეს ინფორმაცია მისი მფლობელის სოციალური სტატუსის, ინდივიდუალურობისა და მოდურობის შესახებ;
- გლობალიზაციის გავლენით ადგილობრივი ბაზარი მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი რიგითი ფილიალი ხდება. ყოველი ადგილობრივი მწარმოებელი, ამა თუ იმ ზომით, სხვა რეგიონებისა და ქვეყნების მწარმოებელთა კონკურენტად იქცევა. აღნიშნული გარემოებით საქონლის სამომხმარებლო სტანდარტები და ასორტიმენტი რადიკალურად იცვლება, სამომხმარებლო თავისუფლების სივრცე არსებითად ფართოვდება;
- მოდა წარმოების მამოძრავებელ ძალად გვევლინება, რადგან მისი გავლენით დამზადებული ნივთები მორალურად გაცილებით ადრე ცვდება. ინფლაციის პირობებში, ფულის მსგავსად, ნივთებიც უფასურდება. მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანი გამუდმებით და სიმბოლურად თავს „დაჩაგრულად“ მიიჩნევს: ცოტა ხნის წინათ ნაყიდი ახალი მოდელის ძვირადღირებული ნივთი, უკვე ძველმოდური ხდება;
- საქონლის შეფუთვა მნიშვნელოვან მახასიათე-

25 http://www.brandreport.ru/ratings/?rtid=49

26 http://gtmarket.ru/ratings/brand-finance-nation-brands-100/info

ბლად გვევლინება. მის გარეშე ძალიან კარგი საქონელიც კი მრავალრიცხოვანი კონკურენტების ფონზე შეუმჩნეველი რჩება. იგი რეკლამის ქმედით ინსტრუმენტად ყალიბდება;

- მიმდინარეობს მოხმარების ესთეტიზაცია, რის გამოც დიზაინის როლი მკვეთრად მაღლდება. იგი სამომხმარებლო სურვილების აღძვრისა და გაყიდვის სტიმულირების პროვოცირებაში საკვანძო როლს ასრულებს;
- რეალურობის პარალელურად ვირტუალური (უხილავი) რეალობა ფორმირდება. ინტერნეტითა და კომპიუტერული თამაშებით ვირტუალური სამყაროს საზღვრები მკვეთრად ფართოვდება;
- პოლიტიკა პოლიტიკური მარკეტინგის ფორმას იძენს. თვით დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიულ სივრცეში დიალექტიკური წინააღმდეგობა აშკარად შეიმჩნევა: ერთი მხრივ, როგორც ძველად, სახელმწიფოს მართვა ვიწრო პოლიტიკური ელიტის ხვედრად კვლავ რჩება, ხოლო მეორე მხრივ, – საყოველთაო არჩევნების სისტემის მეშვეობით, ფორმალური დემოკრატიის განვითარებული მექანიზმებით ხელისუფლების მოპოვებაზე ელიტის უფლება მტკიცდება. როგორც ბიზნესი ისწრაფვის მომხმარებლების ცდუნებით მოგების მიღებას, გაბატონებული ელიტაც ამომრჩევლების მანიპულირებით ხმების მიღებას ცდილობს. ერთი და იგივე ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ როგორც საქონლის გაყიდვას, ისე პრეზიდენტის არჩევას. ამიტომ, ასეთ საზოგადოებაში პოლიტიკური თავისუფლება სავაჭრო ცენტრში თავისუფალი სამომხმარებლო არჩევანის ანალოგიურად გვევლინება;
- მიმდინარეობს ფიზკულტურისა და სპორტის კომერციალიზაცია. ფიზკულტურა საბაზრო მომსახურების (სპორტული დარბაზების აბონემენტები, ექიმების, მასაჟისტებისა და ინსტრუქტორების კონსულტაციები და ა.შ.) როლს ასრულებს. პროფესიული სპორტული კლუბები მაყურებელთა „მწარმოებლები“ და სპორტსმენების მყიდველები ხდებიან. ფიზიკური ვარჯიში, როგორც თავისებური ინვესტიცია საკუთარ ჯანმრთელობაში, ინდივიდის სოციალური იდენტურობის მიმნიშნებლად (თანამედროვე და წარმატებული ადამიანთა ჯგუფის კუთვნილება) გვევლინება. ადამიანის კარგი ფიზიკური აღნაგობა მისი წარმატების ხელშემწყობი ფაქტორი ხდება;
- მედიცინა, გარკვეული თვალსაზრისით, ეკონომიკის ერთ-ერთ მძლავრ დარგად ყალიბდება. მისი მამოძრავებელი მოტივია მრავალფეროვანი სამედიცინო მომსახურების გაწევითა (ოპერაცია, კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და სხვ.) და სამკურნალო პრეპარატების ინტენსიური გაყიდვით მაქსიმალური მოგების მიღება. ამ დარგის ეკონომიკური განვითარების ლოგიკა მომსახურების სფეროს სხვა დარგების ლოგიკისაგან არ განსხვავდება;
- ახალგაზრდულად და ჯანმრთელად ყოფნა, განსაკუთრებით ელიტის წევრებს შორის, ძალიან „მოდური“ ხდება. ვითარდება ე.წ. „სილამაზის ინდუსტრია“. ფართოდ ვრცელდება გამაახალგაზრდავებელი პროცედურები და პლასტიკური ოპერაციები.

მომხმარებლური საზოგადოება ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობას არნახული დონით ამწვავებს. ამ წინააღმდეგობას ორი განზომილება აქვს:

1) ადამიანი და გარემომცველი გარემო;
2) ადამიანი და მისი ჯანმრთელობა.

თავშეუკავებელი მოხმარება როგორც გარემომცველ გარემოზე, ისე ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. ამ მეტად საშიში პროცესის გაცნობიერება ყოველდღიურ პრაქტიკაში ორ სხვადასხვა მიმართულებას წარმოშობს: ერთი მხრივ, აქტიურად გაისმის მოხმარების შეზღუდვისა და ბუნებასთან ახლოს ყოფნის მოწოდებები (შედეგად, ელიტური მომხმარებლებისათვის ეკოლოგიური დასახლებები მრავლდება), ხოლო, მეორე მხრივ, მოხმარების განვითარებული საზოგადოება თავის წყლულებს ახალი მოთხოვნების წარმოშობის წყაროდ გარდაქმნის და მას საბაზრო მოთხოვნად აქცევს. მაგ., საყოფაცხოვრებო ნარჩენების კოლოსალური ზრდა მათი გატანისა და გადამუშავების ბიზნესის სტიმულირებას იწვევს; გარემომცველი გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით, მომხმარებელი ძვირადღირებულ მომსახურებას იძენს (მაგ., ავტომობილის გამონაბოლქვის გამწმენდი მოწყობილობის დამონტაჟება); ბიზნესი ადამიანის ღორმუცელობას გვარიანად ახალისებს და, იმავდროულად, მასვე წონის შემცირების დიეტურ საქონელსა და მომსახურებას სთავაზობს; აქტიური ავტომობილიზაციის შედეგად ფიზიკური მოძრაობისათვის საცხოვრებელი სივრცე ყოველდღიურად მცირდება და, იმავდროულად, ცხოვრების ახალი სტილის პროპაგანდაც ხდება (სპორტულ ცენტრებში ტრენაჟორების ბილიკზე მოძრაობის ფასიანი მომსახურება); მოგების მისაღებად კვების პროდუქტებს ქიმიკატებით ანაგვიანებს და მომხმარებელს გადიდებული ფასებით „ეკოლოგიურად სუფთა“ პროდუქტებს სთავაზობს და ა.შ.



აღნიშნულ გარემოებათა გამო, მომხმარე-

ბლური განვითარებული საზოგადოება სრულიად ახალი ტიპის მომხმარებელს – X-მომხმარებელს ქმნის, რომელიც მისი წინამორბედებისაგან მრავალი თვისებით განსხვავდება.

მომხმარებლურ საზოგადოებაში „X-მომხმარებლები“ არიან ახალი ღირებულებებისა და იდეალების მატარებლები, რეტრანსლატორები (დამაკავშირებლები) და რეციპიენტები (მიმღებები).

X-მომხმარებლები პერიფერიული დასახლებებიდან ცენტრისაკენ ინტენსიურად მიილტვიან და გასული საუკუნის საზოგადოების ერთადერთ იმედს – „საშუალო კლასს“ გვარიანად ავიწროებენ. ვინ არიან ისინი და რა ობიექტური წინაპირობები არსებობს იმისათვის, რომ ვამტკიცოთ, მათი ზრდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი ტრენდია და მომავალი ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი?

მოსაზრება პირველი

განსხვავება „ჩვეულებრივ, რიგით ადამიანსა“ და X-მომხმარებელს შორის არა მარტო ასაკში, არამედ და უმთავრესად, – მათ პირად ფსიქიკაშია. X-მომხმარებლის დღევანდელი თაობა სრულიად სხვაგვარად აღიქვამს მოვლენებს, სხვაგვარად რეაგირებს მათზე, გარშემომყოფთაგან ოპერატიულად მოელის დადებით საპასუხო რეაქციას – `WOW“.

X-მომხმარებლის გაშუალებული პორტრეტი დაახლოებით ასეთია: მას ინტერნეტის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, რადგან მსოფლიოსა და სიცოცხლის შეცნობა მხოლოდ სოციალური ქსელების, ბლოგებისა და საძიებო საიტების მეშვეობით შეუძლია. თუ საქონელი, ადამიანები, მოვლენები და პროცესები ინტერნეტში ღირსეულად არაა წარმოდგენილი, იგი მისთვის არ არსებულია.

Onlin-რეჟიმში ცხოვრება X-მომხმარებლის ახალგაზრდა თაობისათვის ჟანგბადის ტოლფასია. კომპანია Microsoft-ის მიერ 20 წლის ასაკის 12 ათასამდე ახალგაზრდის მთელ მსოფლიოში გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპოდენტების 45%-ზე მეტს ინტერნეტის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია (რაც 2-ჯერ მეტია, ვიდრე ტელეფონის გარეშე).[27]

კომპიუტერული სამყარო ატომური და კოსმოსური კვლევების შემდეგ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიიჩნიეს. ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდელი, ამერიკელი მარკ ცუკერბერგი (დ. 1984 წ.) სოციალური ქსელის, Facebook-ის, დამფუძნებელია.

X-მომხმარებელს ვერ წარმოუდგენია სამყარო თანამედროვე მობილური ტელეფონის, ნოუთბუქის, პლანშეტური კომპიუტერის, ელექტრონული წიგნის ან თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარეშე. ვინც ბიზნესში ან ყოფა-ცხოვრებაში არ იყენებს ამ და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიებს, იგი X-მომხმარებლისათვის საინტერესო პიროვნება არაა.

ასე რატომ მიეჯაჭვა X-მომხმარებელი ტექნიკურ საშუალებებს?

იმიტომ, რომ კომპიუტერმა მისი რეალური სამყარო რადიკალურად შეცვალა, ინფოსფერო უპრეცედენტო რაოდენობის ნიმუშებითა და სიმბოლოებით დაუტვირთა, მაღალი სიჩქარით „არსებობა“ აიძულა, შესაძლებლობები და თვალსაწიერი დიდად გაუზარდა – ინფორმაციის მოძიების, დაგროვების, მრავალმხრივი ანალიზისა და არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღების კოლოსალური შანსი მისცა, სოციალური მეხსიერების საზღვრები მნიშვნელოვნად გაუფართოვა, მსოფლიო ბაზრებზე ოპერატიულად გაიყვანა, ეროვნული საზღვრების კონსერვატული ცნება დაუმსხვრია, ვირტუალურ სივრცეში გადაიყვანა, რითაც კონტრჰაგენტებს შორის ურთიერთზემოქმედების სიჩქარე საგრძნობლად გაზარდა.

X-მომხმარებელი აქტიური, მაგრამ პრეტენზიული, მომთხოვნი და განებივრებული ადამიანია და მისდამი ინდივიდუალურ დამოკიდებულებას მოითხოვს, აფასებს დროს, მოხერხებულ და კომფორტულ პირობებს.

თანამედროვე ცხოვრების რიტმი მედგარ გამძლეობასა და მხნე ჯანმრთელობას საჭიროებს, რაც მსუბუქი საკვების სწრაფი დამზადებისა და მიღების აუცილებლობას განაპირობებს. ამიტომ კვების პროდუქტების ბაზარზე „გადარბენის“ პირობებში მოხმარებისათვის მზა პროდუქტები გამოჩნდა.

ამასთან, X-მომხმარებელი ორიენტირებულია არა მარტო „მოხერხებულ“ და ჯანმრთელ კვებაზე, არამედ სამზარეულოს კულტურულ mix-ზეც, რომელშიც სხვადასხვა ხალხის გასტრონომიული ტრადიციები ერთმანეთში ორგანულად შერწყმულია. აღნიშნულის ნათელი მაგალითია იაპონური და ჩინური სამზარეულოების სწრაფად განვითარებადი მსოფლიო ბაზარი.

სტრესის მომგვრელი ფსიქოლოგიური ფაქტორების ზრდამ და თანამედროვე ცხოვრების რიტმის აქტიურმა ზეწოლამ წარმატებული, მცოდნე, მაგრამ ჭირვეული ახალგაზრდა ინდივიდების თაობა წარმოშვა, რომლებიც „სხვა სიჩქარით“ ცხოვრობენ, საშუალოზე მაღალი შემოსავალი აქვთ და მეტ თავისუფალ დროს ბუნებაში ატარებენ, რასაც გასტრონომიულ გემოვნებაში ამჟღავნებენ – მათთან იშვიათი და ეგზოტიკური ხილი და მცენარეები „მეორე დაბადებას“ განიცდის. უცხოელმა მკვლევრებმა ამ სამომხმარებლო ტრენდს „თეფშზე არსებული ბუნება“ უწოდეს.

ამგვარად, X-მომხმარებლის სოციალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტის განმასხვავებელ თავისებურებად შეიძლება დასახელდეს:

- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის მოხმარებისადმი საზიანო, არაჯანსაღი დამოკიდებულება;
- ინდივიდუალობისადმი მკაცრი მომთხოვნელობა და მრავალფეროვანი ვარიანტებისადმი აღფრთოვანება;

27 Климова Э.Н., Климова Т.В. «Креативная буржуазность» x-people: новый тип потребителя или новая ценность. Ж. «КЭ», 2014, №4, С. 34-41.

- გასტრონომიული პრინციპი: სწრაფი და სასარგებლო;
- კანონებისა და ოფიციალურობისადმი ნაკლები პატივისცემა;[28]
- საკუთარ თავზე არსებული წესების მორგების ძლიერი სურვილი;
- Onlin-მეგობრების შეფასებისადმი ამაღლებული განწყობილება;

მოსაზრება მეორე

დღევანდელობამ X-მომხმარებლის ცნება გააფართოვა. იგი მოიცავს სხვადასხვა მასშტაბს, რესურსსა და განმარტებას. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგისა და ეკონომისტის, რიჩარდ ფლორიდას აზრით, X-მომხმარებელი, როგორც კრეატიული (შემოქმედებითი) კლასის წარმომადგენელი, ახალი ეკონომიკის მთავარი ბურჯია. კრეატიული კლასი ამჟამად მოიცავს 38 მილიონ ამერიკელს, რაც აშშ-ის მთელი აქტიური სამუშაო ძალის, დაახლოებით, 30%-ია. იგი XX საუკუნეში თითქმის 10-ჯერ და მეტად გაიზარდა.[29]

ჩვენ ინტელექტუალური კაპიტალიზმის ერაში ვცხოვრობთ. მიმდინარეობს მრეწველობის სფეროდან ინტელექტუალურ სივრცეში კაპიტალის გადადინება. თანამედროვე ინტელექტუალურ კაპიტალს კომპანიის ეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გადიდება შეუძლია. ამის გამო, მისადმი ინტერესი დიდია. მაგ., კომპანია Microsoft-ის ინტელექტუალური კაპიტალი მისივე საბაზრო ღირებულების 94%-ია, ხოლო კომპანია Intel-ისა – 85%.[30]

ბაზრისა და საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ინტელექტუალურმა კაპიტალმა შეიძლება სხვადასხვა ფორმა შეიძინოს. მაგ., Google ინტერნეტ-სივრცეში ადამიანის ქცევის შესახებ ცოდნას იყენებს როგორც რესურსს სარეკლამო მოედნის ეფექტური გაყიდვისათვის. კომპანია Microsoft პროგრამისტების წყალობით მსოფლიოს იპყრობს და „კრეატიული გონების“ მქონეთა მისაზიდად ფართომასშტაბიან ოპერაციებს ასრულებს.

მოსაზრება მესამე

ძალას იკრებს თვითნასწავლობის კულტი (ინგლ. DoltYourself – „გააკეთე თვითონ“). ჩვენ დროში ამ იდეის ტრანსფორმაცია ესაა კოუჩინგი,[31] რეალურობის ტრანსერფინგი[32] და სხვა მიდგომები და თეორიები, რომლებიც ავითარებენ პირად მიზნებს. ასეთია მაგ., თვითორგანიზაცია, მოტივაცია, მართვა და ა.შ.

მოსაზრება მეოთხე

დღეს ქალები ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატების პიკზე არიან. ისინი პროფესიულ სამყაროში არა მარტო ახალ „ტერიტორიებს“ იპყრობენ, არამედ მოხმარების ახალ კულტურას ამკვიდრებენ. საქონლის შეძენის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას, ძირითადად, X-მომხმარებელი ქალები იღებენ. სოციოლოგების გამოკითხვით, თანამედროვე 10 ქალიდან 9 (ანუ 90%) მთავარ სასიცოცხლო მიზნად ფინანსურ დამოუკიდებლობას ასახელებს.[33]

ქალი-ლიდერები ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი შედარებით პერსპექტიული ძალაა. ისინი მომავლის ეკონომიკას აღიქვამენ, როგორც მოქნილ და მათზე მზრუნველ საბაზრო სისტემას, სადაც ბაზრის ახალი ღირებულებები, ფასეულობები დომინირებს. კომპანია Goldman Sachs-ის გათვლებით, შრომით საკითხებში ქალთა და მამაკაცთა სრული თანასწორობის პირობებში, აშშ-ის მშპ 9%-ით გაიზარდა, ევროკავშირის ქვეყნებში – 13%-ით, ხოლო იაპონიაში – 16%-ით.[34] დღეისათვის ეკონომიკის სფეროში 1,2 მილიარდი ქალია მსოფლიოში დასაქმებული, რაც ანალიტიკოსების შეფასებით, 2020 წლისათვის კიდევ 900 მილიონით გაიზრდება. ამიტომ ნათელია, რომ პროფესიონალი ქალები ეკონომიკის ზრდის საკვანძო ფაქტორად მიიჩნევა.[35]

კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს: საქონლის ყიდვისას ქალები ყურადღებას ამახვილებენ მომსახურების ხარისხზე, ატმოსფეროზე, ესთეტიკასა და დიზაინზე. საქონლის შეძენისა და მოხმარებისას ქალების დამოუკიდებლობამ და ლიდერობამ კაცების ქცევაც შეცვალა: ბაზრის ზოგიერთი სექტორი, რომელიც ტრადიციულად მხოლოდ ქალებზე იყო ორიენტირებული (მაგ., კოსმეტიკა, SPA-პროცედურები[36]), დღეს მამაკაცებს შორისაც საკმაოდ კარგი მოთხოვნით სარგებლობს.

მოსაზრება მეხუთე

იზრდება „კრეატიული ქალაქების“ მნიშვნელობა: კრეატიულ და ტალანტ პროფესიონალებზე ხელმისაწვდომობა ისევე აუცილებელია, როგორც რკინის მადანზე, ქვანახშირზე, ნავთობზე და ა.შ. შეიმჩნევა პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციების შორის მძაფრი კონკურენცია. „ცოცხალი ორგანიზაციები“ განსაზღვრავენ ეკონომიკას მომავალში, ცვლიან მართ-

28. გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში ახალგარდების 30%-ს კონფლიქტი აქვს კანონთან. წყარო: Хагуров Т. «Человек потребляющий». Антропологическая девиантология массовой культуры. Саарбрюккен, 2011, С. 7.

29. Флорида Р. Креативный класс: люди, которые меняют будущее. М.: Классика-XXI, 2007.

30. Иванов П. Эра интеллектуального капитализма. http://www.management.com.ua/notesintellectual_era.html

31. ინგლ. coaching – სწავლება, ვარჯიში. კონსალტინგისა და ტრენინგის ერთ-ერთი მეთოდი. იგი კლასიკური კონსალტინგისაგან განსხვავებით რჩევებსა და მკაცრ რეკომენდაციებს კი არ იძლევა, არამედ გადაწყვეტილების ვარიანტს მომხმარებელთან ერთად ირჩევს.

32. შინაგანი სწავლება, ცხოვრებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შემსწავლელი კურსი.

33. Климова Э.Н., Климова Т.В. «Креативная буржуазность» x-people: новый тип потребителя или новая ценность. Ж. «КЭ», 2014, №4, С. 38.

34. http://mains-branding.ru/o_kompanii

35. http://womenofrussia.org

36. SPA ლათ. Sanitas per Aqua ჯანმრთელობა წყლის მეშვეობით. თანამედროვე SPA-პროცედურები წყლის გარდა მოიცავს, სახის მასაჟს, რელაქსაციას, კოსმეტიკას და სხვ.

ვისადმი, სტრუქტურისადმი და ორგანიზაციის ეფექტიანობისადმი დამოკიდებულებას.

მოსაზრება მეექვსე

X-მომხმარებელი წინასწარ ადგენს სამუშაოსადმი მოთხოვნებს. ინტერესი, შემოქმედება და თვითგანვითარება – აი სამუშაო ადგილის მიმზიდველობის საკვანძო ფაქტორები, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მაღალ მოტივაციას, თვითუკუგებასა და ეფექტურობას.

X-მომხმარებლის კრეატიულ-საპროექტო აზროვნება ბიზნესის წარმართვის განმსაზღვრელია. „ყოველთვის ვიყოთ ტალღაზე", სწრაფად შევცვალოთ ბიზნესის მიმართულება, დავაკვირდეთ ბაზრის განვითარებას, არ ჩავახშოთ მიღებული გადაწყვეტილების დროული აღსრულება, შევცვალოთ დრომოჭმული სტერეოტიპები, ბაზარზე ორიენტაცია გავაკეთოთ კომპეტენციების და არა არსებული საწარმოო სიმძლავრეების მიხედვით, აი რით იკავებს ორგანიზაცია თავის ძლიერ საბაზრო პოზიციას, აძლიერებს მის კონკურენტუნარიანობას, ახდენს მოთხოვნების კაპიტალიზაციას, იყენებს X-მომხმარებლური პოტენციალს.

რა შეუძლია შესთავაზოს ბაზარმა და მარკეტოლოგებმა X-მომხმარებელს?

მარკეტინგი უნდა გახდეს უფრო დინამიური და აქტიური, უწყვეტად ატარებდეს ბრენდებისა და ტრენდების მონიტორინგს და სწრაფადვე ქმედითად პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს, დროის ახალ გამოწვევებს, ხოლო X-მომხმარებელთან ერთად თავისი ქმედებები უმტკივნეულოდ უნდა დაიყვანოს ბაზრამდე და თვით X-მომხმარებლამდე.

დასკვნა

უახლოეს მომავალში X-მომხმარებლური საზოგადოება ეკონომიკის, მარკეტინგისა და კულტურის განვითარების მთავარი ორიენტირი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Афанасьева В. В. Туркина В. Г. Общество перепотребление. СПб. 2009, С. 20.
2. Бауман З. Глобализация. Последствия для человека и общества. М.: 2004.
3. Белл Д. Грядущее постиндустриальное общество: Опыт социального прогнозирования: Пер. с англ. М.: Academia, 1999.
4. Бзежинский З. Технотронная концепция. М.: 2006.
5. Бодрийяр Ж. Общество потребления. Его мифы и структуры. М.: 2006, С. 269.
6. Гельбрейт Дж. Кеннет. Новое индустриальное общество. М.: 1967.
7. Димаджио П. Культура и хозяйство//Экономическая социология. Том 5. 2004. № 3. С. 45-66. http://www.ecsoc.msses.ru
8. Иванов П. Эра интеллектуального капитализма. http://www. management.com.ua/notesintellectual_era.html
9. Ильин В. И. Общество потребления: теоретическая модель и российская реальность. СПб, 2008, С. 2-9.
10. Климова Э.Н., Климова Т.В. «Креативная буржуазность» x-people: новый тип потребителя или новая ценность. Ж. «КЭ», 2014, №4, С. 34-41.
11. Спектор Р. Убийцы категорий. Революция в розничной торговле и ее влиание на культуру потребления. Пер. с англ. М.:, 2013, С. 272.
12. Флорида Р. Креативный класс: люди, которые меняют будущее. М.: Классика-XXI, 2007.
13. Хагуров Т. «Человек потребляющий». Антропологическая девиантология массовой культуры. Саарбрюккен, 2011, С. 7.
14. Lee M. Consumer Culture Rebon: The Cultural Politics of Consumption. London, 1993.
15. McKendrick N., Brewer J., Plumb J. The Birth of a Consumer Society. London: Europa, 1982.
16. http://mains-branding.ru/o_kompanii
17. http://womenofrussia.org
18. http://gtmarket.ru/ratings/brand-finance-nation-brands-100/info

ГРУЗИНСКАЯ ИНЖЕНЕРНАЯ ТРАДИЦИЯ И СОВРЕМЕННОСТЬ

Валентина Мирзаева, инженер-системотехник

რეზიუმე

ქართული საინჟინრო ტრადიცია
და თანამედროვეობა

სტატიაში გაანალიზებულია ქართული საინჟინრო ტრადიციის მნიშვნელოვანი ელემენტები და მათი შენარჩუნების პერსპექტივა თანამედროვე პირობებში. შემაშფოთებელია დღეისათვის უფროსი თაობის საინჟინრო კადრების გამოუყენებლობა საზოგადოების მიერ - როგორც მათი პოტენციალის გამოუყენებლობ კონკრეტულ სფეროებში, ასევე დროით გამოცდილი მიდგომა საინჟინრო მოღვაწეობისადმი, აგრეთვე სამოქალაქო პოზიცია და ეთიკური სტანდარტები. ამის შედეგად არა მარტო წყდება ბუნებრივი კავშირი თაობებს შორის, არამედ ერთიანობაში უარესდება საზოგადოების სულიერი ცხოვრება, იკარგება საშუალება მთელი რიგი უპირატესობების გამოყენებისა საქართველოს მსოფლიო თანამეგრობაში ინტეგრაციისათვის მზარდი გლობალიზაციის ტენდენციების პირობებში. ხაზგასმულია საქართველოს საინჟინრო ტრადიციის უწყვეტობისათვის პირობების შექმნა. განხილულია საინჟინრო ცოდნის გადაცემის სხვადასხვა ასპექტები ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, აგრეთვე შესაძლებლობა უფროსი თაობისა და მათი ახალგაზრდა კოლეგების ერთობლივი მოღვაწეობის შესაძლებლობა, რომლებიც უკეთ იცნობენ თანამედროვე მოთხოვნებს და ადაპტირებულები არიან საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნებთან.

Summary

Georgian Engineering Tradition And the Present

The paper analyzes valuable elements of the Georgian engineering tradition and prospects of its preservation in modern conditions. Concern is expressed in connection with the absence of demand for experienced engineers of the older generation – their potential for the development of various spheres of industry as well as their approaches to engineering approved by time, their civic position and ethic standards. As a result not only a natural link between generations is interrupted but also spiritual life of the society as a whole is impoverished and the chance to use a number of advantages is lost in the process of integration of Georgia into the world community under the conditions of growing globalization tendencies. The author emphasizes the necessity to guarantee a continuity of engineering tradition in Georgia. The paper also views various aspects of transfer of engineering knowledge to young specialists, examines the possibility of joint work of older generation engineers with their young colleagues who are well-informed about today's challenges and adapted to the demands of informational society.

Резюме

В статье анализируются ценные элементы грузинской инженерной традиции и перспективы ее сохранения в современных условиях. Высказывается озабоченность невостребованностью обществом опытных инженерных кадров старшего поколения – как их потенциала для развития конкретных областей, так и проверенных временем подходов к инженерной деятельности, гражданской позиции, этических стандартов. В результате не только прерывается естественная связь между поколениями, но и обедняется духовная жизнь общества в целом, упускается шанс использования целого ряда преимуществ в процессе интеграции Грузии в мировое сообщество в условиях нарастания глобализационных тенденций. Подчеркивается необходимость обеспечения преемственности инженерной традиции в Грузии. Рассматриваются различные аспекты передачи инженерного знания молодым специалистам, а также возможность совместной деятельности инженеров старшего поколения с их молодыми коллегами, лучше знакомыми с современными вызовами и адаптированными к требованиям информационного общества.

* * * * * *

Согласно общепринятой в сегодняшнем мире классификации, большинство стран планеты, в том числе страны постсоветского пространства, относятся к категории развивающихся стран. В эту категорию автоматически попадают все государства, не достигшие определенного уровня экономического развития, характерного для небольшой группы так называемых "развитых стран". Такое деление отражает взгляды общества потребления, ориентированного исключительно на удовлетворение материальных потребностей. Очевидно, что оно имеет относительный характер, поскольку если за критерий развитости принять, например, богатство культурных традиций народа, многовековый опыт хозяйствования и т.п.,

то, возможно, в список “развитых” попадут совсем другие страны. Это будут страны, сохранившие и приумножившие культурные завоевания предков, не утерявшие завещанного предыдущими поколениями опыта жизни в гармонии с окружающей средой. Именно такой страной является Грузия, и для нее очень важно в стремлении догнать западные страны по экономическим показателям не отказываться и от ценного наследия прошлого.

Не надо забывать, что ведущий процесс современности – глобализация сопровождается стремительной унификацией всех параметров жизни населения Земли. Особую угрозу этот процесс представляет для стран, подобных Грузии, с тысячелетней культурой, которая за ненадобностью. необратимо исчезает. Забота о сохранении культурного богатства в эпоху глобализации является необходимым условием сохранения национальной идентичности народа и одним из важнейших факторов устойчивого развития общества.

В переломные эпохи истории, на одну из которых пришлась жизнь нынешнего поколения, эволюционный путь развития прерывается, уступая место революционному – общество скачкообразно переходит на новую социальную ступень. В такие периоды, как правило, происходит ломка традиций. Рвется духовная связь между поколениями, принижается роль традиционной культуры, исчезают веками шлифовавшийся опыт – все это характерно, в частности, для стран постсоветского пространства. Приверженцы сохранения традиции зачисляются революционерами в консерваторы и ретрограды, тормозящие ход истории, движение общества вперед. И это весьма печально, поскольку на каком-то этапе процесс становится необратимым, и целые пласты ценных духовных завоеваний поколений становятся недоступными для потомков. Формат данной статьи не позволяет проанализировать все аспекты проблемы; остановимся лишь на одной ее стороне – ломке инженерной традиции, которая в данном контексте рассматривается в более широком смысле, чем просто передача совокупности конкретных технических знаний в рамках подготовки соответствующих специалистов.

Сегодня, делая ставку лишь на экономический рост и развитие технологий, большинство развитых стран стремительно “беднеют” в духовном плане, безжалостно вычеркивая из своих приоритетов столетиями формировавшуюся традиционную культуру. Несмотря на безусловную важность технологических, социальных, экономических, политических аспектов современной стадии цивилизационного развития, трудно не заметить целого ряда сопутствующих негативных явлений. Научно-технический прогресс, протекающий в условиях отсутствия важнейших компонентов, прежде всего этических, становится источником глобальных экологических, политических и иных катаклизмов. Вот почему столь важно как для отдельных стран, так и для всего человеческого сообщества обратить самое серьезное внимание на сохранение и развитие этических, духовных элементов общественной жизни. Неслучайно все громче звучат голоса серьезных ученых и интеллектуалов, предупреждающих о тупиковом пути, по которому движется современное общество потребления, напоминающих о важности гуманистической составляющей развития и в целом – о необходимости изменения мирового цивилизационного тренда.

Сейчас хочется сделать акцент на другой стороне вопроса. Даже если исходить из существующей классификации государств, трудно назвать все множество развивающихся стран гомогенным – слишком они различаются по целому ряду параметров, начиная с размера территории, численности населения, наличия (или отсутствия) природных ресурсов и кончая веками формировавшейся ментальностью жителей. Все эти параметры следует учитывать, когда речь идет о дальнейшем развитии этих стран в современных реалиях, как и тот исторический путь, который они прошли, тот опыт, который накопили и тот потенциал (в том числе интеллектуальный), которым обладают. Фактически страны находятся на разных стартовых позициях в процессе интеграции в мировое сообщество в условиях растущих глобализационных тенденций.

В этой связи представляется целесообразным ряд постсоветских стран, включая Грузию, выделить в отдельную группу развивающихся стран, поскольку по определенным показателям они не могут быть поставлены на одну ступень с другими странами из той же категории. Остановимся на этом вопросе поподробнее.

После развала социалистической системы, можно сказать, признаком хорошего тона стало ругать все, что за прошедшие годы было создано народами, входившими в бывший Советский Союз. И, как обычно бывает в таких случаях, “вместе с водой выплескивается и ребенок”, свидетелями чего мы и являемся. Ругают все подряд – тогдашнее образование, науку и технологии, культуру и искусство… Тогда почему столько бывших советских ученых и специалистов, деятелей культуры, представителей интеллигенции пользовались (и продолжают пользоваться) заслуженным уважением на Западе, стали лауреатами престижных премий? Во многих странах мира до сих пор высоко ценятся специалисты, получившие образование в советский период. Недаром с открытием границ большое число специалистов “советского разлива” сделали на Западе столь успешную профессиональную карьеру, выделяясь широтой взглядов, эрудицией аналитико-синтетическими способностями на фоне западных коллег с их порой слишком уж узкой специализацией. Кстати, сейчас, как говорится, маятник качнулся в другую сторону: все больше

голосов раздается в защиту советского образования (разумеется, если из него вычленить идеологическую составляющую). Оказывается, оно было не так уж плохо с профессиональной точки зрения – студентов учили самостоятельно мыслить, они получали знания из самых разных областей, что помогало им в их дальнейшей деятельности; особенно важно это было для специалистов в естественных науках и инженерии. Все сказанное в полной мере относится к Грузии, которая в советский период выделялась среди других союзных республик наиболее высоким процентом людей с высшим образованием. Но даже не это главное.

Важнее то, что Грузия обладает вековой инженерной традицией, которая может безвозвратно исчезнуть в наши дни. Пока еще на слуху (по крайней мере, у старшего поколения) славные имена работавших в Грузии на протяжении XX столетия инженеров – металлургов и химиков, геологов и строителей, машиностроителей и энергетиков, посвятивших свой талант делу создания и развития различных отраслей промышленности. Без малого столетие кузницей инженерных кадров является Грузинский политехнический институт (ныне Грузинский технический университет), у истоков которого стояли выдающиеся ученые и подлинные патриоты, чьи деяния на благо родины навечно вписаны в историю страны. На протяжении многих лет учебное заведение с одной стороны сохраняло традиционные подходы к подготовке специалистов, а с другой – развивалось в русле протекавших процессов, живо откликаясь на запросы времени. Взять, к примеру, недавно отметившую 40-летие кафедру Автоматизированных систем управления, возникшую в начале 70-х гг. XX века в период бурного развития вычислительной техники и автоматизации всех сфер жизни. Ее воспитанники, разбросанные сегодня по десяткам стран мира, стали не только квалифицированными специалистами в области систем управления и информационных технологий, но и широко образованными людьми, успешно применяющими системные подходы как в узкопрофессиональной сфере, так и при решении широкого круга проблем. И в этом немалая заслуга профессорско-преподавательского состава. Подобных примеров можно привести очень много.

Знаменательной является и тенденция по сближению технического и гуманитарного знания, способствующая развитию интегративных направлений, повышению эффективности исследований. Процесс этот многоплановый: с одной стороны он способствует обогащению технических дисциплин гуманитарными аспектами (что сегодня весьма актуально), с другой – усиливает гуманитарное образование современным математическим аппаратом, помогает развитию логического мышления и аналитических способностей у студентов, избравших гуманитарные и социальные направления.

Принципиальным является тот факт, что специалисты-"технари", вне зависимости от господствующей политической системы, гораздо в меньшей степени, чем гуманитарии, подвержены идеологическому прессингу, что связано как с самой спецификой их деятельности, так и со структурой получаемого ими образования (в котором даже в советский период идеологические компоненты присутствовали в незначительной степени). В этом – одна из причин того, что специалисты, получившие сильную подготовку в предшествующий период, оказались способными работать и в изменившихся политических и социальных условиях (то, что, несмотря на это, они, увы, далеко не всегда востребованы – не их вина, а их беда). Хорошие специалисты должны быть в курсе достижений и инноваций в своей и смежных областях, ощущать "витающие в воздухе" идеи – это повышает эффективность их труда в выбранной сфере, позволяет своевременно отвечать на требования времени – к инженерно-техническим кадрам это относится в наибольшей степени. В отличие от них, некоторые представители социальных наук и ряд общественных деятелей реагируют на "ветер перемен" слишком буквально, подобно флюгерам меняя свои убеждения в зависимости от направления "политического ветра" на данном историческом этапе.

Следует упомянуть еще одну сторону рассматриваемой проблемы. На Земле есть несколько стран, и среди них Грузия, которые в силу своего географического положения оказались "на перекрестке" цивилизаций. Жители таких стран впитали черты как западной цивилизации, так и Востока, и это дает им реальное преимущество перед другими народами. Как известно, для Запада более характерны рациональные подходы, тогда как на Востоке познание развивалось с использованием других механизмов, в частности – чувственно-интуитивных. Очевидно, что синтез различных подходов (или, рассуждая в терминах современной психологии, использование преимуществ функциональной асимметрии мозга), формируя многомерное, системное мышление, открывает широкие перспективы для творчества, в том числе, инженерно-технического. К сожалению, господствующая в современном мире ориентация исключительно на западные методы и подходы, выхолащивает из ментальности сегодняшних жителей таких стран много ценных элементов, лишая их важных достоинств. Неудивительно, что по сравнению с нашим временем в предшествующие годы было существенно больше изобретателей и в целом – людей с нестандартным мышлением, креативных способных генерировать оригинальные технические идеи и решения, а не только реализовывать чужие разработки.

Сейчас можно услышать, что время ученых и инженеров с творческим складом ума прошло, подобные личности сейчас не востребованы, по крайней мере – в развивающихся странах, которые, по определению, должны следовать в фарватере движения

развитых стран. Ситуация, при которой интеллект, креативность и опыт специалистов оказываются не нужными собственной стране, знакома многим развивающимся государствам. Именно в ней – причина массовой "утечки мозгов" из этих стран, именно она в значительной степени способствует еще большему росту технологической мощи развитых стран, одновременно обедняя страны – "поставщики мозгов".

Не избежали такой участи и постсоветские страны, включая Грузию. Стоит ли удивляться, что те, кому позволяет возраст и кто не потерял еще надежды реализовать свой интеллектуальный потенциал, стремятся уехать в другие страны. Очевидно, что для Грузии нецелесообразно полностью перечеркивать научно-технический опыт, накопленный в недавнем прошлом, отказываться от формировавшихся десятилетиями ценных традиций. Нерационально отказываться от потенциала трудоспособного старшего поколения – опытных инженеров, ученых и специалистов в теоретических и прикладных областях, большинство из которых сегодня оказались "не у дел". Надо приостановить процесс маргинализации таких людей (как, впрочем, и других категорий интеллигенции), вместо этого их следует всячески поддерживать, активно вовлекать в трудовую деятельность, используя их наработки и опыт. Конструктивным также представляется активное привлечение к совместной деятельности и работающих за рубежом членов грузинской интеллектуальной диаспоры, как это стали в последние годы делать некоторые быстро развивающиеся страны.

Еще один фактор в пользу вышесказанного заключается в следующем. Сегодня, в эпоху узкой специализации, дифференциации и отдаления дисциплин друг от друга, порой трудно бывает увидеть общую картину, сопоставить различные явления, навести мосты между отдельными областями. В то же время, все более очевидной становится необходимость использования интегрированных подходов, позволяющих анализировать процессы и явления в их совокупности. Вот почему, наряду с узкими специалистами, нужны и люди, обладающие более широким видением явлений. И вот здесь-то и могут пригодиться ученые и инженеры старшего поколения, эрудированные, имеющие широкий кругозор, подготовленные в свое время высококвалифицированными преподавателями старой школы. Система полученного ими образования включала широкий спектр теоретических и прикладных дисциплин. Таких специалистов сегодня можно было бы интегрировать в единые команды с более молодыми коллегами, получившими современное образование с другими акцентами. Эти последние лучше вписаны в современность, органично существуют в сегодняшнем информационном обществе, хорошо владеют современными технологиями, знают иностранные языки, лучше знакомы с вызовами времени. Вместе они могли бы составить хороший тандем, дополняя и усиливая возможности друг друга; результаты такого сотрудничества могли бы оказаться весьма плодотворными.

Неиспользование по назначению существующих людских ресурсов, в первую очередь интеллектуальных, напрямую связано с сужением круга важных для страны направлений развития и выбором в качестве основного приоритета исключительно сферы обслуживания приезжающих гостей (в крайнем случае – создание инфраструктуры) с соответствующей ориентацией трудоспособного населения. Сказанное отнюдь не означает, что страна, богатая рекреационными ресурсами, должна отказаться от развития туристического бизнеса. Никто ведь не станет отрицать, что такие страны, как Италия и Франция весьма преуспели в туристической сфере. Однако это не мешает им в то же время успешно развивать целый ряд отраслей промышленности и выпускать на мировой рынок конкурентоспособную продукцию. Разумеется, тут есть сложности, связанные с развалом прежних связей с исчезновением ранее существовавшей кооперации и разделением труда, однако все это поправимо. В новых условиях можно как восстановить прежние связи, так и установить взаимовыгодные контакты с новыми партнерами.

Инженерные кадры, специалисты, эксперты в разных областях должны принимать непосредственное участие в определении приоритетных направлений развития страны. В частности, им должна принадлежать решающая роль в установлении параметров антропогенной нагрузки на окружающую среду, подготовке предложений по ее минимизации, по сохранению экологического баланса, внедрению энерго- и ресурсосберегающих технологий – эти задачи со всей остротой встают сегодня перед многими странами. Особую актуальность они приобретают для такой страны, как Грузия, которой предстоит разрешить сложную дилемму: найти разумный компромисс между интенсификацией социально-экономического развития с одной стороны и сохранением уникальных природно-рекреационных ресурсов с другой. Именно взвешенные подходы людей старшего поколения могут принести неоценимую пользу при решении этого вопроса, поскольку их опыт и знания позволяют более качественно провести комплексный анализ различных факторов и тенденций (порой противоречивых и даже взаимоисключающих) и точнее спрогнозировать отдаленные последствия осуществляемых мероприятий. Они же помогут в проведении модернизационных процессов с учетом местных реалий, избегая слепого копирования чужих образцов. Кроме того, большую роль здесь играют их приверженность определенным ценностям и этическим нормам.

На этом аспекте следует остановиться особо. Ни у кого не вызывает сомнений, что лица,

принимающие участие в разработке стратегических направлений, должны видеть долгосрочную перспективу, руководствоваться интересами страны, а не конъюнктурными соображениями, не принимать решений, идущих вразрез с этими интересами, какие бы сиюминутные материальные и политические выгоды и дивиденды такие решения ни сулили. При этом отчетливо прослеживается корреляция между правильностью избранного курса и степенью развитости гражданского общества, уровнем установленных морально-этических стандартов. Коль скоро ответственность за решения государственной важности лежит на плечах молодого поколения, первостепенное значение приобретает проблема воспитания у молодежи соответствующих качеств. Не составляет исключения и система подготовки инженерных кадров – включение в нее основ этики, эстетики, других элементов гуманитарного знания, способствуя формированию у студентов активной гражданской позиции, поможет им в дальнейшей профессиональной деятельности принимать адекватные решения. В целом подобные акценты в образовательной системе вносят существенный вклад в повышение как массового интеллектуального уровня, так и уровня духовности общества.

В прежние времена существовали определенные этические барьеры, которые нельзя было переступить, у старшего поколения был выработан иммунитет против аморальных действий – эти принципы формировались семьей, школой и в значительной степени опирались на традиционную культуру. Незрелые вкусы сегодняшней молодежи формируются рекламой, шоу-бизнесом, их духовная пища обычно ограничивается продукцией (часто низкопробной) массовой культуры – все эти процессы многократно усиливаются благодаря глобальным сетям, масс-медиа, новейшим информационным технологиям. Вот почему так важно развитие у молодого поколения духовных потребностей. В отсутствии “вакцинации духовности” трудно ожидать выдающихся деяний от поколения, которому предстоит жить в XXI веке, даже если оно полностью интегрировано в информационное общество.

Подытоживая сказанное, хочется еще раз подчеркнуть, что в такой стране, как Грузия, необходимо обеспечить преемственность как культурной, так и инженерной традиции. Жизнь снова и снова показывает непродуктивность полного отказа от оправдавших себя достижений прошлого. Само движение по спирали предполагает использование на новом витке развития всего ценного, что было создано на предыдущих стадиях. Традиция как регулятор общественных отношений, как совокупность базовых представлений, навыков практической и социальной деятельности, передаваемых из поколения в поколение, не должна прерываться, в том числе рассматриваемая в данной статье инженерная традиция. Пока еще не поздно, важно обеспечить передачу эстафеты инженерного дела следующему поколению специалистов, причем всех его компонентов, включая этические.

ქართული ღვინის ექსპორტის მარკეტინგული კვლევა

თეა ბიძინაშვილი, *სტუ-ს დოქტორანტი*
თამარ აბუაშვილი, *სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*
თამარ წერეთელი, *სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში ეფექტიან მარკეტინგად მომხმარებელზე ორიენტირეული საქმიანობა ითვლება, მომხმარებელზე ორიენტაცია კი, მათი სურვილების, შეხედულებების, საქონლის მიმართ დამოკიდებულების შესწავლის საფუძველზეა შესაძლებელი. ქართული პროდუქციის მთავარი პრობლემა მისი სიძვირეა. მაგალითად, ევროპაში ქართული ღვინის გატანა, ტრანსპორტირების ხარჯებსა და იქ არსებულ მაღალ გადასახადებთან ერთად პროდუქციას კონკურენტუუნაროს ხდის.

ყველასათვის ნათელია, რომ ქართული ღვინის ექსპორტისათვის ხელსაყრელი რუსეთის ბაზარია. ამ ბაზარზე მაღალია ცნობადობა და მოთხოვნა ქართულ პროდუქციაზე. რუსეთის მიერ ქართული ღვინის ემბარგოს შემდეგ მისი ექსპორტის მაჩვენებელმა საგრძნობლად დაინია და მისი ზრდა მხოლოდ 2011 წლიდან დაფიქსირდა. 2013 წელს ქართული ღვინო ხმაურით დაბრუნდა რუსულ ბაზარზე, თუმცა ეს წელი ღვინისთვის წარმატებული აღმოჩნდა არა მხოლოდ ამ ბაზარზე. 2014 წელს საქართველოდან მსოფლიოს 19 ქვეყანაში 15.4 მილიონი ბოთლი გავიდა გასაყიდად, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 243%-ით მეტია.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ღვინის ექსპორტის ზრდა, ახალი ბაზრის გახსნის გარდა, განპირობებული იყო ქვეყანაში ამ დარგში წარმოების ზრდითაც. ახალი საწარმოო შესაძლებლობების გაჩენა მნიშვნელოვანია იმ ფონზეც, რომ საქართველოს, რუსეთის ბაზრის გარდა, ასათვისებელი აქვს იმავე ბელორუსის საექსპორტო კვოტებიც; საქართველოს არც ევროკავშირის ბაზარი აქვს ათვისებული. ამის მიზეზია ევროსტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილების სირთულე. თუ გავითვალისწინებთ იმ პერსპექტივებს, რასაც საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მოუტანს, ქართულ ღვინოს ევროკავშირის ბაზარზე ახალი პერსპექტივები ეხსნება.

Summary

Modern conditions for the effective marketing of customer -orientated activities are considered, customer orientation, their desires, beliefs, attitudes towards the goods is possible of the basis of the study. Georgian products major problem is its high cost. For example, in Europe, Georgian wine export, transportation costs and the high taxes make it competitive with the products

It is obvious that the Russian market is favorable for Georgian wine exports. This market is high awareness and demand for Georgian products. Russia's restriction on the export of Georgian wine and its growth has been fixed only since 2011. In 2013, Georgian wine returned to the Russian market whith noise, but this year the wine has been successful not only in this market. In 2014, From Georgia passed in the world's 19 countries with 15.4 million bottles for sale, that is the higher 243% than the same period of the previous year.

In general, it should be noted that the increase in wine exports, in addition to opening new markets, was due to the expansion of production in this country. becouse Georgia has to be utilized in the Belarusian export quotas; EU market. Georgian wine opens new perspectives to the EU market.

* * * * * * *

დავის საგანს არ წარმოადგენს ის, რომ დღეს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის წარმატებით განხორციელების მთავარი პირობა სწორი მარკეტინგია. საწარმოებისთვის მარკეტინგი საქონელზე მოთხოვნის შექმნის, ამ მოთხოვნის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებისა და მოგების მიღების უმნიშნელოვანესი საშუალებაა. თანამედროვე ეკონომიკური პირობები ცხადყოფს, რომ ბაზარზე დამკვიდრებისა და არსებობის გახანგრძლივებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ხარისხიანი პროდუქციის წარმოება, არამედ აუცილებელია საქონლის მყიდველის მოძიება, რის საშუალებასაც ეფექტური მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება იძლევა.

თანამედროვე პირობებში ეფექტიან მარკეტინგად მომხმარებელზე ორიენტირეული საქმიანობა ითვლება, მომხმარებელზე ორიენტაცია კი, თავის მხრივ, მათი სურვილების, შეხედულებების, საქონლის მიმართ დამოკიდებულების შესწავლის საფუძველზეა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები დაფუნებული იყოს მარკეტინგული მიზნების მიღწევაზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ექსპორტის გან-

ვითარებას და მის კონკურენტუნარიანობას.

მართალია, ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში, რაზეც საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმოხილვაც მოწმობს, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა ექსპორტის პორტფელის მკვეთრი გაფართოება, რათა, როგორც მინიმუმ, გაგრძელდეს ეკონომიკური ზრდა და შემცირდეს ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდო. ამისათვის კი აუცილებელია გავიაზროთ ის პრობლემები, რაც ქვეყნის ექსპორტის ზრდას უშლის ხელს.

დღეს ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება საქართველოს სავაჭრო ბაზრების დივერსიფიცირება. ქვეყანა დღემდე რამდენიმე მეზობელზე რჩება მნიშვნელოვნად დამოკიდებული. არადა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ექსპორტის ზრდა პირდაპირ არის მიბმული ახალი ბაზრების მოძიების შესაძლებლობაზე.

ექსპერტების აზრით თუ საქართველოს მთავრობა მოინდომებს და ევროკავშირის კეთილ ნებას – თავისუფალი ვაჭრობის ბარიერების გამარტივების თაობაზე – სათანადოდ გამოიყენებს, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზრდება და საქართველოს განვითარებულ ქვეყნად გადაქცევის შანსი მიეცემა.

ქართული პროდუქციის მთავარი პრობლემა მისი სიძვირეა. მაგალითად, ევროპაში ქართული ღვინის გატანა, ტრანსპორტირების ხარჯებსა და იქ არსებულ მაღალ გადასახადებთან ერთად პროდუქციას კონკურენტუუნაროს ხდის. შესაბამისად, ქართული ნაწარმის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრება არც თუ იოლი საქმეა. მაგალითად, ადგილობრივი ჩეხური ღვინო თითქმის 6-ჯერ იაფია, ვიდრე ქართული საექსპორტო პროდუქცია.

ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე დღეს ვიყენებთ. სწორედ ამ პერსპექტივებიდან და ბოლო ათწლეულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა მეწარმეებმა ხარისხზე აღებული ორიენტაცია არ შეცვალონ და ბაზრების დივერსიფიკაციის პოლიტიკაზე უარი არ თქვან, რადგან სწორედ ამ პოლიტიკამ გადაარჩინა ქართული ღვინო და ახლად დაბრუნებულ რუსულ ბაზარზე ბოლო წლებში უკვე დამკვიდრებულ ახალ ბრენდებთან კონკურენციაც მარტივად შეაძლებინა.

მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ქართული მევენახეობა-მეღვინეობა განაგრძობს განვითარებას. ღვინის ექსპორტის რაოდენობაც იზრდება, საექსპორტო ქვეყნების ნუსხაც და ქართული ღვინის ცნობადობაც. ქართული ღვინით უფრო და უფრო მეტი ღვინის მოყვარული ინტერესდება და დაინტერესდება რადგან:

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მეღვინეობის ქვეყანაა;

საქართველოში 500-ზე მეტი უნიკალური, ენდემური ჯიშია, რომელიც მხოლოდ საქართველოში გვხვდება;

საქართველოში დღესაც არსებობს ღვინის დაყენების ადგილობრივი, უნიკალური მეთოდები, რომლებსაც ანალოგი არსად მოეპოვება.

ყველასათვის ნათელია, რომ ქართული ღვინისთვის ხელსაყრელი ადგილია რუსეთის ბაზარი, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამ ბაზარზე ძალიან მაღალია ცნობადობა და მოთხოვნა ქართულ პროდუქციაზე.

რუსეთის მიერ ქართული ღვინის ემბარგოს შემდეგ მისი ექსპორტის მაჩვენებელმა საგრძნობლად დაიწია. ემბარგომდე რუსულ ბაზარზე საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის 75% გადიოდა. აღნიშნული ბაზრის დაკარგვამ ქართული ღვინის ბიზნესი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, მაშინ, როცა 2005 წელს ექსპორტზე 80 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ღვინო გავიდა, 2006 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 29 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ არა ერთ გზას მიმართა, ქართული ღვინის პოპულაციისა და მისთვის ახალი ბაზრის მოძიებისათვის, 2010 წლის მაჩვენებლებმა 40 მილიონი აშშ დოლარი ანუ ემბარგომდე ექსპორტირებული ღვინის ღირებულების ნახევარი ძლივს შეადგინა. ეს იყო ემბარგოს შემდეგ ყველაზე დიდი მაჩვენებელი 2006-2010 წლებში.

2011 წელს საქართველომ ღვინის ექსპორტის მაჩვენებელი 30%-ით გაზარდა. ქართული ღვინის საექსპორტო ათეულში ძირითადად უკრაინა ლიდერობდა, მეორე ადგილზე ყაზახეთი და მესამეზე ბელარუსი იყო. ამავე წელს ქართული ღვინო ახალ საექსპორტო ბაზრებზე გავიდა – ღვინის ექსპორტი პირველად განხორციელდა ეგვიპტეში, ავსტრალიაში, ერაყში, ხორვატიაში, კოსტა რიკაში და იორდანიაში. 2012 წლის მონაცემებით კი ბოთლის ღვინის ექსპორტი 8,5 პროცენტით გაიზრდა. ქართული ღვინის ექსპორტის დიდი ზრდა დაფიქსირდა პოლონეთში, ლატვიაში, ჩინეთსა და ესტონეთში, რაც, სპეციალისტების აზრით, ქართული ღვინის ხარისხმა განაპირობა.

2013 წელს ქართული ღვინო ხმაურით დაბრუნდა რუსულ ბაზარზე, თუმცა ეს წელი ღვინისთვის წარმატებული აღმოჩნდა არა მხოლოდ ამ ბაზარზე: 2012 წელთან შედარებით, გასულ წელს ღვინის ექსპორტი საქართველოდან გაიზარდა 50 პროცენტით. ზრდა შეინიშნებოდა თითქმის ყველა პარტნიორ ქვეყანაში, მათ შორის, 150 პროცენტით – რუსეთში, თუმცა 254 პროცენტით გაიზარდა ღვინის ექსპორტი, მაგალითად, ნიდერლანდში. მცირედი კლება აღინიშნა აზერბაიჯანში, კანადასა და ლატვიაში. ამ წელს უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნები იყვნენ რუსეთი და უკრაინა (შესაბამისად, 44% და 23%). წამყვან ათეულში ევროკავშირის ქვეყნებიც (პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები) დაფიქსირდა. ამ დროისთვის ღვინის ექსპორტი მთლიანი ქართული ექსპორტის, სულ 4 პროცენტს შეადგენდა, რუსეთში ექსპორტირებული ღვინის მოცულობა კი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში – 2 პროცენტს. შესაბამისად, ღვინის ექსპორტის ზრდა ქვეყნისთვის,

ცხადია, მნიშვნელოვანი იყო, თუმცა იგი გარდამტეხ გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე, როგორც ციფრებიდანაც ჩანს, ვერ ახდენდა.

2014 წელს საქართველოდან მსოფლიოს 19 ქვეყანაში 15.4 მილიონი ბოთლი გავიდა გასაყიდად, რაც 243%-ით მეტია, წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. და ეს მაშინ, როცა ქართული ღვინის რიგით მეოთხე ბაზარი, ბელორუსი. ბელორუსის ბაზრის დაბრუნება, რაც უკვე 2014 წლის მაისიდან იგეგმება, ამ ბალანსსაც ნაწილობრივ შეცვლის და, სავარაუდოა, რომ ღვინის ექსპორტის მასშტაბზეც დადებითად აისახება.

2014 წლის პირველ კვარტალში ქართული ღვინის ექსპორტის 70 პროცენტი რუსეთის ბაზარზე გავიდა. რამდენად მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია რუსეთი საქართველოსთვის? ხომ არ გახდება საქართველო დამოკიდებული მხოლოდ ერთ საკმაოდ არასტაბილურ ბაზარზე?

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ღვინის ექსპორტის ზრდა, ახალი ბაზრის გახსნის გარდა, განპირობებული იყო ქვეყანაში ამ დარგში წარმოების ზრდითაც – 2013 წელს საქართველოში 55 პროცენტით გაიზარდა ყურძნის წარმოება და 224,5 ათასი ტონა შეადგინა.

ახალი საწარმოო შესაძლებლობების გაჩენა მნიშვნელოვანია იმ ფონზეც, რომ საქართველოს, რუსეთის ბაზრის გარდა, ასათვისებელი აქვს იმავე ბელორუსის საექსპორტო კვოტებიც (მით უმეტეს, რომ 2015 წელს ამ კვოტების საერთოდ გაუქმება იგეგმება); საქართველოს არც ევროკავშირის ბაზარი აქვს ათვისებული – 2013 წლის მდგომარეობით, ღვინის ექსპორტი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის მხოლოდ 6 პროცენტი იყო. ამის მიზეზია ევროსტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილების სირთულე. თუ გავითვალისწინებთ იმ პერსპექტივებს, რასაც საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მოუტანს, ქართულ ღვინოს ევროკავშირის ბაზარზე ახალი პერსპექტივები ეხსნება.

რაც შეეხება ევროკავშირის სხვა მოთხოვნებს, აღნიშნული სააგენტოს ცნობით, მათ შორის სურსათის უვნებლობასა და ხარისხთან დაკავშირებით, ღვინის შემთხვევაში ეს მოთხოვნები გაცილებით ადრე შესრულდა, რათა ქართული ღვინო ევროკავშირის ბაზარზე გასულიყო. დღეს უკვე არსებობს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიები, რომლებიც ევროკავშირის სისტემის ნაწილია და, შესაბამისად აქ გაცემული სერტიფიკატები აღიარებულია. სპეციალისტების აზრით, ქართული ღვინოს უკვე აკმაყოფილებს ევროკავშირის ყველა მოთხოვნას და შეგვიძლია DCFTA-ის ნებისმიერი სატარიფო შეღავათით ვისარგებლოთ.

უფრო მეტიც, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის აზრით, ევროკავშირში ღვინის ექსპორტი დაახლოებით 30%-ით გაიზრდება. მართალია, სატარიფო ბარიერი იხსნება, მაგრამ ჩვენ არ შევდივართ დახურულ ბაზარზე, როგორც ეს რუსეთის შემთხვევაში იყო. საბაჟო ტარიფის განულების მიუხედავად, ევროკავშირის დახლზე ქართული ღვინის ფასი, ალბათ, არ შეიცვლება, მაგრამ ექსპორტიორებისთვის ეს ბიზნესი უფრო მიმზიდველი იქნება, რადგან ისინი ფინანსურ შეღავათებს მიიღებენ და შეეძლებათ გამოთავისუფლებული სახსრები მიმართონ მარკეტინგული ღონისძიებებისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.radiotavisupleba.ge/content.
2. ქართული ღვინის ექსპორტი — საფრთხეები და სარგებელი. 30.04.2014.
3. საექსპორტო ბაზრების განვითარების სამოქმედო გეგმა. ღვინის სექტორი. 2011.
4. ემა ტუხიაშვილი. ევროკავშირში ღვინის ექსპორტი თითქმის მესამედით გაიზრდება, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2014 წლის 28 ივლისი.
5. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014 წლის იანვარ-თებერვალი. 24.09.2014.

ОСОБЕННОСТИ ФОРМИРОВАНИЯ НОВОЙ МОДЕЛИ ГЛОБАЛЬНОГО ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ

Марина Лещенко

Summary

The main features of the new global economic development's model are analyzed. The preconditions of changing economic positions between developed and developing countries are determined. In recent years developing countries have begun to increase their economic potential and their shares in world trade, financial and labor flows. The variants of the growth poles' development using an index of multipolarity are considered. The main indicators of multipolarity index for developed and developing countries are analyzed.

.

Keywords: world's economy, development, multipolarity, index, geo-economics, growth pole

Постановка проблемы. Современная мировая экономика развивается колоссальными темпами, что связано с совершенствованием технологий, с развитием процессов интеграции и глобализации, с углублением интернационализации и разделения труда, с оперативным и безграничным распространением информационных потоков. На смену лидирующим игрокам мирового экономического развития приходят новые, имеющие в своем арсенале другие способы и методы достижения непрерывного экономического роста. Экономические отношения становятся комплексными и разнообразными, увеличивается роль компаний, внедряющих инновационные решения.

Проблемы формирование геоэкономики и ее трансформации рассмотрены в исследованиях зарубежных и отечественных ученых, среди них: В. Бодров, В. Базилевич, А. Гальчинский, В. Дергачев, К. Жан, Е. Кочетов, Дж. Корнаи, П. Леоненко, И. Лукинов, О. Неклеса, К. Поланьи, Ю. Пахомов, П. Савон, А. Филлипенко, Л.Фитуни, Ю. Яковец и другие. В тоже время, вопросы трансформации современного мирового пространства и соотношения экономического потенциала развитых и развивающихся стран являются особенно актуальными в контексте современных мегатрендов экономического развития, что обуславливает важность данного исследования.

Основная часть. В условиях глобализации, регионализации, интеграции экономика любой страны оказывается неразрывно связанной с мировой экономикой. Поэтому, экономическое развитие в национальных рамках и внешнеэкономические связи непосредственно зависят друг от друга, являются звеньями одного и того же процесса. Процессы, происходящие в мире, затрагивают национальную экономическую политику, ограничивая ее возможности. Мировая экономика постепенно трансформируется в некоторую систему, в которой все основные пропорции воспроизводства будут определяться не столько на национальном, но и на международном уровне; и оказывается вне юрисдикции отдельных правительств, министерств, центральных банков и их экономической политики. Все эти процессы ведут к изменению классической иерархии мировой экономики (рис. 1).

Рис.1. Факторы, обуславливающие изменение модели мировой экономики

Кроме того, в современных условиях глобального экономического развития следует отметить важную тенденцию смены позиций между развитыми и развивающимися странами. Мировые растущие экономики (лидеры среди развивающихся стран) начали оспаривать экономическую мощь развитых стран (в первую очередь, G-7), делая ставку на растущую долю в мировой торговли, финансовых и трудовых потоках. Финансовый кризис ускорил эту тенденцию, поскольку экономические показатели в развивающихся странах после кризиса были намного выше, чем в развитых странах. Краткосрочные прогнозы роста также показывают, что страны с быстро растущими экономиками значительно расширяются, и полюса роста мировой экономики начинают выходить за пределы развитых стран.

Наиболее вероятным базовым сценарием будущего развития будет служить выдвижение на лидирующие позиции экономик роста. Так, совокупный реальный доход шести крупных стран мира с развивающейся экономикой – Бразилии, Индии, Индонезии, Китая, Южной Кореи – к 2025 году будет соответствовать доходам в Еврозоне. Средний процент роста экономик догоняющего развития составит 4,7%, в отличие от 2,3% преподающих на долю развитых стран мира. Большая доля глобальных торгово-акционерных потоков достанется развивающимся странам [4, с.10].

Многополярная мировая экономика окажется весьма положительной для развивающихся стран,

однако не для каждой индивидуально. Рост внешних факторов торговли, миграции, финансов стимулирует передачу технологий, спрос на экспорт в эмерджентных экономиках. Кроме того, диффузное распределение глобального роста создает новые драйвера развития [3,с. 19-20]. Эта характеристика стала очевидна в связи с последствиями финансового кризиса 2008 года, когда на долю развивающихся стран приходилось более четверти всех финансовых сделок. Эффект многополярной мировой экономики различен по странам, в особенности тех, которые напрямую зависят от прямого спроса, которые являются нетто-импортерами товаров и минеральных ресурсов

Для качественного определения полюсов роста и характеристики финансовых потоков и каналов их распределения Международной Организацией Интеллектуальной Собственности (World Intellectual Property Organization, WIPO) был разработан индекс многополярности. Специфика его заключается том, что период анализа составляет не меньше 15 лет и данные, используемые в расчетах, должны быть качественно проверены с помощью универсальных формул организации.

Индекс многополярности рассчитывается с учетом доли роста полярности и масштабируется от 0 до 100. Предполагается, что полярность неуклонно увеличивалась после конца Второй Мировой войны, затем пошла на спад, и со второй декады XXI века снова начала расти (рис.2.).

Рис. 2.2. Эволюция многополярного роста развитых стран (составлено на основе источника [5])

Отметим, что крупные промышленные экономики были локомотивами глобального экономического роста в XX веке, все же эта тенденция меняется. Используя индекс многополярности, который фиксирует внешние эффекты роста за счет каналов торговли, финансов и передачи технологий, следует отметить тенденцию снижения роста экономики мировых лидеров. Индекс многополярности Японии резко упал после 1990-х гг. по причине снижения стоимости ее основных активов. Аналогичным образом формировался индекс многополярности в США и Еврозоне. Исследуя динамику многополярности в ключевых экономиках догоняющего развития, наблюдаем их синхронный рост, за исключением Китая, чей индекс был выше, чем Еврозоне и США (рис.3.).

Данная ситуация отображает динамику становления глобальных полюсов экономического роста, обусловленная вхождением этих стран в мировую торговлю, финансы и каналы передачи технологий. Возникающие рынки становятся неотъемлемым компонентом в круговороте мировых финансово-экономических процессов.

Свою экономическую значимость продолжают наращивать страны догоняющего развития. В тоже время, показатели для США и Еврозоны значительно ухудшились. Значительную роль в мировой финансовой активности стали играть страны с быстро формирующимися рынками, включая Индию и Россию, а также Южная Корея, Малайзия, Сингапур и Турция, которые включаются в группу Next-11. Кроме того, страны Латинской Америки, такие как Бразилия и Мексика, находятся на уровне ниже, чем ожидалась, согласно их экономическим размерам и моделям международного экономического участия.

Рис. 3. Эволюция многополярного роста развивающихся стран (составлено на основе источника [5])

Наконец, некоторые региональные страны, такие как Египет, Арабская Республика и Южная Африка, не отображаются в таблице, так как это по размерам достаточно малые экономики в глобальном сравнении, и, как правило, эффект роста распространяется только на их региональном уровне, что не позволяет им стать региональными полюсами роста.

Очевидным является и распространение полярности роста при измерении тройки стран (Китай, Еврозона и США) на глобальном уровне. На их счет преподает почти 80 процентов всей полярности, измеряемой реальными показателями 2000-2010 гг. Этот показатель демонстрирует такой феномен в экономике, как тот, что на небольшое территориальное пространство преподает большая доля экономического роста и активности.

Важным является и тот аспект, что экономики, которые были вытеснены в качестве претендентов на роль лидирующего полюса, играют важную роль

в экономическом росте их региона. Южная Африка, например, является самым важным региональным полюсом роста в регионе стран южнее Сахары, однако Нигерия и Анголы принимают активное участие в мировой финансовой деятельности [1, с.20].

Как потенциальные полюса роста, развивающиеся страны, генерируют самоокупаемый, внутренний рост. В Восточной Азии экономическое «чудо» было связано с быстрым, по историческим меркам, накоплением факторов производства, основывающихся на стратегиях роста за счет экспорта, и в то же время со скромным уровнем совокупной производительности. Кроме того, с конца 1990-х годов, глобальный рост в значительной степени зависел от роста производительности в США и увеличения потребительского спроса.

Выводы. Таким образом, происходит диффузное изменение драйверов мирового финансового роста, что выражается в многополярности мировой экономики. В 2004-2009 гг. Соединенные штаты, Еврозона, Китай служили основными полюсами роста. К 2025 году страны с развивающейся экономикой, в том числе Бразилия, Индия, Индонезия, Южная Корея, Россия, наряду с развитыми экономиками – Япония, Великобритания – будут составлять полюса развития. Но, чтобы поддерживать темпы роста и служить истинными центрами экономического развития странам с развивающейся экономикой необходимо будет произвести структурные изменения, генерирующие внутреннюю самоокупаемость, за счет устойчивого роста производительности и внутреннего спроса. Это важные факторы для инвестиционных возможностей, внедрения новых технологий и более продуктивного использования старых.

В долгосрочной перспективе, экономика будет продолжать оставаться полюсом роста, только если она способна развивать свой инновационный и производственный потенциал – которые приводят развитию источников внутреннего спроса [2]. Следовательно, устойчивый рост в потенциальных полюсах роста развивающейся экономики требует значительных инвестиций. Только тогда, когда рост экономики будет сбалансирован, полюса роста будет устойчивым к глобальным потрясениям. Тем не менее, исторические данные свидетельствуют о том, что возможен переход развития к странам, ориентированным на внутренний рынок. Так как потенциальные полюса роста – развивающиеся экономики наращивают темпы роста за счет более эффективного и инновационного использования ресурсов.

Список использованных источников:

1. Абрамова И.О. Переход к новой экономической модели мира и страны Африки /Абрамов И.О. – Проблемы современной экономики.,2012. – С. 18-39
2. Дугин А. Г. Теория многополярного мира. — М.: Евразийское движение, 2013. – 532 с.
3. *Фитуни Л. Дифференциация развивающихся стран: валютно-финансовые аспекты (вопросы теории).Статья 2 (Часть 1)* // *Азия и Африка сегодня*. – 2013. – № 5. – С. 18–26.
4. *Фитуни Л.* Дифференциация развивающихся стран и новая архитектура мировой экономики. (Вопросы теории) Статья 1. Лидеры догоняющего развития в новой модели мировой экономики // *Азия и Африка сегодня*. – 2012. – № 10. – С. 9–18.
5. The World Bank. Global Development Horizons 2011. Multipolarity: The New Global Economy/World Bank. Washington. [Электронный ресурс]. - URL: http://siteresources.worldbank.org/INTGDH/Resources/GDH_CompleteReport2011.pdf (дата обращения: 5.11.2014).
6. The World Bank. Indicators. [Электронный ресурс]. - URL: http://data.worldbank.org/indicator/NY.GNP.MKTP.PP.CD (дата обращения: 5.11.2014).

.

დამაკავშირებელი პროცესები მენეჯმენტში

ლამარა მინდორაშვილი, *სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლა ორ და მეტ ადამიანს შორის, რაზედაც დაფუძნებულია მმართველობითი საქმიანობა.

ორგანიზაციებში ინფორმაციის გაცვლას მრავალი წინააღმდეგობა შეიძლება შეხვდეს. ინფორმაციული უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებებს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოადგენს.

Summary

Communicative processes in management

Communication is information exchange between two or more people, on what government activity is based.

Exchange of information in the organizations can will face many obstacles. Considerable means of information support are modern information technologies.

* * * * * *

კომუნიკაცია ეს ინფორმაციის გაცვლაა ორ და მეტ ადამიანს შორის. მმართველობითი საქმიანობის ყველა სახე დაფუძნებულია ინფორმაციის გაცვლაზე. ამიტომაა, რომ კომუნიკაციებს დამაკავშირებელ პროცესებს უწოდებენ. მართვის პროცესზე გავლენის მომხდენ ინფორმაციის მოცულობას ეფექტური კომუნიკაციები ეწოდება, ხოლო ეფექტური მენეჯერი არის ის პიროვნება, რომელსაც კომუნიკაციების საერთო ნაკადიდან სწრაფად შეუძლია ეფექტურის შერჩევა.

კომუნიკაციები ხორციელდება ხელმძღვანელისა და ხელქვეითის ყოველდღიურ საქმიანობაში, კრებებზე, დოკუმენტების კითხვისას და შედგენისას, ტელეფონზე საუბრისას და ა.შ.კომუნიკაციები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ორგანიზაციებსა და მათ გარემოს შორის და მეორე – მართვისა და ქვედანაყოფების დონეებს შორის. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება კომუნიკაციები, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ გარე სამყაროსთან, ეს არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მომხმარებლები, პროდუქციის ხარისხის ზედამხედველები, სახელმწიფო რეგულირების ორგანოები და სხვა მრავალი.

ორგანიზაციებისათვის კომუნიკაციების სახით სხვადასხვა ფორმები გამოიყენება, მაგალითად, საქონლის სარეგულაციოდ იყენებენ მარკეტინგისა და რეკლამის პროგრამებს. ბაზრის შესწავლა ხორციელდხება სპეციალური ორგანიზაციული ორგანიზაციების საშუალებით. საბაზრო ეკონომიკაში შერწყმულია კომუნიკაციისა და სახელმწიფო რეგულირების, მეწარმეობისა და სოციალური დაცვის ორგანიზაციის ინტერესები, რაც პიროვნებების ყოველმხრივ განვითარებას საკმაოდ დიდ სივრცეს უქმნის. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება დონეთაშორისი კომუნიკაციები. მაგალითად, კომუნიკაციები სხვადასხვა ქვედანაყოფებს შორის. მართვის პროცესში კომუნიკაციები ხორციელდება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად.

კომუნიკაციური პროცესის მთავარ ამოცანას გადასაცემი ინფორმაციის გაგება და სწორი აღქმის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ინფორმაციის გაცვლის პროცესში გამოყოფენ ოთხ საბაზრო ელემენტს:

- გამგზავნი – პირი, რომელიც არჩევს ინფორმაციას და გადასცემს მას;
- შეტყობინება – ინფორმაციის არსი, გადაეცემა ზეპირად ან კოდირებული სახით;
- არხი – ინფორმაციის გადაცემის საშუალება;
- მიმღები – პირი, ვისთვისაც დანიშნულია ინფორმაცია და რომელსაც ის აღიქვამს.

კომუნუკაციური პროცესი ინფორმაციის შერჩევით იწყება. თუ რომელი შეტყობინება გახადოს გაცვლის საგანი, ამას წყვეტს გამგზავნი, მაგრამ იმისათვის, რომ ინფორმაციის გაცვლა ეფექტურად განხორციელდეს, საჭიროა გათვალისწინებული იქნას სიტუაციური ფაქტორების სიმრავლე, ასე მაგალითად, თუ ხელმძღვანელს უნდა გაცვალოს ინფორმაცია მუშაობის შედეგების შესახებ, მას კარგად უნდა ესმოდეს, რომ საკითხი აუცილებლად შეეხება ადამიანთა ჯგუფის რომელიმე მუშაკის ძლიერ ან სუსტ მხარეებს. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ კარგზე ან მხოლოდ ცუდზე.

მეორე საბაზრო ელემენტის შესწულებისას იდეა გარდაიქმნება შეტყობინებაში ანუ ხდება იდეის კოდირება სიმბოლოების საშუალებით – სიტყვებით, ინტომაციებით, ჟესტებით. სიმბოლოების ტიპებს უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციის გადაცემის არხი. საყოველთაოდ ცნობილ არხს სიტყვის გადაცემა წარმოადგენს. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, არსებობს სხვა არხებიც, კერძოდ, წერილობითი მასალების, კავშირის ელექტრონული საშუალებები, ელექტრონული ფოსტა, ვიდეო-ლენტები, ვიდეოკონფერენციები და სხვა.

ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღებაში დასარწმუნებლად იყენებენ ორ-სამ კავშირს არხს. მაგალითად, ტელეფონით გადაცემული ინფორმაციის დასადასტურებლად იყენებენ წერილობით საფოსტო კავშირს. ადრესატი ინფორმაციის მიღების შემდეგ ახდენს მის კოდირებას, ანუ გამგზავნის სიმბოლოებ-

ის გარდაქმნას მიმღების აზრებში. თუ გამგზავნისა და მიმღების სიმბოლოლები ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მიმღებმა გაიცნობიერა გამგზავნის იდეა. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისეც, რომ გამგზავნისა და მიმღების იდეები იყოს განსხვავებული. ასეთ შემთხვევაში გამგზავნი კომუნიკაციას თვლის ეფექტურად თუ მიმღები ისეთ მოქმედებას შეასრულებს, რასაც მიმღები ელოდებოდა.

მოსალოდნელი შედეგის ან უშედეგობის დასადასტურებლად აუცილებელია უკუკავშირი. ამ დროს გამგზავნი და მიმღები კომუნიკაციურ როლებს ცვლიან, რითაც საგრძნობლად მაღლდება კომუნიკაციური პროცესის ეფექტიანობა.

კომუნიკაციების მეთოდების სიმრავლის მიუხედავად, ხელმძღვანელები მთელ თავიანთ დროს ხარჯავენ ინფორმაციის პიროვნებათაშორისი პირდაპირ გაცვლაზე ლაპარაკის გზით. კომუნიკაციის ამ სახეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითია ის, რომ ამ დროს გამორიცხულია ინფორმაციის გადაცემა-მიღების პროცესთან დაკავშირებული ბუნებრივი ხელისშემშლელი ფაქტორები. უარყოფითი კი ისაა, რომ ამ დროს ადამიანები გარე სამყაროში ნამდვილად არსებულ მოვლენებზე კი არ რეაგირებენ, არამედ იმაზე, თუ ეს მოვლენა როგორ აღიქმება. ყოველივე ეს კი დაკავშირებულია იმასთან, რომ პიროვნება ერთიდაიგივე ინფორმაციას მისი განათლების დონიდან გამომდინარე სხვადასხვაგვარად აღიქვამს. კომუნიკაციის პროცესზე გავლენას ახდენს აგრეთვე დაქვემდებარებული პიროვნებების გულწრფელობის ხარისხი, ნდობის ხარისხი და სხვა. კომუნიკაციებში წინაღობების სახით არ შეიძლება არ აღინიშნოს სემანტიკური უზუსტობანი, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ადამიანებს ერთიდაიგივე სიტყვა ან გამოთქმა განსხვავებულად ესმით. აქედან გამომდინარე, დაქვემდებარებულ პირს აუცილებლად უნდა მიუთოთოთ მიწოდებული ინფორმაციის მიზანი. მხოლოდ მაშინ აღიქვამს იგი ინფორმაციას სწორად. ინფორმაციის გადაცემისას გამოიყენება აგრეთცე შეხედულებების გაცვლა, სახის გამომეტყველება, გაღიმება, ხელით შეხება და სხვა. რაც ხელს უწყობს აზრის გაძლიერებას ან შეცვლას. გარდა ამისა, სიტყვიერი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი აღიქმება პოზის ენით, ჟესტებით, ინტონაციებით. ამიტომ კომუნიკაციის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო ის, რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ, არამედ თუ როგორ ვლაპარაკობთ.

კომუნიკაციურ პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მოსმენის უნარი. როდესაც ვუსმენთ დაქვემდებარებულ პირს, ყურადღებით უნდა აღვიქვათ არა მარტო ის, რასაც ამბობს, არამედ უნდა ჩავწვდეთ მის სულიერ მდგომარეობას. ინფორმაციის გაცვლისას აუცილებელია შემდეგი რჩევების გათვალისწინება: კარგად მოიფიქრეთ თქვენი იდეები და კითხვები (რჩევები); იყავით მზად შესაძლო ენობრივი პრობლემების წარმოქმნისას, თვალყური ადევნეთ საკუთარიი პოზების ენას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას, იყავით ყურადღებიანი სხვა ადამიანის გრძნობების მიმართ, მიაღწიეთ უკუკავშირის დადგენას.

ორგანიზაციებში ინფორმაციის გაცვლას მრავალი წინააღმდეგობა შეიძლება შეხვდეს. ეს პირველ რიგში შეიძლება იყოს შეგნებული და შეუგნებელი გზით ინფორმაციის მოძრაობისას მისი დამახინჯება. შეგნებულს იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როდესაც მიმღებს არ აწყობს შეტყობინების შინაარსი. იგი აზრს ცვლის მის სასარგებლოდ, ინფორმაციის დამახინჯება შეიძლება უკავშირდებოდეს მის ფილტრაციას. მენეჯერებს შორის გამომუშავდა ტენდენცია იმის თაობაზე, რომ ზემდგომ ხელმძღვანელს აწვდიან მხოლოდ კარგ სიახლეებს, ანდა ისეთ ინფორმაციას, რომლის მოსმენაც ესიამოვნება მას, რითაც, რა თქმა უნდა, ხდება რეალური ინფორმაციის დამახინჯება.

დიდი მოცულობის ინფორმაციის ნაკადის გატარებასთან დაკავშირებით წარმოებს კავშირის არხების გადატვირთვა, რაც, აგრეთვე ინფორმაციის დამახინჯების მიზეზი ხდება. ინფორმაციის ერთდროულად გადამუშავებას და ინფორმაციული გაცვლის აუცილებლობას მივყავართ იქამდე, რომ ხელმძღვანელი ვერ ახერხებს მოახდინოს სწორი რეაგირება მთელ ინფორმაციაზე. ამიტომ იგი ახდენს ინფორმაციის იმ ნაწილის უგულებელყოფას, რომელიც, მისი აზრით, ნაკლებად მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ხელმძღვანელმა ამას სხვაგვარად უნდა შეხედოს.

კომუნიკაციური პროცესების ეფექტიანობაში ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურაც. თუ სტრუქტურული ელემენტების ურთიერთკავშირი ცუდადაა გააზრებული, მცირდება ეფექტური მართვის შესაძლებლობები. კომუნიკაციურ პროცესებზე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს ცალკეულ მუშაკებს შორის არსებულმა კონფლიქტურმა სიტუაციებმაც.

ისევე, როგორც ინფორმაციის პიროვნებათაშორის გაცვლაში, ორგანიზაციულ კომუნიკაციებშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უკუკავშირის სისტემებს. უკუკავშირის ვარიანტის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას მუშაკების გამოკითხვაც. მართვის ზემდგომ დონეებში ინფორმაციის მიწოდების გასაუმჯობესებლად იყენებენ წინადადებების შეგროვების სისტემას. რაციონალიზატორული წინადადებების ავტორები უნდა იყვნენ წახალისებულნი. მსხვილი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენების გამოშვების შემთხვევებსა ვხვდებით.

ინფორმაციული უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებას ვიდეოჩაწერა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოადგენს. დიდი ხანია რაც პერსონალური კომპიუტერი ინფორმაციის აკუმულაციისა და შემდგომი გავრცელების საშუალებად იქცა. თანამედროვე საქმიან სამყაროში ელექტრონული ფოსტა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ახალი სატელეფონო ხელსაწყოები და მოწყობილებები მრავალ რესპოდენტთან ერთდროულად კავშირის დამყარების საშუალებას იძლევა.

კომუნიკაციურ პროცესებში იდეების სახით მმართველობითი გადაწყვეტილებები შეიძლება იქნას მოაზრებული. ერთის მხრივ, ისინი წარმოადგენენ აქტებს, რომლებიც წინ უსწრებენ მმართველობით ზემოქმედებას, მეორეს მხრივ კი – პროცესების როლში გვევლინებიან. პროცესი, რომელიც თავის მხრივ, სამართავ სისტემაში სიტუაციის ანალიზს და მისი მიზანშეწონილი ცვლილებების ღონისძიებების შემუშავებას მოიცავს. გადაწყვეტილების მიღება ამ ხარისხში უკვე გამოდის, როგორც შრომის საგანი, რომელსაც სჭირდება ორგანიზაცია და მართვა, მმართველობითი საქმიანობის ეს ძირითადი ფორმა ხელმძღვანელის შრომის შინაარს წარმოადგენს. გადაწყვეტილება – ეს ალტერნატივაა, ორი ან რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავ გადაწყვეტილებათა შორის ოპტიმალურის შერჩევის შესაძლებლობაა.

გადაწყვეტილების მიღება შედგება სამი კომპონენტისაგან: ადამიანი, შრომის იარაღი, შრომის საგანი, ვიდრე შრომის საგანზე ადამიანი შრომის იარაღით იმოქმედებს, იგი აზრობრივად საზღვრავს მიზანს და ზემოქმედების ხერხს, ანუ იღებს გადაწყვეტილებას. მუშაობის პროცესში ის უწყვეტად ადევნებს თვალს თავისი მოქმედების პროგრამას ანუ იღებს ახალ გადაწყვეტილებას. ციკლი მეორდება. თვითმართვის ასეთი პროცესები (მეორდება) მიმდინარეობს სამუშაო ადგილებზე. ისინი სამი ფაზით არიან წარმოდგენილნი: 1. გადაწყვეტილების მიღების პროცესი; 2. მიღებული გადაწყვეტილების შესრულება; 3. შემდგომი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება.

იქ, სადაც ადმიანთა ჯგუფი მუშაობს, შეიმჩნევა უფრო რთული შრომითი პროცესი. აქ აუცილებელია წარმოების უფრო მაღალი ორგანიზაცია. ორგანიზაციის ამ დონეს საწარმოო უბანი შეესაბამება. მიზანი, დანახარჯების გაანგარისება, მოთხოვნა (მოწოდების) წარმოების საშუალებებზე, საწარმოო პროცესის ორგანიზაცია, შრომის განაწილებისა და კოოპერაციის ფორმების განსაზღვრა, შრომის საგნების გადაადგილების მარშრუტების დადგენა, ანუ პროგრამების შედგენა – ეს გადაწყვეტილების მიღების ფაზაა. შემდგომში ხდება ცხოვრებაში პროგრამების განხირციელება. ამისათვის წარმოების შემსრულებელთა შერჩევა, მოვალეობების განაწილება, ვადების დაზუსტება, კონტროლის განხორციელება, საწარმოო ოპერაციების შესრულებაზე ინფორმაციის შეგროვება, შრომითი და მატერიალური დანახარჯების მხევდელობაში მიღება, პროგრამაში ყველა ამ მაჩვენებლის შესაბამისობაში მოყვანა, პროგრამიდან გადახრის შემთხვევაში ახალი გადაწყვეტილების მიღება.

წარმოების უფრო მსხვილ ორგანიზაციულ ფორმებში გადაწყვეტილებას იღებს ადამიანთა ჯგუფები. მართვის ციკლში გადაწყვეტილების მიღება ყველაზე საპასუხისმგებლო ფაზას წარმოადგენს. გადაწყვეტილების მიღების ხარისხზეა დამოკიდებული მისი აღსრულების წარმატება. იღებს რა, გადაწყვეტილებას, მენეჯერი ირჩევს მოქმედების მიმართულებას არა მარტო თავისთვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციისათვის და მისი მუშაკებისათვის. გადაწყვეტილების მიღება მენეჯერის ყოველდღიური მუშაობის ნაწილია.

ალტერნატივის შერჩევა – ეს არსებითად რიგ საკითხებზე პასუხის გაცემაა. მართვის ყველა ფუნქცია დაკავშირებულია რამდენიმე გადაწყვეტილებასთან. ხელმძღვანელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ორგანიზაციული გადაწყვეტილებები ეწოდება. ისინი შეიძლება დავყოთ დაპროგრამებულ და არადაპროგრამებულ გადაწყვეტილებებად. პირველი წარმოადგენს წინასწარ გათვალისწინებული მოქმედების შედეგს გამეორებად სიტუაციებში. რაც შეეხება მეორეს (არადაპროგრამირებულს) – ეს არის ახალ სიტუაციებში მიღებული გადაწყვეტილება დაკავშირებული უცნობ ფაქტორთან.

გადაწყვეტილების მიღება – ეს ფსიქოლოგიური პროცესია. ადამიანს შეიძლება უბიძგოს ლოგიკამ და გრძნობამ. ფსიქოლოგიური მდგომარეობა დამოკიდებულია სოციალურ დანიშნულებაზე, დაგროვილ გამოცდილებაზე და პიროვნულ ფასეულობებზე. გადაწყვეტილება მიიღება ადამიანზე ფაქტორების მთელი კომპლექსის ზემოქმედებით. მაგრამ ისინი მაინც ატარებენ ან ინტუიციურ ან რაციონალურ ხასიათს.

ინტუიციურ გადაწყვეტილებებს არ მოეთხოვება სიტუაციის ანალიზი. ხელმძღვანელი აკეთებს არჩევანს იმ შეგრძნებით, რომ მის მიერ შერჩეული მოქმედებათა მიმართულება სწორია. იგი დამახასიათებელია ძირითადად მართვის მაღალი დონის ხელმძღვანელობისათვის. რაც შეეხება დაბალი დონის ხელმძღვანელებს, მათი გადაწყვეტილებები უმთავრესად განსჯას ეფუძნება.

განსჯა – ეს აზეობრივი სამუშაოა. მიუხედავად იმისა, იგი გამოუსადეგარია არასტანდარტულ სიტუაციებში. ასეთ შემთხვევებში წარმოიშობა მრავალი ფაქტორი, რომლეიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას. სწორი შერჩევის ალბათობა მაღლდება პრობლემის რაციონალური გადაწყვეტილებების შემთხვევაში. პრობლემებს განიხილავენ ორი მიმართულებით: როგორც მიზნის მიღწევის მთავარ წინააღმდეგობას და როგორც პოტენციურ შესაძლებლობას.

გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობები მათი შესრულების სეზღუდვების შედეგად ვიწროვდება. შეზღუდვები მრავალი სახისაა. ეს შეიძლება იყოს, არასაკმარისი რესურსები; კანონები, რომელთა შეცვლა ხელმძღვანელს არ შეუძლია; კვალიფიციურ მუშაკთა არასაკმარისი რაოდენობა; კონკურენციაა და სხვ.

გადაწყვეტილებების პმიღებაში სირთულეებს იწვევს აგრეთვე გარემო, რომელიც ხასიათდება განსაზღვრულობის პირობებით, რისკით და გაურკვევლობით.

განსაზღვრულობის პირობებში იგულისხმება ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ხელმძღვანელმა ზუსტად იცის თითოეული ალტერნატივის რეზულტატი. თუ გადაწყვეტილებების რეზულტატი არ არის განსაღვრული, მაგრამ თითოეული რეზულტატის ალბათობა ცნობილია, მაშინ მათ აკუთვნებენ

რისკის პირობებში მიღებულს.

რისკი – ეს არის განსაზღვრულობის ხარისხი, რომელთანაც აპროგნოზირებენ რეზულტატს. ის იცვლება 0-დან 1-მდე. ყველა ალტერნატივის ალბათობის ჯამი 1-ის ტოლია.

თუ არ არის შესაძლებლობა განისაზღვროს მომავალი რეზულტატების ალბათობა, მაშინ ითვლება, რომ გადაწყვეტილება მიღებულია. განუსაზღვრლობის მაღალი პოტენციით ხასიათდება პოლიტიკის სფერო, მეცნიერების დარგები და სხვა.

წარმოებისა და გარესამყაროს დინამიზმის შედეგად იცვლება სიტუაცია. ამიტომ აუცილებელია გადაწყვეტილებები იქნას მიღებული მანამდე, ვიდრე არ არის შეცვლილი ის (დასაშვები) დაშვებები, რომლებსაც ეფუძნება გადაწყვეტილების მიღებას. აუცილებელია გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყველა გადაწყვეტილება ურთიერთდაკავშირებულია. თუ გადაწყვეტილება, განსახილველი სიტუაციიდან გამომდინარე, პასუხობს მოთხვონებს, ის დასაბუთებულად ითვლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. გიორგობიანი. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 1998.
2. ბიგვავა, გ. ბარბაქაძე. „საფინანსო ბუღალტერია აშშ-ში და მისი ქართული ვარიანტი. თბ.., 1995.
3. ციციაშვილი რ. თანამედროვე ბიზნესი. თბ., 1996.

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

СОВРЕМЕННЫЕ ДЕТЕРМИНАНТЫ ГЛОБАЛЬНОГО ИНФОРМАЦИОННО-ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ

Юрий Вдовиченко

Summary

The current trends of the information and communication technologies development are determined in the article. Nowadays the global informatization is the modern scientific and technological revolution. Special attention should be paid to the differentiation between national economies according to the levels of development ICT. Differences between countries in the level of access to information and communication technologies and their use actively negotiated in the framework of the international community. Studies of ICT show significant differences and regional disparities in the development of ICT.

Keywords: information, communication, technology, development, differentiation, economy

* * * * * *

Постановка проблемы. Новейшие трансформации, происходящие на всех уровнях экономических отношений в условиях интенсификации глобализации, представляют собой сложную эволюцию экономических систем. Переход к расширению информационного производства и реализации информационной продукции и услуг определяет место и перспективы страны в мировой экономике, обеспечивает ее технологическую независимость, повышает конкурентоспособность, что, в сою очередь, обусловливает актуальность формирования и развития информационного рынка и обостряет проблему информационного обеспечения современного этапа развития экономики.

Вопросы глобальных изменений, как в области информационных технологий, так и в самой мировой экономике является сферой научных интересов многих зарубежных и отечественных ученых, среди которых: А.И. Абдулаев, Д. Белл, Н. Винер, С.А. Дятлов, К.А. Данилишина, М.Кастельс, Т. Кун, Е. Майминас, В. Степин, Б.Ж. Тагаров, О. Тоффлер, Л.А.Тутов, К. Фримен К. Шеннон, А.Е. Шаститко и другие. В тоже время, особенного внимания заслуживают современные тенденции глобального информационно-технологического развития, что обуславливает актуальность данной проблематики.

Основная часть. Научно-технической революцией современности является глобальная информатизация. Информатизация является мощным катализатором многих процессов общественного развития, в том числе создание и внедрение инноваций, новых социальных и энергетических технологий, а также развития науки, образования и культуры. Именно это фундаментальное свойство информатизации и обусловливает ее особую роль в процессах развития современной цивилизации, выдвигает ее на первый план в области национальной и международной политики современного мира.

Отметим, что в современном мировом пространстве владения новыми информационными технологиями, эффективное встраивание каждой национальной экономики в глобальную информационно-коммуникационную систему является условием ее процветания, равноправного участия в мировом сообществе. В тоже время, для практической реализации ее потенциала в обществе должны быть созданы необходимые условия и разрешены достаточно серьезные проблемы инструментально-технологического, организационно-правового и культурологического характера. Данное обстоятельство определяет актуальность исследования современных детерминантов глобального информационно-технологического развития в современном мировом сообществе.

Особенного внимания в контексте данного исследования заслуживают вопросы дифференциации национальных экономик в уровнях информационно-технологического развития. Если раньше существовал значительный разрыв в доступе к базовым услугам телефонной связи, то в настоящее время он значительно сократился, и ожидается, что в ближайшие несколько лет это сокращение продолжится. Вместо этого образовался разрыв в доступе к Интернету, и в частности в доступе к услугам широкополосной связи.



Рис.1. Число абонентов мобильной сотовой связи и пользователей Интернета в развитых и развивающихся странах, 2000–2013 годы (показатель распространения на 100 жителей) [1, с. 87]

Цифровой разрыв в технической мощности и качестве широкополосной связи в свою очередь ведет к возникновению разрыва между странами и регионами в тех масштабах, в каких граждане, компании, экономика и общество разных стран могут эффективно использовать последние инновации в сфере ИКТ и их приложения. Именно в развитых странах, согласно оценкам специалистов, отмечено наибольший уровень развития институтов информационно-технологического развития: институционального обеспечения, информационной инфраструктуры, интеллектуализация человеческого капитала, наличие благоприятных условий развития рынка и бизнеса в сфере ИКТ, прогресс в сфере знаний, технологий и изобретений. Низкие показатели по указанным индикаторам демонстрируют страны Центральной и Южной Азии и Африки.

Важно отметить, что дифференциация стран мирового хозяйства по показателям развития информатизации обусловлена не только наличием благоприятной среды для данного процесса, но и такими общественными институтами информационно-технологического развития, как готовность и способность общества использовать доступную инфраструктуру ИКТ и цифрового контента. Богатый опыт внедрения и использования развитыми странами мира информационно-коммуникационных технологий показал, что на современном этапе технологического развития они в значительной степени определяют эффективность организации коммерческой и производственной деятельности компаний. Благодаря сети Интернет, появились новые виды товаров и услуг, роль которых в мировом хозяйстве постоянно растет. Происходит стремительное развитие электронной коммерции, что способствует интенсификации международной торговли услугами, обеспечивая тем самым расширение участия стран в международном разделения труда.

Одним из наиболее ярких примеров может служить экспансия таких развивающихся стран как Бразилия, Индия и Китай в мировой рынок ИТ услуг: в условиях жесткой ценовой конкуренции компании из этих стран в течение последнего десятилетия неуклонно расширяют экспорт данного вида услуг преимущественно в развитые страны мира. По оценкам специалистов компании «McKinsey», лишь одно направление – доведение охвата мобильной широкополосной связью населения развивающихся стран до уровня развитых – обеспечит прибавку мирового валового национального продукта в пределах 300–420 млрд. долл. США. Это, в свою очередь, способно создать 10–14 млн. новых рабочих мест в таких областях, как производство электронного оборудования и приборов, а также оффшорных услугах и аутсорсинге (табл. 1).

Таблица 1.

Прирост ВНП и новых рабочих мест в развивающихся странах за счет повышения уровня распространения мобильной широкополосной связи [2]

Страны и регионы	**Прирост ВНП, млрд. долл. США**	**Прирост новых рабочих мест, млн.**
Азия	150-180	6,6-8,0
Африка	40-90	1,3-3,1
Центральная и Восточная Европа	60-80	0,9-1,3
Латинская Америка	50-70	1,1-1,7
Всего:	*300-420*	*10-14*

Различия между странами в уровне доступа к информационно-коммуникационным технологиям (ИКТ) и их использования, давно является проблемой, вызывающей серьезную обеспокоенность правительств и международного сообщества. Вопросы расширения использования ИКТ и преодоления цифрового разрыва в последние годы регулярно входят в порядок как саммитов развитых стран, так и Всемирных саммитов по развитию информационного общества (World Summits on the Information Society), которые проходили под эгидой ООН в 2003 г. и 2005 г.

В рамках деятельности «Группы восьми» проблемы развития информационного общества регулярно поднимались на саммитах, начиная с 2000 г. в Окинаве. Важным результатом работы этого саммита стало принятие Хартии глобального информационного общества. В документе подчеркивалась необходимость реализация совместных усилий по преодолению «цифрового неравенства» как внутри стран, так и между странами. Хартия предусматривала создание Рабочей группы по возможностям использования цифровых технологий (Digital Opportunities Task Force) и определила основные ее задачи [3].

Дальнейшие шаги по решению проблемы

преодоления «цифрового неравенства» между развитыми странами мира и развивающимися были предложены на саммите «восьмерки» в Генуе (2001г.). Был рассмотрен доклад Рабочей группы по возможностям использования цифровых технологий и принят документ, получивший название «Генуэзский план действий», в котором были изложены предложения по обеспечению устойчивого социально-экономического развития на базе расширения использования ИКТ [4].

Еще одним шагом к преодолению неровностей мирового информационного развития стал саммит в Хайлигендамме (2007), посвященный проблемам развития сектора ИКТ в развивающихся странах. На встрече были затронуты вопросы информационного развития стран Африки и необходимость совершенствования механизма экспертных оценок, разработанных для этих стран Африки (African Peer Review Mechanism, APRM), одним из важнейших элементов которого является использование ИКТ при формировании системы экономического регулирования, в том числе при борьбе с коррупцией [6].

Риторика саммита в Хайлигендамме была поддержана на встрече стран-лидеров «Группы восьми» в 2009 в Аквиле. В декларации, принято по итогам ее работы, была отмечена необходимость совершенствования систем управления в странах Африки; сокращение цифрового разрыва в развивающихся странах в контексте Окинавской хартии и Генуэзского плана действий; расширение инвестиций в сектор ИКТ, как одного из необходимых условий для преодоления экономического кризиса и стимулирования инновационной активности в мировой экономике.

Результаты выполнения обязательств, принятых странами-членами «Группы восьми» по содействию преодоления «цифрового разрыва» в первом десятилетии XXI века, были подведены в 2009 г. в отчете Исследовательской группы Университета Торонто. Согласно этому исследованию, большинство стран способствовали информационно-технологическому развитию в странах Юга в ограниченном объеме. В начале нового десятилетия, на саммите в Довиле, 2011 (Франция), проблемы развития сектора ИКТ получили новое звучание. На новый уровень рассмотрения были вынесены проблемы защиты прав интеллектуальной собственности в сети Интернет; обеспечения безопасности и свободного доступа к Интернет-ресурсам; ключевой роли Интернета в экономическом и социальном развитии, в обеспечении конкурентоспособности и эффективности коммерческой деятельности.

В ходе исследования особенностей развития ИКТ в регионах и станах мира важно отметить результаты изучения процессов информатизации за 2011-2012 гг. специалистами специализированного подразделения ООН в области информационно-коммуникационных технологий – Международного союза электросвязи. Результатом исследования стал доклад «Измерение информационного общества 2013» (Measuring the Information Society 2013), содержащий рейтинг развития 157 стран в сфере ИКТ. Результаты расчета развития информационно-комуникационные технологий (The ICT Development Index, IDI) показывают, что во всем мире уровни развития ИКТ продолжают расти, поскольку практически во всех странах за период 2011–2012 гг. значения IDI возросли. Республика Корея и страны Северной Европы сохраняют свои позиции, возглавляя список стран [5].

Важно отметить, что практически две трети из 30 ведущих по IDI экономик – европейские, где совместная нормативно-правовая база и четкий набор приоритетных областей деятельности, целей и задач помогли странам превратиться в передовые информационные экономики. К числу 30 ведущих стран относятся также экономики с высоким уровнем доходов из Азиатско-Тихоокеанского региона (Австралия, Макао (Китай), Сингапур и Новая Зеландия), а также Соединенные Штаты Америки, Канада и Барбадос из региона Северной и Южной Америки.

Сравнение глобальных и региональных рейтингов ведущих пяти стран каждого региона еще сильнее подчеркивает существующие в мире различия в развитии ИКТ и региональные расхождения (таблица 2).

Таблица 2

Ведущие экономик каждого региона и их место в глобальном рейтинге IDI, 2012 [5, с.56].

Региональный рейтинг IDI	Европа	Мировой рейтинг IDI	Азиатско-Тихо-океанский регион	Мировой рейтинг IDI	Северная и Южная Америка	Мировой рейтинг IDI	СНГ	Мировой рейтинг IDI	Африка	Мировой рейтинг IDI
1	Швеция	2	Корея	1	США	17	Россия	40	Сейшельские острова	64
2	Ислан-дия	3	Гонконг, Китай	10	Канада	20	Беларусь	41	Маврикий	72
3	Дания	4	Австралия	11	Барбадос	29	Каза-хстан	48	ЮАР	84
4	Финлян-дия	5	Япония	12	Уругвай	47	Азей-барджан	61	Кабо-Верде	96
5	Норве-гия	6	Макао, Китай	14	Антигуа и Барбуда	49	Украина	68	Боствана	108

Выводы. Таким образом, глобальные процессы информационно-технологического развития является наиболее показательными интеграционными

процессами, включающие развитие коммуникаций, использование космического пространства для передачи информации, рост глобальных информационных сетей, компьютеризации многих процессов жизнедеятельности человечества. Интернетизация и виртуализация стали ведущими формами существования глобальной информационной среды, под влиянием которых формируется современное сетевое общество. Эти формы не только открывают новые положительные горизонты для общества, но и ставят сложные проблемы, поскольку назревает опасность маргинализации духовных ценностей, преобразования процесса производства информации из инструмента развития производительных сил общества в его цель. В конце концов, глобализация современных информационных технологий качественно меняет место материально-энергетических компонентов в структуре общества. Резко возрастает информационная составляющая, открывает новые перспективы для реализации концепции устойчивого развития.

Список использованных источников

1. Глобальное партнерство в целях развития: стоящие перед нами задачи. Доклад Целевой группы по оценке прогресса в достижении Целей развития тысячилетия 2013 год. [Электронный ресурс]. - URL: (http://www.un.org/en/development/desa/policy/mdg_gap/mdg_gap2013/mdg_report_2013_ru.pdf (дата обращения: 5.11.2014).

2. Кондратьев В. Перспективы. Сектор информационных технологий правит миром. McKinsey analysis, 2003-2020 [Электронный ресурс]. - URL: http://www.perspective.info/print.php?ID=114058 (дата обращения: 15.02.2014).

3. The Digital Opportunities Task Force: The G8's Effort to Bridge the Global Digital Divide. [Электронный ресурс]. - URL: http://www.g8.utoronto.ca/summit/2001genoa/dotforce1.html (дата обращения: 5.11.2014).

4. The Digital Opportunities for All: Meeting the Challenge Report of the Digital Opportunity Task Force (DOT Force) including a proposal for a Genoa Plan of Action. [Электронный ресурс]. - URL: http://www.g8.fr/evian/english/navigation/g8_documents/archives_from_previous_summits/genoa_summit_-_2001/report_of_the_digital_opportunity_task_force_including_a_proposal_for_a_genova_plan_of_action.html (дата обращения: 5.11.2014).

5. Measuring Information Society 2013. International Telecommunication Union . [Электронный ресурс]. - URL: http://www.itu.int/en/ITU-D/Statistics/Documents/publications/mis2013/MIS2013_without_Annex_4.pdf (дата обращения: 5.11.2014).

6. The Role of the APRM in Strengthening Governance in Africa: Opportunities & Constraints in Implementation . [Электронный ресурс]. - URL: http://www.un.org/africa/osaa/reports/Overview%20APRM%20paper%20Dec%202007.pdf (дата обращения: 5.11.2014).

ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბანკების მდგრადი კონკურენტუნარიანობა

ვაჟა სარალიძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

საინფორმაციო სისტემებს აქვთ უნარი უზრუნველყონ ბანკების საინფორმაციო მხარდაჭერა სხვადასხვა ოპერაციების, გამოთვლებისა და მონაცემთა ანლიზისათვის. ქსელური ტექნოლოგიები იძლევიან რეალურ დროში ურთიერთობის და ინფორმაციის გავრცელების საშუალებას. საინფორმაციო ტექნოლოგიები არის ბიზნეს-ინოვაციების საფუძველი, რომელიც ამოძრავებს გლობალურ კონკურენციას. ის იძლევა საშუალებას ჩატარდეს ბაზრის თავისებურებების და შესაძლებლობების ანალიზი, განისაზღვროს ბანკის შესაძლებლობები და მწარმოებლურობა, მოხდეს ოპერაციების ეფექტურად მართვა და განხორციელდეს კლიენტის ხარისხიანი მომსახურება.

საბანკო მენეჯმენტის ფუნდამენტური ამოცანას წარმოადგენს შექმნას და განავითაროს ბიზნეს-გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს უწყვეტ ინოვაციებსა და სრულყოფას, რომ გლობალურ ბაზარზე შესაძლებელი იყოს კონკურენციის გაწევა. საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ავტომატურად გარდაქმნეს ორგანიზაციული სტრუქტურები. ინფორმაციული ეკონომიკის დინამიურად ცვალებად გარემოში ქსელური ბანკების მოქნილობა, კლიენტის ცვალებად მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება და ბაზარზე არსებული მოთხოვნა არის წარმატების ძირითადი ფაქტორები ბიზნესის წარმართვაში.

* * * * * *

საინფორმაციო სისტემებს აქვთ უნარი უზრუნველყონ ბანკების საინფორმაციო მხარდაჭერა სხვადასხვა ოპერაციების, გამოთვლებისა და მონაცემთა ანლიზისათვის. ქსელური ტექნოლოგიები იძლევიან რეალურ დროში ურთიერთობის და ინფორმაციის გავრცელების საშუალებას. საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა შეცვალეს ორგანიზაციული საზღვრების კონცეფცია. ტელესაკომუნიკაციო ქსელების სიმძლავრე წარმოადგენს სტრატეგიული მართვის საფუძველს, რაც ბანკებს აძლევს საშუალებას გააერთიანონ სხვადასხვა მიმართულებები სტრატეგიული პოზიციების შესანარჩუნებლად, აიოლებს ინფორმაციის ეფექტური, თავისდროული ნაკადების მოძრაობას ორგანიზაციის საზღვრებში. თუმცა ტექნოლოგიურ სიახლეს გააჩნია გაუთვალისწინებელი ეფექტები, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ორგანიზაციულ ინერციასა და ცვლილებების მიმართ ორგანიზაციის წინააღმდეგობაში. ტექნოლოგიური პროგრესი ხშირად გვაიძულებს მივუბრუნდეთ ტექნოლოგიას, რათა გადავწყვიტოთ ის, რასაც საფუძვლად უდევს ადამიანური, ორგანიზატორული, პოლიტიკური, სოციალური და ორგანიზაციული პრობლემები.

ტექნოლოგიურმა სიახლეებმა უნდა განავითარონ საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ახალი სტრატეგიები და მიიღონ ელექტრონული კომერციის ახალი მოდელები, რომლებიც არიან უფრო მოქნილები და კლიენტებზე ორიენტირებულები.

საბანკო ბიზნესში კონკურენტუნარიანობა შეზღუდული იყო ტერიტორიული ადგილმდებარეობით და იმით, თუ რამდენად სწრაფად გაჰქონდა ბანკს ბაზარზე თავისი პროდუქტები და მომსახურება. დღეს კორპორატიული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიულმა ცენტრმა მნიშვნელოვნად გადაინაცვლა სიჩქარის, მოქნილობის და კლიენტის ხარისხიანი მომსახურების მხარეს. იმის გათვალისწინებით, რომ მწარმოებლურობა და ხარისხიანი სრულყოფა უწყვეტ ყურადღებას მოითხოვს, თვითონ ინფორმაცია გახდა ძირითადი რესურსი კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, ისევე, როგორც მიწა, კაპიტალი და სამუშაო ძალა იყო ინდუსტრიული ეკონომიკის ძირითადი რესურსები. ინფორმაცია და ორგანიზაციაში მყოფი ადამიანების უნარი, მოიპოვონ და გამოიყენონ ეს ინფორმაცია, წარმოადგენენ მთავარ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბიზნესის წარმატებულ წარმართვას ახალ საინფორმაციო ეკონომიკაში.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სულ უფრო მეტად არის მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მზარდი წყარო; საბანკო ბიზნესის ფარგლებში საინფორმაციო რესურსების მართვის სტრატეგიები ასევე შეიცვალა და გაფართოვდა. რადგან საინფორმაციო რესურსების მენეჯმენტის ამოცანა სულ უფრო მეტად გავრცელებული ხდება ბანკებში, მათი, როგორც კორპორატიული აქტივების მართვის მნიშვნელობა ასევე გაფართოვდა ისეთ ფუნქციონალურ სფეროებზე, როგორიცაა ადამიანური რესურსები, ფინანსები, მარკეტინგი, გაყიდვები, დაგეგმვა, ცვლილებები და განაწილება. გარდა ამისა, ბანკების ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ არა მარტო ბიზნესი და ბიზნეს-სტრატეგიები, არამად მათ ასევე უნდა შეეძლოთ საინფორმაციო რესურსების სტრატეგიული მართვაც.

ბანკის საინფორმაციო სისტემების მმართველებმა უნდა იცოდნენ საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიული საქმიანი მიზნები და შეძლონ ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ფორმირება, რათა ხელი შეუწყონ ამ მიზნების მიღწევას. სტრატეგიული დაგეგმვა ბანკებს საშუალებას აძლევს, რომ თავიდან აიცილონ ტექნოლოგიური უბედურება და

გააუმჯობესონ ტექნოლოგიური უპირატესობა; ის ბანკებს ასევე აძლევს თავისი ტექნოლოგიის საქმიან დაგეგმვაში გამოყენების საშუალებას და პირიქით. ბანკის საიფორმაციო ტექნოლოგიების მმართველების სამუშოს შესრულება ნაწილ-ნაწილ არ შეიძლება; მას ჭირდება ინტეგრაცია, რადგან საიფორმაციო ტექნოლოგიები ხდება სულ უფრო მრავალმხრივი, დღევანდელი "სტრატეგიული დაგეგმვის" დიდი ნაწილი თავის თავში ასევე მოიცავს "ტექნოლოგიის დაგეგმვას". საქმიანი დაგეგმვის გარეშე კონკურენცია უსარგებლოა; ხოლო საინფორმაციო რესურსების განხილვის გარეშე ბიზნესის ეფექტური დეგეგმვა წარმოუდგენელია.

ინფორმაცია და ცოდნა წარმოადგენს ცხოვრებისეულ, სტრატეგიულ რესურსს და ინოვაციების, ეკონომიკური ზრდის და საბანკო ბიზნესის განვითარების გასაღებს. ინფორმაციის წარმოება, შეგროვება, გავრცელება და გაცვლა გახდა მისი უმნიშვნელოვანესი იმპერატივი. საინფორმაციო ტექნოლოგიები არის ბიზნეს-ინოვაციების საფუძველი, რომელიც ამოძრავებს გლობალურ კონკურენციას. სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ ფირმებს შეუძლიათ უფრო ძლიერი ფინანსური პოზიციების მიღწევა, თუ კაპიტალს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაში დააბანდებენ.

ცვლილებები ტექნოლოგიებში ისევე ეხება ახალი პროდუქტების და მომსახურების შემუშავებას, როგორც უშუალოდ საბანკო პროცესები. ბევრი ახალი საქმიანი შესაძლებლობა გამომდინარეობს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევებიდან. თვით პატარა ბანკებიც კი, რომლებსაც გააჩნიათ ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ და უახლეს ინფორმაციასა და ტექნოლოგიებს უფრო ინტენსიურად იყენებენ კლიენტებისათვის მომსახურების გასაწევად, კონკურენტებთან შედარებით უფრო ძლიერ პოზიციებს იკავებენ.

მართლაც, საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა დიდი მნიშვნელობები შეიძინეს. ახალ ეკონომიკაში ცოდნა და ინფორმაცია არის მოგების შექმნის ძირითადი კომპონენტები. ცოდნა და ინფორმაცია ხდება სუბსტრატი დიდი ეკონომიკური ფასეულობის მქონე მრავალი ახალი პროდუქტისა და მომსახურებისათვის. ტრადიციული პროდუქტების და მომსახურების წარმოებაში ბოლო წლებში გაძლიერდა ცოდნის გამოყენება.

საინფორმაციო ტექნოლოგიები აუცილებლად გამოიწვევენ ცვლილებებს საკრედიტო ორგანიზაციაში, რომელიც უფრო დამოკიდებული გახდება ცალკეული თანამშრომლების ცოდნაზე და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესების და მეთოდების შესწავლაზე. სათანადო ქმედება განპირობებულია ცოდნით და ორგანიზაციის შესწავლით.

2012 წლის 1 ივლისს ამოქმედდა კანონი" საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ". რომლის ძირითადი მიზანი გადახდის მომენტალურ სისტემებთან, ელექტრონულ ფულთან, სხვა ტრადიციულ საგადახდო სისტემებთან და ფინანსურ გირაოსთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგებაა. საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება დაარეგისტრიროს საგადახდო სისტემის პროვაიდერები და საგადახდო სისტემის ოპერატორები და გაუწიოს მათ ზედამხედველობა, ასევე განსაზღვროს და დაუწესოს დამატებითი მოთხოვნები მნიშვნელოვან საგადახდო სისტემებს.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება ვრცელდება თანამედროვე საგადახდო ინსტრუმენტების (მაგალითად: ელექტრონული ფული) გამოშვებაზე, მხარეთა უფლება—მოვალეობებზე და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საქართველოს საგადახდო სისტემის მისი უცხოური მონაწილის ფინანსური სირთულეებისაგან დაცვისათვის დადგინდა, რომ უცხოური მონაწილის გაკოტრების შემთხვევაში, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა მოხდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

საინფორმაციო ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ჩატარდეს ბაზრის თავისებურებების და შესაძლებლობების ანალიზი, განისაზღვროს ბანკის შესაძლებლობები და მწარმოებლურობა, მოხდეს ოპერაციების ეფექტურად მართვა და განხორციელდეს კლიენტის ხარისხიანი მომსახურება. ბანკები ასევე შეიძლება განხილულნი იყვნენ, როგორც სისტემები, რომლებშიც ინდივიდუალური კომპონენტები ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან საერთო მიზნების მიღსაწევად. საკრედიტო ორგანიზაციაში ყველა ქმედების საფუძველს წარმოადგენს ინფორმაცია ; ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის ეფექტურ საინფორმაციო ნაკადებს და მდგრად კონკურენტულ უპირატესობებს. წარსულში არსებული სტრუქტურირებული, იერარქიული ორგანიზაციისაგან განსხვავებით ცოდნასა და ინფორმაციაზე დაფუძნებული მოდერნიზებული ბანკები არიან უფრო მოქნილები, წრფივები და სწრაფად რეაგირებადები; საინფორმაციო ტექნოლოგიები გახდა მათი განუყოფელი ნაწილი.

დღეს საბანკო მენეჯმენტის ფუნდამენტური ამოცანას წარმოადგენს შექმნას და განავითაროს ბიზნეს-გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს უწყვეტ ინოვაციებსა და სრულყოფას, რომ გლობალურ ბაზარზე შესაძლებელი იყოს კონკურენციის განევა. საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ავტომატურად გარდაქმნეს ორგანიზაციული სტრუქტურები. ინფორმაციული ეკონომიკის დინამიურად ცვალებად გარემოში ქსელური ბანკების მოქნილობა, კლიენტის ცვალებად მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება და ბაზარზე არსებული მოთხოვნა არის წარმატების ძირითადი ფაქტორები ბიზნესის წარმართვაში.

საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ცვლილებების განხორციელებას ხშირად ეწინააღმდეგება ბანკების ბუნებრივი ინერცია. ხშირად ბიზნეს-გეგმა და არსებული სტანდარტული სამუშო პროცესები მოძველებულია ან არათავსებადია სა-

ვარაუდო ტექნოლოგიასთან. ასეთ შემთხვევაში იერარქიის შეცვლა იმისათვის, რომ ის ტექნოლოგიასთან შესაბამისობაში მოვიდეს, არის ძირითადი პირობა ოპტიმალური გათანაბრების მისაღწევად და სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისათვის.

ბანკის საინფორმაციო რესურსებზე მკაცრი კონტროლის დამყარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული მოთხოვნილებების და მისი მიზნების რეალიზაციისათვის; რაც ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს საკრედიტო ორგანიზაციის მენეჯმენტს, რომლებიც ხშირად ზოგიერთ ბანკში იწვევს ცენტრალიზაციის ტენდენციებს, ხოლო ზოგიერთში კი – ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული კომპონენტების მქონე ჰიბრიდული სტრუქტურების განვითარებას. საინფორმაციო ტექნოლოგიებისადმი უბრალოდ ტექნიკურ მიდგომას არ ძალუძს მოიცვას სოციალური და ბიჰევიორისტული ასპექტი. საბოლოო ჯამში, საინფორმაციო ტექნოლოგიებიდან მიღებული ეფექტი განისაზღვრება მომხმარებლის ინტელექტით.

მართლაც, საინფორმაციო ტექნოლოგიებს ფასი არა აქვს და არ არის კონკურენტული უპირატესობა, თუ ბანკი და მისი თანამშრომლები თავს კომფორტულად არ გრძნობენ მათი ეფექტური გამოყენებით. სოციალურ-ტექნიკურ პერსპექტივაში ადამიანები, ამოცანები, ტექნოლოგიები, კულტურა და სტრუქტურა არის ნებისმიერი ორგანიზაციის საფუძველი. კომპონენტები გადიან გარდაქმნის და ადაპტაციის პროცესს, ვინაიდან სისტემები იქმნება, ვითარდება და გამოიყენება. ხშირ შემთხვევაში საინფორმაციო ტექნოლოგიები უნდა გადამუშავდეს, რათა შეესაბამებოდეს ბანკის ინდივიდუალურ მოთხოვნებს; ასევე უნდა შეიცვალოს ბანკიც, რათა უზრუნველყოს ტექნოლოგიის გამოყენების აუცილებელი პირობების არსებობა სწრაფად ცვალებად გარემოში.

ამიტომ საკრედიტო ორგანიზაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად ამ ურთიერთდამოკიდებულ კომპონენტებს შორის უნდა დამყარდეს ურთიერთკავშირი და მჭიდრო კოორდინაცია. აუცილებელია საინფორმაციო სისტემების ისეთი განვითარება, რომ მათ ხელი შეუწყონ სტრატეგიულ სრულყოფას, იძლეოდნენ სტრუქტურის ამოცანების, ტექნოლოგიის, კულტურის, კომპონენტების ოპტიმიზების საშუალებას.

საინფორმაციო ტექნოლოგიები შეიძლება სხვადასხვა წესით შეეხოს მენეჯერების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და თვით საკრედიტო ორგანიზაციებში მუშაობას. რაც ამარტივებს ბიზნეს-პროცესის ორგანიზაციული რეფორმირების პროცესს. საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ხელი უნდა შეუწყონ ორგანიზაციული სტრუქტურის უფრო დეცენტრალიზებულ, ქსელურ ტიპს და აქცენტი გადაიტანონ კომუნიკაციაში ოპერატიულობაზე, მოხერხებულობასა და მოქნილობაზე და ადამიანებსა და სამუშაო ჯგუფებს შორის თანამშრომლობაზე. საინფორმაციო ტექნოლოგიებს პოტენციურად შეუძლიათ ბანკის სტრუქტურის, კულტურის, პოლიტიკის და სამუშაო ოპერაციების შეცვლა.

დღეს, საბანკო სექტორში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივების განხილვის დროს, ცოდნაზე დაფუძნებული ახალი ეკონომიკის მექანიზმების სწრაფი გავრცელების კონტექსტში, ჩვენ მივდივართ საინფორმაციო ტექნოლოგიების პრინციპულად ახალ ხედვამდე საბანკო ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლების სისტემაში. აუცილებელია, რომ საინფორმაციო სისტემები ბანკში განხილული იყოს, როგორც:

ა. პროცესების მწარმოებლურობის გაზრდის ინსტრუმენტი;

ბ. დანახარჯების შემცირების ინსტრუმენტი;

გ. საწარმოს ცხოველქმედების მატერიალურ (ფიზიკურ) რესურსებზე გაწეული დანახარჯების შემცირების ინსტრუმენტი;

დ. მაღალეფექტური, ოპერატიული და ერთდროულად დაბალდანახარჯიანი ელექტრონული ოპერაციების, ელექტრონული ვაჭრობის და ელექტრონული ბანკინგის ოპერაციების ჩათვლით, განხორციელების ინსტრუმენტი.

საბოლოო ჯამში, საინფორმაციო ტექნოლოგიებს შეუძლიათ უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდის საერთო მოცულობების 1/4-დან 1/3-მდე. ელექტრონული კომერცია არის ინოვაციური საბანკო სერვისი, როდესაც მომსახურება და პროდუქცია იყიდება ინტერნეტის მეშვეობით, ხოლო გადახდები ხორციელდება VISA, MasterCard და American Express პლასტიკური ბარათებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ http://www.nbg.gov.ge/index.php?m=110

2 საერთაშორისო ელექტრონული საფულეების ოფიციალური საიტები: PayPal, www.PayPal.com; Moneybookers, www.moneybookers.com; WebMoney, www.webmoney.ru; Yandexmoney, www.Yandexmoney.ru,

3 Google AdWords, Anastasia Holdren – 2012 year

4 Tsai H-L. Information Technology and Business Process Reengineering: New Perspectives and Strategies. Praeger Publishers (March 30, 2003): p.153-154

სამართალი და პოლიტიკა

სისხლის საპროცესო სამართლის რეგულირების საგანი და მეთოდი

მიხეილ მამნიაშვილი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

ჯემალ გაბელია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი

გიმზერ ალანია,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

Summary

Criminal law process Regulations Subject and method

The given work depicts Criminal law Process Regulation's Subject and Method. Detailed research on dispositional imperative Method, exigency's mutual submission's law-count methods are described. All the methods are analyzed separately with all the conclusions and on what process and stage they are used.

* * * * * *

სამართლებრივი რეგულირების საგანს სისხლის საპროცესო სამართალში წარმოადგენს სამართალურთიერთობა, რომელიც აღმოცენდება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, სამართლებრივ ნორმებზე ზემოქმედებით. ამ ზემოქმედების ხასიათი განისაზღვრება სამართლებრივი რეგულირების მეთოდებით. სამართლებრივი რეგულირების მეთოდის ცნება პასუხობს კითხვებს: როგორ, რა პრინციპითაა აგებული ამა თუ იმ იურიდიული დისციპლინის სამართალურთიერთობა. სამართლებრივი რეგულირების მეთოდები იმდენად მრავალფეროვანია, რამდენადაც მრავალფეროვანია სამართლებრივი რეგულირების ადამიანური სფერო. ეს უკანასკნელი კი მოიცავს თითქმის მთელ ადამიანურ მოღვაწეობას.[1] სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში ფართოდ გამოიყენება სამართლებრივი რეგულირების იმპერატიული მეთოდი. იმპერატიული (იმპერაციო — ვბრძანებ, ვაწესებ) მეთოდის გამოყენებით სუბიექტს გარკვეული ვალდებულება, პროცესუალური მოქმედების შესახებ, წარმოეშობა არა მისი თავისუფალი შეხედულებით და არა მისი შეთანხმებით სხვა სუბიექტთან, არამედ კანონის მოთხოვნებიდან, ე.ი. სახელმწიფოს წინაშე საჯარო ვალდებულების ძალით. მაგალითად, გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყება, დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის შემთხვევაში, ერთდროულად არის მისი უფლება და საჯარო მოვალეობაც; ბრალდებულის მოთხოვნა უზრუნველყოფილ იქნეს ადვოკატის მომსახურებით, იმპერატიულად წარმოშობს შესაბამის ვალდებულებას გამოძიებისა და სასამართლოს წინაშე, ამასთანავე ასეთი ვალდებულება წარმოიშობა არა მხოლოდ ბრალდებულთან, არამედ სახელმწიფოსთანაც, რადგანაც ის კანონის ძალით ადგენს მისი შეუსრულებლობისათვის სანქციას (დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას და ა.შ.) იმპერატიული მეთოდი იმასაც გულისხმობს, რომ აღნიშნული სამართალურთიერთობის დროს პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს (ეხ ოფფიციო — ლათ.).

სამართლებრივი რეგულირების სხვა მეთოდად სისხლისსამართალწარმოების პროცესში გამოიყენება დისპოზიციურობის (ლათ. Disposicio — თავისუფალი მოქმედება, შეხედულება) მეთოდი. ასეთ დროს სამართლებრივი ურთიერთობა ისეთნაირადაა აგებული, როდესაც სუბიექტი თავისი უფლების რეალიზაციას ახდენს საკუთარი, ერთპიროვნული შეხედულებით, ანდა, სხვა სუბიექტთან ნებაყოფლობითი შეთანხმებით. ამასთანავე, სუბიექტს პროცესუალური უფლებებისა და მოვალეობის განხორციელებისას სახელმწიფოს წინაშე რაიმე საჯარო ვალდებულება არა აქვს, მისი ამა თუ იმ მოქმედების ვარიანტის არჩევის შესახებ, არავის არ აბარებს ანგარიშს. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად,

1 ნ. მაისურაძე, სამართლებრივი რეგულირების მეთოდები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გვ. 93.

ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის მეთოდით რეგულირება შედარებით შეზღუდულია. ეს აიხსნება მხარეთა ინტერესების საჯარო ხასიათით; დისპოზიციურობის მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება ბრალდებულის მოთხოვნისას ადვოკატით მომსახურების შესახებ, საჩივრის, შუამდგომლობის წარდგენისას, აგრეთვე საქმის შეწყვეტისას, ქმედითი მონანიების დროს. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებული მეთოდები არ ამოწურავს და არ ითვალისწინებს ყველა სპეციფიკურ პროცესუალურ მხარეს. შეჯიბრებითობის პროცესის სამართლებრივი რეგულირების ცენტრალური მეთოდი სულ სხვაა. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იურიდიული საკითხის გადასაწყვეტად მხარეთა შორის დგას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი — სასამართლო. ამიტომაც სამართლებრივი რეგულირების ამ სახეს იურიდიულ ლიტერატურაში არბიტრული ეწოდება.[2]

ამ მეთოდის გამოყენებით არც ერთ მხარეს არა აქვს რაიმე უპირატესობა მეორესთან შედარებით, მაგალითად, პროკურორი ვალდებულია ბრალდებულისათვის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ შესაბამისი ნებართვის მისაღებად, მიმართოს სასამართლოს. ზუსტად ასევე, ბრალდებული ცდილობს, მასზე არ იქნეს გამოყენებული საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ანდა თუ ის გამოყენებულია, გაუქმდეს, რის რეალიზაციასაც ის სასამართლოს მეშვეობით ახდენს.

ამასთან დაკავშირებით, დაისმის ერთი მეტად საინტერესო შეკითხვა, სასამართლო იმპერატიული მეთოდის გამოყენებით ხომ არ იღებს გადაწყვეტილებას? აღნიშნულ შეკითხვას პასუხი რომ გაეცეს, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ იმპერატიული მეთოდის გამოყენებით სუბიექტი სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელებით მართავს სიტუაციას, ის ცდილობს იმ მიზნის მიღწევას, რომელიც უშუალოდ მის წინაშეა დასახული. სხვა საქმეა, როდესაც ის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა მოთხოვნით. ეს მხარე ცდილობს თავისი მიზნების მიღწევას, ის აქტიურად მონაწილეობს სიტუაციის მართვაში, სასამართლოსაგან მოითხოვს კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას, მხარე ასევე სახელისუფლოდ მოქმედებს სასამართლოზე, ისევე როგორც სასამართლო ამ მხარეზე. პროცესის მონაწილეები თავიანთი მოთხოვნებით ემორჩილებიან არა ერთმანეთს არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ ნორმებს, კანონს; ამიტომ შეუძლებელია აქ აღმოვაჩინოთ დისპოზიციური რეგულირების ნიშნები, რადგანაც გადაწყვეტილების მიღება ხდება არა მხარეთა თავისუფალი, არამედ სასამართლოს აზრის თანახმად. ამასთანავე, თვითონ სასამართლოც მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული მხარეთა პოზიციებზე, თუ რა მტკიცებულებებს წარმოადგენენ ისინი და ამიტომ არც სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს მიჩნეული აბსოლუტურად თავისუფალ (დისპოზიციურ) გადაწყვეტილებად.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ერთდროულად შენარჩუნებულია მხარეთა თანასწორობა, დისპოზიციურობის თავისებურებები და ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებებიც. ამ მეთოდით დარეგულირების შემთხვევებში წარმოიქმნება შეჯიბრებითობის პროცესის სამსუბიექტიანი სამართალურთიერთობა.

არბიტრული მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება მაშინ, როდესაც განიხილება სისხლის საპროცესო სამართლის მთავარი საკითხი — პიროვნების ბრალი და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ამიტომაცაა, რომ პირის ცნობა ბრალეულად ჩადენილ დანაშაულში შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, საქმის არსებითი განხილვის შემდეგ. ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს მაშინაც, როდესაც გამოძიების პროცესში წარმოიშობა საკითხი სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

არბიტრული მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ბრალდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, რადგანაც მხარეები სისხლისსამართალწარმოების პროცესში თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარეზე რაიმე ზეგავლენა მოახდინოს, საბოლოო გადაწყვეტილებას კი სასამართლო იღებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია საშემსრულებლო და მომთხოვნილობის მეთოდი. ეს მეთოდები მოქმედებისადმი მიდგომის ხასიათით სრულიად განსხვავდება დისპოზიციური და იმპერატიული მეთოდებისაგან. სისხლის სამართლის პროცესში საშემსრულებლო მეთოდს ერთ—ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რაც იმას გულისხმობს, რომ ცალკეულმა საპროცესო სუბიექტებმა უნდა შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედება, მაგალითად, გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს პროკურორის სავალდებულო მითითება, ასევე პროკურორი და გამომძიებელი ვალდებულნი არიან შეასრულონ სასამართლო მიერ კონკრეტულ საკითხზე გამოტანილი განჩინება და ა.შ.

რაც შეეხება მომთხოვნელობის მეთოდს, საქმე გვაქვს არა მხოლოდ ცალმხრივ ცენტრალიზებულობით, მბრძანებლობლთა და მკაცრი სუბორდინაციის მოთხოვნასთან, არამედ ურთიერთთანადგომასთან და დახმარებასთან.

სისხლის სამართალ წარმოების პროცესში მომთხოვნელობის მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც ცალკეულ საპროცესო სუბიექტების მიმართ ადგილი აქვს არა ერთი მეორისადმი დაქვემდებარებას, მბრძანებლობას ან დათმობას (რამაც შეიძლება არანაკლები ზიანი მიაყენოს საქმის სწორ და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე), არამედ

2 Смирнов А.В. Модели уголовного процесса. СПБ. Наука, 2000, с. 20-21

საბოლოოდ მიზნად უნდა ისახავდეს ბრალდებულის მიმართ სამართლიანი განაჩენის დადგენას.

ასეთი მეთოდი ათავისუფლებს ერთმანეთის მიმართ დაქვემდებარებულ სუბიექტებს (პროკურორი, გამომძიებელი) სუბორდინაციული ზეწოლით გამოწვეული მორჩილებისაგან, რაც იწვევს მათ „რობოტებად'' გადაქცევასა და მექანიკურ „მანქანებად" ჩამოყალიბებას, ყოველივე ეს, ბუნებრივია, ხელს უშლის საქმის გადამწყვეტმა ორგანომ მიიღოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება.[3]

აღნიშნული მეთოდის გამოხატულებაა ის გარემოებაც, რომ პროკურორის წერილობითი მითითება გამომძიებლისათვის სავალდებულოა შესასრულებლად, მაგრამ გამომძიებელს რჩება უფლება თუ კი არ დაეთანხმა პროკურორის მითითებას,გაასაჩივროს და თავისი მოტივირებული მოსაზრება წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს, ასეთ შემთხვევაში ზემდგომი პროკურორი ან აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებას, ანდა სისხლის სამართლის საქმეს შემდგომი გამოძიების ჩასატარებლად ავალებს სხვა გამომძიებელს.

სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებულია დარწმუნების და ძალდატანების მეთოდები.

დარწმუნების მეთოდს სისხლისსამართალწარმოების მთელ პროცესში (გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, მართლმსაჯულების განხორცი-ელებისას, განაჩენის დადგენის ჩათვლით) უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ეს მეთოდი, ასევე გამოყენებულია საპროცესო საქმიანობის ყველა სუბიექტის მიმართ, მათ შორის პროცესზე დამსწრე საზოგადოების ჩათვლით. მხოლოდ დამარწმუნებელი არგუმენტებითა და საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებითაა შესაძლებელი პირისათვის ბრალდების წაყენება;მხარეებს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში ბრალდებული მშვიდად იღებს განაჩენს, თუნდაც ეს განაჩენი საკმაოდ მკაცრი იყოს, დარწმუნების მეთოდი საკმაოდ კარგად ვლინდება და უკეთაა წარმოჩენილი, უფრო მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეს ნაფიც მსჯულთა სასამართლო იხილავს,რადგანაც სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებზე დაყრდნობით მხარეებმა (პროკურორი, ადვოკატი) დასკვნით სიტყვებში, თავიანთი არგუმენტირებული გამოსვლით ნაფიცი მსაჯულები უნდა დაარწმუნონ ბრალდებულის ბრალელობასა თუ არაბრალეულობაში,ხოლო პროცესზე დამსწრე საზოგადოება რწმუნდება რა განაჩენის სამართლიანობაში, პატივისცემით იმსჭვალება, არა მარტო განაჩენის გამომტანი სასამართლოთი, არამედ საერთოდ მართლმსაჯულების მიმართ, რასაც ასევე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგად პრევენციული მნიშვნელობაც გააჩნია.

რაც შეეხება ძალდატანების მეთოდს, ის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამართალწარმოების ცალკეულ ეტაპზე (საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები); ამასთანავე, როდესაც რაიმე პროცესუალური მოქმედებები ტარდება ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ და ძალდატანებითი მეთოდია გამოსაყენებელი, აუცილებელია პროკურორმა სასამართლოსაგან მიიღოს შესაბამისი განჩინება.

3 ნ. მაისურაძე, სამართლებრივი რეგულირების მეთოდები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გვ. 95.

კონცესიისა და საკონცესიო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

ზაზა სუხიშვილი, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სამართლებრივი ინსტიტუტების პრაქტიკაში გამოყენებამდე აუცილებელია მათი სამართლებრივი ბუნებისა და შესაბამის სამართალურთიერთობებში ჩართვის საკითხის შესწავლა.

კონცესია წარმოადგენს მეტად საინტერესო სამართლებრივ ინსტიტუტს თავისი მრავალბუნებრიობით, მრავალი კონცეფციებით, მრავალფეროვანი საკანონმდებლო განმარტებებითა და სამართლის დარგთაშორისი სახეცვლილებებით, რომლებიც შთაგონების წყაროს ქმნის სამართლის მკვლევარებისათვის.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ის კრიტერიუმები, რომლებიც აყალიბებენ კონცესიის სამართლებრივ ბუნებას, ამა თუ იმ სამართლებრივი დარგისადმი კუთვნილების საფუძვლებს და ადგენს მისი დეფინიციის კონკრეტულ ნიშნულებს. აგრეთვე, არის მსჯელობა მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან კონცესიის განსხვავების შესახებ. ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს საკონცესიო ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, რომელიც გაანალიზებულ და წარმოდგენილ იქნა როგორც კერძო, ისე საჯაროსამართლებრივი გაგებით.

Summary

Legal Notion of Concession and Concession Agreements

Prior to using legal institutions into the practice, it is necessary to study their legal notion and to entail them into the legal relationship.

Concession constitutes quite interesting legal institution along with its multinotion character, multiple conceptions, diverse legal interpretations and modification in legal fields, which inspires legal scholars.

This study describes those criteria which shape a legal notion of concession and basis of affiliation of concession to various legal fields, as well as sets out concrete benchmark of its definition. The study also describes an issue relating to differentiation of concession from similar legal institutions. Legal notion of concession agreements, as discussed separately, has been analyzed and presented from private as well as public law perspective.

შესავალი

სამართლებრივ ინსტიტუტთა შორის არის ისეთი ინსტიტუტები, რომლებმაც უფრო მეტად პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს, ვიდრე სამართლებრივ-თეორიული. მათ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს საზოგადოებრივ ურთიერთობებში და ზოგიერთი მათგანის არსებობა ასწლეულებს ითვლის. ასეთ ინსტიტუტთა რიგს განეკუთვნება კონცესია. იგი არის სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა, ურთიერთსასარგებლო სახელშეკრულებო საფუძველზე კერძო სექტორის ჩართვით სახელმწიფო ქონების ან მომსახურების ეფექტურად მართვისათვის. კონცესია გულისხმობს ბუნებრივი რესურსების, ინფრასტრუქტურის ობიექტების, საწარმოების ან მოწყობილობების ექსპლოატაციის უფლების გადაცემას გარკვეული პირობებითა და ანაზღაურებით. საქართველოში კი მრავლად არის ისეთი მზა ობიექტები და პროექტების განხორციელების საშუალებები, რომლებიც კონცესიის საშუალებით შეიძება იმართოს.

კონცესია და მისი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვეობის ისეთ აქტუალურ საკითხთან როგორიც არის უცხოური ინვესტიციები. დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ინვესტიციების ერთგვარი ბუმია. სახელმწიფოები ცდილობენ შექმნან ხელსაყრელი სამართებრივი და პოლიტიკური საფუძვები ინვესტიციების მოსაზიდად, დასაცავად და ეკონომიკური სტაბილურობისათვის. ის ქვეყნები რომელიც ასეთ გამოწვევებს თავს ართმევენ, დარდაუვალი ეკონომიკური წარმატების გზას ადგანან.

1. კონცესიის სამართლებრივი ბუნება

ყოველ სამართლევრივ ინსტიტუტს აქვს თავისი სამართლებრივი ბუნება და დეფინიცია. საზღვარგარეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქართული სამართლის სივრცეში არ მიმდინარეობს დისკუსია კონცესიის სამართლებრივი ბუნების შესახებ და მეტად მწირ მონაცემებს ვხვდებით მხოლოდ მოქმედ კანონმდებლობაში. კონცესიას საინტერესო სამართლებრივ ინსტიტუტად ხდის მისი არაერთბუნებრიობა. იგი ან მის საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა შეიძლება იყოს როგორც კერძოსამართლებრივი, ისე ადმინისტრაციულსამართლებრივი ბუნების.

კონცესიის სამართლებრივი ბუნების შესახებ პირველი ნაშრომები გამოჩნდა მე-19 საუკუნეში. ამ პერიოდში გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა კონცესიისადმი პირველი შემდეგი სახის მიდგომები: 1) როგორც ადმინისტრაციული აქტი; 2) როგორც

შერეული აქტი, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ აქტს და მხარეთა შეთანხმებას და 3) როგორც ხელშეკრულება.[1]

კონცესია, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გახილილებოდა შვეიცარულ-გერმანული დოქტრინით, რომლის მომხრესაც წარმოადგენდა ცნობილი შვეიცარელი იურისტი ანდრეი ჰეისლერი (დაბ.: 1834 წ., ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორი). იგი ამბობდა, რომ კონცესია არის სახელმწიფოს უმაღლესი უფლების გამოვლინება და არ მომდინარეობს სამოქალაქო სფეროდან. მას ვერ ექნება ხელშეკრულების მნიშვნელობა, რადგან ხელშეკრულების მხარე - კონცესიონერი არ ფლობს შესაბამის სამართალუნარიანობას და არ მონაწილეობს უმაღლესი სახელმწიფო უფლებების განხორციელების სფეროში. ეს არის სახელმწიფოს პრივილეგია, რომელიც ვერაფრით შეიზღუდებაო

ბ.ა. ლანდაუ მიუთითებდა კონცესიის მიზნისა და დანიშნულების შესახებ, რომელიც საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათის უნდა იყოს (საწარმოთა განვითარება და სხვა).[2]მისი მტკიცებით კონცესია უნდა გაიცეს არა რაიმესთვის, არამედ რისთვის - საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნებისათვის. იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ „კონცესია არის პრივილეგია და როგორც ასეთი, ქმნის განსაზღვრულ სამართალურთიერთობასა და კონცესიონერის ერთეულ უფლებებს“.[3]

კონცესიის, როგორც შერეული აქტის საფუძვლები მომდინარეობს მსჯელობიდან, რომლის მიხედვით იგი არის ადმინისტრაციული აქტისა და სამოქალაქო ხელშეკრულების ერთობა. ასეთი მიდგომა ჰქონდა მაგალითად ლატვიელ სახელმწიფო მოღვაწესა და სამართლის დოქტორს პ. მინცს (დაბ.: 1868 წ.). ამ კომპლექსური მიდგომის თეორიის პრობლემად დღემდე რჩება საკონცესიო ურთიერთობის მოწესრიგების მეთოდების საკითხის გადაწყვეტა.

კონცესიის ხელშეკრულებითი თეორია განვითარდა საფრანგეთში, სადაც იგი განიხილებოდა როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ვინაიდან, საქმე ეხებოდა ქონებრივ ინტერესებს საკონცესიო ურთიერთობა წესრიგდებოდა სამოქალაქო და საჯარო სამართლის საწყისებით.[4]კონცესიონერი არ იყო რა საჯარო მოხელე, მას ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემოდა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების უფლება. ამ თეორიის მიხედვით სახელმწიფო უფლებამოსილი იყო, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება კონცესიონერისათვის ზარალის ანაზრაურების პირობით.[5]

ფრანგული დოქტრინის მიხედვით კონცესიონერი ახორციელებს საჯარო სამსახურებრივ (service public) უფლებამოსილებას, რადგან მისი საქმიანობა მიმართულია საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ. კონცესიონერი თითქოსდა ითავსებს საჯარო ხელისუფლებას ხელშეკრულების საფუძველზე და მისით ეძლევა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების კომპეტენცია.[6]საჯარო სამსახურის გაგება აღმოცენდა ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის საფუძველზე, რაც თვით ფრანგული სამართლის სისტემის თავისებურებაა. ამ თეორიული თვალსაზრისის საფუძველზე ფრანგული სამართლის მიხედვით კონცესიის ბუნება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი.

კონცესიის თანამედროვე განსაზღვრება, ამა თუ იმ განმარტებებით, შეიცავს ადრე შემუშავებულ ძირითად დებულებებსა და თეორიებს. კონცესიის ქვეშ მოიაზრება აქტი, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო კერძო პირს აღჭურავს უფლებით მონაწილეობა მიიღოს მეურნეობის სფეროში ზოგიერთი მისი ფუნქციის განხორციელებაში. ამასთან, კონცესიონერი იმყოფება უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ვიდრე ეკონომიკური ბრუნვის სხვა მონაწილე. კონცესია შეიძლება გაიცეს, როგორც სახელმწიფოს ცალმხრივი მოქმედებით, ისე კონცესიონერთან ხელშეკრულების ფორმით.

2. კონცესიის შედარება სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

კონცესია თავისი სამართლებრივი ბუნების ზოგიერთი ასპექტით წააგავს სხვა ისეთი სამართლებრივ ინსტიტუტებს როგორიც არის იჯარა, ფრენშაიზინგი (კომერციული კონცესია), ლიცენზია და პრივატიზაცია. კონცესიასთან ყველაზე ხშირად იჯარას განიხილავენ ხოლმე. მეტიც, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში ვხვდებით კონცესიისა და იჯარის გაიგივებას (აშშ,

1 **А. В. Багдасарова „Концессионное соглашение в гражданском праве России и зарубежных стран“. Автореферат диссертации. Москва, 2009 г.,** Ст.19, http://www.mgimo.ru/science/dissert_cons/7092/events/n117400.phtml.

2 Н.В. Курысь, „Детерминация понятия концессии и концессионной соглашения в отечественной историко-правовой мысли“, Вестник Ставропольского государственного университета, Вып.41,Ставрополь,2005 г., Стр. 169. http://law-library.ucoz.ru/vestniky/vestniky_vsgu/2005_41.pdf.

3 Н.В. Курысь, დასახელებული ნაშრომი. გვ. 170.

4 Л. С. Таль„„Концессионные договоры городских общественных управлений“. Петроград, 1916 г., стр. 123. http://ihtik.lib.ru/2013.05_ihtik_no-big-razdely/.

5 Ж.Ведель„„Административное право Франции“, Москва, 1973 г., стр. 478-479, http://www.twirpx.com/file/1065465/.

6 Н.В. Курысь, დასახელებული ნაშრომი. გვ. 170.

კანადა, საქართველო). ყველაზე აღიარებული თანამედროვე თეორიები, რომლებიც შემდგომ იქნება მიმოხილული, ასაბუთებენ, რომ მათ შორის განსხვავება უფრო მეტია ვიდრე მსგავსება და თითოეული თავის სფეროში შემავალ ურთიერთობებს აწესრიგებს.

იჯარისაგან კონცესია განსხვავდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით:

1. საკონცესიო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე ყოველთვის არის სახელმწიფო;
2. კონცესიის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება;
3. კონცესიის ობიექტი შეიძლება იყოს კონცესიონერისათვის სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლების გადაცემა;
4. კონცესიონერი ვერ გახდება გადაცემული ქონების მესაკუთრე.

ეს ჩამონათვალი სრული არ არის.

კონცესიასა და იჯარას შორის ორი ჯგუფის განსხვავება შეიძლება დავინახოთ. ერთნი, თვალსაჩინონი ხდებიან, როდესაც ხდება საკონცესიო და საიჯარო ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზი და არ გადიან სამოქალაქოსამართლებრივი სივრციდან. მეორენი, დაკავშირებულნი არიან კონცესიის საჯაროსამართლებრივ თავისებურებებთან და შესაბამისად, არ გააჩნიათ შეთავსებადი ცნებები და პირობები არამარტო იჯარასთან, არამედ სხვა სამოქალაქოსამართლებრივ ინსტიტუტებთან.[7]

პირველი სახის ყველაზე წონად განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს მოიჯარისა და კონცესიონერის უფლებების იურიდიული ბუნების არსებითად განსხვავებული განმარტება. კერძოდ, სამოქალაქო კანონმდებლობა შესამჩნევად სხვა აზრს აძლევს მოიჯარის უფლებებს. მოიჯარეს გადაეცემა ქონება, როგორც ასეთი, დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში. შემდეგ იგი ხდება საიჯარო ქონების ტიტულოვანი მფლობელი, ხოლო მეიჯარე რჩება ქონების მესაკუთრედ.საკონცესიო კანონმდებლობით კონცესიონერს გადაეცემა არა ქონება, როგორც ასეთი, არამედ ქონების სარგებლობის უფლება ან ქონებით სარგებლობის განსაკუთრებული უფლება. ასეთ შემთხვევაში სარგებლობის უფლება, მითუმეტეს სარგებლობის განსაკუთრებული უფლება, სულაც არ არის საიჯარო უფლებების ანალოგი, რომლებიც შესატყვისია მხოლოდ საიჯარო მფლობელობისა და სარგებლობის ტიტულთან.[8]

უპირობოდ კონცესიის მთავარ განმასხვავებელ ნიშნად რჩება მისი საჯარო-სამართლებრივი მოტივები, ელემენტები და პირობები. პირველ რიგში ეს არის საკონცესიო სამართალურთიერთობის წარმოშობის განსაკუთრებული საფუძველი, რომელიც ვერ იქნება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება. ასეთ საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოს ცალმხრივი სახელისუფლებო აქტი, რომელიც არის ყველა სახის საკონცესიო სამართალურთიერთობის წარმოშობის წყარო. ეს არის კონცესიის უნივერსალური ნიშანი და საკონცესიო ოჯახისადმი კუთვნილების დადასტურება, როგორი მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს იგი.

კონცესიის სხვა საჯარო-სამართლებრივი განსხვავებები უნივესალური არ არის და შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სახით. სახელისუფლებო აქტი შეიძლება წინ უძღოდეს საკონცესიო შეთანხმების დადებას ან შეიძლება ამტკიცებდეს მას. ასე, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ეროვნული პარლამენტის მიერ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკონცესიო შეთანხმებების დამტკიცების პრაქტიკა.[9]

3. საკონცესიო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

კონცესიის სამართლებრივი ბუნების გარდა, განხილვის მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს აგრეთვე საკონცესიო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

კონცესიის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის რეალიზების ფორმა არის საკონცესიო ხელშეკრულება. ხშირად ეს საშუალება პირდაპირ კანონით არის ხოლმე განსაზღვრული.

თუ საკონცესიო ხელშეკრულება ცალკე კანონითაა განსაზღვრული და საერთო სამოქალაქოსამართლებრივი მოწესრიგების სფეროდან განყენებულად არის მოცემული, ე.ი. სახეზე გვაქვს საკონცესიო ხელშეკრულების სპეციალური ნორმები და უპირატესობა ენიჭება საერთო ნორმებთან შედარებით.

კონტინენტური სამართლის ოჯახში შემავალ ქვეყნებში სახელმწიფო ან სახელმწიფო ორგანოები საკონცესიო ურთიერთობებში გამოდიან როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რაც თვით საკონცესიო ხელშეკრულებას აძლევს საჯაროსამართლებრივ ხასიათს.

საერთო სამართლის ოჯახის ქვეყნებში საკონცესიო ხელშეკრულებას არ აქვს გამოკვეთილი ადმინისტარციულ-სამართლებრივი ბუნება, რადგან ამ ქვეყნებში არ არსებობს სამართლის საჯარო და კერძო სამართლად დაყოფა და მნიშვნელოვანი ხდება გადასაცემი ქონების სამართლებრივი რეჟიმი.

პროფესორ მ. ბოგუსლავსკის აზრით, წიაღითსარგებლობის სფეროში ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება ვითარდება შემდეგი მიმართულებებით:

1. წიაღითსარგებლობის ურთიერთობების ინდივიდუალური აქტებით (ლიცენზია, კონცესია) მოწესრიგებიდან საკანონმდებლო მოწესრიგებისაკენ. თავდაპირველად წიაღითსარგებლობის უფლება გაიცემოდა სახელმწიფოს ადმინისტრაციული აქტით და მისით განისაზღვრებოდა ამა თუ იმ მონაკვეთზე წიაღითსარგებლობის პირობები.წიაღის მოპოვებ-

7 С.А. Сосна, „Концессионное соглашение - новый вид договора в российском праве“,Журнал „Журнал российского права“, N2, Москва, 2003 г. стр. 50, http://uristy.ucoz.ru/publ/12-1-0-616.

8 С.А. Сосна, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

9 იქვე, გვ. 52.

ის წარმოების განვითარებასთან ერთად გაიზარდა ბუნებათსარგებლობის ერთიანი პირობების ჩამოყალიბების მნიშვნელობა, რისთვისაც საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა საკონცესიო ხელშეკრულებების ტიპური პირობები და სარგებლობის ნებართვის აუცილებელი რეკვიზიტები.

შემდგომმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ საჭირო გახდა მხარეთა მიერ სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრის თავისუფლება საკანონმდებლო პირობებით შეზღუდულიყო, რომლითაც გამოირიცხებოდა მხარეთა მიკერძოებულობა, თვითნებობა და თანამდევი ნეგატიური მოვლენები.

ამ მიდგომის განვითარებასთან ერთად რიგ ქვეყნებში ვითარდებოდა სხვა კონცეფციებიც, კერძოდ:

ა) კონცეფცია ლეხ ცონტრაცტუს (Proper Law of The Contract), რომელიც წიაღითსარგებლობის ხელშეკრულების საკმარისობის იდეაში გამოიხატებოდა და არ ემორჩილებოდა კანონებსა თუ სახელმწიფოს სხვა ნორმატიულ აქტებს. ეს პრინციპი სათავეს იღებს ნაპოლეონის კოდექსიდან (მხ. 1134).

ბ) უცხოური ელემენტის (უცხო ქვეყნის სამართალსუბიექტი) მონაწილეობით დადებული წიაღითსარგებლობის ხელშეკრულების საერთაშორისო ხელშეკრულებად აღიარების კონცეფცია, რაც გულისხმობს მასზე პრინციპ „პაცტა სუნტ სერვანდა"-ს განხორციელებას - საერთაშორისო ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს

2. კოლონიალურ სახელმწიფოებში წიაღითსარგებლობით ურთიერობებში სამართალურთიერთობების საგანს წარმოადგენდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გარკვეული საქმიანობის უფლების მიღება. შემდეგ, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს უფლება შევიწროვდა ინდივიდუალურად განსაზღვრულ წიაღის მონაკვეთამდე.ევროპის ქვეყნების სამთო კანონმდებლობა თავდაპირველად აღიარებდა წიაღითმოსარგებლის სანივთო უფლებას (საკუთრების ან სარგებლობის უფლება) ინდივიდუალურად განსაზღვრულ წიაღისეულის წყაროსა თუ შახტაზე, მაგრამ ასეთ საკუთრებაზე სოციალური ფუნქციის იდეის ზეგავლებით წიაღითმოსარგებლის სანივთო უფლება თანდათან დაიტვირთა სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობით.[10]მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე უცხოური ელემენტისათვის წიაღითსარგებლობის უფლების გადაცემა წარმოადგენდა სხვა არაფერს, თუ არა სახელმწიფოს ტერიტორიის დათმობას.[11]

წიაღითსარგებლობის სამართლის სანივთო-სამართლებრივი კონცეფცია წარმოიშვა ფრანგულ და ესპანურ სამართალში. თანდაპირველად, მათთვის სამთო სამართლის საერთო წყარო გახდა „ოქროს, ვერცხლისა და სხვა საბადოების გახსნის, დამუშავებისა და სარგებლის მიღების ახალი წესები" (სან-ლორენცოს წესები 1584 წ.), რომლებიც ასახავდნენ წიაღისეულის მონაკვეთზე სამთო მეწარმის საკუთრების კონცეფციას. აღსანიშნავია, რომ წიაღითსარგებლობის სამართლის სანივთო-სამართლებრივი გაგება ძირითადად შეინარჩუნა ლათინური ამერიკის ქვეყნების კანონმდებლობამ, მაგრამ შემდეგ ისინი წავიდნენ სარგებლობის უფლების და არა საკუთრების უფლების აღიარების გზით, გარდა ჩილეს კანონმდებლობისა. ჩილეში ფიქრობდნენ, რომ საბადოების დამუშავებისადმი ასეთი მიდგომა ნაკარნახევი იყო ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობით.

3. საკონცესიო ურთიერთობებში თანდათან გაძლიერდა საჯაროსამართლებრივი საწყისები. ისტორიულად წიაღითსარგებლობის კონცესია ატარებდა ადმინისტრაციულსამართლებრივ ხასიათს. იგი აღიქმებოდა, როგორც სანივთო უფლების დამდგენი სახელმწიფოს ცალმხრივი აქტი. სხვა მდგომარეობა ჩამოყალიბდა იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც ურთიერთობის საგანს წარმოადგენდა არა ბუნებრივი რესურსები, არამედ ინფრასტრუქტურული ობიექტები (ინფრასტრუქტურული კონცესიები). ისინი ვითარდებოდნენ როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობები.

წიაღითსარგებლობის სფეროს სამართლებრივ მოწესრიგებაში კიდევ ერთი ტენდენცია იკვეთებოდა - წიაღითმოსარგებლეზე გადავიდა საჯარო ინტერესის უზრუნველყოფის ვალდებულებაც. სახელმწიფოს ასეთი ინტერესი გამოვლინდება ხოლმე წიაღითმოსარგებლის დახმარებით მრეწველობის განვითარების და იმ პირების ინტერესების დაკმაყოფილებაში, რომელთა უფლებებსაც ეხება წიაღისეულის მოპოვების საქმიანობა.

როგორც ჩანს იკვეთება საკონცესიო ურთიერთობების ორი ძირითადი სახე - სალოცენზიო-სანებართვო სისტემა და სახელშეკრულებო-სამართლებრივი ფორმა. მათ თავისებურებებზე, შინაარსსა და განვითარებაზე საინტერესო კვლევები და მოსაზრებები აქვთ რიგ მეცნიერებს, რომელთა ნაშრომების დახმარებითაც შესაძლებელია საკითხის მიმოხილვა და თეორიული ასპექტების მოქმედ კანონმდებლობასთან შედარება.

ქართული სამართლის მეცნიერებაში კონცესიის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის კვლევა მნიშვნელოვან საფუძვლებს შექმნის კანონისეული განსაზღვრებების ჯეროვანი ჩამოყალიბების, ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობის, საინვესტიციო ურთიერთობების გააქტიურების, ინფრასტრუქტურის განვითარების, ბუნების დაცვისა და მის რესურსების რაციონალურ გამოყენების საქმეში.

10 *М. М. Богуславский*,„Перестройка международных экономических отношений и правовая природа концессионных договоров",Москва, 1977 г., ст. 11.

11 Ч.Ч.Хайд,„Международное право, его понимание и применение Соединенными Штатами Америки", Москва, 1950 г., Т.1, Стр. 468-471, http://www.lawlibrary.ru/izdanie13045.html.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. ცვაიგერტიდახ. კოტცი, "შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში", ტ.2. თბილისი, 2001 წ., მეცნიერულირედაქტირებადაბოლოთქმათევდორენინიძისა, თარგმნაეკატერინესუმბათაშვილმა, გამომცემლობა "ჯისიაი";
2. А. В. Багдасарова „Концессионноесоглашение в гражданскомправеРоссии и зарубежныхстран", Автореферат диссертации, Московскийгосударственни йинститутмеждународныхотношений, Москва, 2009 г., http://www.mgimo.ru/science/dissert_cons/7092/events/n117400.phtml;,
3. Н.В. Курысь, „Детерминация понятия концессии и концессионной соглашения в отечественной историко-правовой мысли", Вестник Ставропольского государственного университета, Вып. 41, Ставрополь, 2005 г., Издательство Ставропольского государственного университета, http://law-library.ucoz.ru/vestniky/vestniky_vsgu/2005_41.pdf;
4. Л. С. Таль, „Концессионные договоры городских общественных управлений", Петроград, 1916 г., Издательство „типография Обшественная полза", http://ihtik.lib.ru/2013.05_ihtik_no-big-razdely/;
5. Ж. Ведель, „Административное право Франции", Перевод с французского Л. М. Энтина, Москва, 1973 г., издательство „Прогресс", http://www.twirpx.com/file/1065465/;
6. С.А. Сосна, „Концессионное соглашение - новый вид договора в российском праве", Журнал "Журнал российского права", N 2, февраль, Москва, 2003 г., http://uristy.ucoz.ru/publ/12-1-0-616;
7. М.М. Богуславский, „Перестройка международных экономических отношений и правовая природа концессионных договоров", Журнал „Международное сотрудничество и международное право", Москва, 1977 г., Издательство ИГиП АН СССР,
http://www.lawlibrary.ru/author.php?author=%C1%EE%E3%F3%F1%EB%E0%E2%F1%EA%E8%E9+%CC.%CC;
8. Ч.Ч. Хайд, „Международное право, его понимание и применение Соединенными Штатами Америки". Перевод с английского. Т.1, Под ред.: В.Н. Дурденевский, Пер.: И.С. Шохор, Москва, 1950 г., Издательство „иностранное литература",
http://www.lawlibrary.ru/izdanie13045.html;
9. В.Н. Лисица, „Международные инвестиционные соглашения (договоры, контракты)", Автореферат кандидатской диссертации на соискание ученой степени к.ю.н., Новосибирск, 2003 г., Стр. 11, http://tmnlib.ru/jirbis/files/upload/abstract/12.00.03/280.pdf.

სარედაქციო მოთხოვნები:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს ბიზნესსა და ინჟინერიის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

- ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები;
- ბიზნეს-პროცესების მართვის ტექნოლოგიები;
- საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანობის ეკონომიკური შეფასებები;
- ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები;
- ბიზნეს-ინჟინერინგი: ენერგეტიკაში, ინფორმატიკაში, ქიმიასა და მეტალურგიაში, ფარმაციაში, მშენებლობაში, ტრანსპორტში, არქიტექტურასა და დიზაინში, სამთო გეოლოგიაში, ნანოტექნოლოგიებსა და ჰიდროტექნიკაში;
- ინოვაციები და ინვესტიციები;
- საინჟინრო საქმიანობის სამართლებრივ-საექსპერტო და სოციალური ასპექტები;
- სამართალი და პოლიტიკა;
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიების მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

- სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 15 გვერდისა.

სტატიას თან უნდა დაერთოს:

- რეზიუმე ქართულ და უცხოურ ენაზე — ტექსტის დასაწყისში (რეზიუმე უნდა შეიცავდეს არანაკლებ 100-150 სიტყვას), გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა — ტექსტის ბოლოს.
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx,
- ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman.
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.
- სტატიის თავში მოათავსეთ შემდეგი ინფორმაცია: ავტორის (თანაავტორის) სახელი, გვარი, აკადემიური წოდება, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი.
- ნახაზები, გრაფიკები, სქემები და ა.შ. – ფორმატში TIFF 300 dpi; 600 dpi, ფორმულები უნდა აიკრიფოს Microsoftequation 2.0 (2.1.).